ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

დავით მუსხელიშვილი

საქართველო
IV-VIII საუკუნეებში

თბილისი
2003

უაკ (UDC) 947.922
მ 936

IV-VIII ს-ის პირველი ნახევარი ფრიად მნიშვნელოვანი ეტაპია საქართველოს ისტორიაში. პერიოდის დასაწყისშივე გამოიკვეთა ქვეყნის კულტურული სახე (ქრისტიანობა), რომელმაც შემდგომი პოლიტიკური ორიენტაციაც განსაზღვრა. ამ დროს განხორციელდა რეალურად ერთიანი საქართველოს შექმნის იდეაც (ვახტანგ გორგასალი). პერიოდის ბოლოს ქართველი ხალხის სოციალური ევოლუციის დონე განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის შესატყვისია, ხოლო ეთნოგრაფიული სტრუქტურა (თუკი გვიანი საუკუნეების უცხოთესლთა იმიგრაციულ ტალღებს არ ჩავთვლით), ფაქტობრივად თანამედროვე სახისაა. ეს და სხვა - პოლიტიკური ისტორიის პრობლემებია განხილული წიგნში, რომელიც გათვალისწინებულია არა მხოლოდ სპეციალისტებისათვის, არამედ საქართველოს ძველი ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვისაც.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
დ. ბერძენიშვილი

რეცენზენტები: პროფესორი **თ. ბერაძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
მ. ბერძნიშვილი

წიგნი გამოსაცემად მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობაში „მემატიანე"

მთ. რედაქტორი: თ. ჭყონია
რედაქტორი: ლ. კოტრიკაძე
კორექტორი: ლ. ჯიქია
კომპიუტერული
უზრუნველყოფა: ა. რუაძე

ვუძღვნი მეუღლის
ნანა მუსხელიშვილის
ნათელ ხსოვნას

ნინასიტყვა

წინამდებარე მონოგრაფია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ „საქართველოს ისტორიის" მეცნიერულ-პოპულარული ოთხტომეულის გამოცემისთვის 1998-2000 წლებში გამოყოფილი გრანტის საფუძველზე შექმნილი ნაშრომის ვრცელი ვარიანტია, რომელსაც ამჯერად დართული აქვს სათანადო სამეცნიერო აპარატი და ამდენად, ავტორის შეძლებისდაგვარად, მეცნიერულ გამოცემას წარმოადგენს.

ჩემი არჩევანი, გამეშუქებინა საქართველოს ისტორიის IV-VIII საუკუნის პირველი ნახევრის მონაკვეთი, გაპირობებული იყო არა მხოლოდ ვიწრო მეცნიერული ინტერესებით, არამედ, პირველ რიგში, იმით, რომ ეს პერიოდი ჩვენი ქვეყნის ისტორიული ცხოვრებისა უაღრესად მნიშვნელოვანია მრავალი თვალსაზრისით და თუმცა, მის შესწავლას არაერთი სამეცნიერო გამოკვლევა მიეძღვნა, მათ შორის ფრიად მნიშვნელოვანი მონოგრაფიები ჩვენი ცნობილი მეცნიერებისა, მაინც, ვფიქრობ, მიუხედავად მწირი წყაროთმცოდნეობითი ბაზის არსებობისა, შესაძლებელია ამ ეპოქის კიდევ უფრო სრულად და ზოგიერთი ასპექტის ახლებურადაც წარმოჩენა.

სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ეს არის პერიოდი, როდესაც მისი დასაწყისიდანვე ქართული საზოგადოების ევოლუცია აშკარად ფეოდალური ურთიერთობების განუხრელი განვითარების გზით წარიმართა, ხოლო მისი ბოლოსათვის საქართველოს ბარში ამ სოციალურ-ეკონომიკურმა ფორმაციამ სავსებით განვითარებული და საყოველთაო ხასიათი მიიღო. იგი მთაშიც იჭრებოდა, რის შედეგადაც უძველესი დროიდანვე დაწყებული სპეციფიკური პროცესი მთისა და ბარის თანდათანობითი შერწყმისა VIII საუკუნის შუახნისათვის დასრულდა: შეიქმნა საზოგადოებრივი ფორმაციის ის თავისებური სტრუქტურა, რომელიც, ფაქტობრივად, მთელი ქართული შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი დარჩა.

კულტურული განვითარების თვალსაზრისითაც ჩვენი ისტორიის აღნიშნული მონაკვეთი ფრიად მნიშვნელოვანია.

უკვე ახალი წელთაღრიცხვის პირველი წლებიდანვე, (დასავლურზე რომ აღარაფერი ვთქვათ), აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს მესვეურთა მიერ შეცნობილად აღებული პროდასავლური პოლიტიკურ-კულტურული კურსი, IV ს-ის დასაწყისში - ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების აქტით დაგვირგვინდა, ხოლო VII საუკუნის დასაწყისში მართლმადიდებლური მრწამსის საბოლოო განმტკიცებით, რამაც ასევე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ქართველი საზოგადოების კულტურულ-პოლიტიკური განვითარების შემდგომი გზა.

ამ პერიოდში ჩაეყარა აგრეთვე მტკიცე საფუძველი ერთიანი საქართველოს იდეას, რომელმაც განაპირობა, ფაქტობრივად, IX-X საუკუნეების კულტურული განვითარების და პოლიტიკური პერიპეტიების დედაარსი და რომელიც საბოლოოდ XI საუკუნის დასაწყისში განხორციელდა.

დასასრულ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს პერიოდი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ქართული მოსახლეობის ეთნიკური განვითარების თვალსაზრისითაც. კერძოდ, სწორედ VIII ს-ის შუახანისათვის ჩამოყალიბდა არსებითად ჩვენი ქვეყნის ის ეთნოგრაფიული სურათი, რომელიც (თუ ბოლო საუკუნეებში უცხოთესლთა ინტენსიური იმიგრაციის პროცესს არ მივიღებთ მხედველობაში) დღესაც დამახასიათებელია საქართველოსთვის.

ყველა ამ დიდი საკითხების შესახებ ჩემს სხვადასხვა ნაშრომებში სხვადასხვა დროს მაქვს მეტ-ნაკლებად საუბარი. წინამდებარე მონოგრაფიაში კი შევეცადე ეს პრობლემატიკა ერთობლივად განმეხილა საქართველოს ისტორიული განვითარების ოთხასწლოვანზე მეტი პროცესის ფონზე.

როგორც აღვნიშნე, მონოგრაფია, ფაქტობრივად, ოთხი წლის წინ დაიწერა. მას შემდეგ არაერთი საყურადღებო წერილი გამოქვეყნდა სხვადასხვა ჟურნალში ჩვენთვის ამჟამად საინტერესო პერიოდის საქართველოს ისტორიის შესახებ, რომლებიც შეძლებისდაგვარად ჩემს მიერ გათვალისწინებულია სქოლიოებში. თუმცა სამეცნიერო გამოცემების დღეს ჩვენში არსებული ვითარების პირობებში, არ არის გამორიცხული რომელიმე პუბლიკაცია გამომრჩენოდა, რისთვისაც თუკი ასეთი რამ აღმოჩნდა, წინასწარ მინდა მოვუხადო ბოდიში მის ავტორს.

თავი I. საქართველო IV და V ს-ის პირველ ნახევარში

1. ქართლი IV ს-ის პირველ ნახევარში

IV ს-ში მახლობელ აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი პოლიტიკური და კულტურული მოვლენები განვითარდა. III ს-ის სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა რომის იმპერიაში ამ საუკუნის ბოლოსათვის, იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს (284-305 წწ.) გამოიწვია ერთიანი სახელმწიფოს ორ, დასავლეთის და აღმოსავლეთის ნაწილებად გაყოფა, რამაც დასრულებული სახე კონსტანტინე კეისრის (306-337 წწ.) მმართველობის პერიოდში მიიღო. იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც მოიცავდა თრაკიას, ეგვიპტეს და აზიის სამფლობელოებს, ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო ძლიერი იყო დასავლეთზე და ამიტომ იმპერიის პოლიტიკურმა ცენტრმაც აქეთ გადმოინაცვლა: 330 წლის 11 მაისს სახელმწიფოს დედაქალაქი გადმოტანილ იქნა ბოსფორის სრუტის ევროპულ ნაპირზე მდებარე ქალაქ ბიზანტიონში, რომელსაც ამიერიდან კონსტანტინოპოლი ეწოდებოდა, ხოლო თვით აღმოსავლეთ რომის იმპერიას, რომელიც IV ს-ის ბოლოს, ფაქტობრივად, გამოეყო დასავლეთს, მისგან განსხვავებით ისტორიულ მეცნიერებაში ამ დროიდან „ბიზანტიას" უწოდებენ.

ბუნებრივია, თუ რომის იმპერიის ცენტრის აღმოსავლეთით გადმოტანა და ამავე დროს ის ფაქტი, რომ IV ს-ის პირველი ნახევარი იმპერიის აღმოსავლეთისაკენ საუკუნეთა მანძილზე თანდათანობითი ექსპანსიის კულმინაციური პერიოდია, პოლიტიკურ-კულტურულ ურთიერთობებს ქართლის სამეფოსა (იბერიის) და რომს შორის უფრო ინტენსიურს გახდიდა. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით იყო გაპირობებული, რომ მას შემდეგ, რაც კონსტანტინე კეისრის დროს ქრისტიანობა რომში, ფაქტობრივად, სახელმწიფო რელიგიად იქნა გამოცხადებული, იმავე ხანებში ამ უდიდესი მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიულ და პოლიტიკურ მოვლენას ჩვენშიც ჰქონდა ადგილი - 326 წ. ქართლის სამეფოში ქრისტიანობა სახელმწიფო კულტად გამოცხადდა (იხ. ქვემოთ). ამ ფაქტმა იბერიის მმართველთა მიერ, ფაქტობრივად, ახ. წელთაღრიცხვის დასაწყისიდანვე აღებული დასავლური ორიენტაციის კულტურულ-პოლიტიკური კურსი კიდევ უფრო განამტკი-

ცა და, არსებითად, განსაზღვრა კიდეც ქართლის სამეფოს ისტორიული მომავალი.

მეორე მხრივ, ცხადია, რომის ექსპანსიას აღმოსავლეთისაკენ სასანური ირანის იმპერია ვერ შეურიგდებოდა, მით უმეტეს, რომ IV ს–ის მეორე ნახევრიდან იგი თანდათან ძლიერდება და უტევს რომს, რომელიც უკან იხევს. 60–იან წლებში მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარება, რომელიც საბოლოოდ IV ს–ის ბოლოს ზავით გაფორმდა, რომლის შედეგად სადემარკაციო ხაზი იქნა გავლებული ორ ერთმანეთთან დაპირისპირებულ იმპერიას შორის, ამიერკავკასიასაც შეეხო. გარდა იმისა, რომ სომხეთის დიდი ნაწილი ირანის მფლობელობაში გადავიდა, ქართლის სამეფოც ორად იქნა მათ შორის გაყოფილი და შემდგომშიც აღმოსავლეთ საქართველოში გავლენის სფეროთა განაწილებისათვის ბრძოლა, როგორც ვნახავთ, არ შეწყვეტილა სასანური ირანის არაბთაგან საბოლოო დამხობამდე. ასე რომ, ამ პოლიტიკურ დაპირისპირებას ქართლში სნორედ IV ს–ში აქვს დასაბამი.

სოციალური განვითარების თვალსაზრისითაც IV ს–ე გარკვეულ მიჯნას წარმოადგენს. ეს არის პერიოდი, როდესაც წინა საუკუნეების სოციალურ–ეკონომიკური ევოლუციის შედეგად ქართლის საზოგადოება აშკარად დაადგა ფეოდალური ურთიერთობების განვითარების შეუქცევადი პროცესის გზას, რომელიც გამორიცხავდა აღმოსავლური ტიპის დესპოტიის ჩამოყალიბებას. ეს გარემოება გაპირობებული იყო ქართლის სოციალური სტრუქტურით, რასაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანწილად ქვეყნის ფიზიკური გეოგრაფია და ამით განსაზღვრული ტერიტორიული სტრუქტურა ედო საფუძვლად.

ქართლის სამეფოს ტერიტორია IV ს–თვის ძველ ვითარებასთან შედარებით შემცირებული იყო. მართალია, ნიზიბინის ზავით რომსა და სპარსეთს შორის (298 წ.) მან დაიბრუნა სომხეთის მიერ წაღებული ქვემო ქართლის ტერიტორია (სომხური წყაროებით „გუგარქი") და სახელმწიფო საზღვარი სამხრეთით კვლავ მტკვარ–არაქსის წყალგამყოფ ქედს გაჰყვა, მაგრამ ამ დროს ქართლს აღარ ეკუთვნოდა მდ. ჭოროხის ზემო წელის აუზი (სპერის და ტაოს პროვინციები), თუმცა ქვემო წელი – კლარჯეთი და აჭარა ამ დროსაც მის ფარგლებში რჩებოდა ისევე, როგორც მტკვრის ზემო წელის ქვეყნებიც (არტაანი, ჯავახეთი). უკიდურესი სამხრეთ–აღმოსავლეთი

საზღვარი მტკვრის მარჯვენა შემდინარე ძეგამ–ჩაიზე გადიოდა, რომელსაც მაშინ ბერდუჯის მდინარე ერქვა და რომლის მახლობლადაც დღევანდელ მდ. თაუზ–ჩაის მტკვართან შესართავთან ქართული ციხე–ქალაქი ხუნანი მდებარეობდა (დღ. თოფრახ–კალა მტკვრის პირას), გარდაბნის პროვინციის ცენტრი და ქართული სახელმწიფოებრიობის სამხრეთ–აღმოსავლეთის ფორპოსტი. გარდაბნის გადაღმა მტკვრისა და ალაზნის ქვემო დინებას შორის მდებარე კამბეჩოვანი (დაახლოებით დღევანდელი ქიზიყი) ასევე ჩამოშორებული იყო ქართლს და ალვანეთის სამეფოში შედიოდა ისევე, როგორც ალაზნის გაღმა მდებარე ჰერეთიც.

ქართლის სამეფოს დასავლეთი საზღვარი ლიხის ქედზე და შემდეგ აჭარა–ახალციხის ანუ მესხეთის მთაგრეხილზე გადიოდა. ასე რომ, სამცხე თორიანად (ბორჯომის ხეობა, ქვაბლიანის და ჯაყის–წყლის ხევები) მის ფარგლებში იყო. ჩრდილოეთი საზღვარი კვლავ კავკასიონის ქედზე გადიოდა და ხევი დარიალის ხეობიანად ანუ ძველი წყაროების წანარეთის ხევი, სამეფოს უკიდურეს ჩრდილოეთ ფორპოსტს წარმოადგენდა.

სოციალურ–ეკონომიკური განვითარების შედეგად და ფიზიკურ–გეოგრაფიული ლანდშაფტის სპეციფიკით იყო გაპირობებული ქართლის სამეფოს შინაგანი ტერიტორიული სტრუქტურის თავისებურებაც. ქვეყანა დანაწევრებული იყო „ხევებად“ „ხევი“ – უძველესი ქართული ისტორიულ–გეოგრაფიული ერთეულია, რომელთა შერწყმის საფუძველზე წარმოიქმნა ქართლის სამეფო და რომლებიც ამიერიდან სახელმწიფოს ძირეულ ადმინისტრაციულ ერთეულებს შეადგენდნენ. „ხევი“ ამასთან ეთნო–სოციალური ერთეული იყო და გულისხმობდა საზოგადოებას, გაერთიანებულს ერთ სარწყავ სისტემაზე დამოკიდებული მეურნეობით. ამდენად, „ხევი“ შესაძლებელია რამდენიმე ფიზიკურ–გეოგრაფიულ ხევს მოიცავდეს. იქ, სადაც მორწყვას მეურნეობისათვის, ფაქტობრივად, არ ჰქონდა მნიშვნელობა ანუ მთიან ზონაში ფიზიკურ–გეოგრაფიული ფაქტორი იყო სწორედ ძირითადი. ქართლის სამეფოს ასეთი ტერიტორიული სტრუქტურის ნაკვალევი შემორჩენილია, როგორც ძველი წყაროებით დამოწმებულ ისტორიულ ტოპონიმიკაში, ისე დღევანდელ გეოგრაფიულ ნომენკლა-

ტურაშიც (მაგალითად: „კავთისხევი“, „თეძმისხევი“, „ხევი“ და სხვ.)

„ხევები“ ერთიანდებოდნენ „საერისთავოებში“. ეს უკანასკნელი ქართული სახელმწიფოებრიობის ძირითადი სტრუქტურული ელემენტი იყო, რომელიც ამგვარად „ხევთა“ ერთობლიობას წარმოადგენდა და ცალკეულ ქართულ ისტორიულ–ეთნოგრაფიულ პროვინციას შეადგენდა. ასე მაგალითად, ხუნანის საერისთავო იგივე გარდაბნის მხარე იყო, სამშვილდისა – გაჩიანის, შორაპნისა – არგვეთის, ოძრხისა – სამცხე–აჭარის და სხვ.

სამეფო რეზიდენცია კვლავ მცხეთა იყო.

რომსა და სპარსეთს შორის ქ. ნიზიბინში (შუამდინარეთში) დადებული ზავის შედეგად (298 წ.) შაჰანშაჰი ნარსე იძულებული იყო დაეთმო რომაელებისათვის ხუთი სომხური პროვინცია (ე. წ. დამოუკიდებელი სათრაპიები) შუამდინარეთში, კერძოდ მდ. ტიგროსის სათავეებში და აგრეთვე ეცნო რომის პროტექტორატი ე. წ. დიდ სომხეთსა და ქართლზეც. დიდი სომხეთის სამეფო ტახტზე იმპერატორ დიოკლეტიანეს ხელშეწყობით ჯდება თრდატ III. ქართლის მეფესაც ამიერიდან სამეფო ნიშნები რომის იმპერატორისაგან უნდა მიეღო[1].

ქართული წყაროების მიხედვით ამ დროს ქართლში მეფობს მირიანი, რომელიც თითქოს ირანის შაჰის შვილია. იგი ქართლის ტახტზე ჯდება ქართლისავე წარჩინებულთა მოთხოვნით, რამდენადაც უკანასკნელი ფარნავაზიანი მეფის, ასფაგურის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი უმემკვიდრეოდ დარჩენილიყო[2]. ეს არის ლეგენდა, შეთხზული პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის განსადიდებლად[3]. სინამდვილეში, ეჭვი არ არის, მირიანი ფარნავაზიანთა დინასტიის წარმომადგენელია, რასაც მოწმობს, ჯერ ერთი ის, რომ V ს–ის სომეხი ისტორიკოსის ფავსტოს ბუზანდის ნიშანდობლივი მითითებით ეს დინასტია IV ს–ის მეორე ნახევარში ჯერ კიდევ არსებობს ქართლში. და, მეორეც, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით მირიანი არდაშირ I–ის შვილი კი არ არის, არამედ ქართლის მეფის ლევის (იგივე რევის) ძეა. ეს ძველი ქართული ნყარო თითქოს საგანგებოდ, სწორედ იმისათვის, რომ ყოველგვარი ეჭვი გაგვიფანტოს პირდაპირ გვაცნობებს, რომ „ლევ, მამაჲ მირიანისი“[4] იყო. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ისიც, რომ იმავე ქართული წყაროების მიხედვით მირიანის

უფროს ვაჟს რევი ეწოდება: ქართველ მეფეთა და დიდებულთა შორის, ჩვეულებრივი იყო შვილიშვილისათვის პაპის სახელის დარქმევა. ამგვარად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მირიანს ადგილობრივი დინასტიის წარმომადგენლად თვლის რაც, ცხადია, სავსებით რეალური უნდა იყოს.

მირიანის მეფობის თარიღების ზუსტი დადგენა ძნელია[5]. ერთი რამ კი ქართული და სომხური წყაროებიდან ცხადია, რომ მირიანი სომეხთა მეფის თრდატ III–ის (298–330 წწ.) და რომის იმპერატორ კონსტანტინეს (306–337 წწ.) თანამედროვეა[6] და ამავე დროს ჯერ კიდევ ცოცხალია 361 წელს (იხ. ქვემოთ).

„ქართლის ცხოვრების“ ცნობათა თანახმად თავისი მეფობის პირველ ხანებში მირიანი სპარსთა ქვეშევრდომია და ამასთან ერთად ებრძვის რომაელებს და მათ მოკავშირე სომხებს. ეჭვი არ არის აქ იგულისხმება III ს–ის 90–იანი წლების და შესაძლებელია 80–იანი წლების ომიც კი ირანსა და რომს შორის. ქართლისა და სომხეთის ურთიერთობის თვალსაზრისით ქართული წყაროს ეს ჩვენება სარწმუნო უნდა იყოს[7]. საქმე ის არის, რომ, როგორც ვიცით, სომეხთა სამეფოს დიდი ხანია, რაც გაუჩნდა პრეტენზია დაპატრონებოდა ქვემო ქართლის ძველ ქართულ პროვინციას, რომელსაც ბერძნული და სომხური წყაროები შესაბამისად გოგარენეს და გუგარქს უწოდებდნენ აქ მოსახლე ერთ–ერთი ძველქართული ტომის „გოგარების“ მიხედვით[8]. ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნიდან დაწყებული ეს ტერიტორია არაერთხელ დაუპყრიათ სომხებს. არ არის გამორიცხული 283 წლის საზავო ხელშეკრულებით, რომელიც რომსა და ირანს შორის დაიდო და რომლის შედეგად რომის მფლობელობაში გადავიდა შუამდინარეთი და სომხეთი, ირანის გავლენის სფეროში მყოფი ქართლის ეს პროვინციაც, გოგარენე//გოგარენი, სომეხთა მფლობელობაში გადასულიყო. ეს, რა თქმა უნდა, გამოიწვევდა საწინააღმდეგო რეაქციას ქართლის მესვეურთაგან. შესაძლებელია სწორედ ამ ვითარების ამსახველი იყოს „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობა სომეხ-ქართველთა ურთიერთბრძოლის პერიპეტიების შესახებ: მირიანმა „ძალი მოირთო სპარსეთით და უწყო ბრძოლად თრდატს. ხოლო ოდეს მოირთის ძალი თრდატ საბერძნეთით და მომართის მირიანს, და მას ვერ ძალეედვის წინააღდგომად, და გაამაგრნის ციხენი და ქალაქნი, და

მოვლის თრდატ ქუეყანა მისი. და ოდეს განძლიერდის მირიან სპარსეთით, მაშინ ვერ წინააღუდგის თრდატ, და მოვლის მირიან სომხითი. და ესრეთ დაუცხრომელად იყვის შფოთი მათ შორის წელთა მრავალთა"[9]... ბუნებრივია, თუ III ს–ის 90–იან წლებში განახლებული ომის მსვლელობაში ქართველები კვლავ რომისა და სომხეთის წინააღმდეგ შაჰანშაჰ ნარსეს (293–302 წწ.) ლაშქართან ერთად იბრძოდნენ.

სპარსელთათვის 296–298 წლების ეს ომი თავდაპირველად წარმატებული იყო და მათ სომხეთი დაიპყრეს[10]. ქართული წყაროს მიხედვით შაჰანშაჰს სომხეთი საგანგებოდ მირიანისათვის გადაუცია, მაგრამ საბოლოოდ რომაელებმა გაიმარჯვეს. „ხოლო კეისარმან მისცნა სპანი თრდატს და გამოგზავნა სომხითს, მამულსა თჳსსა. გამოვიდეს სომხითს და გამოასხნეს სპანი ერისთავნი მირიანისნი"[11]. ნაზიბინში დადებული ზავით, როგორც ვიცით, არამცთუ სომხეთი, ქართლიც რომის პროტექტორატს აღიარებს.

საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე ქართული წყაროს ეს ცნობები, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ნდობას იმსახურებს, მაგრამ რამდენად რეალურია 80–90–იანი წლების ორ იმპერიას შორის მიმდინარე ომებში მაინცდამაინც მირიანის მონაწილეობა ძნელი სათქმელია. არ არის გამორიცხული ყველაფერი ეს მირიანის მამის, რევის მეფობის დროს შეეხებოდეს. „ქართლის ცხოვრების" წყარომ კი, რომელიც მას საერთოდ არ იცნობს, მთელი ზემოხსენებული პოლიტიკური პერიპეტიები მირიანს მიაწერა.

ქართული წყაროს ჩვენებათა რეალურობას, კერძოდ, იბერთა გარკვეულ კონფლიქტს რომთან III-IV საუკუნეთა მიჯნაზე თუ IV ს-ის დასაწყისში, სხვათა შორის, ბერძნული წყაროებიც ადასტურებენ. ასე მაგალითად, სოკრატე სქოლასტიკოსი (380-440 წწ.) აღნიშნავს, რომ ქრისტიანობის აღიარების შემდეგ, იბერებმა „კონსტანტინე მეფესთან ელჩები გააგზავნეს: სთხოვდნენ, ამიერიდან რომაელებთან მშვიდობიან ურთიერთობაში ვიქნებითო". ასევე ერმია სოზომენე, V ს-ის ისტორიკოსი, მოგვითხრობს: იბერებმა „ელჩები გაგზავნეს კონსტანტინე მეფესთან, შეაძლიეს კავშირი და მშვიდობა"[12].

ქართლის სამეფოს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე,

უძველესი დროიდანვე კარგად იყო ცნობილი არა მხოლოდ მახლობელ აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთშიც[13]. ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ეპოქისთვისაც გვაქვს სათანადო ცნობები, ძველ, როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში. ამაში ქვემოთაც დავრწმუნდებით. აქ კი აღვნიშნავთ, რომ „ქართლის ცხოვრებით", რომლის მიხედვით, როგორც ვიცით, მირიანი სასანიანი უფლისწულია, მისი ქართლში გამოგზავნის წინ „გამოიკითხა სპარსთა მეფემან პირველად (ქართლის დედაქალაქის, დ. მ.) ქალაქისა მცხეთისა, და უთხრეს სივრცე და სიმყარე მისი და მახლობელობა ხაზართა და ოვსთა... რამეთუ თჳთცა უკეთესად გამოარჩია მცხეთას დასუმა ძისა მისისა მეფედ. რამეთუ ყოველთა ქალაქთა სომხითისა და ქართლისათა, რანისა და მის კერძოთა, ყოვლისა უფროსად და უმაგრესად გამოარჩია და მახლობელად ჩრდილოთა მტერთა, რათა ჰბრძოდეს მათ მუნით და იპყრობდეს ყოველთა კავკასიანთა"[14]. ერთგვარი გაზვიადებისა და ანაქრონიზმის (ხაზარებთან დაკავშირებით) მიუხედავად, ეს სრულიად რეალური კონცეფციაა, რომელიც ცოტა უფრო ნაგვიანევი ხანისათვის უცხოური წყაროებით, როგორც ვნახავთ, აგრეთვე კარგად დასტურდება, და რომელიც კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული არა მხოლოდ სპარსელებს, არამედ რომაელებსაც[15].

ქართლის მეფეთა ხელთ იყო კავკასიონის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი უღელტეხილის, დარიალანის ანუ „ოვსთა კარის" გასაღები და არსებითად მათ ნება–სურვილზე იყო დამოკიდებული იმიერკავკასიის მომთაბარე ველურთა გადმოყვანა, იმ ნომადებისა, რომელთა თარეში სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა მახლობელი აღმოსავლეთის და საერთოდ დასავლეთის და აღმოსავლეთის ცივილიზებულ საზოგადოებას, მის სახელმწიფოებრიობას. სწორედ ეს განსაზღვრავდა მნიშვნელოვანწილად, აქ გამავალი საერთაშორისო–სატრანზიტო სავაჭრო მაგისტრალების კონტროლთან ერთად, დასავლეთის და აღმოსავლეთის დიდი იმპერიების პერმანენტულ მისწრაფებას დაუფლებოდნენ ამიერკავკასიას, კერძოდ კი ამ რეგიონის ცენტრალურ ქვეყანას ქართლს და საკუთარი გავლენის ქვეშ მოექციათ მის მესვეურთა პოლიტიკა[16].

ამიტომ ბუნებრივია, თუ მას შემდეგ, რაც 298 წ–ის ნიზიბინის ზავის შემდეგ ქართლი რომის პროტექტორატის ქვეშ

მოექცა, ქართლის მოკავშირეობით დაინტერესებული რომი იზრუნებდა მისი პოლიტიკური სტაბილიზაციისათვის, კერძოდ, სომეხ–ქართველთა ურთიერთპრეტენზიების მოწესრიგებისათვის. ამდენადვე, არსებითად, რეალური უნდა იყოს ქართული წყაროს ჩვენება, რომ კონსტანტინე კეისარმა „დაამოყურნა თრდატ და მირიან, და ამზახნა ურთიერთას. რამეთუ მოსცა თრდატ ასული თჳსი, რომელსა ერქუა სალომე, ძესა მირიანისასა ცოლად, რომელსა ერქუა რევ, და განუჩინა საზღვარი მირიანს და თრდატს ესრეთ: რომელთა ქუეყანათა მდინარენი დიან სამხრეთით და მიერთვიან რაჴსსა, ესე ქუეყანანი თრდატის კერძოდ დაყარნა, და რომლისა ქუეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან და მიერთვიან მტკუარსა, ესე მირიანის კერძად დაყარნა"[17]. ამ ცნობაში მთავარი ის კი არ არის, მართლაც, უშუალოდ რომის იმპერატორმა გაარიგა ქართლ–სომხეთის საზღვარი თუ არა, არამედ ისტორიული კონტექსტის რეალურობა, რომლის გათვალისწინება სარწმუნოდ ხდის „ქართლის ცხოვრების" ამ ჩვენებას. და რომ ეს სინამდვილეს შეეფერება, ამაში გვარწმუნებს ქართულისაგან სრულიად დამოუკიდებელი წყარო, კერძოდ V ს–ის ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი, რომელიც იცნობს ჩვენთვის უკვე ცნობილი სომეხთა მეფის, თრდატის ერთ-ერთ მხედართმთავარს „მირიანს, ქართველთა წინამძღოლს და გუგარელთა პიტიახშს"[18]. ჩვენ უკვე ვიცით, რომ გუგარელთა ქვეყანა ანუ გოგარენე-გუგარქი იგივე ქვემო ქართლია, რომლის მმართველ ერისთავებსაც უფრო გვიან, მაგალითად, V ს-ში „პიტიახშები" ეწოდებოდათ (იხ. ქვემოთ). მოვსეს ხორენაციმ, მართალია, ტენდენციურად ეს ტიტული (ისევე, როგორც „ქართველთა წინამძღოლის" წოდება) ქართველთა მეფეს, მირიანს მიაწერა, მაგრამ აქედან ის კი უცილობლად მტკიცდება, რომ სომეხი ისტორიკოსის აზრითაც IV ს–ის პირველ მესამედში ქვემო ქართლის (გოგარენეს) ტერიტორია მთლიანად მირიანის სამფლობელოა და ე. ი. ქართლის ფარგლებში შემოდის[19]. რაც შეეხება მოვსეს ხორენაცის ტენდენციურობას და კერძოდ, იმას, რომ მისი წარმოდგენით „ქართველთა წინამძღოლი მირიანი" თრდატ სომეხთა მეფის ოთხ დიდ მხედართმთავართაგან ერთ-ერთია[20], ეს გაპირობებულია იმით, რომ ამ სომეხი ისტორიკოსის აზრით, გუგარქის ეპონიმი გუშარა სომეხთა მამამ-

თავრის ჰაიკის ჩამომავალია და ამდენადვე გოგარენე-გუგარქი სომხეთის კუთვნილი ტერიტორიაა[21].

მოვსეს ხორენაცის ტენდენციურობას მოწმობს სომეხივე ისტორიკოსი ე. წ. აგათანგელოსი, რომელიც IV ს-ის მოღვაწედ ითვლება, თუმცა კი მისი თხზულების გვიანდელი ვერსიებია მხოლოდ შემორჩენილი. ამ ისტორიკოსის თხზულების ერთ-ერთ ბერძნულ რედაქციაში, რომელიც შესაძლებელია VII-VIII საუკუნეებზე ძველი იყოს, არა ერთგან იხსენიება სომხეთის „მეფე ტირედატე... იბერიელ, ლაზ და ალბანელ მეფეებთან ერთად"[22]. მართალია, არც ეს ისტორიკოსია დაზღვეული ტენდენციურობისაგან, რამდენადაც აქაც თითქოს ჩანს გარკვეული დამოკიდებულება ზემოჩამოთვლილი მეფებისა თრდატისაგან. ასე მაგალითად, სხვა ადგილას ვკითხულობთ: „ხოლო ტირედატე მეფემ, როდესაც ის იყო ვალარშაბათთა ქვეყანაში, სამეფო ბრძანებებით, რომლებიც წერილობით იყო შედგენილი, მოუწოდა ყველას, ადგილთა მმართველებსა და სატრაპებს, ტომთა მთავრებსა და გვართა მთავრებს შეკრებილიყვნენ მეფესთან ვალარშაბათებში, და მისწერა (ლაზთა და) იბერთა და ალბანთა მეფეებს წერილები, რომლებშიც ატყობინებდა ყველაფერს რაც მოხდა, და (წერდა), რომ საჭირო იყო რაც შეიძლებოდა მალე, დიდის სისწრაფით, მოსულიყვნენ"[23]. რა თქმა უნდა, სრულიად გამორიცხულია ზემოჩამოთვლილ მეფეთა რაიმე დამოკიდებულებაზე საუბარი თრდატ სომეხთა მეფისაგან და, რაც მთავარია, წინააღმდეგ მოვსეს ხორენაცისა, რომელიც მირიანს „ქართველთა წინამძღოლს და გუგუარელთა პიტიახშს" უწოდებს, აგათანგელოსთან იგი იბერთა ანუ იგივე ქართველთა მეფეა.

მირიანი რომ ქართლის მეფე იყო, სრულიად დამოუკიდებელი სომეხთაგან, ეს აშკარაა მისი თანამედროვე ცნობილი რომაელი ისტორიკოსის, ამიანე მარცელინის ჩვენებიდან, რომლის მიხედვით, 361 წელს, იმის შიშით რომ სპარსეთის შაჰს არ დახმარებოდნენ რომაელებთან ომში, რომის კეისრის მიერ მდინარე „ტიგრს გადაღმელ მეფეებთან და სატრაპებთან უხვი საჩუქრებითურთ ელჩები იქნენ გაგზავნილნი... მაგრამ ყველაზე მეტად მოქრთამულ იქნენ არშაკი და მირიანი, არმენიის და იბერიის მეფეები ბრწყინვალედ შემკული სამოსით და მრავალნაირი საჩუქრებით, რადგან, თუ მაშინდელ სა-

ეჭვო ვითარებაში სპარსელებს მიუდგებოდნენ, ავნებდნენ რომის საქმეებს"[24]

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ქართლის მეფე მირიანი საკმაოდ ინტენსიურად იყო ჩართული იმდროინდელ საერთაშორისო ურთიერთობაში და მას ანგარიშს უწევდნენ როგორც რომის იმპერატორი, ასევე ირანის შაჰანშაჰი. ზემოთ უკვე იყო აღნიშნული თუ ნაწილობრივ რას ემყარებოდა ქართლის მეფის ასეთი მნიშვნელობა. ამიანე მარცელინის ცნობიდან ისიც კარგად ჩანს, რომ თვით ქართლის მეფის სამხედრო პოტენციალიც ფრიად ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა ორ დიდ იმპერიას შორის საომარი დაპირისპირების პირობებში. მირიან მეფის საგარეო დიპლომატიის ერთ–ერთი მთავარი ამოცანა სწორედ ასეთ რთულ პირობებში ლავირების შესაძლებლობა უნდა ყოფილიყო.

ბუნებრივია, ზემოთქმულის გარდა, მირიანის საგარეო პოლიტიკაში უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა კავკასიის მთიანეთთან და იმიერკავკასიასთან ურთიერთობას. იმ პერიოდში ჩრდილოელ მომთაბარე – ნომადთა ურდოები თვით ამიერკავკასიის ქვეყნებისთვისაც უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდნენ. „ქართლის ცხოვრებაში", ცხადია, ამ გარემოებამაც ჰპოვა ასახვა: მირიანმა „იწყო ბრძოლად ხაზართა, და მარადის ჰბრძოდის: ოდესმე გაადგიან მირიანს ლეკნი და მათ გამოიყვანიან რა ხაზარნი თანაშემწედ მათდა, მიეგების მათ წინა მირიან ჰერეთს ანუ მოვაკანს და მუნ ეწყჳს მათ; და ოდესმე დურძუკთა და დიდოთა მოირთნიან და გამოიყვანიან ხაზარნი, მაშინ ეწყჳს და ვეროდეს სძლეს ხაზართა, და ყოველადვე მირიან სძლის. და ესრეთ მრავალგზის გარდაიჴადა წყობა ხაზართა". მეორეგან აღნიშნულია, რომ „გარდამოვლეს ოვსთა... და განრყუნეს ქართლი. ხოლო მირიან გარესგარ გარდავიდა ოვსეთს, მოტყუენა ოვსეთი და მიუწია ხაზარეთამდი, და გარდამოვლო გზა დვალეთისა და მოვიდა შინა"[25]. ხაზართა ხსენება ამ დროს, როგორც უკვე აღნიშნულია, ანაქრონიზმია, თხრობა თავისთავად, ცხადია გაზვიადებულია, მაგრამ მთავარი ამ ცნობაში ის არის, რომ ხაზგასმულია მირიან მეფის საგარეო პოლიტიკის მეორე მთავარი ასპექტი – ურთიერთობა ჩრდილო კავკასიის მთიელებთან და ნომადებთან, რაც აგრეთვე სავსებით რეალურია ამ დროისათვის.

ამ მხრივ საინტერესო ცნობებია დაცული სომხურ წყაროებში, კერძოდ, იმავე მოვსეს ხორენაცისთან, რომელიც მოგვითხრობს, რომ „შეიტყვეს რა ხოსროვის (სომეხთა მეფის 330-338 წლებში, დ. მ.) სილაჩრისა და მცონარობის შესახებ, მის დროს გაერთიანდნენ ჩრდილო კავკასიელები და... სპარსთა მეფე შაპუჰის საიდუმლო ბრძანებით გამოილაშქრეს და დიდი, დაახლოებით ორი ბევრი (20000, დ. მ.) ლაშქრით მოაღწიეს ჩვენი ქვეყნის (სომხეთის, დ. მ.) შუაგულს. მათ წინ აღუდგა სომეხთა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჯარი... რაც შეეხება მირიანს, იგი (ბრძოლაში) დაეცა, ხოლო ჩვენი ჩრდილოეთის ჯარი დამარცხდა"[26]. როგორც ვხედავთ, სომეხი მემატიანე, რომელიც არ ღალატობს თავის მიერვე შეთხზულ კონცეფციას და მირიანი სომეხთა ჩრდილოეთის ლაშქრის მხედართმთავრად წარმოუდგენია, პირდაპირ მიუთითებს მის ბრძოლაზე ჩრდილო კავკასიელთა კოალიციასთან და ამით ადასტურებს ქართული წყაროს ჩვენებებს, თუმცა ამ უკანასკნელთა სანინააღმდეგოდ, თვლის, რომ თვით მირიანი ამ ბრძოლის დროს ვითომ დაღუპულა, რაც არ უნდა იყოს სწორი[27]

ფრიად მნიშვნელოვანი ჩვენებებია შემონახული ქართულ წყაროებში მირიანის შიდასახელმწიფოებრივი კულტურულ–პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ. ჯერ კიდევ თავისი ზეობის დასაწყისში, თანახმად მემატიანისა, რომელიც, როგორც ვიცით, მირიანს სპარსელ უფლისწულად თვლის, ამ უკანასკნელმა „შეიყუარნა ქართველნი და დაივიწყა ენა სპარსული და ისნავა ენა ქართული. და ჰმატა შემკობა კერპთა და ბომონთა, კეთილად იპყრნა ქურუმნი კერპთანი, და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა მას კერპთასა, და შეამკო საფლავი ფარნავაზისი. ხოლო ესე ყოველი ქართველთა სათნოებისათჳს ქმნა, და კეთილად იპყრნა ქართველნი ნიჭითა და ყოვლითა დიდებითა. და შეიყუარეს იგი ყოველთა ქართველთა უმეტეს ყოველთა მეფეთასა"[28]. მართალია, ლეონტი მროველს აქ, ფაქტობრივად, იმის ნიშანდობლივი ხაზგასმა სურს, თუ როგორ და რა საფუძველზე მოხდა „ირანელი უფლისწულის" კულტურულ-პოლიტიკური გაქართველება, მაგრამ არ არის გამორიცხული ეს თხრობა მირიანის მოღვაწეობის რეალურ-ისტორიულ ფაქტებზე იყოს დამყარებული. ამაზე სწორედ მირიანის შემდგომი დიდი

ეროვნულ-კულტურული და სახელმწიფოებრივი საქმიანობა უნდა მიგვანიშნებდეს. მოკლედ, მემატიანეს სურს ხაზი გაუსვას იმას, რომ უკვე თავისი მოღვაწეობის პირველ ნახევარშივე მირიან მეფე ზრუნავს ქართული ენის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზრდაზე, ქართული ეროვნული კულტურის განვითარებაზე, ქართული სახელმწიფოებრიობის (რომლის სიმბოლოც ფარნავაზის საფლავი იყო) შემდგომ განმტკიცებაზე.

აქ კიდევ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. ზემოხსენებულიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლეონტი მროველს, თუ მის წყაროს, მირიან მეფის ეპოქა, IV ს-ის პირველი ნახევარი, გარკვეულ მიჯნად მიაჩნდა ქართველი ხალხის ეთნიკური განვითარების თვალსაზრისით: სისხლისმიერ წარმომავლობას „ქართველობისათვის" ამ დროს უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა[29]. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ უკვე ჩვენთვის საინტერესო ეპოქისათვის წინა პერიოდის მრავალსაუკუნოვანი ეთნოპოლიტიკური და ეთნოკულტურული განვითარების შედეგად „ქართველი", რომელიც თავდაპირველად სადაურობის აღმნიშვნელი ცნება იყო და „ქართლოსიანი", რომელიც თავდაპირველად სისხლით მონათესავეობის აღმნიშვნელი ცნება იყო, ორივე ეს ცნება ერთიმეორეს გაუიდენტივდა ერთ კულტურულ ცნებაში - „ქართველი"[30]. რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო და რომ სწორედ მირიანის ეპოქა ამ დიდი ეთნოგენეტიკური პროცესის გარკვეული ტეხილს წარმოადგენდა, საამისო საფუძველს ჩვენ ქვემოთ ვნახავთ.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეპოქისათვის, რომელსაც ამჟამად ვიხილავთ, ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით მირიანის „ქართლი" ეს იყო პოლიტიკური ქართლი, ქართლის სახელმწიფო „ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა"[31]. ამ სახელმწიფოს მკვიდრი მოსახლე იყო „ქართველი" და თუმცა ლეონტი მროველი კარგად ამჩნევდა ასიმილაციის პროცესებს, დაკავშირებულს პოლიტიკურ მოვლენებთან (მირიან მეფის გაქართველება, მარგვის საერისთავოს წარმოქმნა ეგროსის ტერიტორიაზე ფარნავაზის დროს), უცხოთესლთა მკვიდრობას „ქართლში" („ჰურიანი ქართველნი"), კულტურული ასპექტის მნიშვნელობასაც (ენა ქართული, რელიგია ქართული), მაინც გამომდინარე მის მიერ შემოხაზული „ქართლიდან", „ქართლოსიანთა" წილხვედრი ქვეყნიდან ცნება

„ქართველი" ამ ეპოქისათვის ლეონტი მროველის თანახმად უპირატესად იყო ეთნიკურ-პოლიტიკური ცნება.

სწორედ მირიანის მეფობის პერიოდში მოხდა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი, რომელმაც მრავალი ასპექტით გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართველი ხალხის შემდგომი განვითარების ისტორიაში: ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება[32].

პოლიტიკური სიტუაცია მახლობელ აღმოსავლეთში საამიაოდ ხელსაყრელი იყო: 298 წელს დადებული ზავი რომსა და ირანს შორის 40 წლის განმავლობაში არ დარღვეულა, რაც ცხადია, სტაბილურ ვითარებას ქმნიდა რეგიონში; IV ს–ის 60–იან წლებამდე ქართლი, ფაქტობრივად, ირანის პოლიტიკური თვალსაწიერის მიღმა რჩებოდა; ხოლო რომმა, რომლის აღმოსავლეთისაკენ თანდათანობითი ექსპანსიის პროცესმა კულმინაციას III ს–ის ბოლოს მიაღწია, თავისი ეს უპირატესობა სწორედ IV ს–ის 60–იან წლებამდე შეინარჩუნა. ამავე პერიოდში, როგორც ვიცით, ქართლი რომის პროტექტორატის ქვეშ იყო, ხოლო მას შემდეგ, რაც 313 წლის მილანის ედიქტით ქრისტიანული თემების დევნა შეწყდა რომის იმპერიის ტერიტორიაზე, ქართლში მის ქადაგებას, თუკი საამისო შინაგანი პირობები არსებობდა, ხელს ვეღარაფერი შეუშლიდა. ხელსაყრელი პირობები კი ამისათვის ნამდვილად არსებობდა.

ჯერ ერთი, ეჭვი არ არის, რომ ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ კულტად გადაქცევამდე აქ უნდა არსებულიყო ნერილი ქრისტიანული თემები, უპირატესად ქალაქებში[33]. მართლაც, ამას თვალნათლივ ადასტურებს შიდა ქართლში ნაქალაქარ ნასტაკისის არქეოლოგიური შესწავლა. ელინისტური ხანის დასაწყისიდანვე არსებული ქალაქი განსაკუთრებულ აღმავლობას ახ. წ. IV–VI საუკუნეებში აღწევს და, როგორც გათხრებმა აჩვენა, ამ დროის ყოველ საცხოვრებელ კომპლექსში ჩართულია მცირე ზომის ეკლესია. ერთ–ერთ თხრილში აღმოჩნდა რიყის ქვების საძირკველზე ალიზით ნაგები ეკლესია, რომელიც დაფარული იყო სახურავის ჩაქცევის შედეგად წითლად შეღებილი გვიანანტიკური ხანის კრამიტის ნანგრევი ფენით. ეკლესია III ს–ით თარიღდება[34], და ამდენად ქართლში სახელმწიფო კულტად აღიარებამდე არსებულ ქრისტიანულ თემს მიეკუთვნება. ამ უკანასკნელის არსებო-

ბის დასტურად სხვა სათანადო არქეოლოგიური რეალიებიც გაგვაჩნია[35] ძველი ქართული წყაროების ცნობების ანალიზის შედეგად და აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ იმავე წყაროებში შემორჩენილია უძველესი, იუდაურ–ქრისტიანული ლიტურგიკის რეალიები, სავარაუდო ხდება, რომ ქართლში ქრისტიანობა ახ. წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდანვე იუდეველ–ქრისტიანთა მიერ უნდა იყოს გავრცელებული იერუსალიმ–პალესტინიდან[36].

ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდეც რომ საკმაოდ ფართოდ ყოფილა იგი ხალხში გავრცელებული, ამას მოწმობს VIII ს–ის დასასრულის ავტორი იოანე საბანისძეც, რომელიც აღნიშნავს, რომ ქართველები „ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარჱს-ღა შჯულდებულ ყოფილ (არიან) წმიდითა მადლითა ნათლის-ღებისაჲთა. მიერითგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტეანეთანი"[37]

ამგვარად, ქრისტიანობას ქართლში IV ს–მდე საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია ჰქონია და ამდენად მისი ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებისათვის ამ თვალსაზრისით, ცხადია, ქვეყნის ბარში და განსაკუთრებით კი ქალაქებში, საკმაოდ პოხიერი ნიადაგი არსებულა.

ქრისტიანობის ქართლში გავრცელებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურ ფაქტორსაც[38]. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ძვ. წ. I ს–ში რომაელთა ეფემერული ბატონობის დამყარების დროიდანვე თუ არა, ყოველ შემთხვევაში ახ. წ. I ს–ის პირველივე წლებიდან, როდესაც ქართლმა „რომის მეგობრის" პოლიტიკური სტატუსი მიიღო, სრულიად ცხადია, ქართლის მესვეურები დასავლურ კულტურულ და პოლიტიკურ ორიენტაციას დაადგნენ და ამიერიდან ეს პოლიტიკური კურსი გახდა განმსაზღვრელი ქართლის (და მთლიანად საქართველოს) მთელი შემდგომი ისტორიისათვის[39] ჩვენთვის საინტერესო ხანაშიც, IV ს–ის დასაწყისიდანვე, მაინცდამაინც, ამავე საუკუნის 60–იან წლებამდე ქართლში, როგორც ვიცით, რომის უშუალო პროტექტორატი დამყარდა და „იბერიის მეფეს რომაელებისაგან უნდა მიეღო თავისი მეფობის ნიშნები" არც ის უნდა ყოფილიყო, ცხადია, უმნიშვნელო, რომ მახლობელ აღმოსავლეთში იმ დროისათვის შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში ქართლის მესვეურთათვის უფრო ხელსაყრელი და მისაღები უნდა ყოფილიყო ნომინა-

ლური დამოკიდებულება შორეული რომისაგან, რომელიც თვით იყო დაინტერესებული აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ძლიერი მოკავშირე ჰყოლოდა (იხ. ზემოთ ამიანე მარცელინის ცნობა), ვიდრე მეზობელი ირანის ბატონობა[40], რისი გარკვეული გამოცდილებაც III ს–ის მეორე ნახევარში მათ უკვე ჰქონდათ და რომლის საშიშროებაც, როგორც ეს შემდგომმა უახლოესმა მოვლენებმა ცხადყვეს, სრულიად რეალური იყო.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზემოაღნიშნული პოლიტიკური ორიენტაცია და დამოკიდებულება რომთან ფართოდ უღებდა კარს კულტურულ ურთიერთობასაც დასავლურ სამყაროსთან, რისი უტყუარი მაჩვენებელიცაა ის ცხოველი კონტაქტები, რომელიც მჟღავნდება არქეოლოგიური მასალების მიხედვით. ცხადია, ქართლის სამეფო, რომელზედაც უძველესი დროიდანვე გადიოდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო–სატრანზიტო მაგისტრალი, არასოდეს ყოფილა მოწყვეტილი აღმოსავლური სამყაროსაგან, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ სწორედ ჩვ. წ. I–III საუკუნეებში განსაკუთრებით ინტენსიური ხდება დასავლური კულტურული იმპულსები, რაც კარგად ჩანს, როგორც რომაული ვერცხლის და ოქროს მონეტების მიმოქცევით იბერიის ბაზარზე, ასევე რომაულ–იტალიური მაღალმხატვრული ტორევტიკის, სირიული მინის ნაწარმის და მცირე აზიურ–ეგვიპტური გლიპტიკის და სხვა ბრწყინვალე ნიმუშების იმპორტით[41]. მატერიალური კულტურის ასეთი ინტენსიური დინება დასავლეთიდან უნდა გულისხმობდეს დასავლური სულიერი კულტურის საგანძურთან თანაზიარებასაც და არ არის გამორიცხული უკვე არსებულ უძველეს იუდაურ–ქრისტიანულ ფენასთან ერთად, მაინცდამაინც IV ს–ის დასაწყისიდანვე, ქართლში დასავლური, ბერძნულ–ქრისტიანული ძლიერი ნაკადის არსებობაც.

დასასრულ, უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა IV ს–ის ქართლის მოსახლეობის სოციალური განვითარების დონეს. ამ თვალსაზრისით ქართლის საზოგადოება საკმაოდ რთულ და დიფერენცირებულ ორგანიზმად წარმოგვიდგება (იხ. ქვემოთ), რომლის შიგნით სხვადასხვა ჯგუფებს შორის უკვე არსებობს მკვეთრი დაპირისპირება. მეფის ხელისუფლება, რომელიც ეყრდნობა მზარდ ფეოდალურ ძალას, აზნაურობას, რომელიც ამავე დროს ქვეყნის კონსოლიდაციისაკენ მიისწრაფვის და ამდენად მონოთეისტური რელიგიის მომხ-

რეა, მის მოკავშირე აზნაურობასთან ერთად უპირისპირდება პოლითეისტური წარმართული კულტის წარმომადგენლებს, ქურუმობას, რომელიც ამავე დროს უდიდესი მიწის ფონდის მფლობელიცაა. ქრისტიანული თემები, ქრისტიანული ეკლესია, რომელიც სწორედ მონოთეისტურ რელიგიას ქადაგებს, მეფისა და აზნაურების ბუნებრივი მოკავშირე ხდება, რისი საბოლოო შედეგიცაა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, რაც სოციალურ–პოლიტიკური თვალსაზრისით ნიშნავდა წარმართულ ტაძართა მოსპობას, მათი მიწებისა და ძალაუფლების გადანაწილებას მეფე–აზნაურთა და ეკლესიას შორის. ფაქტობრივად, ქრისტიანობა საქართველოს მოევლინა, როგორც მზარდი ფეოდალური ძალების, როგორც აზნაურთა რელიგია[42]. ამიტომაც იყო, რომ არც მეფე და არც აზნაურები დარჩნენ ვალში ეკლესიასთან, IV ს–დანვე ინტენსურად აშენებენ ეკლესიებს, უხვად უწყალობებენ მათ მიწის ნაკვეთებს და მთელ სოფლებს[43]. სადაც ფეოდალური ურთიერთობა ჯერ კიდევ არ არსებობს ანდა სუსტად არის განვითარებული, მაგალითად, საქართველოს მთიანეთში, სადაც მაშასადამე არც ის სოციალური ჯგუფი არსებობს – აზნაურობა, რომელსაც ქრისტიანობა დაეყრდნო, იქ მისი გავრცელება იძულებით ხდებოდა[44], რის მაგალითებსაც ქვემოთ ვნახავთ.

ამგვარად, ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას კულტურულ–პოლიტიკური და სოციალურ–ეკონომიკური პირობების მთელი კომპლექსი ედო საფუძვლად. ეს მოვლენა ქართლის მაღალი კულტურული დონისა და სახელმწიფოებრივი სიძლიერის მაჩვენებელიცაა, რასაც ადასტურებს ის უაღრესად დიდი მნიშვნელობის ფაქტი, რომ აღმოსავლეთი რომის იმპერიიდან ჩვენში შემოსული ეს რელიგია ბერძნულენოვანი კი არ დარჩა, არამედ ძალიან მალე (მაინცდამაინც V ს–თვის) ქართულენოვანი შეიქმნა[25], რამაც თავისთავად განაპირობა ქართული ასომთავრული ანბანის წარმოქმნა და ამის შედეგად არა მხოლოდ ქართულენოვანი ქრისტოლოგიური ლიტერატურის თარგმნას, არამედ ეროვნული მწერლობის მძლავრ აღმავლობასაც მყარი საფუძველი ჩაუყარა (იხ. ქვემოთ). ამას კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის შემდგომი ეთნიკური განვითარებისთვისაც, რამდენადაც იმ უცხოურ, არა-

ქართულ გარემოში, სადაც სხვადასხვა გარემოებათა გამო, ქართლიდან ქრისტიანობა შედიოდა, მას თან სდევდა ქართული ენის, დამწერლობის და საერთოდ ქართული კულტურის ინტენსიური გავრცელება, რასაც საბოლოო ჯამში აბორიგენთა ასიმილაცია, გაქართველება მოჰყვებოდა (იხ. ქვემოთ).

ქართული ეროვნული გადმოცემით ქართლში ქრისტიანობა კაპადოკიელმა ქალწულმა, წმ. ნინომ იქადაგა, რომელიც იერუსალიმიდან მოვიდა ჩვენში, დამკვიდრდა მცხეთას, სადაც იგი დაუახლოვდა მცხეთელ ებრაელებს და ჯერ მალულად, ხოლო შემდეგ განცხადებულად დაიწყო ქრისტეს რჯულის ქადაგება. იგი სასწაულმოქმედების ნიჭით იყო ღმერთისაგან მომადლებული და ამიტომ ბევრი უიმედოდ სნეული განკურნა, ბევრ უშვილოს შვილები შესძინა და სხვ. თანდათან განითქვა მისი სახელი და ქრისტიანთა მრევლიც იზრდებოდა. ნინომ მძიმე სენისაგან განკურნა ქართლის დედოფალი, მირიანის მეუღლე, ნანაც, რომელმაც ამიერიდან ირწმუნა ნინოს ღმერთი. თვით მეფე დიდხანს ურწმუნო რჩებოდა, ვიდრე თხოთის მთაზე ნადირობისას მზე არ დაბნელდა და უკუნ სიბნელეში მხლებლებშემოცლილს და შეშინებულს გზა არ აებნა. ქართლის კერპებისაგან იმედგაცრუებულმა მაშინღა მოუწოდა მირიან მეფემ ნინოს ღმერთს, ხსნის ფასად აღიარება აღუთქვა. მართლაც, უმალ განათდა, მეფე უვნებლად დაბრუნდა დედაქალაქში და ირწმუნა ქრისტე. ამის შემდეგ მირიან მეფემ ნარავლინა მოციქულები საბერძნეთს კონსტანტინე კეისართან, რომ მას გამოეგზავნა ქართლში მღვდელ–მოძღვარნი, ხოლო ნინოს რჩევით დაიწყო ხის ეკლესიის მშენებლობა სამეფო ბაღში – „სამოთხესა მას სამეუფოსა". მშენებლობის დროს ვერაფრით ვერ აღმართეს ცენტრალური სვეტი, ნაძვის ხისაგან შემზადებული. ხოლო ნინოს ლოცვით მოვლენილმა ანგელოზმა, რომელიც იყო „ნათლითა შემოსილი და მოებლარდნა ცეცხლის სახედ ზენარი" ასწია სვეტი და „წარიღო სიმაღლესა ცათასა". გარიჟრაჟზე მშენებლობის სანახავად მოსულმა მეფემ და ხალხმა იხილეს სასწაული, თუ როგორ ჩამოეშვა ნელ–ნელა „სვეტი იგი ცეცხლის სახედ" და „დაემყარა ჴელთ შეუხებლად კაცთაგან" თავის საძირკველზე. ამიტომ ეწოდა ამ პირველ ეკლესიას ქართლში „სვეტიცხოველი" ამის შემდეგ მობრუნდნენ საბერძნეთიდან მოციქულები, რომელთაც მოიყვანეს კეისრისაგან გამოგზავნილი მღვდელ–

მოძღვარნი, „და ვითარცა მოვიდეს, ნათელი მიიღო მირეან მეფემან და დედოფალმან და ყოველმან სახლმან მათმან". ასე გამოცხადდა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად „და წარემართა მეფჱ და ყოველი ქართლი ქრისტეანობასა მოწრაფებითა დიდითა"

ასეთია სულ მოკლედ ქართლის „მოქცევის" ეროვნული ტრადიცია დაცული ქართულ წყაროებში. სასნაულმოქმედების ლეგენდარულ მინარევებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, უნდა ვირწმუნოთ, რომ მონათხრობი, ძირითად ხაზებში, რეალურია. საქმე ის არის, რომ მსგავსი გადმოცემა შემონახული აქვს V ს–ის სომეხ ისტორიკოსს, მოვსეს ხორენაცის, რომელიც „მოციქულ ქალს" ნუნეს უწოდებს[46]. კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ეს სიუჟეტი დაცული აქვთ IV–V საუკუნეების ბერძენ და ლათინ ისტორიკოსებს, რომელთაც, მართალია, არ იციან ნინოს სახელი, მაგრამ, შეიძლება ითქვას, დეტალებში იმეორებენ ქართულ გადმოცემას (სნეული ნანა დედოფლის განკურნება, მეფის ნადირობა და მზის დაბნელება, რაც მოვსეს ხორენაცისთანაც გვაქვს; სვეტიცხოვლის სასნაულებრივი დადგმა, ელჩების გაგზავნა კონსტანტინე კეისართან და სხვ.).

უძველესი ცნობა ამის შესახებ მოეპოვება IV ს–ის ეპისკოპოსს გელასი კესარიელს თავის „საეკლესიო ისტორიაში", რომლის ტექსტი შემოგვინახა V ს–ის ისტორიკოსმა გელასი კვიზიკელმა: „ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს (ზღვის, დ. მ.) გასწვრივ მდებარე მინა–წყალზე მცხოვრებმა იბერებმა... ეს ჩვენ გვიამბო ფრიად სარწმუნო ბაკურიმ, კაცმა ფრიად ღვთის–მოშიშმა, მეფის შთამომავალმა და იბერთა შორის საბელოვანმა, რომელიც გახდა რომაელთა სატრაპი და აწარმოვა ომი ბარბაროზ სარკინოზთა წინააღმდეგ პალესტინის მწვერვალებზე და მათზე ბრწყინვალედ გაიმარჯვა"[47]. გელასი პალესტინის ქალაქ კესარიის ეპისკოპოსი იყო IV ს–ის 80–90–იან წლებში, გარდაიცვალა 395 წ.[48] მაშასადამე, ქართლის მეფეთა შთამომავალ ბაკურს გელასისათვის ეს ამბავი ამ წლამდე უნდა მოეთხრო.

გელასი კესარიელის თხზულება ლათინურად უთარგმნია და თავის „საეკლესიო ისტორიაში" შეუტანია რუფინუსს, რომელიც 378–397 წლებში იერუსალიმში ცხოვრობდა, შემდეგ თავის სამშობლოში, იტალიაში დაბრუნებულა და 402 წ–

დან თავისი თხზულების წერას შედგომია. იგი გარდაიცვალა 410 წ.[49]

რუფინუსი გადმოგვცემს იგივეს, რაც ჩვენ უკვე გელასი კესარიელისაგან ვიცოდით და ბოლოს დასძენს: „რომ ეს ყველაფერი ასე მოხდა, ჩვენ გვიამბო ფრიად სარწმუნო კაცმა, ბაკურიმ, თვით ამ ხალხის მეფემ, რომელიც ჩვენში იყო დომესტიკოსთა კომსი, როდესაც ჩვენთან ერთად ცხოვრობდა სრულის ერთსულოვნებით იერუსალიმში; მაშინ ის იყო პალესტინის საზღვრების სარდალი"[50].

თუკი რუფინუსის მიერ გელასი კესარიელის ერთ-ერთ წყაროდ გამოყენება ეჭვს არ ინვევს და, კერძოდ, ქართლის „მოქცევის" სიუჟეტი გადმოცემული ორივე ისტორიკოსის მიერ ძლიერ წააგავს ერთმანეთს, რუფინუსის ზემომოტანილი ბოლო ფრაზა მაინც აშკარად განსხვავდება გელასი კესარიელის შესატყვისი ადგილისაგან. გარდა იმისა, რომ ბაკური აქ ქართველთა მეფედ (და არა „მეფის შთამომავლად") იხსენიება, კონტექსტი ისეთია („გვიამბო... როდესაც ჩვენთან ერთად ცხოვრობდა სრულის ერთსულოვნებით იერუსალიმში"), რომ შეიძლება ვიფიქროთ, ბაკურმა პირადად რუფინუსს უამბო ეს ისტორია[51].

ბაკურ იბერიელი ცნობილი პიროვნება იყო რომაულ სამყაროში IV ს-ის ბოლო მეოთხედში. იგი 378 წელს გუთებთან გამართულ ცნობილ ადრიანოპოლის ბრძოლაში იღებს მონაწილეობას, როგორც მშვილდოსნების და ფაროსნების სარდალი. მასთან ახლო ურთიერთობა აქვს მთელს აღმოსავლეთში განთქმულ რიტორს[52], ლიბანიოსს, რომელიც მას ბრძენს და სახელოვან სარდალს უწოდებს[53], „რომელიც სხეულითაც ბრწყინავს და სულიც მას ასეთივე აქვს"[54]. 392 წელს იგი უკვე ანტიოქიაშია, როგორც „პალესტინის საზღვრების სარდალი". 394 წელს კი მან მდ. ფრიგიდუსთან (იტალიაში) ტირან ევგენიუსის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში თავი ისახელა[55]. უნდა ვიფიქროთ, 392-394 წლებში ბაკურმა ქართლის „მოქცევის" ამბავი უამბო გელასი კესარიელსაც და რუფინუსსაც, იერუსალიმში ყოფნისას.

თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ბაკურმა გელასის და რუფინუსს ცალ-ცალკე უამბო ქართლის „მოქცევის" ამბავი, მაშინ ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ბაკურს ლიტერატურული წყა-

როდან ჰქონდა ამოღებული ცნობები – იმდენად ერთნაირია მონათხრობის შინაარსი და გადმოცემულ მოვლენათა რიგი.

მართლაც, სავარაუდოა, ქართლის „მოქცევის" ზემოხსენებული ბერძნულ–ლათინური ვერსიის წყარო ყოფილიყო ქართლში შექმნილი წმ. ნინოს „ცხოვრების" წერილობითი ძეგლი, რომელიც ამდენად, უკვე უნდა არსებულიყო მაინცდამაინც 378–394 წლებში, როდესაც ბაკური რომაელთა სამსახურში იმყოფებოდა და სავსებით დასაშვებია, ასეთი „ნინოს ცხოვრება" უკვე IV ს–ის შუახანებში შექმნილიყო[56]. თუ ეს ასეა, მაშინ საფიქრებელია, იგი, მართლაც, მცხეთის იუდეველ–ქრისტიანთა წრეში ყოფილიყო ჩაწერილი, რომელთანაც იერუსალიმიდან მოსულ ნინოს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა. ძველქართული წყაროს „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ე. წ. „სინტაქსური სირიიზმებიც" იმას მიუთითებს, რომ თავდაპირველად იგი, შესაძლებელია, ე. წ. პალესტინურ–სირიულ, არამეულ დიალექტზე შეიქმნა და მოგვიანებით, V ს–ის ბოლოსთვის, ქართულად ითარგმნა[57]

რაც შეეხება იმას, თუ როდის უნდა მომხდარიყო ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარება, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დრომდე ჩვენს ისტორიოგრაფიაში ყველაზე უფრო გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ამ მნიშვნელოვან მოვლენას ადგილი უნდა ჰქონოდა 337 წლის ახლო ხანებში, კონსტანტინე კეისრის ზეობის ბოლოსთვის[58], თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემა მაინც სადისკუსიო რჩებოდა[59].

უეჭველია, რომ ქართლის „მოქცევა" კონსტანტინე დიდის კეისრობის დროს მოხდა ანუ 306–337 წლებში, რასაც ერთხმად მოწმობენ ქართული და ბერძნულ–ლათინური წყაროები[60] მაგრამ ამას ადგილი არ ექნებოდა არამცთუ 313 წლამდე, როდესაც გამოიცა ცნობილი მილანის ედიქტი, რომლითაც ქრისტიანობა ძველ კულტთან ერთად სახელმწიფოებრივ რელიგიად იქნა გამოცხადებული[61], არამედ 324 წლის 18 სექტემბრამდეც, როდესაც ლიციინიუსის დამარცხების შემდეგ, მანამდე დასავლეთის მფლობელმა იმპერატორმა კონსტანტინემ შეიერთა აღმოსავლეთიც და აქაც თავისი თვითმპყრობელობა დაამყარა[62]. ამგვარად, ფაქტობრივად, 325 წ. არის Terminus ante quem non.

მეორე მხრივ, ვიცით, რომ მირიან მეფე არა მხოლოდ კონსტანტინეს, არამედ თრდატ სომეხთა მეფის თანამედროვეცაა და აგათანგელოსის მოწმობით ქართველთა გაქრისტიანება სწორედ თრდატის სომხეთში მეფობის დროს მოხდა[63]. ამასვე მოწმობს მოვსეს ხორენაციც[64]. თრდატი კი, ცნობილია, 330 წელს მოკლეს[65]. ამგვარად, 330 წელი, ფაქტობრივად, არის Terminus post quem non[66].

ქართლის „მოქცევის" თარიღის შემდგომი დაზუსტება შესაძლებელი ხდება ძველქართულ წყაროებში დაცული სათანადო ცნობების შეთანაპირებით უძველესი (იერუსალიმური) ლიტურგიული პრაქტიკის ტრადიციასთან. საამისოდ ჩატარებული კვლევა–ძიების ჩვენთვის საინტერესო შედეგები მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ[67]: „მოქცევაჲ ქართლისაჲში" და „ქართლის ცხოვრებაში" აღნიშნულია, რომ მას შემდეგ, რაც ქართლის სამეფო კარმა ნათელიღო, ნინოს და საბერძნეთიდან მოსული ეპისკოპოსის მითითებით აუცილებელი იყო ახალი რელიგიის სიმბოლოს – ჯვრის აღმართვა. ამისთვის 25 მარტს, პარასკევს, მოჰკვეთეს სასწაულმოქმედი ხე, ხოლო ოცდაჩვიდმეტი დღის შემდეგ, 1 მაისს მისგან შექმნეა სამი ჯვარი, რომელთაგან ერთი აღმართეს არაგვის გაღმა კლდოვან ბორცვზე (სადაც დღესაც დგას „ჯვრის ეკლესია") და „დააწესეს დღესასწაული ძლევით შემოსილისა ჯუარისაჲ აღვსებისა ზატიკის–ზატიკსა (ანუ აღდგომიდან მესამე) დღესა კჳრიაკესა, ყოველმან ქართლმან, ვიდრე დღენდელად დღედმდჱ და ვიდრე უკუნისამდე"[68].

ცნობილი საეკლესიო მოღვაწის იოანე–ზოსიმეს კალენდრის მიხედვითაც აღდგომის მესამე კვირას მცხეთის ჯვრის დღესასწაული ყოფილა დაწესებული: „კჳრიაკესა მესამესა ზატიკთა (ანუ აღდგომისა, დღესასწაული) მცხეთისა ჯუარისაჲ"[69]

გაირკვა, რომ IV ს–ში პარასკევი 25 მარტს და აღდგომის მესამე კვირა 1 მაისს მხოლოდ 326, 337 და 348 წლებში დაემთხვა (ამ წლებში აღდგომა 17 აპრილს მოდიოდა). ასეთი დამთხვევა არ შეიძლება შემთხვევითი იყოს და ქართული წყაროების სათანადო ცნობათა რეალურ–ისტორიულობაზე უნდა მიუთითებდეს.

ზემოთქმულის შედეგად ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება IV ს–ში უნდა მომხდარიყო:

ან 326, ან 337, ან 348 წლებში. რამდენადაც ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამ ფაქტს ადგილი უნდა ჰქონოდა 325–330 წლებს შორის, ამდენად ცხადი უნდა იყოს, რომ საძიებელი თარიღია 326 წელი[70]

ამგვარად, ქრისტიანული აღსარების ოფიციალურ კულტად გამოცხადების თარიღად ქართლში 326 წლის დასაწყისი უნდა მივიღოთ[71].

ქართული და უცხოური წყაროები ორ სხვადასხვა ვერსიას გვანვდიან თავდაპირველი ქართული ეკლესიის იერარქიული დაქვემდებარების შესახებ. VII–XVIII სს–ის სირიული და XI–XII სს–ის ქართული წყაროები (ეფრემ მცირე, არსენი ბერი, ნიკოლოზ გულაბერის ძე) თავდაპირველ ქართულ ეკლესიას ანტიოქიის პატრიარქის ხელდებულად თვლიან, ხოლო IV–V სს–ის ბერძნული, ლათინური და VII–XI სს–ის ქართული წყაროები („მოქცევაჲ ქართლისაჲ", ლეონტი მროველი) – კონსტანტინოპოლისას[72] ეს უკანასკნელი გამოსარიცხია, რადგან ცნობილია, რომ IV ს–ში კონსტანტინოპოლი ჯერ კიდევ შედარებით უმნიშვნელო ქალაქი იყო და მისი ეპისკოპოსის იურისდიქცია მცირე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა.

საქმე ის არის, რომ IV ს–ში რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი ორ პრეფექტურად (აღმოსავლეთის და ილირიკუმის) იყოფოდა. აღმოსავლეთის პრეფექტურა თავის მხრივ ხუთ დიოცეზად ნაწილდებოდა (აღმოსავლეთი, ეგვიპტე, აზია, პონტო და თრაკია), რომლებიც პროვინციებისაგან შედგებოდნენ[73] ამ ადმინისტრაციული დანაწილების შესატყვისი იყო საეკლესიო სტრუქტურაც და დიოცეზებში მთავარეპისკოპოსები (შემდეგში: პატრიარქები) განაგებდნენ სასულიერო საქმეებს. ასეთი მთავარეპისკოპოსები იყვნენ: აღმოსავლეთის დიოცეზში – ანტიოქიელი; ეგვიპტეში – ალექსანდრიელი; აზიაში – ეფესელი; პონტოში – კესარიელი და თრაკიაში – კონსტანტინოპოლელი. მათი იურისდიქცია საკუთარ დიოცეზებს არ გადასცდებოდა და ამდენად კონსტანტინოპოლისაგან ქართლის ეკლესიის დამოკიდებულებაც სრულიად გამორიცხულია[74].

რაც შეეხება ანტიოქიას, აქ რამდენადმე სხვაგვარი ვითარება ჩანს. რომის იმპერიის აღმოსავლეთის პრეფექტურის უზენაესი სამოქალაქო მმართველი – პრეტორიუმის პრეფექტი ანტიოქიაში იჯდა და პირველ ხანებში მთელს „აღმოსავ-

ლეთს“ აქედან მართავდა. ბუნებრივია, თუ შესაბამისად ანტიოქიის სასულიერო მოძღვარიც მთელი აღმოსავლეთის ეკლესიებში უპირველესად ითვლებოდა[75] და IV ს–ის პირველ ნახევარში მაინც მისი იურისდიქცია არა მხოლოდ მცირე აზიის, არამედ სომხეთის, საქართველოსა და სპარსეთის ეკლესიებზეც კი ვრცელდებოდა[76]. ამიტომ სწორი უნდა იყოს იოანე ანტიოქიელი პატრიარქი (†648 წ.) მარუფა ტაგრიტელისადმი მიწერილ წერილში რომ აღნიშნავს: „რამეთუ უწინ სპარსეთის კათალიკოსის (საყდარი) და არმენიის, გურზანის (ქართლის) და არანის კათალიკოსის საყდარი ანტიოქიის საყდარს ემორჩილებოდა ბაბაᲘ კათალიკოსის მოკვლამდე“, ანუ 484 წ–მდე[77] ეს უნდა რეალურ სიტუაციას ასახავდეს ისევე, როგორც ეფრემ მცირის ცნობაც, რომელიც მას ძველ წყაროში ამოუკითხავს, „ვითარმედ თჳთ ევსტათი იყო ანტიოქელ პატრიაქი, რომელმან დაამყარა ეკლესიაᲘ იგი მირიანის მიერ მცხეთას აღშენებული და უკურთხა მათ კათოლიკოსი მთავარეპისკოპოსი“[78] ევსტათის ანტიოქიის კათედრა 324–330 წლებში ეჭირა[79] და, მართალია, თვით იგი, როგორც ჩანს, ქართლში არა ყოფილა[80], მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას არ შეეძლო პირველი ქართველი ეპისკოპოსის ხელდასხმა. ამაზე მიგვითითებს ისტორიკოსი ჯუანშერი: „პირველად, დასაბამსა ქართლის მოქცევისასა დედაკაცისა ჰრომაელისა ნინოს მიერ, განივლინა აქათ ეპისკოპოსი, რამეთუ შორის სპარსთა და ბერძენთა შფოთი იყო, და მით ვერ მოაწიეს საქმე ესე ჯერისაებრ სჯულისა: რამეთუ ჩუენ უწყით, ვითარმედ ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მაგის (ანტიოქიის, დ. მ.) საყდრისანი არიან, ვითარცა განაწესეს მოციქულთა სახარებასა შინა, რომელ არს უწინარესობა“[81]. მართალია, ჯუანშერი იზიარებდა იმ მცდარ კონცეფციას, რომლის მიხედვით ქართლის ეკლესიის დაფუძნება თითქოს კონსტანტინოპოლიდან მოხდა, მაგრამ იცის რა ანტიოქიის უპირატესობა „აღმოსავლეთსა“ და „ჩრდილოეთში“, თავისებურად ხსნის თუ რატომ მოხდა გადახვევა „უწინარესობის წესისაგან“. ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ ფაქტი ევსტათი ანტიოქიელის ქართლში მოუსვლელობისა ვერ გამორიცხავს მის მიერ ეპისკოპოსის ხელდასხმას. ამგვარად, ქართული სამღვდელოების წარმომადგენელნი თვით უნდა ხლებოდნენ ანტიოქიის პატრიარქს, მით უმეტეს, რომ IV ს–ის პირველ მესამედში არავითარი „შფოთი შო-

რის სპარსთა და ბერძენთა" არ ყოფილა. თვით დამთხვევა ევსტათის ანტიოქიაში ეპისკოპოსობის პერიოდისა ქართლის „მოქცევის" ზემოთ მიღებულ თარიღთან იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მის მიერ ახლად დაფუძნებული ეკლესიის ეპისკოპოსის ხელდასხმა რეალური უნდა იყოს[82].

საქმე ის არის, რომ 325 წლის მეორე ნახევარში ბითვინიის ქალაქ ნიკეაში მიმდინარეობდა ცნობილი საეკლესიო პირველი მსოფლიო კრება, რომელსაც თვით იმპერატორი კონსტანტინე ხელმძღვანელობდა. ამ კრების 318 ეპისკოპოსთაგან ევსტათი ანტიოქიელი ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო, რომელიც იბრძოდა არიანული მწვალებლობის წინააღმდეგ. ამიტომ როდესაც წმ. ნინომ „არწმუნა მირიან მეფესა სასნაულითა ქრისტესმიერითა და (ამ უკანასკნელმაც) მსწრაფლ აღაშენა ეკლესიაჲ ქუჱმოჲ სამოთხესა შინა, ძელისაჲ, და სუეტი იგი პატიოსანი, რომელი თჳთ აღემართა. და აღაშენეს ეკლესიაჲ და წარავლინნა მეფემან (მირიანმა) მოციქულნი და წიგნი ნინოჲსი საბერძნეთად, მეფისა კონსტანტინესსა, თხოვად მღდელთა. ხოლო მოციქულნი იგი მსწრაფლ მიიწივნეს წინაშე მეფისა" (კონსტანტინესსა)[83], ლოგიკურია ვიფიქროთ (რამდენადაც თვით ამ ცნობის რეალურობაზე ეჭვის მიტანა არ შეიძლება)[84]: ქართველი მოციქულები, მართლაც, „საბერძნეთს" წასულან და იქ გამოცხადებიან კონსტანტინე კეისარსაც და ევსტათი ანტიოქიელსაც, რომელიც, არ არის გამორიცხული, ჯერ კიდევ იმპერატორის კარზე ყოფილიყო. ხელდასხმის ცერემონიალიც სწორედ აქ უნდა შემდგარიყო[85]. ასეთ ვითარებაში არავითარი წინააღმდეგობა ქართულ-ბიზანტიურ და ანტიოქიურ წყაროთა ჩვენებებს შორის აღარ არსებობს![86]

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-პოლიტიკურ ასპექტებზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ეს კარგად ესმოდათ, ცხადია, თანამედროვეებსაც და თვით მოქმედ პირებსაც. ასე მაგალითად, უკვე იყო სხვა გარემოებასთან დაკავშირებით აღნიშნული, რომ V ს-ის ბერძნული წყაროების მიხედვით, კონსტანტინე მეფესთან მისულ ქართველ ელჩებს, რელიგიური საკითხების მოგვარებასთან ერთად, მისთვის სამხედრო კავშირი და ურთიერთმშვიდობა შეუთავაზებიათ[87] რომაელებისათვის ეს არ იყო, ცხადია, უმნიშვნელო მოვლენა, რადგან მათ კარგად

იცოდნენ, რომ იბერები „ეს არის ბარბაროსული ტომი, დიდი და უმამაცესი, რომელიც ცხოვრობს არმენიელთა შიდა (ქვეყნის) ჩრდილოეთით“[88] და ფლობს იმიერკავკასიიდან გადმომავალ გზებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ კონსტანტინე კეისარმა ელჩებს საპასუხო წერილი გამოატანა მირიანთან, რომელშიც ეს უკანასკნელი „სასუფეველისა თანაზიარად და ძმად მისსა სახელ-სდვა“[89] ამ მოვლენის პოლიტიკური ასპექტი, ცხადია, კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ქართველებსაც, რასაც მოწმობს, ჯერ ერთი, თვით ზემოხსენებული ტექსტი მემატიანისა. გარდა ამისა, XII ს-შიც ნიკოლაოზ კათალიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონსტანტინე კეისრის სამეფო კარის სიხარული გამოწვეული იყო „ამისათჳს, რამეთუ განეშორებოდა მირიან მეფე შეერთებისაგან და თანაშეწევნისა უსჯულოთა სპარსთაჲსა და განმტკიცდებოდა სჯული ქართველთა და ბერძენთა ერთბაშად, ხოლო ერთობაჲ იქმნებოდა ქრისტეს მიერ ჭეშმარიტი“ სრულიად სამართლიანი და ღრმააზროვანი განმარტებაა![90]

ამგვარად, ფაქტობრივად, ქართლის „მოქცევა“ იმ კულტურულ–პოლიტიკური ორიენტაციის კიდევ ერთი დადასტურება იყო, რომელსაც ქვეყანა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაინცდამაინც I ს–ის დასაწყისიდანვე შეცნობილად დაადგა. მაგრამ მირიანისათვის ქრისტიანობას არანაკლებ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შიდაპოლიტიკური მიზნებისათვის, კერძოდ, ქვეყნის კიდევ უფრო შემტკიცებისა და კონსოლიდაციისათვის. ამ თვალსაზრისით ფრიად სერიოზულ პოლიტიკურ პრობლემას ქმნიდა მთიანეთი.

საერთოდ ურთიერთობა „მთასთან“ ამიერკავკასიური სახელმწიფოებისათვის, კერძოდ, ქართლის სამეფოსათვის იმთავითვე ნარმოადგენდა შიდაკავკასიური პოლიტიკის ერთ–ერთ უმთავრეს მიმართულებას[91]. ამ საკითხს ქვემოთ საგანგებოდ შეეხებით. აქ კი აღვნიშნავთ, რომ ძველქართულ ნყაროებში „მთა“ და „ბარი“ ქართლის სახელმწიფოს ტერიტორიის რელიეფის მორფოლოგიურ მახასიათებლებს კი არ გულისხმობს მხოლოდ, არამედ, როგორც ჩანს, განსხვავებულ გეობოტანიკურ და სასოფლო–სამეურნეო ზონებს, რომელთა მოსახლეობის ძირითადი სამეურნეო საქმიანობაც და აქედან გამომდინარე სოციალურ–კულტურული დონეც სხვადასხვაა. მთაში, არსებითად, მესაქონლენი ბინადრობენ, ბარში კი – მი-

ნათმოქმედნი. მთა, როგორც წესი, ეკონომიკის თვალსაზრისით დამოკიდებულია ბარზე, რაც საფუძველია ბარის პოლიტიკური გავლენის გავრცელებისა მთაზე. ეს არის მეტად ხანგრძლივი ათასწლოვანი ურთიერთობის პროცესი, რომელიც ჩვეულებრივ, იწვევს მთისა და ბარის „ქვეყანათა" დაახლოებას და, ხშირ შემთხვევაში, ერთ ეთნო–პოლიტიკურ კომპლექსად შერწყმას. ქართლის სამეფო რომ სწორედ „მთისა" და „ბარის" კომპლექსს წარმოადგენდა ამას ნათელყოფენ სწორედ ძველქართული წყაროები და ეს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული უძველეს ხანაშივე. ასე მაგალითად, „ნინოს ცხოვრების" ჭელიშურ რედაქციაში შემონახულია „წერილის" ტექსტი, რომელიც ვითომ წმ. ნინოს მოეწეროს ბოდბედან მეფე მირიანისთვის მცხეთაში: „აჰა ესერა მე მოვლე სანახებნი ქართლისაჲ, ზოგადი ადგილი მთათა და ბართა"; ანდა მეორე ადგილი იგივე „წერილიდან", სადაც წმ. ნინო ქართლს უწოდებს „ქუეყანას ამას, ნაპრალსა ერთსა ჩრდილოჲსასა, რომლისა მთანი დაეფარნეს ნისლსა ცოდვისასა და ველნი – ალმურს ცთომისასა"[92]. გარდა იმისა, რომ აქ სავსებით ზუსტი ფიზიკურ–გეოგრაფიული დახასიათება გვაქვს, ვფიქრობთ, „მთა" და „ბარი" სწორედ ზემოხსენებული სოციალურ–ეკონომიკური შინაარსითაა ნახმარი.

მირიან მეფის შინაპოლიტიკის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავი სწორედ მთასთან ურთიერთობა იყო. ამას ადასტურებენ ძველქართული წყაროები. არსებობს, ჯერ ერთი, სრულიად უთუმცაო ჩვენება შიდა ქართლისა და ჯავახეთის ეკონომიკური ურთიერთობისა, დამოწმებული სწორედ IV საუკუნისთვის. მხედველობაში გვაქვს „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობილი ადგილი წმ. ნინოს შეხვედრისა „მთათა ზედა ჯავახეთისათა... ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა ერქუა ფარავნა", მწყემსებთან, რომელთაც აქ მოერეკათ საქონელი „ზოგნი დაბით და საფურცლით და ზოგნი ქინჯარელნი და რაბადელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი"[93]. რამდენადაც საფურცლეც და ქინძარაც სამუხრანოს სოფლებია, ამდენადვე უეჭველია, რომ შიდა ქართლისა და საკუთრივ მცხეთის საქონელი უძველესი დროიდანვე ჯავახეთის საძოვრებით სარგებლობდა. საფიქრებელია, ეს ფაქტი IV ს–ზე გაცილებით ძველი ამბავი იყოს.

საინტერესო ის არის, რომ „ქუეყანა მუხნარისა“ – მცხეთის ეკონომიკური რაიონი – „სასეფო ქუეყანა“ ანუ მეფის დომენია და ამიტომ მცხეთისა და „მუხრანის ქვეყნის“ საქონლის ანუ, ფაქტობრივად, სამეფო საქონლის ჯავახეთის იალაღებზე ბალახობა, ამ იალაღების სამეფო საკუთრებაზე უნდა მიუთითებდეს. ასე რომ, შიდა ქართლი და ჯავახეთი, მაინცდამაინც IV ს–ში ერთ „ქუეყანად“, კერძოდ, მეფის დომენად წარმოგვიდგება[94]. ცხადია, ეს სწორედ ქართლის მეფის ზემოხსენებული, მთის ეკონომიკური ათვისებისა და ბართან შერწყმის წარმატებით განხორციელებული პოლიტიკის შედეგია.

სხვაგვარი ვითარებაა კავკასიის მთიანეთში.

“მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანეში შეტანილია ე. წ. „ანდერძი მეფისაჲ ძისა თჳსისა მიმართ რევისა და ცოლისა თჳსისა ნანაჲსა“, რომელშიც მირიანი ასეთი სიტყვებით მიმართავს თავის შვილს (შატბერდული რედაქციით – ცოლს): „ან სადაც ჰპოვნე ქუეყანასა შინა შენსა ვნებასა იგი ქართლისანი მაცთურნი კერპნი, ცეცხლითა დაწუენ და ნაცარი მათი შეასუ მათ, ვინ მათ ეგლოვდის. და ესე ამცენ შვილთა შენთა, რამეთუ მე ვიცი იგი, მსწრაფლ კავკასიათა შინა ვერ დაილევიან“. ჭელიშური რედაქცია კიდევ უფრო გამოკვეთილად უმატებს: „რამეთუ ვიცი, ვითარმედ კავკასიათა შიგან არა დაილევიან არცა დასცხრებიან ბრძოლისაგან კაცთაჲსა“[95].

მიუხედავად იმისა, რომ „ანდერძი“ ცხადად აპოკრიფულია, მაინც სრულიად უდავოა, რომ ავტორის აზრით კავკასიის მთიანეთი IV ს–ის პირველი ნახევრისთვის ჯერ კიდევ სავსებით დამორჩილებული არ არის და იგი განსაკუთრებით საბიფათო რეგიონია ქართლის ქრისტიანული ბარისათვის. ამიტომაც იყო, რომ მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი „წარემართა... ქრისტეანობასა მოწრაფებითა დიდითა“, გადაწყდა სხვასთან ერთად პირველ რიგში „მთეულეთის“ რეგიონში ქრისტიანობის გავრცელება. ცხადია, სამეფო კარმა იცის, რომ ეს ღონისძიება მშვიდობიანად ვერ ჩაივლის. ამიტომ წმ. ნინომ „წარიყვანა იაკობ მღდელი, საბერძნეთით მოსრული, და ერისთავი ერთი და წარვიდა და დადგა წობენს“ არაგვის ხეობაში. აქედან, ჯერ ერთი, სავარაუდოა, რომ ის პუნქტები, სადაც ნინო ჩერდება, ამ შემთხვევაში წობენი, წარმოადგენს გარკვეული მხარის კულტურულ და პოლიტიკურ-ადმინისტ-

რაციულ ცენტრს. მართლაც, ჩვენ უკვე ვიცით, რომ წობენი სწორედ ამ დროს ქართლის ერთ-ერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მხარეა. ნინომ „მოუწოდა მთიელთა, ჭართალელთა და ფხოელთა და წილკანელთა და გუდამაყრელთა", ე. ი. არაგვის ხეობის მთეულებს, რომელთაც „უქადაგა სარწმუნოებაი ქრისტეჱსი" და პირველი წინააღმდეგობა მისიონერებს აქ შეხვდათ, რადგან „მათ პირუტყუ – სახეთა, ვითარცა ესმა ქადაგებაი, უცხოდ განუყარნეს თავნი და პირნი გარემიიქცივნეს და იღრჭენდეს კბილთა მათთა წმიდისა ნინოჲსთვის" მისიამ კონფლიქტის გარეშე მიზანს ვერ მიაღწია, „ხოლო ნინომ უბრძანა ერისთავსა, რაჲთა წარმართოს მცირედ მახჳლი მათ ზედა. და ვითარცა შებმა უყვეს, შიშით მისცნეს თავნი მათნი ნათლის–ღებასა, და დალეწნეს კერპნი მათნი". ამის შემდეგ მისიონერები ივრის ხეობაში გადადიან: ნინო „გარდავიდა ერწოდ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს და ნათელ–სცა ერწუ–თიანელთა". აქ, მართალია, თითქოს ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ ივრის სათავეში მცხოვრებნი საერთოდ არ გამოცხადებულან და თუშეთს შეაფარეს თავი: „ყუარელთა ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა", გვეუბნება მემატიანე[96]. „ქართლის ცხოვრება" უმატებს: „სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლის ღება. ამისთჳს წარკრბეს იგინი და შესცთეს"[97].

როგორც ვხედავთ, მირიანის კულტურულ–სამისიონერო საქმიანობას მთიანეთში ე. ი. იმ რეგიონში, სადაც ფეოდალური ურთიერთობა არ არსებობდა ან სუსტად იყო ჩასახული, ნაწილობრივი წარმატება ჰქონდა[98].

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მირიანი აგრეთვე ქართლის აღმოსავლეთ პერიფერიას, ჰერეთ–კამბეჩოვანს. ეს მხარე ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნის გარიჟრაჟზე ქართველთა მონათესავე ჰერული ტომებით იყო დასახლებული, მაგრამ უკვე აღნიშნული პერიოდიდან შეიმჩნევა ქართველთა და, კერძოდ, ქართველ მთიელთა (არაგვისა და ივრის ხეობიდან) თანდათანობითი მიგრაცია ამ ტერიტორიაზე. ეს კარგად ჩანს, როგორც ძველქართული წყაროების ცნობების შესწავლით, ისე უცხოური, ბერძნულ–ლათინური მწერლობის ჩვენებათა ანალიზით და აგრეთვე ძველი ტოპონიმიკის მონაცემებითაც. ეს მიგრაცია და ქართველ მთიელთა აქ ჩამოსახლება

გაპირობებული იყო, ჯერ ერთი, იმით, რომ ეს ტერიტორია, კერძოდ, ივრისა და ალაზნის ქვემო წელის ველები შესანიშნავ საზამთრო საძოვრებს წარმოადგენდა, რაც ასე აუცილებელი იყო მესაქონლეობის განვითარებისათვის. ეს გარემოება იწვევდა ქართველ მთიელ მესაქონლე–მეცხვარეთა მიერ ამ ვრცელი მიწების ათვისებას და თანდათანობით მათზე დასახლებას. მეორე მხრივ, როგორც ალაზნის ველის გაღმამხრის ტერიტორიაზე, ისე მტკვარ–ალაზანს შორის მდებარე ივრის ზეგანზე უძველესი დროიდანვე არა ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო–სატრანზიტო მაგისტრალი გადიოდა, რომლებზეც არა მხოლოდ რომაელი ლეგიონერები (მაგ., პომპეუსის ლაშქრობის დროს), არამედ „ვაჭარნი ჰრომნი და ბერძენნი" და სხვანიც დადიოდნენ, რასაც ნუმიზმატიკური მასალა და ანტიკური ხანის საგზაო რუკებიც მოწმობენ. ეს სავაჭრო მაგისტრალები აგრეთვე ერთ–ერთი ძირითადი ფაქტორი უნდა ყოფილიყო აქეთკენ მოსახლეობის მიგრაციისა.

IV ს–თვის ეს პროცესები იმდენად წინ წასული ჩანს და ჰერეთ–კამბეჩოვანის მიწების ათვისება იმდენად ინტენსიურად მიმდინარეობს, რომ ჩნდება მოთხოვნილება კახეთის პოლიტიკური ცენტრის ჩრდილოეთიდან უფრო სამხრეთ–აღმოსავლეთისაკენ გადმონაცვლებისა. თუკი უძველეს პერიოდში კახეთის ცენტრს „ბერ ერქუა პირველ შენებულსა კახეთისასა"[99] და ივრის ხეობის ზემო წელზე მდებარეობდა[100], IV ს–ის პირველ ნახევარში იგი ივრის შუაწელზე ინაცვლებს. ამ პროცესის დასაწყისს უნდა მიუთითებდეს მეფე ასფაგურის მიერ (IIIს.) უჯარმის აღშენება[101], ხოლო მის დასასრულს – მირიანის საქმიანობა, რომელმაც „მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი და დასუა იგი უჯარმას"[102].

ის პოლიტიკური ერთეული, რომლის ცენტრადაც IV ს–ის პირველი ნახევრისათვის ქალაქი უჯარმა გვეელინება, წყაროების მიხედვით შედგებოდა კახეთ–კუხეთისაგან და ჰერეთის შემოერთებული ნაწილისაგან დაბა ბოდბიანად[103]. ჰერეთის ამ ნაწილს (ივრის შუაწელს ხაშმიდან ბოდბემდე) სუჯეთი ეწოდებოდა[104] და ამდენად ის პოლიტიკურ–ადმინისტრაციული ერთეული, რომლის ცენტრიც უჯარმა იყო, შედგებოდა კახეთის, კუხეთისა და სუჯეთის ისტორიული პროვინციებისაგან.

სუჯეთი ნინოს მიერ აგრეთვე ახლად "მოქცეული" მხარე იყო, როდესაც იგი თავისი სამისიონერო მოგზაურობის დროს ჟალეთიდან „შთავიდა კხოეთა (– კუხეთს) და დადგა კანარეთს და მონათლნა კხოელნი (–კუხელნი) და სოჯნი ერთურთ მათით"[105]. სოჯთა მეორე ნაწილი „სოჯი დედოფლითურთ და მის თანა მთავრებითურთ" მოგვიანებით ბოდბეში მოინათლნენ ნინოს მიერვე. ირკვევა, რომ სუჯეთი ცალკე ქვეყანაა, ცალკე საერისთავოა, რომელსაც ჰყავს საკუთარი დედოფალი და რომლის „მთავარნიც უცხონი" არიან[106]. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ბოდბედან მცხეთაში მირიანთან მოსული „სოჯი დედოფალი" და მისი „უცხონი იგი მთავარნი" არა მხოლოდ ახლად მონათლულნი, არამედ ახლად შემოერთებულნიც არიან მირიან მეფის მიერ. ამგვარად, უჯარმის საგამგეოში შემავალი სუჯეთი ახლად შეძენილი ქვეყანა უნდა ყოფილიყო ქართლისათვის[107]. მნიშვნელობას არ არის მოკლებული ის, ჩემი აზრით, უაღრესად საყურადღებო ფაქტი, რომ მირიანის აღმოსავლეთისაკენ მიმართული აქტიური პოლიტიკა სომხური წყაროებითაც დასტურდება: მოვსეს კალანკატუაცი გადმოგვცემს, რომ სომხეთის მეფის, „თრდატის სიკვდილის (330 წ.) შემდეგ ვინმე სანატრუკი (გაბატონდა) ალვანელებზე ქალაქ ფაიტაკარანში და დაუპირისპირდა სომხებს. მაშინ თრდატის შვილმა ხოსროვმა მოიყვანა ანტიოქოსი ბერძენთა ჯარით, ბაგრატი დასავლეთის ურდოთი, ქართველთა პიტიახში მიჰრანი და ყველა ამათთან ერთად გაემართა ალვანელთა წინააღმდეგ"[108]. ბრძოლა ალვანელთა დამარცხებით დამთავრდა. მართალია ამ ლაშქრობის ინიციატორად სომეხთა მეფე ჰყავს გამოყვანილი ისტორიკოსს, მაგრამ ეს საქმის ვითარებას არსებითად არ ცვლის. ასეთი ბრძოლები, თუ გავითვალისწინებთ ივერია-ალვანეთის პოლიტიკური ურთიერთობების ტენდენციას[109], არაერთი უნდა ყოფილიყო, რომელთა შედეგად ალვანეთის დასავლეთი პროვინციები თანდათან ივერიის გავლენის სფეროში შემოდიოდა.

საყურადღებოა, რომ უჯარმა მისი „მიმდგომი ქვეყნით" საუფლისწულო ხდება მირიანის დროს. „საუფლისწულო" გარკვეული ინსტიტუტი იყო, რომლის შინაარსსა და მნიშვნელობაზე მირიანის თანამედროვე სასანური ირანის მიხედვითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

ირანში ძველი ჩვეულების მიხედვით შაჰანშაჰის შვილებს, განსაკუთრებით ტახტის მემკვიდრეებს, სახელმწიფო მმართველობის გამოცდილება უნდა მიეღოთ მნიშვნელოვანი პროვინციების გამგებლობის საშუალებით. ასეთი მნიშვნელოვანი მხარე იყო აღმოსავლეთი ანუ ხორასანი. სასანიან შაჰანშაჰებს შორის შაბურ I, ჰორმიზდ I, ბარამ I და ბარამ II ტახტზე ასვლამდე ხორასნის გამგებლები იყვნენ და ქუშანთა მეფეებად იწოდებოდნენ; ჰორმიზდ I აგრეთვე სომხეთის გამგებელი იყო და „სომეხთა დიდ მეფედ" იწოდებოდა და ა. შ.[110] „საუფლისწულოს" შინაარსის ერთგვარად განმსაზღვრელად მიგვაჩნია „ქართლის ცხოვრებაში" დაცული ერთი ცნობა. კერძოდ, მირიან მეფე თავის შესახებ ამბობს: მამაჩემსო „საუფლისწულოდ ებოძნეს უცხონი ქვეყანანი მკლავითა წახმულნი"[111] რამდენადაც სუჯეთი, მაინცდამაინც, ახლად შემოერთებული და შესაძლებელია სწორედ „მკლავითა წახმული" ქვეყანა იყო, ამდენად თუ ეს გარემოებანი რევის საგამგეოს „საუფლისწულო" სტატუსს, ასე ვთქვათ, გასაგებს ხდის, მეორე მხრივ, თვით ეს სტატუსი ხაზს უსვამს იმ დიდ მნიშვნელობას ქართლის სამეფოსთვის რომ ჰქონდა ამ აღმოსავლეთ პერიფერიას. ის ქალაქი კი, რომელიც საუფლისწულოს ცენტრი იყო, აკი „მეფეთა ქალაქად" იწოდება[112].

ეჭვი არ არის ქართული კულტურისა და კერძოდ ქართული ქრისტიანული კულტურის მნიშვნელოვან ცენტრად უნდა ვიგულისხმოთ ბოდბე მირიანის დროს. ჩვენ ეს უკვე ვიცით, რადგან წმ. ნინომ სწორედ აქ მონათლა სოჯი დედოფალი მთავრებითურთ. საერთოდ, როგორც ჩანს, წმ. ნინოს დიდი საგანმანათლებლო მოღვაწეობა გაუჩაღებია ბოდბეში და სოჯი დედოფლის შუამდგომლობით თითქოს სომეხი (სივნიელი და ვასპურაკანელი) მთავრებიც მოუნათლავს[113]. გარდა ამისა, ტყუილად ხომ არ იმარხება იქ წმინდა ნინო და ტყუილად ხომ არ ზრუნავს მეფე მირიანი დაბა ბოდბის მომავალი კეთილდღეობისთვის, როდესაც თავის ზემოხსენებულ „ანდერძში" მეუღლეს უბარებს: „შენ... განიყო სამეფო განძი ჩვენი ორად: და მიიღე სამარხავსა ნინოსა განმანათლებელსა ჩვენსა, ჟამთა შეცვალებისათვის, რათა არა შეირყიოს უკუნისამდე ადგილი იგი: რამეთუ მეფეთა საჯდომი არს, არამედ მწირ არს"[114].

ამგვარად, მეფე მირიანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბოდბეს, როგორც მომავალ ქართულ ქრისტიანულ საეკლესიო ცენტრს, რომლის დანიშნულება ცხადია, ის არის, რომ იმ მხარეში, რომლის ცენტრიც იგი არის ან უნდა გახდეს მომავალში, ქართული ქრისტიანული კულტურა გავრცელდეს ქართული ენით, ქართული დამწერლობით. უკვე წმ. ნინოს იქ ყოფნის დროსვე „მოვიდოდეს მისსა კახეთით, ჰკითხვიდეს და აღიარებდეს სწავლასა მისსა სიმრავლე ერისა"[115]. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გვიან ბოდბელი ეპისკოპოსის სამწყსოს, ძირითადად, ქიზიყის ტერიტორია შეადგენდა, მაშინ ცხადი გახდება ისიც, რომ IV ს–ის ბოდბეში ახლად დაარსებული ქართული ქრისტიანული კულტურის ცენტრის სამოქმედო ასპარეზი სწორედ კამბეჩოვანი უნდა ყოფილიყო, რომელშიც იმ დროს, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში ქართულთან ერთად ჯერ კიდევ არსებობდა ჰერული (ალვანური) მოსახლეობა და სწორედ მათი გაქართველების მისია ეკისრებოდა ბოდბეს საეკლესიო ცენტრს.

დავუბრუნდეთ ზემოაღნიშნულ ჯვრის აღმართვის ეპიზოდს. ვიცით, რომ სასნაულმოქმედი ხისაგან სამი ჯვარი შექმნეს. ერთი მათგანი, როგორც ვიცით, კლდოვან ბორცვზე დაამყარეს და მისი დღესასნაულიც დააწესეს. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ეს ჯვრები ეკლესიაში ესვენა, მცხეთის მოქალაქენი სასნაულის მხილველნი იყვნენ:

„აჰა ჩამოვიდის ჯუარი ცეცხლისაჲ დაგჯრგჯნებული ვარსკულავითა და დაადგრის ზედა ეკლესიასა ვიდრე განთიადამდე... და განთიად, რიჟირაჟუ ოდენ, გამოვიდის მისგან ორი ვარსკულავი; ერთი წარვიდის აღმოსავლით და ერთი დასავლით... ესე მრავალგზის იხილა ყოველმან სიმრავლემან ერისამან"[116]... იმის გასაგებად თუ საით მიემართებიან ეს ვარსკვლავები, ნინოს რჩევით, მირიან მეფემ ხალხი გააგზავნა ორივე მხრივ. გაირკვა, რომ დასავლეთისკენ წასული თხოთის მთის თავზე, ხოლო აღმოსავლეთისა ბოდბის თავზე ჩერდებოდა. ამიტომ წმ. ნინოს ბრძანებით ერთი ჯვარი თხოთის მთაზე აღმართეს, მეორე კი – ქალაქ უჯარმაში: „და ხვალისა დღესა მოვიდეს დასავალისნი... და მოუთხრეს მეფესა, ვითარცა გამოვიდა ვარსკულავი იგი, აღიმაღლა და მიიწია მთათა ზედა თხოთისათა, გარდასავალსა კასპისასა, და დადგა ადგილსა ერთსა... ეგრეთვე მოვიდეს აღმოსავალით და თქუეს:

„ვიხილეთ ვარსკულავი იგი აქაჲთ მომავალი და დაადგრა დაბასა ბოდს კახეთისა ქუეყანასა" მაშინ ბრძანა ნეტარმან ნინო, რაჲთა წარიხუნენ ორნი ესე ჯუარნი და აღჰმართნენ ერთი თხოთს, სადა-იგი ამხილა ღმერთმან მეფესა ძალი თჳსი. „და ერთი იგი მიეც სალომეს უჟარმელსა, ჭეშმარიტისა მჴევალსა ქრისტესსა, და აღჰმართოს იგი უჟარმას ქალაქსა. და დაბაჲ ბოდისი არა წინააღუდგეს ქალაქსა მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლჱ არს მუნ. დაბაჲ კულა ბოდისი თჳთ ვიხილოთ, სათნოჲ იგი ადგილი ღმრთისაჲ"[17]

პირველ ყოვლისა, რაც ამ ცნობაში ყურადღებას იქცევს არის ის, რომ აქედან გამომდინარე, კახეთის დაბა ბოდისი ანუ ბოდბე, მაინცდამაინც, ქალაქ უჯარმის საგამგეოში შედის, წინააღმდეგ შემთხვევაში აქ არ გადაიტანდნენ ჯვარს (ე. ი. საეკლესიო, კულტურული და ამდენადვე პოლიტიკური ძალაუფლების ნიშანს) ბოდბედან. შემდეგ, ამ ცნობის მიხედვით ბოდბეში „ჯვრის აღმართვა", ე. ი. საეკლესიო ცენტრის დაარსება, ჩანს, საამპირობო ყველა გარემოებათა ჯერ კიდევ არარსებობის გამო, ჯერჯერობით, ნაადრევად უცვნიათ (ეს ცოტა უფრო გვიან მოხერხდა). საამისოდ ჯერ კიდევ ნიადაგია მოსამზადებელი, ამიტომაც ამბობს წმ. ნინო "დაბაჲ კულა ბოდისი თჳთ ვიხილოთ სათნოჲ იგი ადგილი ღმრთისაჲ". რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო და რომ თავისი ეს მისია წმ. ნინომ შეასრულა კიდეც, ეს ჩანს, ჯერ ერთი, იქიდან, რომ იგი, როგორც ვიცით, მართლაც მიდის ბოდში. ეს ჩანს აგრეთვე მეფე მირიანის ზემომოყვანილი „ანდერძიდანაც". ამგვარად, ქართლის ხელისუფალი, რომელმაც საბოლოოდ შემოიმტკიცა დაბა ბოდბე, მაინც აქ თავის პოზიციას მყარად ვერ გრძნობს, ამიტომაც საგანგებოდ უბარებს იგი თავის მემკვიდრეებს ამ ადგილის დაცვას „ჟამთა შეცუალებისაგან" ცხადია, „ბოდბე" აქ სიტყვა–სიტყვით ერთ პუნქტად კი არ უნდა გავიგოთ, არამედ გარკვეული მხარის სუჯეთის ანუ დასავლეთი კამბეჩოვანის (დღ. ქიზიყის) ერთ–ერთ ცენტრად.

ასეთი ვითარება ფრიად მნიშვნელოვანი მიზეზებით იყო გაპირობებული. საქმე ის არის, რომ სუჯეთი, რომელიც მდ. ივრის შუაწელზე დღევანდელი ქიზიყის (ძველი კამბეჩოვანის) ჩრდილო–დასავლეთ ნაწილსაც მოიცავდა და დაბა ბოდბე, რომელიც სწორედ აქ მდებარეობდა სუჯეთისა და კამბეჩოვანის საზღვარზე, როგორც აღვნიშნეთ, მირიანის დროს ან

თვით მირიანის მიერ პოლიტიკური თვალსაზრისით ქართლთან ახლად შემოერთებული „ქვეყანა“ იყო, რომელშიც ქართულ მოსახლეობასთან ერთად ალვანელებიც (ჰერები) ცხოვრობდნენ. ეს უკანასკნელნი პოლიტიკური და კულტურული (ქრისტიანობა) თვალსაზრისით ქართველები იყვნენ და მათი საბოლოო ასიმილაცია დროის ამბავი იყო. მაგრამ IV ს–ში ბოდბის კულტურული გავლენა კამბეჩოვანის აღმოსავლეთ ნაწილზე, უნდა ვიფიქროთ, ნაკლებად ვრცელდებოდა.

ამას გვავარაუდებინებს სომხური „გეოგრაფიის“ ანუ „აშხარაცუიცის“ მონაცემები. IV ს–ის მეორე ნახევარში, რომელსაც უნდა განეკუთვნებოდეს სომხური წყაროს ცნობები[118], კამბეჩოვანი ალვანეთის სამეფოს შემადგენლობაშია. ჩანს, მირიან მეფის და წმ. ნინოს ინტენსიური კულტურულ–საგანმანათლებლო საქმიანობა მიმართული ჰერეთში ქართული ქრისტიანობის გავრცელებისაკენ, რომელიც ამ თემის მნიშვნელოვან ნაწილში წარმატებითაც დაგვირგვინდა, მაინც მის გარკვეულ ტერიტორიაზე, კერძოდ, კამბეჩოვანის აღმოსავლეთ მხარეში წინააღმდეგობას აწყდებოდა და არა მხოლოდ ალვანელთაგან, არამედ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სომხებისგანაც. შესაძლებელია ეს იყო მიზეზი, რომ ამჯერად ქართული ქრისტიანული კულტურის აღმოსავლეთისაკენ გავრცელების ცენტრის როლი ახლად მოქცეულმა ბოდბემ ვერ იტვირთა და ეს მისია ქალაქმა უჯარმამ იკისრა, რომელიც, როგორც ვიცით, ვრცელი საგამგეო ერთეულის (რომელშიც ძველი ჰერეთის გარკვეული ტერიტორიაც შედიოდა) ცენტრი იყო და საერთოდ მცხეთის შემდეგ ამ დროს ქართლის სამეფოს მეორე ქალაქად ითვლებოდა. ამიტომაც, დაბა ბოდბეში წმ. ნინოს გარდაცვალების ამბავი ცნობილი რომ შეიქნა, „მაშინ შეიძრნეს ორნი ესე ქალაქნი: მცხეთაჲ და უჟარმაჲ, და ყოველი ქართლი სიკუდილისა მისისათჳს, და მოვიდეს და დაჰმარხეს ძლევით შემოსილი გუამი მისი ადგილსავე ზედა ბუდს, დაბასა კხოეთისასა“ (კუხეთისასა)[119]. ქალაქი უჯარმა იყო ქართლის სამეფოს მეორე უმნიშვნელოვანესი ცენტრი, საიდანაც ქართლის სამეფო კარი უფლისწულის მეშვეობით წარმართავდა თავის კულტურულ (და, ცხადია, არა მხოლოდ კულტურულ) პოლიტიკას, მაინცდამაინც, აღმოსავლურ პროვინციებში.

მგონია ასე უნდა გავიგოთ წმ. ნინოს გადაწყვეტილება, რომ ჯვარი – ქრისტიანული პროზელიტიზმის სიმბოლო – დროებით „აღიმართოს იგი უჯარმას ქალაქსა და დაბა ბოდისი არა წინა აღუდგეს ქალაქსა მას მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლ[3] არს მუნ“.

ასეა თუ ისე, სომხური „აშხარაცუიცი“ კამბეჩოვანს ალვანეთის პროვინციად მიიჩნევს: „ავწერთ თავდაპირველ ქვეყანას ალვანეთისას, რომელიც დიდი მდინარის მტკვრისა და კავკასიის მთის შორის (მდებარეობს). ჯერ ქართლის მახლობლად: გავარი (=თემი) ეხნი – ალუანის (=ალაზნის) მდინარის პირას და ქამბეჭანი (=კამბეჩოვანი) მტკვრის პირას და მის სამხრეთში – ციხე ვარაზმანავარი დაბაქალაქ კუდრათითურთ და უდაბნო ადგილები მდინარე მტკვრამდე, რომლის აღმოსავლეთით (არის) ქალაქი გევგავი, მდინარე ალუანის პირას და გავარი ბიხ – კავკასიის (მთასთან) და მის აღმოსავლეთით – შაქი“ (დღ. შექი)[120].

ამგვარად სომხური წყაროს მიხედვით, კამბეჩოვანი ქართლის სამეფოს მომიჯნავე თემია, რომელიც მტკვრის პირასაა. საინტერესოა ავტორის ფრაზა, რომ იგი „თავდაპირველ ალვანეთს" აღწერს. ეს ნიშნავს, რომ მის დროს ამ ქვეყანას, ასე ვთქვათ, სხვა კონტურები აქვს, მაგრამ იგი „ნამდვილ", „ძირითად", „თავდაპირველ" (Բուն) ალვანეთს აღწერს. ასეთ განმარტებას „აშხარაცუიცის" ავტორი იმიტომ იძლევა, რომ მის დროს ალვანეთის სამეფოს მტკვრის სამხრეთი ტერიტორიებიც ეჭირა, მაგალითად: შიკაშენი, გარდმანი, უტი და სხვ., რომლებიც, სომეხი გეოგრაფოსის მიხედვით, ალვანელებს სომხებისაგან ჰქონდათ მიტაცებული (სინამდვილეში პირუკუ იყო: ძველად სომხებს ჰქონდათ წაღებული ალვანეთის მტკვრის სამხრეთი პროვინციები!). ეს ასეა, მაგრამ შესაძლოა აქ ის ცვლილებებიც იგულისხმება, რომლებიც ივერია-ალვანეთის საზღვრებზე მოხდა IV ს-თვის და რაზედაც ზემოთ ვსაუბრობდით. სომეხ ავტორს, ცხადია, სომხეთის გეოგრაფია აინტერესებდა პირველ რიგში და ამიტომ ალვანეთის დასავლეთ და შესაბამისად ივერიის აღმოსავლეთ ლიმიტროფულ ზონაში მომხდარ ცვილილებებზე ყურადღებას არ ამახვილებს.

ერთი რამ თვალშია საცემი: „აშხარაცუიცის“ მიხედვით ალვანური ქამბეჭანის ცენტრები ამ თემის სამხრეთით

მტკვარ–ალაზნის შესართავ ზონაში უნდა ვიგულისხმოთ: „მის სამხრეთში ციხე ვარაზმანავარი დაბა ქალაქ კუდრათი-თურთ და უდაბნო ადგილები მდინარე მტკვრამდე, რომლის აღმოსავლეთით (არის) ქალაქი გევგავი, მდინარე ალუანის პირას" ეს გარემოება ნიშანდობლივი უნდა იყოს: ეს არის ტერიტორია, სადაც ყველაზე მძლავრად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ალვანური მოსახლეობა კამბეჩოვანში, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ამ თემის ჩრდილო–დასავლეთში უკვე ძველი წელთაღრიცხვის I ს–ში ქართველები ცხოვრობენ. ბუნებრივია, რომ ალვანური ქამბეჭანის ადმინისტრაციული ცენტრები (მთავარი ციხესიმაგრე, ქალაქი და დაბა-ქალაქები) სწორედ იმ ზონაში იყოს, სადაც ალვანური მოსახლეობა ჭარბობდა.

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ქართულ წყაროთა ზემომოყვანილი ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მირიანის ეპოქის კულტურული საქმიანობა მეტად მნიშვნელოვანი იყო ქართლის სამეფოსათვის: გარკვეული ნაწილი კავკასიონის ხევებში მცხოვრები მთიელებისა ქრისტიანობას ეზიარა არაგვისა და ივრის ხეობათა მაღალმთიანეთის მოსახლეობასთან ერთად. ეროვნული გადმოცემის მიხედვით, რომლის ჭეშმარიტებაზეც საფუძველი არ გვაქვს ეჭვი მივიტანოთ, „ხევი ნინოს მოქცეულია"[121]. თუშეთში გადასულ ყვარელთა მონათვლა უკვე მირიანის შვილიშვილის, თრდატის დროს მოხერხდა[122], ნანილი „უკანასკნელ მოაქცივნა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსმან და რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასავე შინა დღეს–აქამომდე"[123]. როგორც ვნახეთ, ეს მეტად რთული პროცესი იყო, რომლის საბოლოო დასრულებას არაერთი საუკუნე დასჭირდა, მაგრამ მეფე მირიანმა, ამ საქმის პიონერმა, მაინც დიდ წარმატებას მიაღწია. ასეთივე წარმატება ხვდა წილად მის პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობას აღმოსავლეთ პერიფერიაზე, ჰერეთში (დასავლეთ ალვანეთში). ჯერ ერთი, მან, როგორც ჩანს, ქართლის სამეფოს შემოუერთა გარკვეული ტერიტორია, სადაც ალვანურ მოსახლეობასთან ერთად უძველესი პერიოდიდანვე ქართველებიც ცხოვრობდნენ და შექმნა დიდი პოლიტიკურ–ადმინისტრაციული ერთეული კულტურით ერთიანი, თუმცა ეთნიკურად ჯერ კიდევ ნარევი მოსახლეობით. ამ ახლად ჩამოყალიბებულ ტე-

რიტორიულ ერთეულს საუფლისწულოს სტატუსი მიეცა, რომლის ცენტრიც „მეფეთა ქალაქი" უჯარმა გახდა.

მეორე მხრივ, საერთოდ დასავლეთ ალვანეთში, ჰერეთში, რომელიც ამ დროს პოლიტიკური თვალსაზრისით ქართლთან ორგანულად გაერთიანებული არ ჩანს, ძლიერი ქართული კულტურული გავლენა დამყარდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ლეონტი მროველი, რომელიც საქართველოს უძველეს ისტორიას მოგვითხრობს, გამომდინარე თავისი ცნობილი ეთნოლოგიური კონცეფციიდან, რომ აღმოსავლელ ქართველთა და დასავლელ ალვანელთა ეთნოეპონიმები – ქართლოსი და ჰეროსი ძმები არიან, მთელი თავისი თხზულების მანძილზე ქართლსა და ჰერეთს ორ თანაბარ სახელმწიფოებრივ ერთეულად წარმოგვიდგენს, თუმცა კი მას მხედველობიდან არ რჩება ის დიდი კულტურული პროცესი, რომელიც მეფე მირიანის დროს ჰერეთის ტერიტორიაზე ქართული ქრისტიანობის ინტენსიური გავრცელებით გამოიხატებოდა. ამ პროცესმა, მისივე წარმოდგენით, ეს ორი, ეთნიკურად ერთმანეთისაგან, ფაქტობრივად, განსხვავებული ქვეყანა IV ს–ში ერთ კულტურულ ერთეულად აქცია. სწორედ ამას მოწმობს ისტორიკოსის მიერ IV ს–ის პირველ ნახევარში ინტენსიურად განვითარებული კულტურული პროცესების შეფასება, ფრიად გამოკვეთილად გამოთქმული: „და ვითარ აღასრულა ესე ყოველი ღმრთივ–განბრძნობილმან მირიან მეფემან, განამტკიცა ყოველი ქართლი და ჰერეთი სარწმუნოებასა ზედა სამებისა წმიდისასა, ერთარსებისა, ღმრთისა დაუსაბამოსასა, დამბადებელისა ყოვლისასა; და განმტკიცდეს სრულსა სარწმუნოებასა ზედა"[124] ისტორიკოსის თვალსაზრისით, ჯერ არ მომხდარა ამ ორი ქვეყნის ორგანული პოლიტიკური გაერთიანება (ამას მოგვიანებით ჰქონდა ადგილი), მაგრამ ქართლი და ჰერეთი კულტურის თვალსაზრისით IV ს–ის პირველ ნახევარში ერთმანეთს შეერწყა.

ვფიქრობთ, ეს არის გონიერი ისტორიკოსის მიერ მეფე მირიანის შინაგანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სრულიად რეალური და ადეკვატური შეფასება. ამდენადვე, ვფიქრობთ, გვაქვს უფლება, მირიანის ეპოქა განვიხილოთ გარკვეულ მიჯნად ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის პოლიტიკური და ეთნიკური განვითარების თვალსაზრისით.

შენიშვნები:

1. Адонц Н., Армения в эпоху Юстиниана, СПб., 1908, стр. 43; Всемирная История, т. II, М., 1956, стр. 762; Christensen A., L' Iran sous les Sassanides, Copenhague, 1944, p. 233; პეტრე პატრიკიოსი, „გეორგიკა", ტ. III, თბ., 1936, გვ. 193.
2. ქც, I, გვ. 59-64.
3. მელიქიშვილი გ., ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, იიშ, ტ. IV, ნაკვ. I, თბ., 1958, გვ. 162; შდ. Markwart J., Die Bekehrung iberiens und die beiden ältesten Dokumente der iberischen Kirche. "Caucasica", Fasc., 7, 1931, S. 120. ამთავითვე ნათლად უნდა განისაზღვროს ჩვენი დამოკიდებულება გვიანდელი ხანის ქართული წყაროების მიმართ, რომლებიც მოგვითხრობენ ჩვენი ისტორიის უძველეს პერიოდზე: ცხადია, შორს ვართ იმისაგან, ამ წყაროთა ცნობების სანდოობა უკრიტიკოდ ვირწმუნეთ, მაგრამ გამომდინარე ე. წ. „უდანაშაულობის პრეზუმფციიდან", თუკი მათში შემონახულია ძველი ისტორიის ამსახველი რეალურად შესაძლებელი მოვლენები, რომელთა მიმართ არ გვაქვს არავითარი, ასევე რეალური საწინააღმდეგო მონაცემები, სავსებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია გვიანდელ ამ ჩვენებათა მიხედვით წარსული სიტუაციის სავარაუდო აღდგენა. წყაროთმცოდნეობის ამ მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ ჩვენი საგანგებო წერილი იხ.: Мусхелишвили Д. Л., Некоторые проблемы источниковедческой критики грузинских средневековых источников. ჟურნალი: „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №3, თბ., 1986, გვ. 57-70.
4. ძეგლები, ტ. I, გვ. 83; История Армении Фавстоса Бузанда. Перевод с древнеармянского и комментарии М. А. Геворгяна, Ер., 1953. стр. 162. მირიანს ფარნავაზიანთა გვერდითი შტოს წარმომადგენლად თვლის ვ. გოილაძე (იხ. მისი: ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თბ., 1990, გვ. 17, 18).
5. ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებანი ამ საკითხთან დაკავშირებით თავმოყრილია ვ. გოილაძის ზემოხსენებული მონოგრაფიის მეორე თავში. თვით ვ. გოი-

ლაძე თვლის, რომ მირიანი დაიბადა 250 წელს, გამეფდა 298 წელს, ხოლო გარდაიცვალა 334 წელს (იხ. მისი დასახ. მონოგრაფიის მეხუთე თავი).

6. ჯანაშია ნ., ქართლი IV-V საუკუნეებში. კრებული: ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, თბ., 1986, გვ. 8.
7 იქვე, გვ. 9.
8. იხ. Мусхелишвили Д. Л., Из исторической географии Восточной Грузии, Тб., 1982, стр. 11-15.
9. ქც, I, გვ. 69; შდ. ბოგვერაძე ა., ქართლის (იბერიის) სამეფოს 369 წლის გაყოფის საკითხისათვის, ძსკი, თბ., 1976, გვ. 97.
10. Christensen A., დასახ. ნაშრომი, გვ. 233.
11. ქც, I, გვ. 68.
12. „გეორგიკა", ტ. I, თბ., 1961, გვ. 231 და 240.
13. მუსხელიშვილი დ., ფეოდალური ხანის საქართველოს და ამიერკავკასიის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში. ჟურნალი: „ცისკარი", №11, 1970; ლორთქიფანიძე ო., მუსხელიშვილი დ., საქართველოს უძველესი სავაჭრო-სატრანზიტო გზები. ჟურნალი: „ივერია", ქართულ-ევროპული ინსტიტუტი, გაზაფხული-ზაფხული. პარიზი, 1999.
14. ქც, I, გვ. 63, 64.
15. ჯანაშია ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 17.
16. მუსხელიშვილი დ., კავკასიური პოლიტიკა შუა საუკუნეების საქართველოში. კრებული: „ქართული დიპლომატია", წელიწდეული, ტ. 5, თბ., 1998.
17. ქც, I, გვ. 70; ბოგვერაძე ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 96, 97.
18. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ., 1984, გვ. 184.
19. ბოგვერაძე ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 96.
20. იხ. მაგალითად, მოვსეს ხორენაცი, იქვე, გვ. 170.
21. იქვე, გვ. 106; გოგარენე-გუგარქის და მისი მოსახლეობის უძველესი ისტორიისათვის იხ. Мусхелишвили Д. Л., დასახ. ნაშრომი, გვ. 6-15. სომეხივე ისტორიკოსი მოვსეს კალანკატუაციც იცნობს „ქართველთა პიტიახშ მიჰრანს" (იხ. მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია. ძველი

სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1985, გვ. 31). აშკარაა მოვსეს ხორენაცის გავლენა ამ ისტორიკოსზე, მაგრამ რამდენადაც „ქართველთა პიტიახშები" სწორედ ქვემო ქართლის გამგებლებს ეწოდებოდათ, ამდენად უეჭველია, რომ მირიანი ფლობდა ამ ტერიტორიას. მოვსეს ხორენაცის ტენდენციურობას ჯერ კიდევ ი. მარკვარტი აღნიშნავდა, იხ. Markwart J., დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

22. აგათანგელოსი, „გეორგიკა", ტ. I, გვ. 159. შდ. იქვე, გვ. 70 და 72.

23. იქვე, გვ. 70. აგათანგელოსის არაბულ თარგმანში, რომელიც არ შეიძლება VIII ს-ზე ძველი იყოს, „ლაზთა მეფის" მაგივრად „აბხაზთა მეფე" წერია (იხ. Марр Н., Крещение армян, грузин, абхазов и аланов святым Григорием (Арабская версия). ЗВОИРАО, т. XIV, 1905).

24. ამიანე მარცელინე, „გეორგიკა", ტ. I, გვ. 101, 102. რომაელი ისტორიკოსის მერიბანი, Meribanes, შესაძლებელია უბრალო გრაფიკული შეცდომის ნიადაგზე წარმოდგებოდეს Merihanes-იდან. თუმცა ი. მარკვარტის მიხედვით „მერიბანეს" შეესატყვისება საშუალო სპარსულ „მითრაპან"-ს, რომელიც გამოითქმოდა „მიჰრაბან"-ად და რომელიც წარმომავლობდა აქმენიდურ-სპარსული „მითრაპანა"-დან, რაც „ღვთაება მითრას მიერ დაცულს" ნიშნავს. აქედან მოდის ქართული „მირვან", „მირიან". „მიჰრან" კი სრულიად სხვა სახელია (იხ. Markwart J., დასახ. ნაშრომი, გვ. 119).

25. ქც, I, გვ. 66-68.

26. მოვსეს ხორენაცი, იქვე, გვ. 186; შდ. მოვსეს კალანკატუაცი, იქვე, გვ. 31.

27. ვ. გოილაძეს ეს ცნობა გარკვეულწილად ნდობის ღირსად მიაჩნია, კერძოდ, მისი აზრით, თუ ერთი მხრივ, სომეხმა ისტორიკოსმა ამ ბრძოლაში მონაწილე „ვინმე მიჰრანი მიიჩნია ქართლის მეფედ, მეორე მხრივ, იქნებ ჰქონდა მას რაიმე ცნობა დაახლოებით 334 წელს ქართლის მეფის მირიანის გარდაცვალების შესახებ" (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 69, 70). ჩრდილოკავკასიელთა ეს შემოსევა 335 ნლით თარიღდება (იქვე, გვ. 69: მითითებულია სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა).

28.ქც, I, გვ. 65.
29.მუსხელიშვილი დ., ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის. კრებულში: „საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია", თბ., 1992, გვ. 344.
30.ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1990, გვ. 382.
31.ქც, I, გვ. 8.
32.რომ პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე იყო მირიანი, დღეს ეს სადავო აღარ უნდა იყოს, რაც კარგად უჩვენეს კ. კეკელიძემ (იხ. მისი, იბერიის ქრისტიანიზაციის საწყისებთან. ეტიუდები, ტ. III, თბ., 1955, გვ. 19) და ნ. ჯანაშიამ (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 20, 21).
33.ჯანაშია ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 213.
34.Бохочадзе А. В., Результаты работ археологической экспедиции на новостройках двуречья Ксани и Арагви. Сборник: Археологические исследования на новостройках Грузинской ССР, Тб., 1976. стр. 68, табл., XXXI_2.
35.ლორთქიფანიძე ო., ქართველთა ქვეყანა: ისტორია და კულტურა, თბ., 1998, გვ. 98.
36.მგალობლიშვილი თ., ქრისტიანული ქართლი IV-V სს-ში. ჟურნალი: „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, №1, 1988, გვ. 104, 105; კლარჯული მრავალთავი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა, თბ., 1991, გვ. 169, 170; კეკელიძე კ., ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები. კრებული: „მიმომხილველი", ტ. I, თბ., 1926, გვ. 18.
37.ნამებაჲ წმიდისა ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲსი. ძეგლები, ტ. I, გვ. 50; ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. I., თხზულებანი, ტ. I, თბ., 1979, გვ. 268; მგალობლიშვილი თ., ქრისტიანული ქართლი, გვ. 105; კლარჯული მრავალთავი, გვ. 170.
38.ჯანაშია ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 16, 17.
39.მუსხელიშვილი დ., კავკასიური პოლიტიკა, გვ. 9.

40. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 227; ლორთქიფანიძე მ., საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების პოლიტიკური მნიშვნელობა სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის ფონზე. კრებული: „ქართული დიპლომატია", ტ. 3, 1996, გვ. 70.
41. ლორთქიფანიძე ო., ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო, თბ., 1968, გვ. 69 და შემდ.; მისივე, ქართველთა ქვეყანა, გვ. 93-96.
42. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 213 და შემდ.; ჯანაშია ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 14-16; ბოგვერაძე ა., ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 15, 16; ქრისტიანობის მიღების მიზეზების შესახებ მოკლედ იხ. აგრეთვე: პატარიძე ლ., მირიანის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა და ქართლის მოქცევა. კრებული: „ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი", საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 2000.
43. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 224; ჯანაშია ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 15, 18; ბოგვერაძე ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 15.
44. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 223; ჯანაშია ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 15, 16; ბოგვერაძე ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 15.
45. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 244.
46. მოვსეს ხორენაცი, დასახ. ნაშრომი, გვ. 170-172. სომეხი ისტორიკოსი ჩვენთვის უკვე ცნობილი ტენდენციურობის გამო, „ქართველთა მოძღვარს ნუნეს" სომეხთა განმანათლებლის, გრიგოლის ბრძანების ამსრულებლად თვლის. ამას აღნიშნავდა ი. მარკვარტიც, იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 114.
47. გელასი კესარიელი, „გეორგიკა", ტ. I, გვ. 186, 194.
48. ყაუხჩიშვილი ს., გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ. კრებული: „მიმომხილველი", ტ. I, გვ. 54; „გეორგიკა", ტ. I, გვ. 180.
49. ყაუხჩიშვილი ს., დასახ. ნაშრომი, იქვე; ВДИ, №4, 1949, стр. 243.
50. რუფინუსი, ეკლესიის ისტორია, „გეორგიკა", ტ. I, გვ. 207.
51. კეკელიძე კ., ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, გვ. 23, შენ. 1; გოზალიშვი-

ლი გ., არის თუ არა ბერძნულ-ლათინური წყაროების ბაკური იბერიის მეფე? მსკი, ნაკვ. I, თბ., 1947, გვ. 16; ბოგვერაძე ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

52. ამიანე მარცელინე, „გეორგიკა", ტ. I, გვ. 144.
53. ლიბანიოსი, წერილი 980, „გეორგიკა", ტ. I, გვ. 63, 64.
54. ლიბანიოსი, წერილი 969, იქვე, გვ. 64.
55. გოზალიშვილი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 2, 3.
56. ლომინაძე ბ., ქრისტიანობა საქართველოში. მეთოდური სახელმძღვანელო, თბ., 1978, გვ. 233, 234; ჩხარტიშვილი მ., ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები, თბ., 1987, გვ. 46, 47, 76, 89. ქართლის „მოქცევის" შესახებ ცნობები V ს-ის სხვა ბიზანტიელ მწერლებსაც აქვთ (თეოფილაქტე კვირელი, სოკრატე სქოლასტიკოსი, ერმია სოზომენე), მაგრამ ისინი, ფაქტობრივად, რუფინუსზე არიან დამოკიდებულნი (იხ. „გეორგიკა", ტ. I, გვ. 209, 229, 235). რაც შეეხება მოვსეს ხორენაცის, ი. მარკვარტი (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114) თვლიდა, რომ მას გამოყენებული ჰქონდა სოკრატე სქოლასტიკოსის „ისტორიის" სომხური თარგმანი.
57 ბაკურის ვინაობის შესახებ გ. გოზალიშვილის ზემოხსენებული წერილის გარდა, იხ. მისივე, ქართლის მოქცევის პრობლემა და ბაკური, თბ., 1974; აგრეთვე ს. ყაუხჩიშვილის ნარკვევი (იხ. „გეორგიკა". ტ. I, გვ. 196-199); კეკელიძე კ., ვინ არის ლიბანიოსის ადრესატი ბაკური? ეტიუდები, ტ. III; ჩხარტიშვილი მ., „ფრიად სარწმუნო ბაკური", ჟურნალი: „მნათობი", №5, 1955; ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 110-114.
58. მგალობლიშვილი თ., დასახ. ნაშრომი, გვ. 106; კლარჯული მრავალთავი, გვ. 171, 172; ა. ბოგვერაძე შესაძლებლად თვლის, რომ ნინოს „ცხოვრების" ქართული რედაქციები, ნაწილობრივ მაინც, იქმნებოდა ძველ ბერძნულ-ლათინურ და სომხურ ძეგლებზე დაყრდნობით, რომელთა მონათხრობი, თავის მხრივ, ქართულ ზეპირგადმოცემას ემყარებოდა (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11). ნ. ჯანაშია თავის ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში პირდაპირ აღნიშნავდა, რომ ქართველი მემატიანეების წყარო „გელასი კესარიელი თუ მისი გადმოცემის მქონე რომელიმე სხვა ბერძენი ან რომაელი მწერალი" უნდა ყოფილიყო (იხ. მისი, უძველესი

ცნობა ქართველთა მოქცევაზე, იქვე, გვ. 117, შენ. 23), თუმცა შემდეგ ეს აზრი აღარ გაუმეორებია (იხ. მისი, ქართლი IV-V საუკუნეებში). მსგავსი მოსაზრება, რომ ქართულ წყაროებში შემონახული ცნობები დამოკიდებულია ბერძნულ და სომხურ წყაროებზე, გამოთქმული ჰქონდა ჯერ კიდევ ი. მარკვარტს (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 118).

59. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია. ტ. I, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1979, გვ. 216-274. სულ ბოლო ხანს ასეთი მოსაზრება, თავისი საბუთიანობით, გამოთქვა თ. მგალობლიშვილმა, იხ. კლარჯული მრავალთავი, გვ. 151-154.

60. ამ პრობლემის ისტორიოგრაფიის მიმოხილვა იხ. ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991, გვ. 54-57. თვით ავტორი ამ მოვლენას 317/318 წლებით ათარიღებს (იქვე, გვ. 83).

61. ჯანაშია ნ., ქართლი IV-V საუკუნეებში, გვ. 19.

62. Кулаковский Ю., История Византии, т. I, Киев, 1913, стр. 109; История Византии, т. I,. М., 1967, стр. 149.

63. История Византии, т. I, стр. 165; გოგიტიძე ს., მირიან მეფე და ქართლის მოქცევა, ბათუმი, 1997, გვ. 33.

64. აგათანგელოსი, „გეორგიკა", ტ. I, გვ. 70-72. თვით ფაქტი გრიგოლის მიერ იბერთა და ლაზთა „მოქცევისა", ცხადია, არაისტორიულია. ამისათვის იხ., მაგალითად, ჯავახიშვილი ი., ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, თბ., 1935, გვ. 112-116.

65. მოვსეს ხორენაცი, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

66. იხ. მაგალითად, Советская историческая энциклопедия, т 14, М., 1973, стр. 231.

67. ასევე 325-330 წლებით ათარიღებს ქართლის „მოქცევას" ნ. ლომოური (იხ. მისი, ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბ., 1975, გვ. 83). ს. გოგიტიძე ცდილობს კიდევ უფრო დააზუსტოს თარიღი: ქართული წყაროების მიხედვით, გაქრისტიანება მოხდა კონსტანტინეს დედის, ელენე დედოფლის სიცოცხლეში, ხოლო, რადგან იგი 327 წელს გარდაცვლილა, ამიტომ ჩვენთვის საინტერესო თარიღიც უფრო დაზუსტდება: 325-327 წლები (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 36-38). მაგრამ საქმე ის არის, რომ ელენე დედოფლის გარდაცვალება 327 წელს საეჭვოა (ასე, მაგალითად, Lexikon der Antike. Leipzig, 1987, S. 235: ელენე

დედოფლის გარდაცვალების თარიღად 336 წელს დებს). საბოლოოდ, ქართლის „მოქცევას" ს. გოგიტიძე ათარიღებს 326 წლის ბოლოთი (მირიანის მონათვლა) და 327 ნლის დასაწყისით (ერის გაქრისტიანება), იხ. იქვე, გვ. 39 და 113.

68. ასეთი კვლევა-ძიება ჩატარებული აქვს თ. მგალობლიშვილს, იხ. კლარჯული მრავალთავი, თავი მეოთხე, განსაკუთრებით გვ. 145-149.
69. მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 154; შდ. ქც, ტ. I, გვ. 122.
70. კლარჯული მრავალთავი, გვ. 150.
71. თვით თ. მგალობლიშვილი ტრადიციულ, ი. ჯავახიშვილისეულ დათარიღებას უჭერს მხარს (იქვე, გვ. 154, 159).
72. სულ უკანასკნელ დროს გამოქვეყნებულ საგანგებო ნერილში, „ქართლის ცხოვრებაში" დაცული ცნობების გონებამახვილური ანალიზის, ბიზანტიურ წყაროებთან მათი შეთანაპირების და მცხეთის ჯვრის აღმართვის ზემოხსენებული კალენდარული მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე, ლ. პატარიძემ, ჩვენი აზრით, უცილობლად დაამტკიცა, რომ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება სწორედ 326 ნლით უნდა დათარიღდეს (იხ. პატარიძე ლ., ქართველთა გაქრისტიანება „ქართლის ცხოვრების" მიხედვით. კრებული: „ქრისტიანობა საქართველოში. ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევები", თბ., 2000, გვ. 8-15).
73. კეკელიძე კ., კანონიკური წყობილება საქართველოში, ტუმ, ტ. X, 1930, გვ. 314, 315; კლარჯული მრავალთავი, გვ. 160-162.
74. Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 48-50.
75. კლარჯული მრავალთავი, გვ. 166, 167.
76. Адонц Н., Армения, стр. 358.
77. გოილაძე ვ., ქართული ეკლესიის სათავეებთან, გვ. 10, 11 (იქვე მითითება წყაროებზე). კათალიკოსობის დაწესებამდე ქართლის ეკლესიის ანტიოქიისაგან დამოკიდებულებაზე მიუთითებდა ბ. ლომინაძე (იხ. მისი, საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია, „საღვთისმეტყველო კრებული", თბ., 1983; იგივე: ჟურნალი: „რელიგია", №1-2, თბ., 1992, გვ. 97-98; მისივე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადმინისტრაციული ორგანიზაცია V ს-ში,

კრებ.: „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები", VII, თბ., 1999, გვ. 15).

78. იხ. მამულია გ., ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში, თბ., 1992, გვ. 79, შენ. 10; შდ. კლარჯული მრავალთავი, გვ. 167.

79. ეფრემ მცირე, უწყებაჲ მიზეზისა ქართველთა მოქცევისასა თუ რომელთა წიგნთა შინა მოიჴსენების. ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ, თბ., 1959, გვ. 8; „გეორგიკა", ტ. I, გვ. 217.

80. „გეორგიკა", ტ. I, გვ. 33.

81. კეკელიძე კ., დასახ. ნაშრომი, გვ. 315; გოილაძე ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 93-95.

82. ქც, I, გვ. 197.

83. ქართული ეკლესიის წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა შეხედულებათა შესახებ იხ. თ. მგალობლიშვილის ექსკურსი (კლარჯული მრავალთავი, გვ. 162 და შემდ).

84. მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძეგლები, ტ. I, გვ. 84, 85.

85. „ერთი ცხადია: ორივე ისინი (ქართულ-ბიზანტიური და ანტიოქიური ვერსიები, დ. მ.) ამტკიცებენ, რომ პირველი იერარქია იბერიაში ბიზანტიის კეისარმა გამოგზავნა. სრულიად ბუნებრივია, რომ იბერიის ახლადმოქცეულ მეფეს, რომელიც კეისრის მფარველობის ქვეშ იყო, თავისი მოქცევა ამ კეისრისთვის ეცნობებია" (კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 315).

86. გოილაძე ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

87. ავტოკეფალიის მიღებამდე ქართული ეკლესიის იერარქიული დაქვემდებარების შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში სრულიად საწინააღმდეგო აზრიც არის გამოთქმული, კერძოდ, რომ ქართლის (ისევე, როგორც სომხეთის და ალვანეთის) ეკლესია „ანტიოქიის საპატრიარქოს საერთოდ არ ემორჩილებოდა", რომ „ქართლის მოქცევიდან მოკიდებული V საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისამდე ქართლის ეკლესია იერარქიულად ამასიის პონტოს მიტროპოლიტს ემორჩილებოდა, ხოლო იმავე საუკუნის 20-40-იან წლებში ქართლის ეკლესიის საჭეთმპყრობელი პოლიტიკური სიტუაციის შედეგად იძულებული შეიქნა დროებით გაეწყვიტა კავშირი ბიზანტიის ეკლესიასთან და იერარქიულად ირანის ხელისუფლების მხარდაჭერით ზურგგამაგრებული სელევკია-კტეზიფონის კათალიკოსს დაქვემდებარებოდა,

ხოლო 451 წლიდან „კონსტანტინოპოლის პატრიარქის იურისდიქცია ქართლის ეკლესიაზეც ვრცელდებოდა" (იხ. გ. მამულია, ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში, გვ. 71, 72 და 80, შენ. 10).

88. სოკრატე სქოლასტიკოსი, "გეორგიკა", ტ. I, გვ. 234; ერმია სოზომენე, იქვე, გვ. 240.
89. ერმია სოზომენე, იქვე, გვ. 236.
90. მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 85; იხ. აგრეთვე, ქც, I, გვ. 128. შდ. ნ. ჯანაშია, ქართლი IV-V საუკუნეებში, გვ. 17; აგრეთვე, ნ. ლომოური, დასახ. ნაშრომი, გვ. 95, 96.
91. ჯავახიშვილი ი., ნიკოლაოზ კათალიკოზი. თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 408.
92. მუსხელიშვილი დ., კავკასიური პოლიტიკა, გვ. 6 და შემდ.
93. მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 100, 101; შდ. იქვე, გვ. 124.
94. იქვე, გვ. 115, 116.
95. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, თბ., 1980, გვ. 208, 209.
96. მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 162, 163.
97. იქვე, გვ. 87-89.
98. ქც, I, გვ. 126.
99. ჯანაშია ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 223.
100. ქც, I, გვ. 9.
101. მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966, გვ. 24-27.
102. ქც, I, გვ. 59.
103. იქვე, გვ. 70, 71.
104. მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 58, 59.
105. პაპუაშვილი თ., ჰერეთ-ალბანეთის ისტორიდან (ქართულ-სომხური წყაროების მიხედვით), მსკი, ტ. 35, თბ., 1963, გვ. 42, 43.
106. მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 89.
107. იქვე, გვ. 99-102.
108. შდ. პაპუაშვილი თ., დასახ. ნაშრომი, გვ. 44.
109. მოვსეს კალანკატუაცი, დასახ. ნაშრომი, გვ. 31; შდ. მოვსეს ხორენაცი (დასახ. ნაშრომი, გვ. 183-186), რომლის მიხედვით მიჰრანი ამ ბრძოლებში იღუპება. იხ. აგრეთვე, К. Тревер, Очерки по истории и культуре древней Кавказской

Албании, М.-Л., 1959, стр. 188-197. ეს ამბები 335 თუ 336-338 წლებით თარიღდება (იხ. Ф. Мамедова, Политическая история и историческая география Кавказской Албании, Баку, 1986, стр. 184, 185; ვ. გოილაძე, ფარნავაზიანთა სახლის..., გვ. 69. იქვე მითითება ლიტერატურაზე). დაღუპული მიჰრანი არ უნდა გულისხმობდეს მეფე მირიანს (იქვე).

110. იხ. მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 36, 37.
111. Christensen A., დასახ. ნაშრომი, გვ. 102.
112. ქც, I, გვ. 67.
113. იქვე, გვ. 121.
114. მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 101.
115. იქვე, გვ. 162.
116. ქც, I, გვ. 126.
117. მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 148, 149.
118. იქვე, გვ. 150. უკეთ გაგების მიზნით, ტექსტი მოგვაქვს ორივე, შატბერდული და ჭელიშური, რედაქციიდან შერეულად.
119. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. I, თბ., 1977, გვ. 170 და შემდ.
120. მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 90; მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 59.
121. Géographie de Moïse de Corène d'après Ptolémée. Texte arménien traduit en français par le p. Arsène Soukry Mekhitariste, Venise, 1881, p. 29.
122. ჩხეტია შ. ნილკნელის სარგოს გარიგების წიგნი 1660 წლისა. კრებული: „საისტორიო მოამბე", ტ. II, ტფ., 1925, გვ. 24.
123. მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 89.
124. ქც, I, გვ. 126.
125. იქვე, გვ. 128.

2. ქართლი IV ს–ის მეორე და V ს–ის პირველ ნახევარში

ქართლში IV ს–ის 20–იან წლებში მომხდარი უაღრესად მნიშვნელოვანი კულტურული პროცესები, კერძოდ 326 წელს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, რაც ფაქტობრივად, მისი დასავლური პოლიტიკური ორიენტაციის საერთაშორისო დემონსტრაციას ნიშნავდა, რა თქმა უნდა, ირანისთვის შეუმჩნევლად ვერ ჩაივლიდა, რადგან ამ უკანასკნელს, როგორც ვიცით, თავისი პოლიტიკური მიზნები გააჩნდა ქართლის მიმართ. მაგრამ ირანს პირველ ხანებში რეაქცია არ ჰქონია. ეს, ცხადია, იმით არ ყოფილა გამოწვეული, რომ 298 წ–ის ნიზიბინის ზავი ორმოც წელზე იყო გათვლილი. საქმე ის არის, რომ ირანში გამეფებული ცხრა წლის შაბურ II–ის (309–379 წწ.) ზეობის პირველი ოცდაათი წლის შესახებ, ფაქტობრივად, არაფერია ცნობილი. ეს გარემოება, რომ სრულწლოვანების შემდეგაც ბევრმა წელმა გაიარა, ვიდრე შაჰანშაჰი რევანშის ომს დაიწყებდა რომაელებთან, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მას რაღაც შინასახელმწიფოებრივი სიძნელეების გადალახვა სჭირდებოდა პირველ რიგში[1]. რომ სომხეთში და საერთოდ ამიერკავკასიაში ამასობაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები ირანისთვის დიდ პოლიტიკურ პრობლემებს ქმნიდა, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ მოაგვარა თუ არა შინაპოლიტიკური საკითხები 338 წელს შაბური პირველ რიგში სომხეთში შეიჭრა და სცადა ამ ქვეყნის დამორჩილება. ამისათვის იგი ოსტატურად იყენებდა ურთიერთმტრობას სომეხ წარჩინებულთა (ნახარართა) შორის[2]. ომი, ფაქტობრივად, რამდენიმე ათეულ წელიწადს გაგრძელდა. შესაძლებელია არც იყოს გაზვიადებული V ს–ის სომეხი ისტორიკოსის ფავსტოს ბუზანდის ცნობა, რომ „სომხეთის ქვეყანა ოცდათოთხმეტი წლის განმავლობაში ეომებოდა სპარსეთის მეფეს“. მისივე სიტყვებით, ომით შეწუხებული სომხები ეუბნებიან მთავარეპისკოპოს ნერსესს: „უფალო, შენ თვით იცი, რომ უკვე ოცდაათი წელიწადია ჩვენი მეფის, არშაკის ჟამს, ომისგან არც ერთი წელი მოსვენება არა გვაქვს“[3].

შემდგომში ომის ძირითადმა ასპარეზმა შუამდინარეთში გადაინაცვლა, მაგრამ შაბურს ამიერკავკასიაში მნიშვნელოვანი წარმატებისთვის მიუღწევია, რამდენადაც ალვანეთი

უშუალოდ დაუმორჩილებია და ვასალურ სახელმწიფოდ უქცევია. ეს ჩანს იქიდან, რომ 359 წ. ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ქალაქ ამიდასთან ბრძოლის წინ, სპარსეთის ლაშქრის დასაზვერავად წასულ ამიანე მარცელინეს, სახელოვან რომაელ ისტორიკოსს და მეომარს, თავისი თვალით უნახავს შაბურ II–ის ხელმარჯვნივ მდგომი ალვანეთის მეფე[4]. თვით ბრძოლის დროს კი ალვანელები ქალაქს, მისივე სიტყვით, ჩრდილოეთის მხრიდან უტევდნენ[5].

ამ დროისათვის სპარსეთის შაჰს ქართლზე ხელი არ მიუწვდებოდა და ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი ქვეყანა იყო, რომელიც ამ ომში ნეიტრალიტეტს იცავდა. ჩანს, იყო მცდელობა სპარსეთის მხრიდან იბერთა მიმხრობისა რომაელთა წინააღმდეგ. ბუნებრივია, ქართლის მეფე მძიმე მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო: მისი აღმოსავლეთის მეზობელი, ალვანეთის სამეფო, სპარსელთა უშუალო გავლენის ქვეშ მოქცეულიყო, სამხრეთის მეზობელი, სომხეთი, ფაქტობრივად, დიდი ხანია, რაც სპარსეთთან საომარ ვითარებაში იყო, თუმცა, როგორც ჩანს, შაბური შიგადაშიგ ცდილობდა გამოეყენებინა მისი მომხრე ნახარარები, აეძულებინა არშაკ სომეხთა მეფე დაზავებოდა მას და თავისკენ გადმოებირებინა. ქართლის მეფე მირიანს არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ სომხეთის დაპყრობის შემდეგ ჯერი ქართლზეც მიდგებოდა. ამიტომ მისი მდგომარეობა ორჭოფული იყო. ამას კარგად ხედავდნენ რომაელებიც და ამიტომაც იყო, რომ იმავე ამიანე მარცელინის ცნობით 361 წელს „ტიგრს გადაღმელ მეფეებთან და სატრაპებთან უხვი საჩუქრებითურთ ელჩები იქნენ გაგზავნილნი, რათა ყველასათვის მოეწოდებინათ და ჩაეგონებინათ, ჩვენთვის თანაეგრძნოთ და არაფერ მოტყუებას ანდა ღალატს ცდილიყვნენ. მაგრამ ყველაზე უფრო მეტად მოქრთამულ იქნენ არშაკი და მერიბანი, არმენიისა და იბერიის მეფეები ბრწყინვალედ შემკული სამოსით და მრავალნაირი საჩუქრებით, რადგან თუ, მაშინდელ საეჭვო ვითარებაში სპარსელებს მიუდგებოდნენ, ავნებდნენ რომის საქმეებს"[6].

როგორც ვხედავთ, მირიანის დროს ქართლის სამეფოს ისეთი სიძლიერისათვის მიუღწევია, რომ იმპერატორი საგანგებო ღონისძიებას მიმართავს მისი მოკავშირეობის შენარჩუნებისათვის.

363 წელს, როგორც იქნა, ოცდახუთწლიანი ომის შემდეგ, ზავი დაიდო რომსა და სპარსეთს შორის. ეს ზავი ფაქტობრივად აღმოსავლეთში ირანის უპირატესობას აღიარებდა და რომის იმპერატორი შაჰანშაჰს უბრუნებდა იმ მიწებს, რომლებიც ნიზიბინის ზავით რომს გადაეცა, თვით ქალაქი ნიზიბინიც და სინგარაც ჩრდილოეთ მესოპოტამიაში სპარსელთა ხელში გადადიოდა. ამას გარდა სომხეთი თითქოს დამოუკიდებელ ქვეყნად ცხადდებოდა, რომელზედაც ირანიც ხელს იღებდა[7], თუმცა იმ პირობით, რომ ირან–სომხეთის კონფლიქტის შემთხვევაში რომი არ უნდა ჩარეულიყო და არ უნდა დახმარებოდა სომხეთს ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში[8]. ქართლი კვლავ რომის პროტექტორატის ქვეშ დარჩა[9], კერძოდ 368 წლისთვის სამეფო ტახტზე აქ საურმაგი (სავრომაკი) ზის, „რომელიც რომაელთა შემწეობით განაგებდა იბერიას“[10].

შაბურ II–მ, რომლის პოლიტიკაც არა მარტო სომხეთის, არამედ მთელი ამიერკავკასიის დაპყრობას გულისხმობდა[11], ბუნებრივია, დაარღვია საზავო ხელშეკრულება, შეიჭრა სომხეთში, ცბიერებით შეიპყრო მეფე არშაკი (350–368 წწ.), რომელიც პატიმრობაში მოკვდა[12]. ამის შემდეგ ქართლში შემოიჭრა და, „რათა ღალატით აღარაფერი დარჩენოდა შეუბღალავი, სავრომაკი გააძევა... და იმ ხალხის (იბერების, დ. მ.) გამგებლობა ვინმე ასფაგურს გადასცა; თანაც გვირგვინი დაადგა, რათა ჩვენი (რომაელების, დ. მ.) გადაწყვეტილებისადმი შეურაცხყოფა მიეყენებინა“[13].

ამგვარად, 298 წ–ის ნიზიბინის საზავო ხელშეკრულების დადების 70 წლის შემდეგ 368 წელს ირანმა პირველად მოაქცია ქართლი უშუალოდ თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ.

ძველი ქართლის სამეფოს ისტორიაში ეს დიდი პოლიტიკური ტეხილის მაჩვენებელი იყო და ამიტომ, ბუნებრივია, თუ ზემოაღნიშნული მოვლენა ქართულ ისტორიულ წყაროებშიც აისახა. ამ წყაროთა მიხედვით ქართლში ამ დროს მეფედ ვარაზ–ბაკური (ანუ – ამიანეს ასფაგური)[14] ზის. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით იგი მეფე მირდატის ძეა, მირიანის - შვილიშვილი. „ამის-ზე გამოგზავნა სპარსთა მეფემან ერისთავი სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა ზედა ხარკისა დადებად... (ვარაზ-ბაკურ) იყო იგი ჩუკენი და მოშიში: უკუჯდა იგი ჴევსა კახეთისასა, და აღაშენა ციხე ჴიდარს, და განამაგრნა ციხე-ქალაქნი... და მოვიდეს სპარსნი პირველად სომხითს, და

მოაოჴრეს სომხითი, და შემოვიდეს ქართლს". ირანელებმა რეზიდენციად თბილისი აირჩიეს და აქ ციხესიმაგრეც ააგეს ქართლის დედაქალაქის, მცხეთის საკონტროლოდ. „მაშინ ვარაზ-ბაქარ ეზრახა შევრდომით და ითხოვა მშვიდობა... და განუკუეთა ხარკი. ხოლო ერისთავმან სპარსთამან მოსცა ციხე ტფილისისა და წარვიდა. და მიერითგან იქმნნეს სომეხნი და ქართველნი სპარსთა მოხარკენი"[15].

„მოქცევაჲ ქართლისაჲ" უფრო ლაკონურად და ნიშანდობლივად გადმოსცემს იგივე ამბავს: „დადგა ვარაზ-ბაკურ მეფედ, და მისა ზევე სპარსთა მეფისა მარზაპანნი შემოვიდეს სივნიეთა და იგი ჴიდარდ უკუჯდა... და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ ბორზარდ სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალაქად, ციხედ, და ქართლი მისსა ხარკსა შედგა და სომხითი და სივნიეთი და გუასპურაგანი"[16].

როგორც ვხედავთ, ლათინური და ქართული ცნობები, თუმცა კი არსებითად, ერთნაირი შინაარსისაა (ქართლი ასფაგურ – ვარაზ–ბაკურის დროს სპარსელთა ხელქვეითი ხდება), მაგრამ განსხვავებაც საკმაოდ მნიშვნელოვანია: ამიანე მარცელინით შაჰინშაჰმა „სავრომაკი გააძევა, რომელიც რომაელთა შემწეობით განაგებდა იბერიას და ამ ხალხის გამგებლობა ვინმე ასფაგურს გადასცა"; ქართული წყაროებით კი ვარაზ-ბაკური სპარსელთა შემოსვლამდე მჯდარა უკვე ქართლის ტახტზე, სპარსელთა შიშით დროებით გადამდგარა (უკუჯდა), ხოლო შემდეგ შერიგებია სპარსელებს („ქართლის ცხოვრება").

თუ ამიანე მარცელინის ჩვენებაზე ეჭვის მიტანა შეუძლებელია, რასაც მისი ამ ამბის თანადამხდურობის გარდა, მოვლენათა შემდგომი განვითარება მოწმობს, ქართული წყაროც (კერძოდ, „მოქცევაჲს" ცნობა, რომელზედაცაა დამოკიდებული „ქართლის ცხოვრება",) ავთენტური უნდა იყოს, რისი დასტურიცაა, როგორც მისი ნიშანდობლივი კონკრეტულობა ასევე ის, რომ ეს ქრამ ხუარ ბორზარდი „პიტიახშად" იწოდება. ტერმინი „პიტიახში" კი პროვინციების გამგებლების აღსანიშნავად ირანში სასანური ეპოქის პირველ ხანებში იხმარებოდა. შემდეგ კი მას ცვლის იგივე მნიშვნელობით ტერმინი „მარზპანი", რომელიც პირველად ბარამ V გურის დროს (420–438) გვხვდება[17] ამდენად სავარაუდოა, რომ ცნობა „ქრამ ხუარ ბორზრად სპარსთა მეფისა პიტიახშის" შესახებ ავთენტუ-

რი უნდა იყოს. და ამდენადვე სანდო ჩანს ამ ცნობის შინაარსიც[18].

როგორ შევათანხმოთ ერთმანეთს ლათინური და ქართული ავთენტური ცნობები? თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ვარაზ-ბაკურს, როგორც ეს „ქართლის ცხოვრებიდან" კარგად ჩანს, თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა არ გაეწია ქართლში მომავალი სპარსელებისათვის წინააღმდეგობა და გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სომეხთა მიერ გამოგზავნილი მოციქული და თვით ქართული წარჩინებულებიც, ალბათ, რომაელთა დახმარების იმედით, მეფეს „ეტყოდეს წინააღდგომასა სპარსთასა", მან კი „არა ისმინა არცა სომეხთა, არცა წარჩინებულთა თჳსთა", ხოლო სპარსთა ქართლში შემოსვლის უმალ „ვარაზ-ბაქარ ეზრახა შევრდომით და ითხოვა მშვიდობა"[19], მაშინ სრულიად გაუგებარი იქნება, რისთვისღა „უკუჯდა იგი ჴიდარდ"?! ამიტომ სავარაუდოა, რომ „ჴიდარდ უკუმჯდარი" იგი სულ სხვა გარემოებისა გამო იყო, კერძოდ კი იმიტომ, რომ ჩვენთვის ამჟამად უცნობი შინაპოლიტიკური (დინასტიური?) ინტრიგების შედეგად რომაელებმა იგი გადააყენეს და მის მაგივრად დასვეს „სავრომაკი, რომელიც რომაელთა შემწეობით განაგებდა იბერიას". შესაძლებელია ამისი მიზეზი ყოფილიყო ის, რომ „ესე ვარაზ-ბაქარ მეფე იყო კაცი ურწმუნო და მოძულე სჯულისა, და ვერ იკადრებდა ერისაგან განცხადებად სჯულისა სიძულილისა, რამეთუ მოქცეულ იყო ქართლი და დიდსა სარწმუნოებასა შინა იყვნეს აზნაურნი და ყოველი ერი ქართლისა და ვარაზ-ბაქარ შიშისა მათისაგან ვერ განაცხადებდა დატევებასა სჯულისასა; არა სადა აღაშენა ეკლესია, არცარა მატა შენებულთა, და ყოვლითავე იქცეოდა უსჯულოდ"[20]. ასეთი მეფე რომაელთათვის სპარსეთის პოტენციური მოკავშირე მაინც უნდა ყოფილიყო. და ადვილი შესაძლებელია რომაული ორიენტაციის ზემოხსენებული „წარჩინებულების" და „აზნაურების" წყალობით იგი იძულებით „უკუმჯდარიყო ჴიდარდ", ხოლო მის მაგივრად დაესვათ სავრომაკი, რომელიც რომაელთა კრეატურა იყო.

ამგვარად, 368 წლის მახლობელ ხანაში ქართლში შემოსულ სპარსელებს (კვლავ?) ასფაგურ/ ვარაზ–ბაკური დაუსვამთ მეფედ.

ცხადია, იმპერატორი ვალენტი მისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი მოკავშირე ქვეყნის დაკარგვას ასე ადვილად ვერ

შეეგუებოდება, მაგრამ პირველ ხანებში იგი სომხეთის ამბებითაა დაკავებული, სადაც სპარსელები საბოლოოდ გაბატონებას აპირებდნენ. მოკლული სომეხთა მეფის, არშაკის, შვილი პაპი რომის ქვეშევრდომობაში შედის და იმპერატორი ვალენტი ცდილობს მასთან შეფარებული ახალგაზრდა უფლისწული სომხეთის ტახტზე დასვას, გარკვეული სიფრთხილის დაცვით, რომ 363 წლის ხელშეკრულების სათანადო პირობა დარღვეული არ იყოს. შაბურ II ამას მაინც სომხეთის შინაგან საქმეებში ჩარევად თვლის. როგორც ამიანე მარცელინე გადმოგვცემს, „საქმეთა ეს ვითარება რომ შეიტყო, შაბური არაადამიანურად განრისხდა და შეკრიბა რა დიდი ჯარი, შეუდგა არმენიის აშკარად მოოხრებას"[21] პაპი გარბის ტაოს მთებში და იქ ხუთი თვის განმავლობაში ემალება სპარსელთა მდევრებს[22] მთელი სომხეთის დაკარგვის რეალური საშიშროება დგება და იმპერატორი ვინმე არინთეევსს აგზავნის იქ ლაშქრითურთ, რომ სპარსელთა თარეში რამდენადმე ალაგმოს, რადგან სხვაგვარად „მთელი სომხეთი დაიკარგებოდა უდამცველებოდ" შაბური ელჩების საშუალებით მოითხოვს რომაელთაგან სომხეთის საქმეებში ჩაურევლობის პირობის დაცვას. რომი უარზეა[23] და, ფაქტობრივად, თვით გადადის შეტევაზე.

ამიანე მარცელინე მოგვითხრობს, რომ იმპერატორმა ვალენტმა გადაწყვიტა ქართლის საქმეებიც მოეგვარებინა. ამიტომ „სავრომაკი (როგორც წინათ ვთქვით), იბერიის სამეფოდან გამოძევებული, თორმეტი ლეგიონითა და (სარდალ) ტერენციუსითურთ გაიგზავნა უკან. უკვე მდინარე კიროსს (მტკვარს) რომ მიუახლოვდა, ასფაგური შეეეედრა მას, როგორც ნათესავებმა ერთად ვიმეფოთო; იმ მიზეზით რომ არც გადადგომა შეეძლო, არც რომაელების მხარეს გადასვლა, რადგან მისი ძე ულტრა აქამდე მძევლის წესით სპარსელებს ჰყავდათ"[24]

ამგვარად, რომი აშკარა შეტევაზე გადავიდა და თუ აქამდე სომხეთთან დაკავშირებით საკმაოდ ფრთხილ პოლიტიკას ატარებდა, რამდენადაც 363 წლის ზავის ზემოხსენებული პირობებით.შეზღუდული იყო, ამ შემთხვევაში ეს გარემოება მას არ აბრკოლებდა, რადგან იმავე საზავო ხელშეკრულებით ქართლი მისი პროტექტორატის ქვეშ უნდა დარჩენილიყო.

ეს ლაშქრობა ქართლში ვალენტს 373 (ან, მაინცდამაინც, 372) წელს უნდა განეხორციელებინა. ამას მოწმობს IV ს–ის გამოჩენილი რიტორის, თემისტიოსის ერთ–ერთი სიტყვა (Oratio XI), რომელიც მან წარმოთქვა კონსტანტინოპოლის სენატში 373 წელს, იმპერატორ ვალენტის თანდასწრებით. ამ სიტყვაში იგი აქებს ვალენტის მხედართმთავრულ ნიჭს, კერძოდ სპარსელებთან ურთიერთობისას, და საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მისი „სარდლები იმნაირად დგანან გარშემო ცალ–ცალკე, რომ ერთი ცდილობს ხელთ იგდოს კავკასია, მეორე ალბანელებს და იბერიელებს ებრძვის, სხვა კიდევ არმენიელებს იცავს“[25]. ცხადია, ამ პანეგირიკში რეალური ვითარება უნდა იყოს ასახული და, კერძოდ, ის, რომელიც ამიანე მარცელინის ზემომოყვანილი კონტექსტითაც დასტურდება: არინთევსი იცავს სომხეთს, ტერენციუსი კი ლაშქრობს ქართლში!

ასფაგურის წინადადება, ჩანს, ტერენციუსმა იმპერატორს შეატყობინა (თემისტიოსის მიერ მის წინაშე წარმოთქმული სიტყვისას ვალენტმა ამის შესახებ, სავარაუდოა, არაფერი იცოდა!). ამიანე მარცელინე მოგვითხრობს: „ეს რომ იმპერატორმა შეიტყო, რათა გონიერი განსჯით გაერიგებინა ამის გამო კიდევ მოსალოდნელი უთანხმოებანი, დათანხმდა იბერიის გაყოფას ისე, რომ საზღვრად შუაში მდინარე კიროსი (მტკვარი) დადებულიყო და სავრომაკს არმენიისა და ლაზების მოსაზღვრე (მხარე) რგებოდა, ასფაგურს კი – ალბანიისა და სპარსელების მომიჯნავე“[26].

როგორც ვხედავთ, 373 წელს ერთიანი ქართლის სამეფო ორ, რომაულ და სპარსულ, ნაწილად იქნა გაყოფილი, თითოეულში საკუთარი მეფით. ესეც ფრიად დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური მოვლენა იყო ქვეყნის ისტორიაში და ამდენადვე მოსალოდნელია, იგი ასახულიყო ძველქართულ წყაროებში. მართლაც, „ქართლის ცხოვრებაში“, მას შემდეგ რაც მთავრდება თხრობა სპარსელთა ქართლში შემოსვლისა და მისი დახარკვის შესახებ ანუ 368 წლის ახლო მოვლენებზე, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი, მემატიანე აღნიშნავს: „და ამისა შემდგომად განდგეს კლარჯნი ვარაზ–ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა. და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღუთგან არსიანთამდე. და დარჩა ვარაზ–ბაქარს ქართლი თჳნიერ კლარჯეთისა“[27] ბერძნებს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მხოლოდ კლარჯეთი კი არ წაუღიათ, არა-

მედ, „საზღვარი (ტერიტორია) ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღვთგან ვიდრე არსიანთამდე, და ჴევნი რომელნი მოსდგმანან ღადოთა“[28]. ღადო ეწოდებოდა ანინდელ აჭარა–ახალციხის ქედს[29] და მისი სამხრეთიდან მიმდგომი „ჴევები“ პირველ რიგში, სამცხე და აჭარა უნდა ყოფილიყო. აი, სწორედ ბერძენთა მიერ წაღებული ეს „საზღვარი ქართლისა“ ანუ, ფაქტობრივად, გვიანდელი „მესხეთი“ უნდა ყოფილიყო საურმაგის წილხდომილი ქვეყანა[30]. როგორც ვიცით, ქართლის ამ ორ ნანილს ერთმანეთისაგან ჰყოფდა მდ. მტკვარი იმგვარად, რომ „სავრომაკს არმენიისა და ლაზების მოსაზღვრე (მხარე) ერგო, ასფაგურს კი – ალბანიისა და სპარსელების მომიჯნავე“. რომაელი ისტორიკოსის ამ ცნობის შეთანაპირება ძველქართულ წყაროსთან ცხადყოფს, რომ მტკვარი საზღვრად მთელს მის სიგრძეზე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, არამედ მხოლოდ მის ზემო დინებაში, არტაან–სამცხის ტერიტორიაზე. ამდენად, კლარჯეთისა და სამცხე–აჭარის გარდა, რომაელებს არტაან–ჯავახეთის ნაწილიც მტკვრამდე მიუტანიათ[31]. ასეთი კონიექტურა ეთანხმება რომაელი ისტორიკოსის იმ მითითებას, რომ საურმაგის წილი ქვეყანა ეგრისსა და სომხეთს ემიჯნებოდა (ე. ი. ფაქტობრივად ლაზეთს და ტაოს), ხოლო ასფაგურისა – ალვანეთს და სპარსეთს. რამდენადაც აღმოსავლეთი სომხეთი ამ დროს შაბურ II–ეს უკვე დაპყრობილი ჰქონდა[32], ამდენად, მემატიანესათვის ეს მხარე „სპარსეთი“ იყო.

ამრიგად, 373 წელს, რომაული და ძველქართული წყაროების თანხმობლივი ჩვენებით, ქართლის ერთიანი სამეფო ორად იქნა გაყოფილი, სპარსეთის და რომის გავლენის სფეროებად. მართალია, ქართულ წყაროში არ გვაქვს მითითება, რომ ბერძნებისაგან (რომაელთაგან) მიტაცებული ქვეყანა ასევე „სამეფო“ იყო (კაცმა რომ თქვას, არც ამიანე მარცელინი ამბობს ამას პირდაპირ!), მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არსებითი არ არის და შესაძლებელია ქართული წყაროს პოლიტიკური ორიენტაციით აიხსნას[33].

საქმის ასეთი ვითარებით, ცხადია, შაბურ II განაწყენებული დარჩა, რადგან „მისი თანხმობის გარეშე და მის უცოდინრად გადაწყდა იბერიის სამეფოს გაყოფა“[34]. იგი კვლავ ახალი ომისათვის სამზადისს შეუდგა. მანამდე კი იმპერატორს ელჩი გაუგზავნა და სომხეთის სრული განთავისუფლე-

ბა მოითხოვა. იგი ვალენტს უთვლიდა აგრეთვე, „რომ იბერიის გაყოფისათვის თავი დაენებებინა, გამოეყვანა იქიდან რომაული ნაწილის მეციხოვნე ჯარი და დაენებებინა მეფობა მხოლოდ ასფაგურისათვის, რომელიც თვითონვე დაუდგინა გამგებლად იმ ხალხს. ამაზე ვალენტმა ამნაირი პასუხი გასცა: არაფრის შეცვლა არ შემიძლია იმაში, რაშიც ერთობლივ შევთანხმდითო"[35].

ეს ხდება 374 წელს სომხეთის მეფის პაპის რომაელთაგან მკვლელობის შემდეგ და, ჩანს, რომ ქართლის რომაულ ნაწილში რომაული გარნიზონი დგას. ეს ბუნებრივიც არის და ასევე უნდა ყოფილიყო ქართლის მეორე ნაწილში, სადაც, ცხადია, სპარსული მეციხოვნეები უნდა მდგარიყვნენ. ამ მოლაპარაკებიდან ისიც ჩანს, რომ პროტესტების მიუხედავად, მანამდე შაბურს de facto უცვნია იბერიის გაყოფა. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს ვალენტის პასუხი, რადგან აქ არ შეიძლება იგულისხმებოდეს 363 წლის შეთანხმება, სადაც იბერიის ორად გაყოფაზე საუბარი არ ყოფილა.

უნდა შევეხოთ ერთ საკითხს. სომეხი ისტორიკოსის, ფავსტოს ბუზანდის ცნობით, სწორედ ამ პერიოდში, IV ს–ის 70–იანი წლების დასაწყისში სომხეთის სპარაპეტი (მხედართმთავარი) მუშეღ მამიკონიანი აწყობს გრანდიოზულ, შეიძლება ითქვას, გლობალურ ლაშქრობას სომხეთის სამეფოს საზღვრებზე ყველა მიმართულებით, მანამდე, სპარსეთთან ხანგრძლივი ომის შედეგად, მისგან გამოყოფილი ქვეყნების უკან დასაბრუნებლად. ისტორიკოსის მიხედვით მუშეღს დაულაშქრავს და შემოუერთებია სომხეთისათვის ტიგროსის ზემო წელი სათავეების ჩათვლით (ქვეყნები: ალძნიქი, მეწ–წოფქი, ანგელტუნი, ჰანძითი, ნორშირაკანი, კორდუქი) მტკვარ–არაქსის ქვემო წელის აუზამდე (ფაიტაკარანი, კასპები), მთელი სამხრეთი ალვანეთი (ქვეყნები: უტი, შაკაშენი, გარდმანაძორი, არცახი ანუ დღ. ყარაბაღი), მთელი იბერია[36]. ფავსტოსის მონათხრობის ფანტასტიკურობის და ამდენადვე მისი სიყალბის საჩვენებლად საკმარისია მისი „სომხეთის ისტორიის" V წიგნის, XV თავის - „იბერთა შესახებ" - მონათხრობი: მას შემდეგ, რაც ტიგროსის ზემო წელის და მტკვარ-არაქსის ქვემო წელის რეგიონი დაუმორჩილებია, „სპარაპეტი მუშეღი წავიდა იბერიის მეფის წინააღმდეგ, სასტიკად შეავიწროვა და დაარბია იგი, დაიპყრო იბერთა მთელი ქვეყანა, ხმლით შემუსრა

ყველა აზატი (=აზნაური) და ყველა ნახარართა (=ერისთავთა) გვარი, ვინც კი იპოვა. სპარაპეტმა მუშელმა ბრძანა ჯვართ ეცვათ ფარნავაზიანები იბერთა ქვეყანაში, ხოლო გუგარქის (-ქართლის) პიტიახში, რომელიც ადრე სომეხთა მეფეს ემსახურებოდა და ბოლოს აუჯანყდა, შეიპყრო, თავი მოჰკვეთა და აღმოფხვრა მისი გვარის მამაკაცთა მოდგმა, ქალები და ქალიშვილები კი ტყვედ წაიყვანა. საერთოდ ამ ქვეყნის ყველა ნახარარს, რომელიც სომეხთა მეფის წინააღმდეგ აჯანყდა, წაჰკვეთა თავები, მთელი გავარი (=მხარე, კუთხე) ხელახლა დაიპყრო, აიყვანა მძევლები, დანარჩენნი დახარკა. და დაიჭირა რა ტერიტორია ძველ საზღვრამდე, რომელიც არსებობდა სომხეთსა და იბერიას შორის ანუ - დიდ მდინარე მტკვარამდე, უკან დაბრუნდა"[37].

მამიკონიანების მეხოტბე სომეხი ისტორიკოსის ფრიად ექსპრესიული მონათხრობიდან, რომელიც კარგად წარმოაჩენს მის ფსიქოლოგიას, მგონია, მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ მას სასურველი სინამდვილედ მიაჩნია.

ჯერ ერთი, სხვა შემთხვევასთან დაკავშირებით, უკვე მითითებული იყო იგივე ისტორიკოსის ცნობა, რომელიც სწორედ ჩვენთვის საინტერესო პერიოდსა და მოვლენებს შეეხება: „ჩვენი სომხეთის ქვეყანა ოცდათოთხმეტი წლის განმავლობაში ეომებოდა სპარსეთის მეფეს, რის გამო ორივე მხარე დაშვრა, დაიღალა, დამარცხდა და სულიერად დაეცა"[38]. მეორეგან ფავსტოსი აღნიშნავს, რომ სომხეთის საზოგადოება, ნახარარებიდან დაწყებული სოფლის მამასახლისებამდე, შეიკრიბა მთავარეპისკოპოს ნერსესის წინაშე და განუცხადა: „უფალო, შენ თჳთ იცი, რომ უკვე ოცდაათი წელიწადია ჩვენი მეფის, არშაკის ჟამს, ომისაგან არც ერთი წელი მოსვენება არ გვქონია... ჩვენ მეტის მოთმენა არ შეგვიძლია, აღარ შეგვიძლია ომი"[39]... აი, ამის შედეგი იყო, რომ სხვასთან ერთად, „გუგარქის პიტიახში, ხოლო მის შემდეგ ძორის გავარის უფალი, კოლბის გავარის მფლობელი, მათთან ერთად გარდმანაძორის მფლობელი და ყველანი, ვინც ამ მხარეებში, მახლობლად და ირგვლივ იყვნენ, ერთად აჯანყდნენ არშაკ სომეხთა მეფის წინააღმდეგ და წავიდნენ და წარუდგნენ სპარსთა მეფე შაბურს"[40]. ეს ვითომ უნდა მომხდარიყო IV ს–ის მეორე ნახევარში[41]. თვით ფავსტოსის ქრონოლოგიითაც ეს უნდა მომხდარიყო ამ საუკუნის 60–იანი წლების ბოლოს (338+30=668) ან 70–

იანის სულ დასაწყისში (338+34=372). და განა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ სულიერად და ფიზიკურად ქანცგაწყვეტილ სომეხთა ლაშქარს ასეთი გრანდიოზული ომი წამოეწყო მთელი ქვეყნის საზღვრებზე?

ცნობის კონკრეტული შინაარსის მიხედვითაც იგი აშკარად ნაყალბევია: ფავსტოსი ჯერ მოგვითხრობს, რომ მუშელმა „იბერთა მთელი ქვეყანა დაიპყრო" და აქ გაუგონარი გენოციდი განახორციელა (საინტერესოა, რომ არსად სხვა მის მიერ დაპყრობილი ქვეყნის მიმართ ასე დაწვრილებით არ არის საუბარი გლობალური ჟლეტის და მისი შესრულების ტექნოლოგიის შესახებ!), შემდეგ კი ირკვევა, რომ მხოლოდ ქვემო ქართლი („გუგარქის ბდეშხის გავარი") დაუმორჩილებია, იბერია–არმენიის საზღვარი „ძველებურად" მტკვარზე დაუდია. ცხადია, ეს ვითარებაც ცნობის ნატყუარობაზე მეტყველებს.

დასასრულ, საინტერესოა, შესაძლებელი კი იყო საერთოდ, რომ ქვემო ქართლის პროვინცია, რომელიც მეფე მირიანის დროს, როგორც ვნახეთ, ქართლის სამეფოს ფარგლებში იყო მოქცეული, დროის რაღაც მონაკვეთზე, სომეხთა მეფე არშაკის დროს (450–468), სომხეთს კვლავ მიეტაცა და შემდეგ ისეთ მოვლენებს ჰქონოდა ადგილი, რაზედაც ფავსტოს ბუზანდი მოგვითხრობს. თეორიულად ასეთ პერიპეტიებს, რა თქმა უნდა, ვერ გამოვრიცხავთ, რამდენადაც ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში (და, ცხადია, უფრო ძველადაც) ერთ ბრძოლას შეიძლება მთელი ქვეყნის პოლიტიკური ბედი გადაეწყვიტა. ეს ასეა, მაგრამ გვაქვს კი საამისო მონაცემები ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის?

60–იანი წლების ბოლოსთვის და 70–იანი წლების დასაწყისისთვის, კერძოდ 368–373 წლებს შორის ანუ, ფაქტობრივად, ზუსტად იმ პერიოდში, რომელსაც სომეხი ისტორიკოსის ცნობები გულისხმობს, ეს სრულიად გამორიცხულია. გამორიცხულია ამიანე მარცელინის ზემოხსენებული მონაცემებით, რომლებიც საურმაგის და ასფაგურის ურთიერთობებს შეეხება. საქმე ის არის, რომ 368 წ–მდე რომი, ხოლო 368 წ–დან სპარსეთი აკონტროლებდა ქართლის სამეფოს ტერიტორიას და აქ 70–იანი წლების დასაწყისში ფავსტოსის მოთხრობილის მსგავს რაიმე აქციას რომ ჰქონოდა ადგილი, ცხადია, ეს ირანის პოლიტიკური სუვერენიტეტის შელახვად იქნებოდა აღქმული და ამდენად ძნელი დასაშვებია, ირანის სა-

წინააღმდეგო ეს დემარში, ერთი მხრივ, შაბურს უყურადღებოდ დაეტოვებინა, მეორე მხრივ კი, ეს არ ასახულიყო ამიანე მარცელინესთან. მარტო ის, რომ ქართლის ორად გაყოფისას ეს უკანასკნელი საზღვრად ხაზგასმით მდ. მტკვარს ასახელებს, სრულიად მხოლოაზროვნად გულისხმობს, რომ მტკვრის სამხრეთი ტერიტორია ქართლის ერთ-ერთ ნაწილში (ჩვენი აზრით, ასფაგურის წილ ანუ სპარსეთის კონტროლს დამორჩილებულ მხარეში) შედიოდა. ამდენადვე გამორიცხულია აქ მუშელ მამიკონიანის პარპაში და ამის შედეგად აქ ვითომ სომხეთის მეფის იურისდიქციის დამყარება[42].

უფრო ადრეც რომ ასეთივე ვითარებაა, ამაზე მიგვითითებს მოვსეს ხორენაცისთან შემონახული ერთი ცნობა: არშაკ სომეხთა მეფის წინააღმდეგ შეთქმული ნახარარების ჩივილის შედეგად შაბურ II-მ სომხეთში „გამოგზავნა ერთი თავისი სარდალი სომხური რაზმებით, რათა შეეპყროთ არშაკი, თუკი ეს შესაძლებელი გახდებოდა. არშაკმა თავი დააღწია მათ, შეუკავშირდა ქართველებს და გაიქცა კავკასიონის მხარეებისაკენ"[43]. ცოტა ხანში არშაკი „დაბრუნდა ქართველთა რაზმებით, შემოიკრიბა თავისი მცირერიცხოვანი ერთგული (ქვეშევრდომებიც) და შეებრძოლა იმ ნახარარებს, რომლებზეც უნდოდა შური ეძია"[44] აქედან აშკარაა ქართველების (იგულისხმება მირიან მეფის) კეთილგანწყობილება არშაკისადმი, რასაც ცხადია ადგილი არ ექნებოდა ამ უკანასკნელს ქვემო ქართლის პროვინცია მიტაცებული რომ ჰქონოდა. მართლაც, თვით მირიანს კი იგივე მოვსეს ხორენაცი, როგორც უკვე ვიცით, „ქართველთა ნინამძღოლს და გუგარელთა პიტიახშს" უნოდებს, რაც იმის მოწმობაა, რომ ქვემო ქართლი მის დროსაც ქართლის სამეფოს პროვინციაა[45].

ამგვარად, სომეხი ისტორიკოსის, ფავსტოს ბუზანდის ცნობა მუშელ მამიკონიანის მიერ ქართლის სამეფოს დარბევისა და სომხეთისათვის ქვემო ქართლის (გუგარქის საპიტიახშოს) მიერთების შესახებ ნაყალბევია და არავითარ რეალურ-ისტორიულ საფუძველს არ ეყრდნობა. ასევე არარეალურია, მაინცდამაინც, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, მისივე ცნობა, თითქოს არშაკ სომეხთა მეფის დროს ქვემო ქართლის პროვინცია სომხეთის სამეფოში შედიოდა თავდაპირველად და მხოლოდ შემდეგ გუგარელთა პიტიახშის, ძორისა და კოლბის უფალთა აჯანყების შედეგად გამოეთიშა და ქართ-

ლის სამეფოს შეუერთდა. მაგრამ ეს უკანასკნელი ცნობა, სრულიად არაკორექტული IV ს–ის 30–60–იანი წლებისთვის, თავისთავად შესაძლებელია ოდესღაც მომხდარი რეალური ფაქტის ამსახველი გადმოცემა იყოს, კერძოდ, IV ს–ის დასაწყისის ვითარების ანარეკლი, როდესაც 298 წლის ნიზიბინის საზავო ხელშეკრულებით სომხეთზეც და ქართლზეც რომის პროტექტორატი დამყარდა, რის შედეგადაც იმპერატორს უნდა მოეგვარებინა დიდი ხნის სადავო ტერიტორიული საკითხი ამ ორ ქვეყანას შორის (იხ. ზემოთ, § 1)[46].

თუმცა კი სომეხთა პრეტენზიები IV ს–ში ქვემო ქართლზე, როგორც ვნახეთ, არარეალურია, მაგრამ შაჰანშაჰი შაბურ II თავის ხანგრძლივი მეფობის ბოლო წლებშიც ცდილობს ორად გაყოფილი ქართლი კვლავ თავის ხელქვეით გააერთიანოს. როგორც ჩანს, მას მოუხერხებია და რომაელთა გარნიზონი, დატოვებული საურმაგის წილხვედრ ქვეყანაში, გამოუძევებია, თუმცა კი თვით რომაელთა კრეატურა საურმაგისათვის ხელისუფლების წართმევა ამჯერად ვერ მოუხერხებია. ეს ჩანს იქიდან, რომ იმპერატორ ვალენტის ელჩები შაბურისაგან კატეგორიულად მოითხოვენ, „რომ თუ მომავალი წლის დამდეგს (როგორც გადაწყვეტილია) სავრომაკის მცველი ჯარი დაუბრკოლებლივ არ იქნებოდა დაბრუნებული, შაბურს აიძულებდნენ უნებურად გაეკეთებინა ის, რის გაკეთებაზეც ნებით უარს ამბობდა“[47], ანუ რომაელები ძალით აპირებდნენ გარნიზონის უკან დაბრუნებას, რაც ფაქტობრივად, ომის დაწყების მუქარა იყო. შემდგომში მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა და რომაელები 378 წლის გაზაფხულისთვის უკვე აშკარად ომის დაწყებას აპირებდნენ. რადგან მშვიდობიანი მოლაპარაკებით თავის საწადელს ვერ მისწვდა, შაბურმა „უზომოდ გაჯავრებულმა, რადგან შეეტყო, რომ ჩვენი (რომაელთა) გამგებელი ლაშქრობისთვის ემზადებოდა“, ბრძანება გასცა თავის დიდმოხელე სურენას, რომ რომაელთაგან წაღებული სომხეთის ნაწილი „იარაღით დაებრუნებინა უკანვე, თუ ვინმე წინაღუდგებოდა; აგრეთვე სავრომაკის დასაცავად გამნესებული ჯარისკაცებისთვისაც [რაც კი შეიძლებოდა] უსასტიკესად ევნო“[48]. ეს, ფაქტობრივად, ნიშნავდა ომით ქართლის რომაული ნაწილის შემოერთებას.

დიდ კონფლიქტამდე, როგორც ჩანს, საქმე არ მისულა, რადგან მდ. დუნაიზე გადმოსული გოთების ურდოები სწორედ

ამ დროს აღმოსავლეთი რომის იმპერიის არსებობას დაემუქრნენ. სწორედ 378 წლის გაზაფხულისთვის ვითარება ძალიან დაიძაბა და იმპერატორ ვალენტს მთელი ძალების მობილიზაცია დასჭირდა და, კერძოდ, აღმოსავლეთში განლაგებული ჯარების განვევაც[49] 9 აგვისტოს კი მოხდა გადაწყვეტი ბრძოლა ადრიანოპოლთან, რომელშიც რომაელთა ლაშქარი სასტიკად დამარცხდა და თვით იმპერატორი ვალენტიც დაიღუპა.

ამიტომ, ცხადია, რომაელებს ამჯერად სომხეთ–იბერიისთვის აღარ ეცალათ და, ჩანს, შაბურმა თავის საწადელს მიაღწია. ამიანე მარცელინის ცნობით, სურენასადმი ზემოხსენებული ყველა „ეს განკარგულებანი (როგორც ბრძანა) სასწრაფოდ ასრულდა კიდეც და ვერც ვერაფერი ეშველა საქმეს, ვერც დასჯილი იქნენ, ვინაიდან რომის სახელმწიფოს სხვა საფრთხეც დაატყდა თავს მთელი გოთიის თავხედური თავდასხმით თრაკიაზე"[50].

ამგვარად, 378 წ. ქართლის სამეფო ირანის შაჰანშაჰის მცდელობით და მის ხელქვეით კვლავ უნდა გაერთიანებულიყო[51]

ვითარება მაინც არასტაბილური რჩებოდა. 379 წ. შაბურ II გარდაიცვალა. მისი მემკვიდრეები, არდაშირ II (379–383), შაბურ III (383–388) და ბარამ IV (388–399) სუსტი მმართველები იყვნენ. პირველი მათგანი გადაყენებულ იქნა წარჩინებულთა მიერ, ხოლო ორი დანარჩენი – მოკლული. ირანში შინაარეულობა სუფევდა[52]. ამით ისარგებლა, ჩანს, რომის იმპერატორმა თეოდოსი დიდმა (379–395) და 80–იანი წლების დასაწყისში აღადგინა რომის პროტექტორატი ქართლზე. ამაზე გვარწმუნებს ზემოთ ერთხელ უკვე ხსენებული, გამოჩენილი რომაელი რიტორის, თემისტიოსის „სიტყვები ". ასე მაგალითად, თუკი 381 ნელს თეოდოსი დიდისადმი მიმართულ სიტყვაში (Oratio XV) ნახსენები „არმენიელთა და იბერიელთა რაზმები", რომლებიც იმპერატორის სამსახურში არიან, შეიძლება ვიფიქროთ, ქართლიდან წასულ იმ მოლაშქრეებს გულისხმობს, რომლებიც სპარსელთა გაბატონების შემდეგ საურმაგს უნდა გაჰყოლოდნენ საბერძნეთში[53], ამას ვერ ვიტყვით იმავე 80–იან წლებში წარმოთქმულ სხვა სიტყვაში (Oratio XVI) ხსენებულ იბერებზე, „რომლებიც რომაელებს წინ მიუძღვიან ამ ქვეყნის კიდით–კიდემდე". საქმე ის არის, რომ ამავე ორაციო-

ში აღნიშნულია, რომ „რომაელთა სარდლებმა გაიარეს კასპიის კარები, გააძევეს არმენიიდან ალანები და საზღვრები დაუწესეს იბერებს და ალბანებს“[54]. ამ საინტერესო ჩვენების საფუძველზე საფიქრებელია, რომ იმ ხანებში ადგილი ჰქონია ალანთა შემოსევას, რომელთაც უსარგებლიათ შინაარეულობით ირანში და ამის შედეგად კავკასიონის ზეკარებზე მათგან კონტროლის შესუსტებით. ეს შემოსევა რომაელებისთვისაც სახიფათო ყოფილა და ამიტომ მათ „გააძევეს არმენიიდან ალანები“. თემისტიოსის მითითებით ამ ოპერაციის შესრულების დროს „რომაელთა სარდლებმა გაიარეს კასპიის კარები“. რამდენადაც აქ საუბარია ერთი მხრივ ალანებზე, ხოლო მეორე მხრივ, იბერებზე, ეჭვი არ არის, რომ „კასპიის კარები“ დარიალანს გულისხმობს. იმდროინდელი ისტორიული სიტუაცია, მგონია, გამორიცხავს, რომაელთა დარუბანდში გასვლას. მეორე მხრივ, თვით წყარო ისეთია (სიტყვა მიმართული თეოდოსი დიდისადმი საჯაროდ, მისი ღვაწლის აღსანიშნავად), რომ გამორიცხული უნდა იყოს არარეალური ფაქტის აღნიშვნა. ამდენად, ირკვევა, რომ რომაელთა ლეგიონებს დარიალის ხეობამდე შეუღწევიათ, ეს კი, ცხადია, იმის მოწმობაა – ქართლი, მაინცდამაინც ის ტერიტორია, რომელიც ამ სამეფოს ორად გაყოფის დროს ირანის კუთვნილი იყო, ამჟამად რომაელთა ხელშია. ამგვარად, ქართლის სამეფო, კავკასიონის უღელტეხილი – დარიალის ხეობა, ამ დროს რომის იმპერიის უკიდურეს ჩრდილო–აღმოსავლეთ მიჯნას წარმოადგენს და ამიტომაც არის, რომ „იბერები რომაელებს წინ მიუძღვიან ამ ქვეყნის კიდით–კიდემდე“. კერძოდ, ალანთა წინააღმდეგ ზემოხსენებულ ლაშქრობაში იბერიელთა მონაწილეობა თავისთავად ცხადია.

თემისტიოსი თავის კიდევ ერთ, 384 წელს წარმოთქმულ პანეგირიკში თეოდოსი დიდისადმი (Oratio XVIII) ასეთი სიტყვებით მიმართავს მას: „შენც, ჩემო ძვირფასო, როდესაც ამას იძენ (ზეციურ მადლს, დ. მ.), არ გჭირდება არც მშვილდოსნები, არც ჰოპლიტები, არც არმენიელები, არც იბერიელები, არც მცველი ცხენოსანთა რაზმი, რომ ჩააქრო სკვითური ალი; არამედ მხოლოდ შენი ბჭობის და შენი გონიერების მეოხებით თავისთავად ჩაქრა ის ალი“[55].

მუხედავად უარყოფის პოეტური ხერხის ხმარებისა, სრულიად ცხადია, რომ რომის იმპერატორს, სხვებთან ერთად

სწორედ იბერები სჭირდებოდა „სკვითური ალის ჩასაქრობად“ ანუ ჩრდილო–კავკასიელ მომთაბარეთა თარეშის უვნებელ-ყოფისათვის. არ არის გამორიცხული, ეს „სკვითური ალი“, სხვათა შორის სწორედ ალანთა ზემოხსენებულ შემოსევასაც გულისხმობდეს. ყოველ შემთხვევაში ამ „სიტყვის“ კონტექსტი ისეთია, რომ აქაც იბერიის მოსახლეობა და ლაშქარი იგულისხმება ანუ იმაზეა მითითება, რომ ქართლის სამეფო რომაელთა ხელდებულია.

ზემოხსენებულის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 381–384 წლებს შორის ქართლის სამეფო მთლიანად კვლავ რომის იმპერიის პროტექტორატის ქვეშ ექცევა[58].

საინტერესოა, რომ რომის ხელისუფლებას ქართლის მეფეები შიდაკავკასიური ურთიერთობის მოწესრიგებისათვის იყენებენ. თუ საუკუნის დასაწყისში მათ შესძლეს ქვემო ქართლის მიმართ სომეხთა პრეტენზიების აღკვეთა და მისი იბერიის სამეფოსთვის საბოლოო შემომტკიცება, საუკუნის ბოლოსათვის რომის პროტექტორატს მეზობელ ალვანეთთან პოლიტიკური ურთიერთობის სტაბილიზაციისათვის, ჩანს, ასეთივე მნიშვნელობა აქვს. ჩვენ უკვე ვიცით, აღმოსავლურ პოლიტიკას ქართლის მმართველი წრეებისათვის თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან, ჯერ ერთი, ამ რეგიონში მდებარე საზამთრო საძოვრების უსაფრთხო კონტროლი სასიცოცხლოდ იყო საჭირო ქვეყნის მეურნეობის, ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის, მესაქონლეობის განვითარებისათვის. მეორე მხრივ, აქ გამავალ სავაჭრო–სატრანზიტო გზების ექსპლუატაციასაც ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთოდ სახელმწიფოს ეკონომიკისათვის. ამდენადვე, სპარსეთის ვასალური ალვანეთის სამეფოსთან მყარი პოლიტიკური ურთიერთობის შენარჩუნება ერთ–ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა ყოფილიყო ქართლის სახელმწიფოს მესვეურთა პოლიტიკისათვის. უმნიშვნელო არ უნდა ყოფილიყო ეს რომაელთათვისაც, რომლებიც ამ დროს დაინტერესებულნი იყვნენ სპარსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობით. სწორედ ამას უნდა მოწმობდეს თემისტიოსის მიერ რომის იმპერატორის სახელმწიფო მოღვაწეობის ერთ–ერთ მნიშვნელოვან წარმატებად იმის საგანგებოდ აღნიშვნა, რომ რომაელებმა „საზღვრები დაუწესეს იბერებს და ალბანებს“

რომის იმპერიის პროტექტორატი მთელს ქართლის სამეფოზე დიდხანს არ გაგრძელებულა. სპარსეთი, 80-იანი წლების შინააშლილობის მიუხედავად სრულიადაც არ იყო განწყობილი დაეთმო რომისათვის პოზიციები მახლობელ აღმოსავლეთში, კერძოდ, ამიერკავკასიაში. რომიც ადრიანოპოლის მარცხის შემდეგ შედარებით დასუსტებული იყო და ბალკანეთის მიწა-წყალზე დასახლებული გოთების ურდოებთან ურთიერთობით იყო დაკავებული. ამიტომ, როგორც სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი გადმოგვცემს, რომაელებმა მიიღეს სპარსელთა წინადადება „შუამდინარეთისა და სომეხთა ქვეყნის დანაწილებაზე, ახალი საზღვრების დადებაზე"[57]. ეს საბოლოოდ მოხდა 387 წელს და სასაზღვრო მიჯნა რომის იმპერიასა და სპარსეთის სამეფოს შორის ახლო აღმოსავლეთში ქალაქ ნიზიბინსა (სამხრეთში) და ქალაქ თეოდოსიოპოლს (დღ. არზრუმს) შორის (ჩრდილოეთში) გამავალ ხაზზე დაიდო[58]. ამავე დროს, ცხადია, განანილებულ იქნა საკუთრივ ამიერკავკასიაც, ეგრისი რომის გავლენის სფეროში დარჩა, ხოლო ალვანეთი – ირანის. რაც შეეხება ქართლის სამეფოს, იგი კვლავინდებურად ორად იქნა გაყოფილი, როგორც ჩანს, იმავე სადემარკაციო ხაზით, როგორც ეს მოხდა 373 წელს.

იმ მცირერიცხოვან ქართულ და უცხოურ ისტორიულ წყაროებში, რომელნიც ქართლის სამეფოს IV ს-ის ბოლოს და V-ე საუკუნის დასაწყისის ვითარებას ეხება და რომლებშიც ამდროინდელ ქართლის მეფეთა სახელებია შემორჩენილი („მოქცევაჲ ქართლისაჲ", „ქართლის ცხოვრება", პეტრე იბერის ასურული და ქართული „ცხოვრება", მოვსეს ხორენაცი, კორიუნი) ამ თვალსაზრისით განსხვავება და საკმაო სიჭრელე შეიმჩნევა. განსხვავებაა მეფეთა სახელების ჩამოთვლის თანმიმდევრობაში და იმაშიც, რომ ზოგიერთ უცხო წყაროში მოხსენებული მეფე საერთოდ არ ჩანს ქართულ წყაროებში. ასეთი შეუსაბამობა და მრავალფეროვნება აიხსნება, როგორც ჩანს, იმით, რომ ამ პერიოდში, როგორც აღვნიშნეთ, ქართლის სამეფო ორად არის გაყოფილი და თითოეულ ნანილში ერთდროულად, ფარნავაზიანთა დინასტიის სხვადასხვა წარმომადგენლები მეფობდნენ[59].

ასე მაგალითად, V ს-ში პალესტინაში და ეგვიპტეში, ბიზანტიის კულტურულ სარბიელზე მოღვაწე, სახელგანთქმული ქართველი უფლისწულის, პეტრე იბერის, „ცხოვრებაში",

რომელიც აღწერილია 518 წელს მისი მოწაფის იოანე რუფუსის მიერ და შემონახულია სირიულ ენაზე, აღნიშნულია, რომ „დიდ ბაკურიოსს, ცხონებული პეტრეს პაპას დედის მხრით, ჰყავდა ძმა, ცხონებული არსილიოსი (არჩილი). მან ბაკურიოსთან და ბოზმარიოსთან ერთად ღრმა მოხუცებულმა, თანახმად იბერთა მეფეთმონაცვლეობის წესისა, იმეფა იბერიაში"[60]; ანდა იქვე, მეორე ადგილას: „არსილიოსი, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ, რომ ის მოხუცებული იყო და უმანკოებრივ მეფობდა იბერიაში ბოზმარიოსთან ერთად"[61]. აქედან კარგად ჩანს, რომ ჯერ კიდევ V ს–ის 20–30–იან წლებში, რომელსაც ეხება ზემოხსენებული მონათხრობი, ქართლში ერთდროულად ორი მეფე მეფობს და ამდენად, ცხადია, ქართლის სამეფოს ორად გაყოფა რეალური ფაქტია ამ დროსაც. ამასთანავე, პეტრე იბერის „ცხოვრება" იმაზეც მიგვითითებს მხოლოაზროვნად თუ რომელი მეფე ქართლის რომელ ნაწილში მეფობს. ასე, იოანე რუფუსის მიხედვით, რომელიც უეჭველია, თავისი მოძღვრის ნაამბობს გადმოგვცემს, „დიდი ბაკურიოსი, რომელიც იბერთა მეფეებიდან პირველი ქრისტიანი (მეფე) იყო... ერთხელ სპარსთა მეფესთან ერთად სალაშქროდ გავიდა, რამდენადაც მას საზავო კავშირი ჰქონდა მასთან შეკრული და ერთი მისი სარდალთაგანიც იყო"[62]. ეს ამბავი ხდება 422 წელს[63]. ცხადია, დიდი ბაკური ირანის შაჰის ვასალია და ამდენად ირანის გავლენის ქვეშ მოქცეული ქართლის სამეფოს ნაწილის მეფეა. ეს რომ, მართლაც, ასეა კარგად ჩანს „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მატიანედან: „მეფობდა ბაკურ, ძჱ თრდატისი... და ამან აღაშენა ეკლესია ბოლნისს და იმიერ განვიდა და განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათჳს"[64]. აქედან ცხადად ჩანს, ჯერ ერთი, ის რომ ბაკური მტკვრის ორივე მხარის მფლობელია, ზის მცხეთაში და საქმიანობს „იმიერ" – არმაზში, ბოლნისში. ეს კი მოწმობაა იმისა, რომ 373 წელს, ქართლის სამეფოს ორად განაწილების დროს, ამიანე მარცილინის მიერ მდ. მტკვრის საზღვრად დასახელება არ შეიძლება გულისხმობდეს მდინარის იმ მონაკვეთს, რომელიც ქართლზე, შიდა და ქვემო ქართლს შორის მიედინება, არამედ მხოლოდ მის ზემო წელს. მეორეც, ეს არის ქართლის სამეფოს ის ნაწილი, რომელიც ირანის ვასალური იყო. რაც შეეხება დიდი ბაკურის საფორტიფიკაციო მშენებლობას „სპარსთა შიშისათჳს", ეს, რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო საბუთად ვერ გა-

მოდგება და ამ კონკრეტულ შემთხვევაში ახსნაც თითქოს ეძებნება (იხ. ქვემოთ).

მეორე მხრივ, იმავე იოანე რუფუსიდან ვიცით, რომ „პეტრეს მამა იყო ბოზმარიოსი, იბერთა მეფე"[65], დიდი ბაკურის თანამედროვე, რომელსაც ქართული ნარატიული წყაროები არ იცნობენ, და რომელმაც თავისი შვილი, პეტრე 423 წწ. „თორმეტი წლის ასაკში გაგზავნა მძევლად... თეოდოსი მცირესთან, რომაელთა მეფესთან... ვინაიდან ის ქრისტიან რომაელთა მეგობრობას უფრო მაღლა აფასებდა, ვიდრე უღვთო სპარსების დახმარებას"[66]. აღსანიშნავია ისიც, რომ თურმე „მეფე თეოდოსი იმის ზრუნვაში იყო, რომ ის (პეტრე) შეენახა, როგორც მძევალი, (რადგან) თუ ვინიცობაა ის ხალხი (ქართველები) მას უკან მოსთხოვდა და ის მას ვერ დაუბრუნებდა (ისევე ხალხს), როგორც ჩაიბარა, ამას შეეძლო ისინი მტრებად და მოწინააღმდეგეებად ექცია, ნაცვლად მეგობრებისა და დამხმარეებისა"[67] ამ ამონაწერიდან, პირველ რიგში ის არის აღსანიშნავი, რომ ამიანე მარცელინის ცნობისა არ იყოს, რომელიც IV ს–ის 60–იან წლებს ეხება და რაზედაც ზევით მივუთითეთ, ამჟამადაც V ს–ის ოციან წლებში იბერთა „მეგობრობას და დახმარებას" ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონია ბიზანტიისათვის. შემდეგ, აქედანვე ცხადი ხდება, რომ ბოზმარიოსი რომელიც ბიზანტიის კეისარ თეოდოსი II–სთან (408–450) მძევლად აგზავნის თავის შვილს, რადგან „ის ქრისტიან რომაელთა მეგობრობას უფრო მაღლა აფასებდა, ვიდრე უღვთო სპარსების დახმარებას", ბიზანტიელთა ვასალია და მისი პროტექტორატის ქვეშ მყოფი ქართლის გამგებელია.

ზემოთქმულის შემდეგ, V ს–ის 20–იან წლებში ქართლის სამეფოს გაყოფა ორ, ბიზანტიისა და ირანის პოლიტიკური გავლენის სფეროებში მყოფ ნაწილად, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ასეთივე ვითარებაა უფრო გვიანაც, კერძოდ, 431 წელს, როდესაც იხსენიება „სპარსეთის ნაწილის იბერიის" ეპისკოპოსი იერემია (Ieremia Iberos partium Persidis)[68]. ამგვარად, სრულიად უცილობელია, რომ მაინცდამაინც V ს–ის 30–იანი წლების დასაწყისშიც ქართლი კვლავ ორად არის განაწილებული ბიზანტიასა და ირანს შორის. ეს მდგომარეობა, IV ს–ის 70–იანი წლების პრეცედენტის შემდეგ, როდესაც 373–378 წლებში ქართლის სამეფო ორად გაიყო, ხელმეორედ 387 წლის

ირან–ბიზანტიის საზავო ხელშეკრულების შედეგი უნდა ყოფილიყო.

ამ პერიოდის ქართლის მეფეთა ზეობის კონკრეტული თარიღების დადგენა, ზემოაღნიშნული ვითარების გამო, საკმაოდ რთულია. ცოტა რამ ვიცით კონკრეტული მათი პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებაც, თუმცა ზოგი რამის აღნიშვნა მაინც შესაძლებელია[69]. ასე მაგალითად, ბუნებრივია, თუ ორად გაყოფილი ქართლის სამეფოს მესვეურები შეეცდებოდნენ მის გაერთიანებას და ამდენად, რეალური ჩანს, რომ უკვე ვარაზ–ბაკურის (ასფაგურის) მემკვიდრე მირდატი, ალბათ, IV ს–ის 70–იან წლებშივე „ბერძენთაგან ეძიებდა კლარჯეთს, საზღვარსა ქართლისასა"[70]. ჩვენ ვნახავთ, რომ ქართველთა, თუ შეიძლება ასე ითქვას, სახელმწიფოებრივი აზროვნების თვალსაზრისით მეფის ძირითადი და უპირველესი მოვალეობა იყო ეროვნულ–სახელმწიფოებრივი ტერიტორიის ხელშეუხებლობა. ამდენადვე, ცნობა მირდატის სათანადო მცდელობის შესახებ სრულიად რეალური უნდა იყოს.

ბუნებრივია ისიც, თუ საერთოდ და მით უმეტეს ამ კონკრეტულ ვითარებაში ქართველი მეფეები აქტიურად იქნებოდნენ ჩარეულნი ორი ურთიერთმოწინააღმდეგე იმპერიის პოლიტიკურ ინტრიგებში და ძველისძველ პოლიტიკურ პრეროგატივას – იმიერკავკასიელ მთიელთა და ველურთა ჩართვა ზემოხსენებულ იმპერიათა ურთიერთობაში – გამოიყენებდნენ თავისი საკუთარი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. ასეთად გვეჩვენება ეპიზოდი ფარსმან მეფესთან დაკავშირებით.

იოანე რუფუსი მოგვითხრობს, რომ პეტრე იბერის დიდედის ძმა ანუ მამამისის ბოზმარიოსის ბიძა იყო „ფარსმანიოსი... რომელიც რომაელთა მეფეს არკადუსს (395-408) დიდ პატივში ჰყავდა, ჯარის სარდლის თანამდებობაც ეკავა და პირველი ადგილი ეპყრა, ხოლო, უკანასკნელ, არკადიუსის მეუღლის, ევდოქსიას შეყვარების გამო, იგი გაიქცა და დაიმალა, სასწრაფოდ თავის სამშობლოში წავიდა. როდესაც ის იბერებზე ბატონობდა და თან მიიყვანა თეთრი ჰუნები, იბერთა მეზობლები, იმათთვის, რომელნიც რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, მრავალი უბედურების მიზეზი შეიქმნა"[71].

ამგვარად, პეტრე იბერის დიდედის ძმა, ფარსმანი, კეისარ არკადიუსის (395–408) დროს ბიზანტიის სამეფო კარზე

დიდად აღზევებული კაცი ყოფილა, მაგრამ დედოფალთან სასიყვარულო რომანის გამჟღავნების შემდეგ სამშობლოში გამოქცეულა და აქ გამეფებულა კიდეც, რაც მოწმობს, რომ იგი ფარნავაზიანთა დინასტიის ნარმომადგენელი იყო. ქართლში მეფობის ჟამს იმიერკავკასიიდან ე. წ. „თეთრი ჰუნები" (ხიონიტები) გადმოუყვანია და შეუსევია იმათთვის, „რომელნიც რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ". ჰუნთა ეს დიდი შემოსევა სხვა, კერძოდ, თანადროული ლათინური და V–VI საუკუნეების (და უფრო გვიანდელი) ბერძნული და სირიული წყაროებით დასტურდება. ეს მოხდა 396 წლის ზაფხულში. ირკვევა, რომ ფარსმანს თეთრი ჰუნებისათვის, რომელთაც, აღმოსავლეთიდან წამოსულებს, ამ დროისათვის ჩრდილოეთი კავკასიის ველები და შავიზღვისპირეთის სტეპები ეჭირათ და ადრე აქ მოსული გოთები და ალანები დამორჩილებული ჰყავდათ, დარიალის ხეობის გზა გაუხსნია. IV ს–ის უკანასკნელი დიდი რომაელი პოეტის, კლაუდიანის, Caspiae claustra (კასპიის უღელტეხილი) ამ შემთხვევაში დარიალანს გულისხმობს და არა დარუბანდს, ისევე როგორც ამავე ხანების ცნობილი მწერლისა და საეკლესიო მოღვაწის ჰიერონიმეს „ალექსანდრეს კარი კავკასიის კლდეებში". ეს სრულიად უცილობელია იმ ჩვენთვის უკვე ცნობილი ფაქტის გამო, რომ თეთრი ჰუნების შემოსევის ინიციატორი ქართლის მეფე ფარსმანი იყო, რომელიც ბუნებრივია სწორედ დარიალანის ციხე–სიმაგრეს ფლობდა.

ჰუნთა ველური ურდოები ბერძნულ–რომაული სამყაროსათვის, ფაქტობრივად, ჯერ კიდევ უცნობები იყვნენ და ამ შემოსევამ სტიქიური კატაკლიზმის შთაბეჭდილება დასტოვა თანამედროვეებზე, იმდენად დაუნდობელი და სასტიკი იყო ახლად გამოჩენილი მტერი. მეჯოგე ჰუნთა ურდოებმა გადათელეს სომხეთი, მცირე აზიის რომაული პროვინციები, მესოპოტამია, სირია[72].

როგორც ვხედავთ, ფარსმან მეფის მიერ ორგანიზებული ეს გრანდიოზული აქცია, ძნელია მხოლოდ პირადული მოტივით აიხსნას. სავარაუდოა, იგი ინსპირირებული ყოფილიყო სპარსეთის ხელისუფლების მიერ, თუმცა V ს–ის ბერძენი ისტორიკოსი სოკრატე სქოლასტიკოსი ინსპირატორად ქალაქ კონსტანტინოპოლის პრეფექტს, რუფინუსს თვლის[73]. ასეა თუ ისე, არ არის გამორიცხული, რომ ფარსმანი საკუთარი პოლი-

ტიკური მიზნების განხორციელებისთვისაც იღვწოდა და, კერძოდ, ქართლის სამეფოს გაერთიანებას ესწრაფოდა. ეგეგების, იოანე რუფუსის გამონათქვამი, რომ ამ აქციის შედეგად „ფარსმანი... იმათთვის, რომელნიც რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, მრავალი უბედურების მიზეზი შეიქნა", პირველ ყოვლისა, რომაელთა ქვეშევრდომ იბერებს გულისხმობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფაქტობრივად, ეს არის პეტრე იბერის, სწორედ რომაელთა ვასალი ქართლის მეფის, ბოზმარიოსის შვილის, ნათქვამის პერიფრაზი, მაშინ ეს დაუჯერებლად არ უნდა მოგვეჩვენოს[74]

ქართლის მეფეთა (და შემდგომში ასევე ერთიანი საქართველოს მეფეთა) სახელმწიფო პოლიტიკური კურსისათვის, სრულიად გარკვეული გეოპოლიტიკური მიზეზების გამო, თითქმის პერმანენტულად დამახასიათებელი ლავირება დასავლეთისა და აღმოსავლეთის მსოფლიო იმპერიათა ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკურ ამბიციათა შორის, რისი მაგალითებიც ზემოთ იყო მოყვანილი, კარგად ჩანს IV–V ს–ის კიდევ ერთი კოლორიტული პიროვნების ბიოგრაფიის მიხედვით. მხედველობაში გვყავს ზემოთ უკვე ხსენებული იბერიის მეფე დიდი ბაკური, რომელიც ქართული წყაროს, კერძოდ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" „ბაკურ ძᲩ თრდატისი" უნდა იყოს[75].

ბაკურ იბერიელი პირველად იხსენიება 378 წლის ადრიანოპოლის ზემოხსენებულ საშინელ სისხლისღვრასთან დაკავშირებით რომაელებსა და ვესტ–გოთებს შორის, როგორც რომაელთა სამსასურში მყოფი Tribunus Sagittariorum et Scutariorum ანუ მშვილდოსანთა და ფაროსანთა სარდალი[76]. უფრო გვიან, კერძოდ, 392 წელს იგი კონსტანტინოპოლიდან ჩამოდის ანტიოქიაში და აქ ახლო ურთიერთობა აქვს იმ დროისათვის ცნობილ რიტორთან, მწერალთან და ფილოსოფოსთან ლიბანიოსთან. შემონახულია ამ უკანასკნელის წერილები. რამდენიმე მათგანში ბაკურის შესახებაა საუბარი, ხოლო ერთი კი უშუალოდ მისდამია მიწერილი ანტიოქიიდან კონსტანტინოპოლში. ამ წერილებში ბაკური დახასიათებულია, როგორც კაცი, „რომელიც სხეულითაც ბრწყინავს და სულიც მას ასეთივე აქვს", რომელიც „ცხოვრობს საომარ საქმეებზე ზრუნვით", მაგრამ „უფრო მეტად მბრძანებლობს ვნება–სურვილებს, ვიდრე ჯარისკაცებს", „რომელსაც უქებენ სიბრძნეს, რომლის წყალობითაც იმარჯვებს ხოლმე ბრძოლაში". ბაკურ იბერიელისადმი

მიწერილ წერილში (392 წ.), ლიბანიოსი აღნიშნავს, რომ მასზე (ბაკურზე) იგი ხშირად საუბრობს ახლობლებში და რომ ზოგიერთნი ამბობენ, თითქოს არასოდეს „შენ სულს არ მიჰკარებია არავითარი შიში რაიმე საფრთხის წინაშე. მე კი შენ ღირსებათაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენება ის, რომ შენ გიყვარს ლოგოსები და ისინიც ვინც ლოგოსებს მისდევენ“[77]. (ლოგოსი აქ ნიშნავს რიტორიკულ ხელოვნებას, აზროვნებას). ამგვარად, ბაკურ იბერიელი ფიზიკურად და სულიერად სიკეთით სავსე პიროვნებაა, უშიშარი და ნიჭიერი მხედართმთავარი და ამავე დროს მაღალი ინტელექტის ადამიანი.

როდესაც ბაკური ანტიოქიაში ჩამოდის და ახლო ურთიერთობაშია ლიბანიოსთან, როგორც ამ უკანასკნელის წერილიდან ჩანს, იგი ჯერ კიდევ არ არის ქრისტიანი, წარმართია. აქ იგი ჩამოდის, როგორც პალესტინის საზღვრების დუქსი ანუ სარდალი და ბრწყინვალე გამარჯვებას აღწევს სარკინოზებზე. ამას ჩვენ გვატყობინებენ გელასი, პალესტინის კესარიის ეპისკოპოსი და აგრეთვე რომაელი ცნობილი მწერალი ტირანიუს რუფინუსი. ორივენი გელასი კესარიელიც და რუფინუსიც მას „ფრიად სარწმუნო“ კაცს უწოდებენ[78]. უფრო მოგვიანებით იგი კიდევ უფრო წინაურდება და იმპერატორის ლეიბგვარდიის მეთაური და თვით თეოდოსი დიდის ახლობელი ხდება (Comes domesticorum et socius Theodosii). 394 წლის ბრძოლაში ტირან ევგენიოსთან იტალიაში იგი იმპერატორის მარჯვენა ხელია. რუფინუსი და გიორგი ამარტოლი ამ სისხლისმღვრელი ბრძოლის შესახებ წერენ: „სარდლები საბრძოლველად გამხნევდნენ, განსაკუთრებით ბაკური, კაცი ყოვლად ღირსეული როგორც რწმენითა და სათნოებით, ისე თავისი სულიერი და ხორციელი სილამაზით. ვინც მის ახლოს მოხვდებოდა, ზოგს შუბით დაანარცხებდა, ზოგს ისრებით, ზოგს კიდევ მახვილითაც. მან გაარღვია მტრის ლეგიონი, რომელიც მჭიდროდ იყო შერთებული, დამარცხებული ჯარის შუაში ნყებები გასნი-გამოსნია და გვამების გროვებს გვერდი აუხვია და თვით ტირანთან მიიჭრა“[79]. საბოლოოდ ხელ-ფეხშეკრული უზურპატორი მან თეოდოსის მიჰგვარა. კონტექსტიდან ჩანს, რომ რუფინუსი (და გიორგი ამარტოლიც, რომელიც მას იმეორებს), თვით ქრისტიანი, ბაკურს აგრეთვე ქრისტიანად თვლის („ღირსეული როგორც რწმენით... ისე თავისი

სულიერი... სილამაზით") და არა წარმართად. როდის უნდა მოქცეულიყო ბაკურ იბერიელი?

რუფინუსი თავის „საეკლესიო ისტორიას" 402-410 წლებში წერდა, მაგრამ იერუსალიმი, სადაც მისივე სიტყვებით, ბაკური „სრულის ერთსულოვნებით ცხოვრობდა მასთან ერთად", რუფინუსმა 397 წელს დასტოვა და თავის სამშობლოში, რომში დაბრუნდა. ჩვენ ვიცით, რომ 392 წელს ბაკური ჯერ კიდევ წარმართული მსოფლმხედველობისაა და რადგან იგი 397 წლამდე უკვე „ერთსულოვნებით ცხოვრობდა" ქრისტიან რუფინუსთან, ცხადია, იგი ამ წლებს შორის უნდა მოქცეულიყო, საფიქრებელია, პალესტინაში ყოფნისას. ეგების, ამ თარიღის უფრო დავიწროებაც შეიძლებოდეს, თუ ჩავთვლით, რომ 394 წლის ბრძოლაში მდ. ფრიგიდუსთან ბაკურის ქრისტიანად წარმოდგენა რუფინუსის lapsus linguae არ არის. ასეთ შემთხვევაში ბაკურ იბერიელი 392-394 წლებს შორის გაქრისტიანებულა.

სწორედ ამ ბაკურმა უამბო გელასი კესარიელს და რუფინუსსაც, როგორც ვიცით, ქართლის ქრისტიანობაზე მოქცევის ამბავი ვინმე ტყვე ქალის მიერ (იხ. ზევით §1). გელასი კესარიელი თხრობას იბერთა მოქცევის შესახებ ასე ამთავრებს: „ეს ჩვენ გვიამბო ფრიად სარწმუნო ბაკურმა, კაცმა ფრიად ღვთის მოშიშმა, მეფის შთამომავალმა და იბერთა შორის სახელოვანმა, რომელიც გახდა რომაელთა სატრაპი[80]. მაშასადამე, ირკვევა, რომ ბაკურ იბერიელი ფარნავაზიანთა გვარის წარმომადგენელი ყოფილა. აქ საინტერესო კიდევ ის არის, რომ, თუკი სწორია მოსაზრება, რომ გელასი კესარიელი 395 წლის მარტის შუამდეა გარდაცვლილი[81], ამდენად „ფრიად ღვთის მოშიში" ბაკურის გაქრისტიანებაც ამ დროისათვის უკვე მომხდარი ფაქტია და ვარაუდი, რომ ეს უნდა მომხდარიყო 392-394 წლებს შორის, სწორია.

რუფინუსი, რომლისთვისაც ბაკურს ასევე უამბია ქართლის მოქცევის ისტორია, გადმოგვცემს: „რომ ეს ყველაფერი ასე მოხდა, ჩვენ გვიამბო ფრიად სარწმუნო კაცმა, ბაკურმა, თვით ამ ხალხის მეფემ, რომელიც ჩვენში იყო დომესტიკოსთა კომსი... როდესაც ჩვენთან ერთად ცხოვრობდა სრულის ერთსულოვნებით იერუსალიმში; მაშინ ის იყო პალესტინის საზღვრების სარდალი"[82]. თითქოს წინაალმდეგობაა გელასი კესარიელისა და რუფინუსის ცნობათა შორის, რამდენადაც პირ-

ველი ბაკურს „მეფის შთამომავალს" უწოდებს, ხოლო მეორე - „იბერთა მეფეს"

სინამდვილეში აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის. თუ ჩვენ რუფინუსის ტექსტს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მას ერთ წინადადებაში ბაკურის კარიერის სხვადასხვა, დროში განსხვავებული საფეხური აქვს აღნიშნული: როდესაც ბაკური პალესტინაში იყო და ქალაქ კესარიასა და იერუსალიმში ახლო ურთიერთობა ჰქონდა გელასისთან და რუფინუსთან, „მაშინ ის იყო პალესტინის საზღვრების სარდალი". შემდეგ, 394 წლისათვის იგი უკვე „დომისტიკოსის კომსია", რაც არ არის აღნიშნული გელასი კესარიელთან და არ არის იმიტომ, რომ როდესაც იგი იწერდა ბაკურის მონაყოლს, ეს უკანასკნელი „პალესტინის დუქსი" იყო მხოლოდ. მაშასადამე, გელასის ჩანაწერი გაუკეთებია 394 წლის წინ. ამის შემდეგ იგი ჩქარა გარდაიცვალა კიდეც. ამ დროსვე ჩაუწერია ბაკურის ნაამბობი რუფინუსს.

რაკი ჩვენ ვნახეთ, რომ რუფინუსს ერთ წინადადებაში ბაკურის სამსახურებრივი კარიერის ორი საფეხური ერთად აქვს მოქცეული, სავარაუდოა, ბაკურის „იბერთა მეფედ" ხსენებაც ასევე უნდა გავიგოთ - მისი შემდგომი ბიოგრაფიის ფაქტად. ე. ი. ბაკური ისევე, როგორც მისი წინამორბედი თანამედროვე, ჩვენთვის უკვე ცნობილი, ფარსმანი, გარკვეული მიზეზების გამო თავს ანებებს ბრწყინვალე სამხედრო კარიერას ბიზანტიაში, ბრუნდება სამშობლოში და სამეფო ტახტზე ჯდება. როდის უნდა მომხდარიყო ეს? ან 397 წლის შემდეგ, როდესაც რუფინუსი ტოვებს იერუსალიმს და აღარც ბაკურთან აქვს ურთიერთობა, ანდა 402 წლის შემდგომ, როდესაც რუფინუსი იწყებს თავისი თხზულების წერას (უკეთ, ევსევი კესარიელის „საეკლესიო ისტორიის" და მისი გაგრძელების თარგმნას) და როდესაც მას უნდა სცოდნოდა, რომ ბაკური, მისი „ერთსულოვანი" მოსაუბრე იერუსალიმში უკვე იბერიის მეფეა[33]

ბაკურის იბერიის ტახტზე დაჯდომა, შესაძლებელია გაპირობებული ყოფილიყო სწორედ იმ ზემოაღნიშნული გარემოებით, რომ ფარსმან იბერიელის ინიციატივით 396 წელს ჰუნთა არნახულ შემოსევას ჰქონდა ადგილი. ბიზანტიის მთავრობა დაინტერესებული უნდა ყოფილიყო იმით, რომ იბერიის ტახტზე მათთვის საიმედო კაცი მჯდარიყო და ამგვარად

ბიზანტიაში სახელგანთქმულ ბაკურ იბერიელს საშუალება მიეცა, ალბათ რომაელთა მხარდაჭერით, ქართლის სამეფოს ირანული გავლენის სფეროში მყოფი ნაწილის გამგებელი გამხდარიყო[82], მით უმეტეს, რომ ფარსმანი „მცირედჟამ მეფობდა და მოკუდა" [83]. ასე გამეფდა დიდი ბაკური ქართლში, ირანის პროტექტორატის ქვეშ მყოფ ნაწილში. ბიზანტიამ, რომლის ხელიც ერია ამ საქმეში, ჩანს, ამჯერად ვერ მოახერხა თავისი ხელქვეითი ქართლის გაერთიანება და მხოლოდ თავისი კრეატურის დასმას დასჯერდა აღმოსავლეთ ქართლში.

ამგვარად, IV ს-ის სულ ბოლო წლებში (397 წლის შემდგომ), თუ V ს-ის დასაწყისში ქართლის აღმოსავლეთ ნაწილში ბაკური მეფობს. მართლაც, მოვსეს ხორენაცისთან 405 წლის ახლოს იგი უკვე მეფედ იხსენიება: როდესაც სომეხი ისტორიკოსის ცნობით სომხური ანბანის შემქმნელი მესროპი „წავიდა ქართველთა ქვეყანაში და მადლის ზეგარდმო მინიჭებით მათაც შეუქმნა ანბანი ვინმე ჯალასთან ერთად, რომელიც ბერძნული და სომხური ენებიდან თარგმნიდა. (მესროპს) ხელს უწყობდნენ იმათი მეფე ბაკური და მოსე ეპისკოპოსი"[84]. მოვსეს კალანკატუაცი იგივე ამბავის გადმოცემისას, მოგვითხრობს, რომ „იმ დროს, როდესაც ბერძენთა იმპერატორი თეოდოსი მცირე იყო (408-450), სომეხთა მეფე - ვრამშაპუჰი (387-413), სპარსთა მეფე - იაზკერტი (399-421), ხოლო ალვანთა მეფე - ესვაღენი, მოვიდა ალვანეთში ნეტარი მესროპი", რომელმაც „სომხებსა და ქართველებს დამწერლობა მისცა"[87]. ამგვარად, ალბანელთა ისტორიკოსის ცნობით, რომელიც აშკარად მოვსეს ხორენაციზეა დამოკიდებული, ოღონდ სათარიღო ორიენტირებს უფრო ნათლად იძლევა, მესროპის საქმიანობა ალვანეთში 408-413 წლებით უნდა შემოისაზღვროს და რადგან მოვსეს ხორენაციდან ვიცით, რომ მესროპი ალვანეთში ქართლში ყოფნის შემდეგ მივიდა, ხოლო სომხებს ანბანი 405 წელს შეუქმნა, ამდენად ქართლში მისი მოღვაწეობა დაახლოებით 405-408 წლებით უნდა დათარიღდეს. ამ დროს ქართლის მეფე ბაკურია.

მესროპი ქართლში უფრო გვიანაც მოდის, V ს-ის ოციან წლებში. იგივე მოვსეს ხორენაცი მოგვითხრობს, რომ სომეხთა მეფის არტაშესის დროს (423-428) მესროპი გაემართა „ბალასაკანის მხარეებში" (კასპიისპირეთში), სადაც მწვალებლები მოკალათებულიყვნენ, „მოაქცია მრავალი მათგანი, ხოლო

თითო-ოროლა ურჩი განდევნა ჰუნთა საბრძანებელში... ხოლო თვითონ მიბრუნდა გარდმანის ხევში (შამქორის ხეობა), რამეთუ სმენოდა, რომ იქაც იყვნენ იმავე მწვალებლობის მიმდევრები... იქედან გუგარელთა პიტიახშმა, აშუშამ მიიწვია, იგივე საქმისათვის მის სამთავროშიც, ტაშირის გავარში, მისულიყო. (მესროპი) მივიდა იქ და უფრო კარგად, საფუძვლიანად დამოძღვრა ისინი ვიდრე სხვები, რომელნიც კი დაემოწაფნენ მას. (იმ დროს) ქართველთა მეფე იყო ვინმე არჩილი"[88].

ამგვარად, როგორც ვხედავთ, მეფე არჩილის დროს, V ს-ის ოციან წლებში, „არშუშა ქართველთა პიტიახშის" (ასეა მოვსეს კალანკატუაციისთან შესატყვის პასაჟში!)[89], ანუ ქვემო ქართლის მმართველის მიწვევით მესროპი მიდის მის საგამგეოში გავრცელებული რაღაც მწვალებლობის აღმოსაფხვრელად. ამის შესახებ ცნობა აქვს დაცული V ს-ის კიდევ ერთ სომეხ ისტორიკოსს, კორიუნს: „მაშინ ტაშირელმა მთავარმა, პატიოსანმა და ღმრთისმოყვარე კაცმა, რომელსაც ეწოდებოდა აშუშა, მას (მესროპს) ჩააბარა თავისი თავი თავისი ქვეყნითურთ... (ხოლო მესროპმა) მიანდო ისინი წმინდა ეპისკოპოს სამუელს, იმას, რომელზეც ზემოთ მივუთითეთ"[90].

რადგან მესროპი სომეხი მოძღვარი იყო, რომელმაც ქართული არ იცოდა, ამიტომ უეჭველია, რომ აქ საუბარია ქვემო ქართლის სომეხ მოსახლეობაზე და მათ დამოძღვრაზე. თვით ფაქტის სინამდვილეზე ეჭვის მიტანა ძნელია, იმდენად კონკრეტული რეალიებია დაცული ამ ცნობაში. მეორე მხრივ, VII ს–ის დამდეგს ქართლის კათალიკოს კირიონისათვის საკამათო არ ყოფილა მესროპის მქადაგებლობა ქართლში[91].

გვგონია ასევე უნდა გავიგოთ სომეხ ისტორიკოსთა ცნობები ბაკურის დროს მესროპის ქართლში მოღვაწეობის შესახებ და ისიც, ამდენად, ქვემო ქართლის პროვინციით შემოვსაზღვროთ. მართალია, კორიუნთან დაცული ცნობა მესროპის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ გვიანდელი ინტერპოლაციაა[92], მაგრამ არ არის გამორიცხული სომეხი მოძღვარი, მართლაც, შემოსულიყო ქვემო ქართლის პროვინციაში და აქ არსებული სომხური მრევლისთვის ახლად შექმნილი სომხური ანბანის შეთვისებაზე ეზრუნა, შემდეგში კი სომხურ ისტორიოგრაფიაში ეს ფაქტი ტენდენციურად განეზოგადებინათ და მესროპი უკვე ქართული ანბანის შემქმნელად გამოეცხადებინათ[93].

ჩვენ უკვე ვიცით, რომ დიდი ბაკური და არჩილი ძმები იყვნენ, თან ერთიმეორის შემდეგ მეფობდნენ აღმოსავლეთ ქართლში: ამაზე მიუთითებს პეტრე იბერის ასურული „ცხოვრებიდან" ზემომოყვანილი ცნობები ამ მეფეთა შესახებ, ხოლო ამასვე ადასტურებს ახლახან ხსენებული სომხური წყაროების ჩვენებანი. ასურული „ცხოვრებიდან" ისიც ვიცით, რომ პეტრე იბერის მამა ბოზმარიოსი მათთან ერთდროულად მეფობს, ოღონდ, ცხადია, სამხრეთ–დასავლეთ, ბიზანტიელთა პროტექტორატის ქვეშ მყოფ ქართლში[94]. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზემოთ ერთხელ უკვე მითითებულ, სხვათა შორის, სწორედ იგივე ბაკურის შესახებ ქართული წყაროს ცნობასთან ერთად, რომ „მეფობდა ბაკურ, ძჱ თრდატისი... და ამან აღაშენა ეკლესია ბოლნისს და იმიერ განვიდა და განაახლნა არმაზნი", სომხური ზემოხსენებული წყაროების (კორიუნი, მოვსეს ხორენაცი) ცნობებიც თითქოს საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ ქვემო ქართლში მოღვაწე სომეხი მოძღვრის დროს, V ს–ის პირველ მესამედში ქართლში მეფობენ ჯერ ბაკური, შემდეგ არჩილი, რაც იმის უცილობელი მოწმობაა, რომ ქვემო ქართლი მათი იურისდიქციის ქვეშაა და ე. ი. ამიანე მარცელინის მიერ ქართლის სამეფოს ორად გაყოფის დროს მათ შორის მიჯნად ნაჩვენები მტკვარი არ შეიძლება მდინარის ქართლის ვაკეზე გამავალ მონაკვეთს გულისხმობდეს. 373–378 წლებში და შემდგომშიც, 387 წ–დან V ს–ის პირველი ნახევრის ჩათვლით ორად გაყოფილი ქართლის სამეფოს შორის საზღვარი მტკვრის ზემო წელზე გადიოდა. ხოლო რომ მაინცდამაინც V ს–ის პირველ ნახევარში ქართლის სამეფოს ერთი ნახევარი ბიზანტიელთა პროტექტორატის ქვეშ იყო, ამას გვგონია, ადასტურებს ე. წ. Notitia dignitatum, სადაც ბიზანტიელთა რეგულარული ლაშქრის განაყოფთა შორის მოხსენიებულია ეგვიპტეში მდგარი „იბერთა პირველი ფრთეული"[95], რომელიც სწორედ ქართლის ამ ნაწილიდან განვეული ბიზანტიელთა „არაიტალიელი მოკავშირეების" რაზმი უნდა ყოფილიყო.

მართალია, დიდი ბაკური ბიზანტიელთა ხელშეწყობით უნდა დამჯდარიყო აღმოსავლეთი ქართლის სამეფო ტახტზე, მაგრამ ბუნებრივია, რომ იგი ირანის შაჰანშაჰის ვასალი იყო. მართლაც, ამაზე პირდაპირ მიგვითითებს პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში" მისი ბიოგრაფიის კიდევ ერთი ეპიზოდი.

„ცხოვრების“ ავტორი იოანე რუფუსი, პეტრეს ერთ-ერთი უახლოესი მოწაფე, უეჭველია, მისი მოძღვრისგანვე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მიმართავს მკითხველს: „დიდი ბაკურიოსის შესახებ უნდა გიამბოთ შემდეგი შემთხვევა. თავის დანარჩენ სათნოებათა გვერდით, აღმსარებლობის გვირგვინი დაიწნა მან ერთხელ, ანუ უკეთ რომ ვთქვა, თავისი სურვილის მიხედვით წამებულის გვირგვინიც. როდესაც ის ერთხელ სპარსთა მეფესთან ერთად სალაშქროდ გავიდა, რამდენადაც მას საზავო კავშირი ჰქონდა მასთან შეკრული და ერთი მისი სარდალთაგანიც იყო, და დაინახა, რომ, როგორც კი მზე ამოვიდა თვით მეფეც და ყველა მისი სარდალი, მეთაურები, სატრაპები და წარჩინებულებიც ერთბაშად ჩამოხტნენ ცხენიდან და მზეს მიმართეს ლოცვით, ის (ბაკური) თავის ცხენზე მჯდომარედ დარჩა. და როდესაც სხვა სატრაპებმა ეს მეფეს მოახსენეს, და თვით ბაკურიც წარსდგა მის წინაშე, შეეკითხა მას (მეფე) – მართალია თუ არა ის, რაც თქვესო. დანიელის და მისი ჭაბუკი მეგობრის ამ ჭეშმარიტმა მიმბაძველმა მთელი ჯარის წინაშე გულახდილად წამოიძახა: მე ვარ ქრისტიანი და მე არ შემფერის უარვყო ის, რომელიც ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი და ყოვლის შემოქმედია, და ლოცვით მივმართო მის გაჩენილს, რომელიც იმისთვის არის შექმნილი, რომ მე და ყველა ადამიანს გვემსახუროს და გვინათოს – ასე რომ მეფე, თუმცა განცვიფრებული იყო და მისი გულახდილობით დარცხვენილი, მიუბრუნდა თავისიანებს, და ჩუმად უთხრა: ეს არის ბაკურიოსი და ჩვენ ის გვჭირდება. რა უნდა ვუყოთ მას? და ეს არის ბაკურიოსის ვაჟკაცობათა ერთი ნაწილი“[96].

ამ სიტყვაძუნწად, მაგრამ საკმაოდ ოსტატურად დაწერილ ნოველაში, ჩვენთვის, პირველ რიგში, საინტერესოა იმისი დადასტურება, რომ ადრე ბიზანტიის სამსახურში ნამყოფი, იმპერატორთან დაახლოებული, მისი სასახლის გვარდიის უფროსი, ქრისტიანობაზე ახლად მოქცეული ბაკურ იბერიელი აღმოსავლეთ ქართლში გამეფების შემდეგ, ბუნებრივია, ირანის შაჰანშაჰის ვასალი შექმნილა. მეორე, რაც ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია „ბაკურ იბერიელის“ და „დიდი ბაკურის“ იდენტიფიკაციისათვის, ეს არის მისი პირადი სიმამაცე და სულიერი სიმტკიცე, რაც ასე თვალში საცემი იყო მისი ბიზანტიელი მეგობრებისათვის და სავსებით გამომჟღავნდა შაჰანშაჰ-

თან ურთიერთობის ზემოხსენებულ ეპიზოდში, როდესაც ბაკურმა ჭეშმარიტი ნეოფიტისათვის დამახასიათებელი თავგანწირვით, რუფუსის სიტყვით, „აღმსარებლობის გვირგვინი დაიწნა ანუ თავისი სურვილის მიხედვით წამებულის გვირგვინიც". ამ იდენტიფიკაციის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე თვით მისი დიდი მნიშვნელობა სპარსეთისათვის, რაც ხაზგასმულია შაჰანშაჰის სიტყვებით, რომ „ჩვენ ის გვჭირდება და რა უნდა ვუყოთ მას?" ჩვენ ვნახეთ, რომ ბაკურ იბერიელი რომაულ-ბიზანტიურ სამყაროში სახელგანთქმული და ყველასგან აღიარებული მხედართმთავარი იყო, ცნობილი თავისი ლაშქრული გამარჯვებებით და სიქველით იტალიიდან სირია-პალესტინამდე. რა თქმა უნდა, ასეთი პიროვნება სპარსეთის სამსახურში „საჭირო" იქნებოდა. მაგრამ გარდა ამისა, იგივ თვით იმპერატორის „socius" ანუ მისი „თანამონაწილე", „თანამოკავშირე" იყო, რაც პირველ რიგში, ცხადია, სახელმწიფო მმართველობის „თანამონაწილეობას" და „თანამოკავშირეობას" ანუ ბიზანტიის მიმდინარე სახელმწიფო პოლიტიკის ცოდნას გულისხმობდა. ასეთი პიროვნება კი სპარსეთის სამეფო კარისათვის, ეჭვი არ არის, უაღრესად „საჭირო" უნდა ყოფილიყო.

„ბაკურ იბერიელისა" და „დიდი ბაკურის" გაიგივებისათვის, ვფიქრობთ, კიდევ ერთი ფაქტი გვიბიძგებს.

ჩვენ ვიცით, რომ ბაკური 394 წ-დე წარმართი იყო. ე. ი. ფაქტობრივად ის ნეოფიტი იყო, რაც, ბუნებრივია, უნდა სცოდნოდა პეტრე იბერისაგან იოანე რუფუსს და, ვფიქრობთ, სწორედ ეს უნდა გამხდარიყო საფუძველი მისი უნებური შეცდომისა (?) (რომელიც სხვაფრივ, მართლაც, პეტრეს განსადიდებლად გამოიყენა), რომ „დიდი ბაკურიოსი (პეტრეს პაპა) იბერთა მეფეებიდან პირველი ქრისტიანი (მეფე) იყო"[97].

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესო ჩანს ჩვენი საუკუნის 50–იან წლებში იტალიური არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ პალესტინაში, იუდას უდაბნოში აღმოჩენილი ქართული მონასტრის ნაშთები ქართული წარწერებით. როგორც გაირკვა, თავდაპირველი ეკლესია მონასტრისა აგებული ყოფილა V ს–ის 30–იან წლებში თვით პეტრე ქართველის მიერ. მასვე შეუმკია იგი ქართული წარწერებით, რომელშიც იხსენიებიან თვით პეტრე მისი საერისკაცო სახელით – „მარუან"[98] აგრეთვე, მამამისი (ან პა-

პამისი მამის მხრივ) – „ბურზენმიჰრ“ (ასურული „ცხოვრების“ ბოზმარიოსი) და პაპა (დედის მხრივ) – „ბაკურ“[99].

„წარწერათა მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტ-რიისათვის ძნელად თუ შეიძლება გადაჭარბებულ იქნეს.

თვით ფაქტი პალესტინის უდაბნოში, აგრეთვე აღმოსავ-ლეთის სხვა ქვეყნებში მეხუთე საუკუნის ქართული ხუროთ-მოძღვრების შესანიშნავი ძეგლების აღმოჩენისა მოწმობს იმ-დროინდელი ქართლის სამეფოს არაჩვეულებრივ ეკონომიურ ძლიერებაზე და აგრეთვე იმ გავლენაზე, რომელიც ქართული კულტურის მესვეურთ და სახელმწიფო მოღვაწეებს მოუპო-ვებიათ ბიზანტიის იმპერიის სამფლობელოებში – იმდროინ-დელი მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში – თავიანთი მაღა-ლი ინტელექტუალური დონისა და კულტურულ–შემოქმედე-ბითი მოღვაწეობის უნარის წყალობით“[100].

ზემოთქმული პეტრე იბერთან ერთად, პირველ რიგში, პალესტინაში მოღვაწე მის ქართველ წინაპარს, „ბაკურ იბე-რიელს“, ცნობილ ინტელექტუალს და სახელმწიფო მოღვაწეს შეეფერება. და რომ „ბაკურ იბერიელი” პეტრე-მარუანის უშუალო წინაპარი, მისი პაპა „დიდი ბაკური” უნდა ყოფილი-ყო, იმის დასტურია, რომ შვილიშვილმა მისი დიდი წინაპრის სახელის უკვდავყოფა გადაწყვიტა იქ, პალესტინაში, სადაც იგი სახელოვნად მოღვაწეობდა ორმოციოდე წლის წინ[101].

ამგვარად, ჩვენი აზრით ბიზანტიაში სახელგანთქმული მოაზროვნე და სარდალი „ბაკურ იბერიელი“ იგივე „დიდი ბა-კურია" - პეტრე იბერის პაპა. თუ ჩვენ სწორად მივიჩნევთ ვა-რაუდს, რომ მისი ბიოგრაფიის ფაქტი, მომხდარი სპარსთა ბა-ნაკში, 422 წელს უკავშირდება, მაშინ მისი ზეობის თარიღებიც გვეცოდინება: 397/402 – 422 წლები[102].

ბაკურის შემდეგ აღმოსავლეთ ქართლში, როგორც ვი-ცით, არჩილი, მისი უკვე ღრმად მოხუცებული ძმა მეფობს. მი-სი ზეობის წლები შეიძლება 422–437 წლებით განისაზღვ-როს[103] „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, გარდა იმისა რომ მის დროს მცხეთაში აზნაურთა მიერ ეკლესიის მშენებლობაზე გვა-უწყებს, გვაწვდის საინტერესო ცნობას, რომ „მოგუნი მოგუე-თას მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა ზედა“[104], რაც ქართ-ლში სპარსთა ექსპანსიის გაძლიერების მოწმობად მიაჩნი-ათ[105]. „ქართლის ცხოვრებაში“ კი ამის საპირისპირო ჩვენებე-ბია დაცული, კერძოდ, არჩილმა „განაცხადა მტერობა სპარს-

თა... მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლისმსახურნი საზღვართაგან ქართლისათა"[106] და სხვ.

ვფიქრობთ, ქართლში მდგომარეობის შეფასებისთვის, ამდროინდელი ირანის ვითარების გათვალისწინება დაგვეხმარება. საქმე ის არის, რომ შაბურ II–ის გარდაცვალების შემდეგ ირანში, ფაქტობრივად, შენყდა კარგა ხნით ქრისტიანების დევნა. ეს განსაკუთრებით იეზდიგერდ I–ის მეფობის პერიოდს (399–421) შეეხება, რომლის ზეობის დროს ქრისტიანულ–ზოროასტრული ურთიერთობანი ახალ ფაზაში შედის. მისი შემწყნარებლური პოლიტიკა ამ მხრივ მიზნად ისახავდა ბიზანტიასთან მშვიდობიანი ურთიერთობის პერიოდში გამოენახა modus vivendi ირანის სახელმწიფოსა და მის ქვეშევრდომ ქრისტიანთა შორის. თუკი იეზდიგერდის მეფობის ბოლო წლებისთვის მეფის დამოკიდებულება ქრისტიანების მიმართ რადიკალურად შეიცვალა, ეს თვით ქრისტიანთა თავხედური ქცევის შედეგი იყო (ანგრევდნენ ცეცხლთაყვანისმცემლობის ტაძრებს, მიწებს ართმევდნენ მათ და სხვა). ახალი დევნა ქრისტიანებისა, რომელიც მზადდებოდა, დაიწყო ბარამ V–ის გურის ტახტზე ასვლისთანავე. ამან საბოლოო ჯამში გამოიწვია მცირე ხნის ომი ბიზანტიასთან, რომელიც დამთავრდა მეორე წელსვე დადებული საზავო ხელშეკრულებით (422 წ.). სპარსელებმა კვლავ მისცეს ქრისტიანებს აღსარების თავისუფლება და ასე გაგრძელდა იეზდიგერდ II–ის მეფობამდე (439–457 წწ.)[107]

აი ამ პერიოდს ემთხვევა აღმოსავლეთ ქართლში დიდი ბაკურის და არჩილის მეფობა და შესაძლებელია ირანში განვითარებული პროცესების გამოძახილი იყოს „ქართლის ცხოვრებაში" ასახული ზემოხსენებული მოვლენები, მით უმეტეს, რომ ეს ქართული მატიანე საერთოდ არ იცნობს დიდ ბაკურს და არ არის გამორიცხული ძმების ზეობის დროს მომხდარი ამბები მხოლოდ არჩილს მიეწერებოდეს.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე „ქართლის ცხოვრებაში", ჯუანშერის თხზულების დასაწყისშივე მოთხრობილი ვითარება, რომელიც ვითომ ქართლში ყოფილა არჩილის გამეფებამდე, რომ „დაიპყრეს ქართლი სპარსთა, და განრყუნეს ეკლესიანი, და დამალეს ჯუარები ქართველთა. და ყოველთა შინა ეკლესიათა ქართლისათა ცეცხლის–მსახურთა სპარსთა აღაგზნეს ცეცხლი"[108], ჩვენი აზრით, უფრო გვიანდელ პერი-

ოდს უნდა ასახავდეს, სწორედ არჩილის მეფობის მომდევნო პერიოდს, ირანის შაჰანშაჰის იეზდიგერდ II–ის მეფობის ხანას[109] ამ უკანასკნელის პოლიტიკა კი ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ V ს–ის 40–იანი წლების ბოლოდან განსაკუთრებით აგრესიული გახდა[110].

ჯერ კიდევ, 428 წელს ბარამ V–მ სომეხ ნახარარებთან შეთანხმებით გადააყენა სომხეთის მეფე არტაშესი სამეფო ტახტიდან და სომხეთის ინკორპორაცია მოახდინა. ამიერიდან სომხეთი გადაიქცა ირანის პროვინციად, რომელსაც შაჰანშაჰის მოხელე მარზპანი მართავდა. მისმა მემკვიდრემ იეზდიგერდ II–მ, რომელიც საბოლოო მიზნად, ცხადია, ასევე მთელი ამიერკავკასიის ინკორპორაციას ისახავდა, ამჯერად აქტიური ნაბიჯები გადადგა სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის მოსახლეობის კულტურული ასიმილაციისათვის. ამ ფართომასშტაბიანი პოლიტიკური გეგმის სულისჩამდგმელი იყო მისი პირველი ვეზირი, ქრისტიანობის აშკარა მტერი, მიჰრ–ნერსე.

V ს–ის სომეხი ისტორიკოსი ელიშე გადმოგვცემს, რომ V ს–ის 40–იანი წლების დასაწყისში შაჰანშაჰმა გამოსცა ბრძანება სპარსელთა გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნებიდან, მათ შორის სომხეთიდან, ქართლიდან და ალვანეთიდან ყოველწლიურად შეკრებილიყო განსაზღვრული რაოდენობის ლაშქარი შუა აზიის ტომებთან, კერძოდ, ქუშანებთან საბრძოლველად, რომლებთანაც სპარსელებს გამუდმებული ბრძოლა ჰქონდათ. ეს ახალი სახის სამხედრო ბეგარა იყო, რომელიც იმავე ისტორიკოსის სიტყვით მოქმედებდა 441 წლიდან 449 წლამდე. ეს ღონისძიება, გარდა იმისა, რომ აძლიერებდა ირანის ლაშქარს, ამავე დროს ცხადია, ასუსტებდა იმ ქვეყნებს, საიდანაც ეს ჯარები გაჰყავდათ. ეს ირანელებს კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული. მეორე მხრივ, იგივე სომეხი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ შაჰანშაჰი ცდილობდა ამ ჯარის ნაწილებში მაზდეანობა გაევრცელებინა.

სომხეთში ირანმა ხალხის აღწერა ჩაატარა, რის შედეგადაც ახალი, გაცილებით უფრო მძიმე საგადასახადო სისტემა შემოიღო, როგორც ირანის პროვინციაში – ირანული მართლმსაჯულება დააწესა და თუ აქამდე უმაღლესი მსაჯულის ფუნქცია კათოლიკოსს ეკუთვნოდა, ახლა იგი მოგპეტს, ცეცხლთაყვანისმცემელთა უმაღლეს ქურუმს უნდა დაკისრე-

ბოდა.-მართალია, ყველაფერი ეს, მაინცდამაინც, სომხეთს შეეხებოდა და როგორ აისახებოდა ეს ირანული აგრესია საკუთრივ ქართლზე, წყაროებიდან არ ჩანს, მაგრამ ირანელთა ზრახვები ქართლის მიმართ, რომ ანალოგიური იყო, ეს კარგად დასტურდება მიჰრ–ნერსეს სიტყვებიდან, შაჰანშაჰის მიმართ, რომელიც შემოგვინახა V ს–ის მეორე ნახევრის სომეხმა ისტორიკოსმა ლაზარ ფარპეციმ. პირველი ვეზირი შაჰს ურჩევდა ზემოხსენებულ ღონისძიებათა გატარების დაჩქარებას, რადგან „როდესაც სომხეთი მტკიცედ იქნება ჩვენი, მაშინ სწორედ ქართლიცა და ალვანეთიც ჩვენი იქნებაო“.

უპირველეს პირობად საამისოდ ირანს მიაჩნდა ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელება ამიერკავკასიის ქვეყნებში და მათ შორის ქართლშიც. ამისათვის შაჰმა თავის კარზე დაიბარა სომხეთის, ალვანეთის და ქართლის წარჩინებულები, მათ შორის ქართლის პიტიახში არშუშა. შაჰმა მათ კატეგორიულად მოსთხოვა მაზდეანობის მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში ცოლ–შვილიანად დაღუპვით და გადასახლებით ემუქრებოდა. შაჰის მუქარა რომ რეალური იყო, ეს იქიდან ჩანს, რომ ასეთ პრეცედენტს მანამდეც ჰქონია ადგილი, „როგორც უქნეს (მანამდე) მრავალ ნახარარს (ერისთავს) ქართველთა ქვეყნიდან“

გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა წარჩინებულებმა გადაწყვიტეს გარეგნულად მიეღოთ ცეცხლთაყვანისმცემლობა და როგორც კი დაბრუნდებოდნენ სამშობლოში, კვლავ ქრისტიანობა ელიარებინათ. ერთმანეთს შეჰფიცეს კიდეც.

კმაყოფილმა შაჰმა იმით, რომ მათ მაზდეანობა მიიღეს, ისინი გაისტუმრა სახლში, მძევლებად კი დაიტოვა სომხეთის მარზპანის ვასაკ სივნიელს შვილები და არშუშა ქართლის პიტიახში, რომელსაც მაინცდამაინც, ეტყობა, არ ენდობოდა, თუმცა კი დიდ პატივს სცემდა.

რამდენადაც ირანის ხელისუფლები მაზდეანობის გავრცელებას მთელს მოსახლეობაში გულისხმობდნენ, ამიტომ აამშობლოში დაბრუნებულ წარჩინებულებს დიდძალი რაოდენობა მოგვებისა თან გააყოლეს. მარტო სომხებისთვის 700 მოგვი ყოფილა განკუთვნილი, რომელთაც სომხეთში ჩასვლისთანავე ენერგიულად დაიწყეს ეკლესიების ნგრევა და მაზდეანური ტაძრების აგება. ასევე უნდა ყოფილიყო ქართლ-

შიც და ამიტომ გვგონია, რომ „ქართლის ცხოვრების“ ჩვენება, რომ „დაიპყრეს ქართლი სპარსთა, და განრყუნეს ეკლესიანი... და ყოველთა შინა ეკლესიათა ქართლისათა ცეცხლისმსახურთა სპარსთა აღაგზნეს ცეცხლი“, სწორედ ამ პერიოდს უნდა ასახავდეს.

მდგომარეობა ძალიან დაიძაბა და, ბოლოს სომხეთში დიდმა აჯანყებამ იფეთქა, რომელსაც სათავეში ვარდან მამიკონიანი ჩაუდგა. აჯანყება მოხდა ალვანეთშიც. პირველი წარმატებების მიუხედავად, საბოლოოდ, ავარაირის ბრძოლაში სპარსელებთან სომხები დამარცხდნენ. ვარდანი ამ ბრძოლაში დაიღუპა.

ყველაფერი ეს მოხდა 450–451 წლებში.

ამ აჯანყებაში ქართლის მონაწილეობა არ ჩანს, წყაროები ამის შესახებ არაფერს ამბობენ. მიზეზი შესაძლებელია ყოფილიყო ის, რომ როგორც ელიშე გადმოგვცემს, სომხეთის მარზპანმა ვასაკ სივნიელმა, რომელმაც კრიტიკულ მომენტში აჯანყებას უღალატა, ამავე დროს „დაარღვია ერთიანობა ქართლის ქვეყნისა სომხეთთან“[11]

ასეა თუ ისე, ერთი რამ თითქოს ცხადია: V ს–ის შუა ხანებში ქართლის, მისი აღმოსავლეთი ნაწილის ურთიერთობა ირანთან დამძიმდა, სიტუაცია დაიძაბა. ირანი უკვე აშკარად ასიმილატორულ პოლიტიკას ეწევა და მიუხედავად იმისა, რომ ქართლს, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, სომხეთ–ალვანეთის აჯანყებაში ირანის წინააღმდეგ მონაწილეობა არ მიუღია და მიუხედავად იმისა, რომ ამ აჯანყების შედეგად სომხეთს თითქოს დროებით შეუმსუბუქდა მდგომარეობა, შაჰანშაჰი თავისი საბოლოო მიზნის განხორციელებაზე – ამიერკავკასიის მთლიანად ინკორპორაციაზე – როგორც ისტორიის შემდგომი მსვლელობა გვიჩვენებს, ხელს არ იღებდა.

ქართლის სამეფო კი კვლავ ორად გაყოფილი რჩებოდა. ამას უნდა მოწმობდეს პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის მედალიონთა განყოფილებაში დაცული ბეჭედი ბერძნული წარნერით, რომლის ქართული თარგმანია: „[არშ] უშა სასანელთა იბერების პიტიახში“ ეს ისეთივე გამოთქმა უნდა იყოს, როგორც ზემოთ ნახსენები იერემიას ტიტული – „სპარსეთის ნანილის იბერიის“ ეპისკოპოსი[12]. არ არის გამორიცხული, ეს პიტიახში სწორედ ჩვენთვის ცნობილი არშუშა იყოს, რაც კიდევ ერთხელ დაამოწმებდა, რომ მისი პიტიახშობის დროსაც (V ს–

ის 20-50-იანი წლები) ქართლის სამეფო ორად იყო გაყოფილი.

შენიშვნები:

1. Christensen A., L' Iran sous les Sassanides, Copenhague, 1944, p. 294.
2. იქვე, გვ. 236.
3. История Армении Фавстоса Бузанда. Перевод с древнеармянского и комментарии М. А. Геворгяна, Ер., 1959, стр. 123. (ქვემოთ: ფავსტოს ბუზანდი).
4. ამიანე მარცელინე, „გეორგიკა", I, გვ. 101; Christensen A., დასახ. ნაშრომი, გვ. 241; ამ დროს ალვანეთის მეფედ ურნაირია (იხ. Мамедова, Ф. Политическая история, стр. 187).
5. Christensen A., დასახ. ნაშრომი, გვ. 245. ურნაირი შაბურის მოკავშირეა 371 წ. ძირავის ბრძოლაშიც (იხ: Тревер К., Очерки, стр. 198, 199; Мамедова, Ф. там же, стр. 187.).
6. ამიანე მარცელინე, გვ. 101, 102.
7. იქვე, გვ. 124 და 141.
8. C M H, v. I, L., 1936, pp. 84, 85; ჯანაშია ლ.-ნ., ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 77.
9. ჯანაშია ლ.-ნ., დასახ. ნაშრომი, იქვე; თუმცა ა. ქრისტენსენი (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 298) თვლის, რომ ზავის პირობების თანახმად იბერია და ალბანეთი (?!) გამოეთიშნენ რომის სიუზერენიტეტს და ირანის მფარველობის ქვეშ შევიდნენ, მაგრამ, როგორც ვნახავთ, ეს სწორი არ არის არც იბერიის და, მით უმეტეს, ალბანეთის მიმართ, რომელიც დიდი ხანია ირანის ვასალურ სახელმწიფოდ გამხდარიყო (იხ. ზემოთ). ალბანეთისათვის იხ. Мамедова, Ф. Политическая история, стр. 187.
10. ამიანე მარცელინე, გვ. 125. რომაელი ისტორიკოსის ასეთი გამოთქმის საფუძველზე ა. ბოგვერაძე თვლის, რომ 363 წ-ის საზავო პირობების საფუძველზე ქართლი რომაელთა მოკავშირეობიდან მის ხელდებულად გადაქცეულა (იხ. მისი, ქართლის (იბერიის) სამეფოს 364 წლის გაყოფის საკითხისათვის, გვ. 89).

11. Тревер К., Очерки по истории и культуре Кавказскоей Албании, М.-Л., 1959, стр. 198.
12. ამიანე მარცელინე, გვ. 124.
13. იქვე, გვ. 125.
14. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 275; აბაშიძე ე., „ქართლის ცხოვრების" წარმოქმნისა და განვითარების საკითხები, თბ., 1999, გვ. 85.
15. ქც, გვ. 136.
16. მოქცევაჲ, გვ. 91, 92.
17. Christensen A., დასახ. ნაშრომი, გვ. 137, შენ. 1.
18. ამ ცნობის იმ ნაწილში, სადაც აღნიშნულია, რომ ვარაზ-ბაკურის დროსვე „სპარსთა მეფისა მარზაპანნი შემოვიდეს სივნიეთა", სიტყვა „მარზაპანი" შესაძლებელია უფრო გვიან გადამწერის მიერ იყოს ჩართული, რასაც, ჯერ ერთი, მისი მრავლობითის ფორმით ხმარება უნდა მიგვანიშნებდეს და აგრეთვე ის, რომ ჭელიშურ რედაქციაში ეს სიტყვა არ გვაქვს. აქ პირდაპირ წერია, რომ ვარაზ-ბაკურის „ზე სპარსნი შემოვიდეს" მოქცევაჲ, გვ. 91).
19. ქც, გვ. 136.
20. იქვე, გვ. 135, 136.
21. ამიანე მარცელინე, გვ. 128.
22. იქვე; რომ ისტორიკოსის „მაღალი მთები... უღრანი ტყეებით და დახლაკნილი სერებით" ტაო უნდა იყოს, იხ. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. I, გვ. 91, 92.
23. ამიანე მარცელინე, გვ. 129, 130.
24. ამიანე მარცელინე, გვ. 130.
25. თემისტიოსი, „გეორგიკა", I, გვ. 47.
26. ამიანე მარცელინე, იქვე.
27. ქც, გვ. 136, 137
28. იქვე, გვ. 177.
29. იქვე, გვ. 4,5.
30. იხ. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. I, გვ. 201, 202. შდ. მელიქიშვილი გ., ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, იიშ, IV[1], თბ., 1958, გვ. 166. ავტორი შესაძლებლად თვლის, რომ საურმაგი „იბერიის (შედარებით უმნიშვნელო) ნაწილის", კერძოდ „კლარჯეთის"

ხელისუფალი იყო, რაც შეუძლებელია, რადგან იბერიის ამ ორ ნაწილს შორის საზღვრად მდ. მტკვარია!

31. მკვლევართა უმეტესობას დღემდე მიაჩნია, რომ ამიანე მარცელინის ცნობა პირდაპირ უნდა გავიგოთ და ე. ი. იბერიის ამ ორ ნაწილს მტკვარი მთელ სიგრძეზე ჰყოფდა (იხ. ჯანაშია ლ.-ნ., ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 78 და იქვე შენ. 17: ლიტერატურა ამ საკითხზე; მისივე, ისტორიულ წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, გვ. 26; ბოგვერაძე ა., ქართლის (იბერიის) სამეფოს 369 წლის გაყოფის საკითხისათვის, გვ. 91; მისივე, ქართლის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარება, გვ. 21), თანაც მტკვრის მარცხენა მხარე ასფაგურს (ირანის კრეატურას) უნდა რგებოდა, ხოლო მარჯვენა - საურმაგს (რომის კრეატურას)?! სრულიად საწინააღმდეგო აზრით ესმის ამიანე მარცელინის ცნობის კონტექსტი გ. მელიქიშვილს (იხ. მისი, ქართლის (იბერიის) სამეფოს, გვ. 165), რაც, ცხადია, უფრო რეალურია, და ს. კაკაბაძეს (იხ. მისი, ძიებანი ქართველთა IV-VII საუკუნის ისტორიის შესახებ. „საისტორიო კრებული", წიგნი II, თბ., 1928, გვ. 13).

32. Christensen A., დასახ. ნაშრომი, გვ. 238-240; Chaumont M. L., Les rois sassanides d' Arménie (III-ème siècle ap. J.-C.). "Iranica Antiqua", vol. VIII, Leiden, 1968, 92. სომხეთის ნაწილი, მაინცდამაინც, ჩვენთვის საინტერესო წლებში რომ შაბურის ხელშია, ეს ამიანე მარცელინის თხრობიდანაც ჩანს: მას შემდეგ, რაც სომხეთის მეფე პაპმა (369-374) შაჰანშაჰს გლაკისა და არტაბანის მოჭრილი თავები გაუგზავნა, „ვითარცა მორჩილების ნიშანი, ამ უბედურების ხმა შორს გავარდა და მთელი სომხეთი დაიკარგებოდა უდამცველებოდ, რომ არინთევსის მოსვლით შეშინებულ სპარსელებს მასში მეორედ შეჭრა არ გადაედოთ" („გეორგიკა", I, გვ. 129). ამგვარად, გარდა მისა, რომ ამ შემთხვევაში სომხეთის მეფე სპარსეთის შაჰის მორჩილი ჩანს, რომაელებს ეშინიათ, რომ არ დაიკარგოს „მთელი სომხეთი", რაც მოწმობს, რომ სომხეთის რაღაც ნაწილი დაკარგულია! ეს უნდა იყოს ქართლის მომიჯნავე აღმოსავლეთი სომხეთი. ამდენად ამიანეს შეეძლო ეთქვა, რომ ეს ტერიტორია „სპარსეთია" ასეთი ვითარება კი კიდევ ერთხელ მოწმობს საურმაგისა და ასფაგურის წილ ქვეყანათა შორის მტკვრის მთელი

დინების საზღვრად დადების აბსურდულობას: საქმე ის არის, რომ საურმაგის ანუ რომაული ნაწილისადმი ქვემო ქართლის მიკუთვნება, რაც ასეთ შემთხვევაში იგულისხმება ჯერ ერთი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, წყაროებში შემორჩენილი რეალიებით არ მტკიცდება და, მეორე, რაც მთავარია, უკვე იმიტომ არის გამორიცხული, რომ ასეთი ვითარების რეალურად არსებობისას, ამიანე მარცელინე ვერ იტყოდა, ასფაგურს, სპარსელთა კრეატურას, მტკვრის ჩრდილოეთი ქართლის ანუ par excellence შიდა ქართლის და კახეთის მფლობელს, „სპარსელების მომიჯნავე" მხარე ერგოო, რადგან თუ აღმოსავლეთიდან ეს ქვეყანა, მართლაც, ესაზღვრებოდა ალბანეთს, სპარსეთისაგან იგი სრულიად იზოლირებული აღმოჩნდებოდა სწორედ მტკვრის სამხრეთით მდებარე ქართლით ანუ ქვემო ქართლით, რომელიც ამ თეორიით „რომაული ქვეყანა" უნდა ყოფილიყო! სხვათა შორის, ამიანე მარცელინის ცნობიდან გამომდინარე, საზღვრის მტკვრის დინების მთელ სიგრძეზე დადების უხერხულობას (ასეთ შემთხვევაში საურმაგის წილხვედრ ქვეყანაზე ამიანე მარცელინე ვერაფრით ვერ იტყოდა, რომ მას „ლაზების მოსაზღვრე" რეგიონი ერგო!), როგორც ჩანს, ი. ჯავახიშვილიც გრძნობდა და ამიტომ მან სრულიად ლოგიკურად იგულისხმა, რომ მტკვარს გარდა, „ამ ორ სამეფოს შუა საზღვრად... ალბათ მდინ. არაგვიც უნდა ყოფილიყო" (იხ. მისი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 275). მაგრამ ასეთი კონიექტურაც, როგორც ვნახეთ, საკმარისი არ არის.

33. შდ. მელიქიშვილი გ., ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, გვ. 166.
34. ამიანე მარცელინე, გვ. 131.
35. იქვე, 140.
36. ფავსტოს ბუზანდი, გვ. 161-163; ისტორიკოსის მიხედვით ეს ხდება სომეხთა მეფე პაპის სიცოცხლეში (იქვე, გვ. 163), რომელიც გარდაიცვალა 374 წ. და მას შემდეგ, რაც „შენყდა ომი სპარსელთა მხრიდან" (იქვე, გვ. 161), ე. ი. მაინცდამაინც 371 წლის ძირავის ბრძოლის შემდეგ სპარსელებსა და რომაელ - სომხებს შორის (იხ. Тревер К., დასახ. ნაშრომი, გვ. 200), რადგან მოვსეს ხორენაცის სიტყვით, სწორედ

„ამის შემდეგ დაწყნარდა ჩვენი ქვეყანა და დაექვემდებარა პაპს" (მოვსეს ხორენაცი, გვ. 209).

37 ფავსტოს ბუზანდი, გვ. 162, 163. რომ ფავსტოსის ეს ცნობები ზღაპრული შენათხზია, ეს ჯერ კიდევ ი. მარკვარტმა აღნიშნა (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 122).

38. ფავსტოს ბუზანდი, გვ. 123.

39. იქვე, გვ. 124, 125.

40. იქვე, გვ. 123.

41. Адонц Н., Армения в эпоху Юстиниана, Ер. 1971, стр. 225; ნ. ადონცი ამ მოვლენას ათარიღებს „არშაკის დაცემის დროით IV ს-ის მეორე ნახევარში", როგორც ჩანს, მაინცდამაინც, 60-იანი წლებით.

42. შდ. ბოგვერაძე ა., ქართლის (იბერიის) სამეფოს..., გვ. 94-96.

43. მოვსეს ხორენაცი, გვ. 199.

44. იქვე, გვ. 200.

45. ბოგვერაძე ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

46. შდ. იქვე, გვ. 97.

47 ამიანე მარცელინე, გვ. 141.

48. იქვე, გვ. 142.

49. Кулаковский Ю., История Византии, т. I, стр. 143.

50. ამიანე მარცელინე, გვ. 142.

51. ბოგვერაძე ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 93, 94. ავტორი ქართლში ორმეფობის მოსპობის თარიღად 377 წელს მიიჩნევს.

52. Christensen A., დასახ. ნაშრომი, გვ. 253; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 275.

53. ასე ფიქრობს ა. ბოგვერაძე, იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93, 94.

54. თემისტიოსი, გვ. 48.

55. იქვე, გვ. 49, 50.

56. ი. ჯავახიშვილი, სხვათა შორის, ითვალისწინებდა რა შაბურ II-ის უშუალო მემკვიდრეების დროს ირანის პოლიტიკურ მდგომარეობას აღნიშნავდა, რომ „მთელი ამ ხნის განმავლობაში თვით სპარსეთი დასუსტებული და შინაური საქმეებით გართული იყო. მაშინ სპარსეთი იბერიისათვის ვერ მოიცლიდა, აღმოსავლეთი საქართველოც მოსვენებით იქმნებოდა. იქნება ამ დროსვე მოისპო სპარსთა წყალობით

შემოღებული იბერიის ორ სამეფოდ დაყოფა" (იხ. მისი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 275).

57. მოვსეს ხორენაცი, გვ. 212.

58. იხ. მაგალითად, Адонц Н., Армения в эпоху Юстиниана, Глава I.

59. ასეთი აზრი პირველად თითქმის ერთდროულად გამოთქვეს კ. კეკელიძემ (იხ. მისი, იბერიის ქრისტიანიზაციის საწყისებთან. „ეტიუდები" ტ. III, 1955, გვ. 21) და ი. მარკვარტმა (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 126, 127). შემდეგ იგი სხვებმაც გაიზიარეს (მელიქიშვილი გ., ქართლის (იბერიის) სამეფოს, გვ. 165-167; გოილაძე ვ., ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თბ., 1990).

60. იოანე რუფუსი, წმინდა პეტრე იბერის, ნეტარი ეპისკოპოზის და ჩვენი უფლის აღმსარებლის და ასკეტის ცხოვრება. „გეორგიკა", ტ. 2, თბ., 1965, გვ. 249.

61. იქვე, გვ. 251.

62. იქვე, გვ. 250. დიდი ბაკურის პირველ ქართველ ქრისტიან მეფედ გამოცხადება, როგორც აღნიშნული იყო, შეცდომაა და „პეტრეს განსადიდებლად არის შეთხზული წიგნის ავტორის, ან მისი მოგვიანო რედაქტორის მიერ" (ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები, გვ. 92).

63. კეკელიძე კ. დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

64. მოქცევაჲ, გვ. 92.

65. იოანე რუფუსი, გვ. 248.

66. იქვე, გვ. 256. პეტრე იბერის დაბადების თარიღად ითვლება 411 წ. (იხ. ქსე, ტ. VIII, 1984).

67. იქვე, 260.

68. კეკელიძე კ., იერემია იბერიელი (ანტინესტორიანი მოღვაწე V საუკუნისა), ტუმ, IX, თბ., 1929; მამულია გ., ქართული ეკლესია V-VI საუკუნეებში, თბ., 1992, გვ. 10, შენ. 4. ამდენად, არ არის სწორი ა. ბოგვერაძის კატეგორიული განცხადება, რომ „ქართლის დანაწილება რომისა და ირანის პოლიტიკური გავლენის სფეროებად IV ს. ბოლოს და V ს. დასაწყისში არც ერთი ისტორიული წყაროთი არ მტკიცდება" (იხ. მისი, იოანე რუფუსის პეტრე იბერის ცხოვრება, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო. კრებ.: „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები", VII, თბ., 1999, გვ. 47).

69. ამ ეპოქის მეფეთა შესახებ წყაროებში დაცული ცნობები და მათი ზეობის თანმიმდევრობის უკანასკნელ ხანს წარმოდგენილი ცდა იხ. ვ. გოილაძე, ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თავი მეექვსე.
70. ქც, გვ. 138.
71. იოანე რუფუსი, გვ. 249.
72. იხ. Кулаковский Ю., История Византии, т. I, стр. 160, 161; Markwart J.. Die Bekehrung, S. 125; Пигулевская Н. Сирийские источники по истории народов ССР, М.-Л., 1941, стр. 36-41. ედესის ქრონიკით (540 წ.) ჰუნები რომაელთა სამფლობელოებს შემოსევიან სელევკიდური წელთაღრიცხვის 706 წ. ანუ (706-311)=395 წ. (იხ. Пигулевская Н. В. Эдесская хроника. "Палестинский сборник", вып. 4 (67), М.-Л., 1959, стр. 91, XXXIX). ი. მარკვარტი ამ თარიღს იზიარებს. იეშუ სტილიტის ქრონიკით (518 წ.) ეს შემოსევა 707=396 წელს მოხდა (იხ. Пигулевская Н., Месопотамия на рубеже V-VI вв. н. э. Сирийская хроника Иешу Стилита как исторический источник, ТИВ, т. XXXI, М.-Л., 1940, стр. 131, §9). ი. კულაკოვსკი ამ თარიღის მომხრეა, რაც უფრო სწორი უნდა იყოს, რამდენადაც 395 წელს კონსტანტინოპოლიდან გამოქცეულ ფარსმანს, ძნელი წარმოსადგენია, იმავე წელს მოეხერხებინა ეს. ჰუნთა ამ შემოსევას 708=397 წლით ათარიღებს XIII ს-ის სირიელივე მწერალი ბარ-ებრეუსი (იხ. Пигулевская Н., Сирийские источники, стр. 39). აღსანიშნავია, რომ ი. კულაკოვსკის მიხედვით ჰუნები დარუბანდის გზით გადმოსულან, ხოლო ნ. პიგულევსკაია, სიფრთხილისა გამო, თავს იკავებს კლაუდიანის Caspiae claustra-ს იდენტიფიკაციისაგან. რომ აქ დარიალანზეა საუბარი ამას ისიც მოწმობს, რომ პროკოპი კესარიელის მიხედვით „კასპიის კარი", რომელიც იბერიასთანაა, ალექსანდრე მაკედონელის აგებულია! („გეორგიკა", ტ. 2, 46).
73. იხ. ნ. პიგულევსკაიას, დასახ. ნაშრომი, გვ. 40. იეშუ სტილიტიც მიუთითებს, რომ ეპარქოს რუფინუსის ღალატის წყალობით, მთელი სირია ჰუნთა ხელში აღმოჩნდა (Пигулевская Н., Месопотамия, გვ. 131, §9). ცხადია, ამ წყაროებს გულისხმობს ი. მარკვარტი, როდესაც ამბობს, რომ შესაძლოა, ფარსმანი რუფინუსთან შეთანხმებით მოქმედებდაო.

მართლაც, ასე შესაძლებელია ყოფილიყო, მაგრამ, მეორე მხრივ, თუ ფარსმანი სპარსეთის ვასალი იყო, და ჩვენ სწორედ ასე გვგონია, მაშინ გამორიცხული უნდა იყოს ასეთი დიდი მასშტაბის სამხედრო აქცია ბიზანტიის წინააღმდეგ მას შაჰანშაჰის დაუკითხავად განეხორციელებინა. ამ ფარსმანს ქართული წყაროებიც იცნობენ და იგი „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ვარაზ-ბაკურის (ვარაზ-ბაქარის) შვილია და თრდატის, შემდეგ მეფობს („მოქცევაჲს" მიხედვით „ფარსმან, დისწული თრდატისი" იყო, იხ. ძეგლები, I, გვ. 92). ასე რომ, ქრონოლოგიურად ეს ცნობები თითქოს კორექტულია, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ფარსმანის პოლიტიკურ ორიენტაციაზე: „ქართლის ცხოვრებით" ფარსმანი „ეზრახა მეფესა ბერძენთასა და ითხოვა მისგან შენევნა; და აღასრულა თხოვა მისი კეისარმან. მაშინ განდგა და არღარა მისცა სპარსთა ხარკი" (ქც, I, გვ. 137, 138). დიამეტრალურად განსხვავებული ინფორმაციაა უცხოურ წყაროებთან შედარებით. ჩემი აზრით, უპირატესობა ამ უკანასკნელს უნდა მიეცეთ.

74. გოილაძე ვ., ფარნავაზიანთა სახლის..., გვ. 96.
75. გოილაძე ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 110-114.
76. ამიანე მარცელინე, გვ. 144.
77. ლიბანიოსი, „გეორგიკა", ტ. I, გვ. 59-66.
78. გელასი კესარიელი, გვ. 194; რუფინუსი, გვ. 207.
79. გიორგი ამარტოლი, „გეორგიკა", ტ. IV_2, 1952, გვ. 312; გოზალიშვილი გ., არის თუ არა ბერძნულ-ლათინური წყაროების ბაკური იბერიის მეფე? კრებული: მსკი, ნაკვ. I, 1946, გვ. 2,3. ზოსიმეს ცნობა (იხ. „გეორგიკა", ტ. I, გვ. 269, 270), რომ ამ ბრძოლაში ბაკური დაილუპა არ არის სწორი, რადგან რუფინუსი მასზე ამის შემდეგაც, როგორც ცოცხალზე, საუბრობს (იხ. ი. მარკვარტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123).
80. გელასი კესარიელი, გვ. 194.
81. იხ. „გეორგიკა", ტ. I, გვ. 179, 183.
82. რუფინუსი, გვ. 207.
83. ჩხარტიშვილი მ., „ფრიად სარწმუნო ბაკური", ჟურნ: „მნათობი", №5, 1985, გვ. 164.
84. Markwart J., დასახ. ნაშრომი, გვ. 126, 127.
85. ქც, I, გვ. 138.

86. მოვსეს ხორენაცი, გვ. 223, 224. ეს ამბავი V ს-ის მეორე სომეხ ისტორიკოსთან, კირიუნთანაც არის შემონახული (იხ. ი. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, გვ. 155). როგორც ა. აბდალაძე, აღნიშნავს, ბოლო ხანების სომხურ ისტორიოგრაფიაში სომხური ანბანის შექმნის თარიღად ნავარაუდევია 405 წელი (იხ. მოვსეს ხორენაცი, გვ. 283, შენ. 44). ბაკურს იცნობს კორიუნიც (იხ. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. I, გვ. 164).
87. მოვსეს კალანკატუაცი, გვ. 62.
88. მოვსეს ხორენაცი, გვ. 231.
89. მოვსეს კალანკატუაცი, იქვე.
90. იხ. დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, იქვე.
91. ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1968, გვ. 038, 048, 93; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 164, 166.
92. ჯავახიშვილი ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 160; ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 030-041.
93. შდ. მელიქიშვილი გ., ქართლის (იბერიის) სამეფოს..., გვ. 168, 169.
94. კეკელიძე კ. ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, გვ. 29, შენ. 1; ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.
95. Notitia dignitatum, „გეორგიკა", ტ. I, გვ. 171; იხ. იქვე, გვ. 169, 170: ძეგლის თარიღისათვის.
96. იოანე რუფუსი, გვ. 250, 251.
97. იქვე, გვ. 249; შდ. იქვე, გვ. 248.
98. პეტრე ქართველის საერისკაცო, ახალგაზრდობის სახელი შემონახულია მისი ცხოვრების ქართულ ვერსიაში - მორვანოზ//მურვანოსი (იხ. Житие Петра Ивера царевича-подвижника и епископа Майумского V века. Грузинский подлинник издал, перевел и предисловием снабдил Н. Марр. Православный палестинский сборник, т. XVI, вып. второй, С.-Пб., 1896). პალესტინის წარწერაში იგი ოდნავ სახეშეცვლილია - მარუან.
99. წერეთელი გ., უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.

100. იქვე, გვ. 45, 46.
101. შდ. ს. ყაუხჩიშვილის აზრს: „მე-5 საუკუნის ტაძარში რომ წარწერა საჭიროდ თვლის საგანგებოდ მოიხსენიოს მის შესანდობლად ვინმე ბაკური, ჩვენ გვინდა ვიფიქროთ შემდეგი: მე-5 საუკუნეში იერუსალიმის მახლობლად აგებულ ტაძარში რომელი ბაკური უნდა მოეხსენებინათ, თუ არა ის ბაკური, რომელიც ცნობილი არის სწორედ ამ მიდამოებში წარმოებული ბრძოლების დროს, როგორც გამოჩენილი სარდალი; რომელი ბაკური შეიძლებოდა გახსენებოდა მე-5 საუკუნის ტაძრის მშენებელთ პალესტინაში, თუ არა ის ბაკური, რომელსაც იცნობდა მთელი ბიზანტია, როგორც გამოჩენილ მოღვაწეს და მოაზროვნეს" („გეორგიკა", ტ. I, გვ. 265).
102. კ. კეკელიძის მიხედვით დიდი ბაკური 422 წელს იღუპება ირან-ბიზანტიის ომში (იხ. მისი, იბერიის ქრისტიანიზაციის საწყისებთან, გვ. 19). „დიდი ბაკურის" და „ბაკურ იბერიელის" იდენტიფიკაციას არ იზიარებს ა. ბოგვერაძე, რომელსაც ამავე დროს პალესტინის ზემოხსენებული წარწერები ამ თვალსაზრისით უსარგებლოდ მიაჩნია. მისივე აზრით, ბუზმირი, პეტრეს მამა, ქართლის მეფე კი არა „მეფის თანამმართველი და მეორე ხელისუფალი" იყო (იხ. ა. ბოგვერაძე, იოანე რუფუსის „პეტრე იბერის ცხოვრება", გვ. 51, 73, 77).
103. ი. ჯავახიშვილი მისი მეფობის პერიოდს დაახლოებით 429-437 წლებით განსაზღვრავდა (იხ. მისი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 276), მაგრამ დასაწყისი, როგორც ჩანს, უნდა ქვემოთ ჩაინიოს (მესროპის საქმიანობა ქვემო ქართლში, არტაშეს სომეხთა უკანასკნელი მეფის დროს). ლ.-ნ. ჯანაშია მის დასაწყისად აგრეთვე 422 წელს თვლის შესაძლებლად (იხ. მისი, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 43).
104. მოქცევაჲ, გვ. 92.
105. ჯანაშია, ლ.-ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 104.
106. ქც, I, გვ. 140.
107. Christensen A., L' Iran sous les Sassanides, pp. 269-283; История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, Л., 1958, стр. 51, 52.
108. ქც, I, გვ. 139.

109. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ IV ს-ის ბოლოს და V ს-ის პირველი ნახევრის ვითარების შესახებ ქართლში, როგორც საკუთრივ ქართულ, ისე ქართულ და უცხოურ წყაროთა მონაცემებს შორის აშკარა წინააღმდეგობანია. გარდა იმისა, რომ, როგორც ვიცით, სირიული „ცხოვრება" პეტრე იბერისა ქართლის მეფეებად ასახელებს პიროვნებებს, რომელთაც ქართული მატიანეები ან საერთოდ არ იცნობენ (ბოზმარიოსი) ან იცნობენ ნანილობრივ (დიდი ბაკური, რომლის გაიგივება შეიძლება „მოქცევაჲს" ბაკურ თრდატის ძესთან, მაგრამ რომელსაც არ იცნობს „ქართლის ცხოვრება"), თუმცა მათი რეალურად არსებობა უდავოა (პალესტინის ქართული მონასტრის წარწერების ბურზენმიჰრი და ბაკური. ის რომ ეს უკანასკნელნი წარწერებში მეფეებად არ იხსენიებიან არ არის არსებითი. არსებითია მათი სახელების დადასტურება მარუან-პეტრე იბერის სახელთან ერთად, მის მიერვე აგებულ ეკლესიაში), მონაცემები იმ მეფეთა შესახებ, რომელთაც ორივე რიგის წყარო იცნობს ერთმანეთის გამომრიცხველია. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ (იხ. სქოლიო 73), თუ როგორ დიამეტრალურად საპირისპიროდაა დახასიათებული ფარსმანის საგარეო პოლიტიკა ქართულ და სირიულ წყაროებში. ასევე, ურთიერთგამომრიცხველი დახასიათება გვაქვს იმავე წყაროებში არჩილ მეფისა, იმდენად განსხვავებული, რომ ზოგს იგი სხვადასხვა პიროვნებად მიაჩნია (იხ. გოილაძე ვ., ფარნავაზიანთა, გვ. 101-103 და 115-117). ამასთანავე, ლ. ჯანაშიამ კარგად გახაზა ის განსხვავებული ჩვენებები, რომლებიც, კერძოდ, იგივე არჩილის შესახებ გვაქვს ქართულ წყაროებშიც, ნათელყო „ქართლის ცხოვრებაში" გადმოცემული მისი საგარეო პოლიტიკის არარეალურობა (იხ. ჯანაშია ლ.-ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 104-107). ყველაფერი ეს გვიკარნახებს სიფრთხილეს ქართული, განსაკუთრებით „ქართლის ცხოვრების" ცნობების გამოყენებისას იმ ზოგადი წყაროთმცოდნეობითი პრინციპის საფუძველზე, რომელზედაც ზემოთ უკვე ჩამოვაყალიბეთ ჩვენი შეხედულება.

110. Christensen A., დასახ. ნაშრომი, გვ. 283; История Ирана, стр. 52, 53.

111. იეზდიგერდ II-ის ურთიერთობა ამიერკავკასიის ქვეყნებთან და სომხეთის აჯანყების შესახებ თხრობა ძირითადად

გადმოცემულია ლ. ჯანაშიას მიხედვით (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 109-135).

112. კეკელიძე კ., არშუშა პიტიახშის ბეჭდის წარწერის გაგებისათვის, „ეტიუდები", I, 1956.; ა. ბოგვერაძის აზრით (იხ. მისი, ქართლის პიტიახშთა ხელისუფლებისა და ვინაობის საკითხისათვის, მსკი, 35, თბ., 1969, გვ. 66), წარწერის „კარქედონ" თვით პიტიახშთა სასანიანობას მიუთითებს.

3. ეგრისი IV–V ს–ის პირველ ნახევარში

IV–V საუკუნეებისათვის ეგრისის სამეფოს უკვე საკმაოდ ხანგრძლივი, რთული განვითარების გზა ჰქონდა გავლილი და პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის ეტაპზე იმყოფებოდა[1] IV ს–ის პირველ ნახევარში, როდესაც კონსტანტინე I–მა რომის მთელი იმპერია ოთხ პრეფექტურად გაჰყო[2], ეგრისი, სავარაუდოა, აღმოსავლეთის პრეფექტურის პოლემონის პონტოს პროვინციაში შედიოდა, რომელიც თავის მხრივ, პონტოს დიოცეზის შემადგენელი ნაწილი იყო[3]. ამ დროს „ფაზისზე მდებარე სიმაგრეებში"[4] ჯერ კიდევ უნდა მდგარიყო რომაული გარნიზონები[5]. ამ ხანისთვის IV ს–ის სომეხი ისტორიკოსის, აგათანგელოსის თხზულების ერთ–ერთ ბერძნულ რედაქციაში იხსენიება თრდატ სომეხთა მეფესთან და იბერიის და ალვანეთის მეფეებთან ერთად „ლაზთა მეფე"[6].

IV ს–ის მეორე ნახევრიდან ეგრისის სამეფოს ტერიტორია მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ამიანე მარცელინის ცნობის მიხედვით, 369–70 წლებში ირანის შაჰი შაბურ II სომხეთს შეესია და სომხეთის მეფემ დიდებულებითურთ „სცადეს შეეფარებინათ თავი მაღალ მთებში, რომლებიც ჩვენებს [ე. ი. რომაელთა მიწებს] ლაზიკისაგან ჰყოფენ. იქ ხუთ თვეს იფარავდნენ თავს უღრან ტყეებსა და დახლაკნილ სერებში და თავს აღწევდნენ მეფის მრავალ ცდას მათი დაჭერისათვის"[7] კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ ეს მაღალი მთები, რომლებიც ამ დროს გამოჰყოფდნენ რომაელთა უშუალო სამფლობელოს ეგრისის სამეფოსაგან, უნდა მდებარეობდეს ჭოროხის შესართავის სამხრეთ–აღმოსავლეთით, ზღვის მახლობლად[8], და ამავე დროს ეს უნდა ყოფილიყო საკმაოდ ფართო ტერიტორია[9], რომელიც, თავის მხრივ, სომხეთში იგულისხმება. ამიტომ, საფიქრებელია, რომ აქ საუბარია ტაოს ან მისი დიდი ნაწილის შესახებ. ამის საფუძველს ტაოს ფიზიკური გეოგრაფიაც იძლევა[10].

ამგვარად, IV ს–ის 60–იან წლებში რომის სამფლობელოებსა და ლაზიკას შორის ტაო იდო, რომელიც ამ დროს სომხეთში შედიოდა. ქართლისათვის თითქოს ადგილი აღარ რჩება და ამდენად, საფიქრებელია, რომ ტერიტორია ზღვისპირეთისა, რომელსაც ეს ქვეყანა ფლობდა ჯერ კიდევ II ს–ში (ზიდრიტები) და, შესაძლებელია, IV ს–ის პირველ ნახევარშიც, ახ-

ლა ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს მფლობელობაში უნდა გადასულიყო[11]

VI ს–ის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ერთი ცნობის მიხედვით, მის დროს „ტრაპიზონელთა საზღვრები ვრცელდება დაბა სუსურმენემდე და ეგრეთ წოდებულ რიზემდე“[12]. ორივე პუნქტი დღესაცაა ცნობილი ზღვის სანაპიროზე თურქეთის ლაზისტანში (ძვ. ჭანეთი).

პროკოპისთან საუბარია, როგორც ჩანს, ბიზანტიის იმპერიის უშუალო მფლობელობაში მყოფ უკიდურეს ტერიტორიაზე სამხრეთ–აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთზე[13]. შემდეგ ბიზანტიელი ისტორიკოსი განაგრძობს: „რიზეს მოსდევს მიწა–წყალი ერთი ხალხისა, რომელიც რომაელებსა და ლაზებს შორის მოსახლეობს. იქ მდებარეობს ერთი სოფელი, სახელად ათინა... ათინის შემდეგ მდებარეობს არქაბე და აფსარუც... იქაური მცხოვრებლები არც რომაელთა და არც ლაზთა მეფის ქვეშევრდომები არ არიან გარდა იმისა, რომ, რადგან ისინი ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მათ მღვდელმსახურებს“[14]. ეს უკანასკნელი გარემოება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ოდესღაც, ცხადია მაშინ, როდესაც ეგრისის სამეფო თავისი ძლიერების ზენიტს აღწევდა, ეს ტერიტორია მის ფარგლებში შემოდიოდა[15].

ისტორიკოსთა ეს ცნობები და მათი ამგვარი ინტერპრეტაცია სწორი რომ უნდა იყოს, ამას მოწმობს მათგან სრულიად დამოუკიდებელი წყარო, ე. წ. „სომხური გეოგრაფია“, რომლის მოკლე რედაქციაში ვკითხულობთ: „კოლხეთი არის იგივე ეგრისი... და შეიცავს ეგრისი ოთხ მცირე ქვეყანას: მანრილი, ეგრევიკა, ლაზივი, ჭანეთი, რომლებიც არიან ხალდები“[16]. ვრცელი რედაქცია ამავე წყაროსი უფრო დაწვრილებით ცნობებს იძლევა, ისიც ჩამოთვლის ზემოხსენებულ პროვინციებს: „მანვილი (ვარ.: მანრილი), ეგრევიკი ანუ საკუთრივ ეგრისი, რომლის კიდეზე არის მდინარე ფაზისი (რიონი, დ. მ.) თანამოსახელე ქალაქითურთ, და ჭანივი - იგივე ხალდები (ლაზივი აშკარად გამოტოვებულია, დ. მ.)... აქვს (ეგრისს, დ. მ.) ხუთი ქალაქი: იანი (ვანი? დ. მ.), კოტა (ქუთაისი, დ. მ.), როდოპოლისი (ვარდციხე, დ. მ.), ათინა და რიზონი და სხვა ბევრი ემპორიონები (სავაჭრო პუნქტები, დ. მ.) ანუ საზღვისპირო დაბა-ქალაქები, რომელთა შორისაა ტრაპიზონი“[17].

ეჭვი არ არის, რომ „სომხური გეოგრაფიის" ავტორი ეგრისის აღწერისას ისევე, როგორც საერთოდ მთელი თხზულების შედგენისას სარგებლობდა პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელოთი", მაგრამ არც ის არის საეჭვო, რომ კავკასიის აღწერისას დამატებითი წყაროებით უსარგებლია[18].

ამგვარად ამ თხზულების მიხედვით, ეგრისი განიყოფებოდა ოთხ ქვეყნად: მანრილი, რომელიც უნდა ნიშნავდეს ქართულ მარგვის – არგვეთს; ეგრევიკი ანუ საკუთრივ ეგრისი (ანუ ქართული წყაროების „შიდა ეგრი"). „ქართლის ცხოვრების" მოწმობით საკუთრივ ეგრისის ტერიტორია თავსდება „ეგრის წყალსა და რიონს შუა"[19]. ასეა სომხურ წყაროშიც. ეს, რა თქმა უნდა, ფრიად მნიშვნელოვანი დამთხვევაა: რიონი ეგრისის საზღვრად იგულისხმება, ჩანს, სამხრეთითაც და აღმოსავლეთითაც. სწორედ ეს გვავარაუდებინებს, რომ „სომხური გეოგრაფიის" მანრილი გულისხმობს მარგვის–არგვეთს ანუ დღ. ზემო იმერეთს. რაც შეეხება ჭანეთ / ჭანივს, იგი ყველა ბიზანტიელი მწერლის მიერ ლოკალიზებულია ჭოროხის შესართავის სამხრეთ მთიანეთში, ზოგჯერ ზღვის პირასაც. რიზეს, ათინას და ტრაპიზონის ხსენება ამ ტერიტორიაზე სომხურ წყაროში სწორედ ამაზე მიგვითითებს. ლაზივ–ლაზებისათვის, ამგვარად, რჩება ერთადერთი სივრცე რიონიდან ჭოროხის შესართავამდე.

ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანაში (IV ს–ის დასასრული, V ს–ის პირველი ნახევარი)[20], პროკოპი კესარიელის ჩვენების მიხედვით, მის ფარგლებში შემოდიოდა მაკრონ–ჰენიოხთა და ზიდრიტთა (არიანე) განსახლების ტერიტორია და „სომხური გეოგრაფიის" ზემოხსენებული ცნობებიც, ვფიქრობთ, ამას ადასტურებს[21].

ამავე წყაროს ცნობით ეგრისის ჩრდილო საზღვარი კავკასიონის მთავარ ქედზე გადის. ამის მიხედვით სავარაუდოა, რომ დასავლეთი საქართველოს მთიანეთიც, კერძოდ, სვანეთი იმ დროს ეგრისის სამეფოში შედიოდა.

მართლაც, VI ს–ის კიდევ ერთ ბიზანტიელ ისტორიკოსს, მენანდრე პროტიქტორს დაცული აქვს შესანიშნავი ცნობა, რომლის მიხედვით ცხადი ხდება სვანეთისა და ეგრისის ურთიერთდამოკიდებულება IV–V საუკუნეებში. როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ VI ს–ის 60–იან წლებში დაცული იყო ბიზანტიის

არქივში ოფიციალური დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი ყოფილა სია ეგრისის მეფეებისა, რომელნიც სვანებს უნიშნავდნენ ხოლმე მმართველებს. ეს ნუსხა ეგრისის მეფეებისა და სვანთა მმართველებისა იწყებოდა იმ დროიდან, როდესაც რომის იმპერატორი იყო თეოდოსი I (379–395 წწ.), ხოლო ირანის შაჰი – ბარამ IV (388–399 წწ.) და მთავრდებოდა იმ დროით, როდესაც ბიზანტიაში მეფობდა ლეონ I (457–474 წწ.), ხოლო ირანში – პეროზ II (459–483 წწ.). ე. ი. ეს სია, საბოლოო ჯამში, თარიღდებოდა IV ს–ის 90–იანი წლების დასაწყისიდან ვიდრე V ს–ის 60–70–იან წლებამდე[22]. აქედან ასკვნიან, რომ IV ს–ის ბოლოს ეგრისს სვანეთიც შემოუერთებია[23].

რაჭა–ლეჩხუმიც რომ ეგრისის ფარგლებშია, ეს გამომდინარეობს უკვე იქიდან, რომ თვით „სომხური გეოგრაფიის" მიხედვით, ეს ქვეყანა ჩრდილოეთით ვრცელდება „კავკასიის მთამდე და (აღმოსავლეთით) მის ტოტამდე, რომელიც გაჰყოფს მას და ივერიას"[24], ანუ ეს წყარო ეგრისის სამეფოს აღმოსავლეთ საზღვრად ლიხის მთას თვლის[25].

რაც შეეხება სამხრეთ–აღმოსავლეთ საზღვარს, აქ მიჯნა ქართლის სამეფოსთან უნდა გასულიყო ლიხის მთის სამხრეთ–დასავლეთ გაგრძელებაზე, დღევანდელი აჭარა–ახალციხის (მესხეთის) ქედზე. შედიოდა თუ არა ამ დროს აჭარა ეგრისის სამეფოში, ძნელი სათქმელია: ამიანე მარცელინის ზემოხსენებული ცნობის მიხედვით, თითქოს ასეა[26], მაგრამ „სომხური გეოგრაფიის" მოკლე რედაქციები აჭარას ქართლის სამეფოს ფარგლებში აღნიშნავენ[27]. უკიდურეს სამხრეთ–დასავლეთ მიჯნაზე ზემოთ უკვე იყო საუბარი.

ჩრდილო–დასავლეთით საკუთრივ ეგრისს ანუ ლაზიკეს ძველთაგანვე, როგორც ვიცით, აფშილთა, აბაზგთა და სანიგთა ტომებით დასახლებული ტერიტორია მოსდგამდა. იმავე „სომხურ გეოგრაფიას" საინტერესო ცნობა აქვს დაცული ამ თვალსაზრისით. აზიის სარმატიიის აღწერისას იქ აღნიშნულია, რომ „ბულღართა (იგულისხმებიან უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი კავკასიონის მთიელები, დღევანდელი ბალყარელების წინაპრები, დ. მ.) და პონტოს ზღვას შორის მოსახლეობენ გარშთა, ქუთთა და სვანთა ტომები ვიდრე ზღვისპირა ქალაქ პისინუნამდე (ბიჭვინტამდე, დ. მ.) ავაზოვ ქვეყნისა, რომელიც არის აფშილეთი და აფხაზეთი (ან: რომელიც არიან აფშილნი და აფხაზნი, დ. მ.), ვიდრე მათ ზღვისპირა ქალაქ სე-

ვასტუპოლამდე, ხოლო იქიდან აგრეთვე ვიდრე მდინარემდე, რომელსაც ეწოდება დრაკონი ანუ ვეშაპი, რომელიც მოედინება ალანიდან (ტექსტში აშკარა შეცდომით - ალვანეთიდან, დ. მ.) და განჰყოფს აფხაზეთს (ან აფხაზებს, დ. მ.) და ეგრის ქვეყანას"[28]. ირკვევა, რომ არსებობდა „ქვეყანა ავაზოვ", რომელშიც მოსახლეობდნენ აფშილები და აფხაზები და რომლის ტერიტორიაზე მდებარეობდა ქალაქები ბიჭვინტა და სებასტოპოლისი. ეგრისისაგან მას გამოჰყოფდა მდ. დრაკონი, ხოლო ბიჭვინტის ჩრდილო–დასავლეთით ემეზობლებოდა სვანთა ტომი. მდ. დრაკონი, რომელიც ჰყოფს საკუთრივ ეგრისს „ქვეყანა ავაზოვ"–ისაგან (სახელწოდება „ავაზოვ" მოდის ალბათ ბერძნული „აბასგოᲘ"–დან) უნდა იყოს ან მდ. კოდორი[29] ან მდ. კელასური, უფრო სწორად, კოდორი და კელასური ავტორს ერთ მდინარედ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი. ამგვარად, „სომხური გეოგრაფიის" მიხედვით შავი ზღვის ჩრდილო–აღმოსავლეთ სანაპიროზე ასეთი ვითარებაა: მდ. კელასურამდე ცხოვრობდნენ მეგრელები, კელასურს იქით სებასტოპოლისის (დღ. სოხუმის) ჩათვლით დაახლ. ანაკოფიამდე (დღ. ახალი ათონი) აფშილები, ხოლო ამას იქით, ანაკოფიიდან მდ. ბზიფამდე ბიჭვინტის ჩათვლით – აფხაზები[30].

თუ ჩვენ გავიხსენებთ, რომ არიანესთან (II ს.) აფსილებს და აბასკებს ჩრდილო–დასავლეთით ემეზობლებოდა სანიგთა ტომი, ხოლო სომეხ ავტორთან აფხაზთა მეზობლად ამ მხრიდან სვანები გვევლინებიან, მაშინ მოსაზრება, რომ „სომხური გეოგრაფიის" სვანები იგივე სანიგები არიან, სავსებით რეალური გახდება[31]. გამოდის, რომ, თუ II ს–ის ოცდაათიან წლებში სანიგები დიოსკურია–სებასტოპოლის რაიონში მოსახლეობდნენ, უფრო გვიან მათ და აგრეთვე აფშილებს და აბაზგებს ჩრდილო–დასავლეთისაკენ გადაუნაცვლებიათ. ბუნებრივია თუ ამ მნიშვნელოვან მიგრაციულ პროცესს, თუკი მას სინამდვილეში ადგილი ჰქონდა, ეგრისის სამეფოს წარმოქმნის პროცესს დავუკავშირებთ[32]. რაც შეეხება „სომხური გეოგრაფიის" ცნობის თარიღს, ჩვენი აზრით, იგი IV ს–ის ბოლოს ან V ს–ის დასაწყისის ვითარებას ასახავს[33].

V ს–ის ბიზანტიელი ანონიმის ცნობით სანიგების განსახლების ტერიტორია სამხრეთ–აღმოსავლეთით მდ. აბასკოსამდე ვრცელდებოდა[34], რომლის აქეთ, რა თქმა უნდა, უკვე

აბაზგები ცხოვრობენ. მდ. აბასკოსს კი დღევანდელ მდ. ფსოუსთან აიგივებენ[35].

პროკოპი კესარიელი VI ს–ის შუახანში წერს, რომ აფშილები და აბაზგები „ძველთაგანვე ლაზთა ქვეშევრდომები არიან"[36]. კონკრეტულად როდის მოხდა ეს, წყაროებში ამაზე პირდაპირი მითითება არ არის, მაგრამ აფშილთა და აბაზგთაგან ლაზთა სუვერენიტეტის აღიარება, ჩვენი აზრით, სვანებზე ადრე უნდა მომხდარიყო[37].

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეგრისის სამეფოს (ლაზიკე) წარმოქმნა ხანგრძლივი პროცესი უნდა ყოფილიყო და იგი რამოდენიმე საუკუნე გრძელდებოდა[38], ვიდრე IV ს–ის ბოლოსთვის მთელი დასავლეთი საქართველო არ მოიცვა და ძლიერების მწვერვალს არ მიაღწია. ეს ეგრისის აყვავების პერიოდია, როდესაც იგი გადაჭიმულია კავკასიონის ქედიდან ტრაპეზუნტამდე და მდ. ფსოუდან ლიხის ქედამდე.

ეგრისის სამეფოს წარმოქმნა–ჩამოყალიბების პროცესი უნდა წარმართულიყო და განხორციელებულიყო არა საკუთრივ ლაზთა ჰეგემონობით[39], არამედ სწორედ ეგრისელთა ანუ ძველი წყაროების "მეგრთა" ე. ი. მეგრელთა თაოსნობით, რომლებიც, როგორც ჩანს, ეთნიკურად ლაზთაგან თითქმის არ განირჩეოდნენ. მეგრელთა წარმმართავ როლს ამ უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენაში გვაგულისხმებინებს, ჯერ ერთი, ის რომ საკუთრივ ეგრისის ტერიტორია, შიდა ეგრისი (დაახლოებით გვიანდელი სამეგრელო და ქვემო იმერეთი), როგორც ბიზანტიური წყაროები გვავარაუდებინებენ (იხ. ქვემოთ) წარმოადგენდა უმდიდრეს რეგიონს სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით დასავლეთ საქართველოში. მართლაც, ბერძნული წყაროებით, ლაზიკის ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი და თვით მისი ცენტრიც აქ მდებარეობდა. ეკონომიკური სიძლიერე, რა თქმა უნდა, პოლიტიკური მორჭმულობის საფუძველიც უნდა გამხდარიყო[40].

მეორე მხრივ, ეგრისის სამეფოს აგრერიგად გაფართოება–გაძლიერებისათვის ხელი უნდა შეეწყო საგარეო პოლიტიკურ ვითარებასაც. საქმე ის არის, რომ რომის ექსპანსია აღმოსავლეთისაკენ, რომელმაც IV ს–ის პირველი ნახევრისთვის კულმინაციას მიაღწია, ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან, აგრესიული ირანის გაძლიერებასთან დაკავშირებით, ახლო აღმოსავლეთში მისი პოზიციების შესუსტებით შეიცვალა. ირან-

მა ხელი დაადო, კერძოდ, ალვანეთს და აღმოსავლეთ სომხეთს, ხოლო 373 წელს რომაელები იძულებული შეიქნენ პირველად ეღიარებინათ მათი უფლებები ქართლზეც[41]. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამ წელს ქართლის ტერიტორია განანილებულ იქნა ირანსა და რომს შორის (იხ. ზემოთ, § 2).

ასეთ პირობებში რომს, ბუნებრივია, თავისი იმპერიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე ძლიერი მოკავშირე უფრო სჭირდებოდა, ვიდრე სუსტი ვასალი. ამიტომ ლაზთა (მეგრთა) მეფეების პრეტენზიები, მეზობელი ქვეყნები და ტომები დაექვემდებარებინათ, რომისათვის სასარგებლოც კი იყო და ამისთვის მას ხელიც უნდა შეეწყო, რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ გაძლიერებული ქვეშევრდომი სრულ დამოუკიდებლობას არ მოინდომებდა. მეორე მხრივ, ლაზთა გაძლიერება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იბერიის დასუსტებასთანაც, რომელმაც, როგორც ვიცით, დაჰკარგა თავისი სამხრეთ–დასავლეთი ტერიტორიის გარკვეული ნაწილი. აქაც ლაზთა მეფე და რომის იმპერატორი მოკავშირეები უნდა ყოფილიყვნენ, რამდენადაც ამ უკანასკნელს ხელს არ აძლევდა ქართლის მეფის მიერ შავი ზღვის სანაპიროს გარკვეული ნაწილის კონტროლი. დასასრულ, რომისათვის ძლიერი ეგრისის სამეფო საჭირო იყო ჩრდილო–კავკასიაში მობინადრე ველური ტომების იმპერიის ტერიტორიაზე თავდასხმის სანინააღმდეგოდ, კერძოდ, ახლად გამოჩენილ ჰუნთა ურდოების კავკასიის მხრიდან თარეშის შესაჩერებლად. ყველაფერი ზემოთქმული რომსა და ეგრისს ბუნებრივ მოკავშირეებად ხდიდა და, ამდენადვე, ამ უკანასკნელის გარკვეულ ფარგლებში გაძლიერება რომის ინტერესებშიც შედიოდა[42].

ზემოთ ნაწილობრივ უკვე იყო საუბარი ეგრისის სამეფოს (ლაზიკის) შინაგანი ტერიტორიული სტრუქტურის შესახებ. იგი რამდენიმე მცირე „ქუეყანად" იყოფოდა, რომელთა შორის, ჩანს, ეთნოგრაფიული განსხვავებაღა არსებობდა:

1. ჭანეთი – უკიდურესი სამხრეთ–დასავლეთი პროვინციაა, რომელიც მდ. ჭოროხის შესართავს სამხრეთით ინყებოდა და „სომხური გეოგრაფიის" მიხედვით ზღვის სანაპიროს მოიცავდა ტრაპეზუნტამდე. მისი სამხრეთი საზღვარი დღევანდელი ლაზისტანის ქედზე გადიოდა, უზარმაზარ მთაგრეხილზე, რომელიც ჭანთა ძირითადი მოსახლეობის ადგილსამყოფელს შეადგენდა. პროკოპი კესარიელი (VI ს.) ძველ მწერ-

ლებზე მითითებით (როგორც ჩანს, ქსენოფონტი, არიანე...) აღნიშნავს, რომ „ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ ტრაპეზუნტელთა მოსაზღვრენი არიან ან სანები, რომელთაც ახლა ჭანები ეწოდებათ, ან კოლხები, სხვანაირად ლაზებს რომ ეძახდნენ, რომელნიც ახლა იმავე სახელს ატარებენ. თუმცა არც ერთი ამათგან სიმართლეს არ შეეფერება. ჭანები ხომ ზღვის ნაპირს ძალიან არიან დაშორებულნი და არმენიელების გვერდით ცხოვრობენ შუახმელეთზე და შუაში აღმართულია მრავალი მეტად მიუვალი და სრულიად ციცაბო, უზარმაზარი ქვეყანა, სრულიად უკაცური, გადაუვალი თხრილები, ტყიანი მწვერვალები და უგზო-უკვლო ნაპრალები; ყველა ამით ჭანეთი გამოირჩევიან როგორც არაზღვისპირა მცხოვრებლები"[43]. თუმცა პროკოპი, როგორც ვხედავთ, საკმაოდ კატეგორიულია ჭანთა მხოლოდ და მხოლოდ მთებში ლოკალიზაციის თვალსაზრისით, მაგრამ მათი (მშვიდობიანი) ნაწილი, რომ ტრაპეზუნტისა და რიზეს სანახებში ცხოვრობდა, ეს აგათია სქოლასტიკოსის ცნობებით ირკვევა[44].

2. ლაზეთი ჭოროხის შესართავსა და რიონის ქვემო დინებას შორის მდებარეობდა. სამხრეთით ფერსათისა და აჭარა–გურიის მთებით იგი ქართლის სამეფოს ემიჯნებოდა. აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა არგვეთის პროვინციას. ასე რომ, ლაზეთი მოიცავდა დაახლოებით დღევანდელი გურიის ტერიტორიას საჯავახო–საჩინოს ჩათვლით (დღ. ვანის რ–ნი) და დღევანდელი აჭარა–ქობულეთის სანაპიროს ჩათვლითაც. საკუთრივ ლაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა ციხე–სიმაგრე ტელეფისი (დღ. სოფ. ტოლებთან).

3. არგვეთი ანუ მარგვი (მარგვისი), რომელიც ეგრისის სამეფოს იბერიისაგან ჰქონდა ნაღებული, აღმოსავლეთით ლიხის ქედით ისაზღვრებოდა, სამხრეთით – ფერსათის ქედით, ჩრდილოეთით მას რაჭა ემიჯნებოდა, რომელიც ხშირად მასთან იყო გაერთიანებული ერთი საერისთავოს სახით („მარგჳსა და თაკუერის საერისთავო"). დასავლეთით არგვეთის პროვინციის საზღვარი უნდა გასულიყო სკანდისა და შორაპნის ციხე–სიმაგრეთა ხაზზე. ეს ციხე–სიმაგრეები (მაინცდამაინც, შორაპანი) უძველესი ხანიდანვე ქართლ–ეგრისის სასაზღვრო პუნქტებს წარმოადგენდა. მართალია, შორაპანი ქართული ეროვნული ტრადიციის მიხედვით, რომელიც, არსებითად, სწორი უნდა იყოს, ქართლის პირველი მეფის ფარ-

ნავაზის მიერ იქნა აგებული, მაგრამ კოლხეთის და შემდეგ კი ეგრისის და ქართლის სამეფოს პოლიტიკური ურთიერთობის განვითარების კვალად ხელიდან ხელში გადადიოდა. VI ს–ში, ვიდრე ბიზანტია–ირანს შორის ომი დაიწყებოდა ეგრისის დაუფლებისათვის (იხ. ქვემოთ), ეს ციხე–სიმაგრეები ეგრისის სამეფოს სასაზღვრო ფორპოსტები იყო. ეჭვი არ არის, ასევე უნდა ყოფილიყო IV ს–ის მეორე და V ს–ის პირველ ნახევარში. აქვე უნდა გასულიყო ეთნიკური საზღვარიც აღმოსავლელ და დასავლელ ქართველებს შორის, რამდენადაც ამ დროისათვის მარგველები, ფაქტობრივად, დიდი ხნის იბერიზებულნი უნდა ყოფილიყვნენ. არგვეთის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო აგრეთვე ციხე–სიმაგრე დიმნა (დღევანდელ სოფელ დიმში), რომელიც ქართული ეროვნული ტრადიციით აგრეთვე ფარნავაზის აგებულია, და ქალაქი ვარდციხეც (როდოპოლისი), რომელიც პროკოპი კესარიელის მიხედვით ლაზიკის ერთ–ერთი ყველაზე შესანიშნავი ქალაქია.

4. საკუთრივ ეგრისი ანუ ქართული წყაროების „შიდა ეგრი", რომელიც მდ. რიონს შიგნით მოქცეულ ტერიტორიას მოიცავდა, ეგრისის სამეფოს გული იყო. ჩრდილოეთიდან მას ლეჩხუმი და სვანეთი ესაზღვრებოდა, დასავლეთით იგი ზღვაზე გადიოდა. ჩრდილო–დასავლეთის საზღვარს მდ. ეგრის–წყალი (დღ. მდ. ღალიძგა) წარმოადგენდა, რომელიც მას აფშილეთიდან გამოჰყოფდა, ხოლო IV ს–ის მეორე ნახევარში, აფშილეთის ნანილის უშუალო შემოერთების შემდეგ, საზღვარი, როგორც ვიცით (აფხაზეთთან) მდ. კელასურზე დაიდო.

საკუთრივ ეგრისი ამ ფარგლებში როგორც აღვნიშნეთ დასავლეთ საქართველოს შუაგულია. იქ იყრის თავს ყველა მაგისტრალური გზა, რომლითაც ეს ქვეყანა დაკავშირებული იყო აღმოსავლეთით ქართლის სამეფოსთან, სამხრეთით – ბიზანტიას, სომხეთსა და ქართლთანვე, ხოლო ჩრდილოეთით ჯერ რაჭა–სვანეთ–აფხაზეთთან, ხოლო აქედან კავკასიის საუღელტეხილო გზებით, ჩრდილო კავკასიასთან. ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ძირითადი მაგისტრალური სავაჭრო გზები, რომლითაც ეგრისის სამეფო დაკავშირებული იყო მახლობელ აღმოსავლეთთან, აღნიშნულია IV ს–ის ცნობილ საგზაო რუკაზე, ე. წ. პევტინგერის ტაბულაზე (Tabula Peutingeriana), რომლის თანახმად ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვანი ცენტრები, ფაზისი (ფოთი) და სებასტოპოლისი (ცხუმი) და-

კავშირებული არიან სავაჭრო მაგისტრალებით, ერთი მხრივ, ტრაპეზუნტთან, ხოლო, მეორე მხრივ, სომხეთის დედაქალაქ არტაშატთან. ორივე სავაჭრო ტრაქტი შიდა ეგრის ტერიტორიას გადაჰკვეთდა[45].

ეს უკანასკნელი ამავე დროს სოფლის მეურნეობის თვალსაზრისითაც ყველაზე უფრო ბარაქიანი რაიონია დასავლეთ საქართველოში. აქ მდებარეობდა ე. წ. „მოხირისის" მხარე, რომელიც პროკოპი კესარიელის დახასიათებით, უმდიდრესი კუთხე იყო ლაზიკეში: „მოხირისი ერთი დღის სავალ გზაზეა არქეოპოლისს დაშორებული და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მინა-წყალზეც ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც აქ კარგად ხარობენ... ამ მხარეს ჩამოუდის ერთი მდინარე, სახელად რეონი"[46]. მეორე ადგილას იგივე ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ მოხირისზე მოედინება „მდ. იპპისი" (დღ. ცხენისწყალი)[47]. ამგვარად, მოხირისის ძირითადი ტერიტორია, ბიზანტიელი ისტორიკოსის მიხედვით, შემოფარგლულია მდ. რიონითა და ცხენისწყლით და ამ უკანასკნელის მარჯვენა მხარეზეც გადადის[48].

მოხირისის ერთ–ერთი ცენტრი VI ს–ში, როგორც ჩანს, ქუთაისი იყო[49], რომელიც თითქოს ამ დროიდან იწყებს ხელმეორედ დაწინაურებას[50].

ეგრისის სამეფოს პოლიტიკური ცენტრი იყო არქეოპოლისი (დღ. ნოქალაქევი) მდ. ტეხურზე. არქეოპოლისი იმ პერიოდში იყო „მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში"[51] არქეოპოლისის მახლობლად მდებარეობდა ონოგურისის ციხე, რომლის ნანგრევები დღესაცაა შემორჩენილი სოფ. აბედათთან[52]. მდ. ტეხურის და მდ. აბაშის შესართავში მდებარეობდა სამხედრო–სტრატეგიული თვალსაზრისით ძლიერ გამაგრებული ადგილი ნესოსი, რომელიც დღევანდელი სოფ. ისულეთის ადგილზე იყო[53]. რიონის შესართავში კი მდებარეობდა ძველისძველი ქალაქი ფოთი (ფაზისი), რომლის საშუალებითაც ეგრისის სამეფო საზღვაო ვაჭრობას ეწეოდა[54].

ეგრისი, კერძოდ, მოხირისის მხარე, როგორც ითქვა, მაგისტრალური გზებით იყო დაკავშირებული მთიანეთთან, ლეჩხუმ–სვანეთთან. ერთი გზა რიონს აჰყვებოდა და ამ გზის დაცვა ევალებოდა ქუთაისის ციხეს[55], ხოლო მეორე ცხენისწყალს ასდევდა და ამ გზას აკონტროლებდა „ერთი მეტად მა-

გარი ციხე, სახელად უქიმერიონი"[56], რომლის იდენტიფიკაცია ჯერჯერობით დაუდგენელია.

5. ეგრისის სამეფოს ჩრდილო–დასავლეთ პროვინციას შეადგენდა, როგორც უკვე იყო აღნიშნული, აფშილეთი, რომელსაც საკუთრივ ეგრისისაგან (შიდა ეგრიდან) გამოჰყოფდა მდ. ეგრისწყალი ანუ დღევანდელი მდ. ღალიძგა[57]. როგორც ვიცით, IV ს–ის მეორე ნახევარსა და V ს–ის პირველ ნახევარში აფშილეთის ჩრდილო–დასავლეთი საზღვარი უნდა გასულიყო მდ. კელასურზე (იხ. ზემოთ). ეს იყო პოლიტიკური საზღვარი აფხაზეთსა და ეგრისს შორის. მაგრამ აფშილეთის ეთნიკური საზღვარი კიდევ უფრო ჩრდილოეთით იდო, სადღაც სებასტოპოლისსა და ანაკოფიას შორის, შესაძლებელია მდ. გუმისთაზე[58], ან უკეთ მის დასავლეთ წყალგამყოფ ქედზე.

ეთნოგრაფიული აფშილეთის საზღვრები მეტ-ნაკლებად ამგვარად შეიძლება შემოიხაზოს: დასავლეთი საზღვარი იწყება დაახლოებით სოფ. ფსირცხასთან და აჰყვებოდა მდ.მდ. გუმისთა-აფსტას წყალგამყოფს, ვიდრე მუხურშას მთამდე, რომელიც უკვე მდ. ბზიფის წყალგამყოფ ქედზეა. შემდეგ საზღვარი გასდევდა ამ ქედს აღმოსავლეთისაკენ ბზიფის ზემო წელის გასწვრივ მდ. მდ. კელასურ-ამტყელის წყალგამყოფის მიმართულებით, ვიდრე ამტყელის ტბამდე (სოფ. აზანთა). აქედან ჩამოჰყვებოდა მდ. ამტყელს, გადასჭრიდა კოდორს და ადიოდა ფანავის ქედზე, რომელსაც გაჰყვებოდა აღმოსავლეთისაკენ კოდორის ზემო წელის გასწვრივ ხოჯალის მთამდე (მდ. ენგურის წყალგამყოფზე) და აქედან კვლავ სამხრეთისაკენ ეშვებოდა აფშარის მთის გადავლით და სადღაც ტყვარჩელთან ეშვებოდა მდ. ღალიძგაზე. რა თქმა უნდა, საზღვრების ეს ხაზი, რომელიც ბუნებრივ წყალგამყოფ ქედებზეა გავლებული, მიახლოებითია, მაგრამ დიდი შეცდომა მოსალოდნელი არ არის.

აფშილეთის მთავარი ადმინისტრაციული ცენტრი იყო ციხესიმაგრე წიბილე[59], რომლის შთამბეჭდავი ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი წებელდის მახლობლად მდ. კოდორის ხეობაში. აფშილეთშივე იყო ფუსტის ციხესიმაგრე მისიმიანეთის საზღვართან, სადაც გადასახლებულ იქნა ბიზანტიიდან მაქსიმე აღმსარებლის ერთ-ერთი თანამოღვაწე, ანასტასი აპოკრისიარი[60]; აგრეთვე - ციხე კოტორი[61], რომელიც სადღაც კოდორის ხეობაში უნდა ყოფილიყო[62]. დასასრულ, აფშილეთ-

ში ითვლებოდა ქალაქი სებასტოპოლისი. ეს გამომდინარეობს, ჯერ ერთი, პროკოპი კესარიელის ცნობიდან ციხე–სიმაგრე ტრაქეის შესახებ, რომელიც მდებარეობდა ზღვისპირას, მთაზე „აფსილიის საზღვრების შემდეგ აბაზგიის შესავალში"[63]. ეს ციხე–სიმაგრე შესაძლებელია იყოს მხოლოდ და მხოლოდ მერმინდელი ანაკოფია[64], რომლის დღემდე მოღწეულ ნაგებობაში გამოჰყოფენ IV – V საუკუნეებში აგებულ „დედაციხეს"[65]. ცხადია, თუ ტრაქეა–ანაკოფია აფხაზეთის „შესავალში" ყოფილა, აფშილეთის საზღვრების შემდეგ, სებასტოპოლისი – ცხუმი აფშილეთის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო, რასაც ამოწმებს აგრეთვე ქართული წყარო, რომელსაც დასახელებული აქვს „ქალაქი აფშილეთისა ცხუმი"[66].

ამგვარად, თუკი „სომხური გეოგრაფიის" მდ. დრაკონის გაიგივება კოდორ–კელასურთან სწორია, გამოდის, რომ IV ს–ის მეორე ნახევარში ეთნოგრაფიული აფშილეთი განაწილებული იყო აფხაზეთსა და ეგრისის სამეფოს შორის, რომელთაგან პირველი, ამავე დროს, მეორის ვასალურ სამთავროს წარმოადგენდა (იხ. ზემოთ პროკოპი კესარიელის ცნობა)[67]

6. ეგრისის სამეფოში შემოდიოდა აგრეთვე მისიმიელთა მინა–წყალი ანუ მისიმიანეთი, რომელიც აფშილეთს ესაზღვრებოდა ჩრდილო–აღმოსავლეთიდან და მდ. კოდორის ზემო ნელის აუზს მოიცავდა კავკასიონის მთავარ ქედამდე, რომელიც მას და ე. ი. ეგრისის სამეფოსაც ალანებისაგან მიჯნავდა. მისიმიანეთის ტერიტორიაზე ხვდებოდა ჩრდილო კავკასიაში გამავალი ისეთი უმნიშვნელოვანესი უღელტეხილები, როგორიცაა მარუხის, ქლუხორის და ნახარის გადასასვლელები. ამათგან, ქლუხორზე გადმომავალ გზას ეწოდებოდა „მისიმიანეთის გზა", ხოლო მარუხზე გადმომავალს, რომლითაც შეიძლებოდა ქედ–ქედ პირდაპირ აფშილეთში მოხვედრა ჩრდილო კავკასიიდან, მისიმიანეთში ჩაუსვლელად – „დარინის გზა"[68]. ამ გზებით და ზეკარებით გადადიოდნენ ალანებში ანუ ქართული წყაროების „ოვსებში", რომლებიც პროკოპი კესარიელის მიხედვით მოსახლეობდნენ ჩრდილო კავკასიის მთიანეთში „კავკასიის მთიდან დაწყებული კასპიის კარამდე" (ე. ი. დარიალანამდე)[69].

მისიმიანეთის მთავარ ციხესიმაგრეს აგათია სქოლასტიკოსი ძახარის თუ ჩახარის ციხეს უწოდებს, რომელსაც „მეტსახელად „რკინისას" ეძახიან მისი სიმტკიცის და დაუძ-

ლევლობის გამო"[70]. ეს უნდა იყოს დღესაც არსებული ნანგრევები ჩხალთის ციხისა კოდორის ზემო წელზე, ჩხალთის წყლისა და კოდორის შესართავში[71]. მეორე ციხე–სიმაგრე, რომელიც მისიმიელთა ტერიტორიაზე იყო, ეს არის აგათიას ბუქლოოსი, რომელიც „ზედ ლაზეთის საზღვრებზეა აღმართული", როგორც ჩანს, ალანთა მეზობლად[72], რასაც ზედმიწევნით ადასტურებს ანასტასი აპოკრისიარის წერილის ლათინური თარგმანი, რომლის მიხედვით, „ბუკულუსის ციხე" მისიმიანეთშია ალანთა მახლობლად[73]. ქართული წყაროებით ამ ციხე–სიმაგრეს ეწოდება ბოკერი[74]. ბუნებრივია, ისიც კოდორის ზემოწელზე უნდა ყოფილიყო, და, მართლაც, კოდორის სათავეში მდ. მდ. გვანდრისა და კლიჩის შესართავში, ამჟამად არსებობს ციხე–სიმაგრის ნანგრევები, რომელიც სწორედ ბოკერის ციხის ნაშთი უნდა იყოს.

მისიმიანეთშივე უნდა ყოფილიყო თეოდოსი განგრელთან მოხსენიებული სქიომარის თუ სხიმარის ციხე–სიმაგრეც, რომელშიც მოუთავსებიათ მაქსიმე აღმსარებელი მისი ეგრისში გადმოსახლების შემდეგ[75]. კოდორის სათავეში, საკენის ხეობაში დამოწმებულია ტოპონიმი „სგიმარი", რაც სვანურად მჟავე წყალს ნიშნავს. შესაძლებელია ზემოხსენებული ციხე–სიმაგრეც სადმე მახლობლად მდებარეობდეს.

მისიმიანეთის ტერიტორიაზე ამ ციხეების არსებობა სავსებით გასაგებია, რადგან, როგორც ვიცით, ამ ტერიტორიაზე გადმოდიოდა უმნიშვნელოვანესი მაგისტრალები ჩრდილო კავკასიიდან აფხაზეთში და ეგრისში, ხოლო აქედან ზღვით ან ხმელეთით – ბიზანტიაში[76]. ეს უკანასკნელი ამ გზების გამოყენებას ცდილობდა აღმოსავლეთთან საერთაშორისო ვაჭრობის მიზნითაც, რამდენადაც წინა აზიაში მას ირანი ეღობებოდა[77] (იხ. ქვემოთ). გარდა ამისა ამ გზებით ხდებოდა მომთაბარე ჩრდილო კავკასიელ ტომთა და, კერძოდ, ალანთა დაქირავებული რაზმების გადმოყვანა და თვით ალანთა შემოტევაც[78]. ზემოხსენებული ციხე–სიმაგრეები სწორედ ამ მაგისტრალურ გზებს აკონტროლებდნენ: ჩხალთისა – მარუხის უღელტეხილზე მომავალ გზას; ბოკერისა – ქლუხორის და ნახარის უღელტეხილებზე გადმომავალ მაგისტრალს, ხოლო სხიმარისა, ალბათ, სვანეთთან დამაკავშირებელ გზას.

მისიმიელები სვანური ტომი იყო. დასავლურ–ქართული ტომი იყო აგრეთვე აფშილებიც[79].

დასასრულ, როგორც ვიცით, ეგრისის სამეფოში შედიოდა სვანეთიც და ლეჩხუმიც[80].

VII ს–ში, როდესაც ეგრისში მეფობა დიდი ხანია გაუქმებული იყო და ქვეყანა ბიზანტიის ვასალურ სამთავროს წარმოადგენდა, რომლის სათავეშიც პატრიკიოსები იდგნენ, აფშილეთი, მისიმიანეთი, სვანეთი და ლეჩხუმი, ჭანეთის, არგვეთის და სხვათა მსგავსად, ეგრისის სამთავროს პროვინციები იყო. ასე მაგალითად, 662 წელს ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს, მაქსიმე აღმსარებელს ბიზანტიიდან ასახლებდნენ ეგრისში ანუ ბიზანტიური წყაროებით, ლაზიკეში. როდესაც იგი თავისი მოწაფეებითურთ (ანასტასი აპოკრისიარი და მეორე ანასტასი) ჩამოჰყავთ აქ, მათ აბარებენ „იმ ქვეყნის მაშინდელ მმართველს", ე. ი. პატრიკიოსს, რომელიც მაშინვე აშორებს ურთიერთს პატიმრებს და ერთს აგზავნის სქიმარის ციხეში - ალანების მახლობლად, მეორეს - სკოტორის ციხეში, აფშილეთში, ხოლო მესამეს - ბუკოლუსის ციხეში, მისიმიანეთში. ამის შემდეგ, ორივე ანასტასი გამოჰყავს საპატიმროებიდან, მიჰყავს „მუკორისისში" (ანუ მოხერისში) და აქედან ერთს აგზავნის სვანეთის ციხეში, ხოლო ანასტასი აპოკრისიარის ლეჩხუმისაში ანუ „თავკკრიის ციხეში"[81] (თაკვერი ძველქართული სახელწოდებაა ლეჩხუმისა). ამის შემდეგ ცხადი უნდა იყოს, რომ ეგრისის პატრიკიოსი მთელ ამ ტერიტორიას უშუალოდ ფლობდა, ხოლო თავისი ერთ–ერთი რეზიდენცია ჰქონდა „ჯიხახორაში" (მეგრულად ნიშნავს „ციხე–სახლს"), მოქვის მახლობლად, ანუ აფშილეთში[82].

ასევე იყო, როგორც ჩანს, უფრო ადრე, VI ს–ში პროკოპი კესარიელის დროსაც, როდესაც ჯერ კიდევ არსებობდა ეგრისის სამეფო, თუმცა კი მოკლებული იყო ყოფილ სიძლიერეს. ისტორიკოსი წერს: „აბაზგები ძველითგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი. ამათგან ერთი დანესებული იყო დასავლეთ ნაწილში, ხოლო მეორე აღმოსავლეთისაში"[83]. სწორია, როდესაც აქედან გამოაქვთ დასკვნა, რომ აფხაზეთი ეგრისის ვასალური სამთავრო იყო[84].

აფშილთა შესახებ იგივე ისტორიკოსი ამბობს: „აფსილები ლაზების ქვეშევრდომნი არიან"[85] ან მეორეგან: „აფსილები ძველითგანვე ლაზთა ქვეშევრდომები არიან"[86]. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ განსხვავებით აბაზგთაგან, პროკოპი

არ ასახელებს აფშილების მთავარს. გარდა ამისა, იგი მოგვითხრობს, რომ წარჩინებული ლაზი, ტერდეტი, „რომელსაც ეგრეთ წოდებული მაგისტროსის ძალაუფლება ეპყრა ამ ხალხში (ლაზებში, დ. მ.), უკმაყოფილო იყო თავისი მეფის გუბაზისა და ამიტომ აფსილთა ციხე–სიმაგრე წიბილე გადასცა სპარსელებს"[87] ამგვარად, ეგრისის მეფის ხელისუფალს, მაგისტროსს ანუ მეფის რაზმების უფროსს[88], როგორც ჩანს, უშუალოდ ემორჩილება აფშილეთის მთავარი ციხესიმაგრე და ე. ი. აფშილეთი საერთოდ. ეს იმას უნდა მოწმობდეს, რომ ქვეყანა იყო არა ვასალური ერთეული, არამედ ეგრისის სამეფოში უშუალოდ შემავალი პროვინცია, აღმოსავლურ–ქართული საერისთავოს მსგავსი. ამიტომ სწორია მოსაზრება, რომ აფშილეთი თავიდანვე უშუალოდ იქნა შერწყმული ეგრისის სამეფოსთან[89] ცხადია, იგულისხმება აფშილეთის აღმოსავლეთი ვაკე ნაწილი მდ. კელასურამდე. დასავლეთი ნაწილი, როგორც ჩანს, აფხაზეთის სამთავროს შემდგენლობაში შევიდა.

მსგავსი ვითარება უნდა ყოფილიყო მისიმიანეთის მიმართაც. აგათია სქოლასტიკოსის სიტყვით, „მისიმიანთა ქვეყანა... კოლხთა მეფის ქვეშევრდომია მსგავსად აფსილებისა"[90] აგათიას ეს მითითება უნდა მოწმობდეს, რომ „მისიმიანთა ქვეყანას" ეგრისის მიმართ ისეთივე სტატუსი უნდა ჰქონოდა, როგორც აფშილეთს, ანუ მისიმიანეთიც ეგრისის უშუალო პროვინციას შეადგენდა[91]. საფიქრებელია, რომ მისი შემოერთება აგრეთვე ძველისძველი მოვლენა იყოს. აფშილეთის დამორჩილება, რომელზედაც გადიოდა მისიმიანეთში ეგრისიდან მისასვლელი გზები, ფაქტობრივად, თვით მისიმიანეთის დამორჩილებასაც ნიშნავდა, რადგან ამიერიდან იგი ბარს მთლიანად მოწყვეტილი რჩებოდა[92].

ამგვარად, აფშილეთი და მისიმიანეთი ეგრისის სამეფოს ვასალური ერთეულები კი არ იყო, არამედ – მისი უშუალო პროვინციები.

საინტერესოა ეგრისის მეფეებისა და სვანთა ურთიერთობის საკითხი. ბიზანტიის სამეფო კარის ოფიციალური თვალსაზრისით, სვანეთი ისეთივე განუყოფელი ნაწილი იყო ეგრისისა, როგორც აფშილეთი ან მისიმიანეთი[93]. მაგრამ სვანეთის დამოკიდებულება ეგრისთან მაინც განსხვავდებოდა ამ მხრივ.

პროკოპი კესარიელი, რომელმაც აფშილ-მეგრელთა ურთიერთობის შესახებ შემოგვინახა ზემოხსენებული ცნობა, სვანებსა და ლეჩხუმელებზე წერს: „ეს ტომები ლაზთა ქვეშევრდომობაში არიან. იქაურ მცხოვრებლებს მთავრებად ჰყავთ თვისტომთაგანნი, ხოლო როდესაც მთავარს აღსასრულის დღე მიადგება, მათ ჩვეულებრივ მეორე მთავარი ენიშნება ლაზთა მეფის მიერ"[94] მეორე ისტორიკოსს მენანდრე პროტიქტორს კიდევ უფრო ნიშანდობლივი ცნობები მოეპოვება. ირან-ბიზანტიას შორის 562 წლის საზავო მოლაპარაკების გადმოცემისას, იგი აღნიშნავს: „არც ლაზები და არც თვით სვანები არ მიიჩნევენ სადავოდ, თითქოს სვანეთი წინათ ლაზთა ქვეშევრდომი არ ყოფილიყოს, არც იმას, რომ სვანეთის მმართველს ლაზთა მეფის გადაწყვეტილებით ენიჭებოდა ძალაუფლება. ეს თქვა პეტრემ (ბიზანტიის წარმომადგენელმა, დ. მ.) და საბუთებით დაუმტკიცა ხოსროს (სპარსეთის შაჰს, დ. მ.), რომ ლაზთა მეფეები უფრო ძველი იყვნენ და რომ სვანთა განმგებლები ერთი-მეორეზე ინიშნებოდნენ მათგან"[95]. კიდევ უფრო კარგად ჩანს ეს დამოკიდებულება პეტრე პატრიკიოსის შემდეგი სიტყვებიდან, რომლითაც ის მიმართავს ირანის შაჰს: „ლაზებში, ბატონო, ძველი წესი იყო, რომ სვანეთის სარდალი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან აღრიცხული იყო სახარკო სიაში... ხოლო როდესაც სვანების სარდალი გარდაიცვლებოდა, ლაზების მეთაური ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა მიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება. ამავე დროს ის წერილობით აცნობებდა რომაელთა თვითმპყრობელს მომხდარი ამბების შესახებ და ესეც სამაგიერო წერილით უბრძანებდა მას გაეგზავნა სვანთა მთავრობის ნიშნები, ვისთვისაც უნდოდა, მხოლოდ სვანი ყოფილიყო"[96].

სურათი ნათელია: სვანებს (და ლეჩხუმელებს) „მთავარი ენიშნება ლაზთა მიერ" (პროკოპი კესარიელი), „სვანეთის მმართველს ლაზთა მეფის გადაწყვეტილებით ენიჭებოდა ძალაუფლება" (მენანდრე პროტიქტორი); სვანებში „ლაზების მეთაური ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა მიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება..." ; ლაზთა მეფეს უნდა „გაეგზავნა სვანთა მთავრობის ნიშნები ვისთვისაც უნდოდა, მხოლოდ სვანი ყოფილიყო" (მენანდრე პროტიქტორი). ვფიქრობთ, ეს მხოლოაზროვანი მითითებები ეჭვს არ ტოვებს, რომ აქ ჩვეულებრივ ვასალიტეტზე კი არ არის საუბარი, რომელიც

ხარკით და სამხედრო ვალდებულებით ამოიწურებოდა, არამედ აშკარად ჩანს, რომ ლაზთა მეფე აქტიურად ერევა სვანთა შინაგან ურთიერთობაში, მისი სანქცია რეალურია, მხოლოდ ერთი პირობით, რომ სვანთა მთავარი იყოს სვანი.

ამგვარად, სვანეთიც (და ლეჩხუმიც) ლაზიკის სახელმწიფოში შემავალი ცალკე ადმინისტრაციული ერთეული იყო, მაგრამ მისი სტატუსი განსხვავდებოდა სხვათაგან იმით, რომ თუკი სხვაგან (მაგალითად, აფშილეთში) შეიძლებოდა გამგებლად მეგრელი დიდმოხელე ყოფილიყო, აქ მმართველად თუ მთავრად თვისტომი უნდა დაენიშნათ.

ზემოთქმულის შედეგად უნდა დავასკვნათ, რომ პროკოპი კესარიელს აღნიშნული აქვს სამგვარი სტატუსი ეგრისის მეფის ქვეშევრდომებისა: პირველი, ეს არის პროვინციის ჩვეულებრივი მმართველი, აღმოსავლურ–ქართული ერისთავის მსგავსი. ასეთები იყვნენ აფშილეთის და მისიმიანეთის გამგებლები, და, ალბათ, მარგვის (არგვეთის) და საკუთარივ "ლაზეთის" მმართველებიც („სომხური გეოგრაფია"). მეორე – იგივე ერისთავია, რომელიც მეფის მიერ ინიშნება, მაგრამ აუცილებელია იგი ადგილობრივი ტომის წარმომადგენელი იყოს. ასეთებია სვანეთის, ლეჩხუმის და, ალბათ ჭანეთის გამგებლები[97]. მესამე – ვასალური ერთეულის მმართველია, რომლის დანიშვნის ან შეცვლის უფლება ეგრისის მეფეს არ ჰქონდა. ასეთები იყვნენ აფხაზეთის მთავრები.

მართლაც, სათანადო ცნობა ზემოთ უკვე იყო მოყვანილი: „აბაზგები ძველთაგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი. ამათგან ერთი დაწესებული იყო დასავლეთ ნანილში, ხოლო მეორე აღმოსავლეთში". როგორც ვხედავთ, პროკოპი კესარიელი აქ არ ლაპარაკობს, სვანთა და ლეჩხუმელთა მსგავსად, რომ გარდაცვალების შემდეგ მათ მთავრებს ლაზთა მეფე ნიშნავდეს. ეგრისის სამეფოსა და აფხაზეთის ურთიერთდამოკიდებულება რომ განსაკუთრებული რიგისა იყო, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთი ვასალურ დამოკიდებულებაში იყო ეგრისთან, ეს ჩანს შემდეგიდან: ბიზანტიურ წყაროებში ტერმინი „ლაზიკე" თუ ზოგჯერ მოიცავს ხოლმე მისიმიანეთს, სვანეთს ან აფშილეთს (ამის შესახებ ზემოთაც ვისაუბრეთ) და, ამდენად, პოლიტიკური თვალსაზრისით ამ პროვინციებსაც გულისხმობს, ასეთი რამ აფხაზეთის მიმართ არ დასტურდება და იმა-

ვე წყაროთა მიხედვით „ლაზიკე" და „აბაზგია" ორი სხვადასხვა მხარეა[98], ვიწრო ეთნიკური „ლაზიკე" ზოგჯერ გვხვდება აფშილეთის, სვანეთისა და ლეჩხუმის („სკვიმნიის") გვერდით, მაგრამ პოლიტიკური „ლაზიკე" ამ უკანასკნელთ გულისხმობს, „აბაზგიას" კი - არა.

ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ „აბაზგია" ბიზანტიის იმპერატორის კარის ოფიციალური თვალსაზრისით უშუალოდ ემორჩილებოდა იმპერიას და მისი ერთ-ერთი პროვინციის, პოლემონის პონტოს ფარგლებში ითვლებოდა. ასე იყო VI ს-ში, რაზედაც იუსტინიანე კეისრის XXXI ნოველა გვარწმუნებს: „პოლემონის პონტოში შედის ხუთი სხვა ქალაქი: ნეოკესარია, კომანა, ტრაპეზუნტი, კერასუნტი და პოლემონიონი (პიტიუნტი და სებასტოპოლისი ხომ უფრო ციხე-სიმაგრეებშია ჩასათვლელი, ვიდრე ქალაქებში)"[99]. ასე იყო IV ს-ის დასაწყისშიც, როდესაც 325 წელს ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას დაესწრო პოლემონის პონტოს ეპარქიის ეპისკოპოსი „სტრატოფილე პიტიუნტისა"[100]. ასევე უნდა ყოფილიყო IV ს-ის ბოლოს V ს-ის პირველ ნახევარში, ეგრისის სამეფოს ძლიერებისა და აყვავების პერიოდშიც.

მართლაც, ჩვენს ხელთაა V ს-ის დასაწყისის (ზოგის მიხედვით – V ს-ის პირველი ნახევრის) ძეგლი ე. წ. Notitia dignitatum ანუ „ნუსხა ყველა თანამდებობისა და მმართველობისა, როგორც სამოქალაქო ისე სამხედროსი" ბიზანტიის იმპერიაში. აქ აღნუსხულია ბიზანტიის იმპერიის ლაშქრის სხვადასხვა ქვედანაყოფები იმის აღნიშვნით, თუ რომელი სად დგას და რომელ სარდალს ემორჩილება. კერძოდ, ძეგლში მითითებულია: „თებაიდის (ეგვიპტეში, დ. მ.) სარდლის ხელქვეით (არიან):... პირველი ფრთა აბაზგებისა, ჰიბეოსი, დიდ ოაზისში"[101]. ამგვარად ეგვიპტეში, თებაიდის პროვინციაში, დიდ ოაზისში (ადგილ ჰიბეოსში) მდგარა აფხაზთა „ფრთეული" ანუ ცხენოსანი რაზმი[102]. აღსანიშნავია, რომ არსად ჩანან ლაზები, რაც ნიშანდობლივია იმიტომ, რომ პროკოპი კესარიელის ცნობით, ლაზებს არ ევალებოდა რომაელებთან ერთად ლაშქრობა[103]. მაგრამ რამდენადაც აბაზგთა რაზმი ირიცხებოდა ბიზანტიის ლაშქარში, ეს მოწმობა უნდა იყოს, რომ აბაზგია ამ დროსაც პოლემონის პონტოს შემადგენლობაშია[104]. ამას უნდა ადასტურებდეს ის ფაქტიც, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქი, იოანე ოქროპირი, გადასახლებული სომხეთში სამეფო კართან

დაპირისპირების გამო, 407 წელს, „მეფის გადაწყვეტილებით უფრო შორის იქნა გადასახლებული - პიტიუნტში“[105]. ცხადია, უნდა ვიფიქროთ, რომ პიტიუნტი ბიზანტიის იმპერიის ნაწილია, რადგან იქ ასახლებენ იოანე ოქროპირს. მართლაც, V ს–ის შუახნის ბიზანტიელი მწერალი თეოდორიტე კვირელი მხოლოაზროვნად გვიმოწმებს, რომ პიტიუნტი – „ეს არის უკიდურესი საზღვარი პონტოსი და რომაელთა სამფლობელოსი, უველურესი ბარბაროსების მეზობლად“[106]. დასასრულ, ასევე იყო V ს–ის მეორე ნახევარშიც, რასაც ჯერ ერთი, მოწმობს ბიზანტიელი ანონიმი, რომელიც მოგვითხრობს რა „პიტიუნტის ნავსაყუდელზე“, აღნიშნავს: „ამ ადგილამდეა პონტოური სამეფო ბარბაროსებისა ტიბარანიაში, სანიკეში და კოლხეთში; ამათ მოსდევს ავტონომიურ ბარბაროსთა (ქვეყნები)“[107] და შემდეგ ის ფაქტიც, რომ 477 წელს იმპერატორი ზენონი სწორედ პიტიუნტში აპირებდა პეტრე მკაწვრალის გადასახლებას[108].

ამგვარად, ზემოთქმული ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ IV–V საუკუნეებში პიტიუნტი (ბიჭვინტა) და ე. ი. „აბაზგია“ პოლემონის პონტოს პროვინციის ნაწილია და ამდენადვე ბიზანტიის პოლიტიკური გავლენა მასზე უმეშვეოდ ვრცელდება.

ამის შემდეგ, მგონია, არც ის უნდა იყოს გამორიცხული, რომ როდესაც იმავე Notitia dignitatum–ში მითითებულია, რომ „არმენიის სარდლის ხელქვეით არიან პონტოში: პონტოს პირველი ლეგიონის პრეფექტი – ტრაპეზუნტი; ფრთეული რიზესი... ფრთეული პირველი ბედნიერი თეოდოსის სახელობისა – პითიე... კოჰორტი პირველი ცხენოსანთა, კლავდის სახელობისა – სებასტოპოლი“[109], ეს ორი უკანასკნელი პუნქტი სწორედ აბაზგიის და აფსილიის ტერიტორიაზე მდებარე პიტიუნტსა და სებასტოპოლისს გულისხმობდეს[110]. მით უმეტეს, რომ სწორედ V ს–ის დასაწყისს (Notitia dignitatum–ის შექმნის თარიღი) შეიძლება მიეკუთვნოს ბიჭვინტის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ათი სპილენძის მონეტა არკადიუსისა (395–408 წწ.) და თეოდოსი II–სა (408–450 წწ.)[111].

ასე რომ, ჩვენი აზრით, IV ს–ის 70–80–იანი წლების ჰუნთა გამანადგურებელი შემოსევის შემდეგ აოხრებული პიტიუნტი[112], V ს–ის დასაწყისში მაინც ნაწილობრივ გამოცოცხლებულა და ყოველ შემთხვევაში კვლავ ბიზანტიის კონტროლს

დაემორჩილა – სხვაგვარად ბიზანტიიდან გამოძევებული ეპისკოპოსების აქ გადმოსახლების სანქციას კონსტანტინოპოლის სამეფო კარი ვერ გასცემდა და ვერც V ს–ის ისტორიკოსები ჩათვლიდნენ ამ პუნქტს პოლემონის პონტოს პროვინციის ანუ ბიზანტიის იმპერიის „უკიდურეს საზღვრად“

რაც შეეხება სებასტოპოლისს, აქ IV–V საუკუნეებში საქალაქო ცხოვრების აღმავლობა შეიმჩნევა[113], რაც კერძოდ, ციხე-სიმაგრის გაფართოება–გამაგრებით გამოიხატა, კერძოდ, რომაელი „კასტელების“ მშენებლობით III–V საუკუნეებში[114] ვითარდებოდა ხელოსნური წარმოებაც[115]. ასე რომ, აქ პირობები იმისათვის, რომ იმპერიას შეენარჩუნებინა თავისი პოზიციები, არ მოშლილა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ, მართალია, IV ს–ის ბოლო მესამედიდან რომი თმობს გარკვეულად თავის უპირატესობას სომხეთ–მესოპოტამიაში სპარსეთის მოძალების შედეგად[116], მაგრამ იგი არც ისე დაუძლურებულია, რომ სრული თავისუფლება მიეცა ლაზიკისათვის. როგორც იყო აღნიშნული, თვით იმპერია, უნდა ყოფილიყო დაინტერესებული ამჯერად ეგრისის სამეფოს გაძლიერებით იმ პირობით, რომ იგი იმპერიის ვასალის სტატუსს შეინარჩუნებდა. მართლაც, ჩვენ ვიცით მენანდრეს ცნობიდან სვანეთ-ლაზიკის ურთიერთობის შესახებ, რომ ეს ასეც იყო (იხ. ზემოთ). ხოლო რომ რეალური ყოფილიყო ასეთი ურთიერთკავშირი, იმპერია, როგორც ჩანს, ინარჩუნებდა პლაცდარმს ჩრდილო–აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში („აბაზგიასა“ და „აფსილიაში“), რომელიც მთელი IV–V საუკუნეების განმავლობაში „პოლემონის პონტოს პროვინციის“ ნაწილს შეადგენდა და ამის პრაქტიკულად განხორციელება კი, ჩვენი აზრით, შეუძლებელი იყო, თუ არ სამხედრო კონტინგენტის იქ ყოფნით, „უველურესი ბარბაროსების მეზობლად“!

ამას ბოლოს და ბოლოს პროკოპი კესარიელის ერთი ცნობაც გვიდასტურებს. იგი მოგვითხრობს, რომ ჩრდილო–აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის გარკვეული ნაწილი „ძველითგანვე ეპყრათ რომაელებს. რომაელებმა აქ ზღვისპირა ორი სიმაგრე გააშენეს: სებასტოპოლისი და პიტიუნტი... და იმთავითვე ჩააყენეს იქ მცველი რაზმი. პირველ ხანებში რომაელ ჯარისკაცთა რაზმებს ეჭირათ მთელი ადგილები ტრაპეზუნტის საზღვრებიდან, ვიდრე საგინების ქვეყნამდე... ამ-

ჟამად კი დარჩათ მხოლოდ ეს ორი სიმაგრე, სადაც ჩვენ დრომდე ჰქონდათ სადარაჯოები"[117] ამგვარად, ბიზანტიელი ისტორიკოსის აზრით, სებასტოპოლისსა და პიტიუნტში გარნიზონები მის დროს კი არ ჩაუყენებიათ, არამედ ეს ძველი ამბავია (კერძოდ, ეს იმპერატორ ტრაიანეს დროს მომხდარა)[118] და მას მერე, მაინცდამაინც, ამ ორ ქალაქში მის დრომდე ბიზანტიელ ჯარისკაცთა რაზმები მდგარა[119]. შესაძლებელია პროკოპი კესარიელი ცდებოდეს ან არ ცდებოდეს[120], მაგრამ მისი ტექსტის (ამდენადვე მისი აზრის) ამგვარი გაგება ბუნებრივია[121]

ასეა თუ ისე, ერთი რამ სავსებით ცხადია, რომ ბიზანტიის საიმპერატორო კარის ოფიციალური, ასე ვთქვათ, ადმინისტრაციული კანონმდებლობით, IV–V საუკუნეებში და შემდგომაც, მაინცდამაინც, იმპერატორ იუსტინიანე I –ის დროს, პიტიუნტიც და სებასტოპოლიც პოლემონის პონტოს პროვინციაში შედის და ამდენად „აბაზგიაც" და „აფსილიაც" უმეშვეოდ ბიზანტიის შემადგენელი ნაწილია. ამიტომ სავსებით რეალურ–ისტორიულია ქართულ წყაროებში დაცული ტრადიცია, რომ „აფხაზეთის" ტერიტორია „ესე საზღვარი არს საბერძნეთისა" ანუ ბიზანტიის კუთვნილია, კერძოდ, V საუკუნეში[122] (ამის შესახებ, იხ. ქვემოთ, თავი II).

ამგვარად, ზემოთქმულის შემდეგ უნდა დავასკვნათ, რომ IV–V საუკუნეებში (და VI ს–შიც) აფხაზეთს ორმაგი დაქვემდებარების პოლიტიკური სტატუსი ჰქონდა: ერთი მხრივ, იგი ეგრისის სამეფოს ვასალური სამთავრო იყო, მეორე მხრივ – ბიზანტიის ნანილს შეადგენდა. უფრო სწორი ვიქნებით თუ ვიტყვით: რამდენადაც ბიზანტიის საგარეო პოლიტიკის შემადგენელი სტრატეგიული კონცეფციის საფუძველზე "აფხაზეთის" („აბაზგიის" და „აფსილიის") ციხე–სიმაგრეებში იმპერიის გარნიზონები იდგა და ამდენად ამ ქვეყნის ზღვისპირეთი მის უშუალო კონტროლს ექვემდებარებოდა, სწორედ ამით იყო გაპირობებული მთელი მხარის (მთიანეთიანად) ვასალური დამოკიდებულება ეგრისის სამეფოსადმი და არა მისი ინკორპორაცია[123].

რაც შეეხება ეგრისის და დასავლეთი საქართველოს დანარჩენი მთიანეთის ურთიერთობას, იგი საკმაოდ მყარი და ურთიერთგაპირობებული იყო.

ჯერ ერთი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აქ პოლიტიკურ ფაქტორს – ჩრდილო კავკასიის მომთაბარე ალან–ჰუნთა საკითხს (იხ. ზემოთ). ეს უკანასკნელი პირველხარისხოვანი მნიშნელობისა იყო ბიზანტიისა და ირანისათვის, რაც კარგად ესმოდათ, ცხადია, თვით ეგრისელებს. ამიტომაა, რომ როდესაც ისინი ბიზანტიელებს გადაუდგნენ და ირანის შაჰთან ელჩები გაგზავნეს, ეს უკანასკნელნი ეგრისის სპარსთა მიერ მფლობელობის ერთ–ერთ ძირითად სარგებლიანობად ირანისათვის შაჰს უსახავენ იმას, რომ მასზე „იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მინა–წყალი. თქვენ ალბათ იცით, – ეუბნებიან მას ელჩები, – რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა“[124]. მეორე მხრივ, „აგრეთვე ლაზიკის მეზობლად მოსახლე ჰუნებისაგანაც სპარსთა სახელმწიფო სამუდამოდ დაურბეველი იქნებოდა“[125]. პროკოპი კესარიელს ერთგან საკმაოდ მეტყველად აქვს გამოხატული ეგრისის ეს მნიშვნელობა: „კავკასიაში მოსახლე ბარბაროსებისათვის ლაზიკე არის მხოლოდ საანინააღმდეგო ტიხარი“[126]. რა თქმა უნდა, ეგრისის სპეციფიკურ გეოგრაფიულ მდებარეობას, პირველ რიგში, თვით ეგრისისათვის ჰქონდა მნიშვნელობა და კავკასიონის ზეკარების დაცვაც უპირატესი მისი საზრუნავი იყო.

ცხადია, ამ გზების დაუფლებას ეგრისის სამეფოს ძლიერებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა და ეგრისის მეფეებს იმთავითვე უნდა ეზრუნათ ამ საკითხის თავის სასარგებლოდ გადასაჭრელად[127] და ე. ი. ამ გზების უშუალო დაუფლებისათვის. საამისოდ კი, უეჭველია, ის ქვეყნები, რომელზედაც ეს გზები გადმოდიოდა, მათ უშუალო მფლობელობის ქვეშ უნდა ჰყოლოდათ. VI ს–ში ეგრისელები საამისოდ რომაელთა ჯარებსაც იყენებდნენ (სვანეთში რომაული გარნიზონი იდგა)[128], უფრო ადრე კი, IV –V სს–ში, უნდა ვიფიქროთ, ამას თავისი ძალებით ახერხებდნენ. ეს ამოცანა ეგრისის მეფეებს, როგორც ჩანს, თავის დროზე ბრწყინვალედ გადაუჭრიათ, რაც ეგრისელი ელჩების განცხადებიდან ჩანს, რომ მათ ქვეყანას მოსაზღვრე ხალხებიდან, ბერძნებს გარდა, სხვა არავინ აწუხებდა[129].

სამხედრო–სტრატეგიული მნიშვნელობის გარდა, ზემოხსენებულ გზებს, უეჭველია, სავაჭრო მნიშვნელობაც უნ-

და ჰქონოდა. VIII ს–ის დასაწყისისათვის გვაქვს ცნობა, რომ ალანთა ვაჭრები ინტენსიურად საქმიანობენ აბაზგიაში[130]. ეჭვი არ არის, ასეთივე გაცხოველებული ვაჭრობა უნდა ჰქონოდათ მათ ეგრისის სამეფოსთანაც. მაგრამ ამ გზების მეშვეობით მხოლოდ მეზობელ ტომთა თუ სახელმწიფოთა აღებ–მიცემობა კი არ ხორციელდებოდა, არამედ ბიზანტია ცდილობდა ეს, კერძოდ, „მისიმიანეთის გზა", საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალად ექცია (იხ. ქვემოთ). ცხადია, ამ გზების დაუფლება და ექსპლუატაცია ეგრისის სამეფოსათვის ამ მხრივაც უაღრესად დიდი მნიშვნელობისა იყო.

მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა დასავლეთი საქართველოს ბარისა და მთიანეთის შემტკიცების საქმეში, რა თქმა უნდა, ჰქონდა შინაგან ეკონომიკურ კავშირს ამ ორ მხარეს შორის. საამისოდ, მართალია, მეტად მწირი, მაგრამ ფრიად ნიშანდობლივი ცნობები გვაქვს, კერძოდ, სვანეთისა და ეგრისის ბარის ურთიერთობის შესახებ. როგორც მენანდრე პროტიქტორი გადმოგვცემს, სვანები სურსათ–სანოვაგეს ეგრისიდან იღებდნენ: „ჩვეულებრივ პური მათ კოლხთა მეფისაგან ეგზავნებოდათ"[131]. თვით ეგრისს საკუთარი პური არ ჰყოფნიდა. პროკოპი კესარიელს არაერთხელ აქვს აღნიშნული, რომ ხორბალი და მარილი ლაზებს ბიზანტიასთან ვაჭრობის საშუალებით შემოჰქონდათ[132]. მიუხედავად ამისა, სვანებს გადაკვეთილი ჰქონიათ ყოველწლიური რაოდენობა პურისა. სამაგიეროდ, „სვანეთის სარდალი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან აღრიცხული იყო სახარკო სიაში და ლაზი კიდევაც იღებდა მისგან ფუტკრების ნაყოფს და ტყავებს და ზოგ სხვა რამესაც"[133]. ამგვარად, ცხადია, რომ სვან–მეგრელთა პოლიტიკური ურთიერთობის საფუძველი ეკონომიკური ურთიერთობა უნდა ყოფილიყო: ბარი უგზავნიდა მთას მიწათმოქმედების პროდუქციას (პური, ალბათ, ღვინო და მარილიც); მთა სამაგიეროდ ამარაგებდა ბარს მესაქონლეობის, მეფუტკრეობის და სხვა მისთანათა პროდუქციით. მართალია, ეგრისს არ ჰქონია ისეთი ფართო და ძლიერი სასოფლო–სამეურნეო ბაზა, როგორც, მაგალითად, ქართლის სამეფოს; პროკოპი კესარიელი მას მწირ და მოუსავლიან ქვეყნად სახავს, სადაც „არსად არ არის მარილი, არც ხორბლეული მოდის, არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე"[134], მაგრამ ეგრისის ცენტრალური ბარის, მოხირისის შესახებ იგივე ისტორიკოსი სულ სხვაგვარად სა-

უბრობს: მოხირისი „შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მიწა–წყალზეც ის საუკეთესო მხარეს ნარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ, თუმცა ლაზიკის სხვა ადგილებზე არ შეიძლება იგივე ითქვას"[135]. ამავე ეკონომიკურ დამოკიდებულებას გულისხმობს პროკოპი კესარიელის ცნობა უქიმერიონისა და ქუთაისის შესახებ: ამ ორ ციხესიმაგრეზე გამავალი მაგისტრალებით ხორციელდებოდა, როგორც ჩანს, ეკონომიკური ურთიერთობა ლეჩხუმთან და სვანეთთან და ამ ციხესიმაგრეთა მფლობელობა ნიშნავდა არა მარტო ეგრისის აღმოსავლეთი ნაწილის, არამედ ლეჩხუმ-სვანეთის პოლიტიკურ მფლობელობასაც[136].

დასასრულ, ეკონომიკურ ურთიერთობებზე მთასა და ბარს შორის მიუთითებს ნუმიზმატიკური მასალა[137] და ეთნოგრაფიული მონაცემებიც: კერძოდ, დასავლეთი საქართველოს მთის საქონლის სიარული ბარში საზამთრო საძოვრებზე და – პირუკუ[138].

ზემოთ არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ ეგრისის სამეფოს ეკონომიკის სიმძიმის ცენტრი მის ცენტრალურ ვაკე ნაწილზე მოდიოდა, კერძოდ, კი მოხირისის მხარეზე. ამიტომ, ბუნებრივია, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრიც აქ ყოფილიყო. ასეთი ცენტრის მნიშვნელობა, შესაძლებელია, ჰქონოდა მხოლოდ ქუთაისს. კერძოდ, პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის ნიშანდობლივი ცნობები ეჭვს არ ტოვებენ იმისათვის, რომ ქუთაისი იყო მოხირისის ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი. მაგრამ ეგრისის სამეფოს დედაქალაქი ამ დროს არქეოპოლისი იყო, რომელიც თავისი განაპირა მდებარეობით დასავლეთი საქართველოს ვაკეზე, ერთი დღის სავალით დაშორებული მოხირისის მხარეს, ეგრისზე, რიონის ვაკეზე გამავალი მთავარი მაგისტრალური გზებისაგან მოშორებით, ვერ იკისრებდა ეგრისის სამეფოს ეკონომიკური ცენტრის როლს[139].

ის, რომ IV–V საუკუნეებში, უფრო გვიანაც, და, როგორც ჩანს, უფრო ადრეც, არქეოპოლის–ნოქალაქევია მაინცდამაინც სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრი, ასახსნელია და ამ გარემოებას, როგორც ჩანს, თავისი ღრმა საფუძველი ჰქონდა[140], რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას არ შეიძლება არ გამოეწვია საერთო ეკონომიკური აღმავლობა, რაც, პირველ რიგში სავაჭრო ურთიერთობის განვითარებით და საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებით აღინიშნა.

ასეთი ვითარება, ცხადია, მხედველობიდან არ გამორჩენია ისეთ დაკვირვებულ ისტორიკოსს, როგორიც იყო პროკოპი კესარიელი. იგი ერთგან პირდაპირ მიუთითებს, რომ ლაზები „მუდამ აწარმოებდნენ პონტოში მცხოვრებ რომაელებთან საზღვაო ვაჭრობას"[141], ხოლო მეორეგან აღნიშნავს, რომ „ლაზიკეში არსად არ არის მარილი, არც ხორბლეული მოდის, არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე. ყველაფერი შემოაქვთ მათთან ნავებით რომაელთა სანაპიროებიდან, და ამაში ისინი ფულს კი არ აძლევენ მომწოდებლებს, არამედ ტყავებს, მონებს და თუ სხვა რამ სიჭარბით აღმოაჩნდებათ"[142]. ეგრისის სამეფოში განვითარებულ საზღვაო ვაჭრობაზე მეზობელ ქვეყნებთან აგათია სქოლასტიკოსიც საუბრობს: ლაზიკის „ეხლანდელი მცხოვრებლები დასცურავენ კიდეც, რამდენადაც შესაძლებელია და ვაჭრობაშიაც ნახულობენ დიდ სარგებლობას"[143].

ამაზე მიუთითებს არქეოლოგიური მასალაც, რომელიც მოპოვებულია ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვანი ქალაქების არქეოლოგიური შესწავლის შედეგად. კერძოდ, გათხრამ ბიჭვინტასა და სოხუმში (სებასტოპოლისში) მრავლად დაადასტურა სირიიდან და ეგვიპტიდან შემოტანილი მინის ჭურჭლის სხვადასხვა სახეობანი. მინის ჭურჭლის გარკვეული რაოდენობა შემოდიოდა ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან, დასავლეთი ევროპიდან.

მრავლად გვხვდება ზემოხსენებულ ნაქალაქარებზე იმპორტული ამფორები, რომლებითაც ბერძნული სამყაროდან შემოდიოდა ღვინო და ზეითუნის ზეთი. ბევრია იმპორტული ე. წ. ნითელლაკიანი (წითლად შეღებილი) კერამიკა...

პროკოპი კესარიელის ზემომოყვანილი ცნობიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეგრისში ამ დროს ფულის მიმოქცევა სუსტად იყო განვითარებული და საგარეო ვაჭრობა კი – ნატურალური სასაქონლო ურთიერთგაცვლაზე დამყარებული. ფაქტობრივი მასალა ამის აშკარად საწინააღმდეგო ვითარებაზე მიუთითებს, რამდენადაც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია უცხოური მონეტების დიდი რაოდენობა (მარტო ბიჭვინტის ნუმიზმატიკური მონაპო-

ვარი რად ღირს!), რომელიც საგარეო ვაჭრობაში ფულად ურთიერთობაზე მიუთითებს უკვე III ს–დან, ხოლო IV–V საუკუნეებში აქ დასტურდება ბიზანტიური ოქროს მონეტების, ე. წ. სოლიდების მიმოქცევა.

სავაჭრო ურთიერთობის ინტენსიფიკაციაზე რომის აღმოსავლეთ პროვინციებთან ამ პერიოდში მოწმობს ჩვენ დრომდე შემონახული რომაული საგზაო რუკა, ე. წ. Tabula Peutingeriana, რომელიც შედგენილი იყო IV ს–ის მეორე ნახევარში რომაელი გეოგრაფოსის კასტორიუსის მიერ და რომელზედაც დატანილია სავაჭრო გზები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდებოდა საერთაშორისო ვაჭრობა. ერთ–ერთი ასეთი გზა მიჰყვებოდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ტრაპეზუნტიდან ვიდრე სებასტოპოლისამდე (შესაძლებელია ეს გზა საზღვაო–საკაბოტაჟო მარშრუტს აღნიშნავდა). სებასტოპოლისიდან უკან მობრუნებული, ეს სავაჭრო მაგისტრალი გადასჭრიდა დასავლეთ საქართველოს და სომხეთის დედაქალაქ არტაშატს აღნევდა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ არსებობდა ჩრდილო კავკასიაში გადამავალი ე. წ. „მისიმიანეთის გზა", რომელიც კოდორის ხეობით, ქლუხორის უღელტეხილზე გადავლით ყუბანის აუზში ჩადიოდა.

ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური მასალა იმასაც მიუთითებს, რომ საგარეო–სავაჭრო ურთიერთობაში ეგრისის შიდა რაიონებიც იყო ჩართული, რასაც ხელს უწყობდა საქალაქო ცხოვრების აღმავლობა ამ პერიოდში.

ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია სამეფოს დედაქალაქი ციხე-გოჯი – არქეოპოლისი. აქ არქეოლოგიური ინტენსიური გათხრების შედეგად გამოვლენილ იქნა ქალაქის გრანდიოზული საფორტიფიკაციო სისტემა, შიდა ქალაქის ტერიტორიაზე – ორი აბანოს შენობა, რომელთაგან ერთი, თავისი გეგმარების სირთულით, დახვეწილი არქიტექტურული ფორმებით, გამოირჩევა ყველა მსგავსი ამავდროული ნაგებობისაგან საქართველოს ტერიტორიაზე და, როგორც ჩანს, წარმოადგენს წარჩინებულთა ან კიდევაც მეფის გვარის კუთვნილებას. ქალაქის ქვედა ნაწილში განლაგებული იყო სასახლე, სამეურნეო ნაგებობანი და IV–V საუკუნეების უძველესი ეკლესიები. არქეოლოგიური მასალა, რომელიც შეიცავს ადგილობრივ კერამიკულ ნაწარმს (ჭურჭელი, კრამიტები), მინის ნაკეთობებს (ჭურჭელი, ფანჯრის მინები), რკინის იარაღს (ის-

რისწვერები, ჯავშნის ფირფიტები, დანები) და იმპორტული მასალაც, აშკარად მოწმობს, რომ IV–V საუკუნეების ციხე-გოჯი წარმოადგენს მსხვილ ქალაქურ დასახლებას, ადმინისტრაციულ–პოლიტიკურ, საეკლესიო და სავაჭრო–სახელოსნო ცენტრს.

ქუთაისში ჩატარებული ფართო არქეოლოგიური გათხრების შედეგად კარგად გამოჩნდა, რომ ეგრისის სამეფოს თანდათანობითი გაძლიერება–გაფართოების პარალელურად მოხერისის ამ უმნიშვნელოვანესი ცენტრის საქალაქო ცხოვრების აღმავლობის პროცესიც მიმდინარეობდა. III–IV საუკუნეების მიჯნაზე ქუთაისი უკვე ციხე–ქალაქია, რომლის მთავარი კომპონენტი – შიდაციხე ე. წ. „არქიელის გორაზეა" განლაგებული. შიდაციხეში და მის ირგვლივ ხის საცხოვრებელი სახლების კვალია გამოვლენილი, რომელთაგან ზოგიერთი ქვის საძირკველზე იდგა. აქვეა დადასტურებული სამეურნეო დანიშნულების არტეფაქტებიც: ხელსაფქვავის ქვები, საყოფაცხოვრებო კერამიკა. ფრიად საინტერესოა, რომ გათხრების შედეგად გამოვლინდა ქვით მოკირწყლული ქუჩებისა და მოედნების ფრაგმენტები. IV ს–ის შუა ხანებში ქალაქის ძირითადი ნაწილისაგან კედლით გამოყოფილ იქნა შიდაქალაქი და ამდენად გამოიკვეთა დასახლების ორი ძირითადი კომპონენტი: შიდაციხე და შიდაქალაქი, რომელიც 4 ჰა ფართობს მოიცავს. შიდაციხეში გაიწმინდა დიდი ზომის მართკუთხა ნაგებობა, გადახურული ბრტყელი და ღაროვანი კრამიტებით. ფიქრობენ, რომ ეს უნდა ყოფილიყო ადრექრისტიანული ხანის „სამლოცველო სახლი"

შიდაქალაქში შენდება გრანდიოზული ორსართულიანი ციხე–დარბაზი, რომლის გამოვლენილი ფართობი, შემოსაზღვრული მძლავრი, 1.40 მ–ის სიგანის ქვის კედლებით, 700 კვ. მ ფართობს მოიცავს. ნაგებობა მრავალსათავსოიანია და მსგავსებას ამჟღავნებს ციხე-გოჯის სამეფო სასახლესთან. იგი IV ს–ის შუა ხანებში აუგიათ და, როგორც ჩანს, ფუნქციონირებდა V ს–ის მეორე ნახევრამდე. გამთხრელთა აზრით ეს უნდა ყოფილიყო მეფის ან დიდმოხელე – ერისთავის სასახლე[144].

გათხრების შედეგად ქუთაისში გამოვლენილი IV–V საუკუნეების ნაშთები იმდენად შთამბეჭდავია და მასშტაბური, რომ ფიქრობენ არ არის გამორიცხული ციხე-გოჯის დაწინაუ-

რებამდე აქ ყოფილიყო ეგრისის მეფეთა მთავარი რეზიდენცია.

შიდა ეგრისის ქალაქებიდან აღსანიშნავია როდოპოლისი, დღევანდელი ვარდციხე მდ. მდ. რიონის, ყვირილას და ხანისწყლის შესართავში, სომხეთთან ეგრისის დამაკავშირებელ ზემოხსენებულ გზაზე. უკანასკნელი ხანის გათხრები მოწმობს, რომ პირველი საფორტიფიკაციო ნაგებობანი აქ IV ს–ეს განეკუთვნება, V ს–ში ქალაქი უფრო ფართოვდება. არქეოლოგიური მასალა, რომელიც ადგილობრივი ხელოსნური ნაწარმის გარდა, იმპორტულ ნივთებსაც შეიცავს, ადასტურებს, რომ ეს ქალაქი ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვანი სავაჭრო–ეკონომიკური და კულტურული ცენტრი უნდა ყოფილიყო. ტყუილად ხომ არ ამბობს პროკოპი კესარიელი, რომ ეგრისის „ყველაზე შესანიშნავი ქალაქები არის როდოპოლისი და მოხირისი“[145] (უკანასკნელის ადგილმდებარეობა ჯერჯერობით დაუდგენელია).

მნიშვნელოვანი ციხე–ქალაქი იყო შორაპანი და აგრეთვე ციხესიმაგრე სკანდე, რომლებიც ქართლიდან ეგრისში გადმომავალ გზას იცავდნენ. დასასრულ, ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი ეგრისის სამეფოში იყო, რა თქმა უნდა, ნავსადგური ფოთი ანუ ძველი – ფაზისი, რომელიც ზღვაზე ვაჭრობის კარიბჭეს წარმოადგენდა.

IV ს–ში ეგრისში ფართოდაა გავრცელებული ქრისტიანობა. ამის მოწმობაა არა მხოლოდ ის, რომ ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მონაწილეობას იღებს ბიჭვინტის ეპისკოპოსი სტრატოფილე (იხ. ზემოთ), არამედ არქეოლოგიური მასალაც (ჯვრის გამოსახულება წითელლაკიან კერამიკაზე, მინის ჭურჭელზე) და ბერძნული ქრისტიანული წარწერებიც, კერძოდ, IV ს–ით დათარიღებული ვერცხლის მედალიონი წებელდის ნეკროპოლიდან ბერძნული წარწერით: „ერთარსი ღმერთი, მშველელი შემწირველთა“. აქედანვეა ოქროს პატარა ჯვარიც. თვით დამარხვის წესიც წებელდის სამაროვანზე უკვე ქრისტიანულია. IV ს–ის ეკლესიებია გამოვლენილი ბიჭვინტაში და ციხე-გოჯში, რაც სხვა რეალიებთან ერთად უეჭველს ხდის, რომ IV ს–დან ეგრისში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გვევლინება[146].

ყველაფერი ეს IV–V საუკუნეების ეგრისის სამეფოს მორჭმულობის და მაღალი კულტურის უეჭველი მოწმობაა.

ასეთი ვითარება თვალში საცემი იყო თვით იმდროინდელი ბიზანტიის კულტურული საზოგადოებისათვის. ამიტომ არის, რომ ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს: „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ; ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია არც თუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არცერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწა–წყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით... ისინი უკვე არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ რომაელებთან კავშირის წყალობით თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მიუციათ"[147]. უეჭველია, ძველ რომაელთა ჩამომავალი, ქედმაღალი და ამპარტავანი ბიზანტიური კულტურული საზოგადოების განათლებული წარმომადგენლის ასეთი დახასიათება ფრიად ანგარიშგასაწევია და, რა თქმა უნდა, რეალური ვითარების ამსახველი უნდა იყოს.

შენიშვნები:

1. Меликишвили Г А., К истории древней Грузии, Тб., 1959, стр. 385; ლომოური ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 72.
2. Ковалев С. И. История античного общества. Эллинизм, Рим., Л., 1936, стр. 242, 243.
3. იხ. Кулаковский Ю., История Византии, т. I, Киев, 1913, стр. 48, 49.
4. ზოსიმე, „გეორგიკა", I, გვ. 269.
5. ლომოური ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 66. მისივე, ეგრისის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა IV-V საუკუნეებში, სინ, II, თბ., 1979, გვ. 159. უნდა აღინიშნოს, რომ გელასი კესარიელის (გეორგიკა, I, გვ. 186), რუფინუსის (იქვე, გვ. 201) და სოკრატე სქოლასტიკოსის (იქვე, გვ. 230) ცნობათა მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ,

რომ ამ დროს სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის გარკვეული ნაწილი (მაინცდამაინც აჭარა და გურია) ამ დროს ივერიაში შემოდის (შდ. ზემოთ, არიანეს ცნობას ზიდრიტების შესახებ) და თუ ეს ასეა, მაშინ ისევე, როგორც II ს-ში, ამ დროსაც რომის სამფლობელოები შავი ზღვის სანაპიროზე ამ რეგიონში გაყოფილი ყოფილა ივერიის კუთვნილი ტერიტორიებით.

6. აგათანგელოსი, „გეორგიკა". I, გვ. 70, 71.
7. ამიანე მარცელინე, იქვე, გვ. 128.
8. Меликишвили Г. А., იქვე, стр. 381;
9. ლომოური ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 70.
10. იხ. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 92.
11. Меликишвили Г А., იქვე, გვ. 382, 383; მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 92.
12. პროკოპი კესარიელი, „გეორგიკა", II, გვ. 121.
13. Меликишвили Г. А., იქვე, გვ. 390.
14. პროკოპი კესარიელი, გვ. 123, 125.
15. Меликишвили Г А., იქვე, გვ. 391.
16. Армянская география VII века по р. Х. Текст и перевод издал К. П. Патканов, 1877, стр. 16.
17. Géographie de Moise de Corène d' après Ptolémée. Texte arménien traduit en Français par le p. Arsène Soukry Mekhitariste, 1881, 27, 28.
18. იქვე, გვ. VII.
19. ქც, I, გვ. 24.
20. Меликишвили Г. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 385.
21. დაწვრილებით ამის შესახებ იხ. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, გვ. 93-95.
22. მენანდრე პროტიქტორი, „გეორგიკა", III, გვ. 224, 225.
23. ჯანაშია ს., ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 314; Меликишвили Г А., დასახ. ნაშრომი, გვ. 384; ლომოური ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 71.
24. Géographie, p. 27.
25. მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 96.
26. Меликишвили Г А., დასახ. ნაშრომი, გვ. 382.

27. მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 97.
28. Géographie, p. 25, 26.
29. ასევე ფიქრობს ზ. ანჩაბაძე (იხ. მისი, Из истории средневековой Абхазии, Сухуми, 1959, стр. 65).
30. იხ. მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 97, 98.
31. იხ. Анчабадзе З., დასახ. ნაშრომი, გვ. 65.
32. Меликишвили Г А., დასახ. ნაშრომი, გვ. 383. ადრე ჩვენც ამ აზრის ვიყავით (იხ. ჩვენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 99). ამჟამად კი ვფიქრობთ, რომ არავითარ მნიშვნელოვან მიგრაციულ პროცესს ადგილი არ ჰქონია, არიანეს ტექსტში შეცდომაა გაპარული და მის დროს ეს ტომები დაახლოებით იქვე ცხოვრობდნენ, სადაც უფრო გვიან, V-VI საუკუნეებში გვხვდებიან. იხ: Мусхелишвили Д. Л. Исторический статус Абхазии в грузинской государственности, Сборник: "Разыскания по истории Абхазии/Грузия". Тб., 1999, стр. 121, 122.
33. მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 99.
34. ანონიმი, „გეორგიკა", II, 10.
35. Меликишвили Г А., დასახ. ნაშრომი, გვ. 88 და 370, 371.
36. პროკოპი კესარიელი, გვ. 133 და 162.
37 მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 86.
38. Меликишвили Г. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 382, 383; ლომოური ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, თავები I და II; მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, თავი I, §1.
39. Меликишвили Г. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 382.
40. შდ. ლომოური ნ., სინ, II, გვ. 164, 165.
41. ჯანაშია ს., ეგრისის სამეფოს წარმოშობა, გვ. 316.
42. Меликишвили Г А., დასახ. ნაშრომი, გვ. 382-384; ლომოური ნ., სინ, II, გვ. 161-163.
43. პროკოპი კესარიელი, გვ. 120; შდ., იქვე, გვ. 53, 213-215.
44. აგათია სქოლასტიკოსი, „გეორგიკა", III, გვ. 181, 182.
45. იხ. ლომოური ნ., ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, იიშ, IV[1]; აგრეთვე მუსხელიშვილი დ., ფეოდალური ხანის საქართველოს და ამიერკავკასიის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში. ჟურნ.: „ცისკარი", №11, 1970.
46. პროკოპი კესარიელი, გვ. 119,194.
47 იქვე, გვ. 119.

48. მოხირისის ლოკალიზაციისათვის იხ. აგრეთვე ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, გვ. 320; ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 76.
49. შდ. ლომოური ნ., იქვე.
50. პროკოპი კესარიელი, გვ. 196, 203, 204; აგათია სქოლასტიკოსი, გვ. 30, 41 და სხვ.
51. პროკოპი კესარიელი, გვ.182. ჩვენი საუკუნის 70-80-იან წლებში ნოქალაქევი ინტენსიური გათხრების შედეგად იქნა შესწავლილი, იხ. ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I, არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1981; ნოქალაქევი-არქეოპოლისი, არქეოლოგიური გათხრები, 1978-1982, თბ., 1987; ზაქარაია პ., კაპანაძე თ., ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება, თბ., 1991; ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ., ციხეგოჯი-ნოქალაქევი, თბ., 1984.
52. ზაქარაია პ., კაპანაძე თ., დასახ. ნაშრომი, გვ. 127-137.
53. იხ. „გეორგიკა", III, გვ. 57, 58 და 91.
54. აგათია სქოლასტიკოსი, გვ. 83, 97, 98; პროკოპი კესარიელი, გვ. 73.
55. პროკოპი კესარიელი, გვ. 197.
56. იქვე, 196, 197, 202.
57. ეგრისწყლისა და ღალიძგის იდენტიფიკაციისათვის იხ. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თავი I, § 2 დ.
58. შდ. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 126; Анчабадзе З.В., დასახ. ნაშრომი, გვ. 8.
59. პროკოპი კესარიელი, გვ. 162, 164, 165.
60. თეოდოსი განგრელი, „გეორგიკა", IV', გვ. 44; Кекелидзе К., Сведения грузинских источников о Максиме Исповеднике, ეტიუდები, VII, გვ. 31.
61. თეოდოსი განგრელი, გვ. 42, შენ. 4.
62. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 169; Кекелидзе К., დასახ. ნაშრომი, გვ. 28.
63. პროკოპი კესარიელი, გვ. 158, 159.
64. Анчабадзе З.В., დასახ. ნაშრომი, გვ. 9-11. Инал-ипа Ш. Д., Вопросы этно-культурной истории абхазов, Сухуми, 1976, стр. 278-282.

65. Леквинадзе В., По поводу Анакопийской крепости, სსმმ, XXV- B, 1968, გვ. 102, 103.
66. ქც, გვ. 235.
67. არსებობს მოსაზრება, თითქოს აფშილები და აბაზგები ერთმანეთს უშუალოდ არ ემეზობლებოდნენ და ტერიტორიაზე სებასტოპოლისსა და პიტიუნტს შორის ანუ ცხუმსა და ბიჭვინტას შორის პროკოპი კესარიელის დროს სანიგები ცხოვრობდნენ (იხ. ლეთოდიანი დ., აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს-ში, თბ., 1991 თავი 2). ეს მოსაზრება დამყარებულია პროკოპი კესარიელის ცნობის (BG, VIII, 3, 13; VIII, 9, 15) ქართული თარგმანის (იხ. „გეორგიკა", II, გვ. 133 და 158) არასწორ ინტერპრეტაციაზე, საიდანაც გამომდინარეობს ზემოხსენებული არარეალური ლოკალიზაცია სანიგებსა და სხვა უზუსტობანი. პროკოპი კესარიელის ტექსტი მხოლოაზროვნად მიუთითებს, რომ აფშილები და აბაზგები უმეშვეო მეზობლები იყვნენ.
68. მენანდრე პროტიქტორი, „გეორგიკა", III, გვ. 236, 237; ინგოროყვა პ., დასახ. ნაშრომი, გვ. 126; Анчабадзе З.В., დასახ. ნაშრომი, გვ. 12,13.
69. პროკოპი კესარიელი, გვ. 130.
70. აგათია სქოლასტიკოსი, I, გვ. 169.
71. ინგოროყვა პ., დასახ. ნაშრომი, გვ. 127.
72. აგათია სქოლასტიკოსი, გვ. 86, 87.
73. თეოდოსი გაგრელი, გვ. 42, შენ. 5.
74. Кекелидзе К., დასახ. ნაშრომი, გვ. 29.
75. თეოდოსი განგრელი, გვ. 92.
76. მენანდრე პროტიქტორი, „გეორგიკა", III, გვ. 237.
77. იქვე, გვ. 234-236.
78. თეოფანე ჟამთააღმწერელი, „გეორგიკა", IV[1], გვ. 106, 107, 111-113; თეოდოსი განგრელი, გვ. 42, შენ. 5.
79. ყაუხჩიშვილი ს., მისიმიანთა ტომი, თუშ, I, 1936; მუსხელიშვილი დ., აფშილთა ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, ჟურნ.: „არტანუჯი", №10, თბ., 2000.
80. ეგრისის სამეფოს საზღვრებისა და ტერიტორიული სტრუქტურის შესახებ დანვრილებით, იხ. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თავი I, §§1,2.

81. თეოდოსი განგრელი, გვ. 41-43.
82. იქვე, გვ. 50; ინგოროყვა პ., დასახ. ნაშრომი, გვ. 132.
83. პროკოპი კესარიელი, გვ. 133.
84. ჯანაშია ს., ეგრისის სამეფოს ნარმოშობა, გვ. 318.
85. პროკოპი კესარიელი, გვ. 128.
86. იქვე, გვ. 162.
87. იქვე, გვ., 162, 163.
88. იხ. აგათია სქოლასტიკოსი, გვ. 156.
89. Мсликишвили Г. А., К истории древней Грузии, стр. 384; ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 78.
90. აგათია სქოლასტიკოსი, გვ. 86.
91. მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 131.
92. იქვე, გვ. 131, 132, 133.
93. იქვე, გვ. 133.
94. პროკოპი კესარიელი, გვ. 126-127.
95. მენანდრე პროტიქტორი, გვ. 219.
96. იქვე, გვ. 224.
97. ჭანების დამორჩილება ბიზანტიამ მხოლოდ იუსტინიანე კეისრის დროს შესძლო VI ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში და იმპერატორი ამას თავის დიდ დამსახურებად მიიჩნევს (იხ. „გეორგიკა", II, გვ. 31: იუსტინიანეს 535 წლის ნოველა და გვ. 36: ამავე ხანების მეორე ნოველა. პროკოპი კესარიელიც აღნიშნავს (VI ს-ის 50-იანი წლების დასაწყისში), რომ „ცოტა ხნის წინ მოხდა, რომ მათ (რომაელებმა, დ. მ.) დაიმორჩილეს ჭანების ტომი" (იქვე, გვ. 52), რადგან „ჭანები ძველითგანვე თვითთავადნი იყვნენ და არავის არ ემორჩილებოდნენ" (იქვე, გვ. 213). ასე რომ, ჭანეთს, რომელიც „სომხური გეოგრაფიით" ეგრისის ერთ-ერთი პროვინციაა, სავარაუდოა უფრო მაღალი სტატუსი ჰქონოდა სამეფოში, ვიდრე ჩვეულებრივ „საერისთავოს".
98. იხ. მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 136, 137.
99. იხ. „გეორგიკა", II, გვ. 33; შდ. ლომოური ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 71.
100. იხ. „გეორგიკა", I, გვ. 3; შდ. ლომოური ნ., იქვე, გვ. 72.
101. იხ. „გეორგიკა", I, გვ. 171.
102. იქვე, გვ. 172. იმპერიის ხანაში „ალა" შედგებოდა 500-1000 მხედრისაგან (იხ. Lexikon der Antike, Leipzig, 1987, S. 24).

103. პროკოპი კესარიელი, გვ. 73.
104. თებაიდის სარდალს ემორჩილება აგრეთვე „პირველი ფრთეული იბერთა" („გეორგიკა", I, გვ. 171) და „მეცხრე კოჰორტი ჭანებისა" (იქვე). ივერიელთა ეს რაზმი ბიზანტიელებს გამოჰყავდათ „დასავლეთი ქართლიდან", რომელიც ამ დროს ბიზანტიის ხელქვეითი იყო (იხ. ზემოთ, § 2). რაც შეეხება ჭანებს, ჩანს V ს-ის დასაწყისში იმპერიას მათზეც მიუწვდებოდა ხელი მიუხედავად იუსტინიანეს ნოველის და პროკოპი კესარიელის ზემოხსენებული ცნობებისა. ჭანეთს შესაძლებელია ამ დროს ისეთივე ორმაგი დაქვემდებარების სტატუსი ჰქონდა, როგორც აბაზგიას.
105. ერმია სოზომენე, „გეორგიკა", I, გვ. 242; Кулаковский Ю., История Византии, т. I, стр. 196.
106. თეოდოსი კვირელი, „გეორგიკა", I, გვ. 224.
107. ანონიმი V საუკუნისა, „გეორგიკა", II, გვ. 9,10.
108. Кулаковский Ю., История Византии, т. I, стр. 443.
109. Notitia dignitatum, „გეორგიკა", I, გვ. 173, 175.
110. როგორც ცნობილია, რიგი მეცნიერებისა მიიჩნევს, რომ Notitia dignitatum-ის ზემოხსენებული ქალაქები, პითიესა და სებასტოპოლისის ჩათვლით, ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში მდებარე პუნქტებია (დაწვრილებით ამის შესახებ, იხ. ლომოური ნ., Notitia dignitatum-ის ზოგიერთი ცნობის გარკვევისათვის, თუშ, ტ. 162, თბ.,1975). ჩვენც ასევე ვფიქრობდით (იხ. მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 111), ამჟამად კი ზემოხსენებული ფაქტების საფუძველზე შესაძლებლად ვთვლით, რომ ამ ძეგლის „პითიე", რომლის იდენტიფიკაცია პოლემონის პონტოში არ ხერხდება, მართლაც, შერყვნილი ფორმა უნდა იყოს „პითიუს"-ის ანუ იგივე ბიჭვინტისა, ხოლო სებასტოპოლისი იყოს არა „მცირე არმენიის" ამ სახელწოდების საეპისკოპოსო ქალაქი, არამედ „აბასგიის ეპარქიის სებასტოპოლი", რომელიც უკვე VII ს-ის საეპისკოპოსოთა ნუსხაში იხსენება (იხ. ბასილი სოფენელი, „გეორგიკა", IV², გვ. 140).
111. იხ. ლორთქიფანიძე გ., ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბ., 1991, გვ. 72 და 105. მართალია, ბიჭვინტის გათხრების შედეგად მოპოვებულ დიდძალ ნუმიზმატიკურ მასალაში (1500-ზე მეტი მონეტა, იხ. იქვე, გვ. 99) ეს არის მიზერული ციფრი შედარებით III საუკუნესთან (340-დე მონეტა, აქედან 149

მონეტა განძს შეადგენდა: იხ. დუნდუა, გ., სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ. წ. II - ახ. წ. IV სს. „დიდი პიტიუნტი", I, თბ., 1975, გვ. 290) და IV ს-თან (500-მდე მონეტა, აქედან 310 მონეტა განძში: იქვე, გვ. 375) და ამავე დროს „ნაქალაქარზე V საუკუნის ფენა ძალზე თხელია, ხოლო კოშკების სტრატიგრაფიულ ჭრილში ეს ეპოქა საერთოდ არ არის წარმოდგენილი" (ლორთქიფანიძე გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 172), რის გამოც გ. ლორთქიფანიძე ასკვნის, რომ „ნოტიცია დიგნიტატუმის" ცნობა, თითქოს პიტიუნტში დაბანაკებულია ერთი „ალა (ფრთეული, დ. მ.) ბედნიერი თეოდოსის სახელობისა, ანუ სულ ცოტა 500 მხედარი, არქეოლოგიური მონაცემებით არ დასტურდება" (იქვე, გვ. 56, 57. შდ. იქვე, გვ. 59 და 172). მიუხედავად ამისა, მაინც ვფიქრობთ, რომ ამ ხანის სპილენძის ათიოდე მონეტის უგულვებელყოფა ზემომყვანილ წყაროთა მონაცემების ფონზე, არ უნდა იყოს სწორი. მით უმეტეს, რომ როგორც თვით გ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, ბიჭვინტაში მოპოვებული „სპილენძის ფული, რომლის დანიშნულება იყო არმიის შენახვა, ე. წ. „საარმიო ტიპისაა" და ჯარისკაცთა ცხოვრებას უკავშირდება" (იქვე, გვ. 72).

112. ლორთქიფანიძე გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 70, 72, 73.

113. იქვე, გვ. 57. Трапш М. М. Древний Сухуми. Труды, т. II, Сух., 1969, стр. 294, 304, 305, 312.

114. Леквинадзе В. А. Оборонительные сооружения Себастополиса. СА, 1968, №1; შდ. Шервашидзе Л. А., Соловьев Л. Н. Исследование древнего Себастополиса, СА, 1960, №3.

115. Ломоури Н., Западная Грузия-Эгриси (Лазика) в IV-V вв. ОИГ, т. II, 1988, стр. 126, 127.

116. ჯანაშია ს., ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრომები, II, გვ. 317.

117. პროკოპი კესარიელი, გვ. 136, 137.

118. იქვე, გვ. 125.

119. მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ VI ს-ის 40-იანი წლების დასაწყისში აქ ბიზანტიის გარნიზონი იდგა (იხ. ქვემოთ, თავი III, § 2). რაც შეეხება ტრაიანეს დროს ეგრისის საზღვრისპირა სიმაგრეებში სამხედრო რაზმების ჩაყენებას, პროკოპის, როგორც ჩანს, არიანეს „პერიპლუსის" ცნობები აქვს

მხედველობაში, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არიანეს დროს პიტიუნტში რომაული გარნიზონი ჯერ არ იდგა. ამას ადგილი ჰქონდა მხოლოდ II ს-ის მეორე ნახევრიდან (იხ. ლორთქიფანიძე გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 42, 43, 59, 81-84).

120. როგორც ვიცით, არქეოლოგიური მასალა პროკოპის საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევა, მაინცდამაინც V ს-ის დასაწყისის შემდგომი პერიოდისათვის (იხ. ზემოთ).

121. ამიტომ ჩემთვის გაურკვეველია, რატომ არის ნ. ლომოურისთვის „პროკოპი კესარიელის ამ ცნობის ამგვარად გაგება ფრიად საეჭვო"? (იხ. ლომოური ნ., საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბ., 1989, გვ. 74). მისი აზრით, ეს ცნობა ასახავს დასავლეთ საქართველოს **მის თანამედროვე მდგომარეობას** (?! ხაზგასმა ავტორისაა, დ. მ.) და ვერაფრით ვერ დაადასტურებს V საუკუნის შუა წლებში, ე. ი. ვახტანგ გორგასლის გამეფების წინარე ხანებში აფხაზეთის რაიმე განსხვავებულ პოლიტიკურ სტატუსს" (იქვე, გვ. 35). რომ პროკოპის ჩვენება მხოლოდ „მის თანამედროვე მდგომარეობას" არ ასახავს, ეს კონტექსტიდან სრულიად აშკარაა! ხოლო რომ „V ს-ის შუა წლებში, ე. ი. ვახტანგ გორგასლის გამეფების წინარე ხანაში" აფხაზეთს სწორედ რომ განსხვავებული სტატუსი აქვს, როგორც ბიზანტიის უშუალო პროვინციას, ეს ჩვენ უკვე ვიცით თეოდორიტე კვირელის (†457/8 წ.) ცნობიდან (იხ. ზემოთ ტექსტში). მეორეგან იმავე ნაშრომში ნ. ლომოური სიმართლესთან უფრო ახლოა, როდესაც ამბობს, რომ პროკოპი კესარიელი „უდარებს ძველ ვითარებას მის თანამედროვე სიტუაციას", კერძოდ, „ძველად" ანუ II ს-ში (ტრაიანეს დროს) რომაელთა ჯარი იდგა მთელ სანაპიროზე აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთისა, ხოლო „ამჟამად" ანუ VI ს-ში - მხოლოდ პიტიუნტსა და სებასტოპოლისში დგანან (ნ. ლომოური რატომღაც პიტიუნტს არ ახსენებს!) „და არსაიდან ჩანს, რომ ამ შუალედში პროკოპი უთუოდ უცვლელ ვითარებას გულისხმობდეს სებასტოპოლისისა და პიტიუნტისათვის" (იქვე, გვ. 74) ანუ უფრო ნათლად რომ გამოვხატოთ ნ. ლომოურის აზრი: არსაიდან ჩანს, პროკოპი გულისხმობდეს, რომ III-V სს-შიც ამ ორ ქალაქში იდგა ბიზანტიური გარნიზონები! სინამდვილეში ეს კარგად ჩანს ისტორი-

კოსის ჩვენების კონტექსტიდან (და ს. ყაუხჩიშვილისეული თარგმანიდანაც!). საქმე ის არის, რომ იგი (კონტექსტი) არ შეიძლება გავიგოთ, როგორც II და VI საუკუნეების სიტუაციის სტატიკური შედარება. ისტორიკოსი სრულიადაც არ ამბობს იმას, რომ „ძველად" (II ს-ში) ერთი ვითარება იყო, ხოლო „ამჟამად" (VI ს-ში) - მეორე. იგი საერთოდ არ ხმარობს სიტყვას „ძველად" (πάλαι), არამედ წერს - „ძველთაგანვე" (εκ παλαιοῦ), და ამდენადვე მის მიერ გამოთქმული აზრი სულ სხვა დინამიურ შინაარსს იძენს: „ძველთაგანვე" ანუ II ს-დანვე (და არა II ს-ში!) აქ, ეგრისის ზღვისპირა ქალაქებში რომაული გარნიზონები იდგა, „ამჟამად კი" (νῦν δέ) მხოლოდ ამ ორ ქალაქში (პიტიუნტსა და სებასტოპოლისში) დგას. ამგვარად, კონტექსტის აზრი კონტინუიტეტს გულისხმობს და ე. ი. პროკოპი კესარიელის შეხედულებით ამ ქალაქებში ჯარი არა მხოლოდ ტრაიანეს დროს, II ს-ში, არამედ შემდგომ საუკუნეებშიც იდგა და VI ს-ში კი მხოლოდ პიტიუნტისა და სებასტოპოლისში შემორჩა. ნ. ლომოური, ჩანს, თვითონ არ არის დარწმუნებული ისტორიკოსის ამ ცნობის მისებურ ინტერპრეტაციაში („არსაიდან ჩანს, რომ შუალედში პროკოპი **უთუოდ** უცვლელ ვითარებას გულისხმობდეს"!) და ამიტომ დასჭირდა ტექსტზე ერთგვარი ძალდატანება!

122. ქც, I, გვ. 177; იხ. მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 112. ამდენადვე ტყუილად შეაქვს ეჭვი ამ ეროვნულ ტრადიციაში ნ. ლომოურს (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35 და 73).
123. მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 139.
124. პროკოპი კესარიელი, გვ. 81.
125. იქვე, გვ. 94.
126. იქვე.
127. Анчабадзе З.В., დასახ. ნაშრომი, გვ. 30.
128. მენანდრე პროტიქტორი, გვ. 213, 214.
129. პროკოპი კესარიელი, გვ. 78, 79.
130. თეოფანე ჟამთააღმწერელი, „გეორგიკა", IV', გვ. 108.
131. მენანდრე პროტიქტორი, გვ. 214.
132. პროკოპი კესარიელი, გვ. 73, 74, 96.
133. მენანდრე პროტიქტორი, გვ. 224.
134. პროკოპი კესარიელი, გვ. 96; შედ. იქვე, გვ. 51 და 73.

135. იქვე, გვ. 194.
136. პროკოპი კესარიელი, გვ. 197 და 202.
137. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, თბ., 1980, გვ. 8,9.
138. შამილაძე ვ., მესაქონლეობა სამეგრელოში, კრებ.: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა, II, თბ., 1974.
139. Леквинадзе В. А., Материалы по монументальному строительству в Лазике, სსმმ, XXII- В, 1961, გვ. 139.
140. ჯანაშია ს., ეგრისის სამეფოს წარმოშობა, გვ. 321; Мусхелишвили Д. Л. К вопросу о центрс Эгрисского царства, Сборник: "Кавказ и Средиземноморье", Тб., 1980.
141. პროკოპი კესარიელი, გვ. 73.
142. იქვე, გვ. 96.
143. აგათია სქოლასტიკოსი, გვ. 51.
144. ლანჩავა ო., ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში (IV-X სს.). სადისერტაციო მაცნე, თბ., 1995, გვ. 15-19.
145. პროკოპი კესარიელი, გვ. 101.
146. ეგრისის ეკონომიკური მდგომარეობის და ქრისტიანობის გავრცელების ზემოხსენებული მოკლე დახასიათება გაკეთებულია ნ. ლომოურის სათანადო მიმოხილვის საფუძველზე (იხ. ლომოური ნ., დასავლეთ საქართველო (ეგრისი) IV-V საუკუნეებში, სინ, II, გვ. 170-188; Ломоури Н. Ю., Западная Грузия-Эгриси (Лазика) в IV-V вв. ОИГ, II, стр. 122-140. იქვეა ლიტერატურა). მ. ფირჩხაძე იზიარებს ვ. გოილაძის მოსაზრებას (იხ. გოილაძე ვ., ქართული ეკლესიის სათავეებთან, გვ. 119), რომ ეგრისის ეკლესია ამ დროს კაპადოკიის კესარიის მიტროპოლიტს ექვემდებარებოდა. მისი აზრით, დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღად 325 წ. უნდა მივიჩნიოთ, ხოლო მთავარ საეკლესიო ცენტრად - ბიჭვინტის საეპისკოპოსო (იხ. მ. ფირჩხაძე, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება დასავლეთ საქართველოში აგათანგელოსის ცნობათა მიხედვით, თუშ, ტ. 338, გვ. 32-37).
147. აგათია სქოლასტიკოსი, გვ. 50-51.

თავი II. საქართველო V ს–ის II ნახევარში

V ს–ის მთელი მეორე ნახევარი ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ–ერთი უთვალსაჩინოესი სახელმწიფო მოღვაწის, ვახტანგ გორგასლის მეფობაზე მოდის. ამდენად, ამ პერიოდს შეიძლება ვახტანგ გორგასლის ეპოქა ვუწოდოთ. „ქართლის ცხოვრებაში" მას საგანგებო თხზულება ეძღვნება, რომელსაც ეწოდება „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა". მის ავტორად, „ქართლის ცხოვრების" ცნობილი მინაწერის მიხედვით, ჯუანშერია მიჩნეული. მართლაც, უკვე ჩვენი მატიანეს უძველეს ნუსხებში არის ასეთი მითითება: „ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამით-ჟამად, ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღნერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისმან, ნათესავმან რევისმან, მირიანის ძისამან"[1]. ეს არჩილი ქართლის ერისმთავარია, რომელიც VIII ს-ის პირველ ნახევარში ცხოვრობდა (იხ. ქვემოთ, თავი V) და ამდენად, მინანერის მიხედვით ჯუანშერს, რომელიც რეალური პიროვნება ჩანს და, მართლაც, იხსენიება „არჩილის ცხოვრებაში", VIII ს-ში უნდა დაეწერა ეს თხზულება. მაგრამ ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების" ტექსტი ზოგიერთ ისეთ რეალიებს შეიცავს, რომლებიც მის გვიანდელობაზე მიუთითებს თითქოს და დღეს ჩვენს ისტორიოგრაფიაში ყველაზე უფრო გავრცელებული შეხედულებით მისი ავტორი XI ს–ის პირველი ნახევრის გასულის და მეორე ნახევრის დამდეგის მოღვაწე უნდა იყოს[2]. ამ მოსაზრებას ადრეც ჰყავდა მოწინააღმდეგენი და დღესაც ყველა არ იზიარებს. ჩვენი აზრით, ერთი რამ ცხადია: ავტორი თხზულებისა „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" არ შეიძლება იყოს თვით ვახტანგ გორგასლის თანამედროვე[3]: ტექსტში გვხვდება ისეთი რეალიები, რომლებიც გამორიცხავენ V ს–ის მეორე ნახევარში მისი ცხოვრების შესაძლებლობას. აღვნიშნავთ ზოგიერთს: ვახტანგის ოსეთს ლაშქრობის შემდეგ, „სპარსთა მეფემან (იგულისხმება ჰორმიზდ III) მოსცა ასული მისი ცოლად... და მოსცა სომხითი და ყოველნი მეფენი კავკასიანნი ზითვად[4] გარდა იმისა, რომ ჰორმიზდ III-ს, რომელიც გამეფებამდე საკასტანის, ირანის უკიდურესი აღმოსავლეთი პროვინციის, მეფედ ითვლებოდა, სულ ორიოდ წელს იმეფა (457-459 წწ.), ეს წლებიც თავის ძმა პეროზთან სამკვდრო-სა-

სიცოცხლო ომში გაატარა და კიდეც შეენირა მას[5], საეჭვოა, ვახტანგთან ურთიერთობისათვის მოეცალა. თვით ცნობა მისთვის მთელი სომხეთის და კავკასიის მთიანეთის მზითვად გადაცემის შესახებ სრულიად ფანტასტიკურია, რასაც, ცხადია, ადგილი არ ჰქონია სინამდვილეში და ამდენად მისი ავტორი არ შეიძლება V ს-ის მეორე ნახევრის თანამედროვე ყოფილიყო. ასევე ვახტანგ გორგასლის თანამედროვე ვერ იქნებოდა პიროვნება, რომელიც დაწერდა მის შესახებ, რომ ბიზანტიელებთან ომის დროს „წარვიდა ვახტანგ პონტოს... და მიუნია ლაშქარმან ვიდრე ქალაქისა მის კოსტანტინესა"[6]. ასეთი ფაქტი ისტორიამ, რა თქმა უნდა, არ იცის! V ს-ის ბოლოს მცხოვრები მწერალი ვერ დაწერდა, რომ „მოკუდა ხუასრო, მეფე სპარსთა, და დაჯდა მის წილ ძე მისი ხუასრო"[7] აქ პეროზ შაჰის სიკვდილი და მისი შვილის, კავადის გამეფება იგულისხმება და, ცხადია, ვახტანგ გორგასლის თანამედროვეს მათი სახელდობრ ხსენებაც არ დაავიწყდებოდა!

მსგავსი მაგალითების გამრავლება თავისუფლად შეიძლება, მაგრამ ამის მიხედვითაც ცხადი უნდა იყოს, ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების" ავტორი არ შეიძლება მისი თანამედროვე ყოფილიყო. ჩვენ გვგონია, რომ სწორია მოსაზრება, რომლის მიხედვით ზემოხსენებული თხზულების ავტორს VIII ს–ის მეორე ნახევარში უნდა ეცხოვრა და ამდენად „ქართლის ცხოვრების" აღნიშნული მინაწერის ცნობა საკვლევით რეალურია[8].

მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ გვიანდელი („ქართლის ცხოვრების" შემდგენელისეული?) ინტერპოლაციების არსებობა ეჭვს გარეშეა[9], მაინც უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ თხზულება, რომელიც დღეს ცნობილია სახელწოდებით „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" გარკვეულ ფარგლებში ერთი ავტორის ერთი მთლიანი ნაწარმოებია. ამის საფუძველს გვაძლევს იქ წარმოდგენილი პოლიტიკური კონცეფცია, რომელიც პრინციპულად განსხვავდება, როგორც „ქართლის ცხოვრების" კრებულში მისი წინამორბედი, ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების", ასევე მომდევნო, ანონიმის „არჩილის ცხოვრების" (იხ. ქვემოთ თავი V) პოლიტიკური კონცეფციებისაგან. ამის შესახებ, ნაწილობრივ, გვქონდა უკვე გამოთქმული ჩვენი მოსაზრება[10].

საქმე ის არის, რომ ლეონტი მროველისადმი ტრადიციულად მიკუთვნებული „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა" ანუ მარტივად - „მეფეთა ცხოვრება" ერთი კონცეფციით არის დაწერილი და ამდენადვე ერთი ავტორის მთლიან თხზულებას წარმოადგენს: ქართლოსი, ჰეროსი და ეგროსი ძმები არიან. შესაბამისად - ქართლი, ჰერეთი და ეგრისი ტოლფასი ცალკეული „ქვეყნებია" (თუმცა პოლიტიკურად ეგრისი ქართლის მეფის განსაგებელია, რაც ფარნავაზის და ქუჯის ურთიერთობის შედეგია)[1]. „ქართლი" ყოველთვის პოლიტიკური მნიშვნელობით იხმარება („ივერია").

ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" აშკარად საპირისპირო კონცეფციის მქონეა: ჰერეთი და ეგრისი, კახეთი და კლარჯეთი და ა. შ. ყველა ერთად „ქართლის" შემადგენელი „ხევებია" „ქართლი" აქაც ყოველთვის პოლიტიკური მნიშვნელობით იხმარება („ივერია"). ეს, რა თქმა უნდა, გვაძლევს საფუძველს, როგორც ზემოთ აღვნიშნავთ, ეს თხზულებაც ერთი ავტორის შემოქმედებად ვცნოთ.

ანონიმის „არჩილის ცხოვრება", რომელიც ჩვენი აზრით, ქართლის ერისმთავრის, სტეფანოზის, შვილების (არჩილის და მიჰრის) ხსენებით იწყება (ქც, I, გვ. 232 $_{23}$) და გრძელდება „არჩილის წამებამდე" (ქც, I, გვ. 244$_{19}$), სრულიად სხვაგვარ პოლიტიკურ კონცეფციას ამჟღავნებს. კერძოდ, პირველივე სტრიქონებიდან, ქართლი, კახეთი, ეგრისი, ჯავახეთი და შემდეგ: სვანეთი, გურია, არგვეთი, ჰერეთი და აფხაზეთი ტოლფასი პოლიტიკური ერთეულებია, ანუ ქართლი აქ ისეთივე ეთნოგრაფიული ერთეულია, როგორც სხვა დანარჩენი და ყველა ესენი კვლავ პოლიტიკური „ქართლის" ე. ი. ფაქტობრივად, უკვე „საქართველოს" შემადგენელი მხარეებია. შემთხვევითი არ არის, რომ „ქართლის ცხოვრებაში" პირველად სწორედ ანონიმთან ვადასტურებთ ტერმინს „საქართველოს"[2].

ამგვარად, ჩვენი ეროვნული მატიანის შემადგენელი ერთ-ერთი ისტორიული თხზულება, რომელსაც ეწოდება „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" და „ქართლის ცხოვრების" კრებულში მოთავსებულია ლეონტი მროველისა და ანონიმის თხზულებათა შორის, აღნიშნულ ფარგლებში ერთი მწერლის ნაწარმოები უნდა იყოს. როდის უნდა ყოფილიყო იგი დაწერილი, ამის გარკვევის საშუალებას თხზულების ერთი ადგილი

იძლევა: მემატიანეს სიტყვით, როდესაც კეისარი ლეონი და ვახტანგ გორგასალი დაზავდნენ, „ყვეს ურთიერთას აღთქმა და ფიცი, და განაგეს საქმე წინდობისა... კეისარმან... დაუწერა ეგრის წყალსა და კლისურასა შუა ქუეყანა ზითვად, და სხუა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა"[13]. ე. ი. ბიზანტიის იმპერატორი მზად არის თავისი ქალიშვილი, დამოყვრების მიზნით, გაათხოვოს ვახტანგ გორგასალზე და მზითვად მისცეს აფხაზეთის ტერიტორიის (რომელიც მანამდე ბიზანტიის მიერ იყო ოკუპირებული) ერთი ნაწილი, კერძოდ მდ. ღალიძგასა და მდ. კელასურს შორისი „შუა ქუეყანა", ხოლო „სხუა აფხაზეთი" ანუ აფხაზეთის დანარჩენი ტერიტორია (მდ. კელასურს დასავლეთით) ვახტანგმა დაუთმო კეისარს. ამგვარად, ცხადია, რომ მემატიანესთვის „აფხაზეთი" არის მხარე, რომელიც მდებარეობს ეგრისწყლის ანუ მდ. ღალიძგის დასავლეთით. ჩვენ დანამდვილებით ვიცით იოანე საბანისძის თხზულებიდან „მარტვილობაჲ ჰაბო ტფილელისაჲ", რომ VIII ს-ის 70-იან წლებში, როდესაც „აფხაზეთის ერისთავთა" მიერ უკვე გაერთიანებულია მთელი დასავლეთი საქართველო, ამ უკანასკნელს „აფხაზეთი" ეწოდება[14] და, მართლაც, „მატიანე ქართლისაჲ", რომელიც საქართველოს ისტორიის თხრობას სწორედ VIII ს-ის მეორე ნახევრიდან იწყებს აღარც იცნობს ტერმინს „ეგრისი" და დასავლეთი საქართველოს აღსანიშნავად მხოლოდ „აფხაზეთს" ხმარობს.

ყველაფერი ზემოთქმულიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების" ავტორი თავის თხზულებას ვერ დაწერდა, მაინცდამაინც, VIII ს-ის 70-იან წლებში (და მით უმეტეს უფრო გვიან), რადგან ამ დროისათვის უკვე გამოთქმა „სხუა აფხაზეთი" მკითხველისათვის მხოლოდ კელასურსიქითი ტერიტორიის აღმნიშვნელი კი აღარ იქნებოდა, როგორც ეს კონტექსტით სრულიად აშკარაა, არამედ მთელი დასავლეთი საქართველოსი, რისი გულისხმობაც, იმავე კონტექსტით რა თქმა უნდა, აბსურდია. მეორე მხრივ, როგორც ქვემოთ ვნახავთ (იხ. თავი V), ჯერ კიდევ VIII ს-ის 20-იან წლებში (მაინცდამაინც, 717 წ.) „აფხაზეთის საერისთავოს" საზღვარი ეგრისთან მდ. კელასურზე გადის და ამდენად ეგრისწყალი (მდ. ღალიძგა) ასეთ მიჯნად კიდევ უფრო გვიან უნდა გამხდარიყო, და ამდენადვე სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ვახტანგ გორგასლის „ცხოვრე-

ბის" ავტორი თავის თხზულებას წერდა VIII ს-ის შუახანში. ასე რომ, „ქართლის ცხოვრების" ზემოხსენებული მინანერი, რომლის მიხედვით ამ თხზულების ავტორი VIII ს–ის ორმოციან წლებში გარდაცვლილი არჩილის (იხ. ქვემოთ) სიძე, ჯუანშერ ჯუანშერიანია, სავსებით რეალური ჩანს. არც ის უნდა იყოს სადავო, რომ ჯუანშერს, გარდა ხალხური გადმოცემებისა და ლეგენდარული თქმულებებისა, რომლითაც უცილობლად ხასიათდება მისი თხზულება, თვით ვახტანგ გორგასლის დროინდელი წყაროც ჰქონდა ხელთ, რომელიც, ეგების, მისი ცხოვრების ქრონიკას წარმოადგენდა[15].

ვახტანგ გორგასლის შესახებ ცნობები შემონახული აქვს აგრეთვე მის თანამედროვე, V ს–ის მეორე ნახევრის სომეხ ისტორიკოსს ლაზარ ფარპეცის. ეს ცნობები სავსებით რეალურ–ისტორიულია და სანდო, მაგრამ საკმაოდ მწირია და თანაც მხოლოდ 80–იანი წლებითაა შემოფარგლული[16]...

როგორც იყო აღნიშნული, ვახტანგ გორგასლის მეფობა V ს–ის მეორე ნახევარზე მოდის.

ჯუანშერის მიხედვით იგი მხოლოდ შვიდი წლის იყო, როდესაც გარდაიცვალა მამამისი მირდატი. სავარაუდოა, რომ სწორედ ამიტომ ვერ ვხედავთ ჩვენ 450 წელს ქტეზიფონში ქართლის მეფეს სპარსეთის შაჰის იეზდიგერდის მიერ დაბარებულ წარჩინებულთა შორის[17] ქვეყანას, როგორც ჩანს, რეგენტის უფლებით განაგებდა დედამისი საგდუხტი, რანისა და მოვაკანის სპარსელი ერისთავის ანუ აღმოსავლეთი ამიერკავკასიის მარზპანის, ბარზაბოდის ქალიშვილი. მის დროს გაძლიერდა ირანის გავლენა ქართლზე, რადგან, როგორც გადმოგვცემს მემატიანე, „საგდუხტ დედოფალი განაგებდა მეფობასა ძალითა და შეწევნითა მამისა თჳსისათა"[18]. კერძოდ, ირანმა თავის ნაცად ხერხს მიმართა და „მაშინ ბარზაბოდ წარმოგზავნა ცეცხლის–მსახურნი მცხეთას და მათ ზედა ეპისკოპოსი ბინქარან და დასხდეს მოგუთას", მცხეთის ერთ–ერთ უბანში[19]. არ არის გამორიცხული აქ სწორედ შაჰ იეზდიგერდის 450 წლის ფართომასშტაბიანი ღონისძიების ანარეკლთან გვქონდეს საქმე, ღონისძიებისა, რომელიც ამიერკავკასიური სახელმწიფოების კულტურულ ასიმილაციას ისახავდა მიზნად, და რომლის შესახებაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ (იხ. ზემოთ, თავი I, § 2). თუ ჩვენს მემატიანეს დავუჯერებთ, ამას გარკვეული შედეგი გამოუღია და ქართლის საზოგადოებაში

ისედაც არსებული სოციალური დაპირისპირების გარდა კულ-ტურული დაპირისპირებაც გამოუწვევია: მართალია, ბინქა-რან ცეცხლთაყვანისმცემელთა ეპისკოპოსის მოძღვრებას „არავინ ერჩდა წარჩინებულთაგანი, გარნა ნურილი ერი მიიქ-ცა ცეცხლისმსახურებასა“[20]. ჯუანშერის ამ ცნობაში კლასობ-რივი ბრძოლის ანარეკლს ხედავენ: ინტენსიურად მიმდინარე ფეოდალიზაციის პროცესში „თავისუფალ“ მეთემეებს თუ ნვრილ მიწისმფლობელებს ყმა–გლეხად გადაქცევის პერს-პექტივა ელოდება და „მიქცევა ცეცხლისმსახურებასა“ ანუ მათი „კულტურული გასპარსელება“ სწორედ ამის საწინააღმ-დეგო აქცია უნდა ყოფილიყო[21].

სპარსელთა კულტურულ ექსპანსიასთან ერთად, ქართ-ლმა გადამთიელთა დამარბეველი შემოსევაც განიცადა: „მა-შინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გარდამოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე, და მოაოჴრნეს ველნი, არამედ ციხე–ქა-ლაქნი დაურჩეს, თჳნიერ კასპისა. ხოლო კასპი ქალაქი შემუს-რეს და ტყუე ყვეს... ჩავლეს რანისა და მოვაკანისა (ქუეყანა), ნარტყუენეს იგიცა და განვლეს კარი დარუბანდისა, რამეთუ თჳთ გზა სცეს დარუბანდელთა, და შევიდეს ოვსეთს გამარ-ჯუებულნი“[22]. კონტექსტიდან ცხადია, რომ „ოვსნი“ დარია-ლანის გზით შემოჴრილან ქართლში. სავარაუდოა, ეს ფაქტი იგულისხმებოდეს V ს–ის ბიზანტიელი დიპლომატის და ისტო-რიკოსის პრისკე პანიონელის თხზულების ერთ ფრაგმენტში, სადაც ჰუნების ამიერკავკასიაში შემოჴრაზეა საუბარი[23], რო-დესაც მათ, აზოვის ზღვის მხრიდან წამოსულებმა, „მთები გა-დალახეს და მიდიაში შევიდნენ, რბევა–რბევით რომ ისინი ქვეყანაში დათარეშობდნენ, სპარსელთა ბრბო მოვიდა და მთელი ჰაერი აავსო ისრებით ისე, რომ თავს წამომდგარი ხი-ფათის შიშით იმათ უკან დაიხიეს და მთებზე გადმოვიდნენ... რადგან ეშინოდათ, რომ მტერი დაედევნებოდა, ისინი სხვა გზით გაბრუნდნენ და წყალქვეშა კლდიდან ამოსული ალის შემდეგ გაიარეს იქიდან... და შინ მივიდნენ“ არ არის გამო-რიცხული, რომ აქ „მიდია“ იხსენიება, სინამდვილეში არა მი-დია–ატროპატენა (სამხრეთი აზერბაიჯანი), არამედ აღმო-სავლეთი ამიერკავკასია იგულისხმებოდეს, რომელიც ამ დროს სპარსეთის ხელდებული იყო (ბიზანტიურ წყაროებში ირანის მიდიად სახელდება არაიშვიათი მოვლენაა). „სხვა

გზა", რომლითაც ჰუნები უკან დაბრუნებულან უეჭველად კასპიისპირეთზე („წყალქვეშა კლდიდან ამოსული ალი" ბაქოს ნავთობით მდიდარ სანაპიროს გულისხმობს) მიმავალი დარუბანდის გზაა. ამდენად ამიერკავკასიაში ისინი, ჩანს, დარიალის ხეობით გადმოსულან. ჰუნთა ეს შემოსევა 448 წლის ახლო ხანით თარიღდება[24]. მას შესაძლებელია ალან–ოსთა დიდი ტალღაც შემოჰყოლოდა და ამიტომ ქართველთა მეხსიერებაში იგი „ოვსთა" შემოსევად შემორჩა.

ამ მოვლენებს ბიზანტიის გააქტიურებაც მოჰყვა ეგრისის მიმართ: "მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრის–წყალს ქუემოთი კერძი ყოველი, და დაიპყრეს ეგრის–წყლითგან ვიდრე ციხე–გოჯადმდე"[25]. რადგან ჩვენ ვიცით, რომ IV ს–ის მეორე ნახევრიდან საზღვარი ეგრისის სამეფოსა და აფხაზეთს შორის მდ. კოდორზე გადიოდა (იხ. ზემოთ, თავი !, § 3), ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ V ს–ის შუახანისთვის ბიზანტიელებს კოდორსა და ღალიძგას (ეგრის–წყალს) შორის ტერიტორიის ანექსიაც მოუხერხებიათ.

ქართული წყაროს ცნობას ბიზანტიელთა ეგრისში შემოსევის შესახებ ამოწმებს პრისკე პანიონელიც, რომელიც მოგვითხრობს (ფრგ. 25) ბიზანტიელთა შეჭრაზე ეგრისში და ლაზებთან ომზე. ბიზანტიელ ისტორიკოსს ერთი დეტალი აქვს დაცული, რომელიც შესაძლებელია საინტერესო იყოს ჩვენთვის. იგი აღნიშნავს, რომ ლაზებთან ომის შემდეგ ბიზანტიელთა ჯარი უკან გამობრუნებულა და „კარისკაცები შეუდგნენ ახალი ომისათვის მზადებას. ისინი იმის ბჭობაში იყვნენ, თუ რა გზით ელაშქრათ: იმავე გზით, თუ სპარსეთის მეზობელი ქვეყნის არმენიის გზით დაეწყოთ ომი და წინდაწინ პართელების მეფე მიემხროთ. ზღვით, მათი აზრით, შეუძლებელი იყო ცურვა ძნელსავალი ადგილების გასწვრივ, რადგან კოლხიდა უნავსადგურო იყო"[26]. ვფიქრობთ, აქედან შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ პირველი ლაშქრობის დროს, ბიზანტიას სწორედ ზღვის გზა აურჩევია, აფხაზეთში გადაუსხია ლაშქარი და იქიდან შეუტევია ეგრისისათვის, ხოლო მეორე ლაშქრობის დაგეგმვის დროს ზღვის გზა უარუყვიათ და სახმელეთო აურჩევიათ. ეს კარგად შეეწყობოდა ქართული წყაროს ცნობას ბერძენთა აფხაზეთიდან გამოსვლის შესახებ. ასეა თუ ისე, ბი-

ზანტიელი ისტორიკოსის ცნობა მხარს უჭერს „ქართლის ცხოვრებას“

ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ დაწყებული 373 წლიდან ქართლის სამეფო ორ ნაწილად, სპარსეთის და ბიზანტიის გავლენის სფეროებად იყო გაყოფილი და ეს უკანასკნელი ქართლის სამხრეთ–დასავლეთ პროვინციებს მოიცავდა, რომელზედაც ვახტანგ გორგასლის ხელისუფლება ჯერჯერობით არ ვრცელდებოდა.

ერთი სიტყვით, ვახტანგის მეფობის დასაწყისში ქართლი სავალალო მდგომარეობაში იყო და ახალგაზრდა მეფის წინაშე სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო პრობლემები იყო წამოჭრილი და გადასაწყვეტი. მართლაც, ჯუანშერის თხზულებიდან სრულიად აშკარად ჩანს, ვახტანგ გორგასლის პოლიტიკური კურსის ძირითადი მიზანი: ქვეყნის კონსოლიდაცია და დამოუკიდებლობის აღდგენა.

ვახტანგ გორგასალმა თავისი მიზნის განხორციელება მას შემდეგ დაიწყო, რაც იგი დაბრუნდა სპარსეთიდან, სადაც სრულიად ახალგაზრდა მეფე ქართული ლაშქრითურთ წაყვანილი იყო შაჰანშაჰ პეროზის (459–484 წწ.) მიერ, რომელმაც თავისი მეფობის დასაწყისიდანვე განაახლა ომი ჰუნებთან. ამ უკანასკნელთ მათი მეფის კიდარას მიხედვით ბიზანტიური წყაროები კიდარიტებს უწოდებენ. ჰუნები– კიდარიტები თოხარისტანში, ირანის აღმოსავლეთით (დღ. ავღანისტანის ჩრდილოეთი და უზბეკისტანისა და ტაჯიკისტანის სამხრეთი მხარეები) მოსახლეობდნენ ირანსა და ინდოეთს შორის[27]. როგორც ჩანს, სწორედ ირანის შაჰთან ერთად ქართველთა მეფის ეს ლაშქრობაა აღწერილი შუა საუკუნეების სადევგმირო რომანების სტილში ჯუანშერის მიერ, რომლის მიხედვით ვახტანგმა ამ საომარ კამპანიას რვა წელიწადი მოანდომა[28]. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანეში მეფის ბიოგრაფიის ეს მნიშვნელოვანი პერიოდი მოკლედაა აღნიშნული: „მაშინ წარიყვანეს ვახტანგ სპარსთა. და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა“ კიდევ უფრო ნიშანდობლივია არსენ ბერის (XII ს.) „ნინოს ცხოვრების“ და მისი პერიფრაზის ცნობა: „მეფე იქმნა ვახტანგ გორგასალი. და ვიდრე–ღა ყრმა იყო, იძულებით სპარსეთად წარვიდა... და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა“[29]

კიდევ უფრო ნიშანდობლივია არსენ ბერის (XII ს.) „ნინოს ცხოვრების" და მისი პერიფრაზის ცნობა: „მეფე იქმნა ვახტანგ გორგასალი. და ვიდრე-ღა ყრმა იყო, იძულებით სპარსეთად წარვიდა... და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა"[30].

ფიქრობენ, რომ ვახტანგ გორგასალი ქართლში 466 წელს უნდა დაბრუნებულიყო და ეს დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ამ წელს ჰუნ–სარაგურთა და სხვა ჩრდილო–კავკასიელ მომთაბარე ტომთა ამიერკავკასიაში შემოსევასთან[31].

მართლაც, იგივ პრისკე პანიონელი (ფრგ. 37) გადმოგვცემს: „სარაგურებმა, აკატირებთან და სხვა ტომებთან შეერთებით, ილაშქრეს სპრასელების წინააღმდეგ. ისინი ჯერ მიადგნენ კასპიის კარებს (=დარუბანდს), ხოლო როდესაც დაინახეს, რომ აქ სპარსელი დარაჯნი იყვნენ ჩაყენებული, მიმართეს სხვა გზას, რომლითაც იბერიაში მივიდნენ, მოაოხრეს ის და სომეხთა სოფლებიც მოარბიეს. ასე რომ, სპარსელებს, რომლებიც უკვე კიდარიტებთან ომში იყვნენ გართული, შეეშინდათ ამ შემოსევისა და ელჩები გაუგზავნეს რომაელებს და თხოვდნენ მათ ან ფული მოეცათ მათთვის ან კაცები იუროიპაახის სიმაგრის დასაცავად"[32]. ჰუნთა ამ შემოსევას 466 წლით ათარიღებენ[33]. რაც შეეხება „იუროიპაახის სიმაგრეს", როგორც კონტექსტიდან ჩანს, ეს დარიალანის ციხესიმაგრეს გულისხმობს[34] და წარმოადგენს სომხურ ტერმინს, რომელიც შემონახულია აგათანგელოსთან („ივ[ი]ROმ პაჰაკ)[35] და ნიშნავს „ივერიის ციხესიმაგრეს"[36].

პრისკე პანიონელის ამ ფრაგმენტის კონტექსტით შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ჰუნ–სარაგურთა მიერ ირანის ხელდებული ამიერკავკასიის ქვეყნების დალაშქვრა შემთხვევითი ეპიზოდი კი არ იყო, არამედ დაკავშირებული იყო სპარსელთა ჰუნ–კიდარიტებთან მიმდინარე ომთან და ჰუნთა ამ სხვადასხვა ტომების კოორდინირებულ ოპერაციას წარმოადგენდა, ერთდროული შეტევა განეხორციელებინათ ირანზე აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან (ამის ანალოგიას ქვემოთ კიდევ ვნახავთ VI ს–ის ბოლოსთვის). ამიტომ, ბუნებრივია, ირანის შაჰის შეშფოთება, რადგან მთავარი სამხედრო ძალების აღმოსავლეთში კონცენტრაციის დროს, ჩანს, დარიალანი, ფაქტობრივად, დაუცველი დარჩენიათ, ხოლო ორ ფრონტზე ბრძოლა ფრიად სახიფათო იყო და პრაქტიკულად

შეუძლებელიც. ამიტომ ეუბნებიან სპარსელი ელჩები ბიზანტიელებს, რომ ჩვეულებრივ, სპარსელებს „ბრძოლები გადაეაქვთ, რათა ნება არ მისცენ მოწოლილ ბარბაროსულ ტომებს გაიარონ (ამ გასასვლელში) და რომ ამიტომაა, რომ რომაელთა მინა-წყალი აუოხრებელი რჩება" (სპარსელთა ამგვარ პრეტენზიებს ადრეც ჰქონია ადგილი და არაერთხელ შევხვდებით ქვემოთაც). პრისკე პანიონელი განაგრძობს: „რომაელებმა კი უპასუხეს, რომ ყველა ვალდებულია, თავისი ქვეყნისათვის რომ იბრძვის, იზრუნოს თავისი ციხეების შენახვაზე. ისინი (ე. ი. ელჩები) კვლავ უშედეგოდ დაბრუნდნენ"[37].

ამგვარად, ბიზანტიელებს უარი უთქვამთ სპარსელებისათვის და სწორედ ამას უნდა განეპირობებინა შაჰანშაჰ პეროზის მიერ ქართველთა მეფის სასწრაფოდ გამოგზავნა ქართლში. მით უმეტეს რომ ჰუნ–კიდარიტებთან რვა წლის განმავლობაში მიმდინარე ომში ვახტანგ გორგასალმა სამხედრო ნიჭთან და უდიდეს სიმამაცესთან ერთად შაჰანშაჰის დიდი ნდობაც დაიმსახურა[38].

ცხადია, სამშობლოში დაბრუნებული მეფის პირველი საზრუნავი გადამთიელთა დამორჩილება და „ივერიის კარის" (დარიალანის) ხელში მტკიცედ დაჭერა უნდა ყოფილიყო. რამდენადაც ეს სტრატეგიული ამოცანა – ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმოსასვლელი ზეკარების ხელში ჩაგდება და კონტროლი, თვით ირანის ერთ–ერთი უმთავრესი საზრუნავი იყო, ამიტომ ვახტანგი თავის სასარგებლოდ იყენებს ამ გარემოებას და „ყოველთა სპათა ქართლისათა" შემოკრების შემდეგ, თავისი ბიძის, რანის ერისთავ ვარაზ–ბაკურის თორმეტათასიან მხედრობასაც მოკავშირედ იხდის. მუხრანის ველზე და ხერკში (დღ. საგურამოს მიდამოები) დაბანაკებული ლაშქრის „განახვის" (დათვალიერების) შემდეგ, „წარვიდა ვახტანგ და დადგა თიანეთს. და მუნ მიერთნეს ყოველნი მეფენი კავკასიანნი"[39]. ამ უკანასკნელთა შორის, პირველ რიგში, იგულისხმებიან ჩრდილო–აღმოსავლეთი კავკასიის მთიანეთის, კერძოდ, ქისტურ–ბაცბური მოსახლეობის და ნაწილობრივ, შესაძლებელია, დაღესტნურ ტომთა ბელადებიც.

ამის შემდეგ ვახტანგ გორგასალი „წარემართა სახელსა ზედა ღმრთისასა, განვლო კარი დარიალანისა ... მაშინ მეფეთა ოვსეთისათა შეკრიბნეს სპანი მათნი და მოირთეს ძალი ხაზარეთით. და მოეგებნეს მდინარესა ზედა, რომელი განვლის

დარიალანსა და ჩავლის ველსა ოვსეთისასა... და დაიბანაკეს ორთავე სპათა ამიერ და იმიერ"[40] მდინარე თერგისა.

საბოლოოდ დიდი ბრძოლა მოხდა დარიალის ხეობაში, რომელიც ვახტანგის გამარჯვებით დამთავრდა. ჯუანშერი გადმოგვცემს: „მაშინ იძლივნეს ოვსნი და ივლტოდა ბანაკი მათი. მოისრნეს და ტყუე იქმნნეს, ხოლო უმრავლესი მეოტი ოვსთა მათგანი ცოცხალი შეიპყრეს... მერმე განიბნივნეს ტყუევნად ოვსეთისა, შემუსრნეს ქალაქნი მათნი, და აღიღეს ტყუე და ნატყუენავი ურიცხვი... და მეფენი ოვსთანი შელტოლვილ იყვნეს სიმაგრეთა კავკასიათა. აღდგეს მათ შორის მოციქულნი, და დაიზავნეს"[41].

ქართლის მეფემ თავისი სტრატეგიული ჩანაფიქრის უახლოესი მიზანი განახორციელა: „დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაყნი, და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიალისად უწოდთ. და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მაღალნი, და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი. არა ჴელენიფების გამოსვლად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თჳნიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა"[42]. ყივჩაყთა ხსენება, მართალია, გვიანდელი „რედაქტორის" ინტერპოლაცია და ანაქრონიზმია, მაგრამ მათი სახით ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა მომთაბარე ტომები და, პირველ რიგში, ჰუნთა ურდოები.

რომ ჯუანშერის და არსენ ბერის ზემოხსენებული ჩვენებანი რეალურია, ამას, სომხური წყაროც გვიდასტურებს. კერძოდ, ლაზარ ფარპეცის თხზულებიდან უეჭველი ხდება, რომ ვახტანგ გორგასალს ჩრდილო კავკასიელ ჰუნებზე სუვერენული უფლება თუ არა, საკმაო გავლენა მაინც აქვს, რამდენადაც მას შეუძლია მათ უბრძანოს, ხოლო ისინი, თავის მხრივ, მისი ბრძანების მორჩილნი არიან[43]. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ლაზარ ფარპეცი, გარკვეული მიზეზების გამო, არასიმპათიურადაა განწყობილი ქართლის მეფის მიმართ, მაშინ უნდა ვირწმუნოთ, რომ მის მიერ დახასიათებული ურთიერთობა ვახტანგსა და ჰუნთა შორის სრული ჭეშმარიტებაა. მეორე მხრივ, ეს მოწმობს აგრეთვე, რომ ვახტანგი ფლობს კავკასიონის ზეკარებს, საიდანაც მისი ბრძანებით უნდა გადმოსულიყო ჰუნთა „უზომო სიმრავლე". ამისავე მეტყველი მოწმობაა დარიალის ხეობაში, მდ. თერგის მარცხენა სანაპიროზე, კლდის თავზე ამართული ძველი ქართული ციხე–

სიმაგრის დღესაც არსებული დიდებული ნანგრევები, რომ-ლის კულტურული ფენებიც, სულ ცოტა, ორი ათას ხუთასი წლის ისტორიას მოიცავს...

ვახტანგ გორგასალს როგორც ირკვევა დიდი და ფართო პოლიტიკური გეგმები ჰქონდა დასახული, რომლის რეალიზა-ციასაც, ჩრდილოეთიდან ქართლის უსაფრთხოების უზრუნ-ველყოფის შემდეგ, იგი უმალვე შეუდგა. კერძოდ, ჩრდილო-კავკასიელ გადამთიელთა დამორჩილებისა და მათთან დაზა-ვების შემდეგ, „მეფემან განუტევნა ნიჯადნი (მოკავშირენი) სპარსთანი და მეფენი კავკასიანთანი ნიჭითა დიდითა (დიდად დასაჩუქრებულნი), წარმოგზავნნა დაჲ მისი მირანდუხტ და ტყუე იგი ყოველი გზასა დარიალისასა, და თჳთ სპითა დიდი-თა ქართლისათა წარმოვიდა გზასა აფხაზეთისასა"[44]. ე. ი. ჩრდილო კავკასიიდან ვახტანგს დასავლეთ საქართველოში გაულაშქრია, როგორც ჩანს, დღევანდელი ქლუხორის ზეკარ-ზე გარდამავალი გზით („გზასა აფხაზეთისასა"). ვიდრე ამ ლაშქრობის შემდგომ პერიპეტიებზე ვისაუბრებთ, უნდა გან-ვიხილოთ თუ რა ვითარებაა ამ დროისთვის დასავლეთ საქარ-თველოში.

V ს–ის 50–იანი წლების მეორე ნახევრიდან თუ არა, 60–იანი წლების დასაწყისში, როგორც ვიცით, ბიზანტიასა და ეგ-რისს შორის საომარი ვითარებაა. პრისკე პინიონელის ცნო-ბით (ფრგ. 26), მას შემდეგ, რაც სპარსელთა დახმარების იმე-დი გადაეწურა, ეგრისის მეფე „გუბაზმა ელჩები გაგზავნა რო-მაელებთან. რომაელებმა უპასუხეს გუბაზის მოციქულებს, რომ შეწყვეტდნენ ომს, თუ ან თვითონ გუბაზი გადადგებოდა ტახტიდან, ან შვილს გადააყენებდა მეფობიდან: ძველი კანო-ნის თანახმად არ არის კანონიერი, რომ ორივენი მეფობდეთო; ასე რომ, ერთ-ერთი უნდა იყოს კოლხიდის ტახტზე, ან გუბაზი ან მისი შვილი, და მაშინ შევწყვეტთ ომსო... ასეთი არ-ჩევანი რომ მისცეს გუბაზს, იმან არჩია გადამდგარიყო სამე-ფო ტახტიდან შვილის სასარგებლოდ და თავისი სამეფო ნიშ-ნები გაიძრო და მან რომაელთა მპყრობელს მოციქულები გა-უგზავნა თხოვნით, უკვე ერთი კოლხი მეფობს და ნულარ ჯავრობ, იარაღი დაჰყარეო. (რომაელთა) მეფემ წინადადება მისცა მას გადმოსულიყო რომაელთა ქვეყანაში და მოეხსენე-ბინა თავისი განზრახვების შესახებ. გუბაზმა არ თქვა უარი გამგზავრებაზე"[45]... მართლაც, 465 წელს (ფრგ. 34) „ხანძრის

შემდეგ, რომელიც გაჩნდა ლეონტის დროს, კონსტანტინეპოლში ჩამოვიდნენ გუბაზი და დიონისე. (გუბაზს) სპარსული ტანსაცმელი ეცვა და, მიდიური წესისდა მიხედვით, მეშუბენი ახლდნენ. კარის კაცებმა მიღებისთანავე ჯერ გაჰკიცხეს იგი რომაელთა წინააღმდეგ ამბოხებისათვის, ხოლო შემდეგ კეთილგანწყობილად მოეპყრნენ და ისე გაისტუმრეს უკან. გუბაზმა მოხიბლა ისინი თავისი სიტყვა-პასუხით და საქრისტიანო ნიშნების ტარებით"[46].

ზემოთ იყო აღნიშნული (იხ. თავი I,§ 3), რომ ეგრისის მეფე, ფორმალურად მაინც, ბიზანტიის კეისრის ხელდებულად ითვლებოდა და ყოველი ახალი მეფის ტახტზე ასვლის დროს იმპერატორი უგზავნიდა მას სათანადო სამეფო ნიშნებს (გვირგვინს, ქლამიდას და სხვ.). გუბაზს, როგორც ჩანს, ამ ფორმალური დამოკიდებულებისგანაც განთავისუფლება გადაუწყვეტია, შვილი თვით დაუსვამს თანამოსაყდრედ და ამ აქციით ბიზანტიისაგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვება უცდია[47] ბუნებრივია, თუ ბიზანტიელებმა ეს მცდელობა გუბაზს ამბოხებად ჩაუთვალეს და მას ომიც გამოუცხადეს[48]. საბოლოო ჯამში, მათ ძველი ვითარება აღუდგენიათ. ეს მომხდარა 465 წელს თუ მის შემდგომ ახლო ხანში[49].

მაგრამ მხოლოდ ეს არ უნდა ყოფილიყო ბიზანტია–ეგრისის კონფლიქტის მიზეზი. პრისკე პანიონელის ერთი ცნობიდან (ფრგ. 26) კარგად ჩანს, რომ გუბაზსა და მის თანამოსაყდრე შვილთან დაკავშირებულ ინციდენტამდე, „წინათ თვით გუბაზთან მომხდარ უთანხმოებათა გამო კოლხიდაში" გამოგზავნილი ყოფილა ბიზანტიელი დიდმოხელე დიონისე, რომლის, როგორც მისი ხელშეუხებლობის გარანტის, ხელმეორედ გამოგზავნას გუბაზი 465 წელსაც მოითხოვს და ეს მოთხოვნა ბიზანტიამ აასრულა კიდეც[50]. ამგვარად, უეჭველია, ბიზანტია–ეგრისის კონფლიქტი თანამოსაყდრეობაზე გაცილებით ადრე დაწყებულა.

ამ ძველი კონფლიქტის მიზეზებზე უნდა მიუთითებდეს „დანიელ მესვეტის ცხოვრების" ქართული ვერსია, რომელიც X ს–ის ხელნაწერია და რომელშიც ვკითხულობთ: „მათ დღეთა შინა მოვიდა ღობაზიანოს, მეფე აფხაზთაჲ ხილვად ნეტარისა ლეონ მეფისა ბერძენთაჲსა... ხოლო აქუნდა ორთავე ამათ მეფეთა საურავი რაჲმე ქუეყანათაჲ დაწყნარებისათჳს და ზღვართა გაყოფისაჲ: სადამდის არს საბერძნეთისაჲ ანუ მეგ-

რელთაჲ, აფხაზეთის სამეფოჲსაჲ... და დადვეს საზღვრად ციხჱ ხუფათი"[51] ეჭვი არ არის, რომ აგიოგრაფის ეს ჩვენება მეფე გუბაზის კონსტანტინოპოლში ჩასვლის იმ ფაქტს გულისხმობს, რომელიც პრისკე პანიონელთანაა დამოწმებული და ამდენად 465 წლის ახლო ხანას ეხება. მართალია, ტექსტში ანაქრონიზმებია („ღობაზიანოს მეფე აფხაზთაჲ", „მეგრელთა აფხაზეთის სამეფოჲ"), მაგრამ ეს X ს–ის მთარგმნელის „განმარტებების" შედეგია, რომელიც მას მისი თანამედროვე მკითხველისთვის გაუკეთებია. თვით ცნობაში ასახული რეალია კი სავსებით სანდოა და სწორედ 465 წელს მიეკუთვნება.

აგიოგრაფის ფრიად საინტერესო ცნობიდან ვიგებთ, რომ კონფლიქტი ბიზანტიასა და ეგრისს შორის, რომელიც თანამოსაყდრეობის შემოღებაზე, როგორც ჩანს, ბევრად უფრო ადრე დაწყებულა და ომშიც კი გადაზრდილა („საურავი რაჲმე ქუეყანათაჲ დაწყნარებისათვის", ვფიქრობთ, საომარ მდგომარეობას გულისხმობს), სახელმწიფოთა შორის ისეთ ფუნდამენტურ პრობლემას ეხებოდა, როგორიცაა ტერიტორიული პრეტენზიები[52]. მართლაც, ჩვენ უკვე ვიცით, რომ ბიზანტიას, სწორედ ამ კონფლიქტის დაწყების წინ, ეგრისისთვის მდ. ღალიძგასა (ეგრის–წყალი) და მდ. კოდორს შორისი ტერიტორია მიუტაცია (იხ. ზემოთ). რაც შეეხება ეგრისის სამხრეთ დასავლეთს, აქ საზღვრის დადება 465 წელს ხუფათის ციხე–სიმაგრესთან, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმას შეიძლება მოასწავებდეს, რომ ამ პუნქტის სამხრეთით მდებარე ტერიტორია, უწინ ეგრისის კუთვნილი, ახლა ბიზანტიას დაუკავებია[53] (სრულიად არარეალური იქნებოდა პირუკუ გვეფიქრა, რომ ასეთი ვითარება ეგრისის სამეფოს ტერიტორიის გაფართოების შედეგია!). მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ IV ს–ის მეორე და V ს–ის პირველ ნახევარში ეგრისის სამეფოს ფარგლებში მთელი ჭანეთი ზღვისპირიანად (ათინა, რიზე, ტრაპეზუნტი) შემოდიოდა (იხ. თავი I, § 3), როგორც ერთ–ერთი მისი პროვინცია[54]

465 წლისთვის ბიზანტიას ეს ტერიტორია ეგრისისთვის ომის შედეგად წაურთმევია და ორმხრივი შეთანხმებით საზღვარი ხუფათის (დღ. ხოფა თურქეთში) ციხესიმაგრესთან დაუდიათ.

ყველაფერი ეს აშკარად მიუთითებს V ს–ის 60–იანი წლებისთვის ეგრისის სამეფოს დასუსტებაზე. რა შინაგანი

პროცესები აპირობებდა ასეთ ვითარებას, ჩვენ არაფერი ვიცით, მაგრამ საგარეო პირობები და, კერძოდ, ბიზანტიის იმპერიის აგრესია, ამის ერთ-ერთი მიზეზი რომ უნდა ყოფილიყო, ზემოთქმულიდან ეს თითქოს საეჭვო აღარ არის. მაგრამ რით იყო გამოწვეული თვით ეს აგრესია ბიზანტიისა, რომელიც IV ს-ის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ რაც სპარსეთის შაჰანშაჰმა შაბურ II-მ აღმოსავლეთი სომხეთი, ალვანეთი და აღმოსავლეთი იბერია თავის პროტექტორატს დაუმორჩილა, თვით უნდა ყოფილიყო დაინტერესებული ეგრისის სამეფოს გაძლიერებით, რათა თავისი იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარზე მისი სახით ჰყოლოდა ძლიერი მოკავშირე, რომელიც ბუფერის როლს შეასრულებდა აგრესიული ირანისა და ჩრდილო-კავკასიური მომთაბარე ტომების საწინააღმდეგოდ?[55] ზემოხსენებული პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, რომელიც ამ დროისთვის მახლობელ აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ამის უშუალო მიზეზი შესაძლებელია, ვასალი ყოფილიყო, რომელმაც, როგორც უკვე ვიცით, სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოინდომა. მაგრამ თვით ვასალს რისიღა იმედი უნდა ჰქონოდა? საფიქრებელია, არა იმდენად თვით იმპერიაში გართულებული საგარეო და შინაგანი ვითარებისა, რამდენადაც გარეშე ძალის, კერძოდ ირანის დახმარებისა[56]. ეს უნდა ყოფილიყო ჩვეული ლავირების პოლიტიკა, რომელიც ასე დამახასიათებელია შუა საუკუნეების ქართული (და ამიერკავკასიური) სახელმწიფოებისათვის[57]

მართლაც, ბიზანტიასთან საომარ ურთიერთობაში მყოფი გუბაზი, ვიდრე იძულებული გახდებოდა დამორჩილებოდა კვლავ იმპერიას, ელჩებს აგზავნის სპარსეთის შაჰთან, ცხადია, სამხედრო დახმარების მისაღებად, მაგრამ იმ დროს „პართელების მეფეს ომი ჰქონდა კიდარიტებად წოდებულ ჰუნებთან და ამიტომ უარი უთხრა მასთან მოსულ ლაზებს"[58]. მაგრამ ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო ნიშანდობლივად პრისკე პანიონელთან შემონახული ერთი ფაქტი გვეჩვენება.

ბიზანტიელი ისტორიკოსი აღნიშნავს (ფრგ. 34): 465 წ. კონსტანტინოპოლში „ჩამოვიდნენ გუბაზი და დიონისე. (გუბაზს) სპარსული ტანსაცმელი ეცვა და მიდიური წესისდა მიხედვით, მეშუბენი ახლდნენ"[59]. რა ნიშნავს ეს? განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს შემთხვევითი ამბავი იყოს და გუბაზის

„სპარსული ტანსაცმლით“ და „მიდიური წესისდა მიხედვით“ საიმპერატორო აუდიენციაზე გამოცხადება მხოლოდ მის პირად გემოვნებაზე ან გავრცელებული მოდის აყოლაზე მიგვანიშნებდეს? ჩვენ ხომ ვიცით, რომ VI ს–ში ეგრისის მეფეთა სამეფო ტანისამოსი სრულიად გარკვეულად პოლიტიკური სიმბოლიკის მქონე (იმპერატორის პორტრეტები ქსოვილზე და სხვ.) და ე. ი. პოლიტიკური ორიენტაციის მანიშნებელიც იყო! და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეს უკვე ტრადიცია იყო „ძველითგანვე დაწესებული“[60]! ასეთ ვითარებაში, ვფიქრობთ, გვაქვს საფუძველი გუბაზის ზემოაღწერილი სპარსული ეტიკეტის დემონსტრაცია ბიზანტიის იმპერატორის კარზე მივაწეროთ არა მხოლოდ მის პიროვნულ, არამედ პოლიტიკურ (ყოფილ) სიმპათიებსაც. ერთი სიტყვით, ჩვენი აზრით, ბიზანტიის გაღიზიანება და აგრესია ეგრისის მიმართ, ნაწილობრივ, სავარაუდოა, ეგრისის მეფის „სპარსოფილური პოლიტიკითაც“ ყოფილიყო გამოწვეული. ეს უკანასკნელი ტენდენცია კი არ უნდა იყოს გასაკვირი: VI ს–ის 30–იან წლებში, როგორც ვნახავთ, ბიზანტიელთა საწინააღმდეგოდ სპარსელებს მოუხმობს გუბაზ I–ის ჩამომავალი ეგრისის მეფე გუბაზ II.

ასეა თუ ისე, მას შემდეგ, რაც 465 წ. ეგრისის ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი დათმობების შედეგად მოახერხა დაზავება ბიზანტიასთან, დასავლეთ საქართველოში მშვიდობა მაინც არ დამყარებულა. ამის შემდგომ განვითარებული მოვლენების შესახებ კვლავ პრისკე პანიონელი მოგვითხრობს (ფრგ. 41): „დიდი უთანხმოება ჰქონდათ სვანთა ტომთან რომაელებსა და ლაზებს, და სვანებმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს სემატის (? ლაზთა სარდლის) წინააღმდეგ. სპარსელებს უნდოდათ მის წინააღმდეგ ეომათ იმ სიმაგრეების გულისთვის, რომლებიც სვანებს წაერთვა; (ამიტომ) მან (ლაზთა მეფემ) ელჩები გამოგზავნა (ბიზანტიონში) და სთხოვდა მეფეს გაეგზავნა მისთვის დამხმარე ჯარები იმ ჯარისკაცთაგან, რომლებიც რომაელთა ქვეშევრდომ არმენიელთა საზღვრებს იცავდნენ, რათა მზად ჰქონოდა დახმარება, რადგან ის ჯარის ნაწილები მეზობლად იყვნენ, და არ შინებოდა შორიდან მოლოდინში, ან არ დასჭირვებოდა დიდი ხარჯების გაღება, თუ ომი, ვინიცობაა გაჭიანურდებოდა... ასე რომ პართელებმა კვლავ მის წინააღმდეგ განაახლეს ომი და მან რომაელებს მოუხმო დასახ-

მარებლად. ისინი დაჰპირდნენ... (ამ დროს კონსტანტინოპოლში) მოვიდნენ სპარსელთა ელჩები და განაცხადეს, რომ კიდარიტის ჰუნები მათ მიერ დამარცხებულ იქმნენ"[61]... რამდენადაც ითვლება, რომ კიდარიტებთან წარმატებით წარმართული ომი პეროზ შაჰანშაჰმა 468 წელს დაამთავრა[62], ამდენად, საფიქრებელია, ზემოხსენებული მოვლენები დასავლეთ საქართველოში სწორედ ამ წელს, ანდა, მაინცდამაინც 467 /8 წლებში მომხდარიყო.

მაშასადამე, 467/8 წლებში „დიდი უთანხმოებაა", ფაქტობრივად კი, ომია ლაზებსა და სვანებს შორის. ამ უკანასკნელთ სპარსელთათვის მიუმართავთ, რომლებმაც „კვლავ მის (ლაზთა მეფის) წინააღმდეგ განაახლეს ომი". ლაზთა მეფემაც „რომაელებს მოუხმო დასახმარებლად. ისინიც დაჰპირდნენ" აქედან ჩანს, რომ სპარსელები ამაზე ადრეც დახმარებიან სვანებს. მართლაც, სავარაუდოა, რომ სვანთა განდგომა ლაზთაგან მაშინ მომხდარიყო, როდესაც გამწვავებული იყო ურთიერთობა თვით ეგრისსა და ბიზანტიას შორის[63]. ანუ 465 წლის წინ. ამდენად, სვანებს, ჩანს, 467/8 წლებზე ადრეც მიუმართავთ სპარსელებისათვის. ამაზე, ვფიქრობთ, პირდაპირ მიუთითებს პრისკე პანიონელი: ლაზთა მეფემ მოითხოვა სომხეთში მდგარი ბიზანტიელთა ჯარი მოსულიყო იმ მიზეზით, რომ არ დასჭირვებოდა დიდი ხნის ლოდინი და ზედმეტი ხარჯების გაღება, „როგორც ეს წინათ მოხდა: როდესაც დახმარება იქნა გაგზავნილი (ე. ი. აღმოჩენილი) ჰერაკლეს (ბიზანტიელი სარდლის, დ. მ.) მეთაურობით. (მაშინ) სპარსელებმა და იბერებმა, რომლებიც (ლაზთა მეფეს) ეომებოდნენ, სხვა ტომების წინააღმდეგ გაილაშქრეს და ამიტომ (ლაზთა მეფემ) მოკავშირე ჯარები უკან გაგზავნა, მათი შესანახი ხარჯების გამო"[64] ეს უნდა მომხდარიყო 465 წელს ბიზანტია–ეგრისის დაზავების შემდეგ, რამდენადაც მათ შორის კონფლიქტის დროს გამორიცხულია ლაზთა მეფეს დახმარებისათვის მიემართა იმპერატორისათვის[65]. აქედან სავარაუდოა, რომ ეს ეპიზოდი, როდესაც „სპარსელები და იბერები ლაზთა მეფეს ეომებოდნენ", 466 წ. მომხდარიყო. მართლაც, ჰერაკლე 466 წ. მხედართმთავრობდა აღმოსავლეთის საზღვრებზე[66].

ამგვარად, პრისკე პანიონელის ფრაგმენტი 41 შემდეგ ინფორმაციას შეიცავს: 465 წლის წინა ხანებიდან სვანები გადაუდგნენ ლაზებს. მათ შორის „სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა",

რომლის დროსაც ლაზებს სვანებისთვის რომელიღაც ციხეები წაურთმევიათ. 466 წ. სვანებს, ცხადია, მათივე თხოვნით ეხმარებიან „სპარსელები და იბერები, რომლებიც ლაზთა მეფეს ეომებიან" ლაზები, თავის მხრივ, ბიზანტიელებს მიმართავენ, რომელთაც გამოგზავნეს ლაშქარი ჰერაკლეს მეთაურობით. ამჯერად ბრძოლა ბიზანტიელებსა და სპარსელ-იბერთა შორის არ მომხდარა, რადგან ამ უკანასკნელებმა „სხვა ტომების წინააღმდეგ გაილაშქრეს და ამიტომ ლაზთა მეფემ მოკავშირე ჯარი უკან გაგზავნა". მაგრამ სვანები კვლავ გამდგარნი არიან და ბრძოლას განაგრძობენ. 467/8 წლებში მათ კვლავ მოუხმეს „სპარსელებს, რომელთაც უნდოდათ ლაზთა წინააღმდეგ ეომათ იმ სიმაგრეების გულისთვის, რომლებიც სვანებს წაერთვა". მართლაც, „პართელებმა კვლავ ლაზთა წინააღმდეგ განაახლეს ომი". ლაზთა მეფემაც „ელჩები გამოგზავნა ბიზანტიონში და სთხოვა მეფეს გაეგზავნა მისთვის დამხმარე ჯარები" სომხეთიდან. ბიზანტიელებიც „დაჰპირდნენ დამხმარე ჯარისა და მისი წინამძღოლი კაცის გაგზავნას". ეს მოხდა უკვე 468 წელს[67]. აქ წყდება პრისკე პანიონელის ფრაგმენტი...

ბიზანტიელი ისტორიკოსის ეს ცნობა იმითაა შესანიშნავი, რომ სვანეთის გამო წარმოქმნილ კონფლიქტში აქტიურ მონაწილეებად იბერიელებს ასახელებს. ამგვარად, აღმოსავლელ-ქართველთა მონაწილეობა სამხედრო ძალით 466 წელს დასავლეთ საქართველოში არსებულ იმ „დიდ უთანხმოებაში, რომელიც ჰქონდათ სვანთა ტომთან რომაელებსა და ლაზებს", თანამედროვე მოწმის ჩვენების საფუძველზე, სრულიად უდავო ფაქტია. ეს კი გვაიძულებს ნდობით მოვეკიდოთ ჯუანშერის იმ ცნობებს, რომელნიც ვახტანგ გორგასლის დასავლეთ საქართველოში საქმიანობაზე მოგვითხრობს[68].

ვახტანგ გორგასალს, რომელიც სწორედ ამ დროს ჩრდილო კავკასიაში იმყოფებოდა, არ შეიძლება არ ესარგებლა დასავლეთ საქართველოში განვითარებული პოლიტიკური კრიზისით თავისი ფართო გეგმების განხორციელების თვალსაზრისით. არც ის ვარაუდია გამოსარიცხი, რომ სვანები მას შემდეგ აუჯანყდნენ ლაზებს, რაც ვახტანგი ქართლში დაბრუნდა და რომ თვით ეს აჯანყება მისივე ინსპირირებული ყოფილიყო[69] ამდენადვე, საფიქრებელია, დასავლეთ საქართველოში

სვანების მხარდასაჭერად, ძირითადად იბრძოდნენ იბერიელები ვახტანგ გორგასლის მეთაურობით[70].

ამგვარად, როგორც ვხედავთ, სრულიად რეალური უნდა იყოს ჯუანშერის გადმოცემა, რომ „ოვსეთის" დამორჩილების შემდეგ, ვახტანგ გორგასალი „თჳთ სპითა დიდითა ქართლისათა წარმოვიდა გზასა აფხაზეთისასა" დასავლეთ საქართველოში.

როგორ განვითარდა ამის შემდეგ მოვლენები, ამის შესახებ ბიზანტიელი ისტორიკოსის თხზულების შემორჩენილი ფრაგმენტები არაფერს გვეუბნება. ჯუანშერი კი მოგვითხრობს, რომ ვახტანგმა „სულგრძელად და უშიშად იწყო ბრძოლად ციხეთა აფხაზეთისათა. რამეთუ მეფე ბერძენთა ლეონ დიდი უცალო იყო ბრძოლისაგან სპარსთასა, და ვერ შემძლებელ იყო სპათა გამოგზავნად აფხაზეთს; და სამ წელ წარტყუენნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხე–გოჯამდე. და მოვიდა სახლსა მისსა, ქალაქსა სამეუფოსა მცხეთას"[71].

ამ ცნობაში აშკარად არ არის სწორი მითითება იმაზე, რომ ლეონ დიდმა ვერ გამოგზავნა ლაშქარი იმის გამო, რომ „უცალო იყო ბრძოლისაგან სპარსთასა", რადგან მისი ზეობის დროს, როგორც ცნობილია, ომი ირანთან არ ყოფილა (იხ. ქვემოთ), მაგრამ თავისთავად ეს ფაქტი შესაძლებელია რეალური იყოს: ლეონს ამ დროს 467/9 წლებში, მართლაც, არ ჰქონდა საშუალება დიდი ლაშქრის გამოგზავნისა აღმოსავლეთის პერიფერიაზე, რადგან მთელი მისი სამხედრო ძალები მობილიზებული იყო გრანდიოზული ღონისძიებისთვის აფრიკაში ვანდალების სამეფოს განადგურების მიზნით, რაც საშინელი კატასტროფით დამთავრდა 468 წელს. ამავე ხანებში მას გართულებული ჰქონდა მდგომარეობა ჩრდილო საზღვრებზეც, დუნაისპირეთში, საიდანაც ჰუნთა აგრესია იყო მოსალოდნელი. მართლაც, 469 წელს ატილას მემკვიდრე დენგიზიხი შემოესია იმპერიას. გართულებული იყო ურთიერთობა გოთებთანაც[72].

„ქართლის ცხოვრების" მიხედვით ვახტანგ გორგასალმა თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო შემოიერთა. ჯუანშერი ვახტანგ გორგასლის ერისთავთა შორის ასახელებს „სამნაღირს, ერისთავს შიდა ეგრისა და სუანეთისა და ბაკურს ერისთავს მარგჳსა და თაკუერისა"[73]. არ გვაქვს საფუძველი არ ვერწმუნოთ ამ მოწმობას[74]. რამდენადაც ვიცით, რომ ვახ-

ტანგ გორგასალი დასავლეთ საქართველოში 466 წელს უნდა გადასულიყო (პრისკე პანიონელი) და იქ სამი წლის განმავლობაში ომობდა (ჯუანშერი), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დასავლეთ საქართველო მას 469 წელს შემოუერთებია[75]. „ქართლის ცხოვრების“ ეს ჩვენება რომ რეალურ ვითარებას უნდა ასახავდეს და ქრონოლოგიურადაც სწორი უნდა იყოს, ამაზე კვლავ ბიზანტიელი ისტორიკოსების ცნობები გვარწმუნებენ.

პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს, რომ VI ს–ის ოციან წლებში ირანის შაჰის, კავადის და ბიზანტიის იმპერატორის, იუსტინეს ელჩები დავობენ ლაზიკის შესახებ. სპარსელები ამბობდნენ, „რომ კოლხიდა, რომელსაც ეხლა ლაზიკე ენოდება, ძველითგანვე რომ სპარსელთა ქვეშევრდომი იყო რომაელებს ძალით უჭირავთ, უსამართლოდ. რომაელები აღშფოთებით ისმენდნენ სპარსელთა ამ სიტყვებს“[76]. ცხადია, რომაელთა აღშფოთება გასაგებია: სწორედ ისინი თვლიდნენ ეგრისს ძველთაგანვე თავის ვასალად და, როგორც ვიცით, სრული საფუძვლითაც. მაგრამ ხომ თავისთავად ცხადია ისიც, რომ სპარსელებსაც საამისოდ რაღაც საფუძველი უნდა ჰქონოდათ: სრულიად გამორიცხულია დიპლომატიური მოლაპარაკების დროს ასეთი კატეგორიული განცხადების გაკეთება, თუკი მისი გარკვეული დასაბუთება შეუძლებელია. მართლაც, მეორე ბიზანტიელი ისტორიკოსი, იოანე მალალა აღნიშნავს, რომ იუსტინეს მეფობის დროს (518–527 წწ.), კერძოდ, 523 წელს, „ლაზთა მეფე წათი გაჯავრდა და ჩამოშორდა სპარსეთს. სპარსელთა მეფე იყო კოადი, რომელიც ოდესღაც წათის, ლაზთა მეფის მეგობრად ითვლებოდა და ამ კოადის სამეფოს ქვეშევრდომი იყო. ამიტომაც იყო, რომ როდესაც ლაზთა მეფე გარდაიცვლებოდა, სპარსელთა მეფე ნიშნავდა და აგვირგვინებდა (ახალ მეფეს), მაგრამ უთუოდ ლაზთა ტომიდან. ეს მეფე (წათი) გადავიდა წარმართთა სარწმუნოებაზე, რადგან ეშინოდა ვაი თუ სპარსელთა მეფემ კავადმა მეფედ არ დამნიშნოსო, მსხვერპლებსაც სწირავდა და ყოველგვარ სპარსულ წესს ასრულებდა, ხოლო როდესაც გარდაიცვალა მისი მამა დამნაზე, მაშინვე მივიდა იუსტინე მეფესთან ბიზანტიონში, გამოაცხადა თავი მის მორჩილად და სთხოვა, ლაზთა მეფედ მაკურთხეო“[77] იუსტინემაც თხოვნა სიამოვნებით აუსრულა და გაქრისტიანებული წათი ლაზთა მეფედ გამოისტუმრა თავის ქვეყანაში.

იოანე მალალას ეს ცნობა მთლად გამართული ვერ არის: თუ თავიდან წათი ლაზთა მეფეა, რომელიც კავად შაჰანშაჰის „ქვეშევრდომი იყო", შემდეგი თხრობით ისე ჩანს, რომ მამამისის გარდაცვალებისთანავე იგი მიდის კეისართან და ქრისტიანული წესით მეფედ ეკურთხება. მაშასადამე, საფიქრებელია, რომ მანამდე წათი თითქოს უფლისწულია და მეფედ მას პირველად იუსტინე კეისარი აკურთხებს. ამიტომ, ვფიქრობთ, პირველწყაროს ტექსტი უკეთ უნდა იყოს შემონახული თეოფანე ჟამთააღმწერელთან, რომელიც მოგვითხრობს, რომ 523 წელს „ლაზთა მეფე წათი გადაუდგა სპარსელთა სამეფოს, როდესაც იქ მეფობდა კავადი, რომელსაც წათი იმდენად უყვარდა, რომ ის ლაზთა მეფედ დააყენა. წათი მივიდა ბიზანტიონში იუსტინესთან და სთხოვა მეფეს, რათა მას გაექრისტიანებინა ის და მასვე ეკურთხებინა ის ლაზთა მეფედ"[78].

ამგვარად, წათი ლაზთა მეფედ ჯერ კიდევ კავადს უკურთხებია და მას ერთხანს (მამამისის გარდაცვალების შემდეგ) უმეფია, როგორც სპარსეთის ვასალს, რის შემდეგაც წასულა ბიზანტიონში.

ცნობა წათი ლაზთა მეფის კონსტანტინოპოლში ჩასვლის შესახებ დაცულია აგრეთვე ე. წ. „პასქალურ ქრონიკაში" (VIIს.), რომელიც იოანე მალალას ტექსტს მისდევს იმ განსხვავებით, რომ წათის მამას აქ ზამნაქსე ეწოდება[79].

ეჭვი არ არის, ეს ცნობები რეალური ვითარების ამსახველია. მით უმეტეს, რომ ისინი ბიზანტიელ ისტორიკოსებთან არის დაცული, რომლებიც არ შეიძლება ტენდენციურები არ ყოფილიყვნენ (მაგრამ, რა თქმა უნდა, არა სპარსელთა სასარგებლოდ!) VI ს–ში ირან–ბიზანტიას შორის ატეხილი ომის და დავის საკითხში სწორედ ეგრისის გამო. ნიშანდობლივია ამ მხრივ თვით იუსტინეს პასუხიც კავადისადმი, როდესაც იგი თავის უფლებას ლაზთა მეფის ქრისტიანული წესით კურთხევის შესახებ ასაბუთებს არა იმით, რომ ეს უკანასკნელი მისი ძველისძველი ქვეშევრდომია, არამედ იმით, რომ წათი თავისი ნებით მისულა მასთან[80].

ზემოთქმულის შემდეგ, უდავო უნდა იყოს, რომ კავადის დროს (488–523 წწ.) ეგრისი ირანის ქვეშევრდომია[81].

ასეთი ვითარება რომ კიდევ უფრო ძველი უნდა ყოფილიყო, ამას მოწმობს ელჩთა (იხ. ზემოთ) VI ს–ის ოციანი წლების განცხადება, რომ ლაზიკე „ძველთაგანვე" სპარსელები-

საა. ამას მოწმობს აგრეთვე იოანე მალალას ზემომოყვანილი სიტყვები: „როდესაც ლაზთა მეფე გარდაიცვლებოდა, სპარსთა მეფე ნიშნავდა და აგვირგვინებდა (ახალ მეფეს)". „პასქალური ქრონიკა" კიდევ უფრო ნიშანდობლივად გადმოგვცემს: „სპარსელებში მიღებული იყო, რომ როდესაც ლაზთა მეფე გარდაიცვლებოდა, სპარსელთა მაშინდელი მეფე მათ სხვა მეფეს დაუყენებდა"[82]. ცხადია, ეს ნიშნავს, რომ ასეთი პრეცედენტი წათემდეც ყოფილა და ე. ი. მაინცდამაინც, მამამისის ზამნაქსეს დროს.

ამ თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, ფრიად საინტერესოა, რომ მენანდრე პროტიქტორის ცნობით, ჯერ კიდევ VI ს–ის 60–იან წლებში დაცული იყო ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილი იყო სია ეგრისის მეფეებისა, რომლებიც სვანებს უნიშნავდნენ ხოლმე მმართველებს. ეს ნუსხა ეგრისის მეფეებისა და სვანთა მმართველებისა იწყებოდა იმ დროიდან, როდესაც რომის იმპერატორი იყო თეოდოსი I (379–395 წწ.), ხოლო ირანის შაჰი ბაჰრამ IV (388–399 წწ.) და მთავრდებოდა იმ დროით, როდესაც ბიზანტიაში მეფობდა ლეონ პირველი (457–474 წწ.), ხოლო ირანში – პეროზი (459–484 წწ.)[83] ე. ი. უკანასკნელი მეფეები ეგრისისა, რომელნიც ამ ოფიციალურ დოკუმენტში მოიხსენიებოდნენ, მეფობდნენ 459–474 წლებს შორის. ამდენად, ცხადი უნდა იყოს, რომ ეს მეფეები სწორედ გუბაზი და მისი შვილი უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც პრისკე პანიონელის თხზულების ფრაგმენტებიდან ვიცნობთ. ასეთი დამთხვევა არ შეიძლება შემთხვევითი იყოს.

მენანდრე პროტიქტორი გადმოგვცემს, რომ ზემოხსენებული დოკუმენტის „წაკითხვის შემდეგ პეტრემ (ბიზანტიის წარმომადგენელმა 562 წლის საზავო მოლაპარაკებაზე ირანთან, დ. მ.) თქვა: „აქამდე ვიცნობთ ჩვენ წერილობით ლაზთა მეფეებს და მათ, ვინც ლაზთა მიერ სვანთა მთავრებად იქნენ დადგენილი"[84]. საკითხავია: რატომ აღარ იცნობს V ს–ის სამოციანი წლებიდან ლაზთა მეფეებს (და სვანთა მთავრებს) ბიზანტიის ოფიციალური, ალბათ, სამეფო არქივიდან ამოღებული დოკუმენტი? ძნელია ეს გარემოება არ დაუკავშირო იმ საომარ კოლიზიებს, რომელთა შესახებაც მოგვითხრობდა პრისკე პანიონელი, რაც ჩვენი აზრით, იმით დამთავრდა, რომ ეგრისი სვანეთიანად „სპარსელებმა" დაიმორჩილეს. ბუნებ-

რივია, ამიერიდან სათანადო ოფიციალური დოკუმენტაცია ბიზანტიიდან სპარსეთის სახელმწიფო არქივში „გადაინაცვლებდა". და, მართლაც, არსებობს სათანადო მოწმობაც.

VI ს–ის 30–იანი წლების დასასრულს ბიზანტიელთა ბატონობისაგან თავმობეზრებული ლაზები ელჩებს აგზავნიან ფარულად შაჰანშაჰ ხოსრო ანუშირვანთან და სთხოვენ სამხედრო დახმარებას ბიზანტიელთა ეგრისიდან განსადევნად. სხვათაშორის ელჩები ეუბნებიან ხოსროს: „კოლხები ხომ ძველითგანვე სპარსელების მოკავშირეები იყვნენ და ბევრი სიკეთე უყვეს მათ და თვითონაც განიცადეს მათგან: ამის წერილობითი საბუთები მრავალი გვაქვს ჩვენ და შენს სამეფო საგანძურებში ახლაც არის დაცული, ხოლო შემდეგ ხანებში ჩვენს წინაპრებს მოუხდათ რომაელებთან კავშირის შეკვრა"[85]. ვფიქრობთ, პროკოპი კესარიელთან დაცული ეს ცნობა ლაზების „ძველითგანვე სპარსელების მოკავშირეობის" შესახებ იმ ჩვენი ვარაუდის დასტურია, რომ არა მხოლოდ კავადის დროს, არამედ უფრო ადრეც ეგრისი სპარსეთის ვასალური სამეფო უნდა ყოფილიყო და ამდენად, მოსაზრება, დამყარებული პრისკე პანიონელის, მენანდრე პროტიქტორის და ჯუანშერის ჩვენებათა შეთანაპირებაზე, რომ V ს–ის 60–იან წლებში ეგრისი ქართლს შეუერთდა, რეალურია. ვახტანგ გორგასლის მიერ ეგრისის შემოერთების შესახებ გადმოცემა, დაცული ჯუანშერთან, ისტორიულ სინამდვილეს რომ უნდა ასახავდეს, ამის შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში უკვე იყო გამოთქმული მოსაზრებები[86].

ამრიგად, ჩვენი შეხედულება ამ საკითხზე ასეთია: V ს–ის 60–იანი წლების ბოლოსთვის ირანი იმორჩილებს ეგრისის სამეფოს. ეს ხდება ქართლის მეფის ვახტანგ გორგასლის უშუალო მონაწილეობით თუ ინიციატივით. დამორჩილებული ეგრისის სამეფო შეუერთდა ქართლს და ამ უკანასკნელის საგამგეო ერთეულებად, საერისთავოებად დანაწილდა: მარგჳსა და თაკუერის და შიდა ეგრისა და სუანეთის საერისთავოებად. პირველი, რამდენადაც ტრადიციულად (ფარნავაზის დროიდან) იმთავითვე ქართლის ნაწილად და IV ს–ის ბოლოსთვის ეგრისის მიერ ქართლისაგან წაღებულად ითვლებოდა, ჩვეულებრივ ქართლის საერისთავოებში ჩაირიცხა, ხოლო შიდა ეგრისა და სუანეთის გამგებელი (ალბათ ეგრისელთა სამეფო დინასტიიდანვე), თუმცა კი ქართლის ერისთავად ითვლებო-

და, მაგრამ მის დანიშვნაზე სანქციას თვით ირანის შაჰი იძლეოდა. ჯუანშერი ასახელებს კიდეც ერთ-ერთ ასეთ ერისთავს სამნაღირს (იხ. ზემოთ). ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული, ეს „სამნაღირ" სახელი იყოს შემონახული შერყვნილი ფორმით „პასქალურ ქრონიკაში" ნათის მამის „ზამნაქსეს", ხოლო იოანე მალალასთან „დამნაზეს " (<„ზამნაზე") სახელში.

ვახტანგ გორგასლის მიერ შემოერთებული დასავლეთი საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. კელასურზე გადიოდა. ეს ცნობაც ჯუანშერთანაა შემონახული[87] ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. როგორც ქრონოლოგიურად, ასევე რეალურ-ისტორიულადაც იგი სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს[88].

ჯუანშერისათვის, რომელიც ჩვენი აზრით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, VIII ს-ის შუახნის მოღვაწე უნდა ყოფილიყო, მდ. კელასურის ჩრდილო-დასავლეთი - ეს არის აფხაზეთის ტერიტორია, რომელიც მორიგების შედეგად, ვახტანგმა დაუთმო კეისარს, რადგან „ესე საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან"[89] ანუ ეს ტერიტორია ეგრისისა (ეგროსის წილი) ძველთაგანვე (ალექსანდრე მაკედონელის დროიდან) ბერძნებს ეჭირათ და ამდენად „საბერძნეთი" იყო. თავი რომ დავანებოთ იმის ძიებას თუ რა მდგომარეობა იყო „ალექსანდრობითგან", ერთი რამ ცხადია, რომ IV-V ს-ის პირველ ნახევარშიც, მაინცდამაინც „აბაზგიის" ტერიტორიაზე ბიზანტიის იმპერიის უშუალო გავლენა დიდი იყო და სწორედ, ასე ვთქვათ, იმპერიული თვალსაზრისით, ეს ტერიტორია მისი პროვინციის (პოლემონის პონტოს) ნაწილად ითვლებოდა (იხ. ზემოთ, თავი I, § 3).

ასე იყო V ს-ის შუა წლებშიც. ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოდორიტე კვირელი (393-458 წწ.) პირდაპირ მიუთითებს, რომ პიტიუნტი „ეს არის უკიდურესი საზღვარი პონტოსი და რომაელთა სამფლობელოსი, უველურესი ბარბაროსების მეზობლად"[90]. ასე იყო V ს-ის მეორე ნახევარშიც: როდესაც 476 წლის ბოლოს იმპერატორმა ზენონმა, ბასილისკოსის ოცთვიანი მმართველობის შემდეგ, ხელმეორედ დაიბრუნა სამეფო ტახტი, მან გადააყენა მონოფიზიტი ანტიოქიელი ეპისკოპოსი პეტრე მკაწრვალი და მიუსაჯა გადასახლება იმპერიის კიდეზე, პიტიუნტში[91] ზემომოყვანილიდან ცხადი უნდა იყოს, რომ V ს-ის მეორე ნახევარშიც „აბაზგია" (პიტიუნტი) ბიზანტიის

იმპერიის ტერიტორიად ითვლებოდა და ამდენადვე ჯუანშერის ცნობა, რომ აფხაზეთი „ესე საზღვარი არს საბერძნეთისა“ ვახტანგ გორგასლის დროს, სრულიად რეალურია[92].

ვახტანგ გორგასალი დაუყოვნებლივ შეუდგა დასახული გეგმის მეორე ეტაპის განხორციელებას. ჯუანშერის გადმოცემით, იგი სპარსთა დახმარებით ებრძვის ბიზანტიელებს სამხრეთ–დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც, როგორც ვიცით, IV ს–ის 70–იანი წლების დასაწყისიდან გამოეთიშა დანარჩენ ქართლს და ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშ შევიდა. მემატიანეს საქმე ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს ირანის შაჰს გაელაშქროს ბიზანტიის წინააღმდეგ და ვახტანგისთვის, როგორც მისი ვასალისთვის, მოეთხოვოს დახმარების აღმოჩენა. სინამდვილეში სხვაგვარი ვითარება უნდა ყოფილიყო, რადგან V ს–ის მეორე ნახევარში (502 წლამდე) ბიზანტიასა და ირანს შორის არავითარი საომარი მოქმედება არ ყოფილა[93] და, ამდენად, ჯუანშერის ცნობა არ უნდა იყოს სწორი. არც ის არის გამორიცხული, სპარსელ მოხალისეთა რაზმები, მართლაც, იბრძოდნენ ვახტანგ გორგასლის ლაშქარში აქაც ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოში. ყოველ შემთხვევაში ქართველთა ბრძოლა ბერძნებთან სრულიად რეალური ამბავი შეიძლება იყოს. ჯუანშერს, როგორც ჩანს, სურს ერთგვარი რეაბილიტაცია მოახდინოს ქართველთა მეფის, როგორც ქრისტიანისა, რომელიც ებრძვის ერთმორწმუნე ბიზანტიას, მაშინ როდესაც, მისი წარმოდგენით, ქრისტიანი მეფის უპირველესი მოვალეობა იყო ბრძოლა მაზდეანურ ირანთან. ეს ტენდენცია მემატიანისა უკვე შენიშნულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში[94].

მემატიანის ცნობით, ბრძოლის შედეგად, „უკუმოსცა კეისარმან საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღუთგან ვიდრე არსიანთამდე, და ჴევნი რომლენი მოსდგმანან ღადოთა“[95]. ამგვარად, ვახტანგს დაუბრუნებია არა მხოლოდ კლარჯეთი, არამედ აჭარა, სამცხე და არტაანჯავახეთის მიტაცებული ნაწილიც[96] და, ამდენად, V ს–ის 70–იან წლებში, ასი წლის წინ ბერძენთა ექსპანსიის შედეგად ნაღებული ტერიტორია „დასავლეთი ქართლისა“ კვლავ შემოუერთებია ქართლის სამეფოსათვის[97]

ვახტანგ გორგასლის ასე ფართო ასპარეზზე გამოტანილი პოლიტიკა ქართლის აღმოსავლეთ პერიფერიასაც შეეხო.

თუ აქამდე ქართლის აღმოსავლეთით მომიჯნავე ჰერეთი, საკარაუდოა, ვასალურ დამოკიდებულებაში იყო ქართლის სამეფოსთან, მის დროს ეს მხარე უშუალოდ იქნა შემოერთებული და ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად, ჰერეთის საერისთავოდ ჩამოყალიბდა[98].

V ს–ის ბოლოსთვის შემოერთებულ იქნა აგრეთვე კამბეჩოვანის ტერიტორია. თუ IV ს–ში კახეთ–კუხეთი წარმოადგენდა ქართველი უფლისწულის საგამგეოს, ახლა ვახტანგმა თავის შვილს „დაჩის მისცა ქალაქი ჭერემისა და ნეკრესისა, და ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი; და ყოველი ქუეყანა მტკუარს აღმოსავლეთით“[99]. ე. ი. საუფლისწულოდ ამ დროს ალაზნის გაღმა მხარი საინგილოითურთ, კამბეჩოვანი და შიგნიკახეთის ნაწილი ითვლებოდა[100]. კიდევ მეტი, ვახტანგ გორგასალს ქართლისთვის დაღესტნის მთიანეთის ნაწილიც, მდ. სამურის სათავეებში, წუქეთი, შემოუერთებია: „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, იყვნენ „წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი“[101].

ამგვარად, ვახტანგ გორგასლის დროს ქართლის სამეფო, ფაქტობრივად, თითქმის მთელ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს აერთიანებდა და გადაჭიმული იყო სამურის სათავეებიდან ვიდრე „ზღუამდე სპერისა“ და ხუნანიდან ვიდრე კლისურამდე (მდ. კელასური). მთელი ქვეყანა დაყოფილი იყო 9 საერისთავოდ და ერთ სასპასპეტოდ. ჯუანშერს ჩამოთვლილი ჰყავს კიდეც ვახტანგ გორგასლის ეს დიდმოხელენი: „პირველად ჯუანშერ სპასპეტი, მპყრობელი შიდა ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა და დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა; და გრიგოლი, ერისთავი ჰერეთისა; და ნერსარან, ერისთავი ხუნანისა; და ადარნასე, ერისთავი სამშვილდისა; და სამნაღირ, ერისთავი შიდა ეგრისა და სუანეთისა; და ბაკურ ერისთავი მარგკსა და თაკუერისა... არტავაზ, ერისთავი კლარჯეთისა; და ნასარ, ერისთავი წუნდისა; და ბივრიტიან, ერისთავი ოძრჴისა“[102]. ეს სია თავისი კონკრეტული ხასიათით თითქოს იმაზე მიუთითებს, რომ იგი რეალური უნდა იყოს. ეს საერისთავოები უფრო წვრილ ერთეულთა, „ჴევების“ ერთობლიობას წარმოადგენდა და, ძირითადად, სამხედრო–ადმინისტრაციული ერთეულები იყო, დამყარებული ლაშქრის ორგანიზაციის პრინციპზე[103].

ვახტანგ გორგასლის საშინაო პოლიტიკური კურსი მიმართული იყო ქვეყნის გაერთიანებისა და კონსოლიდაციისაკენ. ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობას. დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, ეგრისის ბარსა და სვანეთს შორის ურთიერთკავშირის შესახებ ეკონომიკის თვალსაზრისით ზემოთ უკვე ვისაუბრეთ (იხ. თავი I, § 3). აღმოსავლეთ საქართველოში ანალოგიური ვითარებაა იმ განსხვავებით, რომ ტენდენცია მთისა და ბარის შერწყმისა აქ კიდევ უფრო ძლიერად უნდა გამოხატულიყო, რამდენადაც ქართლ–კახეთის ბარის სოფლის მეურნეობა უფრო ძლიერი და მრავალფეროვანი იყო, ხოლო მთის სპეციფიკური ეკონომიკური განვითარების გამო გარკვეული დროიდან ეს უკანასკნელი უფრო მჭიდროდ დამოკიდებული ხდება ბარზე.

საქმე ის არის, რომ აღმოსავლეთი საქართველოს მოსახლეობის მეურნეობაში უძველესი დროიდანვე განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მესაქონლეობას, და კერძოდ, მეცხვარეობას[104]. IV ს–თვის პირდაპირი მითითება გვაქვს საამისოდ ქართულ წყაროში[105], ხოლო IX–X საუკუნეებისათვის არაბული წყაროები ამის შესახებ მხოლოაზროვნად მოგვითხრობენ[106].

მესაქონლეობის, კერძოდ, მეცხვარეობის განვითარებისთვის აუცილებელია, როგორც იალაღების ისე ყიშლაღების ფლობა. ეს ეკონომიკური ფაქტორი მნიშვნელოვნად აპირობებდა აღმოსავლეთი საქართველოს ბარისა და მთიანეთის ურთიერთობას და, საბოლოო ჯამში, ამ ორი კუთხის ერთ ეკონომიკურ და ეთნოკულტურულ ორგანიზმად ჩამოყალიბებას. როგორც ჩანს, ქართლის მეფეებს ეს იმთავითვე კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული და ამდენად მათი მთიანეთის მიმართ მიზანდასახული პოლიტიკური კურსი[107] გაპირობებული იყო არა მხოლოდ სტრატეგიული და პოლიტიკური ფაქტორებით, არამედ ეკონომიკური აუცილებლობითაც[108]. ეს კარგად ესმოდათ უფრო გვიანაც: ვახუშტი ბატონიშვილი ნათლად აყალიბებს მთისა და ბარის ურთიერთდამოკიდებულებას, როდესაც ფშავ–ხევსურების შესახებ აღნიშნავს, რომ მინის „სიმწირისათვის მონებენ ვისცა უპყრავთ თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდან“[109] ამგვარად, თიანეთის მფლობელობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ეკონომიკური,

არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც ქართლის სამეფოს აღმოსავლეთი მთიანეთისთვის. ამ კონტექსტში ნიშანდობლივია ისიც, რომ ალანთა და ჰუნთა წინააღმდეგ ლაშქრობის წინ „წარვიდა ვახტანგ და დადგა თიანეთს, და მუნ მოერთნეს ყოველნი მეფენი კავკასიანნი" (იხ. ზემოთ). ჯუანშერის ეს მოწმობა, ერთი მხრივ, იმის მაჩვენებელია, რომ თიანეთი უძველესი დროიდანვე იყო ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი გზასაყარი აღმოსავლეთი კავკასიის მთიანეთისა და ქართლის სამეფოს ბარისათვის, მეორე მხრივ, კი იმის დასტური უნდა იყოს, რომ V ს–ის მეორე ნახევრისათვის დიდი ხნის პროცესი მთის დამორჩილებისა განხორციელებულია: მთის წინააღმდეგობა რომელიც ხშირად ბარის დარბევითაც გამოიხატებოდა და ჯერ კიდევ მეფე მირიანის დროს საკმაოდ ძლიერი იყო (იხ. ზემოთ, თავი I, § 1), ამჟამად უკვე დაძლეულია. ეს მისიაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ვახტანგ გორგასალს ხვდა წილად. ამის შემდეგ გასაგებია, რომ „ვახტანგ გორგასალი კონდენსირებული „ბარია" და ეპოქალური ჩვენებაა მთის შემოტევის დასასრულისა"[110].

ქართლის ბარისა და მთის ზემოაღნიშნული ერთიერთდამოკიდებულების ისტორიულ პროცესს მეორე მხარეც ჰქონდა. თვით მთისთვის, მისი ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელი იყო ბარი მისი საზამთრო საძოვრებით. ქართლს კი საამისო ტერიტორია ნაკლებად გააჩნდა. ამიტომ საჭირო იყო მთის მეურნეობის უზრუნველყოფა ამ თვალსაზრისით. ეს გარემოება აპირობებდა, ნაწილობრივ, ქართლის მეფეების პოლიტიკურ ურთიერთობას ალვანეთთან, რომლის დასავლეთი პროვინციები (კამბეჩოვანი, ჰერეთი) მოიცავდა საზამთრო საძოვრების ზონას. ეს იწვევდა ქართლის პოლიტიკურ ექსპანსიას აღმოსავლეთისაკენ, რაც აგრეთვე დამოწმებულია უძველესი დროიდანვე და მთის ათვისების პარალელური მოვლენაა[111]. ფაქტობრივად ეს ურთიერთობა ალვანეთის დასავლეთ პროვინციებთან აგრეთვე ორმხრივ იყო გაპირობებული. უეჭველია, ჰერეთ–კამბეჩოვანის მოსახლეობაც დაინტერესებული იქნებოდა ქართლის სამეფოს საზაფხულო იალაღების ექსპლუატაციით.

მეორე მხრივ, მნიშვნელობას არ იყო მოკლებული ის ფაქტიც, რომ ჰერეთის და კამბეჩოვანის ტერიტორიაზე სავაჭრო მაგისტრალები გადიოდა, რომლებიც ქართლის შიდა

მხარეებს ალვანეთთან და ახლო აღმოსავლეთთან აკავშირებდა და, ცხადია, ამ გზების ექსპლუატაციაც ქართლის სამეფოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო[112]. ყველაფერი ეს იწვევდა ქართლისა და დასავლეთი ალვანეთის ურთიერთდაახლოების ტენდენციას, რაც საბოლოოდ, როგორც ვიცით, იმით დამთავრდა, რომ ვახტანგ გორგასლის დროს ჰერეთ–კამბეჩოვანი ქართლს ორგანულად შეერწყა.

ეს უკანასკნელი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა დემოგრაფიული პროცესებითაც იყო გაპირობებული. საქმე ის არის, რომ ქართული და უცხოური წყაროები გვავარაუდებინებს ქართლის სამეფოს აღმოსავლეთის პერიფერიისაკენ, ჰერეთისა და კამბეჩოვანის ტერიტორიაზე, უძველესი დროიდანვე ქართველი მოსახლეობის, მათ შორის მთიელების, ინტენსიურ მიგრაციას[113], რაც დასტურდება ისტორიული ტოპონიმიკის მონაცემებითაც[114]. ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო სწორედ იმით, რომ აქ მდებარეობდა საზამთრო საძოვრების ზონა და აქვე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო მაგისტრალები. ამ დემოგრაფიულ პროცესებს კი ის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ქართლისა და ალვანეთის ლიმიტროფულ ზონაში მოსახლე ალვანელთა თანდათანობითი და განუხრელი ასიმილაცია ხდებოდა ქართული მოსახლეობის მიერ.

მთისა და ბარის ურთიერთობას ვახტანგ გორგასლის საშინაო პოლიტიკაში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი რომ ეჭირა, ამას მოწმობს თუნდაც მის მიერ ქალაქ უჯარმის გაშენება, მახლობლად ციხე–დარბაზის აგება (რომელიც დღემდე საკმაოდ კარგად არის დაცული და 1950–52 წლებში არქეოლოგიური გათხრით იქნა შესწავლილი). ჯუანშერთან შემონახულია უნიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ ვახტანგმა ბრძანა „აღშენება უჯარმისა და მუნ შინა ზრდა დაჩი მეფისა, რამეთუ სამარჯუედ გამონახა იგი ნადირთა და ცხოვართათჳს"[115]. ვახტანგმა „უჯარმა სამარჯუედ გამონახა ცხოვართათჳის", მიუთითებს იმაზე, რომ ეს ქალაქი ფრიად მოხერხებულ ადგილას მდებარეობდა „კახეთის მთეულეთის" მეცხვარეობის ექსპლუატაციის თვალსაზრისით ანუ რეგიონის ცხვარი იალაღებიდან ყიშლაღებზე იმ გზით მოძრაობდა, რომელიც უჯარმაზე გადიოდა. ამგვარად, ეს ფაქტი, მთისა და ბარის ერთდროული კონტროლისა და ექსპლუატაციის მომასწავებელია. მთის პოლიტიკური მორჩილების მტკიცედ შენარჩუნებისთ-

ვის საჭირო იყო სათანადო საყრდენი პუნქტის შექმნა. უჯარმაც სწორედ იმ ერთ-ერთ მაგისტრალზეა, რომელიც თიანეთს (!) ივრის ხეობის ბართან აკავშირებს. ერთი სიტყვით, ქალაქ უჯარმის ფლობა ქართლის სამეფოს აღმოსავლეთის მთისა და ბარის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობების კონტროლს ნიშნავდა*

მაგრამ ქალაქი უჯარმა მხოლოდ მთასთან დამაკავშირებელ გზაზე კი არ მდებარეობდა, არამედ იმ მთავარ სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალებზე, რომელნიც ალვანეთიდან მოემართებოდა, ჰერეთით და კამბეჩოვანით, პირველი გომბორის უღელტეხილზე და მეორე ქალაქ ხორნაბუჯზე. უჯარმაში ეს გზები ერთდებოდა და აქედან თბილისის გავლით მცხეთისკენ მიემართებოდა.

როგორც ცნობილია, თავისი მეფობის ბოლოსთვის, „თჳთ ვახტანგ დაჯდა უჯარმოს, და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა"[116]. სწორედ ეს გარემოება, რომ ვახტანგ გორგასალმა დროებით სამეფო რეზიდენცია ამ გზათა გადაკვეთის კვანძზე ააგო, იმის მონმობაა, რომ აქ მნიშვნელობა მხოლოდ მთა-ბარის კონტროლს კი არ ჰქონდა, არამედ ქართლის იმ აღმოსავლეთ პროვინციებსაც, რომლებიც უკვე შემოერთებული იყო ან ამ დროს იერთებდა თვით ვახტანგი. სწორედ ამით იყო გამოწვეული ივრის ხეობის ცენტრების გადმონაცვლება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ (იხ. ზემოთ, თავი I, § 1). ამ აღმოსავლეთი მხარეებისაკენ მიმართული პოლიტიკის შედეგია აგრეთვე ვახტანგ გორგასლის მიერ ქალაქ ჭერემის აგება[117], რაც არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა[118].

დასასრულ, ამავე რიგის მოვლენაა ის უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი საქართველოს ისტორიაში, რომ ვახტანგ გორგასალს სახელმწიფოს ცენტრი მცხეთიდან აღმოსავლეთით თბილისში გადმოაქვს. IV, და განსაკუთრებით V საუკუ-

---

* ის გარემოება, რომ ვახტანგმა უჯარმა „სიმარჯვედ გამონახა ნადირთათვის" მიუთითებს ნადირობაზე იმ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით, რომელიც კარგადაა დამონმებული ფეოდალური საქართველოს ისტორიის მთელ სიგრძეზე. ცხადია, უფლისწულის აღსაზრდელად ნადირობასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ამიტომ ის პუნქტი უფრო მარჯვე იყო და მნიშვნელოვანი, რომელსაც საამისო პირობები გააჩნდა.

ნეში ინტენსიური ფეოდალიზაციის გზაზე შემდგარი ქართლის სამეფოს სამეურნეო და სოციალურმა ვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ალვანეთის დასავლეთი მხარეების (ჰერეთი, სუჯეთი, კამბეჩოვანი) მასთან გაერთიანების საკითხი, რაც, როგორც აღვნიშნეთ, საბოლოოდ წარმატებით გადაჭრა კიდეც ვახტანგ გორგასალმა. იგი ამავე დროს აპირებდა ქართლის სამეფოს აღმოსავლეთი პროვინციების გადაქცევას აგრესიული ირანის საწინააღმდეგო სამხედრო–სტრატეგიულ ბაზად[119]. ქართლის სამეფოს ტერიტორიის ზრდამ აღმოსავლეთისაკენ, აგრეთვე იმან, რომ თბილისი გეოგრაფიულად და ეკონომიკურად უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული კახეთ–ჰერეთთან, ვიდრე მცხეთა, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის უაღრესად დიდი მნიშვნელობის ფაქტი, რომ ქართლის სამეფოს ცენტრმა მცხეთიდან თბილისში გადმოინაცვლა[120].

მეორე მხრივ, თბილისი უჯარმასთან შედარებით გაცილებით უფრო მოსახერხებელ ადგილზე იყო სტრატეგიული თვალსაზრისით. იგი გარდა თავდაცვისათვის ხელსაყრელი მდებარეობისა მტკვრის ვიწრობებში, სადაც ხიდი აერთებდა ორივე სანაპიროს, ქვეყნის შუაგულში იყო და ადვილად სწვდებოდა არა მარტო აღმოსავლეთ პროვინციებს, არამედ სამხრეთსაც (ქვემო ქართლი), ჩრდილოეთსაც (შიდა ქართლი) და დასავლეთსაც (ზემო ქართლი, ეგრისი). გარდა ამისა, თბილისი დიდი მნიშვნელობის გზაჯვარედინზე მდებარეობდა და აკონტროლებდა არა მარტო მცხეთას, არამედ ხუნანის პროვინციიდან და უჯარმიდან მომავალ მაგისტრალებსაც. ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ უჯარმა არ გადაიქცა სახელმწიფოს ცენტრად[121].

შემთხვევითი როდია ის გარემოებაც, რომ ამ ისტორიული მოვლენის, თბილისის გადედაქალაქების ინიციატორი იგივე ვახტანგ გორგასალი იყო – ქართლის სამეფოს „აღმოსავლური პოლიტიკის“ ყველაზე უფრო ენერგიული განმახორციელებელი. მისი გენიალური გამჭრიახობის ისტორიული აუცილებლობა საქართველოს მთელმა შემდგომმა ისტორიამ დაადასტურა. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ თბილისის გადაქცევა ქართლის (იბერიის) დედაქალაქად (და შემდეგ მთელი საქართველოს დედაქალაქად) გაპირობებული იყო ქვეყნის შინაგანი სოციალურ–ეკონომიკური ანუ ახალი, ფეოდალური ურთიერთობის განვითარებით.

ამგვარად, V ს–ის მეორე ნახევარში აშკარად ჩანს ქართლის სამეფოს სხვადასხვა „ხევების", მთისა და ბარის ურთიერთშერწყმის ტენდენცია, რისთვისაც მყარ საფუძველს ქმნიდა ვახტანგ გორგასლის მიერ მთისა და ბარის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის პოლიტიკური გაერთიანება. სამეფოს სხვადასხვა პროვინციებს შორის ამის ნიადაგზე გაცხოველებულ ურთიერთობას ქართლის მეფე, როგორც ჩანს, ხელს უწყობდა და აწესრიგებდა. სამეურნეო და სოციალური განვითარების შედეგად იქმნებოდა საფუძვლები ცალკეულ „ხევთა" შერწყმისა, მთისა და ბარის გაერთიანებისა. ამავე ფაქტორებმა განაპირობეს, საბოლოო ჯამში, სამეფოს ცენტრის აღმოსავლეთით, თბილისში გადმოტანა.

ქვეყნის კონსოლიდაციის საქმეში აქტიურ როლს თამაშობდა ქრისტიანული ეკლესიაც. სათანადო მაგალითები მირიანის მეფობის პერიოდიდან ზემოთ იყო მოყვანილი. ვახტანგ გორგასალმა ქართული ეკლესიაც თავის ნება–სურვილს დაუქვემდებარა. „დიოფიზიტიზმის ბურჯი" ეპისკოპოსი მიქაელი ქართლიდან გააძევა, ეკლესიას ავტოკეფალობა მოუპოვა, მის სათავეში თავისივე ამორჩეული კათალიკოსი დააყენა, ხოლო მთელი ქვეყანა საეპისკოპოსოებად დაჰყო და ეპისკოპოსები კათალიკოსს დაუმორჩილა[122].

ჯუანშერს თორმეტი საეპისკოპოსო აქვს ჩამოთვლილი, რომელნიც ვითომც ვახტანგს ჩამოუყალიბებია: ახიზისა (კლარჯეთში), ერუშეთისა (არტაანს), წუნდისა (ჯავახეთს), მანგლისისა და ბოლნისის (ქვემო ქართლში), რუსთავისა (კუხეთში), ნინოწმინდისა (სუჯეთში), ჭერემისა (ჰერეთში), ჩელეთისა (კახეთში), ხორნაბუჯისა (კამბეჩოვანში), აგარაკისა (გარდაბანში) და მცხეთაში სამთავროსი (შიდა ქართლისა). მცხეთაში იჯდა, რა თქმა უნდა, კათალიკოსი, ვახტანგის მიერვე აშენებულ სვეტიცხოვლის ტაძარში. ამის შემდეგ ვახტანგს კიდევ ერთი საეპისკოპოსო შეუმატებია ნიქოზში (შიდა ქართლი)[123]. შესაძლებელია ამ შემთხვევაში მემატიანე მართალია[124] ან არ არის მართალი[125], ერთი რამ ცხადია, რომ 506 წლისათვის ქართლში 33 საეპისკოპოსოა, რომელთაგან 24–ის სახელი შერყვნილი სახით დადასტურებულია ე. წ. „ეპისტოლეთა წიგნში": მცხეთის, სამეფო სახლის, სამთავროს, დმანისის, ბოლნისის, ცურტავის, რუსთავის, თბილისის, მანგლისის, რუისის, სამთავისის, აწყურის, წყაროსთავის, კუმურდოს,

ნილკნის, ბოდბის, ნინოწმინდის, კაწარეთის, ჭერემის, ხუნანის, ბერთას (ჩელეთის?), ხორნაბუჯის[126]. ის, რომ „ეპისტოლეთა წიგნის" „კისდად"–ს აღადგენენ კიშად ანუ გიშად[127], შესაძლებელია, სწორი იყოს, რადგან გიში საკუთრივ ჰერეთში მდებარეობდა და აქ ერთი საეპისკოპოსო, ალბათ, კიდევაც უნდა დაეარსებინა ვახტანგს. დანარჩენ ეპისკოპოსთაგან ჩვენ არავის ვიცნობთ, თუმცა აშკარაა, რომ ჯუანშერისეულ და „ეპისტოლეთა წიგნის" ნუსხებს აკლია ნეკრესის ეპისკოპოსი, რომელიც, ეჭვი არ არის, ვახტანგ გორგასლის დროსვე იქნებოდა. ამგვარად, როგორც ვხედავთ, მთელი ქართლის სამეფო, კლარჯეთიდან ვიდრე ჰერეთამდე, V ს–ის მიწურულისთვის მაინც, საეპისკოპოსოებით არის დაფარული.

ცხადია, ქართლის მეფის ინიციატივით შექმნილი საეკლესიო წესწყობილება მასვე სჭირდებოდა როგორც იდეოლოგიური და პოლიტიკური იარაღი სამეფოს კონსოლიდაციისთვის. კერძოდ, ქრისტიანობის გავრცელება მთაში, როგორც ვთქვით, უკვე მირიანის დროს, რა თქმა უნდა, იგივე მიზნებს ემსახურებოდა. ვახტანგ გორგასლის დროს ეს პროცესი კიდევ უფრო ინტენსიური უნდა გამხდარიყო, რასაც თვით საეპისკოპოსო კათედრათა სიმრავლე მოწმობს. ვახტანგ გორგასლის ეპოქაში არსებობდა სრული პირობები იმისა, რომ ქართლის ეკლესიური გავლენა ცენტრალური კავკასიონის ქედს იქით გადასულიყო (დვალეთი, ოვსეთი, დურძუკეთი, დიდოეთი, წუქეთი)[128].

ქრისტიანობის გავრცელება ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე, კერძოდ კი, ახლად შემოერთებულ მხარეებში (ჰერეთი, კამბეჩოვანი, კავკასიონის მთიანეთი) უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა, რამდენადაც, როგორც ცნობილია, ქართლის ეკლესია განსხვავებით, მაგალითად, ეგრისისაგან, შეიძლება ითქვას, იმთავითვე ქართულენოვანი იყო[129]. ეს კი ნიშნავს, რომ იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ქართლიდან ვრცელდებოდა ქრისტიანობა, საეკლესიო და ლიტერატურული ენაც ქართული იყო[130]. ეს, ცხადია, გულისხმობდა შესაბამისი კულტურის გავრცელებას მით უმეტეს, თუ ამას ზედ ერთვოდა იბერიელთა ეთნიკური შელწევაც მეზობელ ტერიტორიებზე, რასაც თან ქართული სოციალური ურთიერთობების შეტანაც მოჰყვებოდა. ყველაფერი ეს, საბოლოო ჯამში გულისხმობდა ამ ტერიტორიაზე მოსახლე არაქართველი ტომე-

ბის თანდათანობით გაქართველებას. ეს პირველ რიგში ეხება ჰერეთს, სადაც ამ დროისთვის ჯერ კიდევ ნარევი ქართულ-ალვანური მოსახლეობა უნდა ყოფილიყო.

ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ქართლის გავლენა ვრცელდებოდა დასავლეთ საქართველოზეც, სადაც უძველესი დროიდანვე დაწყებულ იყო აღმოსავლურ-ქართული ეთნიკური ელემენტის ინფილტრაცია არგვეთიდან და სამცხიდან[131] რა ვითარებაა აქ საეკლესიო წესწყობილების თვალსაზრისით ვახტანგ გორგასლის დროს, არ ჩანს. უფრო გვიან, VII ს-ში დასავლეთი საქართველო ეკლესიურად ბიზანტიას ემორჩილებოდა (იხ. ქვემოთ, თავი V). მაგრამ სწორედ ამ დროს, VI ს-ის ბოლოს და VII ს-ის დასაწყისში, ქართლის ეკლესიასაც აქ თავისი საკუთარი სამწყსო უნდა ჰქონოდა. ეს დასტურდება სომეხი ისტორიკოსის ჰოვანეს დრასხანაკერტცის ცნობით, რომ კირიონი ხელდასმულ იქნა „ქართლის სამწყსოს, გუგარეთისა და ეგრისის არქიეპისკოპოსად წინანდელ ნესთა მაგალითისამებრ"[132]. თუ ეს ცნობა სწორია, მაშინ გამოდის, რომ VI-VII სს-თა მიჯნაზე ქართლის კათალიკოსს ხელი მიუწვდებოდა დასავლეთ საქართველოს გარკვეულ ნაწილზე მაინც[133] და რადგან ეს ხელდასმა „წინანდელ ნესთა მაგალითისამებრ" ყოფილა და ე. ი. ძველი ვითარების ამსახველია, მაშინ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამისთვის პირობები არსებობდა არა VI ს-ში, როდესაც ეგრისი ბიზანტია-ირანის, შეიძლება ითქვას, განუწყვეტელი ომის სარბიელი იყო, არამედ მხოლოდ V ს-ის მეორე ნახევარში. მაშასადამე, ვახტანგ გორგასალს დასავლეთი საქართველო ან, ყოველ შემთხვევაში, მისი ნაწილი ეკლესიურადაც ქართლის კათალიკოსისთვის დაუქვემდებარებია[134].

ქართლის მეფის ზემოხსენებულ აქტიურ მოღვაწეობას ქვეყნის კონსოლიდაციისა და სამეფო ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, ძლიერი ოპოზიცია აღმოუჩნდა ახალგაზრდა ფეოდალური ძალების ნაწილის სახით, რომელსაც ხელს არ აძლევდა მეფის ძალაუფლების ზრდა და, ამდენად, ქვეყნის ცენტრალიზაციაც. ამ ოპოზიციას სათავეში ედგა, როგორც ჩანს, ვარსქენ პიტიახში, ქვემო ქართლის მმართველი[135]. შეაძლებელია, მართლაც, არ იყოს შემთხვევითი ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც 466 წელს, უკვე სახელგანთქმული და სპარსეთის შაჰის ნდობით აღჭურვილი ახალგაზრდა ვახტანგი

ჰუნ–კიდარიტებთან ომის შემდეგ სპარსეთიდან სამშობლოში დაბრუნდა და იმთავითვე შეუდგა, როგორც ვიცით, თავისი ფართო პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი გეგმების შესრულებას, 467 წელს პეროზ „სპარსთა მეფისა კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში ძჱ არშუშაჲსი... რამეთუ რაჟამს ნარდგა იგი წინაშე სპარსთა მეფისა, არა თუ პატივისა მოღებისათვის, არამედ ძღუნად თავსა თჳსსა შესწირვიდა მეფისა მის მიმართ უვარის ყოფითა ჭეშმარიტისა ღმერთისაჲთა და თაყუანისსცემდა ცეცხლსა, რამეთუ ყოვლით კერძოვე თავი თჳსი ქრისტჱსგან განაგდო“[136].

წინააღმდეგ იაკობ ხუცესისა, ვარსქენ პიტიახში რომ სწორედ „პატივისა მოღებისათჳის“ მიდის ქტეზიფონში შაჰანშაჰის კარზე, ეს კარგად ჩანს ჯუანშერის მოწმობით: „და მასვე ჟამსა იყო სომხითს კაცი ერთი, შვილი მთავართა, სახელით ვასქენ და ესუა მას ცოლი, მთავართა შვილი, რომელსა ერქუა შუშანიკ, ასული ვარდანისი. ხოლო ამას ვასქენს ეუფლა ეშმაკი და განიზრახა მიქცევა ცეცხლის-მსახურებად: წარვიდა წინაშე სპარსთა, და დაუტევა სჯული ქრისტესი, და იქმნა ცეცხლის-მსახურ“. ხოლო „სპარსთა მეფემან წარმოგზავნა იგი ნიჭითა დიდითა ერისთავად რანისა“[137]. „რანის ერისთავი“ ეს იგივე სპარსეთის დიდმოხელე „ალვანეთის მარზპანია“, რომელიც ალვანეთს მართავდა მას შემდეგ, რაც 461 წელს სპარსელებმა იქ მეფობა გააუქმეს[138]. ამგვარად, ვარსქენს გამაზდეანების საზღაურად რანის ერისთავობა მიუღია, რაც რეალური უნდა იყოს და „მარტჳლობაჲ შუშანიკისი“ რეალიებითაც მტკიცდება[139].

ამგვარად, შაჰანშაჰისგან განდიდებული ვარსქენ ქართლის პიტიახში და რანის ერისთავი, ბუნებრივია უნდა დაპირისპირებოდა ქართლის მეფეს, რომელიც თავისი ხელისუფლების გაძლიერებისა და მთელი ქვეყნის კონსოლიდაციისათვის იწყებდა ბრძოლას. ვარსქენი, როგორც მისი ერთ–ერთი ერისთავი თუნდაც უძლიერიესი, არ შეიძლებოდა სრულიად დამოუკიდებელი ყოფილიყო მისგან, თუმცა თავის საპიტიახშოში იგი, ფაქტობრივად შეუზღუდველი უფლებებით სარგებლობდა[140]. ეს კარგად ჩანს იაკობ ხუცესის თხზულებიდან: მას შეუძლია განუკითხავად ტანჯოს თავისი მეუღლე, უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენელი; სცემოს თავის ძმას, ჯოხი ურტყას სამღვდელო პირს, ცხენით სდიოს სოფლის მოსახლე-

ობას. მისი ყველას ეშინია... ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია ერთი ეპიზოდი: როდესაც პიტიახშმა ბრძანება გასცა გადაეყვანათ შუშანიკი სასახლიდან (ტაძრიდან) საპყრობილეში, „დიაკონი ვინმე ერთი... დგა შუშანიკის თანა მას ჟამსა, რომელსა გამოჰყვანდა იგი ტაძრით, და უნდა რაჲთამცა ჰრქუა, თუ „მტკიცედ დეგ!". და თუალი ჰკიდა პიტიახშმან, სხუაჲ ვერღა რაჲ სცალდა სიტყუად, ესთენ ოდენ ჰრქუა: „მტკი..." და დადუმნა ხოლო და სიკლტოლად იწყო სწრაფით"[141]

კონფლიქტი ვახტანგ გორგასალსა და ვარსქენ პიტიახშს შორის გარდაუვალი იყო მით უმეტეს, რომ ქართლის მეფე თანდათან თვით ირანს უპირისპირდებოდა, რომელიც 451 წლის აჯანყების შემდეგ დათმობილ პოზიციებს ამიერკავკასიაში ნელ-ნელა უკან იბრუნებდა. დაიწყო კვლავ ქრისტიანების დევნა, საზოგადოების გათიშვის მცდელობა[142]. ქართლში ქრისტიანობა და ცეცხლთაყვანისმცემლობა ოფიციალურად ერთნაირად არის დაშვებული[143]...

ვახტანგს უნდა ესარგებლა ირანის დამარცხებით აღმოსავლეთში ჰეფტალიტებთან ბრძოლაში, რომელთაც შეცვალეს ჰუნი-კიდარიტები. დაახლოებით 476 წელს პეროზ შაჰი ტყვედ ჩაუვარდა ჰეფტალიტებს[144]. სირიელი ქრონისტის, იეშუ სტილიტის (VI ს-ის დასაწყ.) ცნობით, ბიზანტიის კეისარმა ზენონმა, რომელიც სპარსელებს, ჩანს, ნაკლებად საშიშ მოწინააღმდეგეებად თვლიდა, ვიდრე ჰუნ-ჰეფტალიტებს, ოქროთი გამოსასყიდი გადაუხადა მათ ირანის შაჰანშაჰის განთავისუფლების მიზნით[145]. როგორც ჩანს, ირან-ბიზანტიის ამ დაახლოების შედეგი იყო, რომ ვახტანგ გორგასალმა მოახერხა ქართლის მთავარ-ეპისკოპოსად ბიზანტიიდან მოწვეული ქალკედონიტი მიქაელი დაესვა. ამით იგი აშკარად პრობიზანტიურ პოლიტიკურ კურსს დაადგა[146].

V ს-ის 80-იანი წლებისათვის პოლიტიკური სიტუაცია ამიერკავკასიაში კიდევ უფრო დაიძაბა. დაიწყო აჯანყება ალვანეთში. ირანელებმა, რომელთაც სამხედრო კონტინგენტი რეგიონში, ჩანს, მცირე ჰყოლიათ, სომხები აიძულეს აჯანყებულთა წინააღმდეგ წასულიყვნენ[147] და სწორედ ასეთ გართულებულ ვითარებაში, როგორც მოვლენათა თანამედროვე სომეხი ისტორიკოსი, ვარსქენის მამის, არშუშა პიტიახშის ოჯახში გაზრდილი ლაზარ ფარპეცი გადმოგვცემს: „ქართლის ქვე-

ყანაში მოხდა შფოთი და არეულობა. ვახტანგმა მოკლა ურ-ჯულო ბდეშხი ვაზგენი, მეფე პეროზის ოცდამეხუთე წელს" ანუ 482 წ.[148]

სომეხ ნახარარებს ვახტანგის აჯანყების ამბავი ალვა-ნეთში მიუვიდათ და დიდად აღფრთოვანდნენ. მათ ბჭობა გა-მართეს და გადაწყვიტეს მხარი დაეჭირათ აჯანყებული ქარ-თლისათვის. გამარჯვების იმედს მათ უნერგავდა ის, რომ ვახ-ტანგი მათთვის მამაც კაცად იყო ცნობილი, თან ეს უკანასკ-ნელი დიდძალ ჰუნთა გადმოყვანას პირდებოდა მათ იმიერ-კავკასიიდან: „მე ბრძოლას არავის დავანახვებ, იმდენ ჰუნს გადმოვიყვან, რომ სპარსთა ჯარები წინ ვერ დაუდგნენ", ამ-ბობდა იგი[149].

აჯანყებულმა სომხებმა სარდლად ვაჰან მამიკონიანი აირჩიეს, 450–51 წლების აჯანყების გმირის, ვარდან მამიკო-ნიანის ძმისწული, რომელიც ასევე არშუშას კარზე იყო გაზრ-დილი. სომხეთის ირანელი მარზპანი ატრპატაკანში გაიქცა და იქიდან შვიდიათასიანი ჯარით კვლავ შეიჭრა სომხეთში. სოფ. აკორისთან სომეხთა მცირერიცხოვანმა რაზმმა სასტი-კად დაამარცხა ირანელები. თვით სომხეთის ირანელი მარზ-პანიც ბრძოლის ველზე დაეცა. ასე დამთავრდა აჯანყების პირველი წელი სომხეთში. სამწუხაროდ, როგორ მიმდინარე-ობდა საქმე ქართლში სომეხი ისტორიკოსი არაფერს გვეუბ-ნება.

ამასობაში დაზამთრდა და სომხებმა შიკრიკი აფრინეს ქართლში, ვახტანგთან, რომ ჰუნთა მოსვლის ამბავი გაეგოთ. ვახტანგს რატომღაც დანაპირების შესრულება ჯერ ვერ მოე-ხერხებინა და მხოლოდ ჰუნთა სამასკაციანი რაზმი აღმოაჩნ-და, რომელიც დროებით გაგზავნა სომხებთან.

483 წლის გაზაფხულზე სპარსელებმა ორი დიდი ლაშქა-რი გამოგზავნეს: ქართლში – მიჰრანის, სომხეთში კი – ატრ-ნერსეს მეთაურობით. ვახტანგ გორგასალმა დაინახა, რომ ვერ გაუმკლავდებოდა დიდძალ სპარსელებს და თავი ქართ-ლისა და სომხეთის საზღვარზე მთებს შეაფარა, თან სომხებს დესპანი გაუგზავნა, რომ დახმარებოდნენ. ამასობაში სომ-ხებს ერთ–ერთ ბრძოლაში კვლავ სასტიკად დაემარცხებინათ სპარსელები და ნალკოტის გავარში ისვენებდნენ. როდესაც ვახტანგის ამბავი მიუვიდათ, ვაჰან მამიკონიანი სომეხთა

მთელი ჯარით მისკენ გაეშურა და კანგარის მთებში ქართლის სამხრეთ საზღვარზე დაბანაკდა.

ვახტანგს, ჩანს, უნდოდა სასწრაფოდ შებმოდა სპარსელებს, ჰუნთა დახმარების გარეშე და ამიტომ ცდილობდა დაეთანხმებინა სომხები ჩასულიყვნენ ბარად, რომ იქ ერთად შებრძოლებოდნენ მტერს. სომხები კი ჰუნთა მოსვლამდე შებმას სპარსელებთან ერიდებოდნენ მათი მრავალრიცხოვნების გამო. როგორც ისტორიკოსი გადმოგვცემს, ვაჰანს ამავე დროს ადარდებდა „სომხეთა ჯარის სისუსტე და ხედავდა, რომ მას დაჰკარგვოდა მხნეობა, დაუძლურებულიყო". ამიტომ სომხები არ თანხმდებოდნენ.

ვახტანგი, თავის მხრივ, ცდილობდა თავისი გაეტანა და ტყუილსაც არ ერიდებოდა: მან მზვერავები გააგზავნა სომეხთა და ქართველთა ჯარიდან და ღამით ერთ–ერთ ველზე შორიდან დაანახვა ანთებული კოცონები და მეომრების მსგავსად ჩაცმული ხის კუნძები, თითქოს ეს ჰუნთა ლაშქრის ბანაკი ყოფილიყოს. ბოლოს და ბოლოს სომხებმა დაიჯერეს და ზაფხულის სიცხეში სომეხ–ქართველთა ლაშქარი ჩავიდა ჭარმანაინის ველზე, გარდაბანში მტკვრის პირას. მეორე ნაპირს სპარსელთა ლაშქარი მოადგა.

ღამით ბევრმა სომეხმა მოღალატემ შეატყობინა თავის ახლობლებს სპარსელთა ჯარში, რომ ბრძოლის დროს მათ მხარეს გადავიდოდნენ.

მეორე დღეს მოწინააღმდეგენი საბრძოლველად განეწყვნენ. ვახტანგი უკანასკნელ წუთამდე ამხნევებდა სომეხ სარდლებს და არწმუნებდა, რომ ჰუნთა გარეშეც გაიმარჯვებდნენ. სომხები მერყეობდნენ, თუმცა მაინც განალაგეს ლაშქარი საბრძოლო წყობაზე.

ქართველთა ლაშქარი მარცხენა ფრთაზე იდგა, ცენტრში და მარჯვენა ფრთაზე – სომხები. დაიწყო ბრძოლა. ლაზარ ფარპეცის სიტყვით, ვაჰანმა, რომელიც ცენტრს სარდლობდა, მხნედ შეუტია, მრავალი მებრძოლი დაუხოცა მტერს და მტკვარზეც კი აიძულა გადასულიყო, მაგრამ მოღალატეებმა თავისი პირობა შეასრულეს და მიატოვეს ბრძოლის ველი. ამან არევ–დარევა გამოიწვია. ლაშქარი შედრკა და „უეცრად გაიქცა და განშორდა ბრძოლის ველს მთელი ჯარი სომხებისა და ქართველებისა" საბოლოოდ სომეხ–ქართველთა ლაშქარი დამარცხდა, ბევრი დაიხოცა.

ვაჰან მამიკონიანი ლაშქრის ნარჩენებით ტაოში მივიდა. მიჰრანი მას ფეხდაფეხ სდევდა. ბოლოს დაიწყო მოლაპარაკება მათ შორის. მაგრამ სექტემბერში მიჰრანმა მიიღო ბრძანება ირანიდან, რომ სასწრაფოდ გამოცხადებულიყო სამეფო კარზე. იგი წავიდა, ხოლო აჯანყებულები მობრუნდნენ და დვინთან დაიბანაკეს.

სად იმყოფებოდა ჭარმანაინის ბრძოლის შემდეგ ვახტანგ გორგასალი ნარჩენი ქართული ლაშქრით ლაზარ ფარპეცი არას გვეუბნება.

მეორე წელს, 484 წლის გაზაფხულზე სომხეთში დიდი ჯარით შევიდა ზარმიჰრ ჰაზარავუხტი, ირანელთა მხედართმთავარი. მან იცოდა, რომ სომეხთა ლაშქრის დიდი ნაწილი ქართლში წასულიყო, ხოლო ვაჰანს მცირერიცხოვანი მხედრობა დარჩენოდა. ვაჰანი გაეცალა ჰაზარავუხტს და თავი ჭანეთს შეაფარა. სპარსელი სარდალი დაედევნა მას. მაგრამ ბასიანში შაჰის ბრძანება მოუვიდა, სომხეთში მარზპანად შაპუჰ მიჰრანი დაეტოვებინა, თვითონ კი ქართლში წასულიყო და „ქართლის მეფე ვახტანგი ან შეეპყრა, ან მოეკლა, ანდა იმ ქვეყნიდან განედევნა". ჰაზარავუხტი, მართლაც, გადავიდა ქართლში და აქ შეკრიბა ვახტანგის მოწინააღმდეგე დიდებულები, რომელთაგან ზოგი თავიდანვე არ უჭერდა მას მხარს, ზოგმა კი ჭარმანაინის ბრძოლის შემდეგ უღალატა. ჰაზარავუხტმა მათ დიდი წყალობა აღუთქვა დახმარებისთვის, მაგრამ ვახტანგ გორგასალმა, რადგან წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო, თავი ეგრისს შეაფარა.

ამ დროს მოვიდა ჰეფტალიტებთან ბრძოლაში პეროზისა და მთელი მისი ჯარის დაღუპვის ამბავი და ჰაზარავუხტი სასწრაფოდ გაბრუნდა ირანის დედაქალაქში. მის კვალს გაჰყვა სომხეთის მარზპანი შაპუჰ მიჰრანიც. ამით ამთავრებს თხრობას ქართლისა და სომხეთის აჯანყების შესახებ ლაზარ ფარპეცი[50].

აშკარაა, რომ სომეხი ისტორიკოსი ტენდენციურია. მისი მონაყოლიდან ისე გამოდის, თითქოს 482–84 წლების ანტისპარსულ აჯანყებაში ძირითადი როლი სომხებს ეკუთვნოდა, ქართველები საკმაოდ უფერულად გამოიყურებიან, ხოლო მათი მეფე, თუმცა კი ცნობილია თავისი სიმხნევით, მაგრამ, ფაქტობრივად, ცარიელ დაპირებებს სჯერდება. ეს არც უნდა გვიკვირდეს, რადგან ლაზარ ფარპეცი, ვაჰან მამიკონიანის

აპოლოგეტი, ამ უკანასკნელის როლის გაზვიადებით იყო დაინტერესებული, მაგრამ მისი თხრობიდან მაინც კარგად ჩანს, რომ ვახტანგ გორგასალი იყო არა მხოლოდ ინიციატორი აჯანყებისა, არამედ მისი მთავარი მამოძრავებელი ძალაც, primus motor, რასაც ადასტურებს პეროზ შაჰის ზემოაღნიშნული ბრძანება ჰაზარავუხტისადმი, რომ არა ვაჰან მამიკონიანი, არამედ სწორედ „ქართლის მეფე ვახტანგი ან შეეპყრა, ან მოეკლა, ანდა ქვეყნიდან გაეძევებინა"[151].

მიუხედავად იმისა, რომ აჯანყება დამარცხდა, ამიერკავკასიის ქვეყნებმა გარკვეული შეღავათები მოიპოვეს ირანისაგან. ეს გაპირობებული იყო იმით, რომ თვით ირანმა, როგორც ვიცით, სასტიკი დამარცხება განიცადა ჰეფტალიტებთან ბრძოლაში, რამაც აიძულა ახალი შაჰი ვალარში ლმობიერ პოლიტიკაზე გადასულიყო ირანის ქვეშევრდომი ხალხების მიმართ. კერძოდ, სომხეთში სპარსელებმა შეასრულეს აჯანყებულთა ყველა მოთხოვნა: შეწყვიტეს ქრისტიანების დევნა, აღადგინეს სომეხ ნახარართა ძველი უფლებები. თვით ვაჰან მამიკონიანი სომხეთის სპარაპეტად (მხედართმთავრად) და მარზპანად დანიშნეს[152]. ფაქტობრივად, სომხეთი ნახევრად დამოუკიდებელ ქვეყანად ცნეს[153]. ალვანეთში აღდგენილ იქნა მეფობა და ახლად დადგენილმა მეფემ, ვაჩაგანმა, „რადგან სპარსეთის მეფე ვალარშს ბრძანება გაეცა, რათა თითოეულს მტკიცედ შეენახა თავისი სარწმუნოება სურვილის მიხედვით და ძალადობით არავინ მოექციათ მოგვობაზე"[154], ცეცხლთაყვანისმცემლობას დაუწყო დევნა თავის ქვეყანაში, ხოლო ალვანელ დიდებულებს დაუბრუნა პეროზ შაჰის მიერ წართმეული მიწები[155]. იმასაც კი ფიქრობენ, რომ სპარსელებმა ალვანეთის სამეფოს დამოუკიდებლობაც კი ცნეს[156].

სავსებით რეალურია იმის ვარაუდი, თუმცა საამისო მონაცემები ქართულ წყაროებში არ შემონახულა, რომ ანტიირანულ აჯანყებას ქართლშიც სომხეთ–ალვანეთის მსგავსი შედეგები უნდა გამოეღო[157]

ვახტანგი ბრუნდება ქართლში. კავშირი ბიზანტიასთან კიდევ უფრო უნდა განმტკიცებულიყო, რაც იმითაც გამოიხატა, რომ ჯუანშერის მიხედვით, ბიზანტიის იმპერატორმა „ასული თჳსი მისცა, სახელით ელენე, მეფესა ვახტანგს, და გამოავლინა იგი სპითა დიდითა ვიდრე საზღვართამდე სომხითისათა. და მუნ მიეგება ვახტანგ მეფე, და შეიქცეს სპანი

ბერძენთანი. და წარმოვიდეს მცხეთად"[158]. შესაძლებელია ეს ცნობა რეალურ–ისტორიული იყოს და თუმცა იმპერატორ ზენონის ქალიშვილზე ვახტანგის ქორწინება გაზვიადებულია, მაგრამ ამ უკანასკნელის მიერ ზენონის ნათესავის მოყვანა ცოლად არ უნდა იყოს გამორიცხული[159].

ცხადია, ვახტანგს, რომელიც სპარსეთის წინააღმდეგ იყო აჯანყებული და ბიზანტიასთან კავშირი სასიცოცხლოდ სჭირდებოდა, ქრისტიანული დოგმატიზმის თვალსაზრისითაც იმპერატორის კარზე გაბატონებული რელიგიური დოქტრინისთვის უნდა დაეჭირა მხარი. მით უმეტეს, რომ 484 წელს, ჯერ კიდევ შაჰანშაჰ პეროზის სიცოცხლეში, სპარსეთში ბეთ–ლაპატის საეკლესიო კრებაზე ნესტორიანობა ირანის იმპერიაში მცხოვრებ ქრისტიანთა ოფიციალურ სარწმუნოებად იქნა გამოცხადებული, რაც ბუნებრივია, ქმნიდა საშიშროებას, რომ ირანის ეკლესია ქართლშიც ეცდებოდა მის გავრცელებას და, ამდენად, აქ სპარსეთის კულტურულ–პოლიტიკური გავლენის შემდგომ გაძლიერებას[160]. ბიზანტიაში კი ამ მხრივ რთული ვითარება იყო.

ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების (451 წ.) შემდეგ, რომელმაც დიოფიზიტური მართლმორწმუნეობა ბიზანტიის სამეფო კარის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოაცხადა, ვნებათა ღელვა არ ჩამქრალა და რწმენის საკითხი ნაციონალურს დაუკავშირდა.

ეგვიპტეში და აღმოსავლეთ სომხეთში გაბატონებულ სარწმუნოებრივ მრწამსად მონოფიზიტიზმი იყო. სირიაშიც იგი ძლიერ იყო გავრცელებული. დაპირისპირებულ პარტიათა ურთიერთწინააღმდეგობა ალექსანდრიაში სისხლისღვრამდე მიდიოდა. კონსტანტინოპოლის დიოფიზიტი პატრიარქი აკაკი, ვნებათა ღელვანი რომ დაეცხრო, გარკვეულ დათმობაზე წავიდა მონოფიზიტების წინაშე და გამოიმუშავა ისეთი ტექსტი საიმპერატორო ბრძანებულებისა, რომელსაც თითქოს სარწმუნოებრივი თანხმობა უნდა დაემყარებინა ალექსანდრიისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოთა შორის. იმპერატორ ზენონის ეს ბრძანებულება, რომელმაც „ჰენოტიკონის" (ერთიანობის) სახელწოდება მიიღო 482 წელს იქნა გამოცხადებული[161].

პოლიტიკური მოსაზრებით ვახტანგ გორგასალმა სწორედ ამ შემთანხმებლურ რელიგიურ დოქტრინას დაუჭირა

მხარი, რამაც გამოიწვია კონფლიქტი ისეთ ორთოდოქს დიოფიზიტთან, როგორიც ვახტანგისავე დაყენებული მთავარეპისკოპოსი მიქაელი იყო.

ჯუანშერის მიხედვით, ეს კონფლიქტი ვახტანგის სპარსეთიდან დაბრუნებისთანავე მოხდა, რაც ანაქრონიზმი უნდა იყოს[162]. მაგრამ მიზეზი კონფლიქტისა მას სწორად აქვს მითითებული: „და ვითარცა ცნა ეპისკოპოსმან (მიქაელ), ვითარმედ წარავლინა მეფემან მოციქული (კონსტანტინოპოლში) მოყვანებად კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა, დაუმძიმდა მას ზედა და იწყო რეცა ამბოხებად და მიზეზობად... და ჰგონებდა, რათა შფოთითა დააცადოს საქმე იგი... და კრულ ყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი... მოვიდა მეფე, და გარდაჴდა საჴედარსა, რათამცა შეემთხჳა ფერჴთა ეპისკოპოსისათა. და განძრა მან ფერჴი, და მიამთხჳა პირსა მეფისასა ფანდაკითა (ქუსლით) და შემუსრა კბილი მისი"[163].

ჩანს, მთავარეპისკოპოსი განრისხებული იყო იმის გამო, რომ ვახტანგს განზრახული ჰქონდა მისი გადაყენება, მაგრამ თუ რა იყო ამ განზრახვის საფუძველი ისტორიკოსი არას ამბობს. საამისო საფუძველი კი უნდა ყოფილიყო პოლიტიკური მოტივი – ვახტანგ გორგასლის მისწრაფება ირანისაგან გამიჯვნისა და ბიზანტიასთან დაახლოებისა, რაც სხვათა შორის, გულისხმობდა ზენონის რელიგიური პოლიტიკის გაზიარებას ანუ „ჰენოტიკონის" მიღებას, რისი აშკარა მოწინააღმდეგეც იყო მთავარეპისკოპოსი მიქაელი[164]

ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს V ს–ის 80–იან ნლებში ქართლის ეკლესია (და, ალბათ, ეგრისისაც) „ჰენოტიკონის" შემრიგებლურ კურსზე რომ უნდა დამდგარიყო, ამას მოწმობს 506 ნლის ამიერკავკასიურ ეკლესიათა კრება დვინში, რომელზედაც VI ს–ის დასაწყისის სირიელი ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, სიმეონ ბეთ–არშამელის სიტყვით, „ჰენოტიკონის" კურსი დაამტკიცა „ქვეყანა გურზანის 33 ეპისკოპოსმა მეფესთან და დიდებულებთან ერთად"[165].

ამგვარად, ვახტანგ გორგასალმა ორთოდოქსი დიოფიზიტი მთავარეპისკოპოსი გააძევა და მცხეთაში მღვდელმთავრის ტახტზე დასვა „ჰენოტიკონის" მომხრე პეტრე, რომელსაც კათალიკოსის პატივი მიენიჭა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ" აღნიშნავს: „პირველი კათალიკოსი იყო პეტრე ვახტანგ მეფისა ზე"[166] ჯუანშერიც საგანგე-

ბოდ გადმოგვცემს: "ხოლო მცხეთას მეფემან ვახტანგ აღაშენა ეკლესია მოციქულთა სუეტი ცხოველი... და მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად და სამოელ ეპისკოპოსად მცხეთასავე საეპისკოპოსოსა"[167], გარდა ამისა, ვახტანგ გორგასალმა მიქაელ მთავარეპისკოპოსთან ერთად, როგორც ჩანს, მისი თანამოაზრე ეპისკოპოსებიც გადააყენა და ისინი „ჰენოტიკონის" დოქტრინის მომხრე და ამდენად მეფის ერთგული მღვდელმთავრებით შეცვალა[168], რის შესახებაც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული.

ქართლში კათალიკოსობის დაწესება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას ნიშნავდა[169]. სხვათა შორის ამას პირდაპირ უნდა გვიმოწმებდეს ძველქართული წყარო „მოქცევაჲ ქართლისაჲ": „აქათგან იწყეს კათალიკოზთა მამადმთავრობად. პირველი კათალიკოზი იყო პეტრე ვახტანგ მეფისა ზე"[170]. ქართული "მამადმთავარი" იგივე ბერძნული „პატრიარქია" და ამდენად ქართული წყაროს მიერ ხაზგასმით ამის აღნიშვნა, შესაძლებელია სწორედ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დასაწყისს მიუთითებდეს[171].

რომ ქართლის ეკლესიას, მართლაც, ვახტანგ გორგასლის დროს უნდა მიეღო დამოუკიდებლობა, ამას იგივე 506 წლის ამიერკავკასიური ეკლესიების საერთო კრების მასალები მოწმობს, რომლებიდანაც აშკარად ჩანს, რომ ქართლის, სომხეთის და ალვანეთის ეკლესიების საჭეთმპყრობლები, კათალიკოსები, თანაბარი რანგის და ბიზანტიისაგან დამოუკიდებელი იერარქები არიან[172].

რიდის უნდა მიეღო ქართლის ეკლესიას ავტოკეფალია? ჩვენი აზრით, ამ მხრივ მნიშვნელოვანია ანტიოქიელი პატრიარქის იოანეს წერილი მარუფა ტაგრიდის მიტროპოლიტისადმი (VII ს.): „უნინ სპარსეთის კათალიკოსის (საყდარი) და არმენიის, გურზანის და არანის კათალიკოსის საყდარი ანტიოქიის საყდარს ემორჩილებოდა ბაბაჲ კათალიკოსის მოკვლამდე" (484 წ.)[173] ამგვარად, ამ ცნობის მიხედვით, ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია დაახლოებით 485 წელს უნდა მოეპოვებინა[174]. თვით ბიზანტიის ხელისუფლების თანხმობა ამაზე გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, იმით, რომ „ჰენოტიკონის" გამოქვეყნების მიუხედავად დოგმატური (და ნაციონალური) ვნებათა ღელვანი აღმოსავლეთში არ ცხრებოდა და ამ თვალსაზრისით „ჰენოტიკონის" კურსის გამზიარებელ ქართლის სამეფოსთან

ურთიერთობის გართულება იმპერატორის კარისთვის სასურ-
ველი არ იყო; მეორე მხრივ, კი, რა თქმა უნდა, ეს თვით ვახ-
ტანგ გორგასლის სამეფოს სიძლიერესა და პრესტიჟზე მიუ-
თითებს[175].

ამგვარად, ეკლესიური დამოუკიდებლობა ქართლს შა-
ჰანშაჰ ვალარშის დროს (484–488 წწ.) უნდა მიეღო.

ვახტანგ გორგასლის მიერ გეგმაზომიერად გატარებუ-
ლი საგარეო და საშინაო პოლიტიკის შედეგად, ჩვენი აზრით,
ყველა სათანადო წანამძღვრები შეიქმნა, რომ ქვეყანას სრუ-
ლი დამოუკიდებლობა მოეპოვებინა: ირანის წინააღმდეგ 80-
იან წლებში ამიერკავკასიელი ხალხების აჯანყების შედეგად
სომხეთმა თვითმართველობა დაიბრუნა, ალვანეთში მეფობა
აღდგა და ქრისტიანობის განმტკიცების ნიადაგზე ქვეყნის ხე-
ლახალი გაერთიანება დაიწყო. ეჭვი არ არის, ქართლში, სა-
დაც მეფობა გაუქმებული არც იყო და ამდენად, ირანის პო-
ლიტიკური გავლენა ისედაც ნაკლები იყო მეზობელ ქვეყნებ-
თან შედარებით, დაუძლურებული ირანისაგან დამოუკიდებ-
ლობა კიდევ უფრო ძლიერად უნდა გამოხატულიყო. მეორე
მხრივ ქვეყნის, დასავლეთის და აღმოსავლეთის გაერთიანება,
მთის დამორჩილება, ბიზანტიასთან, პოლიტიკური მორიგების
შემდეგ, მჭიდრო სავაჭრო და კულტურული კონტაქტების გა-
ნახლება[176], დამოუკიდებელი საეკლესიო იერარქიის შექმნა,
ციხე-ქალაქთა და ეკლესიათა მშენებლობა, ყველაფერი ეს
ვახტანგ გორგასლის მიერ შექმნილი ერთიანი ქართული სა-
ხელმწიფოს სიძლიერეზე მეტყველებს, რაც ქმნის სწორედ სა-
ფუძველს დამოუკიდებლობისათვის. დასასრულ, საგარეო ვი-
თარებაც, საგარეო და შინაპოლიტიკური გართულებანი ორი-
ვე მეზობელ იმპერიაში, რაც იმით გამოიხატა, რომ 442 წლი-
დან დაწყებული მთელი V ს-ის განმავლობაში მათ შორის იძუ-
ლებითი მშვიდობა სუფევდა, ესეც, რა თქმა უნდა, მნიშვნე-
ლოვანწილად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა საამისოდ.

მოვლენათა შემდგომი განვითარება ვახტანგ გორგას-
ლისათვის ამ თვალსაზრისით ფრიად მარჯვე უნდა ყოფილი-
ყო. ირანში დიდხანს სტაბილიზაცია არ დამყარებულა. შაჰან-
შაჰი ვალარში მშვიდობისმოყვარე პიროვნება იყო. იგი სამე-
ფო ტახტზე მაშინ დაჯდა, როდესაც აღმოსავლეთში პეროზის
განუწყვეტელი უიღბლო ომების გამო სახელმწიფო ხაზინა
სრულიად გამოცარიელებული იყო, ხოლო მინების დიდი ნანი-

ლი – აოხრებული ჰუნთა შემოსევების წყალობით. ლაშქარი ფულს ითხოვდა, უკმაყოფილონი იყვნენ მოგვებიც. ვალარშმა ელჩობა გაგზავნა კეისარ ზენონთან, რომ მას ოქრო გამოეგზავნა კავკასიის კართა დასაცავად, მაგრამ უარი მიიღო. არაპოპულარული ვალარში, რომელიც არ იყო ის კაცი, რომელსაც იმპერიის ძლევამოსილების აღდგენა შეეძლო, ტახტიდან ჩამოაგდეს და დააბრმავეს, ხოლო მის მაგივრად პეროზის შვილი კავადი დასვეს (488 წ.)[177]

კავადი, რომელიც მამამისის ჰუნ–ჰეფტალიტებთან პირველი დამარცხების შემდეგ მძევლად იყო მათთან, კარგ ურთიერთობაში იყო ჰეფტალიტთა მეფესთან და მისი მეფობის დროს ურთიერთობა აღმოსავლელ მეზობელთან ნაკლებად დაძაბული იყო[178]. 491 წელს შაჰანშაჰმა ელჩობა გააგზავნა ზენონთან იგივე მოთხოვნით. ელჩები ანტიოქიაში იყვნენ, როდესაც გაიგეს ბიზანტიის იმპერატორის გარდაცვალების შესახებ (491 წლის 10 დეკემბერს). მიუხედავად ამისა, კავადის ბრძანებით, ელჩებმა გზა განაგრძეს და უკვე 492 წელს ახალ იმპერატორ ანასტასიუსთან გამოცხადდნენ. ამ უკანასკნელმაც უარით გამოისტუმრა ისინი. იეშუ სტილიტის გადმოცემით, ეს რომ კავადის ქვეშევრდომმა სომხებმა გაიგეს, აუჯანყდნენ სპარსელებს, დაანგრიეს მათ მიერ აგებული ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრები და დახოცეს მათ შორის მყოფი მოგვები. კავადმა ერთ–ერთი მარზპანი ლაშქრითურთ გააგზავნა მათ წინააღმდეგ, რომელიც სომხებმა დაამარცხეს. ამის შემდეგ სომხებმა წარმომადგენლები გაუგზავნეს კეისარს და მის ქვეშევრდომობაში შესვლა სთხოვეს. ანასტასიუსმა, იმის შიშით რომ მისთვის ომის სურვილი არ დაეწამებინათ, არ მიიღო სომხების წინადადება.

ცოტა ხნის შემდეგ სპარსელებს მათ ტერიტორიაზე მოსახლე სხვადასხვა ტომებიც აუჯანყდნენ, ხოლო არაბებმა ყაჩაღობა დაიწყეს და მთელი სპარსეთის მიწა–წყალს არბევდნენ[179]. ყველაფერი ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ სასანური ირანის ცხადი დასუსტების პირობებში, როდესაც სახელმწიფოში აშკარა სოციალური ბრძოლა მიმდინარეობდა დიდგვაროვნებსა და მდაბიოთა შორის მაზდაკიტური მოძრაობის სახით[180]. პირველ ხანებში თვით შაჰი კავადიც კი მიემხრო ამ სოციალურ მოძრაობას, მაგრამ 496 წელს დიდგვაროვნულმა არისტოკრატიამ და ქურუმებმა შესძლეს მისი ტახტიდან ჩა-

მოგდება და გაძევება. კავადმა თავი ჰეფტალიტებთან შეაფარა, საიდანაც 498/9 წელს ჰუნთა ჯარით უკან მობრუნდა. ჯამასპი, მისი ძმა, რომელიც ტახტზე იჯდა, გაიქცა. მთელი ეს პერიოდი სომეხთა აჯანყება გრძელდებოდა.

ჯამასპის გადმოგდების შემდეგ კავადმა დასაჯა ნაწილი დიდებულებისა, განიმტკიცა სამეფო ხელისუფლება და დაიმორჩილა მეამბოხენი[180]. რაც შეეხება სომხებს, როგორც იეშუ სტილიტი გადმოგვცემს, მათ ეშინოდათ, რომ კავადი შურს იძიებდა მათზე და ამიტომ არ უნდოდათ დამორჩილება. კავადმა გაილაშქრა სომხეთში და ბრძოლით დაიმორჩილა იგი, თუმცა, ქვეყანა არ დაურბევია; დაუმტკიცა სომხებს რელიგიური თავისუფლება იმ პირობით, რომ დაეხმარებოდნენ ბიზანტიასთან მომავალ ომში, რაზედაც ისინი დათანხმდნენ[182]. ეს უნდა მომხდარიყო დაახლ. 500 წ.

ამგვარად, ვალარშის ხანმოკლე (484–488 წწ.) და სუსტი მმართველობის შემდეგაც, კავადის მეფობის (488–531 წწ.) დასაწყისში, მაინცდამაინც 499 წ–მდე სომხეთი და, სავარაუდოა, მთელი ამიერკავკასიაც, ფაქტობრივად, გამოსული უნდა ყოფილიყო ირანის პოლიტიკური კონტროლის სფეროდან, 492–499 წწ–ში ხომ სომხეთი აშკარად აჯანყებული იყო ირანის წინააღმდეგ.

მართალია, ჩვენ არაფერი კონკრეტული არ ვიცით ქართლის სამეფოს შესახებ V ს–ის 90–იან წლებში, მაგრამ ზემოთქმული, ვფიქრობთ, გვაძლევს სრულ უფლებას ვივარაუდოთ, რომ ის პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც მან მოიპოვა შაჰ ვალარშის დროს კიდევ უფრო მეტად უნდა განმტკიცებულიყო. როდესაც მთელი სომხეთი აჯანყებულია სპარსეთის წინააღმდეგ, განა კორექტული იქნებოდა იმის წარმოდგენა, რომ ვახტანგ გორგასალი, 482–84 წლების ქართლისა და სომხეთის ანტიირანული ამბოხების ინიციატორი, ამბოხებისა, რომელიც რეალურად სპარსეთის მხრიდან დათმობებით დაგვირგვინდა და რომელსაც ქართლის სამეფოს საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვა, ახლა 90–იან წლებში ასეთ მარჯვე პოლიტიკურ ვითარებას, როდესაც ირანი დასუსტებულია აჯანყებებით და შინაგანი სამოქალაქო ომით, არ გამოიყენებდა თავისი ქვეყნის სასიკეთოდ[183]. სწორედ ამიტომ გვგონია, რომ ვახტანგმა ანტიირანული აჯანყე-

ბის შემდეგ მიაღწია ქართლის სამეფოს ფაქტობრივ დამოუკიდებლობას.

როგორც იეშუ სტილიტი, ამ ამბების თანამედროვე სირიელი ისტორიკოსი, ამბობს, ბიზანტიასთან ომის დაწყებამდე კავადს სომხეთში ულაშქრია და დაუმორჩილებია ქვეყანა. მაშასადამე, ეს ლაშქრობა უნდა მომხდარიყო 499–502 წლებს შორის. არ არის გამორიცხული „სომხეთი" სირიელის ტექსტში სასანური ირანის ადმინისტრაციული ერთეული იყოს, რომელიც შემდეგ არაბებმაც შეითვისეს ("არმინია") და რომელშიც საკუთრივ სომხეთთან ერთად ხშირად ქართლიც (არაბული „ჯურზან") იყო ხოლმე გაერთიანებული[184] (იხ. ქვემოთ). თუ ასეა, ადვილი შესაძლებელია კავადის „სომხეთში" ლაშქრობა, ფაქტობრივად, ქართლში მის შემოსვლასაც გულისხმობდეს.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს ამბავი უნდა იყოს გადმოცემული ჯუანშერთან: „და მოვიდა ხუასრო მეფე და შემუსრნა ქალაქი კამბეჩოანი, და ჭერმისა ციხე, და ველის–ციხე. და ვითარცა მოიწივნეს კახეთად, დაიბანაკეს იორსა ზედა. ხოლო სპანი ვახტანგისანი დადგეს ველსა ზედა, გარემოს ციხე–ქალაქსა (უჯარმისა), სადა ჰქჯან დარფაკა და შეიბნეს იორსა ზედა"[185]. უჯარმის ბრძოლა ვახტანგ გორგასლის დამარცხებით და მისი სიკვდილით დამთავრდა.

რომ ვახტანგ გორგასლისთვის ეს საბედისწერო ბრძოლა, მართლაც, იეშუ სტილიტთან მითითებულ კავადის „სომხეთში" ლაშქრობას გულისხმობს, ამას ერთი დეტალი უნდა მონმობდეს: ჯუანშერის სიტყვით, ომის დაწყების წინ შაჰანშაჰს შეუთვლია ქართლის მეფისთვის, რომ დახმარებოდა მას მომავალი ლაშქრობის დროს ბიზანტიაზე და ყოფილიყო „წინამძღურად მათდა შესლვასა ამას მათსა საბერძნეთად", რაზედაც ვახტანგს უარი განუცხადებია შაჰისთვის: „პირველად განემზადე ბრძოლად ჩუენდა, და ეგრე შევედ საბერძნეთად"[186]. აღსანიშნავია, რომ იეშუ სტილიტის მიხედვით სწორედ ასეთ პირობას უყენებდა მის წინააღმდეგ ამბოხებულ ტომებს და ხალხებს, კერძოდ, არაბებსა და სომხებს, ექსორიიდან ჰუნთა ლაშქრით სპარსეთში დაბრუნებული კავადი, მათი დაუსჯელობის საზღაურად[187] ეს ნიშანდობლივი დეტალი, რომელიც ჯუანშერის ჩვენების რეალურობაზე მიუთითებს,

ვფიქრობთ, უჯარმის ბრძოლას და ვახტანგ გორგასლის სიკვდილს 499–502 წლებს შორის გულისხმობს[188].

ვახტანგ გორგასლის სიკვდილის ორი ვერსიაა შემონახული ქართულ წყაროებში. ორივე თანახმაა იმაში, რომ ქართლის დიდებული მეფე სპარსელებთან ომის დროს იქნა მოკლული. ჯუანშერის მიხედვით ბრძოლა დილით დაიწყო „და ცისკარი რა აღეღებოდა, (ვახტანგი) დაესხა და შევლო ვიდრე პალატამდე მეფისა. შევიდა კარავსა შინა (სპარსთა) მეფისასა და მეფე შეესწრა ცხენსა ზედა, და ძე მისი ბარტამ მოკლა (ვახტანგმა) და მოჰკუეთა თავი მისი. და მუნ შინა სპარსმან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისსა, და იყო ბრძოლა ვიდრე შუადღემდე. სძლო ვახტანგ სპარსთა მათ". სპარსელები დამარცხდნენ ამ ბრძოლაში, „და აიყარა მუნით სპარსთა მეფე, და ჩადგა რუსთავს. და დამძიმდა წყლულება ვახტანგისი, რამეთუ შეწეულ იყო ისარი ფირტუად. და წარვიდა უჯარმოს"[189] აქვე გარდაიცვალა იგი, „ციხესა შინა უჯარმოისასა, რომელი აგებულ იყო ვახტანგ გორგასლისაგან რომელსა შინა თჳთ აღესრულა ლომი იგი ლომთა და გოლიათი გოლიათთა"[190]

არსენ ბერის (XII ს.) „ცხოვრებაჲ ნინოჲსი" პერიფრაზით: „დიდი ვახტანგ... მოიკლა იგი სპარსთა ბრძოლასა შინა მონაყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახევი ჯაჭჳსაი ღლიასა ქუეშე და აღიპყრა რაჲ ჴრმალი თჳსი, რაჲთა სცეს კაცსა სპარსთაგანსა, მონამან მან ბოროტმან ჰკრა ისარი ღლიასა ქუეშე და მით მოკუდა"[191]. დასაფლავებულია ვახტანგ გორგასალი „მცხეთას, საკათალიკოსოსა ეკლესიასა შინა სუეტსა თანა"[192] და „არს საფლავი მისი წინაშე სუეტისა ცხოვლისა და ზედა საფლავსა მისსა წერილ არს ხატი მისი, სწორი ჰასაკისა (=სიმაღლისა) მისისაჲ"[193].

როგორც ვხედავთ, განსხვავება ვახტანგის სიკვდილის ვითარებისა ქართულ წყაროებში არსებითია: თუ ჯუანშერის მიხედვით, იგი უშუალოდ შემოსეულ მტრებთან ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და ამის შედეგად გარდაიცვალა, არსენ ბერის მიხედვით, ვახტანგი მოკლულ იქნა სპარსელებთან ბრძოლის დროს, მაგრამ შეთქმულების შედეგად საკუთარი „მონაყოფილისა ვისგანმე მისისა ზაკუვით"[194]. შეიძლება დავასკვნათ, რომ ვახტანგ გორგასალი შინაური ოპოზიციისა და გარეპოლიტიკური ძალის ერთობლივი კავშირის მსხვერპლი გახდა

(მოვიგონოთ ჭარმანაინის ბრძოლისა და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენათა პერიპეტიები!).

ვახტანგ გორგასალმა უდიდესი სახელი დატოვა შთამომავლობაში. ამ მხრივ, მისი შედარება მხოლოდ დავით აღმაშენებელთან თუ შეიძლება. ჯერ ერთი, პიროვნულად იგი გამოირჩეოდა, როგორც ჩანს, განსაკუთრებული თვისებებით, კერძოდ, პირველ რიგში, გოლიათური აღნაგობით, არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალით და სიმამაცით, რომლითაც იგი განთქმული იყო, ყოველ შემთხვევაში, მთელს კავკასიაში, რასაც გვიდასტურებს, როგორც ვიცით, თვით მისი თანამედროვე სომეხი ისტორიკოსი, რომელიც, გარკვეული მიზეზების გამო, არ არის მისდამი სიმპათიურად განწყობილი. მის წარმოსადეგობას და უდიდეს ფიზიკურ ძალას მოწმობს არა მხოლოდ ჯუანშერის მონათხრობი, რომ „იყო იგი უმაღლეს კაცთა მის ჟამისათა, და უშუენიერეს სახითა და ძლიერი ძალითა, რომელი ჭურვილი ქუეითი ირემსა მიეწიის, უპყრის რქა და დაიჭირის, და ცხენი ჭურვილი აღიღის მჭართა ზედა და მცხეთით აღვიდის ციხესა არმაზისასა"[195], რომელიც შესაძლებელია რამდენადმე გაზვიადებულიც მოგვეჩვენოს, არამედ სრულიად რეალური ფაქტი გადმოცემული დავით აღმაშენებლის და მისი შვილის, დემეტრეს უახლოესი პირის, არსენ ბერის მიერ: „რამეთუ იყო საზარელ (შიშისმომგვრელი) და გოლიათ და განთქუმულ ყოველსა ქუეყანასა ზედა და ჰასაკითა (ტანით) უმეტეს ყოველთა კაცთა, რამეთუ ათორმეტი ბრჭალი (ტერფი) კაცისაჲ იყო სიმაღლე მისი. და აწცა რომელ არს აბჯარი და სამოსელი მისი, მისგან უფროჲს საცნაურ არს... და არს საფლავი მისი ნინაშე სუეტისა ცხოველისა და ზედა საფლავსა მისსა წერილ არს ხატი მისი, სწორი ჰასაკისა მისისაჲ"[196].

როგორც ვხედავთ, XII ს–ში სამეფო კარზე საგანგებოდ ყოფილა დაცული ვახტანგ გორგასლის „აბჯარი და სამოსელი", ხოლო სვეტიცხოველში – საფლავის ქვა მისი გამოსახულებით „სწორი მისი ჰასაკისა" (ე. ი. ნატურალური ზომით), რომელიც, რა თქმა უნდა, ცნობილი იყო არსენ ბერისთვის.

უფრო გვიანაც, როდესაც უნდოდათ მეფის ძლიერება და სიმხნე ხაზგასმით აღენიშნათ, მას ვახტანგ გორგასალს ადარებდნენ. ასე მაგალითად, დავით აღმაშენებლის შვილს თამარ მეფის ისტორიკოსი უწოდებს „დემეტრეს, ჴელმწიფესა

დიდსა და სახელ–განთქმულსა, ჭაბუკსა გორგასლიანსა“[197], ხოლო ჟამთააღმწერლის სიტყვით, დიდებულები ასე მიმართავდნენ ლაშა–გიორგის: „დიდი ნუგეშინის ცემა მოგუემატა ღმრთისა მიერ, რამეთუ გპოვეთ ახოვანი და გოლიათი, გორგასლიანი და დავითიანი, მსგავსი მათი“[198].

ამავე დროს წყაროები ხაზს უსვამენ დიდებული მეფის გონიერებას, განათლებას, ღვთისმოსაობას და კაცთმოყვარეობას. იგი „იზარდებოდა და ისწავლიდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა” და ახალგაზრდობისასვე სამეფო დარბაზობის დროს მსჯელობდა „ვითარცა მოხუცებული და ბრძენი და ვითარცა აღზრდილი ფილოსოფოსთა თანა”[199], იყო იგი ფრიად შემკულ ღმრთის-მსახურებითა და კეთილ-მორწმუნეობით”[200]. ამ შემთხვევაშიც იგი ეტალონი იყო შემდგომი მეფეებისათვის. ასე მაგალითად, დიდი ბაგრატ III–ის შესახებ XI ს–ის მემატიანე გვეუბნება: “და ვთქუა ესეცა, რომელ შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა და ყოვლითა გონებითა“[201]. მისი ტოლერანტული ხასიათი კარგად გამოჩნდა მიქაელ მთავარეპისკოპოსთან კონფლიქტის დროს, როდესაც ეს უკანასკნელი უკადრისად მოიქცა მის წინაშე. თუ რამდენად მძიმე დანაშაული ჩაიდინა მიქაელმა, ეს ჩანს კონსტანტინოპოლის პატრიარქის მისდამი მიმართული სიტყვებიდან: „კადრებისათვის მეფისა თანაგაც შენ სიკუდილი. ვითარცა იტყჳს (საღვთო წიგნი): „დაემორჩილენით თქუენ მეფეთა, რამეთუ არა ცუდად ჴრმალ აბიეს, რამეთუ ღმრთისა მიერ მთავრობს, ვითარცა ლომი შორის ცხოვართა”[202]. მიუხედავად ამისა კონფლიქტის მომენტში, განრისხებულ თავის მხლებლებს ვახტანგ მეფემ „ერსა ჴელი განუყარა და დაადუმა სიბრძნით”, ანუ უფლება არ მისცა სამაგიერო მიეზღოთ მთავარეპისკოპოსისათვის[203].

რა თქმა უნდა, რამდენადაც გონიერი, ძლიერი, ღვთისმოსავი და კაცთმოყვარე არ უნდა ყოფილიყო ვახტანგ გორგასალი, მხოლოდ ეს არ შეიძლება გამხდარიყო მისი დიდი სახელის და არაჩვეულებრივი პოპულარობის საფუძველი, რისი დამადასტურებელიცაა თვით ის ფაქტი, რომ XII ს–ში ჯერ კიდევ შემონახული იყო, უეჭველია, მოსაგონებლად და სამაგალითოდ მომავალ თაობათათვის, მისი პირადი საჭურველი და სამოსი. მისი, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწის, საქმია-

ნობა ქართველი ხალხის სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო.

ამისი მოწმობაა მისი საეკლესიო პოლიტიკა, რომელიც პრობიზანტიური მიმართულებისა იყო, რასაც, ცხადია პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ქართლის მეფე ირანის შაჰანშაჰის ვასალად ითვლებოდა, მან შეძლო ცეცხლთაყვანისმცემლობის კერების მოსპობა და საეპისკოპოსოთა ფართო ქსელის შექმნა დამოუკიდებელი კათალიკოსით სათავეში. შენდება ახალი ეკლესია–მონასტრები (ბოლნისი, სვეტიცხოველი, ოპიზა, ახიზა და სხვ.). მის სახელთანაა დაკავშირებული არა მარტო ქართული საეკლესიო იერარქიის ჩამოყალიბება, არამედ გარკვეული ღვთისმსახურების წესის, კერძოდ იერუსალიმური ლიტურგიის შემუშავება, რომელიც საქართველოში X ს–მდე მოქმედებდა, ვიდრე კონსტანტინოპოლური პრაქტიკა შემოვიდოდა[204]. ვახტანგ გორგასლის ეპოქას უკავშირებენ უძველესი ქართული მრავალთავის, ეკლესიაში საკითხავი ლიტურგიკული კრებულის, შექმნასაც[205] და IV ს–ში, მცხეთელ იუდეველ–ქრისტიანთა მიერ პალესტინურ–სირიულ, არამეულ დიალექტზე ჩაწერილი „ნინოს ცხოვრების" ქართულად თარგმნას[206]. ფიქრობენ, რომ მის დროს უნდა შექმნილიყო „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ქრონიკაც[207]. ამას რომ დავუმატოთ ცნობა იმის შესახებ, რომ ვახტანგ გორგასალს მდიდრულად შეუმკია სახარება[208], ჩვენ საკმაო წარმოდგენა გვექნება, თუ როგორ ზრუნავდა ეს მეფე ქართული მწერლობის განვითარებაზე, რომლის დონეც, თუ იაკობ ხუცესის შესანიშნავი თხზულებით – „მარტვილობაჲ შუშანიკისი" – ვიმსჯელებთ, ფრიად მაღალი უნდა ყოფილიყო.

დიდ ყურადღებას აქცევდა ვახტანგ გორგასალი ქვეყნის ეკონომიკურ ვითარებას, კერძოდ, საგარეო ვაჭრობის განვითარებას, განსაკუთრებით ბიზანტიასთან, რასაც ნუმიზმატიკური მასალა გვიდასტურებს. მის დროს საქართველოს ტერიტორია კვლავ საერთაშორისო–სატრანზიტო არეალს წარმოადგენს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რისი მოწმობაცაა V ს–ის ბიზანტიელი ანონიმის ცნობა, რომ ქალაქ ფოთში ადგილობრივ ტომთა გარდა ინდოელები და ბაქტრიელები ვაჭრობდნენ[209] გაღრმავდა და უფრო ინტენსიური გახდა კულტურული და სავაჭრო ურთიერთობა სახელმწიფოს სხვა-

დასხვა კუთხეებს შორის, კერძოდ "მთასა" და „ბარს" შორის. ამის შედეგად შენდება ახალი ქალაქები, იზრდება – ძველები (უჯარმა, ჭერემი, ხორნაბუჯი, თბილისი). სწრაფად ნავიდა წინ სხვადასხვა ქართველ ტომთა ინტეგრაციისა და არაქართველთა ასიმილაციის პროცესი.

და მაინც უდიდესი პოპულარობა ვახტანგ გორგასლისთვის უნდა მოეტანა სახელმწიფოს მშენებლობის საქმეს. მან წარმატებით მოიგერია „მთის" უკანასკნელი ძლიერი შემოტევა და შეიძლება ითქვას საბოლოოდ დაიმორჩილა მთა, რასაც მოწმობს, სხვათა შორის, ქალაქ უჯარმის მშენებლობა. ამ დიდი სახელმწიფო მოღვაწის თვალსაწიერში, ფაქტობრივად, პირველად შემოდის მთელი კავკასია: ვახტანგი აერთიანებს მთელ საქართველოს, თავის სამეფოს ფარგლებში შემოაქვს დასავლეთი ალვანეთი, საგანგებოდ ამაგრებს სახელმწიფოს კიდეებს: აღმოსავლეთით ირანის ექსპანსიის საწინააღმდეგოდ კახეთ–ჰერეთში აგებს ციხე–ქალაქებს (ხორნაბუჯი, ჭერემი, უჯარმა); სამხრეთ–დასავლეთით, კლარჯეთში, იმავე ირანისა და აგრეთვე ბიზანტიის შემოტევის შესაჩერებლად – არტანუჯის გრანდიოზულ ციხე–სიმაგრეს. ჩრდილოეთით აგებს და ამაგრებს უღელტეხილთა კარებს, ქართლის პოლიტიკურ გავლენას ავრცელებს ჩრდილოეთ კავკასიაზეც. მის მიერ შექმნილი ვრცელი სახელმწიფოს ცენტრი მცხეთიდან თბილისში გადმოაქვს და ამდენად, თბილისის მნიშვნელობის შემდგომი ზრდის და მისი ამიერკავკასიის ცენტრად გადაქცევის პროცესს უდებს საფუძველს, ხოლო თვით სახელმწიფოს, ფაქტობრივ, დამოუკიდებლობას მოუპოვებს.

სწორედ ამიტომ არის, რომ მან შთამომავალობაში ერთ–ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწის სახელი დაიმკვიდრა და რომ შემდგომ დიდ ქართველ მეფეებს, მაგალითად თამარის მამას, ახოვან გიორგი III–ს „ტანით გორგასლიანს" და „მისებრ მპყრობელს აღმოსავლეთისა და დასავლეთისას" უწოდებენ[20]. ამიტომ არის, რომ ქართული ისტორიოგრაფია მას დავით აღმაშენებლის გვერდით აყენებდა, როდესაც საქართველოს ეროვნულ დროშას „გორგასლიანისა" და „დავითიანის" ეპითეტებით ამკობდა[21].

მიუხედავად ამისა, ვახტანგ გორგასალი, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ამავე დროს ტრაგიკული პიროვნება იყო. მისი დროის ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკური

ვითარება მას აიძულებდა რთული დიპლომატიის საშუალებით, ბიზანტიის დაპირისპირებით ირანთან და პირუკუ, მოეპოვებინა სამეფოსთვის ფაქტობრივი დამოუკიდებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის შინაგანი სოციალური განვითარების შედეგად შექმნილ ვითარებაში იგი ცდილობდა წარჩინებულთა სეპარატისტული ტენდენციები შეეგუებინა თავის ცენტრალისტურ პოლიტიკასთან. რამდენადაც ეს საგარეო და საშინაო ფაქტორები ერთმანეთთან, იმდროინდელი ისტორიული აუცილებლობის შედეგად, მჭიდრო კავშირში აღმოჩნდა, ამდენადვე ვახტანგ გორგასლის პროგრესული პოლიტიკური მიზნები ობიექტურად მიმართული იქითკენ, რომ შექმნილიყო ერთიანი ეროვნული სახელმწიფო, წინასწარ განწირული იყო. სიმბოლურია მისი სიკვდილიც: იგი შინაგანი ოპოზიციისა და გარეპოლიტიკური ძალის ერთობლივი კავშირის მსხვერპლი გახდა.

შინაგანი სოციალური განვითარებისა და გარეპოლიტიკური ვითარების შედეგად შექმნილი ძალთა განწყობილების გამო ვახტანგ გორგასლის დიდი წამოწყება ნაადრევი აღმოჩნდა და, ფაქტობრივად, მასვე გადაჰყვა.

შენიშვნები:

1. ქც, I, გვ. 248.
2. ჯავახიშვილი ი., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 189-194.
3. ასე ფიქრობდა ჯერ კიდევ თ. ჟორდანია (იხ. მისი, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტ. I, ტფ., 1892, გვ. XXXIV, XXXV), თუმცა იგი გვიანდელ ინტერპოლაციებზეც მიუთითებდა. დღეს ამ მოსაზრების დამკვიდრებას ცდილობს ვ. გოილაძე (იხ. მისი, ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1991, გვ. 42 და შემდ).
4. ქც, I, გვ. 158.
5. Christensen A., L' Iran sous les Sassanides, Copenhague, 1944, pp. 298, 290.
6. ქც, I, გვ. 160.
7. იქვე, გვ. 199.

8. ანჩაბაძე გ., ჯუანშერი და მისი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა", „მაცნე", ისტორიის... სერია, №4, 1987, გვ. 184-188. გ. ანჩაბაძემ, ჩვენი იზრით, სავსებით დამაჯერებლად აჩვენა, რომ ჯუანშერი არ შეიძლება იყოს XI ს-ის, უფრო სწორად, ბაგრატ III-ის (978-1014) თანამედროვე და მისი მეფობის შემდგომდროინდელი მწერალი. რაც შეეხება მის არგუმენტაციას VIII ს-თან დაკავშირებით, იგი, ფაქტობრივად, იმით გამოიხატება, რომ „ჩვენ არავითარი საბუთი არ გაგვაჩნია იმისათვის, რომ უნდობლობა გამოვუცხადოთ „ქართლის ცხოვრების" ცნობილ მინაწერს" (იქვე, გვ. 185). ცხადია, ეს არ არის საკმარისი.
9. მაგალითად, ჩანართი „პაჭანიგთა" შესახებ (იხ. ჟორდანია თ., დასახ. ნაშრომი, გვ. XXXV; ჯავახიშვილი ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 190; ანჩაბაძე გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 187). გ. ანჩაბაძე სავსებით მართალია, რომ ფაქტობრივად, ამ ჩანართმა გამოიწვია მთელი თხზულების დათარიღება XI ს-ით. მისი აზრით, ეს ინტერპოლაცია „ქართლის ცხოვრების" შემდგენელს უნდა ეკუთვნოდეს.
10. იხ. მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966, გვ. 62, 63; მისივე, „ქართლის ცხოვრების" შედგენილობისათვის, „მაცნე", ისტორიის.... სერია, №4, 1987, გვ. 183, 184.
11. იხ. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. I, თბ., 1977, გვ. 77, 78.
12. მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ.92, 93. აქ აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ ანონიმისაგან განსხვავებული კონცეფცია აქვს „მატიანე ქართლისაჲს", რაც გამორიცხავს, ჩვენი აზრით, იმის შესაძლებლობას, რომ „ქართლის ცხოვრების" ტექსტი ვახტანგის გარდაცვალებიდან VIII ს-ის მეორე ნახევრამდე „მატიანე ქართლისაჲს" დასაწყის ნაწილად ჩავთვალოთ, როგორც ეს მიაჩნდა კ. კეკელიძეს (იხ. მისი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981, გვ. 259, 260) და ამჟამად მიაჩნია გ. ანჩაბაძეს (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 187, 188). დაწვრილებით „ქართლის ცხოვრების" უძველესი ნაწილის შედგენილობის ჩვენეულ თვალსაზრისზე სხვაგან ვსაუბრობთ (იხ. მუსხელიშვილი დ., „ქართლის ცხოვრების" უძველესი ნაწილის შედგენი-

ლობა და ჯუანშერის თარიღი. კრებ.: „საქართველო ვახტანგ გორგასლის ეპოქაში", თბ., 1999).

13. ქც, I, გვ. 177.

14. „ნამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსა ჰაბოჲსი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს, ჴელითა სარკინოზთაჲთა, გამოთქუმული იოვანე ძისა საბანისი ბრძანებითა ქრისტჱს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისაჲთა", „ძეგლები", I, გვ. 46.

15. რომ ამ თხზულებაში სანდო ისტორიული რეალიებია დაცული ამას ი. ჯავახიშვილიც აღნიშნავდა, რომელსაც საერთოდ ჯუანშერის ნაწარმოები „ვახტანგის ზღაპრულ ისტორიად" მიაჩნდა (იხ. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 281). კერძოდ, ასეთ სანდო ცნობად თვლიდა იგი ვახტანგის მიერ საეკლესიო რეფორმის ჩატარებას, აგრეთვე იქ დაცულ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეალიებს (იხ. მისივე, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 193). თხზულების ლეგენდარული ხასიათის საფუძვლების ახსნის ცდა აქვს გ. ანჩაბაძეს, რომელიც საერთოდ თვლის, რომ იქ „რამდენიმე აშკარად გაზვიადებული ცნობის და გაზრდილი ციფრობრივი მონაცემების გარდა, ძნელია არასარწმუნო ადგილის პოვნა" (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 187). ვ. გოილაძე კი აღნიშნავს, რომ „დასახელებული ნაწარმოების სახით, ვფიქრობ, ჩვენს ხელთაა V ს-ში ვახტანგის თანამედროვე ავტორის მიერ დაწერილი „ცხოვრების" ოდნავ გადაკეთებული ვერსია, სადაც კარგად ჩანს „ცხოვრების" ავტორი, ჯუანშერ ჯუანშერიანი, მის მიერ აღნერილი ზოგი ამბის თვითმხილველი, ზოგის კი თანადამხვდური რომ იყო" (იხ. მისი, ვახტანგ გორგასალი, გვ. 43).

16. ლაზარ ფარპეცის ეს მონაცემები შესწავლილია ლ.-ნ., ჯანაშიას მიერ მის მონოგრაფიაში „ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ", თბ., 1962. ვახტანგ გორგასლის მეფობის დათარიღებასთან დაკავშირებით იგი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ჩვენს ხელთ არსებული ცნობები საშუალებას არ იძლევიან ზუსტად დავათარიღოთ ვახტანგ გორგასლის მეფობა. ჯერჯერობით ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ

ვახტანგის მეფობა მოდიოდა V ს. მეორე ნახევარზე" (დასახ. ნაშრომი, გვ. 168, შენიშვნა).
17. ჯანაშია, ლ.-ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 166.
18. ქც, I, გვ. 145.
19. იქვე.
20. იქვე.
21. ქც, I, გვ. 145; ლორთქიფანიძე მ., ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979, გვ. 27, 28.
22. ქც, I, გვ. 145, 146.
23. პრისკე პანიონელი, „გეორგიკა", I, გვ. 263.
24. Marquart I., Ērānsahr nach der Geographie des Ps. Moses Xorenaçi, Berlin, 1901, S. 96, 67; Пигулевская Н., Сирийские источники по истории народов СССР, М.-Л., 1941, стр. 45, 46.
25. ქც, I, გვ. 146.
26. პრისკე პანიონელი, გვ. 254. ამ ლაშქრობას ი. ჯავახიშვილი (იხ. მისი, ქართველი ერის ისტორია, I, 278) და მ. არტამონოვი (იხ. მისი, История хазаров, Л., 1962, стр. 62.) ათარიღებენ 456 წლით. ნ. ლომოური კონფლიქტის დასაწყისს აგრეთვე მარკიანე კეისრის დროს (450-457 წწ.) გულისხმობს (იხ. მისი, საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბ., 1989, გვ. 77, 78), ასევე ნ. ასათიანიც (იხ. მისი, საქართველოს ისტორია, თბ., 1999, გვ. 83), ხოლო ა. ბოგვერაძე 463 წელს (იხ. მისი პრისკე პანიონელის ერთი ცნობის შესახებ. „ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული", თბ., 1976, გვ. 192).
27. Christensen A., L' Iran sous les Sassanides, Copenhague, p. 292, 293.
28. ქც, I, გვ. 196.
29. მოქცევაჲ, გვ. 93.
30. არსენ ბერი, ცხორებაჲ ნინოჲსი, ძეგლები, III, თბ., 1971, გვ. 47 და 81.
31. ბოგვერაძე ა., პრისკე პანიონელის ერთი ცნობის შესახებ, გვ. 196; მისივე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, გვ. 39.
32. პრისკე პანიონელი, გვ. 259, 260.
33. Marquart I., Ērānsahr, S. 99 ა. ბოგვერაძე ჰუნ-სარაგურთა ამ შემოსევას აიგივებს ჯუანშერის ზემოხსენებულ ცნობასთან „ოვსთა" ქართლში ლაშქრობის შესახებ (იხ. მისი,

პრისკე პანიონელის ერთი ცნობის შესახებ, გვ. 196; მისივე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, გვ. 40). მართლაც, არ არის გამორიცხული ჯუანშერის მიერ აღწერილი „ოვსთა" შემოსევა ჰუნთა ორივე (448 და 466 წლების) სამხედრო რეიდების ერთობლივი ანარეკლი იყოს. კერძოდ, მეფის დის, მირანდუხტის „ოვსთა" მიერ დატყვევება სწორედ 466 წლის შემოსევისას უნდა მომხდარიყო.

34. ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნა, იხ. პრისკე პანიონელი, გვ. 260, შენ. 1.

35. Marquart I., Ērānsahr, S. 101. თვით ი. მარკვარტი, პრისკე პანიონელის ზემოხსენებული ცნობის კონტექსტის მიხედვით თვლის, რომ „იუროიპაახი" დარიალანს უნდა გულისხმობდეს, მაგრამ რამდენადაც აგათანგელოსთან „ალანთა კარი და ივროᲲ პაჰაკი" ერთად მოიხსენიება, ამიტომ იქით იხრება, რომ ეს უკანასკნელი თითქოს დარუბანდს უნდა აღნიშნავდეს. სინამდვილეში ეჭვი არ არს, რომ სომეხ აგათანგელოსთან შეცდომაა და „ალანთა კარის" მაგივრად დედანში „ალვანთა კარი" (=დარუბანდი) ეწერებოდა. ასეთი აღრევა სომხური მართლწერის ნიადაგზე სრულიად გასაგებია და სხვაგანაც გვხვდება, კერძოდ, სომეხ ისტორიკოს ლაზარ ფარპეცისთან (იხ. ჯანაშია ლ.-ნ., ლაზარ ფარპეცის ცნობები, გვ. 130, 131). „იუროიპაახს" დარუბანდთან აიგივებს, ჩემი აზრით, შეცდომით მ. ინაძეც (იხ. მისი, კასპიის კარი (დარიალი, დარუბანდი) ახ. წ-ის I-VI საუკუნეთა საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებში. „ქართული დიპლომატია", წელიწდეული, №3, თბ., 1996, გვ. 63.

36. შდ. ტომაშეკის და დობლჰოფერის აზრებს (იხ. „გეორგიკა", II, გვ. 241, შენიშვნა).

37. პრისკე პანიონელი, გვ. 260.

38. ვახტანგ გორგასლის ერთგული სამსახურის შესახებ შაჰანშაჰისადმი ჯუანშერის აზრი კარგად გამოსჭვივის სინდთა მეფესთან მის „გაბაასებაში" (ქც, I, 191-193).

39. ქც, I, გვ. 150, 151.

40. ქც, I, გვ. 151.

41. იქვე, გვ. 156, 157.

42. იქვე, გვ. 156; შდ. არსენ ბერი, „ძეგლები", III, გვ. 48.

43. ჯანაშია ლ.-ნ., ლაზარ ფარპეცის ცნობები, გვ. 248-250.

44. ქც, I, გვ. 157.
45. პრისკე პანიონელი, გვ. 255, 256.
46. იქვე, გვ. 259.
47. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, I,გვ. 278; ბოგვერაძე ა., პრისკე პანიონელის ერთი ცნობის შესახებ, გვ. 193, 194.
48. ლომური ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 80.
49. ჯავახიშვილი ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 279; ლომური ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 84; ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 194; დ. ლეთოდიანის აზრით, პირუკუ, გუბაზს მიზნისთვის მიუღწევია და თავისი ხელდასმული მემკვიდრე ეგრისის ტახტზე ბიზანტიის ჩარევის გარეშე შეუნარჩუნებია (იხ. მისი, ეგრისის სამეფოს ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასთან V საუკუნის მეორე ნახევარში. „ქართული დიპლომატია", წელინდეული, №1, თბ., 1994, გვ. 93).
50. პრისკე პანიონელი, გვ. 256.
51. კეკელიძე კ., Историко-агиографические отрывки, კრებ.: ეტიუდები, VII, თბ., 1961, გვ. 5,6. არის თუ არა ეს ადგილი ბერძნულ დედანში, არ ვიცით, რადგან დედანი არ გამოქვეყნებულა.
52. გუბაზის V ს-ის 50-იან წლებში აჯანყების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ტერიტორიულ საკითხს თვლის დ. ლეთოდიანიც (იხ. მისი, ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს სამხრეთი საზღვრის საკითხი ბიზანტია-ეგრისის ურთიერთობაში (V-VI სს-ში). „ქართული დიპლომატია", წელინდეული, №4, თბ., 1997).
53. შდ. ლეთოდიანი დ., ეგრისის სამეფოს ურთიერთობა, გვ. 61. უფრო გვიან ბიზანტიას კიდევ ჩამოუჭრია სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორია და საზღვარი ეგრისთან მდ. ჭოროხის შესართავზე დაიდო. ამას გვაფიქრებინებს V ს-ის ბიზანტიელი ანონიმის მოწმობა, რომ „დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლისიდან მდინარე აფსაროსამდე წინათ ცხოვრობდა ხალხი კოლხებად წოდებული, ახლა ლაზებად სახელშეცვლილი" (ანონიმი, §7).
54. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, გვ. 201 და რუკა IV.

55. ლომოური ნ., საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, გვ. 65.
56. შდ. ლომოური ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 85, 86; ნ. ასათიანის მიხედვითაც, ბიზანტიასთან კონფლიქტი გუბაზის ირანული ორიენტაციით იყო გამოწვეული (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 83).
57. იხ. Мусхелишвили Д., Кавказская политика средневековой Грузии (до XIII в.). "Caucasica", v. I, Tbilissi, 1998, p. 164, 167.
58. პრისკე პანიონელი, გვ. 254. ნ. ლომოურის აზრით, ეს ხდება მარკიანე კეისრის დროს (450-457 წწ.) (იხ. ლომოური ნ., საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა, გვ. 78). ა. ბოგვერაძე კი, როგორც ვიცით, თვლის, რომ ეს მოხდა ლეონ I კეისრის მეფობისას (457-474 წწ.) და კიდარიტებთან მებრძოლი შაჰანშაჰი კი პეროზია (459-484 წწ.) (იხ. ბოგვერაძე ა., პრისკე პინიონელის ერთი ცნობის შესახებ, გვ. 191, 192).
59. პრისკე პანიონელი, გვ. 259.
60. აგათია სქოლასტიკოსი, „გეორგიკა", III, გვ. 84; იოანე მალალა, იქვე, გვ. 264, 265.
61. პრისკე პანიონელი, გვ. 262, 263.
62. Пигулевская Н. В., Якубовский А. Ю. и др., История Ирана с древнейших времен до XVIII века, Л., 1958, стр. 54.
63. იხ. ლომოური ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 86; ბოგვერაძე ა., პრისკე პანიონელის ერთი ცნობის შესახებ, გვ. 195.
64. პრისკე პანიონელი, გვ. 261, 262.
65. ბოგვერაძე ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 194.
66. Кулаковский Ю., История Византии, т. I, Киев, 1913, стр. 398.
67. შდ. ბოგვერაძე ა., იქვე, გვ. 195.
68. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თავი III, §3; ბოგვერაძე ა., დასახ., ნაშრომი, გვ. 196.
69. ბოგვერაძე ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 197.
70. იქვე.
71. ქც, 157.

72. Кулаковский Ю., История Византии, т. I, стр. 367-369, 381, 382; Лсвченко М. В., История Византии, М.-Л., 1940, стр. 41, 42; История Византии, М. т. I, 1967, стр. 202.
73. ქც, I, გვ. 185.
74. შდ. Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959, стр. 465, მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 215; ლორთქიფანიძე მ., ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 58.
75. გოილაძე ვ. (იხ. მისი, ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, გვ. 100) ვახტანგ გორგასლის დასავლეთ საქართველოში ლაშქრობას და მის შემოერთებას 448-450 წლებით ათარიღებს, რაც არ შეიძლება სწორი იყოს, რადგან V ს-ის 50-60-იან წლებში ეგრისი, როგორც ვიცით, ბიზანტიის ქვეშევრდომი სახელმწიფოა, სადაც 465 წ-დე გუბაზი მეფობს, ხოლო 465 წლიდან (469 წლამდე?) მისი შვილი.
76. პროკოპი კესარიელი, „გეორგიკა", II (2), გვ. 47, 48.
77 იოანე მალალა, „გეორგიკა", III, გვ. 263, 264.
78. თეოფანე ჟამთააღმწერელი, „გეორგიკა", IV_1, გვ. 77.
79. „პასქალური ქრონიკა", „გეორგიკა", IV_1, გვ. 11-13.
80. იოანე მალალა, გვ. 266, 267; „პასქალური ქრონიკა", გვ. 13, 14; თეოფანე ჟამთააღმწერელი, გვ. 78, 79.
81. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, გვ. 209, 210. ეს თვალსაზრისი დღეს ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიღებულად უნდა ჩაითვალოს (იხ. ბოგვერაძე ა., პრისკე პანიონელის ერთი ცნობის შესახებ, გვ. 193; ლეთოდიანი დ., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება VI ს-ის პირველ ნახევარში. „ქართული დიპლომატია", ნელინდეული, №3, თბ., 1996, გვ. 89), თუმცა ამ ფაქტს სრულიად უსაფუძვლოდ ეჭვქვეშ აყენებს ნ. ლომოური (იხ. მისი, საქართველოს და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, გვ. 38, 39).
82. „პასქალური ქრონიკა", გვ. 12.
83. მენანდრე პროტიქტორი, „გეორგიკა", III, გვ. 224, 225.
84. მენანდრე პროტიქტორი, გვ. 225.
85. პროკოპი კესარიელი, გვ. 76.
86. კაკაბაძე ს., ძიებანი ქართველთა IV-VII საუკუნეების ისტორიის შესახებ. „საისტორიო კრებული", II, თბ., 1928, გვ. 17; მისივე, ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959, გვ. 36-41;

Мсликишвили Г А., К истории древней Грузии, стр. 132, 386; ჯუანშერის გადმოცემას სათანადო არგუმენტაციით ჩვენც რეალურ ფაქტად ვთვლით (იხ. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, გვ. 208-213). ჯუანშერის ეს ცნობა არარეალურად მიაჩნია ნ. ლომოურს, რომელმაც გააკრიტიკა ჩვენი არგუმენტაცია (იხ. მისი, საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, გვ. 25-40). აქ არ არის ადგილი ნ. ლომოურის მოსაზრებათა განხილვისა, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მისი კრიტიკა დამყარებულია ფაქტორივად ჯუანშერის ცნობების მიმართ უნდობლობაზე და ბიზანტიურ წყაროთა მონაცემების ბოლომდე შეუფასებლობაზე. ჩვენ ზემოთ ტექსტში მოვიტანეთ ადრე წარმოდგენილთან შედარებით, დამატებითი არგუმენტაცია ჩვენი მოსაზრებების სასარგებლოდ. აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს ამდროინდელი არქეოლოგიური მასალით გამოვლენილი ტენდენცია კულტურული ინტეგრაციისაკენ სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს (იხ. აფხაზავა ნ., ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ., 1979, გვ. 108).

87. ქც, I, 177.
88. მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 207.
89. ქც, I, 177.
90. თეოდორიტე კვირელი, „გეორგიკა", I, გვ. 224.
91. Кулаковский Ю., История Византии, т. I, стр. 443.
92. ამიტომ არ არს სწორი ნ. ლომოური, როდესაც წერს, რომ „არაა მართებული ჯუანშერთან დამოწმებული ვითარება, რომ ბერძნებს ე. ი. ბიზანტიელებს უჭირავთ აფხაზეთი" ვახტანგ გორგასლის დროს (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34, შდ. იქვე, გვ. 35).
93. Christensen A., L' Iran sous les Sassanides, p. 283-316 , 336-352.
94. ბერძენიშვილი ნ., კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, იიშ, I, 1955, გვ. 163.
95. ქც, I, 177.
96. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, გვ. 201, 202.

97. ნ. ლომოურის აზრით, „შედარებით უფრო რეალურად გამოიყურება ვახტანგ გორგასლის დროს კლარჯეთის უკან დაბრუნება ქართლისათვის. რასაკვირველია ეს **უკან დაბრუნება** იმ შემთხვევაში არის საგულვებელი, თუ ჩვენ ვირწმუნებთ ლეონტი მროველის ცნობას V საუკუნის დასაწყისში (? დ. მ.) ქართლის მიერ კლარჯეთის დაკარგვისა და მისი ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შესახებ" (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47, 48). ჯერ ერთი, ლეონტი მროველის ზემოხსენებული ცნობა ვარაზ-ბაკურის მეფობას შეეხება, რომელიც თარიღდება IV ს-ის 60-70-იანი წლებით (იხ. მელიქიშვილი გ., ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, იიშ, IV', თბ., 1958, გვ. 166, 167, 170) და ამდენად „კლარჯეთის" დაკარგვაც ამ დროზე მოდის. შემდეგ, როგორც ვიცით, ქართლის სამეფოს მხოლოდ კლარჯეთი კი არა მთელი სამხრეთ-დასავლეთი ქართლი გამოეცალა ხელიდან, რაც კარგად ესადაგება ამიანე მარცელინის ცნობას (იხ. ზემოთ, თავი I, §2) და ამდენად აქ დაეჭვება გაუმართლებელია. ვახტანგის მიერ „დასავლეთი ქართლის" დაბრუნება ბიზანტიისაგან ხომ წარმოუდგენელია ბრძოლის გარეშე? და განა ამ კონფლიქტის შესახებ რომელიმე ბიზანტიურ წყაროში რაიმე ცნობა შემონახულია? და თუკი ჯუანშერის ეს ჩვენება ნ. ლომოურისთვისაც კი „შედარებით უფრო რეალურად გამოიყურება", რითიღაა არარეალური დასავლეთი საქართველოს შემოერთების შესახებ ცნობა?! ამის უარყოფისთვის მთავარ არგუმენტად ნ. ლომოურს ხომ „ბიზანტიური წყაროების დუმილი" მოაქვს, რაც მისი აზრით „შეუძლებელი იქნებოდა ვახტანგს რომ ისეთი აქტიური პოლიტიკა განეხორციელებინა დასავლეთ საქართველოს მიმართ, როგორც ქართველ მემატიანეს აქვს წარმოდგენილი" (დასახ. ნაშრომი, გვ. 42).

98. მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 62-65. ნ. ასათიანი თვლის, რომ ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით 463 წ. (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85), მაგრამ ამ დროს ვახტანგი, როგორც ვიცით, სპარსეთშია.

99. ქც, I, 199.

100. მუსხელიშვილი დ., ქიზიყის ძველი ისტორია, გვ. 73.

101. ქც, I, 243.

102. იქვე, 185.
103. Меликишвили Г. А., К истории, стр. 459, 463; მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, გვ. 214-216.
104. მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, შესავალი, §§ 4,5.
105. მოქცევაᲘ, გვ. 116: ფარავნის ტბასთან წმ. ნინოს შიდა ქართლიდან ამოსული მწყემსები ხვდებიან, რომლებიც ცხვრის ფარებს აბალახებენ.
106. მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 110, 111.
107. იქვე, გვ. 48, 49; შდ. Меликишвили Г. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 292-296.
108. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები I, გვ. 216, 217; მისივე, ქიზიყის ძველი ისტორია, გვ. 75.
109. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 92.
110. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 241.
111. მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 28 და შემდ.
112. მუსხელიშვილი დ., იქვე, გვ. 48 და შემდ.; მისივე, ქიზიყის ძველი ისტორია, გვ. 72, 78, 79.
113. მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 28, 34, 35; მისივე, ქიზიყის ძველი ისტორია, გვ. 48, 49, 51, 52.
114. მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 28-42; მისივე, ქიზიყის ძველი ისტორია, გვ. 48-52.
115. ქც, I, 185.
116. იქვე, 199.
117. შდ. ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბ., 1970, გვ. 35-48.
118. სოფელ ჭერემთან უკანასკნელი ხანის არქეოლოგიურმა გათხრებმა ვახტანგ გორგასლის დროინდელი შესანიშნავი სასახლის და სხვა ნაგებობათა ნაშთები გამოავლინა (იხ. მამაიაშვილი ნ., ჭერემის ნაქალაქარი, კრებული: „საქართველო ვახტანგ გორგასლის ეპოქაში", თბ., 1999.
119. იხ. მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, თავები II და III.
120. მუსხელიშვილი დ., ფეოდალური ხანის საქართველოს და ამიერკავკასიის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში.

„ცისკარი", №11, 1970, გვ. 132, 133. შდ. ჭილაშვილი ლ., დასახ. ნაშრომი, გვ. 48-55.

121. მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 68, 69.

122. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 370 და შემდ. ამას გარდა ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმის შესახებ იხ. კეკელიძე კ., კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ტუმ, X, თბ., 1930; ალექსიძე ზ., ვახტანგ გორგასლის და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის გამო, ძსკი, თბ., 1976; გ. მამულია, ქართული ეკლესია V-VI საუკუნეებში, თბ., 1992; M. van Esbroeke, Primauté, Patriarcats, Catholicossats, Autocéphalies en Orient. Il Primato del Vescovo di Roma nel primo millennio. Ricerche e testimonianze. Città del Vaticano, 1991; Tarchnišvili M., Die Entstehung und Entwicklung der kirchlichen Autokephalie Georgiens, "Le Muséon". LXXIII, 1-2, 1960.

123. ქც, I, გვ. 198, 199.

124. კეკელიძე კ., დასახ. ნაშრომი, გვ. 319-321.

125. ჯავახიშვილი ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 375.

126. აღდგენილია, ძირითადად, ს. კაკაბაძის მიხედვით (იხ. მისი, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, ჟურნალი: „საისტორიო მოამბე", №1, 1924, გვ. 50-53). შდ. აგრეთვე კეკელიძე კ., დასახ. ნაშრომი, გვ. 320 და ჯავახიშვილი ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 340, შენ. 3.

127. ჯავახიშვილი ი., დასახ. ნაშრომი, იქვე.

128. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, გვ. 223-225.

129. ჯანაშია ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 244.

130. შდ. Адонц Н., Армения в эпоху Юстиниана, Ер., 1971, стр. 202.

131. Меликишвили Г. А., К истории, стр. 68, 69, и 131; ლორთქიფანიძე ო., ვანის ნაქალაქარი. კრებული: „ვანი I", თბ., 1972, გვ. 41; მუსხელიშვილი დ., ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის, კრებული: „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია" თბ., 1993, გვ. 354, 355.

132. იოანე დრასხანაკერტელი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლებით ილია აბულაძისა, თბ., 1937; გვ. 9.

133. შდ. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 341, 342.

134. მ. ლორთქიფანიძის აზრით, ქართლის პოლიტიკურ ჰეგემონობას ეგრისში არ არის სავალდებულო ეგრისის ეკლესიის მცხეთისადმი დაქვემდებარება მოჰყოლოდა, კონსტანტინოპოლი ასე ადვილად არ დასთმობდაო (იხ. მისი, ქართლი V საუკუნის მეორე ნახევაში, თბ., 1979, გვ. 74). რამდენადაც დასაწყისში, IV-V საუკუნის პირველ ნახევარში, ეგრისის ეკლესია თითქოს კაპადოკიის კესარიის ხელდებული უნდა ყოფილიყო (იხ. ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991, გვ. 115-119), ეგების, 523 წელს წათეს კონსტანტინოპოლში გამოცხადება და გაქრისტიანება სწორედ კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი ეკლესიურად დაქვემდებარებასაც მხოლოდ ამის შემდეგ გულისხმობდა? (შდ. ჯავახიშვილი ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 342).

135. „პიტიახში", რომლის ეტიმოლოგია საბოლოოდ დადგენილად ვერ ჩაითვლება, სპარსული წარმოშობის სიტყვაა და, სამეფო კარის დიდმოხელეს, უძველეს ხანაში, მეფის შემდგომ მეორე პირს თუ მეფის ნაცვალს აღნიშნავს. IV ს-ში სასანურ ირანში იგი პროვინციის მმართველს ნიშნავს. ასეთივე მნიშვნელობა აქვს მას ძველი სომხეთის სამეფოშიც, სადაც სანაპირო (სასაზღვრო) ვასალური სამთავროების მმართველებს აღნიშნავდა. მათ შორის ასე აღინიშნებოდა „გუგარქის ბდეშხი" (ანუ „ქვემო ქართლის პიტიახში"), იმ პერიოდში როდესაც ქართლის ეს პროვინცია ანექსირებული იყო სომეხთაგან. მას შემდეგ, რაც IV ს-ში ქართლის სამეფომ ეს პროვინცია საბოლოოდ შემოიერთა (იხ. ზემოთ, თავი I, §1) ქვემო ქართლის საერისთავოს მმართველებსაც ტრადიციით შემორჩათ ეს ტიტული. ფაქტობრივად, ამიერიდან „პიტიახში" ქართული „ერისთავის" შესატყვისია. პიტიახშების სამოხელეო ინსტიტუტისა და ტერმინის ეტიმოლოგიის შესახებ სპეციალური წერილები იხ.: ბოგვერაძე ა., ქართლის პიტიახშთა ხელისუფლებისა და ვინაობის შესახებ, მსკი, 35, თბ., 1963; გამსახურდია თ., პიტიახშის ინსტიტუტის საკითხისათვის, „მაცნე", №6, თბ., 1970 (იქვეა სპეციალური ლიტერატურა საკითხთან დაკავშირებით) და აგრეთვე ახლახან გამოქვეყნებული წერილი მ. ბახტაძისა:

პიტიახშის ინსტიტუტი ქართლის სამეფოში, თუმ, ტ. 338, 2001.

136. იაკობ ცურტაველი, მარტვილობაჲ შუშანიკისი. ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, ტფ., 1938, გვ. 3,4.

137. ქც, I, გვ. 216. თუ აქ ტერმინი „სომხითი" ქვემო ქართლის მნიშვნელობით იხმარება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, ტექსტი ვარსქენისა და შუშანიკის შესახებ გვიანდელი ინტერპოლაციაა ჯუანშერის თხზულებაში, რადგან ასეთი მნიშვნელობით ეს ტერმინი მხოლოდ X ს-ის შემდეგ შეიძლება იხმარებოდეს (იხ. Мусхелишвили Д. Л. Из исторической географии Восточной Грузии, Тб., 1982, стр. 27). ხოლო თუ იგი ჯუანშერს ეკუთვნის (VIII ს.), მაშინ „სომხითი" დღევანდელი სომხეთის მნიშვნელობისა უნდა იყოს და თუ ასეა, ცხადია, მემატიანე ცდება, როდესაც ვარსქენს სომხეთის მთავრად თვლის. საერთოდ ტექსტი უადგილო ადგილასაა ჩართული VI ს-ის და არა ვახტანგის ეპოქის ისტორიის გადმოცემისას.

138. История Азербайджана, т. I, Баку, 1958, стр. 86.

139. ბოგვერაძე ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 64; მ. ლორთქიფანიძე კ. კეკელიძის კვალად (იხ. კეკელიძე კ., აშუშა პიტიახშის ბეჭდის წარწერის გაგებისათვის, კრებული: „ეტიუდები", I, გვ. 152, 153), ვარსქენს „კავკასიის ქუსტაკის", ანუ სასანური ირანის ოთხი დიდი სამხედრო-ადმინისტრაციული დანაყოფებიდან ერთ-ერთის, გამგებლად თვლის (იხ. ლორთქიფანიძე მ., ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 36, 37), რაც, ფაქტობრივად, გულისხმობს, რომ ქართლიც (გურზანი) მის საგამგეოში უნდა შესულიყო (იხ. Адонц Н., Армения в эпоху Юстиниана, стр. 217.) და ე. ი. ქვემო ქართლის პიტიახში ვარსქენი, ვახტანგ გორგასლის - ქართლის მეფის ვასალი, ამავე დროს მისი ზემდგომი სუვერენიც უნდა ყოფილიყო, რაც, ცხადია, შეუძლებელია. ამიტომ „რანის ერისთავი" უნდა ნიშნავდეს „კავკასიის ქუსტაკის" ერთ-ერთი შემადგენელი ადმინისტრაციული ერთეულის, „ალვანეთის მარზპანს".

140. ჯანაშია ლ.-ნ., ლაზარ ფარპეცის ცნობები, გვ. 140.

141. იაკობ ხუცესი, მარტვილობაჲ შუშანიკისი, გვ. 27, 28.

142. ჯანაშია ლ.-ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 138.
143. ლორთქიფანიძე მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 79.
144. Christensen A., L' Iran sous les Sassanides, p. 293.
145. Пигулевская Н., Месопотамия на рубеже V-VI вв. н.э. Сирийская хроника Иешу Стилита как исторический источник, ТИВ, т. XXXI, М.-Л. , 1940, стр. 132, История Византии, т. I, М., 1967, стр. 208.
146. მამულია გ., ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში, გვ. 23.
147. ჯანაშია ლ.-ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 138, 139.
148. იქვე, გვ. 141.
149. იქვე, გვ. 143, 146, 147.
150. აჯანყების შესახებ თხრობა გადმოცემულია ლ.-ნ. ჯანაშიას წიგნის მიხედვით იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 146-153.
151. შდ. ლორთქიფანიძე მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 86, 87; მისივე, ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკა V საუკუნის მეორე ნახევარში. ვახტანგ გორგასლის დიპლომატია. „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები", I, თბ., 1998, გვ. 94.
152. ჯანაშია ლ.-ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 157.
153. Очерки истории СССР, III-IX вв., М., 1958, стр. 207; ჯანაშია ლ.-ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 158.
154. მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1985, გვ. 41.
155. ჯანაშია ლ.-ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 158, 159.
156. История Азербайджана, стр. 86. ლ. ჯანაშიას ეს აზრი მიაჩნია საეჭვოდ (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 159, შენიშვნა).
157. ჯანაშია ლ.-ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 159, 160.
158. ქც, I, გვ. 198.
159. Toumanoff C., Studies in Christian Caucasian History, Georgetown University Press, 1963. pp. 367; მამულია გ., საქართველოს ეკლესია, გვ. 24, 25.
160. მამულია გ., საქართველოს ეკლესია, გვ. 27, შენ. 12.
161. Кулаковский Ю., История Византии, т. I, стр. 437-441.
162. მამულია გ., საქართველოს ეკლესია, გვ. 24.
163. ქც, I, 196.

164. მამულია გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 25; ეს მოსაზრება ეკუთვნის კ. თუმანოვს (იხ. Toumanoff C., Christian Caucasia between Byzantium and Iran: New Light from Old Sources. "Traditio", t.10, New Iork, 1954, pp. 170, 171: ციტირებულია გ. მამულიას ზემოხსენებული ნაშრომის მიხედვით). ამ მოსაზრების სისწორე ნათელჰყო მ. ვან-ესბროკმა (იხ. M. van Esbroeke, Les plus anciens homéliaires géorgiens, Louvin la Neuve, 1975, p. 300: ციტირებულია თ. მგალობლიშვილის კლარჯული მრავალთავი, თბ., 1991, გვ. 187-ის მიხედვით) და იგი, ფაქტობრივად, გაზიარებულია თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში (იხ. მეტრეველი ელ., ახალი ნაშრომი ქართულ მრავალთავზე. „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, №4, 1976; მგალობლიშვილი თ., დასახ. ნაშრომი, გვ. 187-190). არ იზიარებს ამ მოსაზრებას ნ. ლომოური (იხ. მისი, საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, გვ. 50-54). ვახტანგ გორგასლისა და მიქაელ ეპისკოპოსს შორის მომხდარი კონფლიქტის მიზეზების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებათა არსებობა ჩვენს ისტორიოგრაფიაში ზემოთაც აღვნიშნეთ, იხ. აქვე, შენიშვნა 122.

165. Assemanus I. S. Bibliotheca Orientalis Clementino - Vaticana. De Seriptoribus Syris Monophysitis, t. II, Romae, 1721, p. 355 (ციტირებულია გ. მამულიას ნაშრომის მიხედვით). შდ. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 340; მამულია გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 41, 50; ალექსიძე ზ., მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის, „მაცნე", ისტორიის... სერია, 1973, №3, გვ. 162.

166. მოქცევაჲ, გვ. 93.

167. ქც, I, გვ. 198.

168. მამულია გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 25, 26.

169. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 383, 384; თარხნიშვილი მ., საქართველოს ეკლესიის ისტორია IV-VII სს., რომი, 1962, გვ. 533-535 (მითითებულია: თ. მგალობლიშვილის კლარჯული მრავალთავი, გვ. 199-ის მიხედვით); ლომინაძე ბ., საქართველოს საპატრიარქო, ჟურნალი: „რელიგია", გვ. 106; მისივე, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ადმინისტრაციული ორგანიზაცია V ს-ში, გვ. 25; ლომოური ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 54-59.

170. მოქცევაჲ, გვ. 93

171. ლომინაძე ბ., საქართველოს საპატრიარქო, გვ. 105; ლომოური ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 59.
172. ჯავახიშვილი ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 385; ალექსიძე ზ., მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის, გვ. 163, 164.
173. Tarchnišvili M., Dic Enstehung und Entwicklung der Kirchlichen Autokephalie Georgiens, S. 108 (მითითებულია თ. მგალობლიშვილის ზემოხსენებული ნაშრომიდან). გ. მამულია (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 79, შენ. 10) ამ ცნობას „ანტიოქიის საყდარზე ზემოჩამოთვლილ ეკლესიათა იერარქიული დამოკიდებულების დასაბუთების მიზნით, აშკარა ფალსიფიკაციად" თვლის, თუმცა იმავე შრომის სხვა ადგილას (გვ. 33) წერს: „ანტიოქიის პატრიარქი კონსტანტინოპოლის პატრიარქისა და კეისრისადმი გარკვეულწილად დამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაკი ყოველგვარი წინააღმდეგობების გარეშე დათანხმდა მათ თხოვნას ქართლის ეკლესიისადმი ავტოკეფალიის მინიჭების თაობაზე". და იქვე (გვ. 34): „უეჭველია, კონსტანტინოპოლისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ და ქართლში მონოფიზიტობის გავრცელების სურვილმა განაპირობა პეტრე მკაწრვალის მიერ ქართლის ეკლესიისადმი ავტოკეფალიის მინიჭება"?!
174. მამულია გ., კათალიკოსობის დაწესების თარიღად 486-487 წლებს თვლის (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33, შენ. 18); ვ. გოილაძე - 487/8 წ. (იხ. მისი, ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1991, გვ. 195 და მისივე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991, გვ. 185).
175. ლორთქიფანიძე მ., ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 71-73; ლომოური ნ., საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, გვ. 63.
176. ჩვენ საგანგებოდ გვქონდა აღნიშნული, რომ ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით საქართველო (დასავლეთი და, მაინცდამაინც, აღმოსავლეთი) V ს-ში და განსაკუთრებით ვახტანგ გორგასლის დროს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში ბიზანტიასთან უფრო არის ჩაბმული, ვიდრე ირანთან (იხ. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, თბ., 1980, გვ. 7-9). ჩემ მიერ აღრიცხულ ბიზანტიურ ოქროს სოლიდებს უნდა დავუმატოთ შემდგომში აღმოჩენილი ვერცხ-

ლის მონეტა ლეონ I-სა გურჯაანის რაიონიდან (იხ. აბრამიშვილი თ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1989, გვ. 9, №20). რაც შეეხება პეროზ შაჰის დროინდელ ვერცხლის დრაქმების განძს, აღმოჩენილს ბოლნისში, იგი ვარსქენის დროინდელი ქვემო ქართლის საპიტიახშოს ირანთან ურთიერთობას უნდა ასახავდეს (იხ. მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 8).

177. Christensen A., L' Iran sous les Sassanides, p. 296; Пигулевская Н., Месопотамия на рубеже V-VI вв., стр. 134.

178. Christensen A., L' Iran.., p. 297.

179. Пигулевская Н., Месопотамия, стр. 134, 135; Christensen A., L' Iran..., p. 347.

180. იხ. ქვემოთ, თავი III, §1.

181. Christensen A., L' Iran..., pp. 337-352.

182. Пигулевская Н., Месопотамия, стр. 136; Christensen A., L' Iran..., p. 352.

183. შდ. ბოგვერაძე ა., ძიებანი V ს-ის საქართველოს ისტორიიდან. „მაცნე", ისტორიის... სერია, №4, 1985, გვ. 174.

184. შდ. ბოგვერაძე ა., დასახ. ნაშრომი, იქვე.

185. ქც, I, გვ. 201.

186. იქვე, გვ. 200.

187. Пигулевская Н., Месопотамия, стр. 136.

188. შდ. ბოგვერაძე ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 174, შენ. 34. ვახტანგ გორგასალი უნდა გარდაცვლილიყო ბოლნისის სიონის მშენებლობის დამთავრებამდე. ამიტომ არ მოიხსენიება ეს დიდი მეფე ამ ტაძრის სამშენებლო წარწერაში. ვახტანგის მოუხსენებლობის ს. ჯანაშიასეული ახსნა, რომ, ვითომც საპიტიახშო „უმეშვეოდ ექვემდებარებოდა სპარსეთის მეფეს და ქართველი მეფის იურისდიქციას არ ემორჩილებოდა", არ უნდა იყოს სწორი (იხ. მუსხელიშვილი ლ., ბოლნისი, „ენიმკი"-ს მოამბე, III, 1938, გვ. 327, შენ. 1; აგრეთვე, Чубинашвили Г. Н., Болнисский Сион, „ენიმკი"-ს მოამბე, IX, 1940, გვ. 81). ეს აზრი მაინც მეორდება ჩვენს ისტორიოგრაფიაში (იხ. მაგალითად, ამირანაშვილი ჯ., ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები, თბ., 1968, გვ. 68; ლორთქიფანიძე მ., ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 63). ასეთი მდგომარეობა საპიტიახშოს შესაძლებელია ჰქონოდა

მხოლოდ ვარსქენ პიტიახშის დროს და არავითარ შემთხვევაში მისი მკვლელობის შემდეგ და, მით უმეტეს, 493/4 წლებში, როდესაც, ჩვეულებრივ, ვარაუდობენ ბოლნისის სიონის მშენებლობის დასასრულს და, როდესაც ქართლი, ჩვენთვის ცნობილი მიზეზების გამო, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ სინამდვილეში ბოლნისის ტაძრის მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო 502/3 წელს (იხ. მუსხელიშვილი ლ., არქეოლოგიური ექსკურსიები, თბ., 1941, გვ. 12, შენ. 4). ერთადერთი სწორი ნაკითხვა ბოლნისში 1937 წ. გათხრების შედეგად ლ. მუსხელიშვილის მიერ აღმოჩენილი სამშენებლო წარწერისა, ეს არის პ. ინგოროყვას მიერ შემოტანილი კორექტივის (იხ. მუსხელიშვილი ლ., იქვე) შედეგად ა. შანიძის მიერ აღდგენილი ტექსტის „მესამე ვარიანტი" (იხ. შანიძე ა., ბოლნისის წარწერები, ჟურნალი: „ნობათი", I, 1975, გვ. 28-31) ანუ, რაც ფაქტობრივად იგივეა, ვ. სილოგავასეული „მეორე ვარიანტი" (იხ. სილოგავა ვ., ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები, თბ., 1994, გვ. 64, 65). კერძოდ, თუკი პირველ სტრიქონში აღდგენა: „ო (ც) (წ)ლისა პერო(ზ) (მ)ეფე (თა მეფისსა)" სწორია, რაც ჩვენი აზრით უცილობელია (თუმცა, გვგონია, უნდა ყოფილიყო არა „მეფეთა მეფისსა", როგორც აქვს ვ. სილოგავას, არამედ „მეფეთამეფის ზე") და მიუთითებს მშენებლობის დაწყების თარიღზე, მაშინ ასევე უცილობელი უნდა იყოს მეორე სტრიქონში აღდგენა: „ათხოკთმეტ ნლი(სა კავატ მეფეთა მეფისსა)".. ამას ელემენტარული ლოგიკა მოითხოვს, თუმცა აქაც, ჩვენი აზრით, უფრო სწორი იქნება თუ აღვადგენთ: „კავატ მეფეთამეფის ზე" ან (ა. შანიძის მიხედვით) „კავატ მეფისა ზე". ამას სხვათა შორის ორთოსტატის მარჯვენა, დაცულ ნაწილზე შერჩენილი ასოებიც გვავარაუდებინებს, რომლებიც ლ. მუსხელიშვილის დროს ჯერ კიდევ განირჩეოდა: „.ა----ი--ა--ე?" (იხ. მუსხელიშვილი ლ., იქვე, გვ. 326). ამგვარად, ტაძრის მშენებლობა დაუნყიათ პეროზის მეფობის მეოცე წელს (479 წ.) და დაუმთავრებიათ კავადის მეფობის მეთხუთმეტე წელს (502/3 წ.). ამ დროს ვახტანგ გორგასალი ცოცხალი აღარ არის და ამიტომაც არ არის იგი წარწერაში მოხსენიებული. რაც შეეხება დაჩის მოუხსენებლობას, ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ამ დროს ქართლში სპარსთა

მძლავრობის გამო, იგი, სავარაუდოა, ტახტზე გვიან დაჯდა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელობას არ უნდა იყოს მოკლებული, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მემატიანესთან ვახტანგის მემკვიდრეს ეწოდება „დაჩი უჟარმელი" (იხ. „მოქცევაჲ", გვ. 92), რაც, ჩვენი აზრით, იმით კი არ არის გაპირობებული, რომ უჯარმა, როგორც ვიცით, მისი საუფლისწულო იყო გამეფებამდე (ყველა მეფის მემკვიდრეს თავისი საუფლისწულო ჰქონდა, მაგრამ ასეთი ზედწოდებები ჩვენ არ გვხვდება ამ დროს), არამედ იმით, რომ ვახტანგის სიკვდილის შემდეგაც იგი რამდენიმე ხანს უჯარმაში რჩებოდა. ხოლო ვახტანგ გორგასლის წარწერაში მოუხსენებლობის იმით ახსნა, რომ იგი ტაძრის მშენებლობის (462-477 წწ?) დროს ქართლში არ იყო (იხ. ამირანაშვილი შ., ბოლნისის ტაძრის აგების თარიღის დაზუსტებისათვის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შრომები, №4, 1958), არც ეს უნდა იყოს სწორი (იხ. ლორთქიფანიძე მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 64). ბოლნისის ტაძრის წარწერის სხვაგვარი ინტერპრეტაციის და თვით ტაძრის მშენებლობის გადათარიღების შესახებ, იხ.: ბოგვერაძე ა., ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერის დათარიღებისათვის. კრებ.: „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები", VII, თბ., 1999 (იქვე ლიტერატურა საკითხზე).

189. ქც, I, გვ. 202.
190. ქც, II, გვ. 17-18.
191. არსენ ბერი, ცხორებაჲ ნინოჲსი (პერიფრაზი), „ძეგლები", III, 1971, გვ. 81, 82.
192. ქც, I, გვ. 204.
193. არსენ ბერი, ცხორებაჲ ნინოჲსი, გვ. 48.
194. იქვე.
195. ქც, I, გვ. 159. ფიქრობენ, რომ ეს და მსგავსი პასაჟები ჯუანშერის თხზულებიდან ფოლკლორული წარმოშობისაა (იხ. ახვლედიანი მ., „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების" ფოლკლორული წყაროები. „მაცნე", ისტორიის... სერია, №1, 1979, გვ. 126.
196. არსენ ბერი, ცხორებაჲ ნინოჲსი, გვ. 48.
197. ქც, II, გვ. 43.
198. იქვე, გვ. 152.
199. ქც, I, გვ. 146, 147.

200. არსენ ბერი, ცხორებაჲ ნინოჲსი, გვ. 48.
201. ქც, I, გვ. 282.
202. ქც, I, გვ. 197.
203. არსენ ბერი, ცხორებაჲ ნინოჲსი, გვ. 47.
204. მგალობლიშვილი თ., კლარჯული მრავალთავი, გვ. 176.
205. იქვე, გვ. 185 და შემდ.
206. იქვე, გვ. 172.
207. ჩხარტიშვილი მ., ქართული ჰაგიოგრაფიის წყاროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები, თბ., 1987, გვ. 88.
208. კეკელიძე კ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბ., 1951, გვ. 385.
209. ანონიმი V საუკუნისა, „გეორგიკა", II, გვ. 4. ითვლება, რომ ეს ცნობა ანონიმს ძველი წყاროდან აქვს ამოღებული (იქვე, გვ. 23). თუნდაც ასე იყოს, ფაქტი, რომ ანონიმმა თავის აღწერილობაში ფოთის შესახებ ძველი ცნობის შეტანა საჭიროდ ჩათვალა, იმას უნდა მოწმობდეს, რომ მის დროსაც ეს ქალაქი მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტია.
210. ქც, II, გვ. 4; შდ. იქვე, გვ. 25.
211. ამდენად, სრულიად გაუგებარი და მიუღებელია ფრანგი მეცნიერის ბ. მარტენ-იზარის თვალსაზრისი, რომ ვახტანგ გორგასალი, ფაქტობრივად, ლეგენდარული სახეა, IX ს-ის (?!) ისტორიკოსის მიერ შექმნილი, ბაგრატიონთათვის სამეფო ავტორიტეტის მოსაპოვებლად. იგი თვლის, რომ სინამდვილეში ვახტანგი ორდინარული მეფე იყო და სპარსელთა წინააღმდეგ წარუმატებელი აჯანყების უიღბლო ბელადი (იხ. B. Martin-Hisard, Le roi géorgien Vaxtang Gorgasal dans l'histoire et dans la legende. Temps, mémoire, tradition au moyen âge. Marseille, 1983). სამწუხაროდ, მის ამ მოსაზრებას, როგორც ჩანს, იზიარებს ნ. ლომოურიც (იხ. მისი, საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა, გვ. 14). გარდა იმისა, რომ სრულიად დაუსაბუთებელია ჯუანშერის IX ს-ით დათარიღება, ამ მცდარი კონცეფციის საწინააღმდეგოდ მარტო ისიც გამოდგებოდა, რომ საერთოდ მეფე-მთავართათვის გამადიდებელი ეპითეტების ხმარებაზე ფრიად ძუნწი ქართველი მემატიანენი და, კერძოდ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ქრონიკის ავტორი, მოკლედ და ლაკონურად და ამდენადვე მრავალმნიშვნელოვნად აღნიშნავს, რომ მეფე მირდატის, „მისა შემდგომად მეფობდა დიდი ვახტანგ გორ-

გასალი" (იხ. „მოქცევაჲ", გვ. 93). ეს მით უფრო ნიშანდობლივია, რომ არცერთ მეფეს ქართლისას არც ვახტანგამდე და არც ვახტანგის შემდეგ (არც ფარნავაზს, არც ფარსმან ქველს, არც მირიანს!!) ქრონიკის ავტორი ამ ეპითეტით არ მოიხსენიებს, ხოლო იგი (ქრონიკის ავტორი) V ს-ის თუ არა, VII ს-ის 40-იანი წლების მოღვაწე მაინც არის. დასასრულ, თუ XI ს-მდე საქართველო (დასავლეთი და აღმოსავლეთი) არასოდეს გაერთიანებული არ ყოფილა, როგორ ავხსნათ ძველქართული წყაროების კონცეფცია, გატარებული არა მარტო ჯუანშერთან, არამედ ლეონტი მროველთანაც და „მოქცევაჲ ქართლისაჲშიც" ქართლის და ეგრისის პოლიტიკური ერთიანობის შესახებ სწორედ ქართლის მეთაურობით? ასეთი პოლიტიკური კონცეფციის შექმნა ხომ გამორიცხულია XI ს-ში? ან როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ VIII ს-ის პირველ ნახევარში ქართლის ერისმთავარ სტეფანოზის ოფიციალური ტიტულია: „მამფალი სტეფანოზ, ღმრთისა მიერ ქართუელთა და მეგრელთა ერისთავერისთავსთა უფალი?" (იხ. ქვემოთ, თავი V). და ყველა ეს კითხვა განა არსებითი არ არის? ისინი ხომ მე დავსვი ჯერ კიდევ 1986 წელს (იხ. Мусхелишвили Д. Л., Некоторые проблемы источниковедческой критики грузинских средневековых источников. „მაცნე", ისტორიის... სერია, №3, 1986, გვ. 66-70) სწორედ ნ. ლომოურის ზემოხსენებულ სკეპსისთან დაკავშირებით ქართული წყაროების მიმართ! თუ ეს არ იცის ფრანგმა მეცნიერმა, ხომ კარგად მოეხსენება ნ. ლომოურს და განა ამ კითხვებზე პასუხის გაცემა აუცილებელი არ არის?

თავი III. საქართველო VI–VII ს–ის დასაწყისში

1. ქართლი VI–VII ს–ის დასაწყისში

ვახტანგ გორგასლის სიკვდილის შემდეგ ქართული წყაროების მიხედვით, „დაჯდა საყდარსა მისსა ძე მისი დაჩი"[1], რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობით „უჟარმელად" იწოდებოდა[2]. ქართული მატიანეს მიხედვით „ამან დაჩი მეფემან იწყო შენებად ქართლისა, რამეთუ მოოჴრებულ იყვნეს ყოველნი ჴევნი ქართლისანი, თჳნიერ კახეთისა და კლარჯეთისა და ეგრისისა. და განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი, და, ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ"[3]. ამგვარად, ვახტანგ გორგასლის მიერ დაწყებული საქმე მის შვილს დაუგვირგვინებია და სამეფო ტახტი თბილისს გადმოუტანია. ბუნებრივია, თუ ერთიანი საქართველოს ახალი დედაქალაქის სწრაფი აღზევების პროცესი დაიწყო: „მისა ზე, – სწერს დაჩის შესახებ მეორე მემატიანე, – ტფილისს კაცნი დასხდებოდეს და მარიამ წმიდაჲ ეკლესიაჲ აღაშენეს"[4]. ამ ცნობის რეალურობა დაადასტურა 1958 წელს „ძველი თბილისის" უბანში ე. წ. „ანჩისხატის" (იგივე მარიამ–წმიდის) ეკლესიაზე ჩატარებულმა სარესტავრაციო სამუშაოებმა, როდესაც აღმოჩნდა V–VI საუკუნეების მიჯნით დათარიღებული, სამწუხაროდ დაზიანებული ასომთავრული წარწერა დასავლეთი ფასადის რელიეფური შემკულობის, ე. წ. „ჯვრის ამაღლების", ქვეშ, ორ ქვაზე: „[უფალო] მეფესა [დაჩი]ს შეხენიე"[5].

მაგრამ მიუხედავად დაჩის ასეთი კულტურული აღმშენებლობითი ღონისძიებებისა, რომლებიც მიმართული იყო სახელმწიფოებრივი ცხოვრების სტაბილიზაციისაკენ, როგორც ჩანს, მის დროს იწყება სპარსელებთან ომით დასუსტებული, მამამისის დროინდელი ერთიანი ქართლის სამეფოს თანდათანობითი დაშლა. ასე მაგალითად, „ქართლის ცხოვრების" ჩვენებით, მისმა ნახევარძმებმა, ლეონმა და მირდატმა, ერისთავთა მხარდაჭერით „დაიპყრეს დასავლეთი ქართლისა", რომელი მისცა ვახტანგ. და დასხდეს წუნდას ქალაქსა ზაფხულის, და ზამთრის იყვის ოძრჴეს. და არა ეწოდა მათ მეფედ, არამედ ერისთავთა-მთავრად, და იყვნეს მორჩილებასა ძმისა მათისა დაჩი მეფისა"[6]. მართალია, ფორმალურად ქართლის სამეფო ჯერ კიდევ ერთიანია და, როგორც ჩანს, იმავე ფარგ-

ღებში რჩება, როგორიც ვახტანგ გორგასლის დროს ჰქონდა, დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს გაერთიანების შედეგად, მაგრამ ზემოხსენებული ტენდენცია, გამოწვეული პოლიტიკური სიტუაციისა და ქართლის ერისთავთა სეპარატისტული ამბიციებით, სახეზეა. ცოტა უფრო გვიან, დაჩის შვილიშვილის, ფარსმანის დროს სპარსელები, რომელთაც მიზნად ჰქონდათ მეფობის გაუქმება ქართლში და მისი სრული ანექსია როგორც ეს მოიმოქმედეს სომხეთისა (428 წ.) და ალვანეთის (ჯერ 461 წელს და შემდეგ, საბოლოოდ 510 წ.) მიმართ, კვლავ შემოდიან ქართლში: „ამის ფარსმანის მეფობასა მოვიდეს სპარსნი, მოაოჴრეს ქართლი და რანი... და ფარსმან დაუწერა მას [შაჰს] მორჩილება და მსახურება და წარვიდა სპარსთა მეფე"[7] ამასვე მოწმობს მეორე ქართული წყარო: ფარსმანის „ზევე სპარსთა მეფობაჲ მცხეთად მოვიდა და შეაშფოთა ქართლი და ქალაქნი და წარვიდა"[8]. ამჯერადაც სპარსელებმა ვერ მოახერხეს ქართლში მეფობის მოსპობა, მაგრამ მათ შემოსევას მოჰყვა ის, რომ „მიერითგან განიყვნეს ნათესავნი ვახტანგ მეფისანი. რამეთუ შვილნი დაჩისნი ჰმორჩილებდეს სპარსთა, ხოლო შვილნი მირდატისნი დაადგრეს მორჩილებასა ბერძენთასა"[9]. სავარაუდოა, რომ სპარსელებს მათ კონტროლს დამორჩილებულ „აღმოსავლეთ ქართლში" მოუხერხებიათ თავისი ზედამხედველის, მარზპანის დანიშვნა (იხ. ქვემოთ).

ფრიად საინტერესოა, რომ მსგავსად IV ს–ის ბოლო მესამედის და V ს–ის დასაწყისის ვითარებისა, ახლაც უცხოურ წყაროებში იხსენიებიან ქართლის (იბერიის) მეფეები, რომელთაც არ იცნობს ქართული წყაროები.

ასე მაგალითად, VI ს–ის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი 523 წლისთვის ასახელებს იბერიის მეფე გურგენს[10], ხოლო იოანე მალალას (VI ს.) და თეოფანე ჟამთააღმწერლის (IX ს–ის დასაწყ.) ცნობათა შეთანაპირებით ცხადი ხდება, რომ 527–535 წლებში იბერიაში მეფობს ზამანაზი თუ ძამანარძე[11]. ბიზანტიურ წყაროთა ჩვენებაში ეჭვის შეტანა თითქოს უსაფუძვლოა და ეს ფაქტი დადგენილად უნდა ჩაითვალოს[12].

ქართული წყაროებით („ქართლის ცხოვრება", „მოქცევაჲ ქართლისაჲ") ამავე პერიოდში ქართლში მეფეთა ასეთი რიგია დაცული: დაჩი – ბაკური – ფარსმანი – ფარსმანი („სხუ-

აჲ") – ბაკური[13]. არავითარი საფუძველი არ გვაქვს ეჭვი შევიტანოთ ამ ცნობებშიც[14], მით უმეტეს, რომ კიდევ ერთი, ამათგან სრულიად დამოუკიდებელი ქართული ძეგლი, კერძოდ, შიო მღვიმელის მეტაფრასული „ცხოვრება" (XII ს.) აგრეთვე იცნობს იმპერატორ იუსტინიანეს (527–565) თანამედროვე „ფარსმან ქართველთა მეფეს"[15], რომელიც ზემომოყვანილ მატიანეთა ნუსხის მეორე ფარსმანია („ფარსმან სხუაჲ"). საინტერესო შიო მღვიმელის „ცხოვრების" ცნობაში, სხვათა შორის, ის არის, რომ ფარსმან ქართველთა მეფესთან დაკავშირებით იქ იხსენიება „ავაზგია" – ბერძნული ფორმა ქართული „აფხაზეთისა" (იხ. ქვემოთ), რაც უცილობლად მოწმობს, რომ ცნობა ბერძნული წყაროდან მომდინარეობს[16]. ეს კი, თავისთავად, იმის დასტურია, რომ იუსტინიანეს თანამედროვე ფარსმან ქართველთა მეფე ცნობილი ყოფილა ბიზანტიური სამყაროსათვის[17], რაც, ერთი მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ ქართლში მეფობა ჯერ კიდევ არ არის გაუქმებული, ხოლო, მეორე მხრივ, – რომ ქართულ წყაროებში დაცული VI ს–ის მეფეთა ზემოხსენებული ნუსხა რეალურია.

შესაძლებელია ასეთი სხვაობა ქართულ და უცხოურ წყაროთა ჩვენებებს შორის აიხსნას არა მხოლოდ იმით, რომ ქართული ნუსხა ნაკლულია და ყველა მეფე არ არის მოხსენიებული[18] – ამის საწინააღმდეგოდ თითქოს ის ფაქტი მეტყველებს, რომ ყველა ქართულ წყაროში („მოქცევაჲს" შატბერდული და ჭელიშური რედაქციები, „ქართლის ცხოვრება") მეფეთა სია იდენტურია, – არამედ იმით, რომ აქ კვლავ ორ ნაწილად, ირანისა და ბიზანტიის გავლენის სფეროებად გაყოფილი ქართლის სხვადასხვა მმართველებთან გვაქვს საქმე[19]. არ არის გამორიცხული, ცხადია, ორივე შესაძლებლობა.

სამწუხაროდ ქართულ და უცხოურ წყაროთა ჩვენებების შედარება არ იძლევა იმის საშუალებას, პოლიტიკური პროცესის განვითარების ერთმნიშვნელოვანი სურათი წარმოვადგინოთ. ზოგადი ვითარება კი ასეთი ჩანს:

როგორც უკვე ვიცით, დაჩის შვილიშვილის, ფარსმანის დროს „დასავლეთი ქართლისა" ცალკე სახელმწიფოებრივ-ერთეულად ჩამოყალიბდა, რომელიც ბიზანტიის მფარველობის ქვეშ მოექცა. ეს, საბოლოო ჯამში, იყო ტერიტორია „ფარავნითგან და ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა", როგორც ამას „ქართლის ცხოვრება" გვაუწყებს[20], ანუ მტკვრის

ზემო წელი (ჯავახეთი, სამცხე) და ჭოროხის აუზი ზღვისპირამდე. ეს უნდა მომხდარიყო 523 წლის უწინარეს, როდესაც ქართლის მეფეები ჯერ კიდევ ფლობდნენ მთელს დასავლეთ საქართველოს მდ. ეგრის–წყლამდე[21].

523 წელს, „იუსტინეს მეფობის დროს ლაზთა მეფე წათი გაჯავრდა და ჩამოშორდა სპარსეთს... მივიდა იუსტინე მეფესთან ბიზანტიონში, გამოაცხადა თავი მის მორჩილად და სთხოვა, ლაზთა მეფედ მაკურთხეო. მეფემ მიიღო ის და აკურთხა“[22]. ბერძნულ წყაროთა ეს ცნობა იმის დასტურად მიგვაჩნია, რომ ამ წელს დასავლეთი საქართველო გამოეყო ვახტანგ გორგასლის მიერ შექმნილ ერთიან სახელმწიფოს და კვლავ ცალკე სამეფოდ ჩამოყალიბდა (იხ. ქვემოთ, §2).

აქ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება.

უკვე ვიცით, რომ ბიზანტიური წყაროებით იმპერატორ ლეონ I–ის (457–474) დროიდან, კერძოდ, V ს–ის 60–იანი წლების ბოლოდან, სვანები გამოდიან ლაზთა ქვეშევრდომობიდან და, სავარაუდოა, სპარსეთის (ქართლის) ქვეშევრდომობაში შედიან (ასე მოხდა, როგორც ვნახავთ, უფრო გვიანაც, 553 წელს). ასეთად რჩებიან, ბუნებრივია, ისინი მთელი V ს–ის მეორე ნახევრის განმავლობაში და VI ს–ის დასაწყისშიც, ვიდრე დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო ერთი სამეფოს ფარგლებში იყო გაერთიანებული. მაგრამ 523 წლის შემდეგაც, როდესაც ეგრისი კვლავ ცალკე სამეფოდ ჩამოყალიბდა, სვანეთი არ გამოსულა სპარსეთის (ქართლის) ქვეშევრდომობიდან, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ 530 წელს „სვანები, რომელნიც ალანთა მეზობლად ცხოვრობდნენ", პერსარმენიელთა და ჰუნებთან ერთად იბრძვიან სპარსულ ლაშქარში რომაელთა წინააღმდეგ[23]. ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნებოდა, სვანები რომ ლაზთა (რომაელთა) ქვეშევრდომები ყოფილიყვნენ, რადგან ამ დროს (523 წ–დან) ეგრისი, როგორც ვიცით, უკვე ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყო[24].

ცხადია, ლაზიკის განდგომას სპარსთა მეფის, კავადის პროტესტი მოჰყვა, მაგრამ ამას შედეგი არ გამოულია[25]. ამ გარემოებასთან დაკავშირებით დაიწყო საზავო მოლაპარაკება, რომელშიც სირიელი ქრონისტის, ზაქარია რეტორის ცნობით, მონაწილეობას იღებდა ბიზანტიის მხრიდან სახელმოხვეჭილი სარდალი, ამ დროისთვის უკვე მოხუცი ფარსმან კოლხი[26]. ამის შესახებ პროკოპი კესარიელიც მოგვითხრობს, რომლის

მიხედვით სპარსელთა წარმომადგენელი სეოსი (შიოში), როგორც უკვე ვიცით (იხ. ზემოთ), ბიზანტიელებს უცხადებდა, რომ „კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკე ეწოდება, ძველთაგანვე რომ სპარსელთა ქვეშევრდომი იყო, რომაელებს ძალით უჭირავთ, უსამართლოდ“[27]. საბოლოოდ მოლაპარაკება ჩაიშალა და „აი აქედან დაიწყო მტრობა რომაელებსა და სპარსელებს შორის“[28].

კავადს, როგორც ჩანს, განზრახულიც კი ჰქონდა ომი დაეწყო ბიზანტიის წინააღმდეგ, მაგრამ ეს განზრახვა იმხანად ვერ განხორციელდა, რადგან ყველაფერ ამას დაემთხვა ახალი გართულება, კერძოდ ის, რომ იმავე 523 წელს სპარსელებს აუჯანყდა ქართლის მეფე გურგენი. პროკოპი კესარიელის ამ ცნობის კონტექსტი ისეთია, რომ ეს გურგენი მთელი ქართლის თუ არა, მაინცდამაინც, „აღმოსავლეთი ქართლის“ მეფედ ჩანს[29] ბიზანტიელი ისტორიკოსის ცნობით, სპარსეთის შაჰს „კავადს უნდოდა ძალით მოექცია ისინი (იბერები) თავისი სარწმუნოების წესებზე და მათ მეფეს გურგენს შეუთვალა სხვა რამეშიც ისე მოქცეულიყო, როგორც სპარსეთში იყო მიღებული... ამიტომ გურგენმა მოინდომა იუსტინე მეფის მხარეს გადასულიყო და პირობა მიეღო, რომ რომაელები არასდროს სპარსელების ხელში არ ჩააგდებდნენ იბერებს. იმანაც (ე. ი. იუსტინემ) მას დიდის სიამოვნებით მისცა ეს დაპირება“[30]... `იუსტინე საამისოდ, მართლაც, თითქოს რაღაც ღონისძიებებს ატარებს, მაგრამ უშედეგოდ. „ასევე გურგენმა რომ დაინახა, რომ ის სუსტია სპარსელთა იერიშის ატანისათვის, რადგან რომაელების მიერ გამოგზავნილი დამხმარე ძალები საკმაო არ იყო, ლაზიკეში გაიქცა იბერთა ყველა დიდებულითურთ... ლაზიკის საზღვრებში რომ მივიდნენ, აქ გაჩერდნენ და ძნელგასასვლელი ადგილებით დაცულნი, იგერიებდნენ მტერს. სპარსელები კი დაედევნენ მას, მაგრამ მაინცდამაინც ვერაფერი დააკლეს, რადგან საქმეს აფერხებდა ძნელგასავლელი ადგილები. შემდეგ იბერები ბიზანტიაში ჩამოვიდნენ“[31].

საერთოდ ჩანს, რომ VI ს–ის 20–იანი წლების შუახანებში ვითარება ამიერკავკასიაში ფრიად არასტაბილურია. გურგენის აჯანყების „დროიდან არც სპარსელები აძლევდნენ ნებას მათ მეფე ჰყოლოდათ, არც იბერები ემორჩილებოდნენ სპარსელებს თავიანთი ნებით, არამედ დიდი ეჭვითა და უნდობლო-

ბით ეპყრობოდნენ ერთმანეთს. ცხადი იყო, რომ იბერებს ძალიან უჭირდათ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა და ახლო მომავალში განზრახული ჰქონდათ აჯანყება, თუკი შესძლებდნენ ოდესმე შესაფერი დრო ეხელთათ"[32].

მართალია, პროკოპი კესარიელს ზემოხსენებულის აღნიშვნა სხვა გარემოებასთან დაკავშირებით დასჭირდა და ამიტომ იგი აღარ მოგვითხრობს, თუ როგორ განვითარდა მომდევნო უახლოეს ხანში პოლიტიკური მოვლენები ქართლში, მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ მიუხედავად უაღრესად დაძაბული ურთიერთობისა ან, შესაძლებელია, სწორედ ამის გამოც, სპარსელებმა ამ კონკრეტულ ვითარებაში ვერ შესძლეს ქართლში მეფობის მოსპობა. კიდევ მეტი, ჩანს, გარკვეულ პერიოდში აქ ბიზანტიის გავლენაც კი უნდა გავრცელებულიყო. კერძოდ, ამის დასტური უნდა იყოს ზემოთ უკვე ნახსენები ცნობა შიო მღვიმელის „ცხოვრებიდან", რომელსაც მოვიყვანთ „ქართლის ცხოვრების" გვიანდელ ხელნაწერებში დაცული რედაქციით: „ჟამთა მას ოდეს თჳთმპყრობელი იუსტინიანოს, მეფე ბერძენთა, ბრძოდა კერძოთა ოვსეთისათა, საზღვარსა ავაზგიასსა, ნათესავსა ხასკუნთასა, რამეთუ ექმნა მათ განდგომილება, მაშინ მოძღუანა ნიჭი დიდი იუსტიანიანოს ფარსმანს, ქართველთა მეფესა, და ევედრა, რათა შეეწიოს მჴედრობასა მისსა, ყოვლითა ძალითა თჳსითა, და ბრძოლა უყოს ხასკუნთა. ისმინა უკუე ფარსმან ვედრება ბერძენთა მეფისა, და დაუტევა ევაგრე, მცველ სამეუფოსა თჳსსა, ხოლო თჳთ უკუე წარვიდა და შეწევნითა ღვთისათა დაიმორჩილა ნათესავი იგი ხასკუნთა. და მთავარნი მათნი ყოველნი შეპყრობილნი წარავლინნა წინაშე იუსტინიანესსა. მერმე მოიქცა თჳსადვე სამეფოდ"[33].

„ნათესავი ხასკუნთა" ეს იგივე „ქაშაგები" ანუ ჩერქეზები (ყაბარდოელები) არიან[34], რომლებიც ფარსმან ქართველთა მეფეს დაუმორჩილებია იუსტინიანე კეისრისათვის. ამ ცნობის რეალურ–ისტორიულ ხასიათზე ზემოთ უკვე იყო მითითებული[35] რაც შეეხება თარიღს, საფიქრებელია, ეს ლაშქრობა 532 წლის საუკუნო ზავამდე მომხდარიყო, იუსტინიანეს მეფობის დასაწყისში[36].

საქმე ის არის, რომ 532 წელს დაიდო ე. წ. „საუკუნო ზავი" ბიზანტიასა და ირანს შორის, რომლის მიხედვით ამ ორმა იმპერიამ გაინაწილა გავლენის სფეროები ამიერკავკასიაში

და, კერძოდ, საქართველოში (იხ. ქვემოთ): დასავლეთი საქართველო (და „დასავლეთი ქართლისა"?) ბიზანტიის გავლენის სფერო გახდა, ხოლო აღმოსავლეთი საქართველო ირანის ქვეშევრდომობაში შევიდა[37] ეს ზავი არ დარღვეულა 540 წლამდე და, ამდენად, სრულიად გამორიცხულია ქართლის მეფეს, ფარსმანს, რომელიც უეჭველად, მთელი იბერიის თუ არა, „აღმოსავლეთი ქართლის" მეფე მაინც არის, ბიზანტიის კეისრის „ვედრებით" სადმე ელაშქრა[38]. ასე რომ, ფარსმანი ხასკუნთა დასამორჩილებლად 532 წლის შემდეგ ვერ ილაშქრებდა. მეორე მხრივ, ომი ბიზანტიასა და სპარსეთს შორის განახლდა 527 („პასქალური ქრონიკა") თუ 528 (თეოფანე ჟამთააღმწერელი) წელს. უშუალო საბაბი ამ ომისა იყო ლაზიკის შესვლა ბიზანტიის ქვეშევრდომობაში. კიდევ მეტი, ბიზანტიელი ქრონისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ „სპარსელთა მეფემ ომი დაუწყო ლაზთა მეფეს ნათის იმის გამო, რომ უკანასკნელი რომაელთა მხარეზე გადავიდა"[39]. ომი ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა არა მარტო ლაზიკის ტერიტორიაზე, სადაც, კერძოდ 530 წელს ირანის შაჰის, „კავადის უფროსი ძე პეროზი იბრძოდა დიდძალი ჯარით"[40] (აგრეთვე პერსარმენიაში და მესოპოტამიაში), არამედ „გურზანის და არანის მხარეშიც", როგორც ამაზე ერთი სირიული წყარო გვარწმუნებს[41].

531 წელს მიმდინარეობს საზავო მოლაპარაკება[42] (კავადის სიკვდილის შემდეგ). ომის გაგრძელება არც ბიზანტიას აძლევდა ხელს, რამდენადაც იგი ართულებდა იმჟამინდელი მისი მთავარი საგარეო პოლიტიკური მიზნის განხორციელებას – დასავლეთ იმპერიის ბარბაროსთაგან (ვანდალები, გოთები) განთავისუფლებას, და არც ირანს, რომელსაც გართულებული ჰქონდა შინაგანი პოლიტიკური ვითარება (რეპრესიები ახლად ჩახშობილი მაზდაკიდური მოძრაობის მიმართ,*

* მაზდაკიზმი იყო V ს–ის ბოლოს წარმოქმნილი, თავდაპირველად რელიგიურ–ზნეობრივი მოძრაობა, რომლის შედეგად განვითარებულმა სოციალურმა პროცესებმა შეარყია ირანის სახელმწიფო. მისი იდეოლოგი მაზდაკი ქადაგებდა ადამიანთა შორის სიძულვილის და ბრძოლის მაგიერ სიკეთეს და შემწყნარებლობას. რამდენადაც ამ სიძულვილისა და ურთიერთწინააღმდეგობის საფუძველს მატერიალურ უთანასწორობაში ხედავდა, მოითხოვდა ქონების გა-

ბრძოლა ტახტის პრეტენდენტებთან)[43]. და თუმცა ცალკეული შეტაკებანი ბიზანტიელთა და ირანელთა შორის ამ წელსაც გრძელდებოდა ლაზიკის ტერიტორიაზე[44], საბოლოოდ ზავი დაიდო 532 წლის სექტემბერში[45].

ამგვარად, ფარსმან ქართველთა მეფის ლაშქრობა დასავლეთ იმიერკავკასიაში ამ ხუთწლიანი ომის დროს მიმდინარე სამხედრო ოპერაციების განმავლობაშიც თითქოს აგრეთვე გამორიცხული უნდა იყოს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ 529 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის საომარ მოქმედებას ადგილი არ ჰქონია[47] ბიზანტიას ამ დროს გართულებული ჰქონდა მდგომარეობა პალესტინაში, სადაც სამარიტები აჯანყებულიყვნენ ხელისუფლების წინააღმდეგ და სპარსელებს მოუხმობდნენ საშველად[48]. ირანს კი, როგორც უკვე ვიცით, სერიოზული შინაგანი პოლიტიკური პრობლემები ჰქონდა გადასაჭრელი და ბიზანტიასთან მშვიდობიან ურთიერთობას არჩევდა. ცხადია, იმხანად მას არც ქართლისთვის ეცლებოდა და შესაძლებელია სწორედ ამ დროს განხორციელებულიყო, ბიზანტიელთა თხოვნით, ფარსმანის რეიდი ხასკუნთა დასამორჩილებლად.

ამგვარად, ფარსმან ქართველთა მეფის ლაშქრობა დასავლეთ იმიერკავკასიაში, კერძოდ, ყაბარდოში ხასკუნთა დასამორჩილებლად სრულიად რეალური ამბავი უნდა იყოს, რომელსაც ადგილი ჰქონდა VI ს–ის ოციანი წლების მიწურულს. ცხადია, ეს გულისხმობს, რომ ქართლი ამ დროს სრულიად დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო ირანისაგან. მაგრამ ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ მეფე დაჩის შვილიშვილის, ფარსმანის დროს სპარსელებს „აღმოსავლეთ ქართლში“ თავისი მოხელე მარზპანი უნდა დაესვათ.

თანასწორებას, ქალების საერთო მფლობელობას. ეს პრიმიტიული კომუნისტური იდეოლოგია თანდათანობით გავრცელდა საზოგადოების დაბალ სოციალურ ფენებში და საბოლოოდ გადაიზარდა მასობრივ, რევოლუციურ ძალადობაში, რაც გამოიხატა არისტოკრატიის დარბევით, მათი ქონების მითვისებით, ქალების წართმევით და ა. შ. მაზდაკიდებს უნდოდათ კავადის შემდეგ ტახტზე მისი უფროსი ძე, ქაუსი დაესვათ, რომელიც იზიარებდა მათ მოძღვრებას. 529 წ. კავადის უმცროსი შვილის და მემკვიდრის ხოსრო ანუშირვანის მცდელობით მაზდაკი და მისი მთავარი მიმდევრები დახოცილ იქნენ[45]

მართლაც, ერთი ანონიმური სირიული წყარო მოგვითხრობს: „იმხანად ცხოვრობდა ერთი კაცი რეიდან, მიჰრანთა სახლის გვარისშვილი, მეფის (კავადის დ. მ.) ერთ–ერთი დიდებული, რომელსაც... ფირან გუშნასპი ერქვა... მას მრავალი ნარჩინებული ემორჩილებოდა, მეფისგან ჩრდილოეთის საზღვრისა და ოლქთა გამგებლად იყო დანიშნული, მეფის ბრძანებით გურზანისა (ქართლის, დ. მ.) და არანის (ალვანეთის, დ. მ.) ქვეყნების დაცვა ჰქონდა დავალებული. მას მრავალი ათასი მხედარი ემორჩილებოდა. კავადის მმართველობის ოცდამეათე წელს" მან მიიღო ქრისტიანული სარწმუნოება. „როცა ეს მეფეს მოახსენეს, მან ბრძანა მისი გადაყენება". იგი სამი წლით დააპატიმრეს და 521 წელს „მეფემ მას დაუბრუნა თავისი ადრინდელი ღირსება (ანუ გურზანისა და არანის მარზპანობა, დ. მ.) და ამის შემდეგ ფირან გუშნასპი ანგელოზისა და ხალხის სასიხარულოდ მრავალ წელს ცხოვრობდა. როცა სპარსელებსა და რომაელებს შორის გურზანისა და არანის მხარეში ომი დაიწყო, გრიგორი (ფირან გუშნასპის ქრისტიანული სახელია, დ. მ.), როგორც სპარსელთა სარდალი, რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდა. იგი დამარცხდა და სხვა ტყვეებთან ერთად რომაელთა კეისარს მიჰგვარეს" ტყვეობიდან ფირან გუშნასპი მხოლოდ ირანის შაჰის, ხოსრო ანუშირვანის მეფობის მესამე წელს ანუ 534 წელს იქნა განთავისუფლებული[49].

ამ წყაროში მითითებული ომი ბიზანტია–ირანს შორის, რა თქმა უნდა, ზემოხსენებული ხუთწლიანი ომია[50], რომელიც კავადმა სწორედ ლაზიკის გამო წამოიწყო და რომელშიც, ბუნებრივია, პირველ რიგში ამიერკავკასიაში მდგარი ირანის ჯარი მიიღებდა მონაწილეობას. ამიტომ აღნიშნავს სირიელი ანონიმი, რომ „სპარსელებსა და რომაელებს შორის გურზანისა და არანის მხარეში ომი დაიწყო". პირველ ხანებში, როგორც ჩანს, ომი სპარსელთა წარმატებით წარიმართა. ბიზანტიელ ქრონისტებს ამ ომის დასაწყისის პერიპეტიები მოკლედ და მკაფიოდ აქვთ გადმოცემული: 528 „წელს სპარსელთა მეფემ ომი დაუწყო ლაზთა მეფეს წათის იმის გამო, რომ უკანასკნელი რომაელთა მხარეზე გადავიდა, და, აი, იუსტინიანე მეფემ გაუგზავნა მას დამხმარე ჯარი და სამი სტრატელატი, ველიზარი, კვირიკე და ირინე. იმათ იბრძოლეს და დამარცხდნენ; მეფე გაჯავრდა სტრატელატებზე იმის გამო, რომ ერთ-

მანეთისადმი შურის გამო გამარჯვება ხელიდან გაუშვეს. მან გადააყენა ისინი და პეტრე, თავისი ნოტარი გაგზავნა სტრატელატად; პეტრე ლაზებთან ერთად შეება სპარსელებს და დაამარცხა ისინი: მრავალი სპარსელი გაჟლიტეს"[51]. როგორც ვხედავთ სირიული და ბიზანტიური ცნობები, ფაქტობრივად, ემთხვევა ერთმანეთს. ირანელთა ამ დამარცხების შედეგად უნდა დაეტყვეებინათ ქართლისა და ალვანეთის მარზპანი ფირან გუშნასპი და ეს უნდა მომხდარიყო ომის დასაწყისში. ამდენად, 529 წელს, როდესაც ირანი შიდაპოლიტიკური გართულებების გამო ქართლისათვის, ჩანს, ისედაც ვერ იცლიდა, მისი დიდმოხელე ქართლში კი ბიზანტიის ტყვეობაში იმყოფებოდა, ქართლი, მართლაც, სრულიად დამოუკიდებელი ყოფილა ირანისაგან და ამდენად, ფარსმან ქართველთა მეფეს შეეძლო დაეკმაყოფილებინა იუსტინიანეს „ვედრება" და გაელაშქრა თავისი ლაშქრით ხასკუნთა წინააღმდეგ. ნიშანდობლივია ქართული წყაროს გამოთქმაც: „მაშინ მოძღუანა ნიჭი დიდი იუსტინიანოს ფარსმანს, ქართველთა მეფესა, და ევედრა, რათა შეეწიოს", რაც აშკარად მოწმობს, რომ ფარსმანი არც კეისრის ქვეშევრდომია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ბიზანტიის იმპერატორი კი არ „ევედრებოდა", არამედ „უბრძანებდა" მას ხასკუნთა დამორჩილებას!

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი: რა გზით უნდა მოხვედრილიყო ქართლის ლაშქარი ყაბარდოში? დარიალის ხეობით და იმიერკავკასიაზე გავლით ანუ იმ მარშრუტით, როგორც სამოციოდე წლის წინ ვახტანგ გორგასალმა ბრძოლით გაიარა რა თქმა უნდა, გამორიცხულია. საეჭვოა ფარსმანს ეგრისზე (და აფხაზეთზე) გავლით ელაშქრა[52], რადგან 523 წლიდან ეგრისი ცალკე სამეფოა, თუმცა კი ბიზანტიისადმი ვასალურ ურთიერთობაში მყოფი. საფიქრებელია, ეს მარშრუტი შიდა ქართლიდან სვანეთზე და აქედან ყაბარდოში გადიოდა. ძველი სვანეთი, როგორც ცნობილია, დღევანდელ ე. წ. „მთის რაჭას" ანუ სვანეთის „მთიულეთს" მოიცავდა[53] და ამდენად შიდა ქართლს უშუალოდ ემეზობლებოდა. მეორე მხრივ, ჩვენ უკვე ვიცით, რომ მიუხედავად 523 წელს ეგრისის ქართლისაგან გამოყოფისა, სვანეთი კვლავ ქართლის შემადგენლობაში უნდა დარჩენილიყო და ამიტომ, ფაქტობრივად, ფარსმანის ლაშქ-

რობის მთელი მარშრუტი ყაბარდომდე მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე გადიოდა.

შესაძლებელია ამითვე აიხსნებოდეს ის, ერთი შეხედვით, უცნაური გარემოება, რომ იმპერატორი იუსტინიანე ქართლის მეფეს თხოვს დახმარებას აჯანყებულ ხასკუნთა წინააღმდეგ და არ იყენებს საამისოდ საკუთარ ვასალს, ეგრისის მეფე წათეს: სვანეთი, რომელიც ყაბარდოში მიმავალ გზაზე იდო, ეგრისის მეფის იურისდიქციას დიდი ხანია რაც აღარ ემორჩილებოდა. ამდენად, სვანებს შეეძლოთ საერთოდ ხელი შეეშალათ ეგრისის მეფისათვის ასეთი ღონისძიების განხორციელების საქმეში.

532 წლის ბოლოს ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის დაიდო ე. წ. „საუკუნო ზავი", რომლის მიხედვით უნდა აღდგენილიყო უშუალოდ ომის დაწყების წინადროინდელი status quo: „შეთანხმდნენ ერთმანეთთან საზავო პირობებში, სახელდობრ, რომ ორივე მხარე დააბრუნებდა იმ ადგილებს, რომლებიც ამ ომში ერთმანეთს წაართვეს... რომაელებმა მისცეს სპარსელებს ფარანგიონი და ბოლონის სიმაგრე, და თან ფულიც, ხოლო სპარსელებმა რომაელებს – ლაზიკის სიმაგრეები"[54]

ფარანგიონი და ბოლონის ციხე სადღაც სპერისა და ბასიანის პროვინციების საზღვარზე (ჭოროხისა და არაქსიის ჩრდილო სათავის მიდამოებში) მდებარეობდა და იმ დროს პერსარმენიაში შედიოდა[55]. რაც შეეხება ლაზიკის (ეგრისის) ციხე–სიმაგრეებს, აქ მხოლოდ სკანდე და შორაპანი კი არ იგულისხმება[56], რომლებიც პროკოპი კესარიელის მიხედვით გურგენ იბერთა მეფის განდგომისა და ეგრისში თავშეფარების დროს, გარკვეული მიზეზების გამო, „ხელთ იგდეს სპარსელებმა სრულიად გაურჯელად"[57], არამედ ბიზანტიელთა მიერ „სპარსელებისაგან უკან ჩამორთმეული სიმაგრეები სკანდისი, სარაპანისი, მუხირისი და ლისირი"[58]. რამდენადაც „ლისირი" დღევანდელი სოფ. ნოსირის ადგილზეა საძებარი[59], ამდენად ცხადი ხდება, რომ VI ს–ის ოციან წლებში სპარსელები საკმაოდ ღრმად შეჭრილან დასავლეთ საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ 532 წლის ზავის შედეგად ირანმა მკვიდრად მოიკიდა ფეხი აღმოსავლეთ საქართველოში, ეროვნული ხელისუფლება რამდენიმე ხანს ჯერ კიდევ განაგ-

რძობდა არსებობას და, როგორც ჩანს, არც ფარ–ხმალს ჰყრიდა, ცდილობდა თავი დაეღწია სპარსელთა უღლისაგან.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ თეოფანე ჟამთააღმწერელი 535 წელს იხსენიებს ქართლის ერთ–ერთ უკანასკნელ მეფეს, ძამანარძეს, რომელიც „მოვიდა კონსტანტინოპოლში... იუსტინიანე მეფესთან თავისი მეუღლითა და დარბაისლებითურთ; მან სთხოვა იუსტინიანეს მიეღო იგი რომაელების მოკავშირედ და ჭეშმარიტ მეგობრად. მეფემაც შეიწყნარა ეს თხოვნა, დიდი პატივი სცა მასაც და მის დარბაისლებსაც... და გაისტუმრა ისინი მშვიდობით მათ საკუთარ სახელმწიფოში“[60]. რა შედეგი მოჰყვა ქართლისათვის ამ მისიას, სამწუხაროდ, არ ჩანს. ქართლის ბედი გადაწყვეტილი იყო.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ირანის ხელისუფლებამ გამოიყენა ქართლში არსებული შინაგანი სოციალური დაძაბულობა, კერძოდ, წინააღმდეგობა ქართლის მეფეთა ცენტრალისტურ პოლიტიკასა და ქართლის ერისთავთა სეპარატისტულ ტენდენციებს შორის. შაჰის დავალებით მისმა დიდმოხელემ, რანისა და მოვაკანის გამგებელმა „უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა: აღუთქუა კეთილი დიდი, და დაუწერა საერისთოთა მათთა მამულობა შვილითი–შვილამდე, და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა და განდგეს ერისთავნი“[61] ქართლის მეფისაგან. როგორც ქვემოთ ვნახავთ 541 წელს ქართლში მეფე აღარ არის, ხოლო რამდენადაც 535 წელს იგი ჯერ კიდევ იხსენიება, ამდენად, ცხადია, რომ მეფობის გაუქმება ქართლში ამ წლებს შორის უნდა მომხდარიყო[62]. ქართული წყაროები ქართლის უკანასკნელ მეფედ ფარსმანის შვილს, ბაკურს ასახელებენ და თანხმობლივ აღნიშნავენ, რომ „მის ბაკურიჴ ზვვე დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ“[63].

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჭელიშურ რედაქციაში საკმაოდ ექსპრესიულადაა გადმოცემული ქართლის იმდროინდელი ვითარება, სპარსელთა უშუალო დამკვიდრება ქართლში: „და ვითარცა მეფობაჲ დაესრულა ქართლს შინა, სპარსნი განძლიერდეს და ერეთი და სომხეთი დაიპყრეს. ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს და კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს და ერთი დიდი კარი ოვსეთვე და ორნი დვალეთს და ერთი პარჭუანს დურძუკეთისასა, და იგი მთიულნი გომარდად დაადგინეს და სხუაჲ ვინმე კაცი დაიდგინეს მთავრად წანარეთისა ჴევსა და მორჩილებაჲ დასდვეს მისი“[64].

ამგვარად, VI ს–ის ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში ირანმა ქართლის ერისთავებთან კავშირში ქართლში მოსპო მეფობა და შესძლო ქვეყნის უშუალო ინკორპორაცია.

სასანიდების იმპერია ადმინისტრაციული თვალსაზრისით ოთხ მხარედ იყო დაყოფილი, რომელთაც სპარსულად ქუსტები ან ქუსტაკები ეწოდებოდა: ქუსტ–ი ხორასან (აღმოსავლეთი), ქუსტ ი– ხორვარან (დასავლეთი), ქუსტ ი –ნემროზ (სამხრეთი) და ქუსტ ი – აპახტარ (ჩრდილოეთი). კავკასია „ჩრდილოეთში" შედიოდა და ამიტომ ხშირად ამ მხარეს „ქუსტ ი – კაპკოჰ" (კავკასიის ქუსტაკი) ეწოდებოდა. ეს ქუსტაკები, თავის მხრივ, ცალკეულ ქვეყნებად ნაწილდებოდა. კავკასიის ქუსტაკი 13 ასეთი ქვეყნისაგან შედგებოდა, რომელთა შორის პირველი იყო ატრპატაკანი (აზერბაიჯანი), მეორე – არმნი (სომხეთი), მესამე – ვარჯანი (ქართლი), მეოთხე – რანი (ალვანეთი), მეხუთე – ბალასაკანი (მუღანის ველი არაქსის ქვემო წელზე), მეექვსე – სისაკანი (სივნიეთი) და ა. შ.[65] თითოეულს როგორც წესი, „მარზპანი" (მხარის უფროსი) მართავდა[66].

მართლაც, მას შემდეგ, რაც ქართლში გაუქმებულ იქნა ეროვნული ხელისუფლება, ქვეყნის უზენაეს მმართველად სპარსელებმა მარზპანი დანიშნეს. იგი მოიხსენიება „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში", რომელიც VI ს–ის შუა წლებში დაწერილი თხზულება უნდა იყოს. იქ, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ევსტათი სპარსეთიდან მცხეთაში მოვიდა „წელსა მეათესა ხუასრო მეფისასა და არვანდ გუშნასპისა მარზაპნობასა ქართლისასა"[67]. ამგვარად, ხოსრო ანუშირვანის (531–579) მეფობის მეათე წელს ანუ 541 წელს ქართლის მარზპანი ყოფილა ვინმე არვანდ გუშნასპი. იგი თბილისში ზის და ქვეყნის უზენაესი მმართველია. მცხეთის სპარსელი ციხისთავი, უსტამი, რომელთანაც მცხეთელმა მოგვებმა მიიყვანეს გაქრისტიანებული ევსტათი განსაკითხველად, ასე მიმართავს მათ: „ამის კაცისა პატიჟი მე არარაჲ ჴელ-მეწიფების, არცა აღბმაჲ ძელსა, არცა პყრობილებაჲ, არამედ წარუძღუანო ეგე ტფილისს ქალაქსა არვანდ გუშნასპს, ქართლისა მარზპანსა, და რაჲ-იგი შეჰგუანდეს, მან უყოს, რამეთუ ყოვლისა კაცისა ქართლისა მას ჴელ-ეწიფების სიკუდილი და ცხორებაჲ"[68]. აქედან შესანიშნავად ჩანს ქართლის მარზპანის ვითარცა სამოქალაქო ხელისუფლის კომპეტენცია, თავისი შეხედულებისამებრ გადაეწყვიტა ქართლის ყოველი მცხოვრების ბედი. რამდენა-

დაც უშუალოდ მას ემორჩილება მცხეთის (და უეჭველია აგრეთვე სხვა ქალაქებისა თუ ციხე–სიმაგრეთა) გარნიზონის უფროსი, ციხისთავი, ამდენად ცხადი უნდა იყოს, რომ არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ ქართლის უზენაესი სამხედრო ხელისუფლებაც მის ხელთ უნდა ყოფილიყო. მართლაც, ცნობილია, რომ ომიანობის დროს მარზპანები მხედრთმთავრობის ფუნქციასაც ასრულებდნენ[69].

ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ თუმცა კი ქართლში მეფობა გაუქმებული იყო და ქვეყანას სპარსელი დიდმოხელე მართავდა, რომლის ხელშიც იყო სამოქალაქო და სამხედრო უზენაესი ხელისუფლება, მმართველი აპარატის გარეშე ქართლის მარზპანი ვერ შესძლებდა თავისი ფუნქციის შესრულებას, ადგილობრივ წარჩინებულთა წრეში მას თავისი დასაყრდენი უნდა ჰყოლოდა. ეს თავისთავადაც იგულისხმება, რამდენადაც ჩვენ ვიცით, რომ ირანელებმა სწორედ ქართლის ერისთავთა დახმარებით შესძლეს ქვეყანაში უშუალო გაბატონება. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა" ამის შესახებაც გვაწვდის ინფორმაციას. სახელდობრ, იქ აღნიშნულია, რომ როდესაც ევსტათი მცხეთელის დაპატიმრების ექვსი თვის გასულს, სპარსეთის შაჰმა ქართლის მარზპანი, არვანდ გუშნასპი სამეფო კარზე გამოიძახა, მაშინ ეტიკეტისამებრ „შეკრბეს ქართლისა მთავარნი" მასთან გამოსამშვიდობებლად. და „რაჟამს ამჴედრდებოდა მარზპანი იგი, აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოზი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლისა პიტიახში და სხუანი სეფენულნი"[70], ითხოვეს მარზპანისგან ევსტათის შეწყალება. ქართლის მარზპანმა მათი თხოვნა შეასრულა. ცხადია, ეს „ქართლისა მთავარნი" თუ „სეფენულნი" (სამეფო დინასტიის წარმომადგენელნი) შეადგენენ ადგილობრივი საზოგადოების უმაღლეს წრეს, რომელთა საშუალებითაც ახორციელებს ურთიერთობას მარზპანი მოსახლეობასთან და რომელიც ამდენად ინაწილებს მის ხელისუფლებას. ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ირანის ადმინისტრაცია ქართლის ეკლესიასთანაც, საკმაოდ მტკიცედაა თითქოს დაკავშირებული[71].

მაგრამ ირანული ადმინისტრაციის უშუალო მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე ცხადი შეიქნა, რომ იგი არა მარტო ხალხის ფართო ფენებისთვის იყო მძიმე, რამდენადაც მათ სხვა გადასახადებთან ერთად, ირანული ხარკის

გადახდაც დაეკისრათ[72], არამედ წარჩინებული წრისთვის და კერძოდ, ერისთავებისთვისაც, რომელნიც ცოტა ხნის წინ ასე ადვილად „წარიბირნა ლიქნითა“ რანის და მოვაკანის ირანელმა მარზპანმა. საქმე ის არის, რომ მას შემდეგ, რაც შაჰის ადმინისტრაციის აქტიური მცდელობით და ქართლის წარჩინებულთა უმაღლესი ფენის მხარდაჭერით, ქვეყანაში მეფობა გაუქმდა და ერთიანი ქართლის სამეფო, ფაქტობრივად, ცალკე საერისთავოებად დაიყო – „განდგეს ერისთავნი და თჳსთჳსად ხარკსა მისცემდეს“[73] ირანის შაჰის დიდმოხელეს – სპარსელები დაინტერესებულნი უნდა ყოფილიყნენ შეენარჩუნებინათ ასეთი ვითარება, რადგან დაქუცმაცებული ქვეყნის მართვა და მორჩილებაში ყოლა გაცილებით უფრო ადვილი, უსაფრთხო და ხელსაყრელია.

მაგრამ ახალგაზრდა ფეოდალური ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური განვითარება სულ სხვას მოითხოვდა და საზოგადოებრივი ურთიერთობის იმდროინდელი დონის არსებობის პირობებში ქართველ დიდმოხელე ერისთავებს ცალ–ცალკე იზოლირებულად არსებობა არ შეეძლოთ (იხ. ქვემოთ, თავი VI).

ფაქტია ისიც, რომ მიუხედავად პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვისა, ქართლი VI ს–ის განმავლობაში ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის. ამის საფუძველი, რა თქმა უნდა უკვე V ს–ის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასლის ცენტრალისტური პოლიტიკის წყალობით (რომელიც ქვეყნის კონსოლიდაციას ისახავდა მიზნად) იყო შექმნილი. მართლაც, ფრაგმენტული მასალა, რომელიც გაგვაჩნია, ამას ადასტურებს.

ჯერ ერთი, საამისო ჩვენებას, კერძოდ, ზემო ქართლისთვის, შეიცავს პროკოპი კესარიელის ცნობა მესხებისა და მესხეთის შესახებ, რომლის მიხედვით „მესხეთის მთები არც მწირია და არც ნაყოფიერებას მოკლებული, არამედ სავსეა ყოველგვარი სიკეთით, რადგან მესხებიც მარჯვე მიწის მუშები არიან და იქ ვენახებიც არის“[74]. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პროკოპი კესარიელი ამ მხრივ საკმაოდ მკაცრი მსაჯულია (იხ. მაგალითად, მისი ცნობები ლაზიკის შესახებ, რომელთა მიხედვით, მოხირისის გარდა სხვაგან ამ ქვეყანაში არავითარი ნაყოფი არ მოდის!), მაშინ უნდა ვირწმუნოთ, რომ ზემო ქართლის ინტენსიური სოფლის მეურნეობა აყვავებუ-

ლია („სავსეა ყოველგვარი სიკეთით"!). ამასთან, თუ მოვიგონებთ, რომ მესხებს „მთებში აქვთ საბინადრო ადგილები"[75], მაშინ იქ მესაქონლეობის განვითარებაზეც გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნება.

ქართლის სოფლის მეურნეობის ვითარების ამსახველი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ირან–ბიზანტიას შორის ატეხილი ხანგრძლივი ომის პერიოდში (იხ. ქვემოთ) ქართლი წარმოადგენდა ირანის ლაშქრის ეკონომიკურ ბაზას: ქართლის სოფლის მეურნეობას აწვებოდა ამ ომის მთელი სიმძიმე, რამდენადაც სპარსელთა ლაშქარი სურსათით (კერძოდ, პურით) სნორედ აქედან მარაგდებოდა[76]. უცხოური წყაროები პირდაპირ მიგვითითებენ ამდროინდელი ქართლის საერთო ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, რაც მის სტრატეგიულ მნიშვნელობასთან ერთად, როგორც ჩანს, ერთ–ერთი ძირითადი ფაქტორი იყო მეზობელი იმპერიების ექსპანსიის განმაპირობებელ მიზეზთა შორის. ასე მაგალითად, მენანდრე პროტიქტორი, მის მიერ აღწერილი მოვლენების თანამედროვე, აღნიშნავს, რომ ხოსრო ანუშირვანს „იმედი ჰქონდა, რომ ომის დამთავრების შემდეგ ის სათანადოდ მოაწყობდა პერსარმენიისა და იბერიის საქმეებს. ეს მიწები ხომ მეტად ნაყოფიერი იყო და დიდ გადასახადებს იძლეოდა"[77]

ამგვარად, ზემომოყვანილ ჩვენებათა შედეგად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ VI ს–ში ქართლის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგები, მეხორბლეობა და მევენახეობა აღმავლობას განიცდის. ფრიად განვითარებულია მესაქონლეობაც, კერძოდ, მეცხვარეობა, რაზედაც ურბნისის ნაქალაქარიდან მოპოვებული ძვლოვანი მასალა მეტყველებს[78]. ბუნებრივია, ხელოსნობის განვითარებაც სათანადო დონეზე იდგა. წყაროები მიუთითებენ, მაგალითად, „მეხამლეთა" (ხარაზთა) და „მეჯადაგეთა" (დაბაღთა) კორპორაციების არსებობას[79], არქეოლოგიური მასალა ოქრომჭედლობის განვითარებას მოწმობს[80] და სხვ. ყოველივე ამის შედეგად უნდა გაცხოველებულიყო აღებ–მიცემობაც და საკაჭრო ეკონომიკური ურთიერთობანი არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ გარე სამყაროსთანაც. მართლაც, პროკოპი კესარიელი აღნიშნავს, რომ პერსარმენიის ქალაქ დვინში „საქონელი შემოაქვთ ინდოეთიდან, მეზობელი იბერიიდან და თითქმის ყველა სპარსეთში მოსახლე ტომთა და რომაელების ქვეშევრდომ ზოგიერთ ხალხ-

თა ქვეყნებიდან და ერთმანეთში აღებ–მიცემობას აწარმოებენ"[81]. ნიშანდობლივია, რომ ბიზანტიელი ისტორიკოსი ინდოეთის შემდეგ ქართლს ასახელებს სომხეთთან მოვაჭრე ქვეყნებს შორის, რაც ვაჭრობაში მის დიდ ხვედრით წონაზე უნდა მიუთითებდეს[82].

ქართლის საგარეო და საშინაო სავაჭრო ურთიერთობის წარმოსადგენად ნათელ სურათს იძლევა ნუმიზმატიკური მასალა.

თუკი V ს–ის მეორე ნახევარში ანუ ვახტანგ გორგასლის ეპოქაში ამ მასალის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა აქვს, როგორც ბიზანტიასთან, ისე ირანთან და ასეთი ვითარება VI ს–ის დასაწყისშიც ჩანს, ამავე საუკუნის პირველი მესამედიდან სასანური ვერცხლის მონეტების რაოდენობა მკვეთრად იზრდება, ჩნდება განძები, რომლებიც მრავალი ათეულობით შეიცავენ მონეტებს[83]. სასანური დრაქმების მოზღვავება მთელი VI ს–ის განმავლობაში შეიმჩნევა, ვიდრე VII ს–ის დასაწყისამდე[84]. მონეტათა განძებისა და ცალკეული აღმოჩენების ტოპოგრაფია მოწმობს, რომ ამ ინტენსიურ სავაჭრო–ეკონომიკურ ურთიერთობაში ჩაბმულია თითქმის მთელი ისტორიული აღმოსავლეთი საქართველო (ქვემო და შიდა ქართლი, კახეთი, ჰერეთი) და აგრეთვე დასავლეთი საქართველოს აღმოსავლეთი მხარე – არგვეთი[85]. კავკასიის ტერიტორიაზე ამ პერიოდში გავრცელებული სასანური მონეტების ტოპოგრაფია კი იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ აღმოსავლეთი საქართველო, ქართლი ცხოველ სავაჭრო–ეკონომიკურ ურთიერთობაშია მეზობელ ქვეყნებთანაც, განსაკუთრებით სომხეთთან[86], რაზედაც პროკოპი კესარიელიც მიუთითებდა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ VI–VII საუკუნეების სასანური ვერცხლის და ოქროს მონეტებიც კი გვხვდება ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, ოსეთის ტერიტორიაზე, რაც გვავარაუდებინებს ინტენსიურ სავაჭრო ურთიერთობას დარიალის ხეობით. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პროცესში აღმოსავლეთი საქართველოც იღებდა გარკვეულ მონაწილეობას[87]

ამგვარად, როგორც წყაროთა მწირი მონაცემები, ასევე ნუმიზმატიკური მასალა მოწმობს, რომ VI ს–ის განმავლობაში ქართლი ეკონომიკური აღმავლობის გზაზეა. სასანური დრაქმების დიდი რაოდენობით ინტენსიური გავრცელება მხოლოდ

საგარეო–სავაჭრო ურთიერთობაზე კი არ უნდა მიგვითითებდეს, არამედ ქართლის ცალკეულ პროვინციათა შორის ეკონომიკური კავშირების გაცხოველებაზე, შინაგანი ბაზრის გაფართოებაზე. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა და აპირობებდა ცალკეულ საერისთავოებად გათიშული ქვეყნის შერწყმა–გაერთიანების პროცესს.

ბუნებრივია, თუ შინაგანი სამეურნეო განვითარება და გარე სამყაროსთან სავაჭრო ურთიერთობის გაცხოველება იწვევს მნიშვნელოვანი სავაჭრო და ადმინისტრაციული ცენტრების შემდგომ დაწინაურებას. პირველ რიგში ეს უნდა ითქვას, ცხადია, თბილისის შესახებ. საამისო შესანიშნავი ცნობა შემოგვინახა „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ავტორმა, როდესაც ჩვენთვის საინტერესო ხანასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „მაშინ მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდნებოდა"[88]. მნიშვნელოვანი ქალაქები იყო ამ დროისათვის უჯარმა, თვით მცხეთა, ალბათ სამშვილდე, ხუნანი, ურბნისი და სხვ.[89] კერძოდ, ნიშანდობლივია, რომ სწორედ VI ს–ის შუახანებში შენდება ურბნისის გრანდიოზული საფორტიფიკაციო ნაგებობანი[90]. ქვეყნის საერთო ეკონომიკური აღმავლობა არ იძლევა საფუძველს ეს პერიოდი „ქალაქების დაცემის ხანად" წარმოვიდგინოთ[91]

ზემოხსენებული საერთო ეკონომიკური აღმავლობის აუცილებელი შედეგი იყო ქართლის სხვადასხვა კუთხეების პოლიტიკური გაერთიანების ტენდენციის სწრაფი აღორძინება, ჩვენთვის უკვე ცნობილი ვითარების გამო საერისთავოებად დაყოფილი ძველი ქართლის სამეფოს ერთ პოლიტიკურ ერთეულად შერწყმის ხელოვნურად შეწყვეტილი პროცესის ხელახალი გაძლიერება. კერძოდ, ამას არ შეიძლება არ გამოეწვია მთისა და ბარის ურთიერთობის გაცხოველება, რაც ქმნიდა საფუძველს მათი შემდგომი დაახლოებისა და შერწყმისათვის. საამისო კონკრეტულ მითითებებს კვლავ ნუმიზმატიკური მასალა იძლევა. დამახასიათებელია მონეტათა აღმოჩენები თიანეთის რაიონიდან, სახელდობრ, ერწოდან. ზემოთ უკვე იყო აღნიშნული თიანეთის განსაკუთრებული მნიშვნელობა მთის მფლობელობისათვის (ვახუშტი, ჯუანშერი), რამდენადაც იგი ბუნებრივი ცენტრი იყო არაგვის, ივრის და ალაზნის ხეობათა მთიანეთისთვის[92]. იგივე შეიძლება ითქვას, სა-

კუთრივ, ერწოზედაც, მით უმეტეს, ჩვენ ვიცით, რომ IV ს–დან მაინც „ერწო–თიანეთი“ ერთიან ტერიტორიად განიხილებოდა (ნინოს სამისიონერო მოღვაწეობა).

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ნუმიზმატიკური მასალის აღმოჩენა ერწოს ტერიტორიაზე, პირველ რიგში აღმოსავლეთი კავკასიონის მთისა („კახეთის მთეულეთი“) და ბარის სავაჭრო–ეკონომიკური ურთიერთობის დამადასტურებელ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც კარგად დამოწმებული სხვა რიგის რეალიებითაც ვახტანგ გორგასლის დროს (იხ. ზემოთ), კიდევ უფრო ინტენსიური ხდება VI ს–ში. სწორედ ამის მოწმობაა საუკუნის შუახანში ჩაფლული სასანური დრაქმების განძები თოლენჯიდან და სიმონიანთხევიდან[93].

აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე სოციალურ–ეკონომიკური აღმავლობის ეს გლობალური პროცესი მახვილი თვალით აქვს შენიშნული იმავე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორს: „ნელად–რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ“[94]. ეს ფაქტი „ქართლის შეკრებისა“ ქვეყნის ზემოხსენებული ეკონომიკური აღმავლობის შედეგია და მოწმობაც. ფაქტობრივად, ეს იყო ქვეყნის კონსოლიდაციის, „ქართლის შეკრების“ იმ მნიშვნელოვანი პროცესის ხელახალი წამოწყება, რომელსაც V ს–ის მეორე ნახევარში საფუძველი ჩაუყარა ვახტანგ გორგასალმა, მაგრამ საგარეო ძალის, სასანური ირანის ძალმომრეობის გამო დროებით შეფერხდა.

როდის უნდა მომხდარიყო ეს მნიშვნელოვანი მოვლენა?

„ქართლის ცხოვრების“ პოლიტიკურ–ქრონოლოგიური კონცეფციის მიხედვით ეს ხდება სპარსეთის მეფე ურმიზდის ანუ ჰორმიზდ IV–ის (579–590) დროს, უფრო ზუსტად, 589 წელს, როდესაც „იქმნნეს შფოთნი დიდნი სპარსეთს შინა“[95] (იხ. ქვემოთ). აი, ამ დროს „ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა და რათა იყუნენ ერისთავნი იგი თჳს–თჳსსა საერისთოსა შეუცვალებლად. მაშინ კეისარმან აღასრულა, თხოვა მათი, და მოსცა მეფედ დისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძნის ცოლისაგან, რომელსა ერქუა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს... ამას გუარამს მოსცა კეისარმან კურაპალატობა და წარმოგზავნა მცხეთას“[96].

ზემოთ უკვე იყო აღნიშნული „ქართლის ცხოვრების" ხსენებული კონცეფციის მცდარობის შესახებ. თვით მოყვანილი ამონაწერი აშკარა ქრონოლოგიურ შეუსაბამობას შეიცავს. ასე მაგალითად, ქართლის მეფე ბაკური, რომლის სიკვდილის „შემდგომად მცირეთა წელთა" ხდება ყოველივე ეს, ქართული წყაროების მიხედვით, როგორც ვიცით, მეექვსე თაობაა ვახტანგ გორგასლის შემდეგ (ვახტანგი → დაჩი → ბაკური → ფარსმანი → ფარსმან სხუაჲ → ბაკური) და, ამდენად, შეესაბამება კიდეც „ქართლის ცხოვრების" კონცეფციას, რამდენადაც ვახტანგის სიკვდილის შემდეგ 589 წ–მდე (დაახლ. 90 წლის განმავლობაში) შესაძლებელია ხუთი თაობა, მართლაც, შეცვლილიყო. მაგრამ სრულიად დაუჯერებელია 589 წ–მდე ეცოცხლა ვახტანგის შვილიშვილს და თანაც ისეთი აქტიურობა გამოემჟღავნებინა თავისი მმართველობის დროს, როგორც გუარამმა (იხ. ქვემოთ). თანაც „ქართლის ცხოვრების" ცნობები აშკარად წინააღმდეგობრივია: ერთი მხრივ როგორც ბიზანტიის კრეატურას, „გუარამს მოსცა კეისარმან კურაპალატობა და წარმოგზავნა მცხეთას" ანუ იგი იმთავითვე იმპერატორის ქვეშევრდომია; მეორე მხრივ, მხოლოდ უფრო გვიან, ბიზანტიის იმპერატორის შუამდგომლობით ირანის შაჰის წინაშე „ესე გუარამ კურაპალატი დადგა მორჩილებასა ზედა ბერძენთასა"[97]. ამიტომ გვგონია „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ჩვენება უფრო უნდა ასახავდეს მოვლენის რეალურ მხარეს: „ნელად–რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ და მერე კურაპალატადცა (იყო)" ან მეორე რედაქციით: „ნელად–რე შეკრბა ქართლი და ერისთავი განაჩინეს გუარამ დიდი. ესე იყო პირველი ერისთავი და მერმე კურაპალატადცა იყო"[98] აქ როგორც ვხედავთ, არ არის აღნიშნული, რომ გუარამ დიდი ბიზანტიელთა კრეატურა იყო და მისი კეისრისადმი ვასალობაც გვიანდელ მოვლენადაა მიჩნეული.

ამგვარად, ქართული წყაროების მიხედვით სპარსელთა პოლიტიკური ექსპანსიის შედეგად, ქართლის დიდმოხელე ერისთავთა თანხმობით VI ს–ის 30–იან წლებში გაუქმებული ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობა „შემდგომად ამისსა მცირედთა წელთა" კვლავ იქნა განახლებული ოღონდ არა „მეფობის", არამედ „ერისმთავრობის" ინსტიტუტის ფორმით და პირველი „ერისმთავარი" იყო „გუარამ დიდი". სრული საფუძველი გვაქვს ვერწმუნოთ ჩვენს მემატიანეებს: ისევე

როგორც ძნელი წარმოსადგენია ცივილიზებული ხალხის მახსოვრობას დავინყებოდა პირველი სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლის, ფარნავაზის ან პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის სახელი, მით უმეტეს ამ შემთხვევაშიც, გვგონია, სრული უფლება გვაქვს ვენდოთ ეროვნულ ტრადიციას.

ბიზანტიურ და სირიულ წყაროებში შემონახული მონაცემები მოწმობს, რომ „ქართლის ცხოვრების" ქრონოლოგიური კონცეფცია ჩვენთვის საინტერესო მოვლენასთან დაკავშირებით არარეალურია.

ასე მაგალითად, VI ს–ის მეორე ნახევრის ავტორი, თეოფანე ბიზანტიელი 571 წლისთვის აღნიშნავს, რომ იბერებზე „მთავრობდა გორგენი, ხოლო იბერთა დედაქალაქი მაშინ ტფილისი იყო"[99]; ხოლო იოანე ეფესელი, იმავე საუკუნის სირიელი ავტორი, მას უწოდებს „მეფეს ხალხისა (იბერებისა) სახელად გორგონი"[100]. ქართული სახელწოდება ამ „მთავრისა" (ჰეგემონისა) თუ „მეფისა", რეალურად კი, ცხადია, „ერისმთავრისა", გურგენი უნდა ყოფილიყო. უცხოურ წყაროთა ამ მონაცემებით აშკარად დასტურდება „ქართლის ცხოვრების" ჩვენების ანაქრონიზმი: ქართლის ერისმთავარი 589 წელს არ „განუჩენიათ", მისი არსებობა 571 წლისთვის ფაქტია. კიდევ მეტი. ცნობათა კონტექსტი ისეთია, რომ გურგენის ერისმთავრობის დასაწყისი 571 წლამდე უნდა ვიგულისხმოთ[101].

ეს გურგენი სრულიად რეალური პიროვნებაა, რაც მტკიცდება ქართული ნუმიზმატიკური მონაცემებით (იხ. ქვემოთ). ეს კი გვაფიქრებინებს, რომ გუარამ დიდს, ქართლის სახელმწიფოებრიობის აღმდგენელს, მასზე უწინარეს უნდა ეცხოვრა. მართლაც, შემორჩენილია, VI ს–ის სირიელი ავტორის ე. წ. ფსევდო–ზაქარია მიტილენელის ქრონიკალური ცნობა, ზუსტად დათარიღებული 555 წლით, რომელშიც მოიხსენიება „ქვეყანა გურზანი (ანუ ქართლი, დ. მ.) არმენიაში ბერძნულის მსგავსი ენით; მათ ჰყავთ ქრისტიანი მთავარი, რომელიც სპარსეთის მეფის ქვეშევრდომია"[102]. ის, რომ ქართლი „არმენიაში" შემავალ ქვეყნად იგულისხმება, სასანიდების ადმინისტრაციული დანაწილების შედეგი უნდა იყოს. მთავარი ამ ცნობაში არის ის, რომ გურზანს (ქართლს) 555 წლისთვის სპარსეთის შაჰს დამორჩილებული საკუთარი მმართველი ჰყავს, რომელიც წყაროში „მთავრად" თუ „მეფუკად" (სირიულად: malkona) იწოდება. როგორც ირკვევა VI ს–ის შუა ხანი-

სათვის ქართლში აღდგენილია საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრიობა (თუმცა, ცხადია, დამოკიდებული კვლავ ირანისაგან) და ამდენად, სავარაუდოა, რომ ფსევდო–ზაქარიას „გურზანის მეფუკა" სწორედ ქართლის პირველ ერისმთავარს, გუარამ დიდს გულისხმობს[103].

რა ვითარებაში მოხდა კონკრეტულად, რომ „ნელად–რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ", სამწუხაროდ, არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში „ქართლის ცხოვრების" ვერსია, რომ ამ აქციაში ბიზანტიის იმპერატორის ხელი ერია, არ უნდა იყოს სწორი და ეს არც იგულისხმება „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ზემომოყვანილი ცნობით, რომლის მიხედვით, ეს მოხდა მაშინ, როდესაც „სპარსნი უფლებდეს ქართლს"[104]. მართლაც, 50–იან წლებში ბიზანტიასა და სპარსეთს შორის დიდი ომი წარმოებს, კერძოდ, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, ეგრისში. ქართლი, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ამ ომში ირანის ლაშქრის ეკონომიკურ ბაზას წარმოადგენდა და ამდენად ხოსრო ანუშირვანი დიდად უნდა ყოფილიყო დაინტერესებული ქართლში სტაბილური მდგომარეობით, რაზედაც პირდაპირ მიუთითებს პროკოპი კესარიელი, როდესაც გადმოსცემს სპარსეთის შაჰის შეხედულებას ეგრისის დაპყრობის მნიშვნელობის შესახებ. ხოსრო ანუშირვანის „აზრით, სპარსეთის ძალაუფლებას ეს დიდ სარგებლობას მოუტანდა; იბერიაც ხომ მომავალში უშიშრად ეპყრებოდა, რადგან იბერებს აღარ ეყოლებოდათ ის ხალხი, ვისთანაც ისინი, განდგომის შემთხვევაში თავს გადაირჩენდნენ"[105]. ბიზანტიელი ისტორიკოსი თავისი „ომების ისტორიას" სწორედ 50–იანი წლების დასაწყისში წერდა და, ცხადია, თავის თანადროულ სიტუაციას გულისხმობდა, როდესაც აღნიშნავდა, რომ ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ „არც სპარსელები აძლევდნენ ნებას მათ მეფე ჰყოლოდათ, არც იბერები ემორჩილებოდნენ სპარსელებს თავისი ნებით, არამედ დიდი ეჭვითა და უნდობლობით ეპყრობოდნენ ერთმანეთს. ცხადი იყო, რომ იბერებს უჭირდათ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა და ახლო მომავალში განზრახული ჰქონდათ აჯანყება"[106]. ასეთ ვითარებაში, რასაც ზედ ბიზანტიასთან ეგრისში ომიც დაერთო, ირანის შაჰი დათმობაზე უნდა წასულიყო, ანგარიში გაეწია ქართველ დიდებულთა თხოვნისათვის და აღედგინა ქართული სახელმწიფოებრიობა.

პროკოპი კესარიელმა „ომების ისტორიის" წერა ფაქტობრივად დაასრულა 550 წელს (ბოლო, VIII წიგნი დაიწერა 554 წ.)[107] და ამ დროს, როგორც მისივე ზემოხსენებული სიტყვებიდან ჩანს, ქართლში უმეფობის ხანაა. მაშასადამე, ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა 550–555 წლებში უნდა მომხდარიყო.

გუარამ დიდმა, პირველმა ქართლის ერისმთავრმა, „ამან დადვა საფუძველი პატიოსნისა ჯუარისაჲ"[108], ანუ მცხეთის ჯვრის ეკლესიის მშენებლობა დაუწყია. როგორც ირკვევა მისი აშენებული უნდა იყოს მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესია[109].

571 წლისთვის ქართლის ერისმთავრად, როგორც ვიცით, ბიზანტიურ და სირიულ წყაროებში მოიხსენიება უკვე გურგენი. ქართლი ამ დროს ისევე, როგორც პერსარმენია, ბიზანტიასა და ირანს შორის 562 წ. დადებული 50 წლიანი ზავის პირობების თანახმად, ირანის ვასალური ქვეყანა იყო. მაგრამ 571 წელს სომხები ვარდან მამიკონიანის მეთაურობით ჯანყდებიან სპარსელთა წინააღმდეგ, კლავენ მათ მხედართმთავარს, რომელიც ქ. დვინში ხოსრო ანუშირვანის დავალებით ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრის აგებას აპირებდა, და გზავნიან მოციქულებს იმპერატორ იუსტინესთან, რომ მან სომხეთი თავის ქვეშევრდომობაში მიიღოს. იუსტინემ თანხმობა მისცა[110]. თეოფანე ბიზანტიელი პირდაპირ მიუთითებს, რომ „ეს იყო მთავარი მიზეზი სპარსელთა და რომაელთა შორის არსებული ზავის დარღვევისა"[111]. იგივე ისტორიკოსი იქვე დასძენს, რომ სპარსელებს „მაშინვე გადაუდგნენ იბერებიც და მიემხრნენ რომაელებს: მათ მთავრობდა გორგენი"[112]. ეს უკანასკნელი იმპერატორთან მოსალაპარაკებლად კონსტანტინოპოლში ჩასულა, სადაც იგი დიდის პატივით მიუღიათ[113] უნდა ვიფიქროთ (თუმცა სათანადო პირდაპირი ცნობა არ არსებობს), რომ ისევე როგორც სომხეთში, ქართლშიც ირანული გარნიზონი ამოუხოციათ ან ქვეყნიდან განუდევნიათ. ყოველ შემთხვევაში შაჰს 572–573 წლებში სომხეთისა და ქართლის მორჩილებაში მოსაყვანად მხედართმთავარი გოლონ მიჰრანი გამოუგზავნია, რომელსაც დავალებული ჰქონია, როგორც სომეხი ისტორიკოსი გადმოგვცემს, „სომხეთში ამოეწყვიტა ყველა მამაკაცი". მართლაც, დიდი სისასტიკე გამოუჩენია მას ამ ქვეყანაში, რის შემდეგაც ომით წამოსულა ქართლზე და აქ კი დამარცხებულა[114].

ქართლში მთელი სამოცდაათიანი წლების განმავლობაში, თვით ოთხმოციანი წლების დამდეგამდე, სანამ ბიზანტიასა და ირანს შორის საომარი მოქმედებანი არ წყდებოდა, ბიზანტიური ლაშქარი იდგა და, ცხადია, იმ პერიოდში ქართლის ერისმთავარიც იმპერატორის ქვეშევრდომად ითვლებოდა.

ასე მაგალითად, 576–577 წლების საზავო მოლაპარაკების დროს, სპარსელი ელჩი, მებოდი ზავის პირობად ბიზანტიელთაგან ყოველწლიურად გარკვეული თანხის გადახდასთან ერთად (რაც კავკასიის უღელტეხილების, კერძოდ, დარიალანის სიმაგრის დაცვასთან იყო დაკავშირებული), კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ბიზანტიელები „გასულიყვნენ პერსარმენიიდან და იბერიიდან"[115]. გარდა ამისა სპარსელები მოითხოვდნენ 571 წლის აჯანყების მოთავეების გადაცემას. თავის მხრივ, როგორც მენანდრე პროტიქტორი გადმოგვცემს, „კეისარი მზად იყო დაეთმო სპარსელებისთვის პერსარმენია და იბერია, ვინაიდან მან კარგად იცოდა, რომ სპარსელები არავითარ შემთხვევაში არ დათმობდნენ ამ ქვეყანას, მაშინაც კი არა, რომ სპარსელთა საქმეები საბოლოოდ დასუსტებულიყო და დაღუპულიყო; მაგრამ ის ფიქრობდა, რომ... ზავს განამტკიცებდა მხოლოდ იმ პირობით, თუ მსურველ პერსარმენიელებსა და იბერებს ნება ექნებოდათ დაეტოვებინათ თავიანთი მინა–წყალი და წასულიყვნენ რომაელთა ქვეყანაში". სპარსელებიც თანახმანი იყვნენ დაეთმოთ ბიზანტიელთათვის მესოპოტამიაში სასაზღვრო ციხე–ქალაქი დარა, „თუ რომაელები ჯერ პერსარმენიიდან და იბერიიდან გავიდოდნენ"[116].

ზემოხსენებულიდან კარგად ჩანს, რომ მას შემდეგ, რაც ქართლში (და სომხეთში) ირანის ბატონობის საწინააღმდეგო აჯანყება მოხდა 571 წ. და ქვეყანა იმპერატორის ქვეშევრდომობაში შევიდა აქ ბიზანტიელთა გარნიზონი ჩამდგარა, რომლის გაყვანასაც ირანი დაჟინებით ცდილობს 577 წელს.

მაგრამ ამჯერად თითქმის საბოლოო შეთანხმებამდე მისული მოლაპარაკება ჩაიშალა, რადგან „მოხდა შეტაკება არმენიაში, რომელშიაც რომაელები ყოველგვარი მოლოდინის გარეშე საშინლად დამარცხდნენ" ამან საბაბი მისცა ხოსრო ანუშირვანს განეახლებინა საომარი მოქმედება[117].

ქართლი და პერსარმენია უფრო გვიანაც ბიზანტიელთა გავლენის ქვეშ რჩება. ასე, მაგალითად 579 წელს კეისარი ტიბერიუსი კვლავ აგზავნის ელჩებს ხოსრო ანუშირვანთან წე-

რილით: „მსურს ზავი... ამიტომ მზადა ვარ უარი ვთქვა პერსარმენიაზე და იბერიაზე იმათ გარდა, ვინც სპარსელთა არმენიიდან და იბერთაგან ჩვენს ქვეშევრდომობას მოისურვებს", სამაგიეროდ მოითხოვს ისევ ქ. დარას დაბრუნებას[118]. მოლაპარაკება ამჯერადაც შენყდა ხოსრო ანუშირვანის სიკვდილის გამო.

ირანის ტახტზე 579 წელს ასულმა ჰორმიზდ IV–მ (579–590) ხოსრო ანუშირვანის შვილმა, ბიზანტიელ ელჩებს განუცხადა, რომ იგი არ აპირებს შეამციროს მამამისისგან მემკვიდრეობით მიღებული სახელმწიფოს ტერიტორია, ამიტომ ქ. დარას დაბრუნებაზე ფიქრიც ზედმეტია[119] და თავის მხრივ, „აშკარად მოითხოვა – რომაელებს ხარკი ეხადათ, არმენიელები და იბერიელები ქვეშევრდომებად ჰყოლოდა – რომაელებს უნდა დაეთმოთ ეს მისთვის"[120].

580 წელს კვლავ განახლდა ომი ბიზანტია–ირანს შორის და საომარი მოქმედებები, როგორც ჩანს, პერსარმენიისა და ქართლის ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა, სადაც ტიბერიუსის მიერ აღმოსავლეთის სარდლად დანიშნულ მავრიკის (მომავალ კეისარს) წარუმატებელი ბრძოლები ჰქონდა[121].

ტიბერიუსი კვლავ აგზავნის ელჩებს ჰორმიზდთან, რომელიც ბიზანტიელთაგან, თანახმად იუსტინიანესთან დადებული პირობისა, მოითხოვდა გარკვეული თანხის გადახდას, ბიზანტიელები კი ისევ ქ. დარას გადაცემას თხოულობდნენ სომხეთისა და ქართლის სანაცვლოდ, იმ პირობით, რომ სპარსელები არ მოითხოვდნენ ლტოლვილთა უკან დაბრუნებას[122].

რით დამთავრდა ეს დაუსრულებელი დავა, სამწუხაროდ, არ ჩანს. ფაქტი ერთია, რომ 571–580 წლებში ქართლი და პერსარმენია ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნებია, და ამდენადვე, ცხადია, რომ ქართლის ერისმთავარი გურგენი, 571 წლის ანტიირანული აჯანყების მედროშე ქართლში, ამ დროს ბიზანტიის ქვეშევრდომი უნდა ყოფილიყო.

გურგენი საკმაოდ ძლიერი მმართველია, რაც არა მხოლოდ მისი ბიოგრაფიის ზემოხსენებული მწირი ფრაგმენტებიდან ჩანს (571 წლის აჯანყების ხელმძღვანელობა, 573 წლის გოლონ მიჰრანის დამარცხება), არამედ იქიდანაც, რომ, როგორც ეტყობა, სწორედ მისი სახელითაა მოჭრილი პირველი ეროვნული მონეტა ქართული ზედწერილით, რაც აშკარად გამოხატავს მის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს მმართ-

ველის პრეტენზიას. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ქართლისათვის იმ მეტად დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში, როდესაც ქვეყანა, როგორც ვხედავთ, განუწყვეტელი დავის ობიექტად იყო გადაქცეული მაშინდელი მსოფლიოს ორ უდიდეს იმპერიას შორის, ცხადია, მისი მმართველი ამ დრამატული პერიპეტიების, გულგრილ მაყურებლად ვერ დარჩებოდა. პირუკუ, უნდა ვივარაუდოთ, რომ გურგენი არა მარტო ბრძოლით, არამედ ქართლის პოლიტიკოსთათვის უკვე ჩვეული დიპლომატიური ლავირების საშუალებით, შეეცდებოდა მაქსიმალური სარგებლობა მოეტანა თავისი ქვეყნისათვის, რომელიც ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის გზაზე იდგა და, ცხადია, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ესწრაფვოდა. აი, სნორედ ამის დასტურად და გამოხატულებად გვეჩვენება მისი ზედწერილით მოჭრილი და ჩვენამდე ექვს თუ რვა ცალად მოღნეული ე. წ. „ქართულ–სასანური დრაქმები"[123].

ჩვენთვის საინტერესოა, რა ინფორმაციას შეიცავს გურგენ ერისმთავრის მიერ მოჭრილი ეს მონეტა. ავერსზე ანუ მონეტის შუბლზე უხეშად გამოსახულია ჰორმიზდ IV–ის პორტრეტი ფალაური წარწერით, რომელიც წერტილოვან წრეხაზშია ჩასმული. ეს უკანასკნელი გახსნილია მეფის გვირგვინის თავზე და სწორედ აქ არის გამოსახული ქართული ასომთავრული შრიფტით გამოყვანილი ორი ასო – „გნ.", რასაც ნუმიზმატები კითხულობენ, სრულიად სამართლიანად, როგორც „გურგენ" რევერსზე ანუ მონეტის ზურგზე გამოსახულია მაზდეანური საკურთხეველი, ანთებული წმინდა ცეცხლით, რომელსაც ორი მცველი იცავს. აქვეა დამახინჯებული ფალაური ზედწერილები, რომლებიც ემისიის თარიღს და ადგილს გადმოსცემენ.

ერთი სიტყვით, გურგენის მონოგრამიანი ქართულ–სასანური მონეტები ნუმიზმატთა თანხმობლივი აღიარებით ჰორმიზდ IV–ის მიერ მოჭრილი ორიგინალების მინაბაძია და ამდენად VI ს–ის 80–იანი წლებით უნდა დათარიღდეს. მართლაც, ერთ–ერთ ასეთ მონეტაზე იკითხება თარიღი - შვიდი[124], რაც გულისხმობს მონეტის ემისიას ჰორმიზდის მეფობის მეშვიდე წელს ანუ 584 წ.[125] ეს არის იმის ცხადი მოწმობა, რომ გურგენის ვერცხლის მონეტა მოჭრილია ჰორმიზდ IV–ის მონეტების იმ ორიგინალის მიბაძვით, რომელიც 584 წელს მოიჭრა, მაგრამ არ არის აუცილებელი ვივარაუდოთ, რომ თვით

გურგენის მონეტაც მაინცდამაინც ამ წლით თარიღდება[126]. ერთი რამ კი უცილობელია: 584 წელს ქართლის ერისმთავარი კვლავ გურგენია და ამდენად მისი ზეობის მიახლოებითი თარიღიც ცნობილი ხდება – 571–584 წლები.

გარდა ამისა სავარაუდოა, რომ (თუმცა კი საამისო პირდაპირი წყარო არ გაგვაჩნია), 580 წლის შემდეგ 584 წ–მდე ჰორმიზდ IV–ს მოუხერხებია, ბოლოს და ბოლოს, რომაელთა გარნიზონებისაგან ქართლის დაცლა და ქვეყანაზე თავისი გავლენის გავრცელება. ამაზე სწორედ ის მიუთითებს, რომ გურგენის სახელით მოჭრილი მონეტა სასანური მონეტების და, კერძოდ, ჰორმიზდ IV–ის დროინდელი ემისიის მინაბაძია. თუმცა, ჩანს, მრავალწლიან ბრძოლას უკვალოდ არ ჩაუვლია და ქართლის ერისმთავარს დამოუკიდებლობის გარკვეული სტატუსი მაინც შეუნარჩუნებია, რასაც მონეტაზე მისი ქართული ზედწერილი უნდა მოწმობდეს. ამას ქართლის შემდგომი პოლიტიკური ევოლუციაც ადასტურებს, რაც კარგად აისახა სწორედ ნუმიზმატიკურ მასალაზე.

ქართულ–სასანური მონეტების მცირერიცხოვან კოლექციაში შემონახულია ანონიმური მონეტები (10 ცალი), რომლებიც კვლავ ჰორმიზდ IV–ის მონეტათა მინაბაძებია, მაგრამ ქართული ზედწერილის მაგივრად ქრისტიანობის სიმბოლოს – ჯვარის გამოსახულებას ატარებენ. ერთ–ერთ მათგანზე აშკარად იკითხება ფალაურად თარიღი – რვა, რაც იმას მოწმობს, რომ იგი მოჭრილია ზემოხსენებული შაჰის მმართველობის მერვე წელს გამოშვებული ორიგინალის მიბაძვით[127]. დანარჩენ მონეტებზე დამახინჯებული ფალაური ზედწერილის ნაკითხვა საეჭვოა[128]. ერთი რამ ცხადია: ეს ანონიმური მონეტები ტიპოლოგიურად უნდა მოთავსდნენ გურგენის მიერ მოჭრილ მონეტებსა და სტეფანოს პირველის სახელით მოჭრილ მონეტებს შორის[129] (იხ. ქვემოთ) და ამდენად, მისი პროტოტიპის მოჭრის თარიღიც – რვა ანუ 585 წელი შესაძლებელია შემთხვევითი არც იყოს. ამასთან დაკავშირებით, ყურადღება უნდა მიექცეს ერთ მნიშვნელოვან გარემოებას.

რამდენადაც საქართველოში აღმოჩენილი სასანური ვერცხლის მონეტების ნუმიზმატების მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ჩანს, ჰორმიზდ IV–ის დროინდელი ემისიის მონეტებიდან მე–7 და მე–8 წელს ანუ 584 და 585 წლებში გამოშვებული ერთეულები ძალიან ცოტაა და ამდენადვე, უნდა

ვიფიქროთ, ცოტა ხანს იყო მიმოქცევაში ქართლის ბაზარზე. ასე მაგალითად, დედოფლის წყაროს მახლობლად 1977 წელს შემთხვევით ნაპოვნი ვერცხლის იმ სასანურ–ბიზანტიური მონეტების დიდ განძში (1300–მდე მონეტა), რომელიც VII ს–ის 40–50–იან წლებში უნდა ყოფილიყო ჩაფლული და რომელშიც ყველაზე დიდი რაოდენობით სნორედ ჰორმიზდ IV–ის მონეტები აღმოჩნდა (743 ც.), 584 წელს მოჭრილი მხოლოდ - 82, ხოლო 585 წელს 59 მონეტაა. რაც შეეხება 586–590 წლების ემისიას, იგი სამჯერ აღემატება 584/5 წლებისას ერთად აღებულს[130] ამიტომ, თითქოს ცხადია, რომ ჰორმიზდ IV–ის 586–90 წლების მონეტები გაცილებით უფრო ინტენსიურად მიმოიქცეოდა აღმოსავლეთ საქართველოში, ვიდრე მისივე წინა წლების ფული. ამდენადვე ლოგიკურია დავასკვნათ: სასანური მონეტების ქართული მინაბაძები, როგორც გურგენის ზედწერილიანი, ისე ანონიმურებიც, 586–590 წლებში რომ იყოს მოჭრილი, ცხადია, ქართველი ოსტატები ნიმუშად იმ ორიგინალებს აიღებდნენ, რომლებიც სნორედ ამ დროს ასე ფართოდ მიმოიქცეოდა ქართლში[131]

ამიტომ, საფიქრებელია, რომ გურგენის მიერ ჰორმიზდ IV–ის მეფობის მეშვიდე, ანუ 584 წლის ემისიის მიბაძვით მოჭრილი მონეტები თუ იმავე წლის არ არის, მაინცდამაინც 885/6 წლით უნდა დათარიღდეს, ხოლო ანონიმური ცალები თუ ჰორმიზდის ზეობის მე–8 წლით (585 წ.) არა – 586/7 წლით. საერთოდ კი იმ ინტენსიური ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის პირობებში, როგორიც VI ს–ის თითქმის მთელს მანძილზე ქართლსა და ირანს შორის არსებობდა, სრულიად გამორიცხული უნდა იყოს, რომ ირანში მოჭრილ მონეტას ქართლში მოსაღწევად რამდენიმე წელი დასჭირვებოდა[132].

589 წელს ქართლის ტახტზე გვარამ II ზის.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ წყაროებში ქართლის ერისმთავართა ნუსხა ნაკლული სახითაა შემორჩენილი. ყველა წყაროში („მოქცევაჲ ქართლისაჲს" ორი რედაქცია, „ქართლის ცხოვრება", სუმბატ დავითის ძის „ქრონიკა") ეს ნუსხა სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი, თუმცა VI ს–ის მეორე და VII ს–ის პირველი ნახევრის მმართველების რიგი ყველგან ერთნაირია. ეს ამ წყაროთა ერთმანეთზე დამოკიდებულებით შეიძლება აიხსნას. ფაქტი კი ის არის, რომ თვით VI ს–ის მეო-

რე ნახევრის რამდენიმე რეალურად არსებულ ერისმთავარს არც ერთი ქართული ისტორიული წყარო არ იცნობს. ასე მაგალითად, მათთვის უცნობია ზემოხსენებული გურგენი, რომელიც იხსენიება VI ს–ის ბიზანტიურ და სირიულ ქრონიკებში და რომლის სახელი აღბეჭდილია პირველ ქართულ ეროვნულ მონეტაზე[133].

ქართულ–სასანურ მონეტებზე კიდევ ერთი ერისმთავრის სახელია შემონახული, რომელიც დაქარაგმებულია „ჯო"–ს სახით[134] და რომელიც შეიძლება გაიშიფროს, როგორც „ჯოანშერ//ჯუანშერ"[135]. ამ მონეტის ტიპოლოგიური ანალიზი მოწმობს, რომ იგი გურგენის დრაქმის მინაბაძია და ამდენად ეს ერისმთავარი გურგენის შემდეგ უნდა მჯდარიყო ქართლის ტახტზე მეტად ხანმოკლე დროით, რასაც ამ მონეტის უნიკალობა უნდა ადასტურებდეს[136].

ამგვარად, ეჭვი არ არის, რომ ქართულ წყაროებში შემორჩენილი ქართლის პირველი ერისმთავრების ნუსხაც ნაკლულია.

ისევე, როგორც გურგენი, „მოქცევაჲ ქართლისაჲში" და „ქართლის ცხოვრებაშიც" მოხსენიებული გუარამ (II) კურაპალატიც სრულიად რეალური პიროვნება უნდა იყოს, რასაც მოწმობს მასთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენები, რომელთა შესახებ „ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს.

მას შემდეგ, რაც მან ქართლის ერისმთავრობა მიიღო, გადმოგვცემს მემატიანე, „კეისარმან წარმოსცა განძი დიდი გუარამ კურაპალატსა თანა, და უბრძანა, რათა მით განძითა გამოიყვანნეს ჩრდილოს ლაშქარნი, და შეერთნეს თანა სპანი ქართველთანი, და შეგზავნეს სპარსეთს. ხოლო გუარამ ყო ეგრე: გამოიყვანნა ოვსნი, დურძუკნი და დიდონი, და წარუძღუანნა წინა ერისთავნი ქართლისანი. შევიდეს ადარბადაგანს, დაუწყეს ტყუენვად. და ესევითარნი ჭირნი და უცალოებანი მოიწივნეს სპარსთა ზედა.

მაშინ გამოჩნდა სპარსეთს კაცი ერთი, რომელსა ერქუა ბარამ ჩუბინი. ეს ენწყო თურქთა სპარსეთს შემოსრულთა, ვითარცა წერილ არს განცხადებულად ცხოვრებასა სპარსთასა, მოკლა საბა თურქთა მეფე, და აოტა ბანაკი მათი. ხოლო სპანი იგი ბერძენთანი, რომელნი შესრულ იყვნეს სპარსეთს შეიქცეს და ნარვიდეს შინა. და ჩრდილონი იგი, გუარამ კურაპალატისა შეგზავნილნი, წარმოვიდეს იგინიცა შინა"[137].

აქ მოთხრობილია სრულიად რეალური ამბავი.

VI ს–ის მეორე ნახევარში ცენტრალური და შუა აზიის უზარმაზარ სივრცეზე წარმოიქმნა მომთაბარე თურქთა სახელმწიფო ე. წ. თურქთა კაგანატი. 565 წელს თურქებმა დაიმორჩილეს სოღდი. სოღდელები ცხოვრობდნენ დიდ საქარავნო გზაზე, რომელსაც „აბრეშუმის გზას“ უწოდებენ. იგი იწყებოდა ჩინეთში, სოღდის ქალაქებზე გავლის შემდეგ გადასჭრიდა ირანს და ბიზანტიის მცირეაზიური ტერიტორიით კონსტანტინოპოლამდე აღწევდა. ერთ–ერთი განშტოება ამ გზისა ამიერკავკასიაზეც გადიოდა. ამ საქარავნო გზის უმეტეს ნაწილს ირანი აკონტროლებდა და ძალიან დიდ სარგებელს იღებდა საშუამავლო ვაჭრობაში. ბიზანტიის იმპერია, რომელიც აბრეშუმის უდიდესი მომხმარებელი იყო, ფაქტობრივად, ამ თვალსაზრისით ეკონომიკურად ირანზე იყო დამოკიდებული. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ცდილობდა რაც შეიძლება ძვირად მიეყიდა საქონელი იმპერიისთვის. ირანის ჩრდილო აღმოსავლეთით წარმოქმნილი თურქთა კაგანატი მისთვის სახიფათო მეზობელი იყო, ხოლო სოღდელი ვაჭრები არასასურველი კონკურენტები. თვით მომთაბარე თურქებიც დიდად იყვნენ დაინტერესებულნი მათი ქვეშევრდომი სოღდელი ვაჭრების საშუალებით უშუალო კონტაქტი დაემყარებინათ ბიზანტიის იმპერიასთან, რასაც ირანი, ცხადია, სასტიკად ეწინააღმდეგებოდა[138]. ამ ეკონომიკურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობათა ბუნებრივი შედეგი იყო ბიზანტიისა და თურქეთის კაგანატის ურთიერთკავშირის დამყარება ირანის საწინააღმდეგოდ. ეს კავშირი ამიერკავკასიის მეშვეობით ხორციელდებოდა, რამდენადაც ჩრდილო კავკასიის სტეპებში მობინადრე მომთაბარე ტომებზე თურქთა კაგანატის გავლენა ვრცელდებოდა. ასე აღმოჩნდა საქართველოს ტერიტორია, კერძოდ, ქართლის საერისმთავრო VI ს–ში კიდევ ერთ საერთაშორისო ურთიერთობათა კოლიზიებში ჩათრეული.

შეიქმნა კოალიცია ირანის წინააღმდეგ. ბიზანტიელთა და თურქთა ერთიანი მოქმედების კოორდინაცია, როგორც ჩანს, გუარამ კურაპალატის მეშვეობით მიღწეულ იქნა 589 წელს. ამ წლის ზაფხულს ირანი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მტრებმა იგი ყოველმხრივ ალყის რკალში მოამწყვდიეს. საომარი კამპანია დაიწყო 589 წლის მაისში, როდესაც დასავლეთის თურქები (ხაზარები) დარუბანდის გზით ჩრდილო–და-

სავლეთ ირანს (ადარბადაგანს) შეესივნენ. ირანელებმა მოახერხეს მათი მოგერიება და განდევნა. მაგრამ ზაფხულში მათ მაგივრად ჩრდილო–კავკასიელები და ქართველები გამოჩნდნენ გუარამ კურაპალატის მეთაურობით. ამავე დროს ბიზანტიელები შუამდინარეთს შეესივნენ, ხოლო იმპერატორის წაქეზებით არაბები ირანის სამხრეთ–დასავლეთ სანაპიროებს არბევდნენ. მაინც ყველაზე დიდი საშიშროება ირანს თურქებმა შეუქმნეს აღმოსავლეთში, საიდანაც შეიჭრა სავე–შაჰი (საბა თურქთა მეფე), „ჩინეთის თურქთა" მეთაური და ჰერათამდე შეაღწია. მის წინააღმდეგ ჰორმიზდ IV–ის ბრძანებით გაიგზავნა სახელგანთქმული მხედართმთავარი ბარამ ჩუბინი, რომელიც მანამდე, ჯერ კიდევ ხოსრო ანუშირვანის დროიდან, სომხეთის და აზერბაიჯანის მარზპანი ანუ, ფაქტობრივად, ირანის ჩრდილოეთის ქუსტაკის გამგებელი იყო. ბარამ ჩუბინმა შესძლო 12000 რჩეული მეომრით დაემარცხებინა ჰერათის ბრძოლაში თურქები, რომელთა მეთაური სავე–შაჰიც მან თავისი ხელით მოკლა. ბარამ ჩუბინის ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ ირანი განადგურებას გადაარჩინა: ამ ამბის გამგონე ბიზანტიელებმა, არაბებმა და კავკასიელებმა გუარამ კურაპალატის მეთაურობით შეწყვიტეს საომარი მოქმედება დასავლეთში და როგორც ქართული წყარო გვაუწყებს, „შეიქცეს და წარვიდეს შინა". ასე დამთავრდა ეს დიდი შეჯახება ერთი მხრივ, ბიზანტიასა და ირანს შორის, მეორე მხრივ, მეჯოგე–მომთაბარე თურქებსა და იმავე ცივილიზებულ ირანს შორის და რომლის აქტიური მონაწილეც ქართლის ერისმთავარი გუარამიც იყო[139].

ყველაფერი ზემოთქმული ეჭვს არ ტოვებს იმაზე, რომ „ქართლის ცხოვრების" ცნობა რეალურ–ისტორიულ მოვლენას ასახავს და ამდენად ისიც სარწმუნო უნდა იყოს, რომ 589 წლის ამ დიდი მასშტაბის სამხედრო ავანტიურის მონაწილე სწორედ ქართლის ერისთავი გუარამი უნდა ყოფილიყო. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ გუარამი და გურგენი სხვადასხვა პიროვნებები არიან: ისინი განსხვავდებიან არა მხოლოდ სახელწოდებით და ქრონოლოგიურად, არამედ ბიოგრაფიული მონაცემებითაც. საფიქრებელია, რომ გვიანდელ ქართველ მემატიანეს, რომელმაც ეს ამბავი შემოგვინახა, ძველი, ეგების, ფაქტის თანადროული წყარო ჰქონდა ხელთ. მაგრამ რამდენადაც უეჭველია, რომ მას აგრეთვე უნდა ესარგებლა

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მსგავსი ქრონიკითაც, რომელშიც გუარამ დიდ, პირველ ერისმთავარზე იყო მხოლოდ საუბარი, მან თავისი წყაროს გმირი მასთან გააიგივა.

მეორე მხრივ, თვით „მოქცევაჲში“ შემორჩენილი ცნობის კონტექსტი გუარამის შესახებ ისეთია, რომ ეჭვს აღძრავს აქაც ხომ არ არის ორი სხვადასხვა გუარამი ერთ პიროვნებად წარმოდგენილი. მართლაც, წყარო, როგორც ვიცით, გადმოგვცემს: „ნელად-რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ და მერმე კურაპალატადცა“ ან მეორე რედაქციით: „და ერისთავი განაჩინეს გუარამ დიდი. ესე იყო პირველი ერისთავი და მერმე კურაპალატადცა იყო“. ზემოთ იყო უკვე აღნიშნული, რომ ძნელი წარმოსადგენია ქართველთა ეროვნულ მახსოვრობას სწორად არ შემოენახა ქართული სახელმწიფოებრიობის აღმდგენელის სახელი. ამდენად, უნდა ვირწმუნოთ, რომ პირველი ქართველი ერისმთავრის სახელი გუარამი იყო. ეს გუარამი არ შეიძლება იყოს „ქართლის ცხოვრების“ გუარამი, რომელიც უეჭველად აგრეთვე რეალური პიროვნება იყო და VI ს-ის 80/90-იანი წლების მიჯნაზე მოღვაწეობდა, ასევე რეალური პიროვნების, გურგენ ერისმთავრის (571-586 წწ.) შემდეგ. გუარამ დიდი არ შეიძლება კურაპალატი ყოფილიყო, რადგან, ჯერ ერთი, ქართლის პირველი ერისმთავარი ირანის მორჩილია (ფსევდო-ზაქარია). შემდეგ, არც VI ს-ის 50-იან წლებში, როდესაც ეგრისში ბიზანტიასა და ირანს შორის ომი მიმდინარეობდა, ქართლი ირანს ექვემდებარებოდა და აქ ირანის ლაშქარი იდგა, და არც 562 წლის ზავის შემდეგ, როდესაც status quo აღდგა და ამდენად ქართლი კვლავ ირანის გავლენის სფეროში დარჩა, ვიდრე 571 წლის გურგენის აჯანყებამდე, ქართლის ერისმთავარს არ შეიძლება კურაპალატობა მიეღო. არც გურგენია კურაპალატი, თორემ ამას იოანე ეფესელი, რომელიც გურგენის კონსტანტინოპოლში პატივით ცხოვრებაზე საგანგებოდ საუბრობს, უთუოდ აღნიშნავდა: იოანე ეფესელი გურგენს „მეფეს“ უწოდებს. „ქართლის ცხოვრების“ გუარამი კი იმთავითვე „კურაპალატად“ ჯდება ქართლში (ესეც იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ გურგენი და გუარამი სხვადასხვა პიროვნებებია). ამდენად, „მოქცევაჲს“ ავტორის გამოთქმა, რომ გუარამ დიდი „პირველი ერისთავი, მერმე კურაპალატდაცა იყო“, გვგონია, იმის დასტურად

გამოგვადგება, რომ ამ მემატიანესაც ორი სხვადასხვა გუარამი ერთ პიროვნებად ჰყავს შეცდომით წარმოდგენილი.

ამრიგად, „ქართლის ცხოვრების" გუარამი VI ს-ის 80/90-იანი წლების მიჯნის მოღვაწეა, რომელიც გურგენის მერე, ერისმთავარ ჯუანშერის ეფემერული მმართველობის შემდეგ ჯდება ქართლის გამგებლად.

რადგან 589 წელს გუარამი ბიზანტიის კეისრის „ბრძანებით" მოქმედებს, ცხადია, იგი ბიზანტიელთა ვასალია, ეს კი ნიშნავს, რომ ამ დროისთვის ქართლი კვლავ გამოსულია სპარსელთა ქვეშევრდომობიდან, რისი დასტური ისიცაა, რომ გუარამი კურაპალატად მოიხსენიება. ამას უნდა მოწმობდეს აგრეთვე ზემოხსენებული ჯგუფი ქართულ–სასანური მონეტებისა, რომლებზეც ჯვარია გამოსახული და რომელიც სწორედ ამ ერისმთავრის ემისია უნდა იყოს. მონეტაზე თავისი სახელის აღნიშვნას, მისი წინამორბედის, გურგენისაგან განსხვავებით, მან ჯვრის – ქართული ეროვნულ–კულტურული თვითმყოფადობის და ამავე დროს ირანისაგან დამოუკიდებლობის სიმბოლოს გამოსახვა ამჯობინა, რაც, მართლაც, რევოლუციური აქციის ტოლფასი იყო[140] და სწორედ მას შეეფერებოდა, რამდენადაც იგი ირანს კი არ აუჯანყდა მხოლოდ, რაც თავისთავად არც თუ იშვიათი ამბავი იყო, არამედ ომი გამოუცხადა მას, შეიჭრა მის ტერიტორიაზე და კოალიციის სხვა ნევრებთან ერთად გარკვეული ხნის განმავლობაში წარმატებითაც მოქმედებდა.

ბარამ ჩუბინის მიერ ჰერათში თურქთა ლაშქრის განადგურებამ რადიკალურად შეცვალა ვითარება „და ჩრდილონი იგი, გუარამ კურაპალატისა შეგზავნილნი, წარმოვიდეს იგინიცა შინა; რამეთუ ვინათგან მოიცალეს სპარსთა თურქთაგან, შეშინდეს, და დაეცა შიში და ძრწოლა ქართველთა სპარსთაგან. და ამან გუარამ კურაპალატმან იწყო ციხეთა და ქალაქთა მაგრებად"[141].

მაგრამ ცოტა ხანში სიტუაცია კვლავ დიამეტრალურად შეიცვალა და ჰორმიზდით უკმაყოფილო ბარამ ჩუბინი თვით აუჯანყდა ირანის შაჰს. ამან საერთო არეულობა გამოიწვია ირანში. დიდებულებმა ჰორმიზდი გადააყენეს და თვალები დასთხარეს. ტახტზე ასულ მის მემკვიდრეს ხოსრო ფარვიზს ბარამ ჩუბინი ამარცხებს და თვით ჯდება ირანის შაჰად. მისი ეფემერული მეფობა ერთ წელიწადს გაგრძელდა. მავრიკი კე-

ისრისაგან ძალმოცემული ხოსრო უკან ბრუნდება, ამარცხებს ბარამ ჩუბინს და 591 წ. ხელმეორედ ჯდება ტახტზე[142].

ყველაფერი ეს ლაკონურად, მაგრამ ისტორიული რეალიების სრული შესატყვისობით გადმოცემული აქვს „ქართლის ცხოვრების" მემატიანეს, რომელიც ხაზს უსვამს, რომ სწორედ ამ არეულობამ ირანში გადაარჩინა ქართლი შაჰის შურისძიებას: „და კუალადცა წყალობა ყო ღმერთმან ქრისტიანთა ზედა, და სხვა შუღლი დავარდა სპარსეთს: რამეთუ იგივე ბარამ ჩუბინი გაუდგა სპარსელთა მეფესა, და დასწუნეს თუალნი მეფესა ცოლის ძმათა მისთა, და იწყეს ბრძოლად ჩუბინმან და ქასრე (ხოსრო ფარვიზმა, დ. მ.). იოტა ქასრე ჩუბინისაგან, და წარვიდა საბერძნეთს. და კეისარმან მავრიკ მოსცა ასული თჳსი ცოლად ქასრეს, და მოსცა სპა მისი და წარმოგზავნა ჩუბინსა ზედა. იოტა ჩუბინი სპარსეთით, და ქასრემან დაიპყრა სპარსეთი"[143].

ბიზანტიის კეისრის დახმარების საზღაურად ხოსრო ფარვიზი იძულებული იყო დაპირებისამებრ დაეთმო ბიზანტიისათვის ირანის დასავლური პროვინციები, მათ შორის პერსარმენიის დიდი ნაწილი ქ. დვინამდე და აგრეთვე „ქართლის დიდი ნაწილი ქალაქ თბილისამდე"[144]. მიუხედავად იმისა, რომ სომეხი ისტორიკოსის, სებეოსის ეს ცნობა თავისთავად თითქოს სავსებით კონკრეტული და ნათელია, მაინც ბუნდოვანი რჩება თუ როგორ განაწილდა ქართლი ბიზანტიასა და ირანს შორის. ქართულ წყაროებში, სამწუხაროდ, ამის შესახებ არაფერია თქმული. ერთი კი თითქოს ცხადია, რომ ქართლის უდიდეს ნაწილში ბიზანტიის გავლენა დამკვიდრდა: შესაძლოა, სებეოსის ცნობიდან გამომდინარე, ვივარაუდოთ, რომ თბილისი და ამდენადვე, ცხადია, მის აღმოსავლეთით მდებარე კახეთი (და ქვემო ქართლიც?) ირანელთა ხელში დარჩა.

ქართლის ერისმთავრები თბილისში ვეღარ დარჩებოდნენ, რადგან ისინი სწორედ ბიზანტიის ხელქვეითნი არიან. ამას მოწმობს, „ქართლის ცხოვრების" პირდაპირი მითითება, რომ მას შემდეგ, რაც მოლაპარაკების შედეგად, ქართლის დიდი ნაწილი ბიზანტიას გადაეცა, „განთავისუფლდეს ქართველნი და ესე გუარამ კურაპალატი დადგა მორჩილებასა ზედა ბერძენთასა"[145] მისი რეზიდენცია მცხეთაში უნდა ყოფილიყო.

გუარამ კურაპალატის შემდეგ ქართლის ერისმთავრად მისი შვილი, სტეფანოზი ჯდება, რომელიც „მოქცევაᲲ ქართლისაᲲს" ქრონიკაში „დიდ სტეფანოზად" იხსენიება[146]. ეს არის მცხეთის ჯვრის ტაძრის მაშენებელი სტეფანოზი[147].

სტეფანოზ I–ის ერისმთავრობა დაახლოებით 593–604 წლებზე მოდის[148]. მისი საგამგეო, რომელიც ქართლის სახელმწიფოს უდიდეს ნაწილს მოიცავს, თავისუფალია სპარსელთა პოლიტიკური და კულტურული ზეგავლენისგან. თვით სპარსეთშიც ბიზანტიელთა წყალობით გამეფებული ხოსრო II კეთილგანწყობილ ატმოსფეროს ქმნის ქრისტიანთა მიმართ[149] და ქრისტიანობა იქ მაზდეიზმს უპირისპირდება[150]. მეორე მხრივ ბიზანტია, რომელიც დიდი ხანია იბრძოდა ქართლის დასაუფლებლად (იხ. ზემოთ), დაინტერესებული უნდა ყოფილიყო ქართლის სიძლიერით თავისი ჩრდილო–აღმოსავლეთი პერიფერიის და, კერძოდ, ლაზიკის უსაფრთხოებისათვის, რომლის მიმართ ირანის ამასწინანდელი პრეტენზიები, რა თქმა უნდა, ბიზანტიის სამეფო კარს კარგად ახსოვდა. ასეთი პოლიტიკური ვითარება ქართლისათვის, მისი კულტურული და პოლიტიკური აღორძინებისათვის, ფრიად ხელსაყრელი იყო და ეს არ შეიძლება არ გამოეყენებინა მის გამგებელს.

სტეფანოზმა, როგორც გონიერმა პოლიტიკოსმა, ცხადია, ისარგებლა ამით. ეს კარგად ჩანს მისი სახელით მოჭრილი მონეტების მიხედვით. როგორც ცნობილია მის მიერ ორი ტიპის მონეტებია მოჭრილი, რომლებიც ზოგადად კვლავ სასანური დრაქმების მინაბაძებს წარმოადგენენ. პირველი ტიპის შუბლზე წრეხაზში ჩასმული ჰორმიზდ IV–ის პორტრეტია გამოსახული ფალაური წარწერით, მაგრამ წრეხაზის გარშემო, მონეტის კიდეზე ნახევარმთვარეებში ჩასმული ოთხი ქართული ასოა – „სფნს" – სტეფანოს. ზურგზე – ორ მცველს შორის მოთავსებული საკურთხევლის სვეტზე იქ, სადაც სასანურ მონეტებზე ცეცხლია გამოსახული, დგას ჯვარი. ეს მონეტა უნიკუმს წარმოადგენს და დაცულია ბერლინის მუზეუმში[151] მეორე ჯგუფის მონეტებზე, რომელიც ათზე მეტი რაოდენობითაა ჩვენამდე მოღწეული, აღარ არის არავითარი ფალაური ზედწერილი, შუბლზე თვით სტეფანოზის გამოსახულებაა, მსგავსი ჰორმიზდ IV–ისა, ორმაგ წრეხაზში ჩასმული. ბიუსტის ორივე მხარეს კი წრეხაზშივე, ასომთავრული შრიფტით დაუქარაგმებლად – „სტეფანოს"[152]. ორივე ჯგუფი მონე-

ტებისა მიეკუთვნება სტეფანოს I–ს[153], და მიუთითებს (მაინცდამაინც, მეორე ჯგუფი მონეტებისა) მისი, როგორც სუვერენის, ფაქტობრივ დამოუკიდეალობაზე[154].

მართალია, 591 წლიდან, როგორც ვიცით, ქართლის დიდი ნაწილი, მაინცდამაინც, მცხეთის ჩათვლით, ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა, რაც იმითაც დასტურდება, რომ სტეფანოსი, როგორც მის მიერ აგებული მცხეთის ჯვრის ბარელიეფის წარწერა გვიდასტურებს, პატრიკიოსის ტიტულს ატარებდა[155] (მანამდე, უკვე გუარამს ჰქონდა კურაპალატის ტიტული!), მაგრამ, ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, სავარაუდოა, იგი, ფაქტობრივად, მართლაც, დამოუკიდებელი მმართველი უნდა ყოფილიყო.

ჩვენ ვიცით, რომ VI საუკუნე, მიუხედავად პოლიტიკურად დაძაბული სიტუაციისა, ქართლის ეკონომიკური აღმავლობის პერიოდია. ამ პროცესს, რომელიც განუხრელად ვითარდებოდა VII ს–ის დასაწყისშიც, არ შეიძლება ქართული ეროვნული კულტურის განვითარების და ინტეგრაციის მძლავრი იმპულსები არ შეექმნა.

ეს ჩანს, ჯერ ერთი, ე. წ. „ასურელ მამათა" ანუ იოანე ზედაზნელის მეთაურობით შუამდინარეთიდან მოსულ მისიონერთა მოღვაწეობით, რომელთა ქართლში მოსვლას ისტორიული წყაროები ჩვენთვის უკვე ცნობილი მეფის ფარსმანის („სხუაჲ"–ს) ზეობის ხანას უკავშირებენ[156]. ისინი მოდიან ქართლში ქვეყნის გასანათლებლად „სარწმუნოებითა მართლითა" და „წმიდისა სამებისა" ანუ მართლმადიდებლური, დიოფიზიტური მრწამსის განსამტკიცებლად[157]. იოანე ზედაზნელმა „წარავლინნა მათგანნი რომელნიმე კახეთად და რომელნიმე კუხეთად კერძო, და რომელნიმე ზენა კერძო სოფლით", „ხოლო ნეტარი დავით გარესჯისა უდაბნოსა... ხოლო ეზედრიოს ჭალაკთა სამთავისისასა"[158]. „ერთმან ვინმე მათგანმან აღაშენა ალავერდი... და სხუამან ქუაბი იულთისაჲ, და სხუათა დაჰნერგნეს კუხეთს მონასტერნი, და ერთმან უდაბნოჲ გარესჯისაჲ... ხოლო ერთმან ზენა-სოფელსა (შიდა ქართლში, დ. მ.) აღაშენა მონასტერი"[159]...

სწორედ ამ ეკონომიკური აღმავლობის პროცესის რეალურობით უნდა ყოფილიყო გაპირობებული ის დიდი წარმატება, რომელიც ამ მონაზვნებს ხვდა წილად „მთეულთა"

ქრისტიანობაზე მოქცევის საქმეში. თუკი მირიანის დროს ყვარელთა და თუშთა მოქცევა არ მოხერხდა „და სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს“[160], აბიბოს ნეკრესელმა VI ს–ის მეორე ნახევარში „მოაქცივნა უმრავლესნი მთეულნი არაგუსა აღმოსავლითნი“[161]. მეორე მისიონერმა, ისე წილკნელმა, რომელიც ეპისკოპოსად ეკურთხა „ქუეყანასა მუხრანისასა და სოფელსა წილკნისასა, ფრიადნი ურწმუნონი სწავლითა მოაქცივნა, მოძღურება და ქადაგება განფინა სამწყსოსა თჳსსა“[162]. თუ აბიბოს ნეკრესელმა არაგვის აღმოსავლეთის მთიელნი მოაქცია, წილკნელის ხვედრს საკუთრივ არაგვის ხეობის მთიელნი და ნაწილობრივ ქსნელნიც შეადგენდნენ: „ანანურის ზევითი, ხევს გარდა, ისე წილკნელის ათორმეტთაგანის მოქცეული არის. რახან წმინდის ემბაზის შვილნი შექმნილიყვნენ, მათი ეფისკოპოზი ვინც ვინ წილკნელი ყოფილან, იმათი სამწყსო ყოფილა“[163]. ხევი წმინდა ნინოს მოქცეულად ითვლებოდა[164] და ამდენად, როგორც ჩანს, საკათალიკოსო სამწყსოს წარმოადგენდა. ქადაგებენ „მთასა დვალეთისასა“ და „ხევსა შინა ლოპოტანისასა“[165]. უკვე ამ დროს უნდა ჩამოყალიბებულიყო საეპისკოპოსო ეპარქიათა ის ძირითადი კონტურები, რომელთა შესახებ ცნობები გვიანი ხანიდან გვაქვს შემორჩენილი[166]. ამ ეპარქიათა ტერიტორიული მოცულობა უნდა მოწმობდეს, რომ მთისა და ბარის ურთიერთშერწყმის პროცესი საკმაოდ ღრმად არის წასული[167] ერთი სიტყვით, ქვეყნის საერთო ეკონომიკური აღმავლობის საფუძველზე პოლიტიკური და კულტურული ფაქტორები ურთიერთგაპირობებული იყო[168].

ყველაფერ ამის შედეგად VII ს–ის დასაწყისში მოხდა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი, რომელმაც, არსებითად, განსაზღვრა საქართველოს მომავალი ისტორიული განვითარების მიმართულება. ეს იყო სარწმუნოებრივი განხეთქილება სომხებთან. საქმე ის არის, რომ ამ დროისათვის ფრიად დაიძაბა ურთიერთობა ქრისტიანობის სხავადასხვა სექტებს, განსაკუთრებით კი ორი ძირითადი მიმდინარეობის, მონოფიზიტობის და დიოფიზიტობის მიმდევართა შორის. დოგმატურ ნიადაგზე მიმდინარე პოლემიკა, არსებითად, პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემას შეეხებოდა. ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომ ხალხთა შორის, რომლებიც ცდილობდნენ განთავისუფლებულიყვნენ მისი პოლიტიკური გავლენისაგან, ნა-

ყოფიერ ნიადაგს პოულობდა მართლმადიდებლური სახელმწიფოს ოფიციალური მრწამსისაგან განსხვავებული სხვადასხვა მწვალებლური (სექტანტური) მიმართულებანი, რომელთაც, თავის მხრივ, როგორც წესი, მხარს უჭერდა ირანის შაჰის ხელისუფლება. ამ დროისათვის განსაკუთრებით გავრცელებული იყო ბიზანტიის აღმოსავლურ პროვინციებში მონოფიზიტიზმი (სირია–პალესტინა, ეგვიპტე), რომელიც, ერთი მხრივ, ერთგვარად უპირისპირდებოდა იმპერიულ მართლმადიდებლობას (დიოფიზიტიზმს), ხოლო მეორე მხრივ, ირანის შაჰის მფარველობით სარგებლობდა[169]. სომხეთმა, რომლის უდიდესი ნაწილი (ე. წ. პერსარმენია) დიდი ხანია, რაც ირანის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ამჯერადაც, VII ს–ის პირველ წლებში ბიზანტიის ქვეშევრდომობიდან გამოსული, ირანის პროვინციად ქცეულიყო, ირანში დაშვებული ქრისტიანული მიმდინარეობა ანუ მონოფიზიტიზმი აღიარა თავის სარწმუნოებრივ მრწამსად. სომხებს ეს ხელს აძლევდა, რადგან გარდა იმისა, რომ შაჰის ხელისუფლება მათდამი ლოიალური იყო, ამ უკანასკნელის ხელშეწყობით სომხური ეკლესია, რომელიც საკმაოდ ძლიერ ორგანიზაციას წარმოადგენდა, ცდილობდა თავისი კულტურული გავლენა ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებზეც (იბერია, ალვანეთი) გაევრცელებინა. ეს კი, ერთი მხრივ, ნიშნავდა ირანის პოლიტიკური გავლენის გავრცელებასაც ამ ქვეყნებზე, და კერძოდ, ქართლზე და, მეორე მხრივ, სომხეთის მიერ ამ ხალხთა, კერძოდ, იბერიელთა კულტურულ ასიმილაციას ანუ, საბოლოო ჯამში, გასომხებას, რამდენადაც მონოფიზიტური ქრისტიანული კულტის აღიარება, ამიერკავკასიაში სომხურენოვან მღვდელმსახურებას გულისხმობდა.

ცხადია, ქართლის მესვეურთათვის ეს სრულიად მიუღებელი იყო. ჩვენ ვიცით, რომ VI ს–ის შუაში, დაახლოებით ნახევარსაუკუნოვანი წყვეტილის შემდეგ, ხელმეორედ „შეკრებილი" ქართლი, კვლავ ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული აღორძინების გზაზე შედგა და საგარეო პოლიტიკური პროცესების განვითარების შესაბამისად საუკუნის ბოლოსათვის, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა, რომელსაც თვით ჰქონდა პრეტენზიები და შესაძლებლობაც თავისი ნაციონალური კულტურის არა მხოლოდ დამკვიდრებისა თავის საკუთარ ტერიტორიაზე, არამედ მისი გავრცელე-

ბისაც მეზობელ მხარეებში. მეორე მხრივ, უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის პირველივე წლებიდან დაწყებული, როგორც იყო ზემოთ აღნიშნული, ქართლი, არსებითად, პროდასავლურ პოლიტიკურ–კულტურულ ორიენტაციას დაადგა. ამდენად არჩევანი, ფაქტობრივად, უკვე დიდი ხნის წინ იყო გაკეთებული და სომხეთთან სარწმუნოებრივი განხეთქილება გარდაუვალი იყო.

კონფლიქტი დაიწყო იმით, რომ ქართლის კათალიკოსმა კირიონმა ქვემო ქართლის ეპარქიაში, ცურტავის საეპისკოპოსოს ე. წ. „შუშანიკის სამარტვილეში", სადაც V ს–დან დაწყებული, მღვდელმსახურება სომხურ ენაზე წარმოებდა, ქართულად წირვის შემოღებაც აუცილებელი გახადა[170], რაც, ფაქტობრივად, ნიშნავდა ცურტავის ეპარქიაში, სადაც ქართველებთან ერთად, როგორც ჩანს, სომხური მოსახლეობაც იყო, ქართულის სავალდებულო ენად დამკვიდრებას[171]. ამან გამოინვია ეროვნებით სომეხი მოსე ცურტავის ეპისკოპოსის პროტესტი. იგი სომხეთში გაიქცა და სომეხთა კათალიკოსის მოადგილეს, ვრთანესს, რომელიც მაშინ სომხეთის ეკლესიას განაგებდა (602/3–605/6 წწ.), წერილობით შესჩივლა, ვითომ მისი მონოფიზიტური მრწამსის გამო იგი გამოაძევეს საქართველოდან. ამის შედეგი იყო მწვავე მიწერ–მოწერა სომხური ეკლესიის მესვეურებისა კირიონ ქართლის კათალიკოსთან, რომელიც რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა. სომხები თავგამოდებით ცდილობდნენ ქართველებს ანტიქალკედონური ანუ მონოფიზიტური მრწამსი ეღიარებინათ და ამდენად სომხურისა და თვით სპარსეთის ქრისტიანული ეკლესიის ტრადიციას და მოძღვრებას მიმხრობოდნენ. ისინი მუქარასაც არ ერიდებოდნენ და იმჟამად სომხეთში მყოფ სპარსეთის დიდმოხელეს, გურგანის მარზპანს სუმბატ ბაგრატუნის სთხოვდნენ კიდეც „აეღო მახვილი და ყოველ ქართლს შერკინებოდა"[172]. მეორე მხრივ, მათ სპარსეთის შაჰთანაც უჩივლიათ და, როგორც არსენი საფარელი ამბობს: „მაშინ სომეხთა შეასმინეს ქართლი მეფეთა თანა სპარსთასა, ვითარმედ ჰრომთა უპყრია სარწმუნოებაჲ"[173]. მიუხედავად ამისა კათალიკოსი კირიონი, ქართლის ერისმთავარი ადარნერსე და სხვა მთავრები მტკიცედ იდგნენ ბიზანტიის ოფიციალური სარწმუნოებრივი მრწამსის, დიოფიზიტიზმის პოზიციებზე, რამაც საბოლოოდ, 607/8 წელს სომხეთსა და ქართლს შორის საეკლესიო განხეთ-

ქილება გამოიწვია[174]. ქართლში ყველგან ქართული საეკლესიო მღვდელმსახურება დაწესდა.

კიდევ მეტი. ქართული ლიტურგია და ე. ი. ქართული ენა და მწერლობა ქართლის ფარგლებს გარეთაც ვრცელდებოდა. ჯერ ერთი, ბუნებრივია, თუ ქართლის კულტურის გავლენა ვრცელდებოდა დასავლეთ საქართველოზეც, სადაც უძველესი დროიდანვე იყო დაწყებული აღმოსავლურ–ქართული ეთნიკური ელემენტის ინფილტრაცია არგვეთიდან და სამცხიდან[175].

VII ს–ში დასავლეთი საქართველო ეკლესიურად ბიზანტიას ემორჩილებოდა. აქ იყო შექმნილი, ფასიდის (ფოთის) სამიტროპოლიტო, რომელიც მოიცავდა ოთხ საეპისკოპოსოს: როდოპოლისის (ვარდციხის), ცაიშის, პეტრას და ზიგანევთა (გუდაყვის). თავის მხრივ ფოთის სამიტროპოლიტო იერარქიულად კონსტანტინოპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა[176]. ეს მოწმობს, რომ ამ დროს დასავლეთ საქართველოში მღვდელმსახურება ბერძნულ ენაზე წარმოებს. მაგრამ, VI ს–ის ბოლოს და VII ს–ის დასაწყისში, ქართლის ეკლესიასაც აქ თავისი საკუთარი საწმყსო რომ უნდა ჰყოლოდა, ამაზე მიუთითებს სომეხი ისტორიკოსი ჰოვანეს დრასხანაკერტცი, რომლის ცნობით, ზემოხსენებული კირიონი ხელდასმულ იქნა „ქართლის სამწყსოს, გუგარეთისა და ეგრისის არქიეპისკოპოსად ნინანდელ წესთა მაგალითისამებრ“[177]. ქართლის სამწყსო თუ მხარე აქ „ზემო ქართლს“ ანუ გვიანდელ „მესხეთს“ გულისხმობს, გუგარეთი//გუგარელნი საკუთრივ „აღმოსავლეთ ქართლს“ (ქართლსა და კახეთს)[178], ხოლო ეგრისი//მეგრელნი – დასავლეთ საქართველოს. ამ ცნობის მიხედვით გამოდის რომ, VI–VII სს–თა მიჯნაზე ქართლის კათალიკოსს ხელი მიუწვდებოდა დასავლეთ საქართველოს გარკვეულ ნაწილზე მაინც[179]

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ვახუშტი ბატონიშვილის ერთი ჩვენება: „არს ხონს ეკლესია დიდი, გუმბათიანი, შვენიერ-ნაგები, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ვაკისა (ვაკე იმერეთისა დ. მ.). ეს იყო ერთობასა შინა ქართლის მთავარეპისკოპოზისა“[180]. ამ ცნობიდან, რომელიც ვახუშტს, ეჭვი არ არის, რომელიღაც ძველი წყაროდან უნდა ჰქონდეს, გამოდის, რომ ერთიანი საქართველოს არსებობის პირობებში ვაკე იმერეთი ქართლის მთავარეპისკოპოსის იურისდიქციას ემორჩი-

ლებოდა. საფიქრებელია, ეს მოვლენა გაცილებით უფრო ძველი დროის ნაყოფია, მაინცდამაინც იმ დროისა, როდესაც ეგრისი ძლიერი ქართლის კულტურულ ექსპანსიას განიცდიდა. შესაძლებელია, ეს ფრიად საინტერესო ფაქტი დაკავშირებული იყოს ზემოხსენებულ ვითარებასთან, რომელიც ფიქსირებულია სომხურ წყაროში.

ასეა თუ ისე, ეჭვი არ არის, რომ VII ს–ის დასაწყისში ქართული ენა და ქართული ეროვნული კულტურა საგრძნობლად ზღუდავს ბერძნულ–ბიზანტიური ენისა და კულტურის სარბიელს დასავლეთ საქართველოში. ეს, როგორც ვიცით, მნიშვნელოვანწილად გაპირობებული იყო აღმოსავლურ–ქართული ეთნიკური ელემენტის შეღწევით დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე, რაც კარგად საბუთდება, ქართული ისტორიული ტოპონიმიკით, რომელიც აქ დამოწმებულია სნორედ ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში, სახელდობრ VI ს–ში, ბიზანტიელი ისტორიკოსის, პროკოპი კესარიელის მიერ: კუტატის – ქუთათისი (ქუთაისი); არქაიოპოლის (ძველი ქალაქი) – ნოქალაქევი; როდოპოლის – ვარდციხე; მდ. იპპის – ცხენისწყალი; მდ. ბოას – ყვირილა. როგორც ვხედავთ, ზოგიერთი ტოპო – თუ ჰიდრონიმი პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს ბერძნულად ქართულიდან (როდოპოლისი, მდ. იპპისი, მდ. ბოასი, არქაიოპოლისი)[181].

ასეთივე ვითარება უნდა ყოფილიყო ქართლის საერისმთავროს აღმოსავლეთ პერიფერიაზე, ჰერეთში, სადაც ქართულთან ერთად ალვანური მოსახლეობაც ცხოვრობდა და თუ დასავლეთ საქართველოში ქართულ ეროვნულ კულტურას ბიზანტიურ გავლენასთან უხდებოდა ბრძოლა, აღმოსავლეთით მას ალვანურის გარდა სომხური ქრისტიანული კულტურა უწევდა მეტოქეობას[182].

ეს დიდი ეროვნულ–კულტურული მოძრაობა, რომელიც ახალგაზრდა ფეოდალური ქართლის ეკონომიკურ სიმძლავრეს ეფუძნებოდა, ფაქტობრივად, ქვეყნის კონსოლიდაციის, „ქართლის შეკრებისა" და „ყოველი ქართლის" შექმნის იმ მნიშვნელოვანი პროცესის ხელახალი წამოწყება იყო, რომელსაც V ს–ის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასალმა ჩაუყარა საფუძველი, მაგრამ საგარეო ძალის, სასანური ირანის ძალმომრეობის გამო დაახლოებით ნახევარი საუკუნით შეფერხდა. VI ს–ის მეორე ნახევრიდან ქართლი ახალი ენერგიით

ინყებს ამ დიდი ეროვნული საქმის განხორციელებას. ახლაც ქვეყნის მესვეურები თავისი მიზნებისათვის იყენებდნენ ქრისტიანულ ეკლესიას. ეროვნულ–იდეოლოგიური კონსოლიდაციის პროცესი ახალი ძალით იშლება ქართლის, ეგრისის და ჰერეთის ტერიტორიაზე. ამის დასტურია ჯვრის ტიპის ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა ქართლში (მცხეთა, ატენი), ეგრისში (მარტვილი) და ჰერეთში (შუამთა)[183], კირიონის ხელდასმა ქართლის, გუგარეთის და ეგრისის კათალიკოსად[184]. იგივე პროცესი, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ქართლის მთისა და ბარის დაახლოებისა და შემდგომი შერწყმის საფუძველს ქმნიდა.

შენიშვნები:

1. ქც, I, გვ. 204.
2. „მოქცევაჲ", გვ. 93.
3. ქც, I, გვ. 205.
4. „მოქცევაჲ", გვ. 94.
5. მეფისაშვილი რ., ანჩისხატის ბაზილიკის წარნერა. ჟურნალი: „მნათობი", №1, 1987, გვ. 143, 144.
6. ქც, I, გვ. 205.
7. იქვე, გვ. 206.
8. „მოქცევაჲ", გვ. 94.
9. ქც, I, გვ. 207. ეს ცნობა რეალური ვითარების ამსახველი უნდა იყოს, იხ.: კაკაბაძე ს., ძიებანი, გვ. 21; Меликишвили Г А. К истории, стр. 133, 134; გოილაძე ვ. ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თბ., 1990, გვ. 146, 147.
10. პროკოპი კესარიელი, „გეორგიკა", II, გვ. 49.
11. იოანე მალალა, „გეორგიკა", III, გვ. 268; თეოფანე ჟამთააღმწერელი, „გეორგიკა", IV[1], გვ. 80.
12. ს. ყაუხჩიშვილის კომენტარი თეოფანე ბიზანტიელის ცნობასთან დაკავშირებით, იხ „გეორგიკა", IV[1], გვ. 81, 82. თუმცა სულ უკანასკნელ ხანს გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს ზამანაზი თუ ძამანარძე შესაძლებელია პირენეის იბერიის მეფე იყოს (იხ. ბოგვერაძე ა., VI საუკუნის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები 90-იანი წლების ქართულ

ისტორიოგრაფიაში (კრიტიკული მიმოხილვა). ჟურნალი: „ანალები", №2, თბ., 2001, გვ. 71, 72). მაგრამ, ვიდრე ამას ვირწმუნებდეთ, ხომ უნდა ვიცოდეთ, არსებობდა თუ არა ამ დროს „იბერიის სამეფო" პირენეის ნახევარკუნძულზე? სინამდვილეში ამ პერიოდში ვიზიგოთების და სხვა (მაგრამ არა იბერიის) სახელმწიფოებია ცნობილი დღევანდელი ესპანეთის ტერიტორიაზე.

13. „მოქცევაჲ", გვ. 93, 94; ქც, I, გვ. 204, 206, 207, 215. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ქართლის ამ მეფეების ზეობის წლები თითქოს მთელს VI ს-ზე მოდის, ვიდრე 90-იან წლებამდე, მაგრამ ეს არ შეიძლება სწორი იყოს, რადგან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, 40-იანი წლებისათვის ქართლში მეფობა გაუქმებულია, ხოლო VI ს-ის მეორე ნახევრიდან ქვეყანას უკვე ე. წ. ერისმთავრები მართავენ.
14. გოილაძე ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 134.
15. ასურელ მამათა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1955, გვ. 108, 111.
16. იხ. ს. ყაუხჩიშვილის კომენტარი: „გეორგიკა", II, გვ. 162.
17. გოილაძე ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 151.
18. ასე ჰგონია ს. ყაუხჩიშვილს, იხ. „გეორგიკა", IV[1], გვ. 81, 82.
19. კაკაბაძე ს., ძიებანი, გვ. 21; გოილაძე ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 138, 140 და შემდ.; ლეთოდიანი დ., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება VI ს-ის პირველ ნახევარში. „ქართული დიპლომატიკა", წელიწდეული №3, თბ., 1996, გვ. 88.
20. ქც, I, გვ. 205.
21. ამის მოწმობაა ქართული მატიანეს ცნობა, რომ ვახტანგ გორგასლის უმცროს შვილს, „დასავლეთი ქართლის" მფლობელს, „მირდატს დაევაჭრა ძმა მისი დაჩი: მეფემან გაუცვალა ქუეყანა, და აღიღო მირდატისგან ეგრის-წყალსა და კლისურასა შუა, მირდატის დედული საზღვარი საბერძნეთისა, და მისცა ნაცვლად ჯავახეთი ფარავნითგან მტკურამდე" (ქც, I, გვ. 205).
22. იოანე მალალა, „გეორგიკა", III, გვ. 263, 264; თეოფანე ჟამთააღმწერელი, „გეორგიკა", IV[1], გვ. 77, 78.
23. პროკოპი კესარიელი, „გეორგიკა", II, გვ. 55, შენ. 1.

24. ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნა, იხ. „გეორგიკა" III, გვ. 225, შენ. 1.
25. იოანე მალალა, „გეორგიკა", III, გვ. 268; „პასქალური ქრონიკა", „გეორგიკა", IV[1], გვ. 13; თეოფანე ჟამთააღმწერელი, იქვე, გვ. 78.
26. ზაქარია რეტორი, „გეორგიკა", III, გვ. 15; Пигулевская Н., Сирийские источники по истории народов СССР, М.-Л., 1941, стр. 159.
27. პროკოპი კესარიელი, გვ. 47, 48.
28. იოანე მალალა, გვ. 267; თეოფანე ჟამთააღმწერელი, გვ. 79.
29. ვ. გოილაძეს გურგენი „დასავლეთი ქართლის" მეფედ წარმოუდგენია (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 140 და შემდ.), მაგრამ პროკოპის ცნობის კონტექსტიდან ეს არ გამომდინარეობს: ბიზანტიელი ისტორიკოსის აზრით, გურგენი მეფეა იმ „იბერებისა, რომელნიც აზიაში ცხოვრობენ, დამკვიდრებულან სადღაც კასპიის კარებთან (დარიალანთან, დ. მ.), რომელიც მათგან ჩრდილოეთით არის. მათ მარცხნივ კი დასავლეთით მდებარეობს ლაზიკე ... ისინი ქრისტიანები არიან... ხოლო ძველთაგანვე სპარსელთა მეფის ქვეშევრდომნი გამხდარან" („გეორგიკა", II, გვ. 48). ცხადია, პროკოპის გურგენი მთელი იბერიის თუ არა, მაინცდამაინც, „აღმოსავლეთ ქართლის" მეფედ მიაჩნია. ეს ჩანს სხვა რეალიებიდანაც (იხ. ქვემოთ).
30. პროკოპი კესარიელი, გვ. 49-51.
31. იქვე, გვ. 50, 51.
32. იქვე, გვ. 94.
33. ქც, I, გვ. 214; თვით შიოს „ცხოვრების" მეტაფრასულ ტექსტში სიტყვასიტყვით იგივეა, მხოლოდ შეცდომით, ასომთავრულ ასოთა მსგავსების გამო, „ხასკუნთა" მაგივრად „ტასკუნთა" წერია (იხ. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 108, 109).
34. Анчабадзе Г. З., Поход Картлийского царя в Прикубанье в середине VI в.: вымысел или факт? Сборн.: "Вопросы истории народов Кавказа". Тб., 1988.
35. შდ. გ. ანჩაბაძის დასახ. ნაშრომი, გვ. 131 და შემდ.
36. ს. ყაუხჩიშვილი თვლის, რომ ამ ცნობაში ბიზანტიელთა წინააღმდეგ აბაზგთა 550 წლის აჯანყებაზეა საუბარი (იხ.

„გეორგიკა", II, გვ. 161; შენ. 1; IV[1], გვ. 84, შენიშვნა). გ. ანჩაბაძე ამ ლაშქრობას აგრეთვე VI ს-ის შუახნით ათარიღებს, იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134; ვ. გოილაძის მიხედვით ფარსმან ქართველთა მეფე იგივე ძამანარძეა, იბერიელთა მეფე, რომელიც 526-535 წლებში მეფობდა და ხასკუნთა წინააღმდეგ VI ს-ის 30-იან წლებში ლაშქრობს (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 150, 151).

37. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1979, გვ. 285, 286; ყაუხჩიშვილი ს., ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, პირველი წიგნი, თბ., 1948, გვ. 103; Левченко М. В., История Византии, М.-Л., 1940, стр. 70; История Византии, т. I, М. 1967, стр. 329.

38. ფარსმანის იურისდიქციაში რომ მაინცდამაინც „აღმოსავლეთი ქართლის" ტერიტორია შედის, ეს ჩანს „ქართლის ცხოვრების" და შიო მღვიმელის „ცხოვრების", ასე ვთქვათ, გეოგრაფიული კონტექსტიდან: მის დროს მოდიან ქართლში ე. წ. „სირიელი მამები" იოანე **ზედაზნელის** მეთაურობით (ქც, I, გვ. 207), რომელთა მოღვაწეობის არეალი, როგორც ცნობილია, **საკუთრივ ქართლი და კახეთია**; ფარსმან მეფის დიდმოხელე სპასპეტი ევაგრე - **ციხედიდის** და **ნასტაკისის** მფლობელია (ასურელ მოღვაწეთა... გვ. 98, 102); ფარსმან მეფე წმიდა შიოს **სარკინის ქვაბებთან** ესაუბრება (იქვე, გვ. 109, 110).

39. თეოფანე ჟამთააღმწერელი, გვ. 79. შდ. იოანე მალალა, გვ. 267, „პასქალური ქრონიკა", გვ. 14. ამ ომის დაწყების თარიღად ი. ჯავახიშვილი 528 წელს დებს (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 283), ასევე ი. კულაკოვსკი (იხ. მისი, История Византии, т. II, Киев, 1912, стр. 59), სხვები 527 წ. (იხ. Левченко М. В., დასახ. ნაშრომი, გვ. 70; История Византии, т. I, стр. 326; Christensen A., L' Iran sous les Sassanides, p. 357.

40. იოანე მალალა, გვ. 268; История Византии, т. I, стр. 327.

41. გოილაძე ვ. ფირან გუშნასპის მარტვილობის ცნობათა მნიშვნელობა V-VI საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის, „მაცნე", ისტორიის... სერია, №2, 1988, გვ. 98.

42. პროკოპი კესარიელი, გვ. 60.

43. Левченко М. В., დასახ. ნაშრომი, გვ. 70; Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 65-67; История Византии, т. I, стр. 298, 328, 329.
44. История Византии, т. I, стр. 328, 329.
45. იქვე, გვ. 329.
46. Christensen A., დასახ. ნაშრომი, გვ. 342-360; История Ирана, М., 1977, стр. 114, 115.
47. Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 60.
48. История Византии, т. I, стр. 327.
49. Martyrium des Zeugen Herrn Grighor, der un den Tegen des Königs Khosrau Zeugniss ablegte. G. Hoffmann, Auszüge aus syrischen Akten persischen Märtyrer. Abhandlungen für die Kunde des Morgenlandes. Leipzig, 1880, S. 78-81. წყაროს ქართული თარგმანი გამოკვლევითურთ, იხ. ვ. გოილაძის, დასახ. ნაშრომი, გვ. 98, 99,; გ. ჰოფმანის გამოკვლევის ქსეროკოპია თავაზიანად მომაწოდა ვ. გოილაძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდი.
50. ი. ჯავახიშვილის აზრითაც სირიულ წყაროში ნახსენები ომი 523-532 წლებს შორის უნდა მომხდარიყო (იხ. მისი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, ტფ., 1935, გვ. 43).
51. თეოფანე ჟამთააღმწერელი, გვ. 79, 80; შდ. „პასქალური ქრონიკა", გვ. 14-16; იოანე მალალა, გვ. 267, 268.
52. ასე ფიქრობს გ. ანჩაბაძე, იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 134.
53. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II., თბ., 1980, გვ. 147.
54. პროკოპი კესარიელი, გვ. 62, 63.
55. იხ. ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნა: „გეორგიკა", II, გვ. 56, შენ. 1.
56. იხ. Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 66, 67.
57. პროკოპი კესარიელი, გვ. 51, 52. სხვათა შორის გურგენთან დაკავშირებული ეს ინციდენტიც აშკარად მოწმობს, რომ გურგენი მთელი ქართლის თუ არა „აღმოსავლეთი ქართლის" მეფე მაინც არის (იხ. ზემოთ, შენ. 27).
58. იუსტინიანეს ნოველა XXXI, იხ. „გეორგიკა", II, გვ. 36, 37 (ნოველა 535 წლის ახლო ხანით თარიღდება).
59. იხ. ყაუხჩიშვილი ს., ნოსირის ბერძნული ნარწერა. თუშ, ტ. XVIII, 1941.

60. თეოფანე ჟამთააღმწერელი, გვ. 80.
61. ქც, I, გვ. 217. „ქართლის ცხოვრებაში" გატარებული პოლიტიკური და ქრონოლოგიური კონცეფციის თანახმად ეს ხდება VI ს-ის მინურულს, 80-იან წლებში, რაც ცხადი ანაქრონიზმია (შდ., ვ. გოილაძე, ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, გვ. 154, 155). სხვაფრივ VI ს-ის ქართლის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება შესანიშნავადაა დანახული.
62. ვ. გოილაძე ამ ფაქტს დაახლოებით 537 წლისთვის ვარაუდობს (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 155-157). ვ. გოილაძისთვის „მეფე ძამანარძე, რა თქმა უნდა, იგივე ფარსმანია" (იქვე, გვ. 150), ხოლო დ. ლეთოდიანისათვის „ყველაზე მეტად შესაძლებელია ძამანარძე კლარჯეთ-ჯავახეთის (ზემო ქართლის) სამეფო-საგვარეულო სახლის (მირდატის შთამომავლობიდან) რომელიმე წარმომადგენელი, ერისთავთა მთავარ გუარამის წინამორბედი ყოფილიყო" (იხ. მისი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება, გვ. 88). ასევე ფიქრობდა ჯერ კიდევ ს. კაკაბაძე (იხ. მისი, ძიებანი, გვ. 21).
63. მოქცევაჲ, გვ. 94; შდ. ქც, I, გვ. 217.
64. მოქცევაჲ, გვ. 94, 95. როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავდა: „ოვსეთის დიდი კარი" უთუოდ დარიალანია... დვალეთის ორი კარი ალბათ მდ. მდ. ლიახვ-არდონის წყალგასაყარ ქედის ზეკარებს იცავდა... დურძუკეთის კარი ფშავ-ხევსურეთიდან ჩაჩან-ქისტეთში მიმავალ გზას ჰკეტავდა" (იხ. მისი, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, გვ. 4,5). „ნანარეთის ხევი" დღევანდელი „ხევია" - ყაზბეგის რაიონი (იხ. მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966, გვ. 103, 104).
65. იხ. მაგალითად Адонц Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 219, 217; Christensen A., დასახ. ნაშრომი, გვ. 102.
66. Christensen A., დასახ. ნაშრომი, გვ. 136, 137.
67. მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ. ძეგლები, I, გვ. 30 (ქვემოთ: ევსტათი მცხეთელი).
68. იქვე, გვ. 32.
69. Christensen A., დასახ. ნაშრომი, გვ. 138.
70. ევსტათი მცხეთელი, გვ. 34.

71. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 15, 18.
72. ქც, I, გვ. 217.
73. იქვე.
74. პროკოპი კესარიელი, გვ. 127.
75. იქვე.
76. იქვე, გვ. 111, 112, 117. ქართლის ეკონომიკური ვითარება VI ს-ში სპეციალურად აქვს განხილული ს. ჯანაშიას (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90-98).
77. მენანდრე პროტიქტორი, „გეორგიკა", III, გვ. 246.
78. ციციშვილი ა., ნაქალაქარი ურბნისის გვიანანტიკური და ადრეფეოდალური დროის ცხოველთა ძვალეულის ნაშთები. სსმმ, ტ. XXV-B, გვ. 148, 149.
79. ევსტათი მცხეთელი, გვ. 30.
80. Месхиа Ш. А., Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, стр. 29.
81. პროკოპი კესარიელი, გვ. 88.
82. ჯანაია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 99.
83. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II., თბ., 1980, გვ. 7-10.
84. Цоцелия М., Каталог сасанидских монет Грузии, Тб., 1981, стр. 19, 20.
85. იხ. მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, რუკა I; Цоцелия М., დასახ. ნაშრომი, გვ. 253 (რუკა).
86. იხ. მუსხელიშვილი დ., იქვე.
87. იქვე, გვ. 16 და რუკა I, ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ანუ ე. წ. „დასავლეთი ქართლის" ტერიტორიაზე დღემდე არ არის აღმოჩენილი სასანური მონეტა, სოფ. დლივის (ჯავახეთი) XI ს-ის არაბული დირჰემების განძში (იხ. Пахомов Е. А., Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. VI, №1607) დაფიქსირებული ერთი დრაქმა ხოსრო II-სა (იხ. Цоцелия М., დასახ. ნაშრომი, გვ. 233, №39), ცხადია, საწინააღმდეგო არგუმენტად არ გამოდგება და ამიტომ ასეთი ვითარება, თუკი იგი შემთხვევითობას არ მიეწერება, ეგების, იმაზე მიუთითებდეს, რომ ეს ტერიტორია, მართლაც, ბიზანტიელთა იურისდიქციის ქვეშ იყო VI ს-ში.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ ტერიტორიიდან, კერძოდ, აწყურიდან ჩემთვის, ჯერჯერობით, ცნობილია VI ს-ის მხოლოდ ერთი ბიზანტიური სპილენძის მონეტა იუსტინე II-სა (565-578 წწ. იხ. აბრამიშვილი თ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1989, გვ. 21, №73) და აგრეთვე თითო-ოროლა ვერცხლის და ოქროს მონეტები V და VII საუკუნეებისა ოკამიდან და ანდრიაწმინდიდან (იხ. აგრეთვე, გვ. 6, №1; აგრეთვე: აბრამიშვილი თ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1966, გვ. 122, №19 და გვ. 127, №81), რაც ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის თითქოს არაფრის მთქმელია.

88. მოქცევაᲘ, გვ. 45.
89. შდ. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 94 და შემდ; მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 78-80.
90. ზაქარაია პ., ნაქალაქარი ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1965, გვ. 47.
91. გარკვეული ცვლილებები ამ დროინდელი ქალაქის ეკონომიკაში, მართლაც, ამ უკანასკნელის საფუძვლის ცვლილებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული და არა მისი დაცემით. იხ. ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. II, თბ., 1970, გვ. 33-37.
92. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1964, გვ. 179.
93. მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 14, 15.
94. მოქცევაᲘ, გვ. 95.
95. ქც, I, გვ. 217.
96. იქვე, გვ. 217, 218.
97. იქვე, გვ. 221.
98. მოქცევაᲘ, გვ. 95.
99. თეოფანე ბიზანტიელი, „გეორგიკა", III, გვ. 258.
100. Пигулевская Н., Сирийские источники по истории народов СССР, М.-Л., 1941, стр. 130: "Царь народа, по имени Горгоний" იოანე ეფესელი ზუსტად ათარიღებს ამ ცნობას 571 წლით (იქვე).
101. გოილაძე ვ., VI საუკუნეში ქართლის ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დათარიღებისათვის. „მაცნე", ისტორიის... სერია, №1, 1979, გვ. 111.

102. ფსევდო-ზაქარია, „გეორგიკა", III, გვ. 17; Пигулевская Н., Сирийские источники, стр. 165. დათარიღებისათვის, იხ. იქვე, გვ. 81.
103. გოილაძე ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 114, 122. საინტერესოა, რომ სრულიად სხვა არგუმენტაციის საფუძველზე ქართლში სახელმწიფოებრიობის აღდგენა VI ს-ის ორმოცდაათიან წლებში ჯერ კიდევ 1955 წელს ივარაუდა ნ. ლომოურმა, თუმცა მას პირველ ერისმთავრად გურგენი მიაჩნია და წყაროებში გუარამის ხსენებას შეცდომას მიაწერს (იხ. მისი, კონსტანტინე პორფიროგენეტის ერთი ცნობის გარკვევისათვის, თუშ, ტ. 59, 1955). გურგენს თვლის ქართლის პირველ ერისმთავრად ნ. ასათიანიც (იხ. მისი, საქართველოს ისტორია, თბ., 1999, გვ. 100) და მის გაერისმთავრებას 571 წლის აჯანყების შემდგომ ხანაზე დებს.
104. მოქცევაჲ, გვ. 95.
105. პროკოპი კესარიელი, გვ. 93, 94.
106. პროკოპი კესარიელი, გვ. 94.
107. Удальцова З. В., Прокопий Кесарийский и его "История войн с готами. В кн. Прокопий из Кесарии, Война с готами, М., 1950, стр. 11; „გეორგიკა", II, გვ. 39.
108. მოქცევაჲ, გვ. 95.
109. Чубинашвили Г Н., Памятники типа Джвари, Тб., 1948, стр. 25.
110. ევაგრე სკოლასტიკოსი, „გეორგიკა", III, გვ. 299; თეოფანე ბიზანტიელი, იქვე, გვ. 256; История епископа Себеоса. Перевод С. Малхасянца, Ер. 1939, стр. 28; Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 361.
111. თეოფანე ბიზანტიელი, გვ. 256, 257.
112. იქვე, გვ. 257, 258.
113. Пигулевская Н., Сирийские источники, стр. 130.
114. История епископа Себеоса, стр. 31.
115. მენანდრე პროტიქტორი, „გეორგიკა", III, გვ. 243; Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 243.
116. მენანდრე პროტიქტორი, გვ. 243-248.
117. იქვე, გვ. 247, 248.
118. იქვე, გვ. 249, 250; Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 391.

119. Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 392; Christensen A., დასახ. ნაშრომი, გვ. 443.
120. თეოფილაქტე სიმოკატა, „გეორგიკა", IV[1], გვ. 31, 32.
121. მენანდრე პროტიქტორი, გვ. 250.
122. იქვე, გვ. 251. ბერძნულ ტექსტში აქ პერსარმენიის და არზანენეს გადაცემაზეა საუბარი, რაც აშკარა შეცდომაა, რადგან „არზანენე" პერსარმენიის ერთ-ერთი ოლქი იყო. ამიტომ, ცხადია, თავდაპირველ ტექსტში ამ ადგილას „იბერია" უნდა ყოფილიყო (შდ. იქვე, შენ. 1).
123. შდ. კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 53: „საფიქრებელია, რომ ქართულ-სასანური მონეტების გამოშვება გამოწვეული იყო ხელისუფლების ერთ-ერთი რეგალიის განხორციელების მიზნით და არა ვაჭრობაში გასავრცელებლად" ჩვენ ვიზიარებთ გ. დუნდუას მოსაზრებას, რომ მონოგრამა გამოსახული ორ ასეთ მონეტაზე, რომელსაც ე. პახომოვი და დ. კაპანაძე კითხულობენ, როგორც „ვახტანგ", ფაქტობრივად „გ"-ანისა და „ნ"-არის შეერთების შედეგადაა მიღებული და ამდენად იგივე „გურგენ"-ია (იხ. გ. დუნდუა, ე. ნ. ქართულ-სასანური მონეტების პრობლემა და ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხები, „მაცნე", ისტორიის... სერია, №1, 1976, გვ. 107). ასეთ შემთხვევაში სულ რვა ეგზემპლარი გამოვა.
124. Пахомов Е. А., Монеты Грузии, часть I, С.-Пб., 1910, стр. 17.
125. იხ. Пигулевская Н. В., Византия и Иран на рубеже VI и VII веков, М.-Л., 1946, стр. 237, 238; Колесников А. И., Иран в начале VII века. "Палестинский сборник", вып. 22 (85), Л., 1970, стр. 50 და არა 586 წ. როგორც ე. პახომოვთანაა.
126. დუნდუა გ., დასახ. ნაშრომი, იქვე.
127. Пахомов Е. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 25, 27.
128. იქვე, გვ. 27, გ. დუნდუა, ე. წ. ქართულ-სასანური მონეტების პრობლემა, „მაცნე", ისტორიის... სერია, №3, 1976, გვ. 47.
129. Пахомов Е. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 24.
130. Джалагания И. Л., Монетные клады Грузии. Клад сасанидских и византийских монет из Цители цкаро (Первая часть), Тб., 1980 (вторая часть), Тб., 1982.
131. მართლაც, ერთი შესანიშნავად შენახული ანონიმური მონეტა ჰორმიზდის მეათე წელს (ე. ი. 587 წ.) არის მოჭრილი

(იხ. წოწელია მ., ქართულ-სასანური მონეტის ახალი ვარიანტი. კრებული: „მასალები საქართველოს მატერიალური კულტურისა და ეკონომიკის ისტორიისათვის", თბ., 1982, გვ. 5). ამიტომ არა გვგონია სწორი იყოს გ. დუნდუას მოსაზრება, რომ „589 წ. ბოლოსა და 590 წლის გაზაფხულზე უნდა განეხორციელებინა გურგენს თავისი სამონეტო რეგალია" (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, „მაცნე", №1, 1976, გვ. 109) და მით უმეტეს, რომ „კონკრეტულად 591-593 წწ. უნდა იყოს მოჭრილი ე. წ. ქართულ-სასანური მონეტების ანონიმური სერიის ორი ჯგუფი" (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, „მაცნე", №3, 1976, გვ. 46).

132. იხ. დუნდუა გ., დასახ. ნაშრომი, „მაცნე", №1, გვ. 106.

133. არავითარი რეალური, არც ფორმალური და არც ქრონოლოგიური საფუძველი არ არსებობს გუარამის და გურგენის გასაიგივებლად. მიუხედავად ამისა ჩვენს ისტორიოგრაფიაში, აკად გ. ჩუბინაშვილის მიერ გამოთქმული ვარაუდის საფუძველზე (იხ. ჩუბინაშვილი გ., მცხეთის ჯვარის მცირე ტაძარი, ტუმ, ტ. II, თბ., 1922-1923, გვ. 63, შენ. 1; Чубинашвили Г. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 25, შენ. 1) ეს იდენტიფიკაცია მიღებულია. ითვლება, რომ „რეალური პიროვნება არის გურგენი და არა გუარამი" (დუნდუა გ., დასახ. ნაშრომი, „მაცნე", №1, გვ. 108), „რომლის სახელი რაღაც მიზეზით დამახინჯებული აქვთ ჯუანშერსა და სუმბატს (და, ალბათ, „მოქცევაჲს" ავტორსაც? დ. მ.). იგივე გურგენი უნდა იყოს მიჩნეული მცხეთის ჯვარის აღმაშენებლად" (ლომოური ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 44). ა. ბოგვერაძე თვლის კიდეც, რომ ეს საკითხი საბოლოოდ არის გადაჭრილი (იხ. Очерки истории Грузии, т. II, Тб., 1988, стр.163).

134. Пахомов Е., დასახ. ნაშრომი, გვ. 18, 19.

135. დუნდუა გ., დასახ. ნაშრომი, „მაცნე", №3, გვ. 45, 46.

136. იქვე, გვ. 46. მ. სანაძეს სრულიად ფანტასტიკურად არგუმენტირებულ წერილში ეს ჯუანშერი ვახტანგ გორგასლის შვილიშვილის ქმრად მიაჩნია (იხ. მისი, ჯუანშერ ჯუანშერიანი და მისი მოღვაწეობის ხანა, თუშ, ტ. 338, თბ., 2001, გვ. 127).

137. ქც, I, გვ. 219, 220.

138. Пигулевская Н. В., Византийская дипломатия и торговля шелком в V-VII вв. ВВ, I, 1947.

139. Гумилев Л. Н., Война 589 г. и Гератская битва. Известия Академии Наук Таджикской ССР, №2, Сталинабад, 1960; его же, Бахрам Чубин (Опыт критики источников). Сборник: "Проблемы востоковедения", №3, М. 1960; его же, Подвиг Бахрама Чубины, Л., 1962.

140. დუნდუა გ., დასახ. ნაშრომი, „მაცნე", №3, გვ. 47. ავტორი ამ ანონიმურ მონეტებს სტეფანოს I-ს მიაკუთვნებს. ზ. ალექსიძე ამ მონეტებთან დაკავშირებით წერს, რომ „ცხადია, აქ საქმე გვაქვს ისეთ სახელმწიფო ორგანიზაციასთან, რომელიც მთლიანად აღარც სპარსეთს ემორჩილება და არც ბიზანტიას" (იხ. მისი, ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 176).

141. ქც, I, გვ. 220.

142. Christensen A., დასახ. ნაშრომი, გვ. 444, 445; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 300; Колесников А. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 53-63.

143. ქც, I, გვ. 220, 221.

144. История Себеоса, стр. 36, 43.

145. ქც, I, გვ. 221.

146. მოქცევაჲ, გვ. 96. „მოქცევაჲს" კვალად დიდს უწოდებს სტეფანოზს სუმბატ დავითის ძეც (იხ. ქც, I, გვ. 375).

147. Чубинашвили Г. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 21, 25.

148. ნუმიზმატიკური მონაცემებით მისი ერისმთავრობის დასაწყისი დაახლ. 593 წელზე რომ მოდის, ეს დაამტკიცა გ. დუნდუამ (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, „მაცნე" №1, გვ. 106). სტეფანოზის მომდევნო ადარნერსე კი ერისმთავარია უკვე 606 წლის ზაფხულში (იხ. ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 144) და ალბათ, უფრო ადრეც, 604/5 წწ-ში (შდ. ჯავახიშვილი ი., ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელთნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის. ტუმ, II, ტფ., 1922-1923, გვ. 225, 332; Чубинашвили Г. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 23; ჩუბინაშვილი გ., მცხეთის ჯვარის მცირე ტაძარი, ტუმ, II, ტფ., 1922-1923, გვ. 63), სტეფანოზ I-ის ერისმთავრობისა და ქართლში უმეფობის პერიოდის დათარიღების შესახებ ამ უკანასკნელ ხანში სხვაგვარი შეხედულებებიც გამოითქვა (იხ. მაგალითად: ჩხარტიშვილი მ., მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ. ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ წმიდისა სერაპიონ ზარზმელისაჲ, თბ., 1994, გვ. 33, 41, 86, 88; სანაძე მ., ქართლის სა-

მეფო VI საუკუნეში, ჟურნალი: „მაცნე", ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1-4, 1997), რომელთა კრიტიკაც იხ: ბოგვერაძე ა., VI საუკუნის ქართლის ისტორიის საკითხები.
149. Christensen A., დასახ. ნაშრომი, გვ. 446. Колесников А. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 70-73.
150. Пигулевская Н. В., Византия и Иран на рубеже VI-VII веков, М.-Л., 1946. стр. 113. შდ. იქვე, გვ. 107 და 238-248.
151. Пахомов Е., დასახ. ნაშრომი, გვ. 28, ტაბ. I, 18.
152. იქვე, გვ. 30, 31, ტაბ. I, 17; ტაბ. II, 19-22.
153. ეს დაამტკიცა გ. დუნდუამ, იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, „მაცნე", №1, გვ. 103-106.
154. Пахомов Е., დასახ. ნაშრომი, გვ. 35; გ. დუნდუა, დასახ. ნაშრომი, „მაცნე", №3, გვ. 48, 49.
155. იხ. მაგალითად, Чубинашвили Г Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 142.
156. იხ. მაგალითად, ქც, I, გვ. 207; მოქცევაჲ, გვ. 94.
157. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, გვ. 410-415. ასურელ მოღვაწეთა შესახებ საკმაო ლიტერატურა არსებობს, რომელთაგან ი. ჯავახიშვილის გამოკვლევის გარდა, რომელიც ზემომითითებულ წიგნშია (გვ. 389-415), დავასახელებ კ. კეკელიძის მონოგრაფიულ გამოკვლევას: საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, ტუმ, ტ. VI, 1926. უახლესი გამოკვლევები იხ. გოილაძე ვ., საიდან და როდის მოვიდნენ სირიელი მამები საქართველოში, ჟურნალი „მნათობი", №5-6, 1992; მერკვილაძე დ., ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დრო, 1996.
158. ცხოვრებაჲ იოანე ზედაზნელისა, ძეგლები, I, გვ. 207. „ქალაკი" აქ წყლისპირა ტყის მნიშვნელობითაა ნახმარი.
159. მარტვილობაჲ აბიბოს ნეკრესელისაჲ, იქვე, გვ. 207.
160. ქც, I, გვ. 126.
161. იქვე, I, გვ. 126, 229.
162. იქვე, გვ. 212.
163. ჩხეტია შ., წილკნელის სარგის გარიგების წიგნი 1669 წლისა. კრებ.: საისტორიო მოამბე, თბ., 1925, ტ. II, გვ. 23.
164. იქვე, გვ. 24.
165. საბინინი მ., საქართველოს სამოთხე, თბ., 1882, გვ. 294, შენ. I.

166. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 63, 72, 76.
167. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 19.
168. შდ. ალექსიძე ზ., ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 185, 186.
169. Пигулевская Н. В., დასახ. ნაშრომი, გვ. 183, 202; Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 120-122.
170. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 427.
171. ალექსიძე ზ., ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 181, 269.
172. იქვე, გვ. 83, 157, 195.
173. არსენი საფარელი, განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზაზა ალექსიძემ, თბ., 1980, გვ. 82.
174. სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების შესახებ, იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 417-428; ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი.
175. იხ. Меликишвили Г. А. К истории древней Грузии, Тб., 1959, стр. 68, 69 и 131; Куфтин Б. А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, სსმმ, XII-Б, თბ., 1944, გვ. 331, 332; ლორთქიფანიძე ო., ვანის ნაქალაქარი, კრებ.: ვანი I, თბ., 1972, გვ. 41. ავტორი საკუთრივ მესხთა ინფილტრაციას გულისხმობს დასავლეთ საქართველოში.
176. ბასილი სოფენელი, „გეორგიკა", IV², თბ., 1952, გვ. 140.
177. იოანე დრასხანაკერტელი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ილია აბულაძისა, თბ., 1937, გვ. 9.
178. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. I, თბ., 1977, გვ. 151, შენ. 23; Мусхелишвили Д. Л., Из исторической географии Восточной Грузии, Тб., 1982, стр.14,15.
179. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 341, 342.
180. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 150.
181. პროკოპი კესარიელი, გვ. 105, შენ. 1; გვ. 109, შენიშვნა.
182. მუსხელიშვილი დ., ქიზიყის ძველი ისტორია, თბ., 1997, გვ. 65, 73, 77, 82 და სხვ.
183. Чубинашвили Г. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 32-59.
184. ალექსიძე ზ., ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 180, 181.

2. ეგრისი VI საუკუნეში

523 წელს, „ამ დროს ლაზთა მეფე წათი გადაუდგა სპარსელთა სამეფოს, როდესაც იქ მეფობდა კავადი, რომელსაც წათი იმდენად უყვარდა, რომ ის ლაზთა მეფედ დააყენა. წათი წავიდა ბიზანტიონში იუსტინესთან (518–527 წწ.) და სთხოვა მეფეს, რათა მას გაექრისტიანებინა ის და მასვე ეკურთხებინა ის ლაზთა მეფედ. მეფემ სიხარულით მიიღო ის, მონათლა და შვილად გამოაცხადა"[1]. კეისარმა წათეს ბიზანტიელი დიდებულის შვილიშვილი შერთო ცოლად, სამეფო ტანისამოსი და ინსიგნიები უბოძა და ამგვარად გამოისტუმრა საკუთარ ქვეყანაში[2] ამას მოგვითხრობს თეოფანე ჟამთააღმწერელი.

ეს ამბავი აღწერილია VI ს–ის ბიზანტიელ ისტორიკოსთან, იოანე მალალასთან და აგრეთვე ე. წ. „პასქალურ ქრონიკაშიც" (VII ს.), რომლის ავტორს წათეს შესახებ მთელი პასაჟი სიტყვასიტყვით მალალასაგან გადმოუწერია[3]. თვით იოანე მალალას ტექსტი კი ასეთია: „იუსტინეს მეფობის დროს ლაზთა მეფე წათი გაჯავრდა და ჩამოშორდა სპარსეთს. სპარსელთა მეფე იყო კოადი, რომელიც ოდესღაც თვით წათის, ლაზთა მეფის მეგობრად ითვლებოდა და ამ კოადის სამეფოს ქვეშევრდომი იყო... როდესაც ლაზთა მეფე გარდაიცვლებოდა, სპარსელთა მეფე ნიშნავდა და აგვირგვინებდა ახალ მეფეს, მაგრამ უთუოდ თვით ლაზთა ტომიდან. ლაზთა ეს მეფე (წათი) გადავიდა წარმართთა სარწმუნოებაზე, რადგან ეშინოდა, ვაი თუ სპარსელთა მეფემ კოადმა მეფედ არ დამნიშნოსო, მსხვერპლებსაც სწირავდა და ყოველგვარ სპარსულ წესს ასრულებდა, ხოლო როდესაც გარდაიცვალა მისი მამა დამნაზე, მაშინვე მივიდა იუსტინე მეფესთან ბიზანტიონში, გამოაცხადა თავი მის მორჩილად და სთხოვა, ლაზთა მეფედ მაკურთხეო. მეფემ მიიღო ის და აკურთხა"[4]. არსებითად, როგორც ვხედავთ, ორივე ისტორიკოსი ერთნაირად გადმოგვცემს ამ ეპიზოდს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ თეოფანესთან წათე, სანამ იგი სპარსელებს გადაუდგებოდა, უკვე ლაზთა მეფე იყო, თანაც კავადის მიერ ხელდასმული. მალალასთან კი ისე ჩანს, თითქოს მამამისის სიკვდილისთანავე („მაშინვე"), ჯერ კიდევ უფლისწული წათე მიდის იუსტინესთან და მისგან იღებს პირველად მეფობას.

მიუხედავად იმისა, რომ თეოფანე ჟამთააღმწერელი მალალასთან შედარებით გვიანდელი მწერალია (იგი 818 წ. გარდაიცვალა), ჩვენი აზრით, მასთან შემონახული ცნობა უფრო ზუსტია და შესაძლებელია ორივესთვის საერთო პირველწყაროდან მომდინარეობდეს[5]. არც მალალას მოწმობაა ისეთი, რომ მაინცდამაინც აუცილებელი იყოს მისი ზემოხსენებული ინტერპრეტაცია მით უმეტეს, რომ დედნისეული εὐθέως შეიძლება ითარგმნოს არა როგორც „მაშინვე", არამედ – „პირდაპირ"

ამგვარად, ჩვენი აზრით, წათე უკვე ლაზთა მეფე იყო, „კავადის სამეფოს ქვეშევრდომი" (მალალა), როდესაც 523 წელს სპარსელებს გადაუდგა, ქრისტიანობა მიიღო და იუსტინეს მიერ ხელმეორედ ეკურთხა ლაზთა მეფედ, ახლა უკვე როგორც კეისრის ვასალი.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს მოხდა მაინცდამაინც 523 წელს ანუ სწორედ მაშინ, როდესაც გურგენ ქართლის მეფეც აუჯანყდა შაჰანშაჰს. ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული: წათემ, ჩანს, ისარგებლა იმ გართულებული ვითარებით, რომელიც ირანს შეექმნა ქართლში, გამოვიდა სპარსეთის ქვეშევრდომობიდან და კვლავ ბიზანტიის უზენაესობა აღიარა. ფაქტობრივად კი, ეს ნიშნავდა ვახტანგ გორგასლის დროინდელი ერთიანი ქართლის სამეფოსგან (რომელიც აერთიანებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს) გამოყოფას და ეგრისის „დამოუკიდებელი" სამეფოს ხელმეორედ აღდგენას.

ცხადია, ამ აქციას შაჰანშაჰის რეაქცია უნდა მოჰყოლოდა და ასეც მოხდა: „სპარსელთა მეფე კოადმა ელჩის პირით შეუთვალა იუსტინე მეფეს შემდეგი: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შორის მეგობრობაა დადებული და ზავია შეკრული, შენ მაინც მტრულად იქცევი. აი, მაგალითად, ჩემი ქვეშევრდომი მეფე ლაზებისა შენ აკურთხე, თუმცა ის რომაელთა ხელქვეითი კი არ ყოფილა, არამედ იმთავითვე სპარსელთა ძალაუფლების ქვეშ იყო"[6]. როგორც ჩანს, სწორედ ამ მოლაპარაკებას გულისხმობს პროკოპი კესარიელი, როდესაც აღნიშნავს, რომ მხარეთა წარმომადგენლებმა „ბევრი სხვადასხვანაირი სიტყვები უთხრეს ერთმანეთს მათ შორის არსებულ უთანხმოებათა შესახებ, და სეოსმა (სპარსელთა ელჩმა) თქვა, რომ კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკე ეწოდება, ძველთაგანვე რომ

სპარსელთა ქვეშევრდომი იყო, რომაელებს ძალით უჭირავთ, უსამართლოდ"[7] ზემოთქმული რომ ფაქტი არ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ვერც კავადი და ვერც შიოში[8] ამას ბიზანტიელებს ვერ განუცხადებდნენ. და, მართლაც, ჩვენ უკვე ვიცით, რომ V ს–ის ბოლო მესამედიდან ეგრისი უნდა ჩამოშორებოდა ბიზანტიას და ირანის ქვეშევრდომი გამხდარიყო, კერძოდ, შეერთებოდა ქართლის სამეფოს და ამ მნიშვნელოვანი აქციის ინიციატორი ვახტანგ გორგასალი იყო. ამიტომ შაჰანშაჰიც არ ტყუის, როდესაც წათეს „სპარსელთა ხელისუფლების ქვეშ მყოფად თვლის" და შიოშიც მართალია, როდესაც აცხადებს, რომ „კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკე ეწოდება, ძველთაგანვე სპარსელთა ქვეშევრდომი იყო".

მეორე მხრივ, რომის მემკვიდრე ბიზანტიელებსაც სრული საფუძველი ჰქონდათ, მაინცდამაინც პომპეუსის ლაშქრობიდან დაწყებული, კოლხიდა – ლაზიკე თავის ხელდებულ ქვეყნად ჩაეთვალათ და სწორედ ამიტომაც „რომაელები აღშფოთებით ისმენდნენ ამას, სპარსელები რომ ლაზიკესაც ეცილებოდნენ"[9] ამის შედეგი იყო, რომ წათეს სპარსელთაგან განდგომის შემდეგ და „როდესაც მოხდა გურგენ იბერთა მეფის წყალობით შემთხვეული ამბავი... ლაზებთან დაიწყეს ჩადგომა რომაელთა ჯარისკაცებმა"[10], კერძოდ, ბიზანტიელებმა ქართლის მოსაზღვრე ორ ციხესიმაგრეში, სკანდესა და შორაპანში, ლაზთა რაზმების მაგივრად რომაული გარნიზონები ჩააყენეს[11]

ერთი სიტყვით წათესა და გურგენის ამბავმა ფრიად დაძაბა ირანისა და ბიზანტიის ურთიერთობა და ბიზანტიელ ისტორიკოსთა თანხმობლივი განცხადებით, „აი ამ დროიდან დაიწყო მტრობა რომაელებსა და სპარსელებს შორის"[12]. დიპლომატიურმა ურთიერთობებმა და მოლაპარაკებამ იუსტინესა და კავადს შორის შედეგი არ გამოიღო და 527 („პასქალური ქრონიკა")[13] თუ 528 წელს (თეოფანე ჟამთააღმწერელი)[14], უკვე იუსტინიანეს იმპერატორობისას „სპარსელთა მეფემ ომი დაუწყო ლაზთა მეფეს წათის იმის გამო, რომ უკანასკნელი რომაელთა მხარეზე გადავიდა"[15].

სპარსელებს ომი ლაზიკესთან ქართლიდან უნდა დაეწყოთ. ეს ისედაც ბუნებრივი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შემორჩენილია სირიული წყარო, რომელიც ამაზე პირდაპირ მიუთითებს. ეს არის ჩვენთვის უკვე ცნობილი „ფირან გუშნას-

პის მარტვილობა" ფირან გუშნასპი, რომელსაც ნათლისცემის შემდეგ გრიგოლი უწოდეს, როგორც ვიცით, სპარსეთის „მეფისაგან ჩრდილოეთის საზღვრისა და ოლქის გამგებლად იყო დანიშნული. მეფის ბრძანებით გურზანისა და არანის ქვეყნების დაცვა ჰქონდა დავალებული. მას მრავალი ათასი მხედარი ემორჩილებოდა... როცა სპარსელებსა და რომაელებს შორის გურზანისა და არანის მხარეში ომი დაიწყო, გრიგორი, როგორც სპარსელთა სარდალი, რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდა"[16]. რამდენადაც, როგორც ტექსტიდან ჩანს, ეს ამბავი VI ს–ის 20–იან წლებში ხდება, კავადის დროს და „აღმოსავლეთი საქართველოს მეფის გურგენის 523 წ. აჯანყების დროისა და შემდგომ 532 წ–მდე დატრიალებული ამბების ერთ შემთხვეულებათაგანად უნდა ვიგულისხმოთ"[17], ამდენად ეჭვი არ არის, რომ სწორედ ზემოხსენებულ, 527/8 წელს დაწყებულ ომზეა აქ საუბარი, და იგი გურზანის ანუ ქართლის მხრიდან დაწყებულა.

ლაზთა მეფე წათემ რომაელებს დახმარება სთხოვა და იუსტინიანემაც „დიდძალი რომაული ჯარი" გაგზავნა ლაზიკეში, რომელიც პირველ ხანებში მარცხდება რომაელ სარდალთა ურთიერთქიშპობის მიზეზით, მაგრამ როდესაც იმპერატორმა ისინი გადააყენა და მათ მაგივრად პეტრე სტრატილატი დანიშნა, ეს უკანასკნელი „ლაზებთან ერთად შეება სპარსელებს და დაამარცხა ისინი: მრავალი სპარსელი გაულიტეს მათ"[18]. სპარსელთა დამარცხებას სირიელი აგიოგრაფიც აღნიშნავს: „როცა სპარსელებსა და რომაელებს შორის გურზანისა და არანის მხარეში ომი დაიწყო, გრიგორი, როგორც სპარსელთა სარდალი, რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდა. იგი დამარცხდა და სხვა ტყვეებთან ერთად რომაელთა კეისარს მიჰგვარეს"[19].

როგორც მოსალოდნელი იყო, ლოკალური თითქოს შეჯახება ბიზანტიასა და ირანს შორის ეგრისის ტერიტორიაზე ფართო მასშტაბის ომში გადაიზარდა: სპარსელები მესოპოტამიას შეესივნენ ოცდაათათასიანი არმიით შაჰანშაჰ კავადის ერთ–ერთი ძის ქსერქსეს მეთაურობით, „ხოლო კოადის უფროსი ძე პეროზი იბრძოდა დიდძალი ჯარით ლაზიკისა და პერსარმენიის წინააღმდეგ"[20]. ეს ბრძოლები 530 წლით თარიღდება[21] და, როგორც ჩანს, საკმაოდ წარმატებული უნდა ყოფილიყო სპარსელთათვის ამიერკავკასიაში, რადგან სავა-

რაუდოა, სწორედ ამ დროს უნდა დაეჭირათ მათ არა მარტო ქართლის მოსაზღვრე ეგრისის ციხე–სიმაგრეები, სკანდე და შორაპანი[22], არამედ ეგრისის შიდა სტრატეგიული პუნქტებიც, კერძოდ მუხირისი და ლისირი (ნოსირი)[23]. 531 წელს საკმაოდ წარმატებით მოქმედებდნენ სპარსელები მესოპოტამიაშიც, სადაც მათ ალყა შემოარტყეს მარტიროპოლს, რომელსაც იცავდა მხნე სარდალი ბესა, შემდეგში ცნობილი მხედართმთავარი ლაზიკის ომში (იხ. ქვემოთ). სპარსელებმა ალყა შეწყვიტეს მას შემდეგ, რაც მოვიდა ამბავი შაჰანშაჰ კავადის გარდაცვალების შესახებ (13 სექტემბერს)[24]. ასე შეწყდა ამჯერად საომარი მოქმედება.

ახალი შაჰანშაჰი იწყებს საზავო მოლაპარაკებას იუსტინიანესთან. ხოსრო თანახმა იყო ზავი დაედო ბიზანტიელებთან, თუკი ისინი დააბრუნებდნენ სპარსელთაგან წაღებულ ფარანგიონის ოქროს საბადოებს (მდ. ჭოროხის სათავეებთან) და ბოლონის ციხე–სიმაგრეს (ბასიანში) და აგრეთვე გადაიხდიდნენ ათასი კენდინარის რაოდენობის ოქროს ფულს[25]. ასეთ შემთხვევაში იგი ათავისუფლებდა ბიზანტიელებს დარიალანის კარის სპარსელებთან ერთად დაცვის ვალდებულებისაგან, მაგრამ „ისიც უთხრა, რომ ლაზიკის სიმაგრეებს არ დაუბრუნებდა"[26]. ბიზანტიელი ელჩები ყველაფერზე თანახმანი იყვნენ, გარდა იმპერატორის დაუკითხავად სიმაგრეების ჩაბარებისა. ამისათვის რუფინე, ერთ–ერთი წარმომადგენელი ბიზანტიელთა მხრიდან, გაიგზავნა კონსტანტინოპოლში იუსტინიანესთან მოსალაპარაკებლად. ეს უკანასკნელი ჯერ დათანხმდა ყველა პირობაზე, რადგან იმპერიის დასავლეთ მხარეებში ჰქონდა სასწრაფოდ მოსაგვარებელი საქმეები და ფულიც კი გაატანა რუფინეს ხოსროსთვის მისატანად, მაგრამ შემდეგ ინანა, უკან შიკრიკი დაადევნა ნერილით, რომელშიც სწერდა, რომ ლაზიკის ციხე–სიმაგრეები არაფრით არ დაეთმოთ სპარსელებისთვის[27]. ნერილმა რუფინეს უკვე სპარსეთის ტერიტორიაზე მოუსწრო. როდესაც ხოსრო ანუშირვანმა გაიგო, რომ იუსტინიანე ამ პუნქტში მას არ ეთანხმებოდა, თავი შეურაცხყოფილად ჩათვალა და საქმე მოლაპარაკების ჩაშლამდე მივიდა. მაგრამ რუფინემ, რომელსაც დიდი გამოცდილება ჰქონდა სპარსელებთან ურთიერთობისა, საკუთარი თავის დამცირების საფასურად, დაიყოლია შაჰანშაჰი დათანხმებულიყო[28] და, ბოლოს და ბოლოს, „შეთანხმდნენ ერთმანეთ-

თან საზავო პირობებში, სახელდობრ, რომ ორივე მხარე დააბრუნებდა იმ ადგილებს, რომლებიც ამ ომში მათ ერთმანეთს წაართვეს... ამგვარად დადეს ეგრეთწოდებული უვადო ზავი, მეექვსე წელს იუსტინიანეს მეფობისა (532 წ.). რომაელებმა მისცეს სპარსელებს ფარანგიონი და ბოლონის სიმაგრე, და თან ფულიც, ხოლო სპარსელებმა რომაელებს ლაზიკის სიმაგრეები"[29]. ასე აღდგა status quo.

ეს უვადო თუ „საუკუნო ზავი" სინამდვილეში საკმაოდ მოკლევადიანი აღმოჩნდა, მაგრამ ეს ათიოდე წელი იუსტინიანემ გამოიყენა იმისთვის, რომ ლაზიკაში ფეხი მტკიცედ მოეკიდებინა. წინა ათწლეულების გამოცდილება კეისარს იმაზე მიუთითებდა, რომ სპარსელებს დასავლეთ საქართველოში დამკვიდრება ამ დროს თავისი საგარეო პოლიტიკის ერთ–ერთ პრიორიტეტულ მიზნად გაეხადათ და მომავალშიც არ დააკლებდნენ საამისო მცდელობას. ამისი მოწმობა იყო ის ფაქტი, რომ ხოსრო ანუშირვანი არამც და არამც არ თმობდა სკანდისა და შორაპნის ციხესიმაგრეებს, ცხადია, როგორც სტრატეგიულ პლაცდარმს შემდგომი ექსპანსიისათვის დასავლეთ საქართველოში. ეს კარგად ესმოდა იუსტინიანესაც და ამიტომაც იყო, რომ თავისი წინდაუხედავი შეცდომის სასწრაფოდ გამოსწორება სცადა და რუფინეს უკან დაადევნა წერილი კატეგორიული უარით ამ ციხესიმაგრეთა დათმობის თაობაზე. ხოსროს თანხმობას ბიზანტიელი ელჩის დიდი გამოცდილების მოშველიება დასჭირდა და, ცხადია, შაჰანშაჰის საბოლოო გადაწყვეტილება, ალბათ, იძულებითი და, ყოველ შემთხვევაში, დროებითი იყო. ეს შემდგომმა მოვლენებმა ცხადჰყო.

სპარსელებისათვის ლაზიკის ასეთი მნიშვნელობა, პირველ რიგში, მისი სტრატეგიული მდებარეობით იყო გაპირობებული. ასე მაგალითად, თუ ბიზანტიელ ისტორიკოსს, პროკოპი კესარიელს, დავუჯერებთ, ხოსრო ანუშირვანი კარგად იყო გარკვეული, ამ ქვეყნის ფლობა რა უპირატესობას მიანიჭებდა სპარსეთს ბიზანტიის წინაშე. შაჰანშაჰი ამბობდა: „სპარსელები, თუ ისინი ლაზიკეს ხელთ იგდებენ, ადვილად შეძლებენ, როდესაც კი მოისურვებენ, ბიზანტიონამდე მისვლას ზღვაზე გადაუსვლელად, ისევე როგორც სხვა ბარბაროსული ტომები, რომლებიც აქ (ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, დ. მ.) დამკვიდრებულან, მუდამ დათარეშობენო. ამის გამო

იყო, დასძენს ისტორიკოსი, რომ სპარსელებმა სცადეს ხელთ ეგდოთ ლაზიკე"[30]. მეორეგან იგივე პროკოპი კესარიელი ხოსრო ანუშირვანზე ამბობს: „მას ხომ ღირსშესანიშნავ მოპოვებად მიაჩნდა, კოლხიდის ქვეყანა საკუთრებად ჰქონოდა მითვისებული, რადგან, მისი აზრით სპარსეთის ძალაუფლებას ეს დიდს სარგებლობას მოუტანდა; იბერიაც ხომ მომავალში უშიშრად ეპყრებოდა, რადგან იბერებს აღარ ეყოლებოდათ ის ხალხი, ვისთანაც ისინი განდგომის შემთხვევაში თავს გადაირჩენდნენ აგრეთვე ლაზიკის მეზობლად მოსახლე ჰუნებისგანაც სპარსთა სახელმწიფო სამუდამოდ დაურბეველი იქნებოდა, ხოლო გაცილებით უფრო ადვილად მიუსევდა იმათ რომაელთა სახელმწიფოს, როცა კი ეს მისთვის სასურველი იქნებოდა: კავკასიაში მოსახლე ბარბაროსთათვის ლაზიკე არის მხოლოდ საწინააღმდეგო ტიხარი. ყველაზე უფრო – კი, მას იმედი ჰქონდა, ლაზიკის მხრით გაძლიერება სპარსელებისათვის იმით იქნებოდა სასარგებლო, რომ იქიდან შეტევით ისინი ადვილად შესძლებდნენ თავს დასხმოდნენ, ხმელეთითაც და ზღვითაც, ეგრეთნოდებულ ევქსინის პონტოზე მდებარე სოფლებს, დაემორჩილებინათ კაპადოკიელები, მათი მოსაზღვრე გალატიელები და ბითვინიელები, და მოულოდნელად დაეპყროთ ბიზანტიელები ისე რომ მათ არავინ წინააღმდეგობას არ გაუწევდა. ამიტომ უნდოდა ხოსროს ლაზიკის შემოერთება"[31].

მეორე მხრივ, ბიზანტიელებსაც, რა თქმა უნდა, კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული როგორც ეგრისის სტრატეგიული მნიშვნელობა, ისე სპარსელთა საამისო პოლიტიკური მიზნები. ამიტომ იმპერატორი იუსტინიანე, როგორც მეორე ბიზანტიელი ისტორიკოსი, აგათია სქოლასტიკოსი აღნიშნავს, სრულიადაც არ იყო, განწყობილი შელეოდა ლაზთა „მთელ ერს, რომელიც რომაელთა ქვეშევრდომი იყო, კეთილმზრახველი და ერთმორწმუნე... მას აფიქრებდა და აშინებდა ის, რომ თუ სპარსელები ომში გაიმარჯვებდნენ და მთელ ქვეყანას აიღებდნენ, არაფერი დააბრკოლებდა მათ უშიშრად შემოეცურათ ევქსინის პონტოთი და ძალიან ღრმად გაეკვალათ გზა რომაელთა სამეფოში"[32]. პროკოპი კესარიელიც ერთგან ბიზანტიელ პოლიტიკოსთა საერთო აზრს გადმოგვცემს, როდესაც აღნიშნავს, რომ სპარსელთაგან ლაზიკის მტკიცედ

პყრობის შემთხვევაში, „ბიზანტიონიც სპარსელებისათვის იქიდან ადვილმისადგომი გახდება“[33].

ყველაფერი ზემოთქმულის გამო ბიზანტიის იმპერატორი საგანგებო ღონისძიებებს ატარებს ლაზიკის მიმართ.

ჯერ ერთი, პროკოპი კესარიელი აღნიშნავს, რომ ძველად „რომაელებმა აქ ზღვისპირას ორი სიმაგრე გააშენეს: სებასტოპოლისი და პიტიუნტი“[34]. შემდეგ იგი აშკარად არიანეს „პერპლუსის“ ცნობებს გულისხმობს, როდესაც გადმოგვცემს, რომ „პირველ ხანებში რომაელ ჯარისკაცთა რაზმებს ეჭირათ მთელი ადგილები ტრაპეზუნტის საზღვრებიდან დანყებული ვიდრე საგინების (=სანიგების, დ. მ.) ქვეყნამდე... ამჟამად კი მათ დარჩათ მხოლოდ ეს ორი სიმაგრე, სადაც ჩვენ დრომდე ჰქონდათ სადარაჯოები“[35]. ჩვენ დრომდეო, ბიზანტიელი ისტორიკოსი რომ ამბობს, იგი 541 წელს გულისხმობს.

ბიზანტიის განსაკუთრებული ინტერესი ეგრისის ჩრდილო–დასავლეთი პერიფერიის, „აბაზგიისა“ და „აფსილიის“ მიმართ შესაძლებელია მნიშვნელოვანწილად, მართლაც, მონისა და „ტყვის“ ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული, რამდენადაც ეს ცოცხალი საქონელი ჩრდილო–დასავლეთი იმიერკავკასიიდან მოედინებოდა, და ამავე დროს ამ რეგიონის მოსახლეობაზე კონტროლიც სწორედ აქედან უფრო მოხერხებული იყო ბიზანტიისათვის[36], მაგრამ ამას გარდა, და შესაძლებელია მთავარი მაინც ის უნდა ყოფილიყო, რომ გარნიზონები სებასტოპოლისსა და პიტიუნტში იმპერიას, პირველ რიგში, თვით ეგრისზე პოლიტიკური ზეწოლისათვის სჭირდებოდა, რაც კარგად გამომჟღავნდა დაახლოებით ერთი საუკუნის მოგვიანებით, ჰერაკლე კეისრის ლაშქრობათა დროს.

ამგვარად სებასტოპოლის – პიტიუნტში ბიზანტიური გარნიზონები, როგორც ჩანს, უკვე VI ს–ის პირველ ნახევარშივე იდგა. მაგრამ სპარსელთა გაძლიერებულმა ექსპანსიამ დასავლეთ საქართველოში უფრო ქმედით ღონისძიებათა გატარება მოითხოვა და, მართლაც, უკვე VI ს–ის 20–იან წლებში, „როდესაც მოხდა გურგენ იბერთა მეფის წყალობით შემთხვეული ამბავი... ლაზებთან დაიწყეს ჩადგომა რომაელთა ჯარისკაცებმა“[37] ეს ჯერ კიდევ იუსტინეს დროს მოხდა (იხ. ზემოთ). იუსტინიანეს დროს, როგორც ჩანს, ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა და ლაზიკა, ფაქტობრივად, ოკუპირებულ იქნა ბიზანტიელთა მიერ, რამაც მოსახლეობის დიდი უკ-

მაყოფილება გამოიწვია იმიტომ, რომ „მათ რომაელთა ჯარი ჩაუყენეს, რასაც წინათ ადგილი არ ჰქონია“[38].

განსაკუთრებული აღშფოთება ლაზებში გამოიწვია იუსტინიანეს მიერ გამოგზავნილმა სტრატეგოსმა იოანე ციბემ, რომელმაც ბიზანტიელი ისტორიკოსის სიტყვით, „სტრატეგოსობამდე მიაღწია სხვა არაფრით, გარდა იმისა, რომ ყველაზე უფრო საზიზღარი იყო და ყველაზე უფრო მოხერხებული ფულის საშოვნელად უსამართლო საშუალებათა გამოგონებაში. ის იყო რომ რომაელთა და ლაზთა ყველა საქმეები გაამრუდა და არივდარია“[39] მისი ინიციატივით იუსტინიანემ ლაზეთში ააშენა ზღვისპირა ქალაქი პეტრა[40], რომელიც ბიზანტიასთან დამაკავშირებელ მთავარ სავაჭრო მაგისტრალზე მდებარეობდა. სტრატეგოსი პეტრე „იქ იჯდა ვითარცა აკროპოლისში, და სძარცვავდა ლაზთა ქონებას. ვაჭრებს ხომ უკვე ნება აღარ ჰქონდათ კოლხიდაში შეეტანათ მარილი და სხვა საქონელი, რაც ლაზებისთვის აუცილებლად საჭიროა. არც აქედან შეეძლოთ რაიმე ეყიდინებინათ, არამედ მან შემოიღო ეგრეთწოდებული მონოპოლი და თვით გარდაიქცა მეწვრილმანედ და მთელი ამ საგნებით ვაჭრობის ზედამდგომელად: ყველაფერს ყიდულობდა და აწვდიდა კოლხებს არა ისე, როგორც ეს ჩვეულებრივ იყო, არამედ ისე, როგორც ეს მის მიერ ნებადართული იყო“[41] ერთი სიტყვით, ბიზანტიელმა დიდმოხელემ ეგრისში ვაჭრობის მონოპოლია დაამყარა, მეორე მხრივ, ქვეყანა ოკუპირებული იყო ბიზანტიელების მიერ. ეს კარგად ჩანს ლაზი ელჩების სიტყვიდან, რომლითაც მათ სპარსეთის შაჰანშაჰს მიმართეს: რომაელებმა „ჩვენს მეფეს ხომ მეფობის გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს: მეფეც მომსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინია. უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ დაიცვან ეს ჩვენი ქვეყანა..., არამედ რათა დავემწყვდიენით ჩვენ როგორც სადილეგოში და ჩვენს ქონებას დაჰპატრონებოდნენ“[42] რომ ლაზთა ჩივილი გადაჭარბებული არ არის და რეალური ვითარების ამსახველია, ამის მოწმობაა ბიზანტიის ხელქვეშეთი სომხეთიდან სპარსეთის შაჰანშაჰთან თავშეფარებული სომეხი წარჩინებულების მოწმობაც იუსტინიანეს პოლიტიკის შესახებ: „განა იმან (იუსტინიანემ) არ დაგვადო ჩვენ სახარკო გამოსაღები, რასაც წინათ ადგილი არ ჰქონია

და ჩვენი მოსაზღვრე, წინათ თვითთავადი ჭანები არ დაიმრო-ჩილა, ხოლო საცოდავ ლაზთა მეფეს რომაელი სარდალი არ ჩაუყენა?"[43]

იუსტინიანეს მიერ ეგრისში დამყარებული რეჟიმით შე-წუხებულმა და აღშფოთებულმა მოსახლეობამ განიზრახა ბი-ზანტიელთაგან განდგომა. ელჩები გააგზავნეს ხოსრო ანუ-შირვანთან, რომ იგი მოსულიყო მათ ქვეყანაში ლაშქრით და განედევნა აქედან ბიზანტიელები. მეგზურობას თვით კისრუ-ლობდნენ. ეს ხდება 540 წელს[44].

ფრიად საინტერესოა ლაზთა ელჩების არგუმენტაცია, პირველ რიგში, იმის თაობაზე თუ რატომ მიმართეს მათ მაინ-ცდამაინც სპარსელებს: „კოლხები ხომ ძველთაგანვე სპარსე-ლების მოკავშირეები იყვნენ და ბევრი სიკეთე უყვეს მათ და თვითონაც განიცადეს მათგან: ამის წერილობითი საბუთები მრავალი გვაქვს ჩვენ და შენს სამეფო საგანძურებში ახლაც არის დაცული"[45]. ცხადია, ლაზთა წარმომადგენლები ამ სიტყ-ვებით გულისხმობდნენ იმ პოლიტიკურ ვითარებას, რომელ-საც ადგილი ჰქონდა V ს–ის ბოლოს და VI ს–ის დასაწყისში, როდესაც ვახტანგ გორგასლის მცდელობით გაერთიანებული დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთის ვასა-ლურ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

გარდა ამისა ლაზები ხაზს უსვამდნენ იმ სარგებლობას, რასაც შაჰანშაჰი თანხმობის შემთხვევაში მიიღებდა: „სპარ-სელთა ძალას თქვენ შემატებთ უძველეს სამეფოს და მისი სა-შუალებით თქვენი ჰეგემონიის ღირსება გადიდებული იქნება, ხოლო ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდე-ბით: აქ თუ ხომალდებს ააგებ, მეფევ, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიის პალატს მიაღწიო... თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყო-ველ წელიწადს არბიონ რომაელთა მინა–წყალი. თქვენ ალბათ იცით, რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღ-მდეგ საფარს წარმოადგენდა"[46].

ზემოთ ვაჩვენეთ, რომ ხოსრო ანუშირვანმა ყველაფერი ეს, მართლაც, შესანიშნავად იცოდა და ამიტომ მარშრუტის, ქვეყანაში შესასვლელი გზების ვითარებისა და სხვა მნიშვნე-ლოვანი კერძო საკითხების ლაზებთან დაზუსტების შემდეგ, მან გადაწყვიტა დიდძალი ჯარით ქართლზე გავლით ეგრისში შეჭრა. ამ დიდი სამხედრო ოპერაციის გასაიდუმლოების მიზ-

ნით მან ხმა გაავრცელა, თითქოს „ის მიემგზავრებოდა იბერიაში, ვითომც იქაური საქმეების მოსაწესრიგებლად: მიზეზად ასახელებდა, ვითომც იქ სადღაც ჰუნების ტომი თავს დასხმოდეს სპარსელთა ძალებს"[47]. ასე დაიგეგმა 541 წელს დიდი ომი ეგრისში.

ხოსრო ანუშირვანის პირადი სარდლობით ირანის დიდი არმია შემოვიდა ქართლში და აქედან ეგრისელი ელჩების მეგზურობით შევიდა ლაზიკის საზღვრებში. უღრანი ტყისა და ძლიერ დამრეცი ფერდობების გამო გზა სრულიად გაუვალი იყო, მაგრამ ლაზთა რჩევით სპარსელებმა გზადაგზა ტყე გაკაფეს, ძნელად სავალ დახრამულ ადგილებში დიდრონ მორებს ჰყრიდნენ და ამგვარად მიაღწიეს ქვეყნის შუაგულს, სადაც მათ წათეს მემკვიდრე მეფე გუბაზი შეხვდა, რომელიც „ეთაყვანა ხოსროს კავადის ძეს, ვითარცა ბატონს და თავისი სამეფო ძალაუფლებითურთ და მთელი ლაზიკე გადასცა მას"[48].

შეერთებული ჯარი ქალაქ პეტრასაკენ გაემართა, სადაც ბიზანტიელთა მთავარი სამხედრო ძალა იყო განლაგებული და ალყა შემოარტყა მას. პირველ ხანებში ალყაშემორტყმულნი მხნედ იგერიებდნენ მტერს, მაგრამ როდესაც სტრატეგოსი იოანე ციბე, მძიმედ დაჭრილი გარდაიცვალა, სპარსელებმა შეძლეს მალულად თხრილი გაეჭრათ ქალაქის ზღუდის ერთ-ერთი კოშკის ქვეშ, რომელიც ამის შედეგად ჩამოინგრა. სპარსელებმა ქალაქი აიღეს, ხოლო აკროპოლისში გამაგრებულმა ბიზანტიელებმა მოლაპარაკება გამართეს მათთან და სიცოცხლისა და ქონების შენარჩუნების პირობით დანებდნენ ხოსროს, რომელმაც მხოლოდ სტრატეგოს იოანე ციბეს დიდძალი ქონება მიითვისა. სპარსელებს სხვა არაფრისთვის ხელი არ უხლიათ და დატყვევებულ ბიზანტიელებსაც შეუნარჩუნეს საკუთარი ქონება[49]

პეტრასთან გამარჯვებისა და ე. ი. ლაზიკის სამხრეთ-დასავლეთი კარიბჭის დაპყრობის შემდეგ, ხოსრომ გადაწყვიტა ქვეყნის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორიაც დაეპყრო, აქ სებასტოპოლისსა და პიტიუნტში მდგარი ბიზანტიური გარნიზონები განედევნა და ეს ციხე-სიმაგრეებიც თავისი კონტროლისთვის დაექვემდებარებინა. ამით, ჯერ ერთი, იგი უვნებელყოფდა ჩრდილო-დასავლეთ იმიერკავკასიელ გადამთიელთა, ალანებისა და საბირების, შემოსევას, რამდე-

ნადაც ბიზანტიელთა მიერ ამ შესაძლებლობის გამოყენება სავსებით რეალური იყო[50]. მეორე მხრივ ეგრისს სამი მხრიდან (აღმოსავლეთიდან ანუ ქართლის მხრიდან, სამხრეთ–დასავლეთიდან და ჩრდილო–დასავლეთიდან) სპარსელთა სამხედრო ძალების რკალში მოაქცევდა. მას შესაძლებელია სვანების მომხრეობის იმედიც ჰქონდა, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ 530 წელს, კავადის დროს, მის მიერ რომაელთა წინააღმდეგ გაგზავნილი „ჯარი შედგებოდა პერსარმენიელთაგან და აგრეთვე სუანთაგან, რომელნიც ალანთა მეზობლად ცხოვრობენ. მათთან იყვნენ ჰუნებიც, საბირებად წოდებულნი, სამი ათასი კაცი, მეტად მამაცი ხალხი"[51]. ამგვარად, ხოსრო ანუშირვანის წინაშე იშლებოდა პერსპექტივა რომაელთა წინააღმდეგ არა მარტო სვანები, არამედ თვით ალანებიც და ჰუნებიც (საბირები) გამოეყენებინა, რამდენადაც ფულით ამ უკანასკნელთა დაქირავება ჩვეულებრივი ამბავი იყო.

მაგრამ სპარსეთის შაჰანშაჰის ეს გადაწყვეტილება, აელო სებასტოპოლისი და პიტიუნტი, „როდესაც რომაელთა მხედრებმა წინდაწინ გაიგეს, დაასწრეს და გადასწვეს სახლები, ძირამდე დაანგრიეს კედლები, დაუყონებლივ ჩასხდნენ ხომალდებში, გასწიეს პირისპირ მდებარე ხმელეთისაკენ და მივიდნენ ქალაქ ტრაპეზუნტში და ამრიგად, თუმცა ზარალი მიაყენეს რომაელთა ძალაუფლებას სიმაგრეების მოსპობით, მაგრამ მით დიდი სარგებლობაც მოუხვეჭეს იმ მხრივ, რომ მტრებმა ვერ დაიპყრეს ეს ქვეყანა: სპარსელები იქიდან ხომ უშედეგოდ გაბრუნდნენ პეტრაში"[52]. ეს მოხდა იმავე 541 წელს.

პეტრაში ყოფნისას ხოსრო ანუშირვანს აცნობეს, რომ ბიზანტიელთა მთავარსარდალი ველისარი მესოპოტამიაში შეიჭრა. შაჰანშაჰმა „მაშინვე ჩააყენა მცველები პეტრაში და დანარჩენი ჯარითა და დატყვევებული რომაელებითურთ გაემართა სპარსთა ქვეყანაში"[53]. სირიული წყაროც გვაცნობებს, რომ „ჰეგართა წინააღმდეგ წარმატებით დამთავრებული ომის შემდეგ, მეფე დაბრუნდა" სპარსეთში[54].

ამის შემდეგ საომარი ოპერაციები სამხრეთით, მესოპოტამიის ტერიტორიაზე გრძელდებოდა, ვიდრე 546 წელს ხუთწლიანი ზავი არ დაიდო მეომარ მხარეებს შორის[55]. ბიზანტიელები „მოითხოვდნენ, რომ რომაელებს დაბრუნებოდა ლაზიკის სოფლები"[56], მაგრამ ამაოდ. ხოსრო ანუშირვანს სრულიად

სხვა, ვერაგული გეგმა ჰქონდა ჩაფიქრებული ლაზების მიმართ, რის განხორციელებასაც სწორედ ამ დროებითი ზავის განმავლობაში აპირებდა.

სპარსეთის შაჰანშაჰს ლაზებისადმი ნდობა ნაკლებად ჰქონდა, რადგან კარგად ხედავდა, რომ „ლაზთა უმეტესობა სპარსელების ხელისუფლების ქვეშ საგრძნობლად შეწუხდა"[57]: გარდა იმისა, რომ ქრისტიანი ლაზები ვერ ეგუებოდნენ ცეცხლთაყვანისმცემელ სპარსელებს, რომლებიც, ბუნებრივია, ეცდებოდნენ თავისი სარწმუნოების გავრცელებას ლაზიკაში, მოსახლეობა მატერიალურადაც ძლიერ დაზარალდა. საქმე ის არის, რომ საკუთარი რესურსების უქონლობისა თუ სიმწირის გამო, ლაზებს მარილი, ხორბალი, ღვინო და ზოგიერთი სხვა საარსებო პროდუქცია ვაჭრობის შედეგად, როგორც ვიცით, მეზობელი მსარეებიდან და, კერძოდ, „რომაელთა სანაპიროებიდან" ანუ მცირე აზიის ზღვისპირა ქვეყნებიდან შემოჰქონდათ. ახლა სპარსელთა მფლობელობის ქვეშ აღებ–მიცემობა ბიზანტიასთან, ცხადია, შეწყდა და ლაზები გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნენ. ისინი უკვე აჯანყებაზე ფიქრობდნენ. ხოსრო ანუშირვანმა დასწრება გადაწყვიტა და განიზრახა, „რომ თავიდან მოეცილებინა ლაზთა მეფე გუბაზი და ლაზები იქიდან (ლაზიკიდან, დ. მ.) სრულიად გადაესახლებინა და ამრიგად, იმ ქვეყანაში ჩაესახლებინა სპარსელები და ზოგიერთი სხვა ტომებიც"[58]. ამისათვის მან სპარსელი დიდმოხელე, ფაბრიზი გამოარჩია და ლაზიკაში გამოგზავნა. ეს უკანასკნელიც შეუთანხმდა ერთ–ერთ ლაზ დიდებულს, ფარსანსს, რომელიც მეფე გუბაზთან „დიდს შუღლში" იყო, გაანდო მას თავისი მისიის მიზანი და ერთად მოითათბირეს თუ როგორ მოეგვარებინათ საქმე. ლაზი დიდებული პატრიოტი აღმოჩნდა და შუღლის მიუხედავად ყველაფერი აცნობა მეფეს. გუბაზმა საბოლოოდ გადაწყვიტა სპარსელთაგან განდგომა, აცნობა ამის შესახებ იუსტინიანე კეისარს, სთხოვა პატიება შეცოდებისათვის და აგრეთვე დახმარება სპარსელთაგან განთავისუფლებისთვის ბრძოლაში. ეს მოხდა 548 წელს[59].

საქმის ასეთი შემოტრიალებით ნასიამოვნებმა იუსტინიანემ ლაზთა დასახმარებლად 7000 მეომარი გამოაგზავნა დაგისთეს მეთაურობით და თან ათასი ჭანიც გამოატანა. ლაშქარმა პეტრას მიაშურა, სადაც სპარსელთა გარნიზონი იდგა და ქალაქს ალყა შემოარტყა. თუმცა ალყაშემორტყმულნი მა-

მაცურად იგერიებდნენ შეტევებს და სურსათ-სანოვაგეც საკმარისი მოემარაგებინათ, მაინც ხოსრო ანუშირვანმა, როდესაც ლაზთა ბიზანტიელების მხარეზე გადასვლა და პეტრას ალყის ამბავი გაიგო, გარნიზონის დასახმარებლად დიდძალი ლაშქარი გამოაგზავნა მერმეროეს სარდლობით.

გუბაზმა ეს რომ გაიგო დაგისთეს შეუთვალა პეტრასკენ მომავალი სამხრეთი გზის ვიწრობები საგანგებოდ დაეცვა, ხოლო ალყა ქალაქისთვის არავითარ შემთხვევაში არ მოეხსნა. თვით კი ლაზთა მთელი ჯარით ლაზიკე-იბერიის საზღვრებისკენ წავიდა, რომ იქ მერმეროესთვის ვიწრობებში გზა გადაეკეტა, თან სამ კენდინარად ალანები და საბირები შეიპირა, რომ დახმარებოდნენ.

მერმეროემ სწორედ სამხრეთის გზა აირჩია, ასცდა გუბაზის ლაშქარს, დაგისთეს მიერ ვიწრობებში გაგზავნილი ასიოდე მეომრის მედგარი წინააღმდეგობაც დასძლია და პეტრასკენ გაეშურა. დაგისთემ, რომელიც დღე-დღეზე ვარაუდობდა პეტრაში ალყაშემორტყმული შეჭირვებული სპარსელების დანებებას, ქალაქის აღებას და იუსტინიანესგან ჯილდოს მიღებას, ეს რომ შეიტყო მაშინვე მოხსნა ალყა და ლაშქრითურთ მდინარე ფაზისისკენ (რიონისკენ) წავიდა ისე სწრაფად, რომ მთელი თავიანთი ქონება ბიზანტიელებმა ბანაკში დატოვეს. გამხნევებული სპარსელები გამოვიდნენ ქალაქიდან ბიზანტიელთა მიერ დატოვებული ბანაკის დასარბევად, მაგრამ მოულოდნელად მათ თავს დაესხნენ ჭანები, რომლებიც არ გაჰყოლიან დაგისთეს. მათ იფრინეს სპარსელები და ბანაკის ავლა-დიდება თვით დაისაკუთრეს, რის შემდეგაც რიზე-ტრაპეზუნტის გზით შინ დაბრუნდნენ.

მერმეროე ლაშქრითურთ დაგისთეს გაქცევიდან მხოლოდ მეცხრე დღეს მოვიდა პეტრაში. აქ მას ხუთასი სპარსელიღა დახვდა, რომელთაგან მხოლოდ ასორმოცდაათი იყო ბრძოლისუნარიანი. მან სასწრაფოდ შეაკეთა ქალაქის ჩამონგრეული კედელი, სამი ათასი მებრძოლი გამოარჩია, დასტოვა პეტრას დასაცავად და მთელი სურსათიც, რაც მას ქართლიდან წამოეღო მათ დაუტოვა. თვით კი ლაშქრის დანარჩენი ნაწილით უკან გაბრუნდა. გზად კიდევ ხუთი ათასი კაცი ფავრიზის მეთაურობით დასტოვა ლაზიკის საზღვრებში სოფლების დასარბევად, დანარჩენი ოცდახუთი ათასი მოლაშქრით პერსარმენიაში მივიდა და დვინის მახლობლად დაბანაკდა.

როდესაც პროკოპი კესარიელი წერს, რომ ეს ხუთი ათასი სპარსელი „ლაზიკის საზღვრების მახლობლად... დაბანაკდა მდინარე ფაზისის გასწვრივ“[60], ჩვენი აზრით, მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროს უნდა გულისხმობდეს. აქ ბიზანტიელთა და ლაზთა შეერთებულმა ლაშქარმა დაამარცხა სპარსელები, აიღეს მათი ბანაკი და დაიტაცეს დროშები, დიდძალი იარაღი, ფული და ცხენები. სპარსელებს დიდ მანძილზე სდიეს „და მიაღწიეს იბერიის სიღრმეში“[61]. აქაც ჩვენი აზრით, ჭოროხის აუზის იბერია, კერძოდ, კლარჯეთი უნდა იგულისხმებოდეს.

ლაზებმა აქ ვიწრობებში რაზმები დატოვეს, რომ სპარსელებს აღარ შესძლებოდათ პეტრას გარნიზონისთვის სურსათის მიტანა, „და დანარჩენი ნადავლითა და ტყვეებით უკან დაბრუნდნენ. რომაელებს გაუთავდათ მეოთხე წელი სპარსელებთან დროებითი ზავისა, ოცდამესამე წელი იუსტინე მეფის თვითმპყრობელობისა“[62] ანუ ეს მომხდარა 549 წელს.

ამ მარცხის პასუხად შაჰანშაჰმა მთავარსარდალი ხორიანე გამოაგზავნა ლაშქრით, რომელთაც დაქირავებულ ალანთა რაზმებიც თან მიჰყვებოდა. ისინი შეიჭრნენ ლაზიკაში, კერძოდ მოხირისში და ცხენისწყლის პირას დაბანაკდნენ. ბიზანტიელთა და ლაზთა შეერთებულმა ლაშქარმა ეს ჯარიც დაამარცხა. თვით ხორიანეც დაიღუპა. სწორედ ამან გადაწყვიტა სასტიკი ბრძოლის ბედი[63].

მალე ამის შემდეგ ლაზთა დასმენით, რომლებიც დაგისთეს ღალატს თუ დაუდევრობას აბრალებდნენ იმას, რომ პეტრა ვერ იქნა აღებული, იმპერატორმა გამოიძახა იგი კონსტანტინოპოლში და სატუსაღოში ჩააგდო. მის მაგივრად კი ლაზიკის ფრონტზე მთავარსარდლად 70 წლის გამოცდილი მხედართმთავარი ბესა დანიშნა, რომელიც ის–ის იყო იტალიის კამპანიიდან დაბრუნებულიყო.

ბესა რომ ლაზიკეში მოვიდა, ამ დროისთვის (550 წ.) აფხაზები აჯანყებულიყვნენ და ბიზანტიელთა და ლაზთაგან გამდგარნი, სპარსელებს მიმხრობოდნენ. მათი აჯანყება ბიზანტიელთა ბრალი იყო. საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ VI ს–ის 30–იანი წლების ბოლოსთვის წარმართმა აფხაზებმა, რომელთაც იმპერატორი იუსტინიანე თავის „ნოველაში“ „ჩვენ მეგობარ ტომს“ უწოდებს[64], ქრისტიანული რწმენა მიიღეს[65]. როგორც ბიზანტიელი ისტორიკოსი გადმოგვცემს, „მაშინ იუსტინიანე მეფემ აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტა-

ძარიც ააშენა და მათ მღვდელმსახურნი დაუყენა და მიაღწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრისტიანო წესები"[66]. ამას მოჰყვა აფხაზთა აჯანყება საკუთარი მთავრების წინააღმდეგ, რომელიც როგორც ჩანს, ინსპირირებული იყო ბიზანტიის ხელისუფლების მიერ და რომლის შედეგად, როგორც გადმოგვცემს ისტორიკოსი, „ორივე მეფე მოსპეს აბაზგებმა და გადაწყვიტეს თავისუფლად ეცხოვრათ"[67], ცხადია, ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშ. უნდა ვიფიქროთ, იმპერატორ იუსტინიანეს უნდოდა იგივე აქცია განეხორციელებინა, რაც VII ს–ის ოციან წლებში ჰერაკლე კეისარმა წარმატებით განახორციელა: უშუალო იმპერიული ხელისუფლება დაემყარებინა აბაზგიის ტერიტორიაზე. მაგრამ ამჯერად ეს ნაადრევი აღმოჩნდა.

პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს აბაზგებზე, რომ „როდესაც მათ თავიანთი მეფეები მოსპეს... რომაელთა ჯარისკაცები, კეისრის მიერ წარგზავნილები, მათ ქვეყანაში იდგნენ ხოლმე ძალიან ხშირად და მათ უნდოდათ ეს ქვეყანა დაემორჩილებინათ რომაელთა ძალაუფლებისათვის, და მათ ახალ–ახალ რაღაც წესებს უმყარებდნენ"[68]. პროკოპი კესარიელის ამ ზოგად და რამდენადმე ბუნდოვნად გამოთქმულ აზრს აკონკრეტებს და, მგონია, ნათელს ჰფენს იოანე ზონარას, XII ს–ის პირველი ნახევრის ისტორიკოსის, ჩვენება, რომელიც მოკლედ გადმოგვცემს აბაზგთა გაქრისტიანების სიუჟეტს პროკოპის მიხედვით და დასძენს, რომ „ამიერიდან აბაზგების არც ერთი მმართველი ადგილობრივად არ ინიშნებოდა, იქ რომაელთა მეფეები გზავნიდნენ არქონტებს და უკანასკნელნიც მეფეთა კარნახით მართავდნენ საქმეებს"[69]. მგონია, ბიზანტიელი ისტორიკოსების ეს მოწმობანი პირდაპირი დადასტურებაა ზემოთქმული აზრისა.

რომაელთა ასეთმა ღონისძიებებმა აბაზგებისთვის ნათელი გახადა ბიზანტიელთა იმპერიული მიზნები და ამიტომ, „იმის შიშით, რომ ამიერიდან რომაელთა მონებად არ გამხდარიყვნენ, მათ კვლავ დაიყენეს თავისთვის მთავრები, აღმოსავლეთის ნაწილისათვის ოფსიტე სახელად, ხოლო დასავლეთისათვის სკეპარნა"[70]. ეს უკანასკნელი სპარსეთში გააგზავნეს ფარულად და დახმარება ითხოვეს.

ხოსრო ანუშირვანს, რომელმაც 541 წელს, იმის გამო რომ ბიზანტიელებმა სებასტოპოლისის და პიტიუნტის ციხე–

სიმაგრეები საგანგებოდ დაანგრიეს, ვერ მოახერხა აფშილეთსა და აფხაზეთში დამაგრება და ლაზიკის ტერიტორიის მარწუხებში მოქცევა (იხ. ზემოთ), ახლა კვლავ მიეცა საშუალება უკვე აბაზგებისავე დახმარებით აქ თავისი ჯარი ჩაეყენებინა. მართლაც, მან სასწრაფოდ თავისი სახელგანთქმული მთავარსარდალი ნაბედე გამოგზავნა, რომელიც „ჯარით შეიჭრა ლაზიკეში და... ჯარითურთ ჩადგა რომაელებისა და ლაზებისაგან განდგომილ აბაზგთა ქვეყანაში და ხელთ იგდო მათგან მძევლებად სამოცი ბავშვი წარჩინებულთა გვარებიდან"[71]

ამას, რა თქმა უნდა მოჰყვა, იუსტინიანეს სასწრაფო რეაქცია, რომელმაც უბრძანა ბესას სათანადო ზომები მიეღო. ამ უკანასკნელმა გაგზავნა იქ ლაშქარი. ბრძოლა მოხდა ანაკოფიის ციხე–ქალაქთან, რომელსაც ბიზანტიელები „ტრაქეას" უწოდებდნენ, და რომელიც „აფსილიის საზღვრების შემდეგ აბაზგიის შესავალში" მაღალ მთაზე მდებარეობდა და აუღებელ სიმაგრედ ითვლებოდა. აბაზგები თავგანწირვით იცავდნენ თავის დედაქალაქს, მაგრამ ბიზანტიელებმა ხერხი იხმარეს, ლაშქრის ნაწილი ხომალდებით გადაიყვანეს და დასავლეთიდან ტრაქეის ზურგში გადასხეს. მცირე ნაწილმა კი აღმოსავლეთიდან შეუტია. ორმხრივ შემოტევას აბაზგებმა ვერ გაუძლეს მით უმეტეს, რომ ბიზანტიელებმა სახლებს ცეცხლი წაუკიდეს, და დამარცხდნენ. არაფერს გვეუბნება ბიზანტიელი ისტორიკოსი სპარსელთა ჯარის შესახებ. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროისათვის ის აბაზგიის ტერიტორიაზე აღარ იმყოფებოდა. ბიზანტიელებმა მრავალი ტყვე ჩაიგდეს ხელში, ანაკოფიის „ციხის გალავანი კი მიწასთან გაასწორეს და მთელი მიწა–წყალი უდაბნოდ აქციეს. ასე დაბოლოვდა აბაზგების განდგომა", ამთავრებს პროკოპი კესარიელი[72].

ბესას მთავარი მიზანი იყო აეღო ლაზიკეში სპარსელთა საყრდენი პუნქტი პეტრა. მან შეაგროვა მთელი თავისი ლაშქარი, დაიხმარა ჰუნები–საბირები და შემოადგა პეტრას 551 ნ–ის დასაწყისში. სპარსელთა გარნიზონი თავგანწირვით იცავდა ქალაქს. ბრძოლის ბედი ბიზანტიელთა ძლიერმა შეტევამ გადაწყვიტა, რომელსაც თვით მოხუცი მხედართმთავარი მიუძღოდა. გალავნის კედელზე ამძვრალი ბესა ერთხელ გადმოაგდეს და მისმა მცველმა შუბოსნებმა ძლივს გადაარჩინეს: ფარების სახურავი გაუკეთეს და მისივე ბრძანებით ფე-

ხით გაათრიეს უვნებელ ადგილას. ისტორიკოსის თქმით, „აქ რომაელებსა და სპარსელებს შორის გაიმართა ისეთი ბრძოლა და ვაჟკაცობის გამომჟღავნება, რომლის მსგავსსაც ამ ჩვენს დროში, ვფიქრობ, არ ჰქონია ადგილი". როდესაც ბესას უშუალო საფრთხე აღარ ემუქრებოდა, იგი წამოდგა, წააქეზა თავისიანები და კვლავ გასნია ზღუდისაკენ. საბოლოოდ ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ქალაქი აღებულ იქნა. ქალაქის მცველებიდან გადარჩენილი და დატყვევებული 730 კაციდან თვრამეტის გარდა ყველა დაჭრილი იყო. ქალაქის აკროპოლისში ხუთასი მამაცი სპარსელი დარჩენილიყო, რომელთაც არ მოისურვეს დანებება, მიუხედავად ბესას გულწრფელი წინადადებისა, რომ მათ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა. „მაშინ სტრატეგოსის ბრძანებით, რომაელებმა ცეცხლში გახვიეს აკროპოლისი, – მოგვითხრობს ისტორიკოსი,– ისინი ფიქრობდნენ, რომ ამ გზით მონინააღმდეგეებს აიძულებდნენ მათ დანებებოდნენ". მაგრამ სპარსელებმა ცეცხლში დაწვა ამჯობინეს... პროკოპი გადმოგვცემს, რომ „რომაელთა ჯარი გაკვირვებას მიეცა მომხდარი ამბის გამო. მაშინ ნათელი გახდა, თუ რაოდენ მნიშვნელობას აძლევდა ხოსრო ლაზიკეს: მას ყველაზე უფრო სახელოვანი ჯარისკაცები გამოერჩია და პეტრას მცველ რაზმში დაენიშნა"...

ქალაქის აღების შემდეგ ტყვეები ბესამ იმპერატორს გაუგზავნა, ხოლო „პეტრას ზღუდე კი მინასთან გაასწორა, რომ მტერს კვლავ არ გაეჭირებინა საქმე რომაელთათვის"[73].

პეტრას, როგორც ვიცით, მართლაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სპარსელები. მერმეროე 551 წლის გაზაფხულზე ჯარით სწორედ აქეთ მოემართებოდა, რომ იქაურ სპარსულ გარნიზონს დახმარებოდა, მაგრამ გზაში მან შეიტყო პეტრას დაცემის ამბავი, ამიტომ შეიცვალა გეზი, „გაბრუნდა და დაიჭირა იბერიიდან კოლხიდის ქვეყანაში გადასასვლელი ადგილები" (ანუ ლიხის მთით გადასულა დასავლეთ საქართველოში), ფაზისის (ყვირილას) ხეობით ჩავიდა „დაბლობში (სადაც) ერთი ქალაქი იყო, სახელად როდოპოლისი (ვარდციხე), რომელიც ყველაზე უწინარეს ხვდებოდა გზაზე იბერიიდან კოლხიდაში შემოსულთ", აქ აღარ გაჩერებულა, „გადალახა აგრეთვე მეორე მდინარეც, სახელად რეონი... და ფაზისის (რიონის) მარჯვენა მხარეს რომ აღმოჩნდა, წაიყვანა ჯარი ერთი ქალა-

ქის, არქეოპოლისის, წინააღმდეგ, რომელიც არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში"[74].

სპარსელების ჯარი ცხენოსნებისგან შედგებოდა, რომელთაც რვა სპილოც მოჰყვებოდა. სპარსელებს „იბერიიდან კოლხიდაში მიმავალი გზა, რომელიც ყველგან დაქანებული ნაპრალებითა და დაბუჩქებული ძნელსავალი ადგილებით იყო დასერილი და ისე დაფარული უღრანი ტყეებით, რომ მსუბუქად დატვირთულ კაცსაც კი გაუჭირდებოდა წინათ აქ გავლა, ისე გაესწორებინათ, რომ არა თუ მთელმა მათმა ცხენოსანმა ჯარმა გაიარა იქ დაუბრკოლებლად, არამედ სპილოებიც გააატარეს"[75]. გზად მათ მოკავშირე ჰუნებიც მიუვიდნენ, რომელთაგან მერმეროემ მხოლოდ ოთხი ათასი წაიყოლა თან.

ლაზიკაში რომ ჩავიდა, მერმეროემ, ზურგი რომ გაემაგრებინა, პირველ რიგში სკანდის ციხე–სიმაგრე აღადგინა, რომელიც ადრე შორაპანთან ერთად ლაზებს მიწასთან გაესწორებინათ, რათა სპარსელებს ისინი მათ წინააღმდეგ არ გამოეყენებინათ, თვით კი წინ გასწია. როგორც ვიცით, როდოპოლისთან, რომლის გალავანი ლაზებს იმავე მიზეზით მოენგრიათ, აღარ შეჩერებულა და მაშინვე არქეოპოლისისკენ გაემართა. არქეოპოლისს ბიზანტიელთა სამათასიანი გარნიზონი იცავდა, ხოლო მთავარი ძალები მდ. ფაზისის (რიონის) შესართავთან იყო დაბანაკებული. მათთან ერთად იყო ჭანების რვაასკაციანი რაზმიც[76].

როდესაც მერმეროემ შეიტყო, რომ ბიზანტიელთა ძირითადი ჯარი ფაზისის შესართავთან დაბანაკებულიყო, აღარც არქეოპოლისთან გაჩერებულა და გადაწყვიტა ჯერ იქ გაელაშქრა და შემდეგ შემობრუნებულიყო არქეოპოლისისაკენ, რომ ზურგში მტერი არ ჰყოლოდა. ფაზისთან დაბანაკებულები, რადგან იმედი არ ჰქონდათ, რომ სპარსელებს გაუმკლავდებოდნენ, სასწრაფოდ ჩასხდნენ ნინასწარ გამზადებულ ნავებში და მდინარის მარცხენა მხარეს გავიდნენ. მერმეროეს სრულიად დაცარიელებული ბანაკი'ლა დახვდა და გაწბილებული უკან, არქეოპოლისისკენ გამობრუნდა.

მერმეროე ფიქრობდა, რომ არქეოპოლისს ადვილად აიღებდა. მართლაც, სპარსელთა სასტიკი იერიშების შედეგად ალყაშემორტყმულნი საშინელ გაჭირვებაში ჩავარდნენ. ბიზანტიელებმა თავგანწირული კონტრშეტევა განახორციელეს, რომელსაც სპარსელები არ ელოდნენ და მათი რიგები

აირია. ბრძოლის დროს ერთ–ერთი სპილო დაიჭრა და ტკივილისაგან გაცოფდა, შემობრუნდა და სპარსელთა რაზმები გადათელა. ამან პანიკა გამოიწვია, მერმეროეს ლაშქარი გაიქცა და გამარჯვებაც ბიზანტიელებს დარჩა. პროკოპი კესარიელის სიტყვით, „ბარბაროსთაგან ოთხი ათასი კაცი დაიღუპა აქ, მათ შორის სამი სარდალი იყო; რომაელებმა ხელთ იგდეს სპარსელთა ოთხი დროშა, რომლებიც მაშინვე მეფეს გაუგზავნეს ბიზანტიონში“[77]

მერმეროემ დაიხია მოხირისისკენ, სასწრაფოდ შეაკეთა ლაზთა მიერ დანგრეული ქუთაისის ციხესიმაგრე და იქ დაბანაკდა. ქუთაისი და მთლიანად მოხირისი სპარსელთა ხელში რომ იყო, ამით მათ დანარჩენ ლაზიკეს და ე. ი. ბიზანტიელებს მოსწყვიტეს მთლიანად სვანეთი და ლეჩხუმი, რამდენადაც ამ მხარეებში მიმავალი გზები სწორედ რიონისა და ცხენისწყლის ხეობებზე იდო და ქუთაისის ციხე–სიმაგრე აკონტროლებდა ამ მაგისტრალებს. მით უმეტეს, რომ ქუთაისთან ახლოს მდებარე უქიმერიონის ციხე–სიმაგრე, რომელიც ცხენისწყლის ხეობაში უნდა ყოფილიყო და ამ დროს ლაზებს ეჭირათ, აგრეთვე დიდ გაჭირვებას განიცდიდა იმიტომ, რომ სპარსელები დაბრკოლებას უქმნიდნენ მის სურსათით მომარაგებას[78].

551 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის ხელახლად დაიდო ხუთწლიანი ზავი, რომლის მიხედვით ბიზანტიას უნდა გადაეხადა გარკვეული თანხა, სამაგიეროდ კი ხოსროს ვითომ ლაზიკიდან ჯარი უნდა გამოეყვანა. მაგრამ სპარსელები პირობის შესრულებას არც აპირებდნენ. პირუკუ, ამასობაში მათ ერთი წარჩინებული ლაზის, თეოფობის ღალატის წყალობით უქიმერიონის ციხესიმაგრის ხელში ჩაგდებაც კი მოახერხეს. „ასე ჩაიგდეს ხელში სპარსელებმა უქიმერიონის ციხე, – მოგვითხრობს ისტორიკოსი, – და მტკიცედ დაეპატრონენ ლაზიკეს. მაგრამ მარტო ეს ლაზიკე კი არ ჩაიგდეს ხელთ სპარსელებმა, არამედ სკვიმნიაცა (ლეჩხუმი) და სვანიაც, და ამრიგად, მოხირისიდან იბერიამდე მთელი მიწა–წყალი გამოეცალათ ხელიდან რომაელებსა და ლაზთა მეფეს“[79]. მერმეროემ დაზამთრება ლაზიკეში გადანყვიტა. ქუთაისის ციხეში სამიათასიანი გარნიზონი ჩააყენა, ასევე უქიმერიონშიც ჩააყენა მცველები, „თვითონ კი ააშენა ლაზთა მეორე ციხე, რომელსაც სარაპანისს ეძახიან და რომელიც ზედ ლაზიკის საზღვ-

რებთან მდებარეობს, და იქ დარჩა"[80]. მეფე გუბაზი მთებში გაიხიზნა, რომაელთაგან კი ზოგი არქეოპოლისს იყო შეფარებული, ზოგი კი სხვა სიმაგრეებს[81]. მერმეროემ წერილი გაუგზავნა გუბაზს დამორჩილება მოსთხოვა, რაზედაც ამ უკანასკნელმა, ბიზანტიელთა დახმარების იმედით, პასუხიც არ გასცა.

552 წელს მერმეროემ კიდევ ერთხელ სცადა ფაზისის შესართავთან დაბანაკებულ ბიზანტიელთა და ლაზთა ლაშქართან შებმა, მაგრამ ეს ვერ შეძლო და გაემართა აბაზგების წინააღმდეგ. აქაც გზა შეკრული დახვდა, უკან გამობრუნდა მოხირისისკენ და ქუთაისში დაბანაკდა.

მეორე წელს მერმეროემ ტელეფისის[82] ციხე–სიმაგრის ასაღებად გაილაშქრა, სადაც რომაელთა ჯარი იდგა, რომელსაც სარდალი მარტინე ედგა სათავეში. თუმცა ტელეფისის ციხესიმაგრე, როგორც ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია გადმოგვცემს, „მტკიცე და ძალიან მაგარი" იყო, რის გამოც მეციხოვნეებს სპარსელთა შიში არა ჰქონდათ, მაგრამ მერმეროემ მოახერხა მათი სიფხიზლის მოდუნება, მოულოდნელად თავს დაესხა მათ. ბიზანტიელებმა „სამარცხვინოდ დაიხიეს" და შეუერთდნენ ტელეფისის მახლობლად დაბანაკებულ დანარჩენ ლაშქარს, რომელსაც მხედართმთავრები ბესა და იუსტინე მეთაურობდნენ. სპარსელებმა მათაც მოულოდნელად შეუტიეს და გააქციეს „და მანამ არ შეუწყვეტიათ სირბილი, სანამ ნესოსს (დღევანდელი სოფ. ისულა) არ მიაღწიეს. ნესოსი სულ დიდი ხუთი ფარსანგით (25/27 კმ) არის დაშორებული ტელეფისს. ისინი ძალიან მაგრად მირბოდნენ და ეს გზა ლაღად გაიარეს იმავე დღეს"[83]. ამგვარად, მერმეროემ თვით ციხე–სიმაგრის გარდა ბიზანტიელთა მთელი სამხედრო ბანაკი ჩაიგდო ხელთ, მაგრამ შეწყვიტა ბიზანტიელთა დევნა, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე გადავიდა და მივიდა „ონოგურისის ციხეში (დღ. სოფ. აბედათის მახლობლად)[84], რომელიც მას წინათ გაეხადა არქეოპოლისის მიდამოებში რომაელთა წინააღმდეგ საჭირო სასიმაგრო საფარად"[85]. მან გაამხნევა აქ მდგომი სპარსელთა გარნიზონი, შეავსო იგი სხვა რაზმით, თვით კი კვლავ ქუთაისისკენ დაბრუნდა. აქ იგი უეცრად ავად გახდა. ამიტომ სწრაფად მოანესრიგა საქმეები და გადავიდა ქართლში, მაგრამ სენმა დასძლია და გარდაიცვალა ქალაქ მცხეთაში[86]. ეს მოხდა 554 წელს[87]

ბიზანტიელების ამ მარცხს ლაზთა მეფე გუბაზი მათ სტრატეგოსთა უნიჭობასა და მცონარობას აბრალებდა და თავისი აზრი შეატყობინა კიდეც იმპერატორ იუსტინიანეს. განსაკუთრებით ბესას ამტყუნებდა გუბაზი და, რადგან კეისარი თვითონაც უკმაყოფილო იყო ბესას სარდლობით ლაზიკეში, მან იგი გადააყენა თანამდებობიდან, ჩამოართვა მთელი ქონება და გადაასახლა აბაზგიაში. მართალია, სხვა სტრატეგოსების მიმართ იუსტინიანეს მკაცრი სასჯელი არ გამოუყენებია, თუმცა კი აგრძნობინა, რომ მათზეც განაწყენებული იყო, მაგრამ ამ გარემოებით შეშფოთებულებმა გადაწყვიტეს მეფე გუბაზი გამოეცხადებინათ მოღალატედ და მოეკლათ იგი, მით უმეტეს, რომ მარტინესა და რუსტიკესთან (რომელიც ასევე კეისრის დიდმოხელე იყო ლაზიკეში) გუბაზს უკვე კარგა ხანია ურთიერთობა გაფუჭებული ჰქონდა.

ერთმანეთში მოთათბირების შემდეგ სტრატეგოსებმა იმპერატორთან რუსტიკეს ძმა იოანე გააგზავნეს, რომელმაც მას მოახსენა, ვითომ მეფე გუბაზი სპარსელთა მომხრეობას იჩენდა. იუსტინიანემ, რომელიც დაეჭვდა თავის დიდმოხელეთა სიმართლეში, მოითხოვა მათგან მეფე გუბაზის მოყვანა იმპერატორის კარზე, რომ პირადად მას მოეხსენებინა საქმის ვითარება.

ლაზიკეში მობრუნებულ იოანესაგან მარტინემ და რუსტიკემ საქმის ვითარება რომ შეიტყვეს, დააჩქარეს თავისი გეგმის განხორციელება. მდინარე ხობის ნაპირას დაიბარეს მეფე გუბაზი, ვითომც ონოგურისის ციხესიმაგრის ასაღებად გალაშქრების თაობაზე მოსალაპარაკებლად და უიარაღოდ, მხოლოდ რამდენიმე კაცის თანხლებით მოსული ლაზთა მეფე ვერაგულად მოკლეს. ამ ამბავმა დიდი მღელვარება გამოიწვია ლაზთა შორის და „ისეთმა უკმაყოფილებამ შეიპყრო ისინი, რომ გადაწყვიტეს ამიერიდან აღარ შერეოდნენ რომაელებს და არც მათთან ერთად ელაშქრათ“[88].

ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია, მის მიერ ზემოაღწერილი მოვლენების თანამედროვე, ასე ახასიათებს ლაზებს: „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენდნენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ; ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია არცთუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი

სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული... ისინი უკვე არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ რომაელებთან კავშირის წყალობით თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მოუციათ... აი, ასეთნი არიან ლაზები და ბუნებრივია, რომ მათ შეუწყნარებლად მიიჩნიეს მოეთმინათ ის, რომ მათ ასე ვერაგულად მოუკლეს მეფე"[89], დასძენს ისტორიკოსი.

გუბაზის მკვლელობის შემდეგ, მარტინეს ინიციატივით ბიზანტიელებმა იერიში მიიტანეს ონოგურისის ციხეზე იმ იმედით, რომ მას ადვილად აიღებდნენ და ამ გამარჯვების შედეგად იმპერატორს, რომც გაეგო მათი ვერაგული მოქმედება, ეგების, კიდევაც ეპატიებინა დანაშაული. მაგრამ ამ ციხესთან ბიზანტიელთა ორმოცდაათიათასიანმა არმიამ სასტიკი დამარცხება იწვნია სამი ათასი სპარსელისაგან და აგათიას თქმით, „თვით ბოროტმოქმედების ჩამდენთაც სულ მალე ეწიათ უმაღლესი სასჯელი"[90].

554 წლის ზამთარში, როდესაც საომარი მოქმედება შეწყდა და ბიზანტიელთა მთელი ჯარი დანანილებული იყო ქალაქებსა და ციხეებში, ლაზიკის დიდებულებმა „კავკასიის ერთ ხეობაში შეყარეს დიდძალი ხალხი ჩუმად, რომ რომაელებს არ შეეტყოთ, რასაც აქ მოაგვარებდნენ, და დასვეს საკითხი – სპარსელების მხარეზე გადავიდეთ, თუ ისევ რომაელებთან დავრჩეთო"[91]. როგორც მოსალოდნელი იყო ლაზთა ამ სახალხო კრებაზე ორი, სპარსოფილური და ელინოფილური, დასის წარმომადგენლებს შორის ცხარე კამათი გაიმართა. აგათია სქოლასტიკოსმა შემოგვინახა ამ სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის წარჩინებულ ლაზთა, აიეტისა და ფარტაზის, მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომლებიც მისივე შეფასებით, მჭევრმეტყველების შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს. დიდი კამათის შემდეგ საბოლოოდ შეთანხმდნენ იმაზე, რომ არ აჩქარებულიყვნენ, დარჩენილიყვნენ რომაელთა მოკავშირეებად და იმპერატორ იუსტინიანესთვის შეეტყობინებინათ მისი სტრატეგოსების მოღალატეობრივი და უსამართლო მოქმედების შესახებ, რომ მას გამოეძია მიუკერძოებლად ყველა გარემოება და დაესაჯა დამნაშავენი. გარდა ამისა ლაზები მოითხოვდნენ, რომ იუსტინიანეს მეფედ გამოეგზავნა გუბაზის უმცროსი ძმა წათე, რომელიც იმჟამად კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა.

იმპერატორმა, რომელიც სრულიად სამართლიანად თვლიდა ლაზთა მოთხოვნას, სასწრაფოდ შეასრულა ლაზების ყველა პირობა, გაგზავნა ლაზიკეში ცნობილი დარბაისელი ათანასე, რომელსაც უნდა გამოეძია საქმის ვითარება და ამ უკანასკნელმაც, ჩამოვიდა თუ არა, რუსტიკეც და მისი ძმა იოანეც ბორკილგაყრილები ქალაქ აფსარუნტის სატუსაღოში დაამწყვდია, ვიდრე დაწყებული გამოძიება დამთავრდებოდა.

იუსტინიანეს ასეთი სწრაფი რეაქცია, რა თქმა უნდა, მხოლოდ სამართლიანობით და კაცთმოყვარეობით არ იყო ნაკარნახევი. მთავარი აქ უნდა ყოფილიყო შიში ლაზიკის დაკარგვისა, რომლის აღმოსავლეთი ნახევარი სპარსელების ხელში იყო და ლაზთა სამართლიანი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ამ ქვეყნის მთლიანად სპარსელთა ხელში გადასვლის საშიშროება სრულიად რეალური იყო, რაც კარგად გამოჩნდა ლაზთა სახალხო კრებაზე. ეს არ შეიძლება არ სცოდნოდა იმპერატორს, ხოლო რა ხიფათს უქმნიდა ეს ბიზანტიას, ამის შესახებ ზემოთ უკვე იყო ნათქვამი.

სასამართლოს საქმე გადაიდო, რადგან 555 წლის გაზაფხულზე იბერიაზე გავლით ლაზიკეში მოვიდა მერმეროეს მაგივრად შაჰანშაჰის მიერ სპარსული ლაშქრის მთავარსარდლად დანიშნული ნახორაგანი, რომელიც შეუდგა მოხირისში ჯარების შეკრებას და მზადებას ომისათვის. ცხადია, ასეთ პირობებში სასამართლოსთვის არავის ეცალა.

ამასობაში წათეც დაბრუნდა კონსტანტინოპოლიდან, იმპერატორის მიერ ლაზთა მეფედ დანიშნული და ყველა იმ სამეფო ინსიგნიით შემკული, რომელიც ძველთაგანვე იყო დაწესებული (ოქროს გვირგვინი, ქიტონი ოქრომკედით მოქარგული, მიტრა შემკული ოქროთი და თვლებით, თეთრი ქლამიდა და ნითელი ნაღები) საამისოდ. ახალი მეფე ბიზანტიელთა სტრატეგოსებმა, ჯარმა და მთელმა ხალხმა სათანადო საზეიმო ცერემონიალით, საყვირების ხმაურით და მაღლა აწეული აფრიალებული დროშებით მიაცილეს რეზიდენციამდე.

წათეს ჩამოჰყვა სტრატეგოსი სოტერიქე, რომელსაც იმპერატორისაგან დავალებული ჰქონდა ფული დაერიგებინა დასავლეთ იმიერკავკასიაში მცხოვრები მოკავშირე ტომებისათვის. სოტერიქე თავისი ორი შვილითურთ გაემართა მისიმიელთა ქვეყანაში, მდ. კოდორის ზემო დინებაზე, და ბუქლოოსის ციხეში გაჩერდა. მისიმიელებმა რატომღაც ეჭვი აიღეს,

რომ იგი აპირებდა ამ ციხე–სიმაგრის, რომელიც ლაზიკეს საზღვარზე მდებარეობდა, ალანთათვის გადაცემას და ამიტომ მიაგზავნეს მასთან წარმომადგენლები წინადადებით, რომ იგი სასწრაფოდ გადასულიყო სხვა ადგილას. სოტერიქემ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და თავის მხლებლებს აცემინა ჯოხებით ისინი. ღამე მისიმიელნი თავს დაესხნენ სოტერიქეს, მოკლეს იგი, მისი შვილებიც და მხლებლებიც, გაძარცვეს ისინი და იმპერატორისაგან წამოღებული ფულიც გაიტაცეს. ამის შემდეგ მიხვდნენ, რომ მათ უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ, გადაუდგნენ ბიზანტიელებს და ელჩები გაუგზავნეს სპარსელებს თხოვნით, მიეღოთ ისინი, როგორც ქვეშევრდომები[92].

ბიზანტიელებმა მხოლოდ 556 წლის გაზაფხულისთვის მოიცალეს მისიმიელებისათვის და ოთხიათასიანი ჯარი გააგზავნეს მათ დასასჯელად. მაგრამ მათ იქ დახვდათ ქართლიდან და მოხირისის ქალაქებიდან წამოსული სპარსული ლაშქარი. ამიტომ რომაელებმა იქ შეჭრა ამჯერად ვერ მოახერხეს და აფსილიაში გაჩერდნენ, კოდორის ქვემო წელზე. მთელი ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში მათ შორის შეტაკება არ მომხდარა. ზამთრის დადგომისთანავე სპარსელები უკან გაბრუნდნენ ქუთაისსა და იბერიაში, რომ იქ გამოეზამთრებინათ. ამით ისარგებლეს ბიზანტიელებმა, რომელთაც სათავეში მარტინე ჩაუდგა, შეიჭრნენ მისიმიანეთში და ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ დიდი სისასტიკით გაუსწორდნენ მისიმიელებს, მძევლებიც გამოართვეს და სოტერიქესაგან მიტაცებული ფულიც დაიბრუნეს[93].

555 წელს ნახორაგანის მიერ განახლებული ომი ლაზიკეში, ფაქტობრივად, ქალაქ ფაზისის (ფოთის) ხელში ჩაგდებას ისახავდა მიზნად. ჩვენ უკვე ვიცით, რომ სპარსელთა მცდელობა პეტრას დაპყრობისა და აქედან ზღვაზე გასასვლელის მოპოვებისათვის მარცხით დამთავრდა. ასევე წარუმატებელი იყო აბაზგიაში მათი დამაგრების ცდა. ამჟამად სპარსელებმა ცნობილი ქალაქი ფაზისი აირჩიეს მათი საომარი კამპანიის მიზნად. ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ზღვაზე გასასვლელი ნავსადგური მოეპოვებინათ. ეს მათი სტრატეგიული მიზანი იყო ლაზიკეში. გარდა იმისა, რომ როგორც უკვე ვიცით, იმავე აგათიას თქმით, ასეთ შემთხვევაში „აღარაფერი დააბრკოლებდა მათ უშიშრად შემოეცურათ ევქ-

სინის პონტოთი და ძალიან ღრმად გაეკვლიათ გზა რომაელთა სამეფოში", ლაზიკეში მდგარი ბიზანტიური ლაშქარი სწორედ ზღვიდან მარაგდებოდა იარაღ–საჭურველით, სანოვაგით თუ ცოცხალი ძალით და ზღვის სანაპიროს კონტროლი საშუალებას მისცემდა სპარსელებს ხელი შეეშალათ ამ თვალსაზრისით ბიზანტიელებისათვის[94].

მაგრამ სპარსელებმა ამჯერადაც ვერ მიაღწიეს მიზანს და სასტიკად დამარცხდნენ ფაზისთან გამართულ ბრძოლაში, სადაც ნახორაგანის სამოცათასიანმა არმიამ ათი ათასი მეომარი დაკარგა, ხოლო დანარჩენები სამარცხვინოდ გაიქცნენ მთავარსარდალთან ერთად და მოხირისში დაბრუნდნენ. ამის შემდეგ ნახორაგანი ზამთრის პირს ქართლში დაბრუნდა. საომარი მოქმედებები შეწყდა. დამარცხებით განრისხებულმა ხოსრო ანუშირვანმა კი გამოიწვია ნახორაგანი ქართლიდან და საშინელი სასჯელით დასაჯა: ცოცხლად ტყავი გააძრო[95].

ბიზანტიელთა გამარჯვების შემდეგ, როდესაც შეწყდა საომარი მოქმედებები, კვლავ დადგა დღის წესრიგში მეფე გუბაზის მკვლელობის საკითხი. სასამართლო გაიმართა არქეოპოლისში. სენატორმა ათანასემ აფსარუნტიდან მოაყვანინა რუსტიკე და იოანე და დიდძალი ხალხის და ჯარის თვალწინ გაასამართლა ისინი. ბრალმდებლებად წარჩინებული ლაზები გამოვიდნენ, ალაპარაკეს ბრალდებულნიც. ათანასემ ორივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო და სიკვდილი გადაუნყვიტა. ისინი ჯერ ჯორებზე შესვეს და ქალაქის ქუჩებში ჩაატარეს, შემდეგ კი თავები მოჰკვეთეს[96].

მრავალწლიანი ომის შედეგად, როგორც აგათია სქოლასტიკოსი გადმოგვცემს, „ხოსრო იმ აზრს დაადგა, რომ ის ვერ შეძლებდა კოლხიდაში ფეხის მოკიდებას რომაელების წინააღმდეგ, რომელთაც აქ ეპყრათ ზღვის სანაპირო ადგილები და აქედან შეეძლოთ დაუბრკოლებლივ მიეწოდებინათ ჯარისათვის ყველაფერი, რასაც ის საჭიროებდა, თვითონ კი იძულებული იყო შორი და უდაბური გზით ეზიდა ბანაკად გაშლილი ჯარებისათვის მცირეოდენი სურსათიც – კი – ისიც დიდის გაჭირვებით – მებარგული კაცებისა და საკიდარი ცხოველების საშუალებით. ყველაფერი ეს რომ გაითვალისწინა, გადაწყვიტა ომი გადაედო"[97] და დაედო დროებითი ზავი. იგი გზავნის ელჩებს იუსტინიანესთან. მოლაპარაკების შედეგად „შეთანხმდნენ იმაში, რომ როგორც რომაელებს ისე სპარსე-

ლებს სჭეროდათ ყველა ის ადგილები, რომლებიც მათ ლაზთა ქვეყანაში წარმოებული ომის დროს დაიპყრეს - იქნებოდა ეს გამაგრებული ქალაქები თუ ციხესიმაგრეები - დაეცვათ მშვიდობიანობა და აღარ ეომათ ერთმანეთის წინააღმდეგ, სანამ სხვა უფრო დიდსა და საბოლოო ხელშეკრულებას დასდებდა ორივე სახელმწიფო"[98]. ასე დამთავრდა 556 წელს დიდი ომიანობა ლაზიკეში.

საბოლოოდ 562 წელს დაიდო ზავი 50 წლით, რომელიც ითვალისწინებდა ლაზიკის განთავისუფლებას სპარსელთა ჯარისაგან და ბიზანტიისათვის დაბრუნებას. რომაელებს სამაგიეროდ უნდა გადაეხადათ დიდძალი თანხა. მოწინააღმდეგე მხარეებმა ყველაფერზე მოილაპარაკეს, გადასაწყვეტი დარჩა მხოლოდ სვანეთის საკითხი.

საქმე ის არის, რომ 553 წელს, როდესაც მეფე გუბაზსა და მარტინეს შორის ძალიან გამწვავდა ურთიერთობა, ლაზთა მეფემ, როგორც ბიზანტიელი ისტორიკოსი, მენანდრე პროტიქტორი გადმოგვცემს, „აღარ გაუგზავნა სვანებს ჩვეულებრივი სურსათი: ჩვეულებრივ პური მათ კოლხთა მეფისაგან ეგზავნებოდათ. ამიტომ სვანებმა იმაზე გაჯავრებულებმა, რომ მათ მოუსპეს დანესებული დახმარება, შეუთვალეს სპარსელებს, რომ, თუ ისინი იქ მოვიდოდნენ, სვანეთს მათ ჩააბარებდნენ"[99]. ამავე დროს სვანებმა განდევნეს თავის ქვეყანაში მყოფი ბიზანტიური რაზმები. სპარსელებმა კი, რომლებიც ამ დროს ლაზიკეში ომობდნენ ბიზანტიელებთან, ცხადია, არ გაუშვეს ხელიდან ეს ფრიად ხელსაყრელი შემთხვევა და დაიჭირეს სვანეთი[100].

ბიზანტიელები, რა თქმა უნდა, სვანეთს, როგორც ლაზიკეს ხელქვეშეთ მხარეს, თავისი საბრძანებლის ნაწილად თვლიდნენ და მისი დათმობა არამც და არამც არ სურდათ. საბოლოოდ, ზავი ირანსა და ბიზანტიას შორის მაინც დაიდო და „მიდიელნი (სპარსელნი) შინ გაბრუნდნენ კოლხთა ქვეყნიდან"[101], მაგრამ სვანეთის საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა, როგორც „ბოროტებათა ნაპერწკალი, რომელიც უდიდესი უთანხმოების ცეცხლად" შეიძლება გადაქცეულიყო[102].

სვანეთის საკითხი სადავო იყო უფრო გვიანაც. 569 წელს იუსტინე კეისარი (565–578 წწ.) სპარსეთში ელჩად აგზავნის იოანე კომენტიოლს და აბარებს, რომ თუ სპარსელები დათანხმდებიან სასყიდლით გადასცენ მათ ეს ქვეყანა, და-

თანხმებულიყო, რადგან „სვანეთი, მართალია, ღირსშესანიშნავი არ იყო, მაგრამ ის მაინც თავისი მოხერხებული მდებარეობით მეტად სასარგებლო იყო რომაელთა ხელისუფლებისათვის, რათა ამ გზით მოზღვავებულ სპარსელებს კოლხეთის საზღვრები არ აეოხრებინათ“[103]. ბიზანტიელი ისტორიკოსის ეს მოწმობა, ჯერ ერთი საინტერესოა იმით, რომ გვაგულისხმებინებს დღევანდელი რაჭის, მაინცდამაინც, „მთის რაჭის“ ირანის გავლენის სფეროში ყოფნას ანუ ქართლისადმი კუთვნილებას. მართლაც, ქართლში მყოფ სპარსელებს უშუალო გზა რომ ჰქონოდათ სვანეთამდე უეჭველია, რაჭის ზემოხსენებული ტერიტორია მათ ხელში, ანუ, ფაქტობრივად, ქართლის ხელში უნდა ყოფილიყო.

გარდა ამისა სავარაუდოა, რომ მხოლოდ ამით არ ამოიწურებოდა ბიზანტიისთვის სვანეთის სტრატეგიული მნიშვნელობა.

საქმე ის არის, რომ V ს–ის ბოლოდან VII ს–ის დასაწყისამდე ახლო და შუა აღმოსავლეთში აბრეშუმით ვაჭრობამ განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა შეიძინა. იგი გადაიქცა ერთ–ერთ განმსაზღვრელ პირობად ბიზანტიის საგარეო პოლიტიკაში. აბრეშუმი უძველესი დროიდან მზადდებოდა ჩინეთში, რომელიც წარმატებით ვაჭრობდა ახლო აღმოსავლეთთან და ბიზანტიასთან. როგორც ვიცით ბიზანტია აბრეშუმის ვაჭრობის თვალსაზრისით ირანზე იყო ეკონომიკურად დამოკიდებული და ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, სარგებლობდა ამ უპირატესობით (აფერხებდა ვაჭრობას, ზრდიდა საშუამავლო ფასებს და სხვ.). ბიზანტია ცდილობდა თავი დაეღწია ამ ეკონომიკური დამოკიდებულებისაგან და ახალი გზების ძიებაში იყო, რომელიც მას ირანის ავლით დააკავშირებდა შორეულ აღმოსავლეთთან. ასეთი შესაძლებლობა წარმოიქმნა VI ს–ის მეორე ნახევარში, როდესაც ევრაზიის უკიდეგანო სტეპებში წარმოიქმნა მომთაბარე თურქთა კაგანატი, გადაჭიმული ჩინეთიდან აზოვის ზღვამდე, რომლის პოლიტიკური გავლენის სფეროში ჩრდილოეთი კავკასიის დაბლობიც შემოდიოდა. თვით თურქთა კაგანატი, რომელიც ასევე იყო დაინტერესებული აბრეშუმით ვაჭრობით (რამდენადაც სოღდელი ვაჭრები, რომლებიც ფაქტობრივად ახორციელებდნენ ამ საშუამავლო ვაჭრობას, მათი ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო ირანთან კი მათ გარკვეული დროიდან მტრული

ურთიერთობა ჰქონდათ), ამ თვალსაზრისით ბუნებრივი მოკავშირე იყო ბიზანტიისა[104]. და, მართლაც, 568 წელს, „იუსტინეს მეფობის მეოთხე წელი რომ დაიწყო, ბიზანტიონში მოვიდნენ თურქთა ელჩები“ მანიაქის მეთაურობით. თურქთა მეფე „სიზიბული გზავნის მას და ზოგიერთ სხვებს ელჩებად რომაელთა მეფესთან, უგზავნის მას მოკითხვებს, აბრეშუმს საჩუქრად არა მცირეოდენს, და წერილებს. მანიაქმა წაიღო ეს წერილები და გაუდგა გზას. და მან მეტად დიდი გზა განვლო: გაიარა ბევრი ქვეყანა, მთები, მაღლა აწვდილი ღრუბლებამდე, დაბლობები და ჭალები, შემდეგ გადმოლახა თვით კავკასიის მთა და, ბოლოს, მოვიდა ბიზანტიონში“[105].

კონტექსტით ჩანს, რომ ეს ელჩობა შუა აზიიდან ჩრდილოეთ კასპიისპირეთით მოსულა ჩრდილოეთ კავკასიაში და კავკასიონის გადმოლახვის შემდეგ ამიერკავკასიაზე გავლით ჩასულა კონსტანტინოპოლში. ცხადია, რომ რამდენადაც აღმოსავლეთი ამიერკავკასია (ქართლი და ალვანეთი) ამ დროს ირანს უჭირავს, ელჩობას დასავლეთი კავკასიონი გადმოუვლია და ეგრისს ჩამოსულა[106].

დიდად ნასიამოვნები იმპერატორი იუსტინე თურქთა ხაკანთან გზავნის საპასუხო ელჩობას, აღმოსავლეთის ქალაქთა სტრატეგოსის ზემარქეს მეთაურობით. ეს ელჩობაც, ალბათ, იმავე ახლად გაკვალული გზით უნდა წასულიყო, თუმცა ამის შესახებ მენანდრე არაფერს გვეუბნება. უკან გზა კი უეჭველად ჩრდილო კასპიისპირეთზე იდო, რამდენადაც ზემარქეს არალის ზღვა გამოუვლია და ვოლგაზე გადასულა. აქედან იგი „უგურების ქვეყანაში“ მისულა, სადაც მას შეატყობინეს, რომ მდ. კოფენის მახლობლად ოთხი ათასი სპარსელია ჩასაფრებული. კოფენი იგივე მდ. ყუბანი უნდა იყოს[107] აქ სპარსელთა ყოფნის ამბავი არ გამართლდა და ბიზანტიელები „დიდის შიშით მოვიდნენ ალანიაში“[108], რომელიც, როგორც ვიცით, აფხაზეთის (და სვანეთის!) მოსაზღვრე ტერიტორიაა[109].

ალანთა მთავარმა „საროდიმ ურჩია ზემარქესა და მის კაცებს არ წასულიყვნენ მისიმიანთა ქვეყანაზე გამავალი გზით, რადგან სვანეთის მახლობლად სპარსელები არიან ჩასაფრებულიო. შინ დაბრუნება უმჯობესია ე. წ. დარინის გზითო. ეს რომ გაიგო ზემარქემ, მისიმიანთა ქვეყანაზე გაგზავნა ათი მებარგე, აბრეშუმით დატვირთული, რომელთაც შეცდომაში უნდა შეეყვანათ სპარსელები, თითქოს აბრეშუმი წინას-

წარ იყო გამოგზავნილი, და ისინი დაწინაურდნენ; აქედან სპარსელებს უნდა ეფიქრათ, რომ მეორე დღეს ზემარქეც მოვიდოდა. მებარგენი წავიდნენ, ხოლო ზემარქე დარინის გზით მივიდა აფსილიაში: მისიმიანთა გზა მან უარჰყო, დასტოვა ის მარცხნივ. ამ გზით საფიქრებელი იყო, რომ თავს დაესხმოდნენ სპარსელები. მოვიდა როგატორიონში, შემდეგ ევქსინის პონტომდე და მერე ნავებით მდინარე ფაზისამდე, შემდეგ ტრაპეზუნტში. აქედან სახელმწიფო ცხენებით ბიზანტიაში მივიდა მეფესთან და უამბო ყველაფერი. ასე დამთავრდა ზემარქეს გამგზავრება თურქებთან და მისი უკან დაბრუნება"[10].

ეს გრძელი ამონაწერი წყაროდან საგანგებოდ მოვიყვანეთ, რადგან იგი ფრიად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხისათვის. კერძოდ, კარგად ჩანს, რომ აღმოსავლური აბრეშუმის მიღებისათვის ბიზანტია იძულებულია ეძებოს სხვა გზები, რომლებიც ასცდებოდა ირანის ტერიტორიას. იგი ცდილობს სავაჭრო ურთიერთობა დაამყაროს შუა აზიასთან აფხაზეთ–სვანეთის გზით ჩრდილო კავკასიიდან, სადაც ამ დროს ალანები იყვნენ გაბატონებულნი. ირანი, თავის მხრივ, ცდილობს ხელი შეუშალოს ამ ღონისძიებას. უეჭველია, რომ იმ გაუთავებელ დავაში, რომელიც ატყდა VI ს–ის 60–იან წლებში საზავო მოლაპარაკების დროს ირანსა და ბიზანტიას შორის სვანეთზე ერთ–ერთი მათგანის სუვერენიტეტის გავრცელების საკითხის ირგვლივ, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ის გარემოება, რომ სვანეთი ისევე, როგორც აფხაზეთი უღელტეხილებით არის დაკავშირებული ჩრდილოეთ კავკასიასთან. რომ ბიზანტია ჩრდილოეთ კავკასიასთან ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას სწორედ დასავლეთი საქართველოს მთიანეთის საშუალებით ცდილობდა, ამის ნათელი ილუსტრაციაა VI–VII საუკუნეების ბიზანტიური ოქროს მონეტების აღმოჩენა, ერთი მხრივ, აფხაზეთ–სვანეთ–რაჭაში, ხოლო მეორე მხრივ, ჩერქეზეთ – ბალყარეთ – ოსეთში, კავკასიონის გარდიგარდმო, ზემოაღნიშნული ქვეყნების დამაკავშირებელი საუღელტეხილო გზების გასწვრივ[11].

რომ ამ ახალი საერთაშორისო–სატრანზიტო გზების ძიების მთავარი მამოძრავებელი სტიმული სწორედ აბრეშუმით ვაჭრობა იყო, ამას უცილობელს ხდის ის ფაქტები, რომ თურ-

ქთა სახანოდან წამოსულ პირველ ელჩობას, მანიაქის მეთაურობით, იმპერატორთან მოჰქონდა „აბრეშუმი საჩუქრად არა მცირეოდენი", ხოლო იქიდანვე მობრუნებულმა ზემარქმა სპარსელთა მოტყუების მიზნით „მისიმიანთა ქვეყანაზე გაგზავნა ათი მებარგე აბრეშუმით დატვირთული", ხოლო თვით კი, როგორც ჩანს, აბრეშუმის ძირითადი ნაწილით, სხვა – „დარინის გზით" – ჩავიდა აფსილიაში[112].

როგორც ზემომოყვანილი ნუმიზმატიკური მასალა მოწმობს, ეს გზა VII ს–ის პირველ ნახევარშიც ფუნქციონირებდა (ფოკას და ჰერაკლე კეისრების ოქროს მონეტები კამუნთადან, გალიათიდან, ჩეგემიდან) და შეიძლება VII ს–ის მეორე ნახევარშიც (კონსტანტინე პოგონატის ოქროს მონეტა არხიზიდან)[113] ამ მხრივ მრავლისმეტყველია არქეოლოგიური მასალა ჩრდილო კავკასიიდან[114].

მართლაც, დავა სვანეთის შესახებ, როგორც ჩანს, დიდხანს არ შეწყვეტილა. როგორც ერთი ქრონიკიდან ირკვევა, 575 წ. რომაელმა სარდალმა „რომანოზმა, ანაგასტე პატრიკიოსის შვილმა, ჯარის სარდალმა, სვანთა ტომის მეფე ცოცხლად დაატყვევა, რომელიც... კონსტანტინოპოლში წამოიყვანა და რომლის სამფლობელო რომაელების ბატონობას დაუბრუნა"[115]. 576–577 წლების საზავო მოლაპარაკების დროს ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის სვანეთის საკითხი აღარ დგას, რაც მოწმობს, რომ ამ დროსაც იგი ბიზანტიელთა ხელშეუხებულია[116], მაგრამ 589/590 წლებში, „მერვე წელს მავრიკის ავტოკრატორობისა სპარსელთა მეფის ჰორმიზდას მიერ სვანეთის წინააღმდეგ იგზავნება სპარსელთა სტრატეგოსი ბარამი ბარბაროზთა ლაშქრითურთ. და რადგან სპარსელები მოულოდნელად თავს წამოადგნენ, ხალხი გამოფხიზლდა დაუდევარი ძილისაგან. სვანეთი ხომ საშინლად იძარცვებოდა, უბედურება აუტანელი იყო: ყურისმგდებელ სტრატეგოსს მოკლებული იყო, ვინაიდან კოლხიკე უსარდლო იყო და მომვლელისაგან ობლად შთენილი, რადგან ამ დროს აღმოსავლეთში იყო ომი გაჩაღებული... ამრიგად... ბარამმა ომი კოლხიდის წინააღმდეგ გადაიტანა... ბარამი სვანეთს მიმართავს და, ხელთ იგდებს რა დიდძალ ნადავლს, გზავნის მას ბაბილონიაში და დაიბანაკებს მდინარე არაქსზე"[117].

მართალია VII ს–ის პირველი ნახევრის ამ ისტორიკოსის ცნობა, როგორც ვხედავთ, ბუნდოვანია, კერძოდ, გაუგებარია

ვისგან იძარცვებოდა სვანეთი, მაგრამ ფაქტია, სპარსელებს იქ საგანგებოდ ულაშქრიათ (ცხადია, ქართლიდან), მათი ყოფილი ქვეშევრდომის დასაბრუნებლად.

სპარსელთა სვანეთში ლაშქრობის ეს ეპიზოდი თეოფანე ჟამთააღმწერელსაც აქვს შემონახული, ოღონდ 588 წლის თარიღით: „ჰორმიზდამ სარდლად ბარამი დანიშნა და დიდძალი ჯარით სვანეთის წინააღმდეგ გაგზავნა. ბარამი მოულოდნელად დაეცა მას (სვანეთს)... მავრიკიმ რომ ეს გაიგო, რომანოსი დანიშნა სტრატეგოსად და სვანეთში გაგზავნა ჯარით. რომანოსი მივიდა ლაზეთში და მდ. ფაზისზე რომ იყო, ალბანიის (? დ. მ.) წინააღმდეგ დაბანაკდა“[118].

ორივე წყარო, ადვილი დასანახია, ან ერთმანეთზეა დამოკიდებული ან ერთსა და იმავე პირველწყაროს ეყრდნობა და საკმაოდ გაუგებარია. მით უმეტეს, რომ ამ ავტორთა წარმოდგენით ეს სვანეთში მებრძოლი ბარამი იგივე ბარამ ჩუბინია, სახელგანთქმული სპარსელი მხედართმთავარი, რაც შეცდომაა[119]. მაგრამ თავისთავად სპარსელთა ლაშქრობა VI ს–ის 80–იანი წლების ბოლოს სვანეთში, ვინმე ბარამის სარდლობით, რეალური ამბავი უნდა იყოს. ორივე ისტორიკოსის ცნობით, ეს ლაშქრობა მარცხით დამთავრებულა და სვანეთი კვლავ ეგრისის ფარგლებში დარჩენილა ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ.

საინტერესოა ერთმანეთს შევუდაროთ დასავლეთი საქართველოს პოლიტიკური ვითარების პროკოპი კესარიელისეული და თეოფილაქტე სიმოკატასეული დახასიათება. თუ 551 წელს „რომაელებსა და ლაზებს შორის არავითარი მისვლა–მოსვლა არ იყო: სპარსელები ყველგან სრულიად თავისუფლად მიდი–მოდიოდნენ ამ ადგილებში, და ამიტომ რომაელთა და ლაზთაგან ერთნი მდინარე ფაზისის სანაპიროებზე დამალულიყვნენ, ხოლო სხვებს არქეოპოლისი ან სხვა რომელიმე იქაური სიმაგრე დაეჭირათ და იქ შეეფარებინათ თავი“[120]; 588 წელს „ფაზისის წყალსაც აღარ ამღვრევდა სისხლი; მისი მშვიდობიანი მდინარება სიწყნარის ბრწყინვალებით რნყავდა კოლხეთს და მიდიელ მოსახლეს აღარ აჭაჭანებდა. აი, ასეთ წესრიგში იყო მოყვანილი რომაელთა საქმეები“[121]. ვფიქრობთ, ისტორიკოსთა ეს შეფასებანი დასტურია იმისა, რომ თითქმის ორმოცდაათწლიანი ომი დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელთა სრული გამარჯვებით დამთავრდა. მაგ-

რამ ცხადია, ამ ომს არ შეიძლება შედეგად ეგრისის ეკონომიკური დაცემა და პოლიტიკური დასუსტება არ მოჰყოლოდა, რითაც, ცხადია, ისარგებლებდნენ გამარჯვებულები: მათ 50-იანი წლების შემდეგ რომელიღაც მომენტში გაუუქმებიათ მეფობა. 80-იანი წლების ბოლოს „კოლხიდის სტრატეგოსი" რომანოზი „კოლხიდაში რომ მივიდა, რომელსაც მდაბიურმა ენამ ლაზიკე გადაარქვა, და შეუთანხმდა **იქაურ მმართველებს**"[12] სპარსელებთან საბრძოლველად, იმის მოწმობად მიგვაჩნია, რომ ამ დროს ეგრისს მეფე აღარ ჰყავს.

VII ს-ის დასაწყისში ბიზანტიელები კიდევ უფრო მეტ ნარმატებას აღნევენ დასავლეთ საქართველოში.

შენიშვნები:

1. თეოფანე ჟამთააღმწერელი, „გეორგიკა", IV[1], გვ. 77, 78.
2. იქვე, გვ. 78.
3. იქვე, გვ. 14, შენ. 1.
4. იოანე მალალა, „გეორგიკა", III, გვ. 263, 264.
5. თეოფანე ჟამთააღმწერლის წინამორბედებთან, მათ შორის იოანე მალალასთან დაკავშირებით, „ჯერჯერობით არ არის გამორკვეული თეოფანემ ისარგებლა ამ ნაშრომთი, თუ მათ ყველას საერთო წყარო ჰქონდათ" („გეორგიკა", IV[1], გვ. 73).
6. იოანე მალალა, გვ. 266.
7. პროკოპი კესარიელი, „გეორგიკა", II, გვ. 47, 48.
8. სეოსი რომ იგივე შიოში (ფალაური-სიავუში) უნდა იყოს, იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 283.
9. პროკოპი კესარიელი, 48.
10. იქვე, გვ. 73.
11. იქვე, გვ. 52.
12. თეოფანე ჟამთააღმწერელი, გვ. 79; იოანე მალალა, გვ. 267.
13. პასქალური ქრონიკა, „გეორგიკა", IV[1], გვ. 14.
14. თეოფანე ჟამთააღმწერელი, გვ. 79.
15. იოანე მალალა, გვ. 267.
16. გოილაძე ვ., ფირან გუშნასპის მარტვილობის ცნობათა მნიშვნელობა, გვ. 98; Hoffmann G., Auszüge aus syrischen Ak-

ten persischen Märtyrer. Abhandlungen für die Kunde des Morgenlandes. Leipzig, 1880, S. 78-79.

17. ჯავახიშვილი ი., ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, ტფ., 1935, გვ. 43.
18. თეოფანე ჟამთააღმწერელი, გვ. 80. შდ. „პასქალური ქრონიკა", გვ. 14-16, იოანე მალალა, გვ. 267, 268.
19. გოილაძე ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 98, Hoffmann G., დასახ. ნაშრომი, გვ. 80
20. იოანე მალალა, გვ. 268. ა. ქრისტენსენის მიხედვით კავადს სამი შვილი ჰყავდა, რომელთაგან უფროსს ერქვა ქაუსი, შემდგომს ზამი, ხოლო მესამეს - ხოსრო, შემდგომში შაჰი - ხოსრო ანუშირვანი (იხ. Christensen A., L' Iran sous les Sassanides, p.p. 353-354).
21. История Византии, т. I, М., 1967, стр. 327.
22. იხ. პროკოპი კესარიელი, გვ. 52, 185, 186.
23. იუსტინიანეს ნოველა XXXI, „გეორგიკა", II, გვ. 36.
24. Кулаковский Ю., История Византии, т. II, Киев, 1913, стр. 62-65.
25. კენდინარი ას დინარს ნიშნავს (იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია I, გვ. 285, შენ. 1.).
26. პროკოპი კესარიელი, გვ. 60, 61.
27. იქვე, გვ. 62.
28. Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 67.
29. პროკოპი კესარიელი, გვ. 62, 63.
30. იქვე, გვ. 146.
31. იქვე, გვ. 92-95.
32. აგათია „გეორგიკა", III, გვ. 29.
33. პროკოპი კესარიელი, გვ. 198.
34. იქვე, გვ. 136.
35. იქვე, გვ. 136, 137.
36. იხ. ჯანაშია ს., ფეოდალური რევოლუცია, გვ. 69.
37. პროკოპი კესარიელი, გვ. 73.
38. იქვე, გვ. 75.
39. იქვე, გვ. 74.
40. დღეს ჩვენს ისტორიოგრაფიაში გაბატონებული აზრით პეტრა დღევანდელი ციხისძირის ადგილას იყო გაშენებული, თუმცა ამ ბოლო ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ პეტრა მდებარეობდა დღევანდელ ხოფასთან თურქეთის

რესპუბლიკაში (იხ. გრიგოლია გ., ძველი კოლხეთის საქალაქო ცენტრების (პეტრა) ლოკალიზაციის საკითხები. სიგკ, VII, თბ., 1989).
41. პროკოპი კესარიელი, გვ. 74, 75.
42. იქვე, გვ. 77; შდ. იქვე, გვ. 69.
43. იქვე, გვ. 69.
44. Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 142.
45. პროკოპი კესარიელი, გვ. 76.
46. იქვე, გვ. 80-81.
47. იქვე, გვ. 82.
48. იქვე, გვ. 82, 83.
49. იქვე, გვ. 83, 87.
50. იხ. იქვე, გვ. 103.
51. იქვე, გვ. 55, შენ. 1.
52. იქვე, გვ. 137.
53. იქვე, გვ. 87; Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 142, 143.
54. გოილაძე ვ., ფირან გუშნასპის მარტვილობის ცნობათა მნიშვნელობა, გვ. 99. ტექსტში გაპარულია კორექტურული შეცდომა, წერია „ჰეგარზთა" ჰეგართას მაგივრად (იხ. Hoffmann G., Auszüge, S. 82).
55. პროკოპი კესარიელი, გვ. 92.
56. იქვე, გვ. 91.
57. იქვე, გვ. 95.
58. იქვე, გვ. 97, შდ. იქვე, გვ. 92.
59. იქვე, გვ. 92.
60. იქვე, გვ. 115.
61. იქვე, გვ. 117.
62. იქვე.
63. იქვე, გვ. 118, 119, 146-154.
64. იხ. „გეორგიკა", II, გვ. 37.
65. იხ. ლეთოდიანი დ., აფხაზების (აბაზგების) გაქრისტიანების დათარიღებისათვის, „მაცნე", ისტორიის... სერია, №4, 1989, გვ. 47, 48; მისივე, აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან), IV-VIII სს-ში, თბ., 1991, გვ. 99, 100. ავტორი სწორია, როდესაც ამ მოვლენას (აფხაზთა გაქრისტიანებას) 535-548 წლებს შორის დებს, მაგრამ მისი აზრით, ეს უფრო

მოსალოდნელია განხორციელებულიყო 40-იან წლებში, რადგან თითქოს ბიზანტიის ხელისუფლებას სწორედ ეგრისში სპარსელთა წინააღმდეგ გაჩაღებული ომის დროს, სავარაუდოა, „თავისი დიდმპყრობელური პოლიტიკა უფრო გაეაქტიურებინა თავისი ხელისუფლების განმტკიცებისათვის" აფხაზთა ტერიტორიაზე (იხ. „მაცნე", გვ. 47, 48). არა გვგონია ბიზანტიისთვის ხელსაყრელი ყოფილიყო დასავლეთ საქართველოში ისედაც გართულებული პოლიტიკური ვითარების კიდევ უფრო გართულება. განა სწორედ იმიტომ არ აჯანყდნენ აფხაზები 550 წელს, რომ იქ მყოფი რომაელი ჯარისკაცები წინდაუხედავად იქცეოდნენ და „უნდოდათ ეს ქვეყანა დაემორჩილებინათ რომაელთა ძალაუფლებისათვის და მათ ახალ-ახალ რაღაც წესებს უმყარებდნენ"? (იხ. ზემოთ ტექსტში). რელიგიის შეცვლა განა უფრო მტკივნეული პროცესი არ უნდა ყოფილიყო? ამიტომ, ვფიქრობთ, აფხაზთა ქრისტიანობაზე მოქცევა სწორედ ეგრისში დიდი ომის დაწყებამდე უნდა მომხდარიყო ანუ 535-541 წლებს შორის. უნდა ითქვას, რომ პროკოპი კესარიელის ცნობა იუსტინიანეს როლის შესახებ აფხაზთა გაქრისტიანების საქმეში შესაძლებელია კეისრის განდიდების მიზნით იყოს გაპირობებული და მათი გაქრისტიანების პროცესის დასასრულს მიუთითებდეს. ჩვენ ვიცით, რომ ბიჭვინტის ეპისკოპოსი სტრატოფილე 325 წელს ნიკეის კრებას ესწრებოდა. ეს და ბიჭვინტის არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი შესანიშნავი ადრექრისტიანული ტაძრები (ლიტერატურა იხ. ლეთოდიანი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 48, 49) ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით აფხაზეთის მოსახლეობის ქრისტიანიზაციისათვის, მაგრამ ჩვენი აზრით, არსებითად მაინც მხოლოდ ბიჭვინტის გარშემო მყოფი მოსახლეობის ქრისტიანობას მოწმობს. თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, მთელი დასავლეთი საქართველოს მთავარი ქრისტიანული ცენტრი უკვე იმ დროს, როგორც ნ. ფირჩხაძე ფიქრობს, მართლაც, ბიჭვინტაში ყოფილიყო, სადაც მას რომაული გარნიზონი იცავდა (იხ. ფირჩხაძე ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 37, 38).

66. იუსტინიანეს მიერ აგებული ტაძრის იდენტიფიკაციაზე სხვადასხვაგვარი აზრი, იხ. ლეთოდიანი დ., აფხაზეთის,

აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება, გვ. 95.
67. პროკოპი კესარიელი, გვ. 135.
68. იქვე, გვ. 157.
69. იოანე ზონარა, „გეორგიკა"; VI, თბ., 1966, გვ. 230. მართალია, ბიზანტიელი ისტორიკოსის ამ ცნობიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს VI ს-ის 30-იანი წლებიდან დანყებული აბაზგიას ბიზანტიელ კეისართა დანიშნული არქონტები მართავდნენ, მაგრამ ეს არ შეეფერება სინამდვილეს, რადგან პროკოპი კესარიელის გადმოცემით, 550 ნელს აბაზგებს თავიანთი მთავრები ჰყავთ. ამიტომ იოანე ზონარას ეს გლოსა ჩვენ პროკოპის ზემოხსენებული ტექსტის განმარტება გვგონია.
70. პროკოპი კესარიელი, იქვე.
71. იქვე, გვ. 156.
72. იქვე, გვ. 158-161.
73. იქვე, გვ. 165-180.
74. იქვე, გვ. 182, 186.
75. იქვე, გვ. 182, 183. აქ, როგორც ჩანს, საუბარია ლაზიკაში სალაშქრო გზის გაყვანის იმ ღონისძიებებზე, რომელიც 541 ნელს ხოსრო ანუშირვანის ლაშქრობის დროს იქნა ჩატარებული (იხ. ზემოთ). ეს კი მოწმობს, რომ როგორც ამჟამად, 551 ნელს, ისე ათი წლის წინათაც სპარსელებს ლაზიკაში ლიხის მთის გადავლით ულაშქრიათ, ხოლო მერმეროეს პირველი ლაშქრობა პეტრასკენ (548/9 წწ.) სხვა მარშრუტით მიემართებოდა.
76. იქვე, გვ. 183, 187; Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 194, 195.
77 იქვე, გვ. 188-194.
78. იქვე, გვ. 196, 197. უქიმერიონის ზუსტი ადგილმდებარეობის გარკვევა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.
79. იქვე, გვ. 200-202.
80. იქვე, გვ. 203, 204.
81. იქვე, გვ. 201, 204, 205.
82. ტელეფისს დღევანდელ სოფ. ტალებთან აიგივებენ სამტრედიის რაიონში, სადაც, მართლაც, არის ციხესიმაგრის ნანგრევები, იხ. „გეორგიკა", III, გვ. 311-316.
83. აგათია, „გეორგიკა", III, გვ. 36, 37.

84. იხ. ზაქარაია პ., კაპანაძე თ., ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, თბ., 1991, გვ. 129.
85. აგათია, გვ. 40.
86. იქვე, გვ. 41, 42.
87. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 295.
88. აგათია, გვ. 46-50.
89. იქვე, გვ. 50, 51.
90. იქვე, გვ. 52-62.
91. იქვე, გვ. 63.
92. იქვე, გვ. 83-90.
93. იქვე, გვ. 156-174.
94. იხ. „გეორგიკა", III, გვ. 124, შენ. 1.
95. იქვე, გვ. 98-124, 179.
96. იქვე, გვ. 125-153.
97. იქვე, გვ. 180.
98. იქვე, გვ. 180, 181.
99. მენანდრე პროტიქტორი, „გეორგიკა", III, გვ. 214.
100. იქვე, გვ. 215. თარიღისათვის: 562 წელს ხოსრო ანუშირვანი ამბობს: „დღეს ათმა წელმა გავლო მის შემდეგ, რაც მე სვანეთი დავიპყარი" (იქვე, გვ. 223 და 215, შენ. 2).
101. მენანდრე, გვ. 227.
102. იქვე, გვ. 218. სვანეთის დავასთან დაკავშირებით იხ. გოზალიშვილი გ., დავა სვანეთის გამო ბიზანტიასა და ირანს შორის, თუშ, III, 1936.
103. იქვე, გვ. 228, 229. ელჩობის თარიღისათვის იხ. ყაუხჩიშვილი ს., ბერაძე ირ., სვანეთის ხელმეორე აღება ბიზანტიელების მიერ. თუშ, ტ. VII, თბ., 1938, გვ. 94.
104. Пигулевская Н. В. Византийская дипломатия и торговля шелком в V-VII вв. ВВ, I, 1947; გოილაძე ვ., აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა და საქართველო, თბ., 1997, გვ. 14-27.
105. მენანდრე, გვ. 234.
106. გოილაძე ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 29.
107. ეს უნდა იყოს თეოფანე ჟამთააღმწერლის „კუფისად ნოდებული მდინარე", რომელიც „ჩადის შავი ზღვის ბოლოში" (იხ. „გეორგიკა" IV, გვ. 103).
108. მენანდრე, გვ. 236.
109. სვანები ბალყარელებს თუ ყარაჩაელებს დღესაც „ალანს" უწოდებენ.

110. მენანდრე, გვ. 236, 237.
111. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 15 და რუკა I; მისივე, ფეოდალური ხანის საქართველოს და ამიერკავკასიის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში (IV-XIII სს.). ჟურნალი: „ცისკარი", №11, 1970, გვ. 133, 134.
112. იხ. Пигулевская Н. В. დასახ. ნაშრომი, გვ. 210. „მისიმიანთა გზა" უნდა ყოფილიყო ქლუხორის ზეკარით იმიერკავკასიიდან კოდორის ხეობაში მომავალი გზა, ხოლო „დარინის გზა" - მარუხის ზეკარზე. იხ. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, გვ. 120; ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 126; З. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, Тб., 1959, стр. 12, 13; ზემოხსენებულ სავაჭრო გზებთან დაკავშირებით და, კერძოდ, სვანეთის მნიშვნელობაზე ამ თვალსაზრისით იხ. ს. ყაუხჩიშვილის კომენტარები („გეორგიკა", III, გვ. 203-208).
113. МКА, I, 44; II, 16; III, 23, 31, 32.
114. Иерусалимская А. А. "Великий шелковой путь" и Северный Кавказ, Л., 1972; გოილაძე ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 34, 35.
115. ყაუხჩიშვილი ს., ბერაძე ირ., სვანეთის ხელმეორე აღება ბიზანტიელების მიერ, გვ. 96.
116. იქვე, გვ. 95.
117. თეოფილაქტე სიმოკატა, „გეორგიკა", IV[1], გვ. 21-23.
118. თეოფანე ჟამთააღმწერელი, „გეორგიკა", IV[1], გვ. 88.
119. იხ. Гумилев Л. Н., Бахрам Чубин (опыт критики источников). Сборник: "Проблемы востоковедния", М., 1960, №3, стр. 229.
120. პროკოპი კესარიელი, გვ. 201.
121. თეოფილაქტე სიმოკატა, გვ. 20.
122. იქვე, გვ. 23. ს. ჯანაშიას აზრით, „ეგრისში მეფობის მოსპობა უნდა მომხდარიყო VI ს. დამლევს ან VII ს. ოცდაათიან წლებში, ჰერაკლე კეისრის ლაშქრობათა შემდეგ და შედეგად" (იხ. მისი, ფეოდალური რევოლუცია, გვ. 89); ნ. ლომოურის მიხედვითაც: „VI ს-ის ბოლოსთვის დღის წესრიგში ეგრისის სამეფოს ფორმალური დამოუკიდებლობის ლიკვიდაციაც დგება, ბიზანტია ამ აქტს VII საუკუნის 30-იანი

წლებისთვის, საფიქრებელია, იმპერატორ ირაკლის დროს ახორციელებს კიდეც" (იხ. მისი, „დიდი ომიანობა" ეგრისში VI საუკუნეში და მისი პოლიტიკურ-დიპლომატიური ასპექტები. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1998, გვ. 127). თუ კორექტურული შეცდომა არ არის, ნ. ასათიანი რატომღაც ეგრისში მეფობის გაუქმებას VII ს-ის ბოლოთი ათარიღებს, როდესაც „ქვეყნის მმართველი უკვე პატრიკიოზის ბიზანტიურ ტიტულს ატარებს" (იხ. მისი, საქართველოს ისტორია, გვ. 105). ჩვენ ვნახავთ, რომ პატრიკიოსის ტიტულს ეგრისის მმართველი უკვე VII ს-ის 60-იან წლებში ატარებდა.

თავი IV. საქართველო VII ს-ის პირველ ნახევარში

602 წელს ბიზანტიაში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, მოკლეს იმპერატორი მავრიკი და ტახტზე ავიდა უზურპატორი ფოკა, დუნაის არმიის ცენტურიონი. მისი მეფობა, რომელიც ცოტა ხანს გაგრძელდა (602–610 წწ.), სისხლიანი ტერორითა და შეთქმულებებით ხასიათდებოდა. სპარსეთის შაჰმა, ხოსრო ფარვიზმა, რომელიც მავრიკი კეისრის სიძე იყო და რომელიც თავისი სიმამრის იმპერატორობის ბოლო წლებში ისედაც ემზადებოდა რევანშისათვის, ბუნებრივია, ეს შემთხვევა საბაბად გამოიყენა და ვითომ უზურპატორისადმი შურისძიების გამო, 603 წლის ბოლოს ომი გამოუცხადა ბიზანტიას. 604 წ. აიღო ქ. დარა მესოპოტამიაში, 607 წ. – ქ. თეოდოსიოპოლი (დღ. არზრუმი). 609 წლისთვის უკვე მთელი მესოპოტამია სპარსეთმა უკან დაიბრუნა. 610 წელს სპარსელებმა მდ. ევფრატი გადალახეს, აიღეს ანტიოქია და რამდენიმე წლის განმავლობაში დაიპყრეს მთელი სირია, ფინიკია, სომხეთი, კაპადოკია და პალესტინა. 614 წელს ირანის ჯარმა იერუსალიმი აიღო, საიდანაც შაჰის ბრძანებით სხვა მდიდრულ ნაძარცვთან ერთად, წამოღებულ იქნა „ძელი ცხოვრებისა" ანუ ჯვარი, რომელზედაც ქრისტე ანამეს. ეს ხოსრო ფარვიზს სჭირდებოდა, როგორც ქრისტიანულ სამყაროზე ბატონობის სიმბოლო. 615 წელს ირანის ჯარმა დროებით ქალკედონიც კი დაიჭირა, ხოლო 618 წელს ეგვიპტე დაიმორჩილა. ტერიტორიული ექსპანსიის თვალსაზრისით, აქემენიდური ეპოქის შემდეგ, ირანს თავისი სახელმწიფო საზღვრები ასე ფართოდ არასდროს განუვრცია[1].

ცხადია, სპარსეთის შაჰს ქართლის ის ნაწილიც უნდა დაებრუნებინა, რომელიც 591 წელს ბიზანტიას გადასცეს[2]. ზუსტად რომელ წელს მოხდა ეს, ძნელი სათქმელია, მაგრამ VII ს-ის დასაწყისში რომ ეს უკვე მომხდარი ფაქტია, ამას კირიონ ქართლისა და აბრამ სომხეთის კათალიკოსების მიმოწერა ადასტურებს[3].

სომეხ-ქართველთა ამ მიმოწერიდან ფრიად საინტერესო ვითარება იკვეთება. ჯერ ერთი ის, რომ როგორც ირკვევა, დაახლოებით 604 წლისთვის ქართლის ერისმთავარი უკვე სტეფანოზი კი არ არის, არამედ – ატრნერსე//ადარნასე, რო-

მელიც მანამდე თითქოს კახეთის ერისთავი უნდა ყოფილიყო[4]. საინტერესო აქ ის არის, რომ ამ დროს და ამის შემდეგაც (იხ. ქვემოთ) სტეფანოზი ჯერ კიდევ ცოცხალია. მაშასადამე, ადარნასეს მიერ ქართლის ერისმთავრის ტახტის დაჭერა რაღაც პოლიტიკური ძალდატანების შედეგი უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, ამ აქციაში ბიზანტიის სამეფო კარის ხელი ერია.

„ქართლის ცხოვრების" მიხედვით, სტეფანოზ პატრიკიოსი, რომელმაც როგორც ვიცით, კარგად გამოიყენა VI ს–ის ბოლო ათეული წლის საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება და ფაქტობრივ დამოუკიდებლობას მიაღწია, VII ს–ის დასაწყისში, როდესაც „იქმნა შფოთი დიდი საბერძნეთს, რამეთუ მავრიკ კეისარსა განუდგა ფოკას მწედარი, და მოკლა მავრიკ კეისარი და შვილნი მისნი. და დაიპყრა საბერძნეთი ფოკას მწედარმან. მაშინ სიძემან კეისრისამან, სპარსთა მეფემან ქასრემ (ხოსრო ფარვიზმა, დ. მ.) იწყო ძებნად სისხლსა სიმამრისა და ცოლის ძმათა მისთასა, შესლვად და ტყუენვად საბერძნეთისა. განძლიერდა ბერძენთა ზედა, და ვერ წინააღუდგა ფოკას კეისარი. ხოლო სტეფანოზ მთავარი ქართლისა შეუშინდა მეფესა სპარსთასა, განუდგა ბერძენთა და მიექცა სპარსთა"[5]. სტეფანოზ პატრიკიოსის „მიქცევა", ამდენად, უნდა მომხდარიყო 602–604 წლებს შუა, ალბათ 603 წელს, როდესაც ხოსრო ფარვიზი უკვე აშკარა აგრესიულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა ფოკას მიმართ, რაც იმავე წლის დეკემბერში სპარსელების რომაელთა წინააღმდეგ ლაშქრობით და, ფაქტობრივად, ომის დაწყებით გამოიხატა[3]. პოლიტიკური ვითარების რადიკალურად შეცვლა არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა სტეფანოზს, რომელიც ამიტომ თავის და თავისი ქვეყნის გადარჩენის მიზნით „მიექცა სპარსთა". მაგრამ ირანელთა რეალური ბატონობა ქართლზე ამ დროს ჯერ კიდევ არ არის საფიქრებელი[7] ამდენად, სავარაუდოა, რომ ფოკამ შესძლო ქართლის საქმეებში ჩარევა და თავისი კრეატურის დასმა აქ საერისმთავრო ტახტზე, მით უმეტეს, თუ სტეფანოზი, როგორც ფიქრობენ, მონოფიზიტური მრწამსისა იყო[8]. იმპერატორი ფოკა კი აღმოსავლეთის მონოფიზიტების წინააღმდეგ ფრიად რადიკალურ ზომებს ხმარობდა[9].

რაც შეეხება ხოსრო ფარვიზს, მიუხედავად ბიზანტიასთან ომისა, რელიგიის თვალსაზრისით 616 წლამდე იგი ტო-

ლერანტულ პოლიტიკას ეწეოდა ქრისტიანების მიმართ[10]. სწორედ ამით იყო მნიშვნელოვანნილად გაპირობებული ქართლის ეკლესიის მეთაურის წარმატება სომხურ ეკლესიასთან ბრძოლაში, რასაც, როგორც ვიცით, სომეხ–ქართველთა საეკლესიო განხეთქილება მოჰყვა შედეგად (იხ. ზემოთ). ამას ადგილი ჰქონდა 607–609 წლებში, კირიონის კათალიკოსობისა და ადარნასეს ერისმთავრობის დროს.

მაგრამ იერუსალიმის წარტყვევნისა და „ძელი ცხოვრების" ქტეზიფონში, ირანის სატახტო ქალაქში, გადმოსვენების შემდეგ შაჰის რელიგიური პოლიტიკა მკვეთრად შეიცვალა. 616 წელს ხოსრო ფარვიზმა სამეფო კარზე მოიწვია თავის სახელმწიფოში მყოფ ეპისკოპოსთა კრება, რომელზედაც დადგენილ იქნა, რომ შაჰის ქვეშევრდომმა ყველა ქრისტიანმა სომხური სარწმუნოება ანუ მონოფიზიტური მრწამსი უნდა აღიაროს წინააღმდეგ შემთხვევაში ურჩნი განდევნილნი უნდა ყოფილიყვნენ. როგორც ერთი წყარო გადმოგვცემს: „და დაიპყრა ხუასრო მეფემან სომხითი და აბრაამცა კათალიკოზად დაიდგინა და აიძულა შეჩუენებად კრება ხალკიდონისა ანუ ნარსვლა მუნით"[12].

ეს უკვე ის დროა, როდესაც დიდების ზენიტს მიღწეული ხოსრო ფარვიზი მტკიცედ დაეუფლა ქართლს. ასეთ ვითარებაში ბიზანტიის ორიენტაციის მქონე ადარნასე ქართლის ერისმთავარს და კირიონ ქართლის კათალიკოზსაც აღარ დაედგომებოდათ და, როგორც ვარაუდობენ, მართლაც, უნდა დაეტოვებინათ ქართლი[13], ხოლო ერისმთავრის ტახტი კვლავ სტეფანოზს უნდა დაეკავებინა[14].

საქმე ის არის, რომ ქართული წყაროები, რომელთაც ეს ზემოაღნიშნული პერიპეტიები სრულიად არ იციან და ერთმანეთსაც არ ეთანხმებიან VII ს–ის ამბების გადმოცემისას, ქართლში ამ დროისათვის, 20–იან წლებში ჰერაკლე კეისრის აქ ლაშქრობის ჩათვლით, მხოლოდ ერთ ერისმთავარს, ზემოხსენებულ სტეფანოზს ასახელებენ. მაგრამ აშკარაა, რომ მათი ცნობები ნაკლულია: თუნდაც ის რად ღირს, რომ არც ერთი ქართული მატიანე თუ ქრონიკა არ აღნიშნავს ისეთი დიდი მნიშვნელობის ფაქტს VII ს–ის პირველი წლებისას, როგორიცაა სომეხ–ქართველთა საეკლესიო განხეთქილება; არც მისი ინიციატორი და სულისჩამდგმელი კირიონ კათალიკოსია მათთვის ამ დროს ცნობილი და არც ამ უკანასკნელის თანა-

მედროვე ადარნასე ქართლის ერისმთავარი[15], რომელთა რეალურობაც აბსოლუტური უეჭველობით დასტურდება თანადროული სომხური წყაროებით. ჩვენთვის ამჟამად მნიშვნელობა არა აქვს თუ რა მიზეზით არის ეს გამონაგეული[16], მაგრამ ხარვეზი ქართული წყაროებისა ფაქტია და ეს რომ შემთხვევითი არ არის, თითქოს ამ უკანასკნელთა კონტექსტითაც ჩანს.

ასე მაგალითად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ", როდესაც გუარამ დიდის „ერისთავად განჩინებაზე" მოგვითხრობს, აღნიშნავს, რომ მის დროს „კათალიკოზი იყო ბართლომე. და მისა (გუარამის, დ. მ.) შემდგომად ერისთვობდა სტეფანოზ ძჱ მისი, ძმაჲ დემეტრესი, და იქმოდა ეკლესიასა ჯუარისასა"[17]. ეს ეხება VI ს–ის ბოლო ათეულს და VII ს–ის სულ პირველ წლებს (სტეფანოზი 604 წ–მდე მთავრობს). ამის შემდეგ მოთხრობილია ჰერაკლე კეისრის ლაშქრობის შესახებ ქართლში, შემდეგ სპარსეთში და, ბოლოს, იმპერატორის მეორედ შემოსვლაზე ქართლში (628 წ.) და აქედან მის ბიზანტიაში გამგზავრებაზე. დასასრულ მემატიანე აღნიშნავს: „და ერისთვობდა იგივე დიდი სტეფანოზ და კათალიკოზი იყო ბართლომე მეორედ"[18]. როგორც ვხედავთ, საკმაოდ უცნაური წინადადებაა: რისთვის დასჭირდა მემატიანეს ხაზის გასმა, რომ ამ დროსაც „იგივე" დიდი სტეფანოზი მთავრობდა, ანდა რას ნიშნავს ბართლომეს „მეორედ" კათალიკოსობა? სავარაუდოა, მართლაც, რომ ავტორი აქ რაღაცას ჩქმალავს და ბართლომეს მეორედ კათალიკოსობამდე სხვა კათალიკოსი იყო ქართლში, კერძოდ, კირიონი, რასაც, როგორც ვიცით, სომხური წყაროები ადასტურებენ[19]. გარდა ამისა, სტეფანოზი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ დროისთვის ცოცხალიც აღარ არის.

სტეფანოზ ერისმთავართან დაკავშირებით ქართულ წყაროში ზემოხსენებული თვალსაზრისით თითქოს კიდევ ერთი საინტერესო გარემოება მჟღავნდება. „ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს, რომ გუარამ კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ „დაჯდა ძე მისი სტეფანოზ. მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა – მთავრად ხადოდეს"[20]. როგორც ვიცით, მისი ერისმთავრობის ბოლო წლებში (603/4 წწ.) სპარსეთის შაჰმა ხოსრო ფარვიზმა ომი გამოუცხადა ბიზანტიას, დაიპყრო მისი აღმოსავლური პროვინციები, 614 წელს „მას ჟამსა მანვე მეფემან ქას-

რე წარმოტყუენა იერუსალიმი და წარიყვანა ძელი ცხოვრებისა... და სტეფანოზ მთავრობდა ყოველსა ქართლსა ზედა, და დაჯდა იგი ტფილისს, და ჰმორჩილებდა იგი სპარსთა"[21]. ყურადღებას მივაქცევთ ბოლო ფრაზას: რამდენადაც ჯუანშერის მიხედვით (VI ს–ის 90–იანი წლების დასაწყისში) სტეფანოზი უკვე იჯდა ქართლის ერისთავთა – მთავრად (ალბათ, მცხეთაში), რასაც მისი მონეტები უცილობლად ადასტურებენ; რადგან 604 წლიდან, ასევე ყოველ ეჭვს გარეშე, ადარნასეა „მთავარი" (Իշխան)[22] „ყოველი ქართლისა" (ամենայն Վիրս), რაც სხვათა შორის მოწმობს, რომ ამ დროს ქართლი აღარ არის დანაწილებული ორად, როგორც ეს იყო 591 წ–დან, ამიტომ ცხადი უნდა იყოს, რომ ისტორიკოსის გამოთქმა – „სტეფანოზ მთავრობდა ყოველსა ქართლსა ზედა და დაჯდა იგი ტფილისს, და ჰმორჩილებდა იგი სპარსთა" – იმის დასტურია, რომ აქ სტეფანოზის მეორედ, უკვე „ყოველ ქართლში" ტახტით თბილისში მთავრობაზეა საუბარი 616 წლის შემდეგ. სტეფანოზს კი ექსორიაქმნილი კირიონის მაგივრად კვლავ ბართლომე მოუყვანია კათალიკოსად. ასე რომ, არ არის გამორიცხული „მოქცევაჲს" ქრონიკის ცნობის – „და ერისთვობდა იგივე დიდი სტეფანოზ და კათალიკოზი იყო ბართლომე მეორედ" – ეს „მეორედ" არა მხოლოდ ბართლომეს, არამედ „დიდ სტეფანოზსაც" შეეხებოდეს. მაშინ უფრო გასაგები გახდება თუ რატომ უსვამს ხაზს მემატიანე „იგივე დიდი სტეფანოზ" ერისთვობდაო.

სტეფანოზის მეორედ მმართველობის პერიოდში ქართლი ბიზანტია–ირანის საომარი დაპირისპირების უშუალო სარბიელი გახდა.

საქმე ის არის, რომ 610 წელს ბიზანტიაში კიდევ ერთი სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, მოკლეს იმპერატორი ფოკა და ტახტზე ავიდა აფრიკის ეგზარხოსის შვილი ჰერაკლე, ახალგაზრდა ნიჭიერი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე. ფოკას სისხლიანი მმართველობის შედეგად იმპერია სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა: დაკარგული ტერიტორიები, მოშლილი ეკონომიკა და ფინანსები, დეზორგანიზებული და დემორალიზებული ლაშქარი, საერთო ანარქია... აღმოსავლეთიდან თუ სპარსელები უტევდნენ, დასავლეთიდან – ავართა ხანი, რომლის ქვეშევრდომი სლავური ტომები ინტენსიურად სახლდებოდნენ კონსტანტინოპოლის მახლობელ

ბალკანურ მხარეებში[24]. სპარსელებთან გადამწყვეტი ომის დაწყებამდე საჭირო იყო შინაგანი ვითარების სტაბილიზაცია და დასავლეთიდან მომდგარი საფრთხის ნეიტრალიზაცია. 619 წ. ჰერაკლე კეისარმა მოახერხა ზავის დადება ავართა ხანთან, რის შედეგად შესძლო აგრეთვე თრაკიის ჯარის ნაწილის აღმოსავლეთში გადასროლა[25]. ეს მოხდა 621 წელს[26]. ერთი წლის შემდეგ კი თვით ჰერაკლე კეისარი გადადის მცირე აზიაში, ნიკომედიასთან (ნავსადგურ პილაში), სადაც ლაშქრის ორგანიზაციას ანდომებს მთელს ზაფხულს. ზამთარს ატარებს პონტოში და 623 წლის აპრილში სომხეთზე გავლით (არზრუმი – ყარსი – შირაკი – დვინი) იჭრება სპარსეთის ტერიტორიაზე, ადარბადაგანში ანუ სპარსეთის აზერბაიჯანში (დვინი – ნახჭევანი – ხოი – განძაკი)[27].

საკამათოა ის საწყისი ბაზა, საიდანაც განახორციელა თავისი პირველი ლაშქრობა სპარსეთში ჰერაკლე კეისარმა. IX ს–ის ბიზანტიელი ჟამთააღმწერელი თეოფანე ასეთად პონტოს ტერიტორიას თვლის ანუ შავი ზღვის სამხრეთ–აღმოსავლეთ სანაპიროს[28] ამასვე გულისხმობს, როგორც ჩანს, ერთი ქართული ხელნაწერი, რომელიც სხვადასხვა ბიზანტიური წყაროებიდან ამონაკრებ ცნობათა კომპილაციას წარმოადგენს, დათარიღებულია 1042 წლით და ცნობილ გიორგი მთაწმინდელს მიეწერება. ამ კომპილაციაში, რომელსაც ეწოდება „თხრობაჲ დიდებული და საკჳრველი ძუელთა მათ ნიგნთაგან საუნყებელთა“[29], ვკითხულობთ, რომ ჰერაკლე კეისარმა „შემოიკრიბა მან ყოველივე მჴედრობაჲ საბერძნეთისაჲ რომელიცაღა სადა დაშთომილ იყო და ვინაჲცა (ვისაც) ოდენ აქუნდა ღონჱ ლაშქრობისაჲ ყოველგანითვე მოუწოდა და ყოველნივე ერთბაშად შეიკრიბნა კერძოთა ევქსო ფონტოჲსათა, რომელ არს ზღუაჲ პონტოჲსა და ყოვლითა სამეუფოჲთა თჳსითა წარემართა სპარსთა ზედა ზღჳთ უგრძნ(ე)ულად და ყოვლითურთ უცნაურად მათგან და ზეგარდმოჲსა ძალისა შეწევნითა შეჳიდა სპარსეთად... ვინაჲცა (სადაც) გამარჯუებითა საღუთოჲთა საცნაურ იქმნა იგი... რამეთუ ექუსისა წლისა ჟამთა ილაშქრა სპარსთა ზედა, დაამჴუნა იგინი და დაიმორჩილნა... მეშჳდეს წელსა აღიღო საუფლოჲ ძელი მიერ, იჩრუსალიმით წარმოვლო და ბიზანტიად ძლევა შემოსილი მოიწია“[30]. ცხადია, რამდენადაც ჰერაკლემ სპარსეთში ლაშქრობებს მართლაც, ექვსი წელი მოანდომა, ხოლო „მეშვიდესა წელსა“

ანუ 630 წელს „ძელი ცხოვრებისა“ კვლავ იერუსალიმს დაუბრუნა[31], ზემოხსენებული თხრობის დასაწყისი, რომ კეისარმა ლაშქრობა დაიწყო „კერძოთა ევქსო ფონტოჲსათა, რომელ არს ზღუაჲ პონტოჲსა“, საიდანაც იგი „წარემართა სპარსთა ზედა ზღვით უგრძნეულად“, სწორედ მის პირველ ლაშქრობას გულისხმობს, ხოლოს საწყის ბაზად სამხრეთ–აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს.

როგორც ვხედავთ, თეოფანე ჟამთააღმწერლისა და ქართული კომპილაციის ცნობები ჰერაკლე კეისრის პირველი ლაშქრობის საწყისი პლაცდარმის შესახებ ერთმანეთს ემთხვევა. კიდევ უფრო აზუსტებს ვითარებას VII ს–ის სომეხი ისტორიკოსი, მოვსეს კალანკატუაცი, რომელიც მის მიერ გადმოცემული ამბების თანამედროვე უნდა ყოფილიყო. იგი აღნიშნავს, რომ ლაშქრობის დაწყების წინ იმპერატორმა საკუთარი შვილი კონსტანტინოპოლის ტახტზე დასვა, „თვითონ კი წავიდა საზღვაო გზით და გეზი აიღო ეგერთა (მეგრელთა, დ. მ.) ქვეყნისაკენ. (შემდეგ) მივიდა სომხეთში, გადავიდა მდ. ერასხზე“ (არაქსზე)[32].

დასასრულ, შესაძლებელია ჰერაკლეს პირველ ლაშქრობას გულისხმობდეს X ს–ის ალექსანდრიელი პატრიარქი ევტიხი, როდესაც წერს, რომ კეისარი ზღვით მივიდა ლაზიკის ტრაპეზუნტში, იქ შეუდგა ლაშქრის შეგროვებას და იქიდანვე შეიჭრა სომხეთში[33], ალბათ, სომეხი ისტორიკოსის, ამ ამბების მომსწრე სებეოსის მიერ მითითებული მარშრუტით (კაპადოკიის კესარია – კარინი (არზრუმი) – აირარატის დვინი – ნახჭევანი და აქედან უკვე სპარსეთში – განძაკი)[34].

წინააღმდეგობა ევტიხი ალექსანდრიელისა და თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობებში მოჩვენებითია. ლაზიკეშიო ევტიხი რომ აღნიშნავს, იგი თავის თანამედროვე, X ს–ის ვითარებას გულისხმობს, რადგან ტრაპეზუნტი ლაზიკის ეპარქიის ცენტრად სწორედ X ს–ის დასაწყისიდან ხდება, რაც კარგად მტკიცდება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიტროპოლიტთა, არქიეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთა ნუსხებიდან ანუ ე. ნ. „ეკთეზისებიდან“[35]. მანამდე კი, მაინცდამაინც IX ს–ში ტრაპეზუნტი პოლემონის პონტოს ექვემდებარებოდა[36] და ამდენადვე პონტოს ქალაქად ითვლებოდა. მაშასადამე, როდესაც თეოფანე ჟამთააღმწერელი და ქართველი კომპილატორი ჰერაკლესთან დაკავშირებით, მისი პირველი ლაშქრობის

პლაცდარმად პონტოს ასახელებენ, არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ზოგად მითითებასთან გვაქვს საქმე, თორემ კეისარი ნიკომედიიდან (კერძოდ, ნავსადგურ პილადან) ზღვით ნამოსული ლაშქრითურთ მაინცდამაინც ტრაპეზუნტში მოსულა (ევტიხი).

აქედან იმპერატორი, ჩანს, კავშირს ამყარებს ეგრისის ხელისუფლებასთან, კერძოდ, ფაზისის მიტროპოლიტ კიროსთან და თითქოს ფაზისშიც კი ჩადის. შესაძლებელია, ამის მოწმობა იყოს, ჯერ ერთი, მოვსეს კალანკატუაცის ზემოხსენებული ჩვენება[37] შემდეგ, გვაქვს კონკრეტული მითითება, რომ ბიზანტიის იმპერატორი შეხვდა და ესაუბრა ეგრისის არქიეპისკოპოსს: ეს არის თვით კიროს ფაზისელის წერილი კონსტანტინოპოლის პატრიარქ სერგისადმი, დაწერილი 625 წ–ის დასაწყისში, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ მას ჰქონია საუბარი ჰერაკლესთან ქრისტოლოგიურ საკითხებზე[38]. რამდენადაც როგორც ვიცით, ჰერაკლე კეისარმა თავისი პირველი ლაშქრობა 623 წლის აპრილში დაიწყო და 625 წლის ბოლომდე პონტოში აღარ მობრუნებულა, ცხადია, კიროსს მასთან საუბარი 623 წლის აპრილამდე უნდა ჰქონოდა[39]. და თუ ეს შეხვედრა, მართლაც, ფაზისში მოხდა, როგორც ეს თითქოს სერგი კონსტანტინოპოლელის რომის პაპისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს[40], მაშინ სწორი ყოფილა მოვსეს კალანკატუაცი, როდესაც ჰერაკლეს ეგრისში ჩასვლაზე მოგვითხრობს.

ბუნებრივია თუ ვიფიქრებთ, რომ სპარსეთში შესაჭრელად გამზადებული ჰერაკლე კეისარი, რომელიც ტრაპეზუნტში მოსული, აქაც შეუდგა თავისი ლაშქრის შევსებას (ევტიხი), ფაზისის მიტროპოლიტთან, ქრისტოლოგიურ საკითხებთან ერთად, რომელიც მას პოლიტიკური მიზნებისათვის სჭირდებოდა (ბიზანტიური მართლმადიდებლობის და აღმოსავლური ქრიტიანული სექტების უნია, სპარსეთის იმპერიასთან საერთო ძალით დასაპირისპირებლად), ადგილობრივი მოსახლეობიდან მოკავშირე ძალების გამოყვანის შესაძლებლობებზეც ექნებოდა საუბარი, მით უმეტეს, რომ ეგრისში იმ დროს სხვა მმართველი თითქოს არ ჩანს[41]. და, მართლაც, ამის შედეგი უნდა იყოს ის, რომ იმავე 623 წელს თუ 624 წლის გაზაფხულზე ალვანეთში მდგარ ჰერაკლე კეისრის ლაშქარს შეუერთდნენ „მოკავშირეები ლაზთაგან, აბაზგთაგან და იბერიელთაგან“[42].

624–625 წლების საომარი ასპარეზი სამხრეთი სომხეთის ტერიტორიაა და მიუხედავად ჰერაკლე კეისრის ზოგიერთი ნარმატებისა, მან, ფაქტობრივად, ხელმეორედ დაკარგა წინა წლებში შემოერთებული ტერიტორიები. ჰერაკლე უკან იხევს, 625–626 წლების ზამთარს თავისი არმიით კვლავ პონტოში აფარებს თავს და ლაშქრის ხელმეორე შევსება–დაკომპლექტებას იწყებს[43].

ხოსრო ფარვიზმა, რომელიც, ფაქტობრივად, გამარჯვებული გამოვიდა ამ საომარი კამპანიიდან, საბოლოოდ სცადა ბიზანტიის განადგურება და 626 წლის გაზაფხულზე[44] თავისი ცნობილი მხედართმთავარი შაჰრვარაზი, რომელიც ორი წლის განმავლობაში ებრძოდა ჰერაკლე კეისარს, ლაშქრის დიდი ნაწილითურთ კვლავ გააგზავნა ბოსფორის ნაპირებზე, რომ იქიდან, ჩრდილოეთ ბალკანეთზე გაბატონებულ ავართა ხანთან ერთად, ბიზანტიის დედაქალაქისთვის ალყა შემოერტყათ და აეღოთ[45]. „ეს რომ გაიგო მეფემ (ჰერაკლემ), სამ ნაწილად გაჰყო თავისი ჯარი: ერთი ნაწილი მან გაგზავნა ქალაქის დასაცავად, მეორე ჩააბარა თეოდორეს, თავის ძმას და უბრძანა (მცირე აზიაში მყოფი) საინის (შაჰინის –სპარსთა მეორე მხედართმთავრის) წინააღმდეგ ებრძოლა. ხოლო მესამე ნაწილი თვითონ წაიყვანა და ლაზიკისკენ გაემართა"[46].

სწორედ ამ მეორე ლაშქრობას უნდა გულისხმობდეს IX ს–ის მეორე ბიზანტიელი ისტორიკოსის ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის ცნობაც, რომ ჰერაკლემ (როგორც ჩანს, პონტოდან, სადაც მისმა ლაშქარმა ზამთარი გაატარა) „შავი ზღვით გასცურა და სცადა ლაზიკის გზით სპარსეთში შეჭრილიყო"[47]. ჩვენ უკვე ვიცით, რომ IX ს–ის ბიზანტიური წყაროებისათვის („ეკთესისები") „ლაზიკე" მხოლოდ ეგრისს შეიძლება გულისხმობდეს და ამდენად, თეოფანესთან და ნიკიფორე კონსტანტინოპოლელთან ხმარებული ეს ხორონიმიც საკუთრივ დასავლეთ საქართველოს (ეგრისს) ნიშნავს და სხვას არაფერს. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ჰერაკლეს ამჟამადაც ისევე, როგორც პირველი ლაშქრობის დროს, ტრაპეზუნტშიც გამოევლოს. ამას გვაფიქრებინებს 1042 წ–ის ზემოაღნიშნული ქართული კომპილაციის მეორე ცნობა: „ხოლო ერაკლე მეფემან ისწრაფა და ყოვლით კერძო შეიკრიბა ლაშქარი და მოინადა (მოუწოდა) მან ურიცხვ ერი მებრძოლთაჲ ყოვლით კერძო ნათესავთაგან მრავლითა და ევქსინო პონ-

ტოჲთ, რომელ არს ზღუაჲ ვრცელი ჩრდილოჲ კერძო წარემართა სიმრავლითა ურიცხჳსა ნავებისაჲთა: და ჰყვა მისთანა ცოლი თჳსი: და მიიწიარაჲ ტრაპეზუნტედ, სანახებთა მათ სამეგრელოსაჲთა, უშვა ძჱ რომელსა უწოდა ერაკლე"[48]. ეჭვი არ არის, რომ ქართველი კომპილატორის ძირითადი წყარო სწორედ ნიკიფორე კონსტანტინოპოლელია[49] და რამდენადაც ამ უკანასკნელის ჩვენება ჰერაკლეს მეორე ლაშქრობის ამსახველი გვგონია, ამდენად ქართული ტექსტიც ამ ვითარებას უნდა ასახავდეს. მაგრამ აქ, როგორც ვხედავთ, განსხვავებით ნიკიფორე კონსტანტინოპოლელისაგან, ტრაპეზუნტიცაა ნახსენები, სადაც ჰერაკლეს ფლოტილია მოდის, თანაც კომპილატორი VII ს–თვის სრულიად შეუფერებელ რემარკას აკეთებს, როდესაც ამ ქალაქს, რომელიც მაშინ „პონტოში" მდებარეობდა, ათავსებს „სანახებთა მათ სამეგრელოსაჲთა", ანუ თავისი თანადროული ვითარება VII ს–ში გადააქვს. ეს უნდა აიხსნას ან იმით, რომ ქართველმა კომპილატორმა, რომელიღაც სხვა წყაროდან (მაგალითად, ევტიხიდან) ამოღებული ცნობა ტრაპეზუნტთან დაკავშირებით ჩაურთო ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის ჩვენებას[50], ანდა მას უნდა ჰქონოდა სხვა უფრო სრული წყარო. ქართული თარგმანის ფაქტურა გვაფიქრებინებს, რომ მეორე ვარაუდი უფრო სწორი უნდა იყოს[51]. ამგვარად, ეგრისში ჰერაკლე პონტოდან ტრაპეზუნტზე გავლით ჩასულა[52]. ეს ხდება 626 წლის ზაფხულში.

რომ ზემოხსენებულ წყაროთა (თეოფანე ჟამთააღმწერელი, ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი, ქართველი კომპილატორი) ეს ჩვენებანი მაინცდამაინც ჰერაკლე კეისრის მეორე ლაშქრობას ეხება, ეს ჩანს შემდეგიდან: სამივე წყაროს თანხმობლივი ცნობით, სწორედ ეგრისიდან დაუკავშირდა ჰერაკლე დასავლეთის თურქთა ხანს და შესთავაზა მოკავშირეობა სპარსელთა საწინააღმდეგოდ[53]. ქართველი კომპილატორის ცნობით, „მიერ წარავლინნა მოციქულნი ძღუენითა მრავლითა მეფისა მიმართ თურქთაჲსა. ხოლო მეფემან თურქთამან დიდად შეინწყანარნა მოციქულნი ერაკლესნი და მოსცა მას აღთქუმაჲ ერთობისაჲ"[54]. მოციქულის გაგზავნას თურქებთან (ჰონებთან) გვიმოწმებს მოვსეს კალანკატუაციც, რომელმაც მისი სახელიც კი შემოგვინახა: კეისარმა „აღჭურვა და მოამზადა ერთი თავისი დიდებულთაგანი, ჭკვიანი და განსწავლული კაცი სახელად ანდრე და გაგზავნა ის ჰონებთან, პირდე-

ბოდა, რომ ურიცხვსა და უთვალავ განძეულობას უბოძებდა მათ, თუ დაეხმარებოდნენ დიდ შურისძიებაში". თურქები დათანხმდნენ და „ჩრდილოეთის მეფის (ხანის) ნაცვალმა, რომელიც მეორე კაცი იყო სამეფოში, სახელად ჯებუ ხაქანმა... იმ ნახარართან (ანდრესთან) ერთად შეთანხმების განსამტკიცებლად გაუგზავნა ათასამდე მხედარი, რჩეულნი სიმამაცით და ძლიერნი მშვილდოსნობით. ისინი მოულოდნელად გაემართნენ ჩორის კარისკენ (დარუბანდისკენ), არაფრად ჩააგდეს სპარსეთის მეფის ქალაქის მცველი რაზმები, რომლებიც დიდი კარის დასაცავად იყვნენ დაყენებულნი და როგორც არწივები ისე გაფრინდნენ დიდ მდინარე მტკვრისაკენ. არავის ინდობდნენ, ვინც მათ წინააღმდეგ გამოვიდოდა. გეზი აიღეს ქართველთა და ეგერთა ქვეყნებისაკენ. გადალახეს დიდი ზღვის ნაპირები და მიაღწიეს სამეფო კარს. წარუდგნენ დიდ კეისარ ჰერაკლეს. თითოეულის წესების მიხედვით განამტკიცეს ფიცი ერთმანეთში"[55].

სომეხი ისტორიკოსის ამ ცნობიდან კვლავ ვიგებთ, რომ ჰერაკლეს მოციქული ანდრე ეგრისიდან გაუგზავნია და ამიტომაც ჯებუ ხაკანსაც საპასუხო „დელეგაცია" გამოუგზავნია „ქართველთა და ეგერთა ქვეყნებისაკენ", სადაც ჰერაკლე კეისრის სამხედრო ბანაკი („სამეფო კარი") უნდა ყოფილიყო. ის, რომ თურქებმა თითქოს „გადალახეს დიდი ზღვის ნაპირები და მიაღწიეს სამეფო კარს" კონსტანტინოპოლში, ცხადია, გაზვიადების შედეგია და აშკარა შეცდომაა, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ იმ კონკრეტულ მომენტში, ჰერაკლე ტრაპეზუნტში ყოფილიყო[56]. ბიზანტიის იმპერატორი ეგრისიდან რომ უკავშირდებოდა ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში მომთაბარე თურქებს, ეს ეგრისის მმართველი წრეების გარეშე არ შეიძლება მომხდარიყო[57]

ჰერაკლე კეისრის თურქთა კაგანატთან ურთიერთობის თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა ისიც, რომ ალბათ სწორედ ამ დროს, ეგრისში ყოფნისას, მან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა, რომლის შესახებ ცნობა ვახუშტი ბატონიშვილმა შემოგვინახა: „სტეფანოზ ბაგრატიონის ჟამსა მოულო ერეკლეოს კეისარმან კუალად ეგრისის მდინარის იქითი და დასუეს ბერძენთა ერისთავი თჳსი ანაკოფიას და უწოდეს აფხაზთა ერისთავად, იყვნენ აქა ერისთავნი ცვლილებითა"[58] როგორც ირკვევა, ბიზანტიის იმპერატორს

აფხაზეთი, ფაქტობრივად, თავისი ხელისუფლებისთვის უშუალოდ დაუმორჩილებია და იქ თავისი მოხელე დაუსვამს, რომელიც ამიერიდან უშუალოდ მას ემორჩილებოდა და რომელსაც ქართულ წყაროში „აფხაზთა ერისთავი“ ეწოდებოდა. ეს ჰერაკლეს სჭირდებოდა, როგორც საკუთრივ ეგრისზე თავისი გავლენის განმტკიცებისათვის, ასევე ჩრდილო კავკასიასთან და მისი საშუალებით თურქთა კაგანატთან მისთვის ასე საჭირო სავაჭრო და სამხედრო ურთიერთობისათვის საკომუნიკაციო გზებზე კონტროლის გარანტიის მიზნით. ბიზანტიას უკვე ჰქონდა გამოცდილება ამიერკავკასიის ხალხთა, კერძოდ, ქართველთა შუამავლად გამოყენებისა ევრაზიის სტეპებში გადაჭიმულ თურქთა მომთაბარულ იმპერიასთან ურთიერთობაში (იხ. ზემოთ. გუარამ კურაპალატის როლის შესახებ ანტისპარსული კოალიციის შექმნაში), რომელიც ამ დროისთვის უკვე ორად იყო დანაწილებული: აღმოსავლეთის და დასავლეთის თურქთა სახანოებად. დასავლეთ თურქთა სახანოს ცენტრი ვოლგის ქვემო დინებაზე იყო და მისი უმაღლესი ხელისუფალი, ამ დროს ტუნ–შეხუ ხაკანი იყო, ხოლო მეორე პირად ითვლებოდა მისი ძმა, რომელიც ატარებდა ჯაბღუ–ხაკანის ტიტულს[59].

შემდგომ 627 წელს, შეპირებისამებრ, ჯაბღუ–ხაკანმა თავისი ძის თუ ძმისწულის თანხლებით, რომელსაც შათის ტიტული ჰქონდა ანუ საუფლისწულოს მფლობელი იყო, დასავლეთის თურქთა აურაცხელი ურდოებით გადმოლახა დარუბანდის კარი და, როგორც მოვსეს კალანკატუაცი გადმოგვცემს, „ალვანეთის ქვეყნის ყველა საზღვარი და ატრპატაკანის (აზერბაიჯანის) ერთი ნაწილი მახვილის პირით გაანადგურა“, აიღო დედაქალაქი პარტავი (ბარდავი) და მისი მოსახლეობა ამოჟლიტა. სპარსეთის შაჰის დანიშნული მმართველი, მარზპანი გაიშაქი უძლური იყო რაიმე მოემოქმედა და მთელი თავისი ოჯახით სპარსეთს გაიქცა. „ყოველივე ამის შემდეგ, დაიძრა აზვირთებული ნიაღვარი და აბობოქრებული მდინარე ქართველთა ქვეყნის წინააღმდეგ, გარემოიცვეს ნებიერი სავაჭრო და სახელოვანი დიდი ქალაქი ტფილისი“[60].

თბილისში მოვიდა ეგრისიდან ჰერაკლე კეისარიც თავისი ლაშქრით და სწორედ აქ შეხვდნენ ერთმანეთს ბიზანტიის იმპერატორი და თურქთა მთავარსარდალი ჯაბღუ–ხაკანი

ანუ ქართული წყაროების ჯიბლა (ქცˉა) // ჯიბლო „მოქცევაჲ“ // ჯიბლუ (სუმბატ დავითის ძე).

ვიდრე გავარკვევდეთ, თუ რატომ დალაშქრეს ერთობლივ თურქებმა და ბიზანტიელებმა მაინცდამაინც თბილისი, გასარკვევია რა გზით უნდა მოსულიყო ბიზანტიის ჯარი ლაზიკედან (ეგრისიდან) თბილისში? თითქოს ბუნებრივია – სურამის უღელტეხილით. მაგრამ მიუხედავად იმისა რომ ამ მეორე ლაშქრობისას ჰერაკლე ნამდვილად ლაზიკედან მოდის და არა ტრაპეზუნტიდან, მაინც საფიქრებელია, რომ მან კარინ//თეოდოსიოპოლზე შემოვლით შემოიარა და ასე „ჩამოვლო ჰერაკლე მეფემან ბერძენთამან“[61] ქართლი თბილისამდე. კონკრეტულად რა მიმართულება ჰქონდა ამ გზას, ეს რომ გავიგოთ შემდეგი გარემოებანი უნდა გავითვალისწინოთ.

ხოსრო ფარვიზის დამარცხებისა და ირანში სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, 628 წლის გაზაფხულზე ჰერაკლე კეისარი ადარბადაგანის ქალაქ განძაკში იმყოფებოდა. მის ლაშქარში მყოფი ერთი მონაზვნის მოწმობით ცნობილია, რომ განძაკიდან ისინი სომხეთში წამოსულან, კერძოდ, ფიქრობენ – თეოდოსიოპოლში[62]. ქართული წყაროების მიხედვით კეისარს ქართლზე გამოუვლია. ასე, „მოქცევაჲს“ მიხედვით, „წარმოვიდა აქაჲთ მეშჳიდესა წელსა... ხოლო ჰერაკლე განწმიდა სჯული ქრისტესი (ქართლში) და წარვიდა“[63]. უფრო ნიშანდობლივია „ქართლის ცხოვრება“: „ხოლო ერაკლე მეფე შევიდა სპარსეთს და მოკლა ხუასრო მეფე და ნარიღო ბაღდადი, და წარმოიყვანა ძელი ცხოვრებისა. უკმოიარა გზა ქართლისავე მეშჳდესა წელსა, რაჲთგან ჩაევლო... მაშინ ერაკლე მეფემან წარიხუნა მანგლისით და ერუშეთით ფერჴთა ფიცარნი და სამსჭუალნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი, რომელნი მოცემულ იყვნეს (იმპერატორის, დ. მ.) კონსტანტინესაგან მირიანისდა“[64]. სომხური თარგმანი „ქართლის ცხოვრებისა“ ნიშანდობლივ უმატებს, რომ ჰერაკლე „მოვიდა მცხეთას“[65].

ცნობის ლეგენდარულობის და ქრონოლოგიური ლაფსუსის მიუხედავად[66], ჰერაკლე კეისრის ქართლში ხელმეორედ შემოსვლა თავისთავად სავსებით რეალური შეიძლება იყოს, მით უმეტეს, რომ ამას ამოწმებს აგრეთვე სომხური წყარო, რომელსაც ეწოდება „წმიდა ჯვრისათვის, ჰერაკლეს შესახებ თხრობათაგან“ ამ ლეგენდარული გადმოცემის მიხედვით ბიზანტიის იმპერატორმა, მას შემდეგ, რაც სპარსელთაგან და-

იბრუნა „ძელი ცხოვრებისა“, „დაასვენა იგი ურემზე და მრავალრიცხოვანი ლაშქრის თანხლებით გამოიტანა ქართლის მთავარ გზაზე და წარიღო თან ბერძენთა სამეფოში, კონსტანტინოპოლში“[67]. ეს „ქართლის მთავარი გზა“, ცხადია, უნდა იყოს ის მაგისტრალი, რომელიც გადიოდა ფართო ხეობაზე, ჭოროხისა და ევფრატის (ყარა–სუს) აუზების დამაკავშირებელ უღელტეხილზე. ეს უკანასკნელი დღეს ცნობილია თურქული სახელწოდებით „გურჯი ბოღაზ“[68]. ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს: „გურჯი ბოღაზის ჴეობა ანუ საქართველოს – ყელი, რამეთუ ოდეს დაიპყრეს ოსმალთა არზრუმ, მიერ ჟამით უწოდეს სახელი ესე... და ეს ჴევი არს ზღვარი, ბაიბურდის მთამდე, საქართველოსა და ბერძენთა“[69]. ცხადია, ეს თურქული ტერმინი ძველი ადგილობრივი სახელწოდების თარგმანი უნდა იყოს[70], ხოლო ეს უკანასკნელი შემორჩენილია „ქართლის ცხოვრებაში“ – ეს არის „გზაჲ ქართლისაჲ“[71]. საინტერესო ის არის, რომ სწორედ ჰერაკლე კეისრის ქართლში მეორედ შემოსვლასთან დაკავშირებითაც მოიხსენიება იგი და ეს ადგილი ქართული წყაროდან ჩვენ უკვე მოვიყვანეთ: სპარსელთა დამარცხების შემდეგ, ჰერაკლემ „წამოიყვანა ძელი ცხოვრებისა, უკმოიარა გზა ქართლისავე მეშჯდესა წელსა რაჲთგან ჩაევლო“. ახლა, როდესაც ჩვენ ბიზანტიის იმპერატორის სპარსეთიდან უკან დაბრუნების სომხურ ვერსიასაც ვიცნობთ, უნდა ვირწმუნოთ, რომ აქ, ფაქტობრივად, სრული თანხვედრაა ქართულ წყაროსთან და ამდენადვე საეჭვო აღარ არის რომ, სომხური წყაროს „ქართლის მთავარი გზა“ და „ქართლის ცხოვრების“ “გზაჲ ქართლისაჲ“ ერთი და იგივე მაგისტრალს გულისხმობს, რომელიც შიდა ქართლიდან (მცხეთა) ქვემო და ზემო ქართლზე გავლით (მანგლისი, ერუშეთი) და „ქართლის ყელზე“ (გურჯი–ბოღაზი) გადავლით კარინში (არზრუმი) მიდიოდა შუა საუკუნეებში და დღესაც მოქმედია[72].

ამრიგად, გვაქვს უფლება ვივარაუდოთ, რომ ჰერაკლე კეისარმა, რომელიც სპარსეთიდან ადარბადაგანის (განძაკი) გზით სომხეთზე წამოსულა, ქართლზე ხელმეორედ ამოიარა. აქ გარკვეული საქმიანობის შემდეგ (იხ. ქვემოთ) იგი „ქართლის გზით“ კვლავ სომხეთს (კარინი // თეოდისიოპოლი// არზრუმი) გადასულა და აქედან გამგზავრებულა კონსტანტინოპოლისკენ.

ზემომოყვანილი ცნობა „ქართლის ცხოვრებიდან“ გვაიძულებს კიდევ ერთი ვარაუდის დაშვებას: „უკმოიარა გზა ქართლისაკენ მეშჯდესა წელსა, რაჲთგან ჩაევლო“, მოწმობს იმას, რომ მემატიანის აზრით კეისარი თავის დროზე ქართლში იმავე გზით შემოსულა. და თუ ეს ასეა, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ 627 წელს, როდესაც ბიზანტიის იმპერატორი ჯაბღუ-ხაკანთან შესახვედრად ეგრისიდან წამოვიდა, მან პირდაპირი გზა კი არ აირჩია სურამის ქედზე, არამედ ჭოროხის ხეობით კარინში (არზრუმში) ასულა და იქიდან “გზაჲ ქართლისაჲ ჩამოვლო“[73]

ალყაშემორტყმულ თბილისთან თურქთა და ბიზანტიელთა ლაშქრები ერთმანეთს შეხვდნენ. შეხვედრის ცერემონიალი აღწერილი აქვს თეოფანე ჟამთააღმწერელს: „ზიებელმა (ჯიბღამ) რომ დაინახა (ჰერაკლე), გაემართა მისკენ, კისერზე მოეხვია მას და თაყვანი სცა: სპარსელები (თბილისის გარნიზონი) კი ამას ყველაფერს ხედავდნენ ქალაქ ტფილისიდან. თურქთა ჯარი მიწაზე დაემხო; პირით დაემხვნენ და მეფეს მიუძღვნეს წარმართთა უჩვეულო პატივი. ამგვარადვე მათი უფროსებიც ქვის ლოდებზე ავიდნენ და იმავე წესით დაემხვნენ“[74]. XI ს-ის ქართველი კომპილატორიც, რომელიც, ჩანს, ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის თხზულებას მისდევს, აღწერს ამ შეხვედრას: „ხოლო მეფეცჱ თურქთაჲ ყოვლითა ერითა (ლაშქრითა) თჳსითა მიეგება ერაკლეს. პატივითა დიდითა და გარდაუჴდა მას ჰუნისაგან თჳსისსა და ყოველი ერი მისთანა და თაყუანის სცეს. ხოლო ერაკლე მიითვალა ფრიად და უბრძანა რათა აღჯდეს (ცხენზე) და ვითარცა ძჱ მისი ვიდოდის მისთანა. და ესრეთ ამბორს უყვეს ურთიერთას. და აღიჴადა (მოიხადა) გჳრგჳნი თჳსი ერაკლე და დაარქუა მას და უქმნა მას სერი (ნადიმი). და რავდენნიცა სერსა მას აქუნდეს ჭურჭელნი ოქროჲსა და ვერცხლისანი ანიჭნა (აჩუქა) მას და ყოველთა მთავართა მისთა“[75].

ქართლის მთავარი ამ დროს, როგორც ვიცით, „იგივე დიდი სტეფანოზია“, რომელიც თბილისში ზის. „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, რომ „ამან სტეფანოზ არა ინება განდგომა სპარსთაგან, და განამაგრნა ციხე-ქალაქნი, და დაღგა ტფილისსა შინა. მოვიდა ერაკლე მეფე და მოადგა ტფილისსა. ხოლო სტეფანოზ იყო ქუელი მჴედარი და შემმარ-

თებელი; დღეთა ყოველთა გამოვიდის კართა ქალაქისათა და ებრძოდის ბერძენთა"[76].

ბერძენთა და თურქთა შეერთებული ლაშქრით გარემოცული თბილისი და მისი მოსახლეობა ფრიად შეჭირვებული იყო, მაგრამ მედგრად ებრძოდა მოალყეებს. მით უმეტეს, რომ მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, სპარსეთის შაჰმა, რომელსაც წინასწარ გაეგო „ორივე დიდი მეფის შეთანხმება ქალაქთან შეხვედრაზე, გარემოცვის დაწყებამდე, დასახმარებლად და ქალაქის დასაცავად სწრაფად გაგზავნა მარჯვე და მამაცი მებრძოლი, თავისი მხედართმთავარი შაჰრაპალი. ასევე ათასამდე რჩეული მხედარი თავისი ქეშიკებიდან და კარისმცველებიდან"[77].

როგორც ვხედავთ, თბილისის აღებით და ქალაქის ხელში ჩაგდებით ფრიად დაინტერესებულნი არიან თურქები და ბიზანტიელები, სპარსეთის შაჰი კი ცდილობს როგორმე შეინარჩუნოს ეს ქალაქი. ცხადია, ყველაფერი ეს თბილისის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს თავისთავად და, კერძოდ, ამ დიდი სახელმწიფოებისთვის. რით იყო გამოწვეული ასეთი დიდი ინტერესი ამ ქალაქის მიმართ? რატომ დვინის ან პარტავის, სომხეთისა და ალვანეთის დედაქალაქების, იმავე ბერძენ–თურქთა ლაშქრების მიერ აღებას არ გამოუწვევია, რამდენადაც წყაროებიდან ჩანს, ასეთივე მძაფრი რეაქცია სპარსელთაგან?

აქ პირველ რიგში უნდა მოვიგონოთ, რომ VII ს–ის ოციანი წლების თბილისი „ნებიერი, სავაჭრო და სახელოვანი დიდი ქალაქია", რაც იმას მოწმობს, რომ ამ დროისათვის იგი ამიერკავკასიის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და კულტურული ცენტრია. ეს, როგორც ვიცით, პირველ რიგში, ახალგაზრდა ფეოდალური ქართლის ეკონომიკური და კულტურული აღორძინების შედეგია, რაზედაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ჩანს, თბილისი უკვე ამ დროს მნიშვნელოვან მეტოქეობას უწევს დვინს და პარტავს, რაც ერთი მხრივ, მნიშვნელოვანწილად გაპირობებული უნდა ყოფილიყო მისი ცენტრალური მდებარეობით ამიერკავკასიაში, რომლის ქვეყნებს შორის საერთო სამეურნეო აღორძინების შედეგად უფრო ინტენსიური ხდებოდა სავაჭრო–ეკონომიკური ურთიერთობანი (იხ. ქვემოთ), მეორე მხრივ, ამიერკავკასიასთან ანალოგიურ ურთიერთკავშირში უფრო და უფრო ებმებოდა ჩრდილოეთი კავ-

კასიაც. თბილისი კი ამიერკავკასიაზე გამავალი აღმოსავლეთ–დასავლეთისა და ჩრდილოეთ–სამხრეთის დამაკავშირებელი სავაჭრო მაგისტრალების გადაკვეთის ადგილზეა და ამას არ შეიძლება დიდი მნიშვნელობა არ ჰქონოდა მისი, როგორც სავაჭრო–ეკონომიკური ცენტრის აღზევებისათვის. ამგვარად, კონტროლი თბილისზე, ფაქტობრივად, პერსპექტივაში კავკასიის რეგიონის ვაჭრობაზე კონტროლს ნიშნავდა და, ცხადია, ეს უაღრესად მიმზიდველი ფაქტორი უნდა ყოფილიყო მეზობელი იმპერიებისათვის.

მართალია, არაბთა ბატონობამ VII ს–ის მეორე ნახევრიდან თბილისის აღზევების ეს პროცესი შეაფერხა, მაგრამ ამ საუკუნის ოციან წლებში ამაზე ჯერ არავინ ფიქრობდა და თბილისის მფლობელობა, რომ აღარაფერი ვთქვათ მისი პოლიტიკურ–სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ ამიერკავკასიაში, სავაჭრო ეკონომიკური თვალსაზრისითაც უაღრესად სახარბიელო უნდა ყოფილიყო.

კიდევ მეტი. ჩვენ უკვე ვიცით, რომ VI ს–ის მეორე ნახევრიდან ბიზანტია ენერგიულად ცდილობს შორეულ აღმოსავლეთთან სავაჭრო კონტაქტები დაამყაროს ირანის გარეშე, მისი ტერიტორიის ავლით, კერძოდ, ჩრდილო კავკასიიდან კასპიის ზღვის ჩრდილო სანაპიროს შემოვლით. ეს პრობლემა ამჟამადაც იდგა და ეჭვი არ არის დასავლეთი თურქების სახელმწიფოსთან კავშირი ამგვარ სავაჭრო ურთიერთობებსაც ითვალისწინებდა. თუკი VI ს–ში ერთადერთი რეგიონი კავკასიონზე, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ასეთი კონტაქტების დამყარება სვანეთ–აფხაზეთი იყო და სწორედ ამით იყო გაპირობებული გაჭიანურებული დავა სვანეთის შესახებ ბიზანტია–ირანს შორის, ამჟამად VII ს–ის ოციან წლებში სიტუაცია არსებითად შეცვლილიყო. ირანის განდევნა ამიერკავკასიიდან ბიზანტიელ–თურქთა კოალიციის მიერ სავსებით რეალური ხდებოდა და ამიტომ „აბრეშუმის გზის“ სისტემაში დარუბანდ–დარიალის გასასვლელების ჩართვაც პრაქტიკულად შესაძლებელი იყო. ასეთ შემთხვევაში თბილისი გადაიქცეოდა უმნიშვნელოვანეს პუნქტად ამიერკავკასიაში ამ საერთაშორისო მაგისტრალზე და მასზე კონტროლი, თავისთავად ცხადია, უაღრესად სარფიანი იქნებოდა[78]. შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად, თბილისის გამო ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა „აბრეშუმის გზის“ მომავალი ბედი და მნიშვნელოვანწილად აგ-

რეთვე ბიზანტიის, ირანის, თურქთა კაგანატის და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებიც.

თბილისის აღება ბიზანტიელთა და თურქთა შეერთებული ლაშქრის მიერ ამჯერად 627 წ–ის ზაფხულში დამცველების თავგანწირული ბრძოლის გამო ვერ მოხერხდა. ჰერაკლე კეისარს თავისი მთავარი მიზანი, სპარსეთის სამეფოს დამხობა ჯერ კიდევ შესასრულებელი ჰქონდა. ამიტომ მან გადაწყვიტა თბილისისათვის დროებით თავი დაენებებინა და თავისი ლაშქრით და აგრეთვე თურქთა მაშველი ჯარით სპარსეთს გამგზავრებულიყო ხოსრო ფარვიზის დასამარცხებლად. ქართლის დედაქალაქს იგი მერმე მოუბრუნდებოდა. ჯაბღუ ხაკანიც თავისი ლაშქრის დიდი ნაწილით უკან გაბრუნდა, ჰერაკლეს კი თავისი შვილი გაატანა 40 000 მეომრით[79]. ბიზანტიის კეისარსა და ჯაბღუ ხაკანს შორის შეთანხმებისამებრ შემდგომი წლის შემოდგომაზე ამ უკანასკნელს კვლავ უნდა გამოელაშქრა თბილისზე[80].

თბილისის ალყასთან დაკავშირებით საინტერესო დეტალებია შემონახული სომხურ და ქართულ წყაროებში, რომლებიც მებრძოლ მხარეთა შორის ურთიერთობის რეალისტურ, ცოცხალ სურათებს ასახავენ.

ასე მაგალითად, დიდი ექსპრესითაა აღწერილი მოალყეთა ღონისძიებანი ქალაქის ასაღებად სომეხ ისტორიკოსთან: „ჩრდილოეთისა და დასავლეთის ჯარების უთვალავი სიმრავლე მთებივით შემოერტყნენ ქალაქს გარშემო. აგრეთვე მათთან ჰქონდათ ოთხთვალიანი მანქანები და ჰრომაელ ოსტატთა ხელით გაკეთებული სხვა ნაირნაირი საშუალებანი, რომლებიდანაც ზუსტად ისროდნენ და უზარმაზარი ქვებით კედლებს ანგრევდნენ. ასევე ჰქონდათ ლოდებით გატენილი რუმბები, რითაც ქალაქის მხარეს მომდინარე დიდ მტკვარს უკან აბრუნებდნენ და მიმართავდნენ კედლისაკენ“. რაც შეეხება მოქალაქეებს, „როდესაც ქალაქის მცხოვრებლებმა მათი (მოალყეების) უკან დახევა გაიგეს, უფრო გაამაყდნენ და დაიწყეს თავიანთი დაღუპვის ოინის გათამაშება. მოიტანეს ერთი უზარმაზარი გოგრა, ზედ დახატეს ერთი წყრთის სიგრძისა და ამავე სიგანის ჰონთა მეფის სახე, თვალ–წამწამის ადგილას დახაზეს მოტეხილი ტოტი, რომლის შემჩნევა არც კი შეიძლებოდა. წვერების ადგილი უტიფრად მოაშიშვლეს, ცხვირის ნესტოები – მტკაველის სიგანე, ხოლო ულვაშებად მეჩხერი

თმები [დაუხატეს]... აიღეს და დადგეს [ეს გოგრა] მათ მოპირ-დაპირე კედელზე. უყვიროდნენ მის ჯარს და ეუბნებოდნენ: „აი, თქვენი მეფე კეისარი, დაბრუნდით, თაყვანი ეცით მას, ეს ჯებუ ხაქანიაო". აიღეს შუბები ხელში და მათ წინ ხვრეტდნენ მისი სახის მიმსგავსებულ გოგრას.

ასევე დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ მეორე მეფესაც, „ბილწსა და მამათმავალს უწოდებდნენ"[81]. „ქართლის ცხოვრებაც" გადმოგვცემს, რომ თბილისის „ციხით გამოღმართ ციხისთავმან აგინა მეფესა (ჰერაკლეს) და რქუა: „ვაცისა წუერნი გასხენ და ვაც–ბოტისა კისერი გათქს"[82].

„ამის მნახველი და გამგონე მეფეები, – განაგრძობს სომეხი ისტორიკოსი,– მძვინვარებდნენ, იფხორებოდნენ, გულში სიძულვილს იგროვებდნენ, თავებს აქნევდნენ და უდიდესი წყევლით იფიცებოდნენ, რომ არც ერთ სულიერს არ დატოვებდნენ მათ სამეფოში, ვიდრე შურს არ იძიებდნენ ამ შეურაცხყოფისთვის, რომელიც მათგან მიიღეს. შემდგომ კი პირი იბრუნეს და იმავე მუქარით წავიდნენ"[83].

ეჭვი არ არის ყველაფერი ეს თანამედროვისა და შესაძლებელია თვითმხილველის მიერ არის მოთხრობილი.

ამგვარად, 627 წლის ზაფხულს თბილისი გადაურჩა მტრის მიერ აოხრებას.

მეორე წელს ჯაბღუ–ხაკანი ისევ შემოესია ქართლს, ამჯერად, როგორც ჩანს, დარიალის ხეობით და ალყაც შემოარტყა თბილისს. ბრძოლა ორ თვეს გაგრძელდა. თბილისის დამცველები პირველ ხანებში მხნედ უმკლავდებოდნენ მტერს. მაგრამ ბრძოლაში მოკლეს სტეფანოზ ქართლის ერისმთავარი[84] და თურქებმა საბოლოოდ შეძლეს ქალაქის აღება. სომეხი ისტორიკოსი კვლავ საოცარი სიცხადით აღგვიწერს თურქთა მიერ მოქალაქეთა დარბევას, რომელნიც „სიმხნევედაკარგულნი იმალებოდნენ ზოგი სახლის სახურავებზე, ზოგი წყალსადენ მილებში, ბევრიც წმინდა ეკლესიის თაღებში". შეპყრობილ იქნა თბილისის ციხისთავიც, რომელსაც ტყავი გააძრეს, „გაავსეს თივით და გალავნის ზემოთ ჩამოჰკიდეს"[85].

თურქებმა თბილისიდან უამრავი ალაფი წაიღეს. მოვსეს კალანკატუაცი გადმოგვცემს, რომ მათ „ხელი გაანვდინეს ნაძარცვ განძეულობათა სკივრებისაკენ, რომლებიც მრავალრიცხოვან მძიმედ დატვირთულ ჯარს მიჰქონდა და ალაგებდა თავისი მბრძანებლის წინაშე გროვებად და ზვინებად... დამ-

ქანცველი გახდა უთვალავი ოქროსა და ვერცხლის ტალანტების (ფულის) ყურება. ხოლო ვის შეუძლია ზედმიწევნით აღწეროს მარგალიტებით მოოჭვილი საეკლესიო ჭურჭელი"[86]. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა იმავე ისტორიკოსთან შემონახული ცნობა, რომელიც აშკარად თვითმხილველის მიერაა მოთხრობილი: თბილისის ზემოაღნერილი დარბევის შემდეგ, „დიდი ქალაქის პარტავის მახლობლად" დაბანაკებულ თურქთა შორის „დავინახეთ მრავალი მათგანი მუხლმოყრით მჯდომარე მსგავსად მძიმედ დატვირთულ აქლემთა ქარავნისა. თითოეულს სინი ავსებული ჰქონდა უწმინდურ ცხოველთა ხორცით, – ამასთანავე – თასები მარილწყლით, რომელშიც თავიანთ საჭმელს აწებდნენ. ოქროთი მოვარაყებული ვერცხლის ჭიქები და სასმისები წამოღებული ჰქონდათ ტფილისის აოხრებისას"[87].

ქართლის დედაქალაქის აღების შემდეგ თურქების ნაწილი ნადავლითურთ ჯაბღუს მეთაურობით უკან გაბრუნებულა თავის ქვეყანაში, როგორც ჩანს, იმავე დარიალის ხეობით. მეორე ნაწილი კი, როგორც ზემოაღნერილი სურათიც მოწმობს, ალვანეთისაკენ დაძრულა. მათი ხელმძღვანელი შათი იყო, ჯაბღუ ხაკანის შვილი, რომელსაც მამამისისგან დავალებული ჰქონდა ამ ქვეყნის დამორჩილება. ჯაბღუ თავის ერთგულ თანამებრძოლებს უბარებდა: „თუ ქვეყნის დიდებულები და წინამძღოლნი ჩემი შვილის წინ გამოვლენ და მორჩილებით გადასცემენ თავიანთ ქვეყანას, დაუთმობენ ჩემს ჯარებს ქალაქებს, სიმაგრეებსა და ვაჭრობას, მაშინ თქვენც თავი ანებეთ მათ, იცხოვრონ და მემსახურონ, ხოლო თუ არა", მაშინ მამკაცები ამოჟლიტეთო[88]. აქედან ჩანს, რომ ამჯერად თურქები მათთვის ჩვეული დარბევითა და ნაალაფარით აღარ კმაყოფილდებოდნენ, არამედ ალვანეთის პოლიტიკური დამორჩილება უნდოდათ, რაც სწორედ იმას უნდა მოწმობდეს, რომ მათი მიზანი იყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობაზე, კერძოდ, აბრეშუმით ვაჭრობაზე და იმიერკასპიისა და ამიერკავკასიის დამაკავშირებელ სავაჭრო–სატრანზიტო მაგისტრალებზე კონტროლი[89].

საერთოდ, როგორც ჩანს, ჰერაკლე კეისრისა და ჯაბღუ ხაკანის მოლაპარაკების შედეგად ამიერკავკასიაში ალვანეთზე თურქთა კონტროლი უნდა დანესებულიყო, ხოლო ქართლი ბიზანტიის ხელქვეითი გამხდარიყო[90]. ეს ტერიტორიების უბ-

რალოდ განაწილებას კი არ ნიშნავდა, არამედ, როგორც ზემოთ მივუთითებდით, დაკავშირებული იყო ბიზანტიისა და თურქეთის ირანის საწინააღმდეგოდ მიმართულ იმ დიდ გეგმასთან, რომელიც ჩინეთ – შუა აზიასა და ევროპას შორის სავაჭრო–სატრანზიტო მაგისტრალების ჩრდილოეთით ფაქტობრივ გადანაცვლებას და მათზე უშუალო კონტროლს ითვალისწინებდა[91]. სწორედ ამიტომ უნდა შემოსულიყო ჰერაკლე კეისარი ხელმეორედ ქართლში მას შემდეგ, რაც ხოსრო ფარვიზის დამარცხების, ირანში სახელმწიფო გადატრიალებისა და ტახტზე კავად–შიროეს ასვლის შედეგად 628 წელს ზავი დაიდო ბიზანტიასა და ირანს შორის.

კეისარმა ქართლში ბიზანტიის ხელისუფლების განმტკიცების მიზნით მთელი რიგი ღონისძიებებისა გაატარა. ჯერ ერთი, როგორც უკვე ვიცით, ქართლის ერისმთავრობა კვლავ ბიზანტიის ერთგულ ადარნასეს გადასცა[92]. შემდეგ, „მოქცევაჲს“ ცნობით, იგი სპარსთა ბატონობის პერიოდში აქ გავრცელებული ცეცხლთაყვანისმცემლობის აღმოფხვრას შეუდგა: „ჰერაკლე ტფილისს და მცხეთას და უჟარმას განავლინნა ქადაგნი, რაჲთა ყოველნი ქრისტეანენი ქალაქთა შინა ეკლესიათა შინა შეიკრიბნენ და ყოველნი მოგუნი და ცეცხლისა მსახურნი ანუ მოინათლნენ ანუ მოისრნენ. ხოლო მათ ნათლისღება არა ინებეს“[93]. რადგან ცეცხლის მსახურნი არ დამორჩილებიან ჰერაკლეს ბრძანებას, თავი რომ გადაერჩინათ, ქრისტიანებთან ერთად შერეულებმა თავი ეკლესიებს შეაფარეს. მაგრამ იმპერატორმა ისინი მაინც არ დაინდო და თვით ეკლესიის შენობაში მათ დახოცვასაც კი არ მოერიდა. როგორც მართლმადიდებლობის ადეპტი, იგი სასტიკად სდევნიდა ანტიქალკედონიტური სექტების მიმდევრებსაც, რის შედეგადაც, როგორც მემატიანე გვამცნობს, „ჰერაკლე განწმიდა შჯული ქრისტესი და წარვიდა“ კონსტანტინოპოლს[94]. ასე დამთავრდა ქართლისთვის ბიზანტია–ირანის უკანასკნელი საომარი დაპირისპირება.

ამიერკავკასიაში, საბოლოო ჯამში, ბიზანტია გამოვიდა გამარჯვებული. არაერთსაუკუნოვანი სისხლისმღვრელი შეჯახებების შედეგად, რომელთა განმავლობაში უპირატესობა პოლიტიკური თავალსაზრისით ამ რეგიონში ზოგჯერ ირანის სახელმწიფოს ხვედრი იყო, ჰეგემონობა ბოლოს და ბოლოს ბიზანტიას ჩაუვარდა ხელში: სომხეთი, ქართლი და, რა თქმა

უნდა, ეგრისიც მისი პოლიტიკური და კულტურული სივრცის შემადგენელ ნაწილებად იქცა. რაც შეეხება ალვანეთს ეს ქვეყანა თურქებს დარჩათ.

სამეურნეო განვითარების თვალსაზრისით ამიერკავკასიის ტერიტორიაზე VII ს–ის ოციან წლებში ბიზანტიელთა, სპარსელთა და თურქთა დამარბეველ ლაშქრობებს, ცხადია, არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოეხდინათ. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ქართლში დასავლეთი კაგანატის თურქთა ორგზისი (627და 628 წლებში) ამაოხრებელი შემოსევების შესახებ, რომელთაც ქართლის დედაქალაქიც კი ემსხვერპლა. მარტო იმ ფაქტის აღნიშვნაც კი, თუ რა დიდძალი სიმდიდრე წაიღეს თბილისიდან თურქებმა, საკმარისია იმ ზარალის წარმოსადგენად, რაც უნდა განეცადა ქართლს. მაგრამ იგივე გარემოება იმის აშკარა მოწმობაცაა თუ VI ს–ის საერთო სამეურნეო და სავაჭრო ეკონომიკური აღმავლობის პროცესის შედეგად რა მაღალი დონისთვის მიუღწევია ქვეყანას ამ თვალსაზრისით. და რაგინდ საზარალო არ უნდა ყოფილიყო ზემოხსენებული მოვლენები, ესენი მაინც ეპიზოდური ხასიათისა იყო და ახალგაზრდა ფეოდალური ქვეყნის (და მთელი რეგიონის) გლობალურ სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებას ვერ შეაფერხებდა.

საინტერესო საგარეო–სავაჭრო ურთიერთობა მყარდება ქართლის საერისმთავროს ტერიტორიაზე VI ს–ის ბოლოს და VII ს–ის პირველ ნახევარში: აღმოსავლეთი საქართველო კვლავ ინტენსიურადაა ჩაბმული ირანთან ვაჭრობაში. ცალკეული ვერცხლის მონეტების გარდა, კახეთიდან (მაგრანეთი, ბახტრიონი, ზემო ალვანი)[95], თრიალეთიდან, შიდა ქართლიდან, გვხვდება განძებიც (მცხეთა, ურბნისი). კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ახლა ამ სავაჭრო ურთიერთობაში ჩაბმულია არგვეთის ტერიტორიაც (საჩხერე, ქორეთი, ჭიათურა, ზესტაფონი).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ VI ს–ის ბოლოდან დაახლოებით 60 წლიანი წყვეტილის შემდეგ ბიზანტიაც კვლავ ებმება ქართლთან სავაჭრო–ეკონომიკურ ურთიერთობაში[96], ვიდრე VII ს. პირველ ნახევარში ეს ურთიერთობა საკმაოდ ინტენსიური არ სდება[97]. შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, არგვეთში და კახეთში – ყველგან გვხვდება

ჰერაკლე კეისრის ვერცხლის ჰექსაგრამები (კახეთიდან ოქროს სოლიდიც)[98].

თავისთავად ცხადია, რომ ეგრისთან ვაჭრობის მონოპოლია ამ დროს ბიზანტიის ხელშია, რასაც სხვა არა იყოს რა, ნოქალაქევის (სენაკის რ–ნი) და ჩიბათის (ლანჩხუთის რ–ნი) ბიზანტიური ოქროს მონეტებისა[99] და ოდიშის (ზუგდიდის რ–ნი) ვერცხლის ჰექსაგრამების განძები მოწმობს[100]. მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში VI ს–ის ბოლოს და VII ს–ის პირველ ნახევარში ბიზანტიური და ირანული მონეტები, როგორც ჩანს, ერთდროულად იხმარებოდა[101]. სავაჭრო ურთიერთობა ორმხრივია და ფრიად ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით სასანურ–ბიზანტიური შერეული განძების აღმოჩენა თბილისში[102], მაგრანეთში[103] და დედოფლის წყაროში[104].

რომ დავხედოთ ჩვენთვის საინტერესო ეპოქის ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ნუმიზმატიკური აღმოჩენების გავრცელების რუკას[105], დავრწმუნდებით, რომ სურათი სავსებით ანალოგიურია: თუკი დასავლეთ ამიერკავკასიაში (ეგრისი) გავრცელებულია მხოლოდ ბიზანტიური მონეტები, აღმოსავლეთში (ალვანეთი) მხოლოდ სასანურ ვერცხლს ვხედავთ. რაც შეეხება სომხეთს და ქართლს აქ ორივე რიგის მონეტები დაახლოებით ერთნაირი ინტენსივობით ჩნდება (თუმცა რაოდენობით სასანური აშკარად ჭარბობს), ხოლო ამიერკავკასიის შუა ღერძზე ჩრდილოეთიდან სამხრეთით (მაგრანეთი, თბილისი, გუმბრი // ყოფილი ლენინაკანი, დვინი) შერეული – სასანურ–ბიზანტიური – მონეტების განძებია დაფიქსირებული[106]. „გამონაკლისია" ამ შემთხვევაში ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი დედოფლის წყაროს დიდი განძი, რომელიც რამდენადმე აღმოსავლეთითაა გადახრილი ზემოხსენებული „სატრანზიტო–ეკონომიკური ღერძიდან", რაც ფაქტობრივად, სურათს მხოლოდ ავსებს.

რაც შეეხება თვით ამ „ნუმიზმატიკურ რუკას", მისი პირობითობისდა მიუხედავად, იგი ცხადია, მოწმობს, რომ VII ს–ის პირველ ნახევარში ამიერკავკასია წარმოადგენს სავაჭრო–სატრანზიტო რეგიონს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ხოლო მისი ცენტრალური ნაწილი კი იმ არეალს, სადაც უშუალოდ ხდება ამ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა რეალიზაცია. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ჩრდილო კავკასიაცაა ჩაბმული ამ ინტენსიურ ურთიერთობებში და თანაც,

მაინცდამაინც, დარიალანის ხეობის მეშვეობით (ჯარიახის, ჩმის, ვლადიკავკაზის ნუმიზმატიკური მასალა).

ცხადია, ზემოაღნიშნული სურათი მხოლოდ საერთაშორისო–სავაჭრო ურთიერთობის მაჩვენებელი კი არ არის, არამედ პირველ რიგში, სწორედ შიდაკავკასიურ სავაჭრო ურთიერთკავშირების ამსახველია და მოწმობა მათი ინტენსივობისა, რაც თვით ამიერკავკასიური ქვეყნების მაღალი სამეურნეო და სავაჭრო–ეკონომიკური დონის ანარეკლია. ეს პირველ რიგში ეხება ქართლს და სომხეთს, რასაც ადასტურებს, როგორც ნუმიზმატიკურ აღმოჩენათა ინტენსივობა, ისე თვით ფაქტი შერეული, სასანურ–ბიზანტიური განძების მხოლოდ აქ აღმოჩენისა. და კიდევ უფრო ნიშანდობლივია, რომ ეს შერეული განძები აღმოჩენილია, როგორც დვინში, რომელიც, როგორც ვიცით, ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ–ეკონომიკური ცენტრი იყო ამიერკავკასიისა, მაინცდამაინც V ს–დან, ასევე თბილისში. ეს უნდა მოწმობდეს ზემოთ გამოთქმული მოსაზრების სისწორეს, რომ VII ს–ის პირველ ნახევარში თბილისი, როგორც ამიერკავკასიის ერთ–ერთი დიდი სავაჭრო–ეკონომიკური ცენტრი, მეტოქეობას უწევს დვინს და ეს მნიშვნელოვანწილად გაპირობებული უნდა ყოფილიყო დარიალანის კარით ჩრდილო კავკასიასთან გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობებით.

არც ის არის ალბათ შემთხვევითი, რომ ყველა ზემოხსენებული შერეული, სასანურ–ბიზანტიური განძი ჩაფლულია VII ს–ის შუახანში, 40–50–იანი წლების მიჯნაზე[107], რაც დაკავშირებული უნდა იყოს არაბთა პირველ შემოსევებთან. მაშასადამე ეს მონეტები მიმოქცევაში ყოფილა სწორედ VII ს–ის ოციანი წლების ბიზანტია – ირანის ომის შემდეგ და ამდენად სწორია ის მოსაზრებაც, რომ ამ ომმა და თურქთა თარეშმა, ფაქტობრივად, ვერ შეაფერხა ამიერკავკასიის ქვეყნების და, კერძოდ, ქართლის, აღმავალი სოციალურ–ეკონომიკური ევოლუცია. ქართლის „შეკრება" ანუ, ფაქტობრივად, დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს გაერთიანების მძლავრი ტენდენცია კვლავ ინტენსიურად განვითარდა. ამ ღრმა და ყოვლისმომცველი სოციალური პროცესის გული საკუთრივ ქართლი იყო, ხოლო მისი ცენტრი – თბილისი, სადაც იჯდა ქართლის ერისმთავარი, ბუნებრივია, თუ "ნებიერ, სავაჭრო და სახელოვან დიდ ქალაქად" წარმოგვიდგება.

სამწუხაროდ, ეს დიდი სოციალურ–ეკონომიკური და ეთნიკურ–კულტურული მოძრაობა, რომელიც ვითარდებოდა მომავალი საქართველოს ტერიტორიაზე, ახლო აღმოსავლეთში მსოფლიო იმპერიათა (ბიზანტია, ირანი, თურქთა კაგანატი) შორის მიღწეული ერთგვარი პოლიტიკური წონასწორობის ფონზე, სულ მალე კვლავ დაირღვა ახალი საერთაშორისო ძალის მსოფლიო ისტორიის ასპარეზზე გამოჩენის წყალობით: ისლამის დროშით შეკავშირებულმა მომთაბარე არაბთა ტომებმა 30–40–იან წლებში სწრაფად შეცვალეს წინა აზიის (და ევროპის) პოლიტიკური რუკა. მათი აგრესიის ტალღებმა 50–იანი წლების დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველომდეც მოაღწია და ქვეყნის გაერთიანების ზემოხსენებული დიდი პროცესი სამი საუკუნით გადაიდო – დაიწყო არაბობა საქართველოში.

შენიშვნები:

1. Кулаковский Ю., История Византии, т. III, Киев, 1915, стр. 7-12; 33-49; Пигулевская Н. В., დასახ. ნაშრომი, გვ. 191-205; Колесников А. И., დასახ. ნაშრომი, გვ. 79-82; Christensen A., დასახ. ნაშრომი,გვ. 447, 448.
2. Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 31; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 300, 301.
3. ალექსიძე ზ., ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 192-195.
4. იქვე, გვ. 40, 144, 251, შენ. 188.
5. ქც, I, გვ. 223.
6. Пигулевская Н. В., Византия и Иран, стр. 178, 179.
7. ალექსიძე ზ., დასახ. ნაშრომი, იქვე.
8. ასე ხსნის ზ. ალექსიძე სტეფანოზის „ქართლის ცხოვრებისეულ" დახასიათებას: „ხოლო ესე სტეფანოზ იყო ურწმუნო და უშიში ღმრთისა" (ქც, I, გვ. 222). იხ. ზ. ალექსიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 251, შენ. 188.
9. Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 12; Пигулевская Н. В., დასახ. ნაშრომი, გვ. 183.
10. Пигулевская Н. В., დასახ. ნაშრომი, გვ. 238 და შემდ.
11. История епископа Себеоса, стр. 104, 105; ზ. ალექსიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 196, 197.

12. ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტფ., 1892, გვ. 340; ზ. ალექსიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.
13. ალექსიძე ზ., დასახ. ნაშრომი, გვ. 197, 198, 251, შენ. 188.
14. იქვე, გვ. 251, შენ. 188.
15. იქვე, გვ. 188.
16. ზ. ალექსიძის აზრით, კირიონ ქართლის კათალიკოსი თავისი მრწამსით მონოთელიტი უნდა ყოფილიყო და ცდილობდა ქრისტიანობის სხვადასხვა სექტის (დიოფიზიტიზმი, მონოფიზიტობა, ნესტორიანობა) მორიგებას, რაც ფაქტობრივად, ქართლის გეოპოლიტიკური ვითარებით (ბიზანტიასა და ირანს შორის) იყო გაპირობებული. რამდენადაც VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ 680/1 წლებში მონოთელიზმი დაგმო და მაინც, ასე ვთქვათ, „წმინდა დიოფიზიტიზმს" მიემხრო საბოლოოდ, ამიტომ „კირონ მცხეთელი ქართლში ერეტიკოსად ჩაითვალა, მისი ნაწერები განადგურდა და კვალი ისტორიიდან ამოიშალა" (იხ. ალექსიძე ზ., დასახ. ნაშრომი, გვ. 242).
17. მოქცევაჲ, გვ. 95.
18. იქვე, გვ. 96.
19. „მოქცევაჲს" ქრონიკის ზემოხსენებულ ფრაზას ამ თვალსაზრისით პირველად ყურადღება მიაქცია ზ. ალექსიძემ (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 188, 189). ამ ფრაზის უცნაურობა, ჩანს, ძველ ქართველ ისტორიკოსებსაც აფიქრებდა. კერძოდ, სუმბატ დავითის ძე, რომლის პირველწყარო სწორედ „მოქცევაჲს" ქრონიკა იყო, ასე ცვლის მას: „და მთავრობდა ქართლს იგივე სტეფანოზ დიდი. კათალიკოსი იყო მეორე ბართლომე" (ქც, I, გვ. 375). ასევე ორი ბართლომე ჰგონია „მოქცევაჲს" ჭელიშურ რედაქციას (იხ. ძეგლები, I, გვ. 95,96).
20. ქც, I, გვ. 222.
21. იქვე, გვ. 223.
22. ალექსიძე ზ., ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 40.
23. იქვე, გვ. 83 და 179.
24. Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 31, 32; История Византий, т. I, стр. 351; Левченко М. В., История Византий, М.-Л., 1940, стр. 106.
25. Колесников А. И., გვ. 82.

26. Кулаковский Ю., გვ. 62.
27. Манандян Я. А., Маршруты персидских походов императора Ираклия, ВВ, т. III, 1950, стр. 134-138; Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 60-68.
28. ლომოური ნ., ირაკლი კეისრის ლაშქრობები ირანში და საქართველო. კრებ.: „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო", თბ., 1991, გვ. 113.
29. Джанашвили М. Г Осада Константинополя скифами, кои суть русские, и поход императора Ираклия в Персию. СМОМПК, вып. XXVII, Тиф., 1900, стр. 8. უფრო სწორად ეს სათაური კი არ არის, არამედ „თხრობის" დასაწყისი (სხვა მოკლე რედაქციით: „თხრობაჲ მარგებელი ძველთა თხრობათაგან შეკრებული"... იხ. „გეორგიკა„, IV_2, გვ. 416). მ. ჯანაშვილი წერს: "Манускрипт появился в свет в 1042 году, по заботам знаменитого Георгия Мтацминдели" (იქვე, გვ. 1).
30. СМОМПК, вып. XXVII, стр. 16,18.
31. Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 115, 116; Точная дата вступления Ираклия в Иерусалим могла быть установлена лишь в самое недавнее время на основании свидетельства повести "О пленении Иерусалима персами" Антиоха Стратига" 21. III, 630 г. (იქვე, გვ. 116, 117). ამგვარად „ძელი ცხოვრების" დაბრუნების ზუსტი თარიღი მხოლოდ ქართულ ხელნაწერებში ყოფილა შემონახული: იხ. Антиох Стратиг, Пленение Иерусалима персами в 614 г. Грузинский текст исследовал. издал, перевел и арабское извлечение приложил Н. Марр. С.Пб., 1909, გვ. ᲒᲒ: „და ვითარცა შემოვიდა იგი (ᲰᲔᲠᲐᲙᲚᲔ, დ. მ.) იერუსალᲩᲛᲐᲓ. კუალად აგო დიდებული იგი და პატიოსანი ძელი ჯუარისაჲ ადგილსავე თჳსსა თუესა მარტსა ოც და ერთსა (630 ნ. დ. მ.) დაბეჭდული, ეგრეთვე გუადრუცასა - შინა, ვითარ იგი წარელო" (ხოსრო ფარვიზს, დ. მ.).
32. მოვსეს კალანკატუაცი, გვ. 66.
33. ლომოური ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 116; გამყრელიძე ალ., ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის ცნობები ირაკლი კეისრის საქართველოში ლაშქრობის შესახებ. მსკი, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 220. ზ. ალექსიძეც (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 205) ამ ცნობას პირველ ლაშქრობას მიაწერს, თუმცა

რატომღაც აღნიშნავს, რომ ევტიხი „აღარ ახსენებს ლაზიკას"!

34. История епископа Себеоса, გვ. 79, 80.

35. ბასილ სოფენელი, „გეორგიკა", IV_2, გვ. 133, 136, 146, 179.

36. იქვე, გვ. 139, 141, 143; შდ. ლომოური ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 115. ავტორი ზუსტი არ არის მსჯელობისას. ტრაპეზუნტის „ქვეყანა" „ლაზიკეა" X ს-დან და არა IX-დან და არც თეოფანეა VIII ს-ის ავტორი.

37. თუ ასე არა, მაშინ უნდა გვეფიქრა, „ეგერთა ქვეყანაში" VII ს-ის ისტორიკოსი ტრაპეზუნტის მხარეს გულისხმობს ისევე, როგორც X ს-ის ბიზანტიური წყაროები; საამისო საფუძველი კი, როგორც ვიცით, უკვე IV-V საუკუნეებიდან არსებობდა, როდესაც ტრაპეზუნტი, მართლაც, ეგრისში შედიოდა (იხ. ზემოთ, თავი I, § 3).

38. Деяния Вселенских соборов, VI, Казань, 1882, стр. 193; ალექსიძე ზ., დასახ. ნაშრომი, გვ. 199, 200.

39. ალექსიძე ზ., დასახ. ნაშრომი, გვ. 200. ავტორის მიხედვით კიროს ფაზისელი იგივე კირონ მცხეთელი უნდა იყოს, რომელსაც 616 წლის შემდეგ ქართლში აღარ დაედგომებოდა და ეგრისის სამწყსოში გადასულა (იქვე, გვ. 197, 198).

40. Деяния, VI, стр. 180-184; ალექსიძე ზ., დასახ. ნაშრომი, გვ. 200.

41. ალექსიძე ზ., დასახ. ნაშრომი, გვ. 200, 203.

42. თეოფანე ჟამთააღმწერელი, „გეორგიკა", IV_1, გვ. 95. ალექსიძე ზ., დასახ. ნაშრომი, გვ. 200; Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 92; Манандян Я. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 139; ნ. ლომოური დასახ. ნაშრომი, გვ. 116. ავტორი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს: „ირაკლის ლაშქრობათა ძირითადი საწყისი პლაცდარმი ირანის წინააღმდეგ მთელი ომის მანძილზე არის ამიერკავკასიის ქვეყნები, პირველ რიგში კი ლაზიკა (დასავლეთ საქართველო) და ჭანეთი" (იქვე, გვ. 117), მაგრამ მგონია აჭარბებს, როდესაც მ. ლევჩენკოს კვალად (იხ. Левченко М. В., დასახ. ნაშრომი, იქვე) თვლის, რომ „ჭანები, ლაზები (ეგრები), აბაზგები, იბერები, ხოლო ირაკლის არმენიაში შეჭრის შემდეგ, აგრეთვე სომხები, წარმოადგენდნენ ბიზანტიის არმიის ძირითად ბირთვს, მის მთავარ საბრძოლო ძალას" (იქვე, გვ. 120).

ჯერ ერთი, იგივე თეოფანე ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, რომ როგორც ჩანს, იმავე 624 ნელს, სპარსთაგან შევიწროებული ჰერაკლე „წავიდა ჰუნების ქვეყნისკენ და... ბარბაროსები მას უკან დაედევნენ. ლაზებს და მათთან ერთად აბაზგებს შეეშინდათ და ისინი გამოეთიშნენ რომაელთა მოკავშირეობას და საკუთარ ქვეყანაში დაბრუნდნენ" (თეოფანე, გვ. 97; იხ. აგრეთვე Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ.71; Манандян Я., დასახ. ნაშრომი, გვ. 141). შემდეგ ნაწილი ივერიელებისა სპარსთა მხარეს იბრძვის (იხ. ქვემოთ) და 627 წლის 12 დეკემბერს ნინევიასთან გადამწყვეტ ბრძოლაში სპარსელებთან ბიზანტიელებმა „ვარსამუსე სპარსების ქვეშევრდომი იბერიელთა მთავარი, ცოცხლად იგდეს ხელთ" (თეოფანე, გვ. 101).

43. Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 74, 75; Манандян Я., დასახ. ნაშრომი, გვ. 146.
44. Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 76.
45. Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 75; Колесников, А. И. დასახ. ნაშრომი, გვ. 83, 84; Манандян Я., დასახ. ნაშრომი, გვ. 146.
46. თეოფანე, გვ. 98; Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 75.
47. ნიკიფორე კონსტანტინეპოლელი, "გეორგიკა", IV_2, გვ. 207; ასე ფიქრობს ი. კულაკოვსკიც იხ. Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 75.
48. СМОМПК. XXVII, стр. 48; "გეორგიკა", IV_2, გვ. 208, 422. მოინადა=მოუწოდა ნ. მარის განმარტებაა (იხ. Антиох Стратиг, стр. 26).
49. იხ. "გეორგიკა", IV_2, გვ. 208. შენ. 1.
50. ასე ფიქრობს ნ. ლომოური (იხ. მისი, ლაზეთის სახელწოდების საკითხისათვის, „მაცნე", №5, 1964, გვ. 82), თუმცა თვით წყაროს არ ასახელებს.
51. შდ. ნ. მარის მოსაზრებას: Антиох Стратиг, стр. 26: "Возникает вопрос, не сохранился ли в грузинском тексте... один из... источников Никифора"?..
52. ასე ფიქრობდა ი. კულაკოვსკიც: "Ираклий, который находился в ту пору в приморских местностях области Понт... с испытанными в боях сподвижниками, вероятно, еще летом 626 года, отправился морем в Лазику, или Колхиду, область тече-

ния реки Фазида (Риони)... По всему вероятию, Ираклий совершал переезд из Трапезунда" (Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 75.). ი. მანადიანი, ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის ცნობაზე დაყრდნობით, ი. კულაკოვსკის მიერ გამოთქმულ ზემოხსენებულ მოსაზრებას, რომ დას. საქართველოში ჰერაკლე ზღვით მივიდა, რატომღაც ფრიად საკამათოდ ("крайне спорно") თვლის (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 146).

53. თეოფანე, გვ. 98, 99, ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი, გვ. 207; Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 73.
54. СМОМПК, XXVII, стр. 48, 50.
55. მოვსეს კალანკატუაცი, გვ. 72, 73.
56. Артамонов М. И., История хазар, Л., 1962, стр. 146.
57. ასე ფიქრობს სავსებით სამართლიანად ზ. ალექსიძე, რომლის აზრით, ამჯერადაც ფაზისის მიტროპოლიტი „კიროსი ჩარეული ჩანს ჰერაკლე კეისრის მოლაპარაკებაში ხაზარებთან" (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 206).
58. ქც, IV, გვ. 795. ჰერაკლე კეისრის საქართველოში ლაშქრობასთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრებაში" კიდევ ერთი უაღრესად საინტერესო ცნობაა შემონახული: „მაშინ კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღჳს პირი" (ქც, I, 226), რომელიც თითქოს უადგილოდ ჩართული წინადადების შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა შესაძლებელია, რაღაც რეალური მოვლენის ამსახველი იყოს, რომელიც მოწმობს, რომ VII ს-ის დასაწყისში ჭოროხის ზემო წელი (სპერი) და ჭოროხის შესართავის სამხრეთი ზღვის პირის რაღაც ნაწილი ქართლში შემოდიოდა. მე მიჭირს ამ ცნობის ინტერპრეტაცია. რაც შეეხება პ. ინგოროყვასეულ განმარტებას, იგი მყარ საბუთებს არ ეყრდნობა და ამდენად ძნელი მისაღებია (იხ. მისი გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 206, 207). პ. ინგოროყვას შეხედულების კრიტიკა იხ. ლომოური ნ., ლაზეთის სახელწოდების საკითხისათვის, „მაცნე", №5, 1964, გვ. 75, 76.
59. Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 93; Артамонов М. И., დასახ. ნაშრომი, იქვე; ვ. გოილაძე, ლ. გუმილევზე მითითებით (იხ. А. Н. Гумилев, Древние тюрки, М., 1967) აღნიშნავს, რომ თურქთა კაგანატში დიდი ხანის (კაგანის) შემდეგ პირ-

ველი პირი „ჯაბღუ" („იაბღუ") იყო, რომელ ტიტულსაც ატარებდა კაგანის მემკვიდრე. „შათი" ეწოდებოდა ცალკეული საუფლისწულოების მფლობელებს (იხ. გოილაძე ვ., აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა და საქართველო, თბ., 1997, გვ. 79, 80, 84).

60. მოვსეს კალანკატუაცი, გვ. 69, 70, 73.

61. მოქცევაჲ, გვ. 95; სხვაგვარი მოსაზრებები იმპერატორის ქართლში ამ ლაშქრობის მარშრუტის შესახებ იხ. Манандян Я., დასახ. ნაშრომი, გვ. 148: "В Армянской географии" Джаник, т. с. страна цанов, или что то же - лазов, находившийся в р-нс Трапезундской области, был составной частью Егерии-Колхиды. Можно считать поэтому вполне возможным и даже вероятным, что под Егерией-Лазикой, откуда Ираклий прибыл в Тифлис, следует подразумевать не нынешнюю Мингрелию в Зап. Грузии, а "землю лазов" в Трапезундской области". ჩვენ ვიცით, რომ ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის ან თეოფანე ჟამთააღმწერლის „ლაზიკა" არ შეიძლება ტრაპეზუნტის მხარეს გულისხმობდეს. ამიტომ მცდარია ი. მანანდიანის მარშრუტიც: ტრაპეზუნტი-ერზინგიანი-ბიზანა (ევფრატზე)-კარინი-ვანანდი-შირაკი-თბილისი. სწორი არ უნდა იყოს აგრეთვე ვ. გოილაძე, როდესაც თვლის, რომ რადგან იმ დროს „გზა რანისა" იყო ბიზანტიის იმპერიასა და ქართლს შორის დამაკავშირებელი მაგისტრალი, 627 წლის ზაფხულში ჰერაკლე ტრაპეზუნტიდან ზიგანის უღელტეხილით ჯერ სატალაში, შემდეგ თეოდოსიოპოლში (კარნუქალაქი) მოვიდოდა. იქიდან კი ძველი „დიდი სამეფო გზის" (?! დ. მ.) შემადგენელი „რანის გზით" ქართლში შემოვიდოდა" (გოილაძე ვ., აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა, გვ. 61). გარდა იმისა, რომ აქაც საწყის პუნქტად არაკორექტულად ტრაპეზუნტია მიჩნეული, „გზა რანისა" ირანისა და ქართლის დამაკავშირებელი მაგისტრალი იყო და არა ბიზანტია-ქართლისა (იხ. მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966, გვ. 15, შენ. 42).

62. Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 106, შენ. 5; არსებობს მოსაზრებები, რომ ბოლო მონაკვეთი გზისა ზღვაზე იდო, ტრაპეზუნტიდან (ევტიხი) ანდა კარინ//თეოდოსიოპოლით ერზინგიანზე და კესარიაზე (ბოლოტოვი ვ., იოანე მამიკონიანზე დაყრდნობით: იხ. Антиох Стратиг, стр. 59).

63. მოქცევაჲ, გვ. 96.
64. ქც, I, გვ. 227, 228.
65. იხ. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ილია აბულაძის გამოცემა, თბ., 1955, გვ. 191.
66. „მეშვიდე წელი" ალბათ ჰერაკლეს პირველი ლაშქრობიდან უნდა ვივარაუდოთ, რაც 630 წ-ზე მოვა. მაგრამ „ქართლის ცხოვრების" სომხური თარგმანით, „მობრუნდა ერეკლე ხუთი წლის შემდეგ", რაც სწორედ 628 წელზე მოდის. ლეგენდარულია ის, რომ ჰერაკლემ „ძელი ცხოვრებისა" შემოიტანა ქართლში, რადგან სინამდვილეში ქრისტეს ჯვარი მან 630 წელს ჰიერაპოლიდან (ევფრატზე) სირიაში პირდაპირ იერუსალიმში წაიღო. (იხ. Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 115, 116).
67. Антиох Стратиг, стр. 58.
68. Антиох Стратиг, стр. 59.
69. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 141.
70. Антиох Стратиг, стр. 59.
71. ქც. I, გვ. 209.
72. იხ. მუსხელიშვილი დ., „მთა ქართლის" ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის, კრებ.: „„კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები", თბ., 1966. დღესაც ართვინ - არზრუმის შემაერთებელი ისევე, როგორც კოლას (მტკვრის სათავე) და ოლთისის (ჭოროხის აუზი) არზრუმთან დამაკავშირებელი შესანიშნავი გზატკეცილი სწორედ „გურჯი-ბოღაზზე" გადის.
73. ეს მარშრუტი რომ აირჩია, კეისარს, ჩანს, თავისი მოსაზრებები ჰქონდა: ჰერაკლეს უნდა დაეზვერა ის მაგისტრალი, უკეთ, იმ საერთაშორისო-სატრანზიტო მაგისტრალის თბილისი-თეოდოსიოპოლის შორისი მონაკვეთი, რომელიც „აბრეშუმის გზის" ამიერკავკასია-ბიზანტიის დამაკავშირებელი ძირითადი არხი უნდა გამხდარიყო (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ჩემი წერილი: თბილისი ადრეულ შუა საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობებში. კრებული: „ქართული დიპლომატია", ნელინდელი, ტ. VII, თბ., 2000, გვ. 43-46). აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ, როდესაც „ქართლის ცხოვრების" XII ს-ის სომეხი მთარგმნელი ქართული დედნის ზოგად ფრაზას: ჰერაკლე „წარემართა სპარსეთად

ძებნად ძელისა ცხოველისა, და მოვიდა პირველად ქართლს" (ქც, I, გვ. 224), თავისებურ კომენტარს უკეთებს: „წავიდა უფლის ჯვრის საძიებლად. გზა სომხეთზე დაიდვა, მოვიდა ბზნუნის და იქიდან გადავიდა ტფილისს" (ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გვ. 189), სწორი უნდა იყოს, რადგან „გზა სომხეთზე დაიდვა" კარინ//თეოდოსიოპოლს უნდა გულისხმობდეს, ხოლო „ბზნუნი" - არა ვანის ტბას და არც „ბიზანას" (ევფრატზე), როგორც ეს ი. მანანდიანს ჰგონია (იხ. მისი, Маршруты, გვ. 148), არამედ ქვემო ქართლის პუნქტს - „ბაზუნიქ", რომელიც სადღაც ტაშირშია და რომელიც XIII ს-ის სომეხ ისტორიკოს ვარდან დიდთან იხსენიება (იხ. Всеобщая история Вардана Великого, 1861, стр. 114).

74. თეოფანე, გვ. 100.
75. СМОМІІК, XXVII, стр. 50; Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 94.
76. ქც, I, გვ. 224.
77. მოვსეს კალანკატუაცი, გვ. 70.
78. გოილაძე ვ., აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა, გვ. 68.
79. თეოფანე, გვ. 100.
80. მოვსეს კალანკატუაცი, გვ. 71.
81. იქვე.
82. ქც, I, გვ. 224.
83. მოვსეს კალანკატუაცი, გვ. 71, 72.
84. ქც-ს მიხედვით (გვ. 224) სტეფანოზი ჯერ კიდევ პირველი ალყის დროს მოკლეს. ეს სტეფანოზი უნდა იგულისხმებოდეს, როდესაც სომეხი ისტორიკოსი თურქთა მიერ მოკლულ „ქართველ მთავარს" ასახელებს (იხ. გოილაძე ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 102).
85. მოვსეს კალანკატუაცი, გვ. 77.
86. იქვე.
87 იქვე, გვ. 81.
88. იქვე, გვ. 77.
89. Тревер К. В. Очерки, стр. 241.
90. Артамонов М. И., დასახ. ნაშრომი, გვ. 151; გოილაძე ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 113,114.
91. გოილაძე ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 68.
92. ალექსიძე ზ., ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 189, 251, შენ. 188.

93. მოქცევაჲ, გვ. 96; შდ. ქც, I, გვ. 375.
94. მოქცევაჲ, იქვე.
95. Цоцелия М., Каталог сасанидских монет Грузии, стр. 234.
96. აბრამიშვილი თ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1966, გვ. 125; იგივე, თბ., 1989, გვ. 23.
97. აბრამიშვილი თ., დასახ. ნაშრომი, თბ., 1989, გვ. 26-30; 26 (ჰერაკლეს ჰექსაგრამი სარაჩლოს განძიდან), 27 (ჰერაკლეს ჰექსაგრამი აკურიდან), 28 (ჰექსაგრამი სარაჩლოს განძიდან), 29 (4 ჰექსაგრამი სარაჩლოს განძიდან), 30 (ნავთსადენიდან 3 ჰექსაგრამი, 2 - სარაჩლოდან).
98. იქვე, გვ. 25 (შილდადან). ქართლის ტერიტორიაზე აღებული ხანის ნუმიზმატიკური მონაპოვრის შესახებ, იხ. აგრეთვე, მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 16, 17; Цоцелия М., Каталог, 229-234.
99. აბრამიშვილი თ., დასახ. ნაშრომი, თბ., 1966, გვ. 14, 15.
100. აბრამიშვილი თ., დასახ. ნაშრომი, თბ., 1989, გვ. 25, 27, 28, 31.
101. Пахомов Е. А., Монетные клады Азербайджана и Закавказья, Вып. I, 1926, стр. 21.
102. იქვე, №59.
103. Джалагания И. Л., Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв., Тб., 1979, стр. 18.
104. Джалагания И. Л., Монетные клады Грузии. Клад сасанидских и византийскых монет из Цитсли Цкаро, ч. I, Тб., 1980; ч. II, Тб.,1982.
105. იხ. მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, რუკა I.
106. Джалагания И. Л., Иноземная монета, стр. 19.
107. იქვე, გვ. 19, 20; Джалагания И. Л., Монетные клады Грузии, стр. 6.

თავი V. საქართველო VII ს-ის მეორე ნახევარსა და VIII ს-ის პირველ ნახევარში

VII ს-ის 30-40-იან წლებში ევრაზიის სტეპებში და მახლობელ აღმოსავლეთში დიდი პოლიტიკური ცვლილებები ხდება.

დაიწყო შინაომი დასავლეთის თურქთა კაგანატში, რის შედეგადაც იგი დაიშალა. მისი მემკვიდრეობა იკისრეს ხაზართა თურქულენოვანმა ტომებმა, რომლებიც დიდი ხანია, რაც აღმოსავლეთი ევროპის სტეპებში მომთაბარეობდნენ და თურქთა ხაკანს ემორჩილებოდნენ. საერთო არეულობაში მათ დრო მოიგეს, გადმოინაცვლეს ჩრდილო კავკასიაში, დაამარცხეს და დაიმორჩილეს აქ მოსახლე ტომები და, ფაქტობრივად, ახალი სახელმწიფო – ხაზართა კაგანატი – შექმნეს. ეს მოხდა 651 წელს. VII ს-ის მეორე ნახევარში ხაზარები სწრაფად აფართოებენ თავისი ბატონობის არეალს და 70-იანი წლებისათვის უკვე ჩრდილო კავკასიის მთელს დაბლობს ფლობენ კასპიისა და აზოვის ზღვებს შორის, თავის ხელისუფლებას ყირიმზეც კი ავრცელებენ[1].

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა მახლობელ აღმოსავლეთში. მას შემდეგ, რაც 572 წელს ირანმა დაიპყრო იემენი (არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთი), სასანელ შაჰანშაჰთა პოლიტიკის შედეგად, რომელიც მიზნად ისახავდა მონოპოლია შეენარჩუნებინა ჩინეთიდან და ინდოეთიდან ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში აბრეშუმისა და სხვა საქონლის იმპორტზე, ფუნქციონირება შენყვიტა მექასა და იემენზე გამავალმა სატრანზიტო-სავაჭრო გზამ ინდოეთიდან ბიზანტიაში.

სავაჭრო გზის ჩრდილოეთით, ირანში გადანაცვლებამ ფრიად უარყოფითად იმოქმედა არაბეთის ეკონომიკაზე, კერძოდ, მექას და იემენის საშუამავლო ვაჭრობაზე. ბედუინთა ტომები, რომლებიც შემოსავალს იღებდნენ ამ საქარავნო ვაჭრობისაგან, რამდენადაც სავაჭრო ქარავანი მათგან მარაგდებოდა აქლემებით, გამყოლებით და მცველთა რაზმებით, მძიმე მდგომარეობაში ჩაცვივდნენ და ბევრი მათგანი მექელ მოქალაქეთა წარჩინებული ფენის მოვალედ იქცა. არაბული საზოგადოება კრიზისმა მოიცვა. ამ მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნის პროცესში დაიბადა იდეა საგარეო დაპყრობითი ომე-

ბის შესახებ სირია–ირანზე გამავალი საქარავნო გზების ხელში ჩასაგდებად. ამისათვის კი საჭირო იყო არაბეთის პოლიტიკური გაერთიანება, რაც შესაძლებელია განხორციელებულიყო ერთიანი მონოთეისტური რელიგიის მეშვეობით, რომელიც გააერთიანებდა ყველა არაბს და დიდი დაპყრობითი ომების იდეოლოგიური საფუძველი გახდებოდა.

მართლაც, ეს იდეა განხორციელდა VII ს–ის ოციან წლებში და მისი ინიციატორი იყო მუჰამადი, რომელმაც მექაში, ჰიჯაზის (არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთი სანაპირო) და მის მახლობლად მობინადრე არაბი ტომების რელიგიურ ცენტრში ახალი მონოთეისტური რელიგიის – ისლამის – ქადაგება დაიწყო. მუჰამადმა, რომელიც თავს ღვთის, ალაჰის, მოციქულად და წინასწარმეტყველად აცხადებდა, თავის ერთგულ მიმდევრებთან ერთად შეძლო დიდი გავლენა მოეპოვებინა და სისხლისმღვრელი შინაომების შედეგად შეეკავშირებინა ისლამის დროშით მანამდე განცალკევებული წარმართი არაბული ტომები. მან შექმნა თეოკრატიული სახელმწიფო, რომლის პირველი მეთაურიც თვით იყო. 632 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა ერთგული თანამებრძოლი აბუ–ბექრი, რომელიც ქვეყანას მართავდა, როგორც „ხალიფა“ ანუ მუჰამადის მოადგილე. ასე დაიმკვიდრეს ახლად წარმოქმნილი არაბული სახელმწიფოს მეთაურებმა ეს ტიტული, ხოლო თვით ქვეყანას კი ამიტომ უწოდებდნენ „ხალიფატს“ ანუ „სახალიფოს“.

ახლად წარმოქმნილმა ისლამურმა სახელმწიფომ დაიწყო ფართომასშტაბიანი ომები მეზობელი ბიზანტიისა და სასანური ირანის წინააღმდეგ, რომლებიც ბოლო წლების ურთიერთშორისი განუწყვეტელი ომიანობის გამო ძლიერ დასუსტებულნი იყვნენ.

უკვე პირველი ხალიფას, აბუ–ბექრის დროს დაიწყო, ფაქტობრივად ერთდროული საომარი მოქმედება, როგორც ირანის, ისე ბიზანტიის წინააღმდეგ. 633 წელს არაბული ლაშქარი ერაყში (ასე უწოდებდნენ ტიგროსის და ევფრატის შუამდინარეთს) შეიჭრა და 637 წელს შევიდა ტიგროსის ნაპირას მდებარე ქტეზიფონში – სასანური ირანის სატახტო ქალაქში. 652 წელს არაბებს უკვე მთელი ირანი დაპყრობილი ჰქონდათ და ინდოეთის საზღვრებამდე იყვნენ გასულნი. 634 წელს ისინი სირიაშიც იწყებენ ლაშქრობას, სადაც სპარსელთა ხანგრძ-

ლივი ოკუპაციის შემდეგ, ანტიოქიაში მყოფი ჰერაკლე კეისარი ის–ის იყო ანესრიგებდა მდგომარეობას. არაბთა გამარჯვებებს ხელს ისიც უწყობდა, რომ სირია–პალესტინის ადგილობრივი ქრისტიანული და ებრაული მოსახლეობა, რომელიც უკმაყოფილო იყო ჰერაკლე კეისრის მკაცრი უნიონალური პოლიტიკით, არაბებში, რომლებიც პირველ ხანებში ტოლერანტულ პოლიტიკას ატარებდნენ, მხსნელებს ხედავდა ბიზანტიელთა ჩაგვრისაგან და მათ მხარეს გადადიოდა. 636 წელს მდ. იორდანის მახლობლად არაბებმა სასტიკად დაამარცხეს ბიზანტიელთა ლაშქარი. ჰერაკლემ იმედი დაჰკარგა სირიის დაცვისა და დატოვა ანტიოქია. სწორედ ამ დროს წარმოუთქვამს იმპერატორს ცნობილი ფრაზა: „მშვიდობით, სირია“, როგორც გადმოგვცემს თანამედროვე მემატიანე[2]. საინტერესოა, რომ ეს ტრაგიკული მომენტი ჰერაკლეს კეისრობისა, საქართველოშიაც ყოფილა ცნობილი და ქართველმა მემატიანემაც თითქმის ანალოგიურად შემოგვინახა იგი: „უთხრეს მეფესა ერაკლეს, ვითარ შემოვლენ აგარიანნი შამად (სირიაში) და ჯაზირეთად, რომელ არს შუამდინარე. და გამოვიდა ერაკლე ფილისტიმად (პალესტინაში), რათამცა ეწყო (შებრძოლებოდა) მუნ. ხოლო იყო მუნ მონაზონი ვინმე, კაცი ღმრთისა, და მან რქუა მეფესა: „ივლტოდეთ, რამეთუ უფალმან მისცა აღმოსავლეთი და სამხრეთი სარკინოზთა“ (არაბებს). გამარჯვების იმედდაკარგულმა „აღაშენა ერაკლე მეფემან სუეტი და დაწერა მას ზედა: „მშჳდობა შუამდინარეო და ფილისტიმო“[3]... მართლაც, ბიზანტიამ, ფაქტობრივად, საბოლოოდ დაჰკარგა ქრისტიანული სირია–პალესტინა, სადაც დროთა განმავლობაში ისლამი გაბატონდა.

არაბები კი შესაშური სისწრაფით ცეცხლითა და მახვილით აფართოებდნენ ბატონობის ასპარეზს, შეუჩერებლივ მოიწევდნენ წინ და სულ მოკლე ხანში კავკასიამდე მოაღწიეს.

ჰერაკლე კეისრის ირანთან ომის შედეგად, როგორც ვიცით, თითქმის მთელი სომხეთი და აგრეთვე ეგრისის და ქართლის სამთავროები ბიზანტიელთა მფლობელობაში მოექცა, ხოლო ალვანეთს ხაზარები დაეპატრონენ. მაგრამ ეს უკანასკნელნი, მალე გაეცალნენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიას, თურქთა კაგანატში დანყებული შინაამბოხების გამო და ალვანეთს უკანასკნელი სასანიდის, იეზდიგერდ III–ის (632–652 წწ.) დროს კვლავ ირანი დაეპატრონა[4]. ასე რომ, ამიერკავკასი-

აში მოსვლისას, არაბებს კვლავ ბიზანტიასთან და ირანთან მოუხდათ პირველ ხანებში დაპირისპირება.

640 წელს არაბებმა დვინი აიღეს, მაგრამ მალევე უკან გაბრუნდნენ. ქართლს კი მათი პირველი მარბიელი 642 თუ 643 წელს ეწვია. ეს იყო ახალგაზრდა არაბი სარდლის, ჰაბიბ იბნ მასლამას პირველი ლაშქრობა ქართლზე, მაგრამ იგი უიღბლო გამოდგა და არაბებს უკან დახევა მოუხდათ[5]. ჰაბიბმა მეორედ ქართლში 644/5 წლებში ილაშქრა და ზოგიერთი ძველი არაბი ავტორის (ბალაზური, იაკუბი) მისედვით სწორედ ამ დროს დაიპყრეს არაბებმა ეს ქვეყანა[6]. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ფაქტს უფრო გვიან ჰქონდა ადგილი. მანამდე კი გარკვეული მოვლენები განვითარდა სომხეთსა და ქართლში.

652 წელს კონსტანტინე კეისრისაგან სომეხთა გამგებლად დანიშნული პატრიკიოსი თეოდოროს რშტუნი როდესაც დარწმუნდა, რომ მოძალებული არაბების წინააღმდეგ ბრძოლა უიმედო იყო, გადაუდგა ბიზანტიას, სომეხი ნახარარების დიდ ნაწილთან ერთად არაბთა მოკავშირეობა იკისრა და ქვეყანაც მათ გადასცა. იმავე წელს იმპერატორი ლაშქრითურთ მოდის კარინში (დღ. არზრუმი) სადაც მას უერთდებიან თეოდოროს რშტუნის მოწინააღდეგე სომეხი მთავრები, მათ შორის სპერელი ბაგრატუნები, თვით კარინელები, ტაოელები, ბასიანელები და სხვ. როგორც სომეხი ისტორიკოსი სებეოსი გადმოგვცემს, თეოდოროსის მოკავშირეები ამ დროს იყვნენ ქართველები, ალვანელები და სივნიელები.

კონსტანტინე ოციათასიანი ლაშქრით აირარატში მიდის და ჩერდება დვინში, საიდანაც ქართლში, ალვანეთსა და სივნიეთში აგზავნის შეიარაღებულ რაზმებს, რომ დაშალოს ამ ქვეყანათა კავშირი თეოდოროსთან. ალვანელები და სივნიელები არ დამორჩილდნენ ბერძნებს და ამიტომ მათი ქვეყნები აოხრებულ იქნა. ქართლი კი, როგორც ჩანს, კვლავ ბიზანტიელებს მიმხრობია.

როდესაც ზამთარმა გაიარა, 653 წ–ის გაზაფხულზე თეოდოროსმა არაბული ლაშქრით შეუტია დვინში ჩამჯდარ ბიზანტიელებს, რომლებიც ტაოში გაიქცნენ. მაგრამ თეოდოროსმა იქიდანაც გამორეკა და ზღვამდე სდია მათ, აიღო ქალაქი ტრაპეზუნტი და უამრავი ნადავლითა და ტყვეებით უკან დაბრუნდა.

ამის შემდეგ თეოდოროსი დამასკოში მიდის, მოავიასთან (მომავალ ხალიფასთან), რომელმაც იგი დიდი პატივით მიიღო, დანიშნა „სომხეთის, ქართლის, ალვანეთის და სივნიეთის გამგებლად კავკასიის მთებამდე და ჩორის (დარუბანდის) კარამდე", და გამოისტუმრა ამ ქვეყნების დასაპყრობად.

ზამთრის პირზე დვინში კვლავ მოვიდა არაბთა ლაშქარი, რომლის მიზანიც იყო ქართლის დაპყრობა და აოხრება. მათ მოციქულები გააგზავნეს მოსალაპარაკებლად ქართველებთან, რომ ან დანებებულიყვნენ, ანდა აყრილიყვნენ და დაეტოვებინათ მიწა–წყალი. ქართველები არ დამორჩილებიან და ომისათვის მზადება დაუწყიათ. არაბებმა კი გამოილაშქრეს მათი საბოლოო განადგურების მიზნით. მაგრამ გზაში მყოფ არაბთა ჯარს ისეთმა ყინვებმა მოუსწრო, რომ ისინი სწრაფად უკან ასურეთისაკენ გაბრუნებულან. ამის შემდეგ თეოდოროს რშტუნი, რომელიც თავის მამულში, აღთამარის კუნძულზე ვანის ტბაში, იმყოფებოდა, არაბებს ლაშქარსა სთხოვდა ქართველების გასაჟლეტად...

იმავე 653 წლის ზამთარში ბიზანტიელებმა ისარგებლეს სომხეთიდან არაბთა წასვლით და მათმა ლაშქარმა სარდალ მავრიანოსის მეთაურობით აიღო დვინი, აქედან გაემართა ნახჭევანში, რომლის ციხე–სიმაგრეშიც არაბები იდგნენ და ალყა შემოარტყა მას.

654 წლის გაზაფხულზე არაბებმა კვლავ შემოუტიეს, დაამარცხეს ნახჭევანის მოალყე ბიზანტიელთა ჯარი და გაჟლიტეს. მავრიანოსმა თავს ქართლში გაქცევით უშველა... ასე მოგვითხრობს VII ს–ის 50–იანი წლების დასაწყისის მოვლენების შესახებ სომეხი ისტორიკოსი[7].

ბიზანტიელი ჟამთააღმწერელი თეოფანე მოკლედ აღნიშნავს 653 წლის ქვეშ, რომ „აბიბოსმა ილაშქრა არმენიის წინააღმდეგ... მავრიანეს სდია კავკასიის მთებამდე"[8].

ამგვარად, როგორც ირკვევა, არაბი სარდალი, რომელმაც მავრიანოსი დაამარცხა და სომხეთში შემოვიდა კვლავ ჩვენთვის უკვე ცნობილი ჰაბიბ იბნ მასლამაა. მართლაც, IX ს–ის არაბი ისტორიკოსი ბალაზური გადმოგვცემს, რომ მავრიანოსის დამარცხების შემდეგ ჰაბიბი იღებს კალიკალას (კარინ–ქალაქს), ხლათს, დვინს, ნახჭევანს და სხვა ქალაქებს სომხეთში და მხოლოდ ამის მერე მოემართება ქართლისაკენ[9]. ეს უნდა მომხდარიყო 654 წლის დამლევს ან 655 წელს[10]. არა-

ბების მიერ ქართლის დამორჩილება სხვადასხვაგვარად აქვთ აღნერილი არაბ ისტორიკოსებს, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მათი მონაცემები, ფაქტობრივად, ერთმანეთს ავსებს. ასე მაგალითად, X ს–ის დასაწყისის ისტორიკოსი ახმად იბნ ასამ ალ–ქუფი გადმოგვცემს, რომ ჰაბიბი „შევიდა (არმენიაში)... მიაღწია ქალაქს ხილატის სახელწოდებით (ხლათი ვანის ტბასთან, დ. მ.), სადაც ურწმუნოთა ერთი ბრბო იყო, და დაბანაკდა მის ციხე–სიმაგრეში. რამდენიმე დღის შემდეგ იქიდან იგი გაემართა, ვიდრე არ მიაღწია ქვეყანას სახელად სირაჯ (შირაკი, დ. მ.) და იქ დაბანაკდა. შემდეგ (ჰაბიბმა) მისწერა ჯურზანის მცხოვრებლებს. მასთან მივიდა მათ დიდებულთა ერთი ჯგუფი და ზავი დადო მათთან 80 000 დირჰემზე, რომელიც მიიღო. ამის გამო (ჰაბიბმა) დაუწერა მათ (შეუვალობის) სიგელი"[11].

იგივე ამბავს ბალაზური ასე მოგვითხრობს: მას შემდეგ, რაც ჰაბიბ იბნ მასლამამ დვინი აიღო, „ღრმად შევიდა ქვეყანაში და გაჩერდა ჯურნისთან (გარნისთან, დ. მ.), მივიდა აშოშამდე და ზათ–ულ–ლუჯუმამდე... და აჰრარის ველამდე და დაიკავა დაბილის (დვინის, დ. მ.) ყველა სოფელი"[12]. როგორც ვხედავთ, აქ დვინის „ქვეყნის" დამორჩილებაზეა საუბარი, ეს კი იგივე „შირაკია" ანუ ალ–ქუფის „სირაჯ". შემდეგ, შეიძლება გვეევარაუდა, რომ ის პუნქტები, სადამდისაც მიუწია არაბთა ლაშქარმა, სასაზღვრო ორიენტირებს წარმოადგენს. მართლაც, „აშოში" იგივე სომხური წყაროების „აშოცი" ანუ ქართული „აბოცი" უნდა იყოს, ხოლო „აჰრარის ველი" თუ „ახრარის ველი", ალბათ მდ. ახურიანის ველია, რომლის სათავეებშიც მდებარეობს სნორედ აბოცი. თუ ჩვენი ვარაუდი სნორია, მაშინ ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ აბოცი, როგორც „დვინის ქვეყნის" საზღვარი შესაძლებელია მხოლოდ ქართლის მომიჯნავე ტერიტორია იყოს. სადღაც მახლობლად უნდა ყოფილიყო ზათ–ულ–ლუჯუმიც, რომლის იდენტიფიკაცია, სამწუხაროდ შეუძლებელია.

საქმე ის არის, რომ სომხეთის დაპყრობის შემდეგ, როგორც ვიცით, ჰაბიბ იბნ–მასლამა ჯურზანისაკენ გაემართა. „ჯურზანი" იგივე ქართლია არაბულად (სირიული „გურზანიდან"). როდესაც მისი ლაშქარი მივიდა ზათ–ულ–ლუჯუმში, იქ შეისვენეს. ამ ადგილას მოხდა შეტაკება ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელშიც არაბებმა გაიმარჯვეს. ამის შემდეგ

მოვიდა ჰაბიბთან, ჩანს, იმავე ზათ–ულ–ლუჯუმში ქართლის პატრიკიოსის მოციქული ზავის თხოვნით[13].

რომ „ჯურზანი" აღმოსავლეთ საქართველოს ან ძველი ქართლის სამეფოს ტერიტორიას მოიცავს, ეს დასტურდება იმავე ბალაზურის ცნობით, რომ ირანის შაჰმა ხოსრო ანუშირვანმა ჯურზანში ააგო შემდეგი ციხესიმაგრეები: ფირუზ–კობადი (სომხ. პეროზ–კავატი და ქართ. პეროჟაკაფა), ლაზიკის კარი, ბარიკას კარი – ტრაპეზუნტის ზღვასთან, დარიალანი, სამცხის კარი, ჯარდამანი (ქართ. გარდაბანი) და სამშვილდე[14]. მიუხედავად იმისა, რომ ამ პუნქტთა უმეტესობის ზუსტი ლოკალიზაცია უცნობია, მაინც ადვილი დასანახია, რომ ისინი მოიცავენ ტერიტორიას დარიალიდან ქვემო ქართლის (სამშვილდე) ჩათვლით ეგრისამდე („ლაზიკის კარი") და შავ ზღვამდე („ტრაპეზუნტის ზღვასთან") ანუ სწორედ მთელი ქართლის სამეფოს ტერიტორიას.

ზათ–ულ–ლუჯუმში ზავის თხოვნით მოსულ ქართლის პატრიკიოსის მოციქულს ჰაბიბ იბნ მასლამამ ე. წ. „დაცვის სიგელი" მისცა და უკან გაბრუნებულს თავისი წარმომადგენელიც გააყოლა წერილით თბილისის მოსახლეობისადმი.

საინტერესოა, რომ ეს დოკუმენტები არაერთ ძველ არაბ ისტორიკოსთანაა შემონახული, კერძოდ: აბუ–უბაიდთან (770–839 წწ.), ჰუმაიდ იბნ ზანჯუვაიჰთან (796–865 წწ.), ბალაზურისთან (+892 წ.), ტაბარისთან (838–926 წწ.) და იაკუთ ალ–ჰამავისთან (1179–1229 წწ.)[15]. ეს, როგორც ჩანს, იმით არის გაპირობებული, რომ ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი" და მისი წერილი თბილისელებისადმი, როგორც ხელშეკრულების ტექსტი დადებული არაბების მიერ იმ ხალხთან, რომელიც ნებაყოფლობით დამორჩილდა მათ, სანიმუშო იყო ანალოგიურ დოკუმენტთა შორის[16]. მოვიყვან „დაცვის სიგელის" იბნ ზანჯუვაიჰისეულ ტექსტს, რამდენადაც იგი მისივე მითითებით, უძველესი აბუ უბაიდისეული ტექსტიდანაა გადმოწერილი და ამავე დროს უკეთ არის შემონახული:

„სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა,

ესაა ჰაბიბ იბნ მასლამას სიგელი ალ–ჰარმაზის ქვეყნის თაფლისის (თბილისის) მცხოვრებთათვის: (გეწყალობათ) თქვენ, თქვენს შვილებს. ოჯახებს, სენაკებს, ეკლესიებს, სარწმუნოებას შეუვალობა დამამცირებელი ჯიზიის (სულადი გადასახადის) აღიარებით. ყოველ კომლზეა სრული დინარი (ოქ-

როს მონეტა). თქვენ არ გაქვთ უფლება გააერთიანოთ სხვადასხვა ოჯახები ჯიზიის შესამცირებლად. არც ჩვენ გვაქვს უფლება, რომ დავყოთ კომლი ჯიზიის გასადიდებლად. ჩვენ გვექნება თქვენი გულწრფელობა და შეწევნა ალაჰისა, მისი მოციქულისა და მორწმუნეთა მტრის წინააღმდეგ, რამდენადაც თქვენ შეძლებთ.

გაჭირვებული მუსლიმის გამასპინძლება, ღამით კეთილად ნიგნის ხალხთათვის (მაჰმადიანთათვის) ნებადართული საჭმლითა და მათთვისვე ნებადართული სასმლით; მითითება გზისა თქვენთვის ზიანის მიუყენებლად. თუკი ვინმე ჩამორჩება თქვენგან მორწმუნეებს, თქვენზეა მისი მიყვანა მართლმორწმუნეთა და მუსლიმთა უახლოეს რაზმამდე... და თუ მორწმუნეებს (არაბებს) არ ეცლებათ თქვენთვის და თქვენ დაგიმორჩილებთ მტერი, ამის გამო არ დაისჯებით და ეს არ იქნება თქვენი პირობის დარღვევა მას შემდეგ, რაც თქვენ დაუბრუნდებით მორწმუნეებსა და მუსლიმებს. ესაა თქვენი მოვალეობანი და ესაა თქვენი უფლებანი. მოწმეა ალაჰი, მისი ანგელოსები, მოციქული და მორწმუნენი. საკმარისია ალაჰის მოწმობა"[17].

რაც შეეხება წერილს თბილისის მოქალაქეებისადმი, არაბი სარდალი ასე მიმართავდა მათ:

„ჰაბიბ იბნ მასლამასაგან თაფლისის მცხოვრებლებს: მშვიდობა თქვენ! მე ვადიდებ თქვენთან ალაჰს, თვინიერ რომლისა არა არს ღმერთი. შემდეგ კი, აი რა: თქვენი წარმოგზავნილი თუფილა (ქართველი მოციქულის სახელი) მოვიდა ჩემთან და ჩემს თანამორწმუნეებთან და თქვენი სახელით თქვა: ჩვენ ვართ ხალხი, რომელსაც ალაჰმა მიანიჭა სიცოცხლე და განადიდა... თქვენი სახელით თუფილამ თქვა: ალაჰმა დასცა ჩვენს მტერს შიშის ზარი ჩვენგან და ჩვენ არა გვაქვს არც ძალი და არც ღონე, თუ არა ალაჰით. მან თქვა, რომ თქვენ მოისურვეთ ჩვენი მშვიდობა და მე და მორწმუნეებმა, რომელნიც ჩემთან არიან, მოვიწონეთ ეს თქვენი (საქმე). მე და ჩემთან მყოფმა მორწმუნეებმა შევაფასეთ იგი. მისი საქონელი და ნაღდი ფული ასი დინარია (თუფილას მიერ მორთმეულ ძღვენზეა საუბარი, დ. მ.), გარდა თქვენზე დადგენილისა, მაგრამ ყოველ კომლზეა სრული დინარი ჯიზია და არა გამოსასყიდი. და მე დაგიწერეთ მართლმორწმუნეთა დიდებულების თანდასწრებით თქვენი ვალდებულებისა და შეუვალობის სი-

გელი, რომელიც თქვენ გამოგეგზავნათ აბდ არ–რაჰმან იბნ ჯაზ ას–სულამისთან ერთად. ეს არის მისი სიგელი. თუ თქვენ სცნობთ, რაც მასშია, მაშინ იგი თქვენ გადმოგცემთ მას და თუ უარყოფთ, იგი გამოგიცხადებთ ომს, ალაჰის, მისი მოციქულის და მორწმუნეთა სახელით განურჩევლად. მართლაცდა ალაჰს არ უყვარს მოღალატენი. სალამი მას, ვინც სწორ გზას მიყვება"[18].

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ გაცემული „დაცვის სიგელი" არც თუ მაინცდამაინც მძიმე პირობებს უყენებდა ქართლის მოსახლეობას: 1) სარწმუნოებრივი აღსარება თავისუფალია; 2) „დამამცირებელი ჯიზია" თითო კომლზე ერთი დინარია; 3) დამორჩილებული მოსახლეობა არაბთა სასარგებლოდ სამხედრო ვალდებულებას კისრულობს; 4) არაბები იძლევიან მტრისგან უშიშროების გარანტიას...

აღსანიშნავია, რომ, თუკი ჰაბიბის წერილი მიმართულია საკუთრივ თბილისის მოსახლეობისადმი, „დაცვის სიგელი ", რომელიც ბალაზურის მიხედვით თვით ჰაბიბს დაუწერია, როდესაც იგი თბილისს ჩასულა[19], ამასთან ერთად სხვა საინტერესო რეალობასაც შეიცავს.

ჩვენ ხელთ არსებული მასალის მიხედვით ასეთი სურათი ჩანს:

აბუ უბაიდთან და იბნ ზანჯუვაიჰთან: „სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. ესაა ჰაბიბ იბნ მასლამას სიგელი **ჰარმაზის ქვეყნის თბილისის მცხოვრებთათვის**"[20].

ტაბარისთან: „სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. ეს არის წიგნი ჰაბიბ იბნ მასლამასაგან თბილისის **მოსახლეობისადმი ჯურზანიდან, არმაზის მიწიდან**"[21].

ბალაზურისთან: „სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. ეს არის წიგნი ჰაბიბ იბნ მასლამასაგან **თბილისის მოსახლეობისადმი მანგლისიდან, არმაზის ჯურზანიდან**"[22].

იაკუთთან: „სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. ეს არის წიგნი ჰაბიბ იბნ მასლამასაგან **თბილისის მოსახლეობისადმი მანჯალისის რუსთაკიდან (მანგლისის თემიდან, დ. მ.) ჰარმაზის ჯურზანიდან**"[23].

დასასრულ, ჩვენ გვაქვს არაბი სარდლის, ჯარაჰ იბნ აბდალაჰის მიერ VIII ს–ის დასაწყისში გაცემული ჰაბიბ იბნ მას-

ლამას განახლებული სიგელის ტექსტი, რომელიც შემონახულია იმავე ბალაზურისთან: „სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. ეს (არის) წიგნი ჯარაჰ იბნ აბდალაჰისგან **თბილისის მოსახლეობისადმი, მანგლისის თემიდან, ჯურზანის ოლქიდან**“[24].

როგორც ვხედავთ, „დაცვის სიგელის“ არც ერთი დღემდე შემონახული ტექსტი, გარდა აბუ უბაიდისა და იბნ ზანჯუვაიჰისა, რომელთაგან მეორე, ფაქტობრივად, პირველიდანაა გადმოწერილი, არ იმეორებს ერთიმეორეს და ყველა მათგანი დაზიანებულადაა ჩვენამდე მოღწეული. მიუხედავად ამისა საერთო აზრის გამოტანა ძნელი არ უნდა იყოს. საუბარია ქართლის (იბერიის) დედაქალაქის თბილისის და საკუთრივ ეთნოგრაფიული ქართლის დამორჩილებაზე. სწორი უნდა იყოს დოკუმენტის ნაკლული ადგილის ასეთი აღდგენა: „ესე არს წიგნი ჰაბიბისა მასლამას ძისაჲ მცხოვრებთა მიმართ ქალაქისა ტფილისისათა, სანახებისა მანგლისისათა და არმაზისათა ქართლში“[25].

ის ფაქტი, რომ „დაცვის სიგელის“ შემორჩენილი ვარიანტებიდან ყველასათვის საერთო „თბილისის მოსახლეობის“ გარდა, სამგან (ბალაზური, იაკუთი) ნახსენებია მანგლისი, ხოლო ოთხგან (აბუ უბაიდი//იბნ ზანჯუვაიჰი, ტაბარი, ბალაზური, იაკუთი) არმაზი, ცხადია, მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ აქ შემთხვევით ჩამოთვლილ პუნქტებთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ სრულიად გარკვევით და შეგნებულად აღნიშნულ მნიშვნელოვან ცენტრებთან. და, რა თქმა უნდა, სწორია, არსებითად, ის მოსაზრება, დამყარებული ტექსტის რუსულ თარგმანზე, რომ „დაცვის სიგელი“ გაცემულია თბილისში დაბანაკებული ჰაბიბის მიერ თბილისის მცხოვრებლებისა, შიდა და ქვემო ქართლის მოსახლეობის წარმომადგენლებისადმი[26]. ამგვარად, ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ გაცემული ზემოხსენებული საბუთის დასაწყისის აზრობრივი აღდგენა ყველაზე უფრო მიზანშეწონილად ასე გვგონია: „დაცვის სიგელი“ გაცემულია „თბილისის მოსახლეობისადმი და (მოსახლეობისადმი) მანგლისის თემიდან და არმაზის ჯურზანიდან“ ანუ სხვაგვარად, „ქართლის მოსახლეობისადმი თბილისიდან, მანგლისის და არმაზის თემებიდან“. მაშასადამე, ჩვენი აზრით, აქ საუბარია არა მთელ ქართლზე (იბერიაზე), რამდენადაც არაბებს იგი მთლიანად დამორჩილებული ჯერ არ ჰქონიათ, არამედ

თბილისზე, როგორც სახელმწიფოს დედაქალაქზე და ქართლის (იბერიის) ორ კონკრეტულ „ქვეყანაზე", რომელიც ამჯერად დაიპყრეს მათ: მანგლისის თემზე ანუ ქვემო ქართლის საპიტიახშოზე ცენტრით მანგლისში და „არმაზის მიწაზე" ანუ, შიდა ქართლის ნაწილზე ცენტრით არმაზში (სასპასპეტო?).

რომ მანგლისი მნიშვნელოვანი, პირველ რიგში, საეკლესიო ცენტრი იყო ქვემო ქართლისა, დავას არ უნდა იწვევდეს: აქ, როგორც ვიცით, უკვე IV ს–ში შენდება ქრისტიანული ეკლესია, რომელიც მცხეთის ჯვართან ერთად უდიდესი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ქართლში, არამედ ამიერკავკასიის მთელ ქრისტიანულ სამყაროში[27] არ არის გამორიცხული, რომ ჩვენთვის საინტერესო ხანაში მანგლისი ამავე დროს ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრსაც წარმოადგენდა და, როგორც იყო აღნიშნული, „ქართველთა საპიტიახშოს" რეზიდენციას[28]

რას უნდა გულისხმობდეს „არმაზის ქართლი"?

ჩვენი აზრით, აქ უნდა ივარაუდებოდეს ქართლის ის ნაწილი, რომლის ცენტრსაც იმ დროს არმაზი წარმოადგენდა, ე. ი. არმაზი „შესავალი ქვეყნით" ანუ მისი ადმინისტრაციულ–ეკონომიკური რაიონით (შედ. „არმაზის მიწა" ტაბარისთან). ეს „ქვეყანა", რა თქმა უნდა, პირველ რიგში უნდა ყოფილიყო შიდა ქართლი, უკეთ, მისი გარკვეული ნაწილი. არმაზი, როგორც ცნობილია, გვიანანტიკურ ხანაში ქართლის სამეფოს ფრიად მნიშვნელოვანი ცენტრი – პიტიახშთა რეზიდენციაა. მნიშვნელოვან პუნქტად რჩება იგი ადრექრისტიანულ ხანაშიც[29], მაგრამ გვაქვს კი საფუძველი შიდა ქართლის ასეთივე მნიშვნელოვან ცენტრად წარმოვიდგინოთ იგი ადრეფეოდალურ ხანაში და, კერძოდ, მაინცდამაინც VII ს–ში?

ვფიქრობთ, ამის სრული საფუძველი არსებობს.

საქმე ის არის, რომ „მთა ქართლის" (არმაზი) აღმოჩენასთან დაკავშირებით, 1960–1961 წლებში აქ გაშლილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ადრეფეოდალური ხანის გრანდიოზული ციხე–სიმაგრის ნაშთები, რომელიც, უეჭველია, შიდა ქართლის ფრიად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრი უნდა ყოფილიყო[30] და რომელიც ამავე დროს ქართლისთვის უაღრესად მნიშვნელოვან ეკონომიკურ მაგისტრალს აკონტროლებდა[31] სწორედ ამ ციხე–სიმაგრეს

დაქვემდებარებული ტერიტორია ქართლისა უნდა იგულისხმებოდეს, პირველ რიგში, ცნებაში „არმაზის ქართლი“ თუ „არმაზის მიწა“. ეს ციხე–სიმაგრე აგებული უნდა იყოს IV ს–ის მეორე და V ს–ის პირველ ნახევარში[32] და მისი, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრის, ფუნქციონირება VII ს–ში სრულიად უდავო ფაქტია[33].

რა ტერიტორიას მოიცავდა არმაზციხის „შესავალი ქვეყანა“ ანუ არაბული წყაროების „არმაზის მიწა“ თუ „არმაზის ქართლი“? ეს უნდა ყოფილიყო ტერიტორია, რომელიც ქართლის სამეფოს ისტორიის უძველეს ხანაში სასპასპეტო მხარედ ითვლებოდა, ტერიტორია „არაგვთგან და არმაზითგან ვიდრე ტასისკართამდე უწოდა ამას ქუეყანასა ზენას სოფლისა, რომელსა ან ჰქჳან შიდა ქართლი“[34]. პირველ რიგში ეს უნდა ყოფილიყო „მტკუარსა სამჴრით კერძო“, მტკვრის მარჯვენა სანაპირო ქართლი[35] ანუ გვიანდელი ტერმინოლოგიით შიდა ქართლის გაღმამხარი. სავარაუდოა სპასპეტის რეზიდენცია სწორედ არმაზციხე ყოფილიყო[36].

ამგვარად, ერთხელ კიდევ გავიმეორებთ: ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ გაცემულ „დაცვის სიგელში“ საუბარია არაბთა მიერ ამ დოკუმენტის გაცემის დროს უშუალოდ დაპყრობილი ტერიტორიის შესახებ: ქვემო ქართლზე ცენტრით მანგლისში (საპიტიახშო) და შიდა ქართლზე, უკეთ მის ნაწილზე ცენტრით არმაზში (სასპასპეტო). რაც შეეხება თბილისს, რომელსაც, ცხადია, თავისი „მიმდგომი ქუეყანაც“ (სომხური გეოგრაფიის „პარუარი“) გააჩნდა, იგი პირველ რიგში უნდა ყოფილიყო, რა თქმა უნდა, აღნიშნული, როგორც არა მარტო საკუთრივ ქართლის, არამედ „ყოველი ქართლის“ (იბერიის) დედაქალაქი, სადაც ამავე დროს იჯდა ქვეყნის სუვერენი – ქართლის ერისმთავარი.

თბილისის და ქართლის ზემოხსენებული მხარეების დამორჩილების შემდეგ არაბებმა ასევე უბრძოლველად აღმოსავლეთი საქართველოს დანარჩენი კუთხეებიც დაიჭირეს, როგორც ჩანს, ესენიც განსაკუთრებული „დაცვის სიგელების“ საფუძველზე, რომელთაგან, სამწუხაროდ, არც ერთი არ არის ცნობილი[37]. ამ დამორჩილებული ქვეყნების ნუსხა შემონახულია ბალაზურისთან[38]. პირველ რიგში ჩამოვთვლით იმ მხარეებს, რომელთა იდენტიფიკაციაზე ეჭვი არავის მიაქვს. ესენია: ხუნანი, გარდაბანი, თრიალეთი, სამცხე, არტაანი,

შავშეთი, კლარჯეთი, კახეთი, კუხეთი, ბაზალეთი, დარიალანი წანარებითურთ და დიდოელები[39].

განსამარტავია მხოლოდ ოთხი გეოგრაფიული სახელწოდება: 1) „ქსალ", რომელსაც „ქსანად" აღადგენენ, მაგრამ ეს არ უნდა იყოს სწორი. როგორც ირკვევა, ასე დღევანდელი აღსტაფა–ჩაის (აზერბაიჯანის რესპუბლიკაში), ძველი „ქასალ"//„ქასახ"–ის (შდ. დღევანდელი ქ. ყაზახი) ხეობას ეწოდებოდა[40] 2) „ქსთსჯი" თუ „ქსისხი" რომელსაც აგრეთვე სხვადასხვანაირად ხსნიან, მაგრამ ჩვენი აზრით, უნდა აღნიშნავდეს „ქსნისხევ"–ს, რაც დიაკრიტული ნიშნების გადასმით სავსებით რეალურია. მით უმეტეს, რომ ასეთ ადმინისტრაციულ ერთეულს ქართლში უკვე სომხური „აშხარაცუიცი" იცნობს[41]. 3) „ქსფი ბის" ან „ქსფრ ბს", რომელსაც „ქსოვრისად" აღადგენენ, მაგრამ არც ეს უნდა იყოს სწორი. საფიქრებელია, აქ „კასპი" იგულისხმებოდეს, რადგან ქართული წყაროებით ადრეფეოდალურ ხანაში ცნობილია „კასპის სპასალარი"[42] და ე. ი. კასპი, როგორც მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი. დასასრულ, 4) „ჰვარჰ" ან „ჯრახ", რომელსაც „ხერკად" აღადგენენ, მაგრამ მისი, დიაკრიტული ნიშნების გადასმით, „ჯავახ"–ად ანუ ჯავახეთად გააზრება უფრო სწორი უნდა იყოს[43].

ამგვარად, საბოლოოდ რომ მოვიყვანოთ არაბული ნუსხა დამორჩილებული ქართლის პროვინციებისა, ასეთი სურათი იქმნება: ჰაბიბ იბნ მასლამას 654 წელს დაუმორჩილებია კახეთი, კუხეთი, ხუნანი, ქასალი (დღ. აღსტაფა–ჩაის ხეობა), გარდაბანი, ქვემო ქართლი (ძველი საპიტიახშო), თრიალეთი, შიდა ქართლი (ძველი სასპასპეტო), ბაზალეთი (არაგვის ხეობა), ქსნისხევი, კასპი (ძველი სასპასალარო), ჯავახეთი, სამცხე, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, დარიალანი წანარებითურთ (დღ. ხევი და მიმდგომი მთიანეთი), დიდოელები (დღ. დასავლეთი დაღესტანი). ქართული წყაროების ენით რომ ვთქვათ, ეს არის ტერიტორია „ხუნანიდან ვიდრე ზღუადმდე სპერისა" ანუ დაახლოებით ძველი ქართლის სამეფოს მთელი ტერიტორია არგვეთის პროვინციის გამოკლებით დასავლეთით, სადაც ამჯერად არაბები ვერ შესულან, და კამბეჩოვანის პროვინციისა – აღმოსავლეთით.

ამ უკანასკნელთან დაკავშირებით სხვა ვითარებაა.

კამბეჩოვანი, რომელიც ვახტანგ გორგასალმა, როგორც ვიცით, თავის მეფობის ბოლოს შემოიმტკიცა, მთელი VI ს–ის განმავლობაში და VII ს–ის პირველ ნახევარშიც ქართლის სახელმწიფოს ერთ–ერთ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა. ასე მაგალითად, ალვანელი ისტორიკოსის, მოვსეს კალანკატუაცის ცნობით VII ს–ის 30–იანი წლების ბოლოს თუ 40–-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ალვანეთი განთავისუფლდა თურქთა ბატონობისაგან და ჯევანშირის, „გარდმანის უფლისა და ალვანთა მთავრის" ზეობისას (639–669 წწ.) ერთხანს დამოუკიდებლობასაც კი მიაღწია[44], ეს უკანასკნელი სპარსელებთან საბრძოლო შეტაკების შემდეგ ქალაქ პარტავთან, „სწრაფად მიბრუნდა თავისი მამეული ქვეყნის საზღვრებიდან მტკვარგაღმა კაპიჭანის (კამბეჩოვანი) მხარეში", სადაც კიდევ ერთხელ დაამარცხა სპარსელთა რაზმი და „კუალად სახელოვნებით ისვენებდა ქართლის საზღვრებზე და იქ მოვიდა მასთან დიდად პატივცემული კაცი, ატრნერსეჰ, იმ ქვეყნის მთავარი, რომელსაც სამგზისი დიდი წოდებულება ჰქონდა ბერძენთა მეფობისაგან, და თავისი ნებით უხვევდა მას ჭრილობებს და უხაროდა მისი (ჯევანშირის) დიდი სიმხნის გამარჯვება. მაშინ დაამყარეს ერთმანეთში სამშვიდობო და ურღვევი თანხმობა. და აიყვანა (ჯევანშირმა) დასახმარებლად ქართლის ლაშქარი და სწრაფად გაეშურა უტის მხარეში"[45]. ეს ატრნერსეჰ მოვსეს კალანკატუაცისა ჩვენთვის უკვე ცნობილი ადარნასე ქართლის ერისმთავარია და, როგორც ასეთი, არის „მთავარი იმ ქვეყნისა" ანუ კამბეჩოვანისა. სწორედ ამიტომ მოდის აქ ჯევანშირის სანახავად და მტერზე გამარჯვების მისალოცად[46].

VII ს–ის 40–იანი წლების ბოლოს და 50–იან წლებში სხვაგვარი ვითარებაა. არაბი ისტორიკოსის ბალაზურის მიხედვით არანის (ალვანეთის) დაპყრობა ხალიფა ოსმანმა სარდალ სალმან იბნ რაბიას დაავალა[47] როდესაც იგი ამ ქვეყანაში სალაშქროდ შემოსულა, პირველად დაიჭირა ქალაქი ბაილაქანი (მტკვარ–არაქსის შესართავთან) და მისცა მას „დაცვის სიგელი" წამოსულა ჩრდილო–დასავლეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირის აყოლებით და დაუპყრია ბარდავი მისი მახლობელი სოფლებით, ხოლო შემდეგ – ძველი ალვანური პროვინციები: შავშინი (შაკაშენი), მესვანი (მეწკვანქი, ქართული წყაროს მეწეკევანი)[48], უდი (უტი), მესირანი (მეწირანქი),

ჰერჰილიანი (ჰარჩლანქი) და სხვა ადგილები არანში. სალმანმა ამის შემდეგ დაიჭირა ძველი ქალაქი შამქორი და გაბრუნდა უკან, მტკვარ–არაქსის შესართავისაკენ. აქ გადავიდა მტკვრის მეორე ნაპირზე და დაიპყრო არანის მარცხენა სანაპიროს ქვეყნები: ყაბალა, შაქი, კამიბერანი და სხვ[49].

როგორც სამართლიანად ფიქრობენ, არაბული წყაროს „კამიბერანი" უნდა იყოს შერყვნილად გადმოცემული კამბეჩანი//კამბეჩოვანი[50].

სალმან იბნ რაბია ხაზარებთან ბრძოლაში, ჩრდილო კავკასიაში, ქ. ბელენჯერთან დაიღუპა 652/3 წელს[51], ხოლო არანში მის ლაშქრობას 645/6 წელს, ვარაუდობენ[52]. ე. ი. მაინცდამაინც VII ს–ის 40–იანი წლების მეორე ნახევარში კამბეჩოვანი პოლიტიკური თვალსაზრისით ქართლიდან გამოთიშული ჩანს. როგორ მოხდა ეს, ძნელი სათქმელია, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ამ ქართულ პროვინციაში ალვანური მოსახლეობაც არსებობდა, სწორედ მათმა მესვეურებმა ანუ, ასე ვთქვათ. „ალვანურმა პარტიამ" ისარგებლა არასტაბილური მდგომარეობით 40–იანი წლების ამიერკავკასიაში, ან სულაც სწორედ სალმან იბნ რაბიას შემოსევით, და არაბებთან კავშირში ქვეყანა პოლიტიკურად ალვანეთს შეუერთა.

ამჯერად არაბთა ბატონობა ქართლში დიდხანს არ გაგრძელებულა, სულ ორიოდე წელს თუ იყვნენ ისინი ქართლში, რადგან 657 წელს სახალიფოში შინაომი ატყდა, რომელმაც 661 წ–მდე გასტანა, როდესაც მოავიამ მოკლა ხალიფა და ტახტზე თვით დაჯდა[53]. ამით დაედო საფუძველი ომაიადელთა დინასტიას.

უკვე VII ს–ის 50–იანი წლების დასაწყისში, როდესაც არაბებმა პირველად თითქოს მყარად მოიკიდეს ფეხი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, მათი ინტერესების სფეროში შეუძლებელია არ შემოსულიყო კაჯკასიონის უღელტეხილები და მათი ხელში ჩაგდების პრობლემა. მართლაც, როგორც ვიცით, უკვე სალმან იბნ რაბია თუ მისი ძმა, აბდ არ-რახმან ალ-ბაჰილი, ლაშქრობს იმიერკავკასიაში დარუბანდის კარით, რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ სპარსელთა გარნიზონი იცავდა. მისი დამორჩილების შემდეგ არაბები ხაზარეთში გადიან და მარცხდებიან ხაზარების დედაქალაქ ბელენჯერთან. ამ ომში კვდება სალმან იბნ–რაბია (მეორე ვერსიით - მისი ძმა აბდ არ-

რახმანი), ხოლო დამარცხებული არაბთა ლაშქრის გადარჩენილი ნაწილი კვლავ დარუბანდს ბრუნდება[54]. ეს იყო არაბ–ხაზართა პირველი შეხვედრა, რომელმაც ერთი მხარე დაარწმუნა იმაში, რომ არც ისე ადვილი იყო ჩრდილო კავკასიის დაპყრობა, ხოლო მეორეს დაანახვა თუ რა საფრთხე ემუქრებოდა მას ამიერკავკასიის ახალი დამპყრობლისგან. ასე დაიწყო მომავალში ერთმანეთის დაუძინებელი მტრების ურთიერთობა[55].

როდესაც არაბები შინაომის გამო გაეცალნენ ამიერკავკასიას, ხაზარებმა დრო იხელთეს, უკვე 662 წლის ახლო, დარუბანდის გავლით ალვანეთს შემოესივნენ, მაგრამ ჯევანშირის მცდელობით ეს შემოსევა მოგერიებულ იქნა[56]. ორი წლის შემდეგ შემოსევა კვლავ გამეორდა: „გამოვიდა ჰონთა (იგულისხმე: ხაზართა) მეფე მრავალათასიანი მხედრობით... ყაჩაღმა ჰონებმა მდინარე მტკვრიდან დაწყებული ერასხის ნაპირებამდე მაინც [ყველა] დაატყვევეს, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, ასევე ისინიც, რომლებიც ზამთრის საძოვრებზე ცხვრის ფარითა და საქონლით იყვნენ მოსულნი აირარატის გავარსა და სიუნიქში და თავიანთ ბანაკში მოუყარეს თავი“[57].

80–იან წლებში ხაზარებმა ქართლიც მოაოხრეს. სომეხი ისტორიკოსი ლევონდი გადმოგვცემს: 680–685 წლებში „არაბთა შორის შინაომის დროს, მათთვის ხარკის მიცემა შეწყვიტეს სომხებმა, ქართველებმა და ალვანელებმა, მორჩილებდნენ რა მათ 30 წლის განმავლობაში. და ხანგრძლივობა მათი აჯანყებისა იყო სამი წელი. და მეოთხე წელიწადს გაბატონდნენ სომეხთა ქვეყანაზე ჩრდილოეთის ტომები, რომელთაც ხაზარები ეწოდებათ, და მოკლეს ბრძოლაში მთავარი გრიგორი და მრავალნი ნახარართაგან და მთავრები ქართლისა და ალვანეთისა“[58].

ლევონდის ცნობა, რომ კავკასიის ქვეყნები, კერძოდ კი, ქართლი ოცდაათი წლის განმავლობაში ემორჩილებოდა არაბებს და შემდეგ აჯანყდა, კარგად ათარიღებს ამ აჯანყების დანყებას 685 წლით. ამ ცნობას ადასტურებს ბიზანტიური წყარო, რომლის თანახმად 686 წელს ხალიფა აბდ ალ–მალიქი და კეისარი იუსტინიანე შეთანხმდნენ თანაბრად გაეყოთ „ხარკი აკრეფილი კვიპროსზე, არმენიაში და იბერიაში“[59]. რადგან არაბები წილს უდებენ ბიზანტიას ზემოხსენებულ ამიერკავკასიულ ქუეყანათა ხარკში, ეს იმის დასტურია, რომ

სომეხი ისტორიკოსის მიერ აღნიშნული ამბოხება არაბთა წინააღმდეგ რეალური ფაქტია[60], და ამაში ბიზანტიის ხელიც ერია.

მართლაც, ბიზანტია ცდილობს დაიბრუნოს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და, კერძოდ, ქართლში დაკარგული პოზიციები. თეოფანე ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ იმავე 686 წელს იმპერატორმა „ლეონტი სტრატეგოსი გაგზავნა არმენიის წინააღმდეგ რომაული ჯარითურთ; ლეონტიმ გაჟლიტა იქაური სარკინოზები და დაუმორჩილა რომაელებს აგრეთვე იბერია, ალბანია, ბუკანია და მიდია. ამ ქვეყნებს მან ხარკი დაადო და დიდძალი ფული გამოუგზავნა მეფეს“[61]. დაახლოებით, ალბათ, ამავე ამბებთანაა დაკავშირებული სომეხი ისტორიკოსის ჰოვანეს დრასხანაკერტცის ცნობა, რომ 70-იან წლებში „ვინმე ბარაბას, მხედართმთავარს ტაჭიკთა (არაბთა) ჯარისას, რომელიც სომხეთშია, სძლევს და სდევნის [არაბთა] სასტიკი ჟლეტით ნერსე ქართლისა მთავარი [და] გააქცევს მას“[62] როგორც კონტექსტიდან ჩანს, ქართლის ერისმთავარი, რომელიც ერთ სომხურ წყაროში „სახელოვნად“ იწოდება, სომხეთში იბრძვის და ამდენად არაბთა წინააღმდეგ სომეხ–ქართველთა გაერთიანებული ძალების მეთაურია. იგი უნდა იხსენიებოდეს ქართლის მეათე ერისმთავრად „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ერისმთავართა ნუსხაში: „ნერსე (:¯ი:) და ძენი მისნი: ფილიპე (:ი¯ა:), სტეფანოზ (:ი¯ბ)“... ქართული წყარო მას „ნერსე დიდს“ უწოდებს[63].

ასეთი არასტაბილური მდგომარეობა, როგორც ვიცით, ლევონდის ცნობით სამ წელიწადს გაგრძელებულა, ხოლო მეოთხე წელს ანუ 689 წელს ამიერკავკასიას, და, კერძოდ, ქართლს ხაზართა ლაშქარიც შემოესია და ამ შემოსევის დროს გაჟლეტილ იქნენ ამ ქვეყნების ერისთავები და მთავრები.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, VII ს–ის 80–იანი წლებისათვის ამიერკავკასიის ქვეყნების პოლიტიკური ვითარება ფრიად ცვალებადია. სამი დიდი იმპერიის: ბიზანტიის საკეისროს, არაბთა სახალიფოს და ხაზარების კაგანატის სამხედრო–სტრატეგიული და სავაჭრო–ეკონომიკური სახელმწიფოებრივი ინტერესები, მემკვიდრეობით მიღებული წინა საუკუნიდან ბიზანტიის, ირანისა და თურქთა კაგანატისაგან, კვლავინდებურად აქ იკვანძებოდა და გადაჭრას მოითხოვდა. ნი-

შანდობლივია, რომ ამ პერიოდში ამიერკავკასიის ქვეყნები, სახელდობრ, ქართლი და სომხეთი თანაბრად უხდიან ხარკს იმპერატორს და ხალიფას, ხოლო ალვანეთი ერთდროულად – ბიზანტიასაც, არაბებსაც და ხაზარებსაც[64]. ასეთი მდგომარეობა არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო. მართლაც, VII ს–ის ბოლო წლებში და VIII ს–ის პირველ ნახევარში ვითარებამ ამ მხრივ კულმინაციას მიაღწია.

ბიზანტიელი ქრონოგრაფი თეოფანე გადმოგვცემს, რომ 697 წელს „აჯანყდა ლაზიკის პატრიკიოსი სერგი ბარნუკის ძე და ეს ქვეყანა არაბებს დაუქვემდებარა"[65]. ერაკლე კეისრის ლაშქრობათა შემდეგ VII ს–ის 60–იან წლებამდე ჩვენ არაფერი ვიცით ეგრისის (ლაზიკის) შესახებ. ამ დროისათვის კი გვაქვს ისეთი სანდო წყარო, როგორიც არის ცნობილ ბიზანტიელ საეკლესიო მოღვაწესთან, მაქსიმე აღმსარებელთან, ერთად ბიზანტიიდან ეგრისში გადმოსახლებული ანასტასი აპოკრისიარის წერილი, რომელშიც აღწერილია მათი თავგადასავალი ამ ქვეყანაში გადმოსახლების შემდეგ და რომელიც მან ლაზიკიდან მისწერა თეოდოსი განგრელს, ასევე ერთ–ერთ ბიზანტიელ საეკლესიო მოღვაწეს. შემორჩენილია აგრეთვე თვით თეოდოსი განგრელის „მოგონებები" მაქსიმე აღმსარებლის შესახებ, დაწერილი ამ უკანასკნელის ეგრისში სიკვდილის (662 ნ.) შემდეგ, 668/9 წლებში, როდესაც თეოდოსი თვით ჩამოვიდა ლაზიკეში გადასახლებულთა შესახებ ცნობების შესაკრებად და ესაუბრა „ლაზიკის პატრიკიოს ლებარნიკიოსს, რომელიც – ღვთის განგებით – ამის თანამხილველი ყოფილა"[66].

თავისთავად საინტერესოა, რომ ახლაც, VII ს–ში ისევე, როგორც V ს–ში, როდესაც აქ უპირებდნენ გადმოსახლებას იოანე ოქროპირს (იხ. ზემოთ), ეგრისი ბიზანტიის იმპერიის ის შორეული პროვინციაა, რომელიც სახელმწიფო კარზე აღიარებული ოფიციალური რელიგიური პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა თუ საერთოდ იმპერატორისათვის მიუღებელ პირთა ექსორიის ადგილია. ანასტასი აპოკრისიარის წერილიდან თუ თეოდოსის „მოგონებებიდან" აშკარად ჩანს, რომ, VII ს–ის 60–იანი წლებისათვის ეგრისში მეფობა კარგა ხნის გაუქმებულია და ქვეყანას პატრიკიოსები მართავენ; რომ აფხაზეთი გამოყოფილია საკუთრივ ეგრისს და ცალკე, მისგან დამოუკიდებელ სამთავროს წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, ბიზანტიის უშუალო ვასალია[67]. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ასეთი ვი-

თარება ჰერაკლე კეისრის ღონისძიების შედეგი უნდა იყოს. ასე რომ, ბუნებრივია, როდესაც ანასტასი აპოკრისიარის წერილში ეგრისის „მთავრის“ ანუ „პატრიკიოსის და ღვთივ მაგისტროსის გრიგოლის“ გვერდით იხსენიება „ქრისტესმოყვარე კაცი, აბაზგიის მმართველი“ და არავითარი მინიშნებაც კი არ არის მათ შორის ვასალურ ურთიერთობაზე[68]. საეკლესიო თვალსაზრისითაც, როგორც ეს VII ს–ის ეკთესისიდან ჩანს, „აბასგიის ეპარქიის სებასტუპოლის არქიეპისკოპოსი“ სრულიად დამოუკიდებელია „ლაზიკის ეპარქიის ფასიდის მიტროპოლიტისაგან“[69]. ამგვარად, „აბაზგია“ და „ლაზიკე“ ანუ აფხაზეთი და ეგრისი ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ქვეყანაა არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკლესიური თვალსაზრისითაც და ორივე, რა თქმა უნდა, ბიზანტიის ხელქვეითია.

ყველაფერი ეს, ცხადია, არ გამორიცხავს მჭიდრო კავშირს ამ ორ მეზობელ ქვეყანას შორის, რაც სხვათა შორის, კარგად ჩანს იმავე წყაროდან, როდესაც ანასტასი აპოკრისიარი, განანყენებული ეგრისის ერთ–ერთ მთავარზე წერს, რომ „როდესაც მე გამაძევა, ის თვითონაც იქნა გაძევებული იქიდან (თავისი რეზიდენციიდან, დ. მ.) და დაეხეტებოდა ქრისტესმოყვარე აბაზგების ქვეყანაში“ და იქვე მეორე გზის: „არამზადამ დაივიწყა დაპირება (მიცემული აბაზგიის მთავრებისადმი, დ. მ.)... ამასობაში მოხდა ისე, რომ, როდესაც მე ზემოხსენებულ ციხეში მივყავდით, ის (მმართველი) კვლავ გაძევეს, და ის გაიქცა იქ, სადაც წინათაც იყო“ ანუ აფხაზეთში[70]

ამგვარად, თუმცა კი აფხაზეთი დამოუკიდებელია ეგრისისაგან, მაგრამ ამ ორი მეზობელი ქვეყნის გამგებელთა შორის, როგორც ჩანს, მჭიდრო ახლობლური ურთიერთობაა.

აფხაზეთისაგან განსხვავებით აფშილეთი, მისიმიანეთი, სვანეთი და ლეჩხუმი კვლავ ეგრისის სამთავროს უშუალო პროვინციებს წარმოადგენენ. ეს ცხადად ჩანს ანასტასი აპოკრისიარის წერილიდან: მაქსიმე აღმსარებელი 662 წელს ბიზანტიიდან გადაასახლეს ეგრისში ანუ ბიზანტიური წყაროების ლაზიკეში. როდესაც იგი თავისი მოწაფეებითურთ (ანასტასი აპოკრისიარი და მეორე ანასტასი) ჩამოიყვანეს აქ, ისინი ჩააბარეს „იმ ქვეყნის მაშინდელ მმართველს“[71] ე. ი. პატრიკიოსს, რომელმაც მაშინვე განაშორა ისინი ურთიერთს: მაქსიმე

„მოათავსეს ერთ ციხეში, რომელსაც ეწოდება სქიომარი და რომელიც მდებარეობს მახლობლად ალანებად წოდებული ხალხისა". ერთ-ერთი ანასტასი – „აბაზგიის მახლობლად ერთ ციხეში, რომელსაც სკოტორი ეწოდება"[72]. ანასტასი აპოკრისიარის წერილის IX ს-ში შესრულებული ლათინური თარგმანის მიხედვით, ეს „სკოტორის ციხე აფშილეთშია, აბაზგიის მახლობლად"[73]. მეორე ანასტასი შეაყენეს ციხე-სიმაგრე ბუკოლუსში, რომელიც მისიმიანეთშია, ალანთა მომიჯნავე მხარეში[74]. ცოტა ხნის შემდეგ მაქსიმე აღმსარებლის ორივე ზემოხსენებული მოწაფე გამოჰყავთ ამ ციხეებიდან, მიჰყავთ ჯერ მუკორისისში (ე. ი. პროკოპი კესარიელის „მოხირისისში"), ხოლო აქედან ერთი „გადაგზავნეს ე. წ. სვანიდის (სვანეთის) ციხეში", ხოლო მეორე „ე. წ. თაკვირიის ციხეში იბერიის მახლობლად"[75]. ზემომოყვანილიდან სრულიად ცხადი უნდა იყოს, რომ ეგრისის პატრიკიოსი მთელ იმ ტერიტორიას, რომელზედაც ზემოხსენებული ციხე-სიმაგრეები იყო განლაგებული, ე. ი. აფშილეთს, მისიმიანეთს, ლეჩხუმსა და სვანეთს უშუალოდ ფლობდა და, ამდენად, ეს მხარეები VII ს-ში ეგრისის სამთავროს უშუალო პროვინციებია ისევე, როგორც ეს იყო ძველად. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ლაზიკის პატრიკიოსს თავისი ერთ-ერთი რეზიდენცია „ჯიხახორაში" აქვს, რომელიც მოქვის მახლობლად ყოფილა, ე. ი. აფშილეთში[76].

ზემოთ ჩამოთვლილი პროვინციების გარდა, VII ს-ის 60-იან წლებში ეგრისის ფარგლებში უნდა ყოფილიყო რაჭა-არგვეთი და აჭარაც. ეს გამომდინარეობს აღმოსავლეთი საქართველოს მხარეთა ჩვენთვის უკვე ცნობილი არაბული ნუსხიდან, საიდანაც ჩანს, რომ არაბებს, რომელთაც VII ს-ის 50-იან წლებში მთელი ქართლის საერისმთავრო დაიპყრეს, ეს სამი პროვინცია არ დაუჭერიათ.

არგვეთის მიმართ საამისო ცნობა ერთ ქართულ წყაროშიც გვაქვს. ეს არის ე. წ. „თხრობაჲ სასწაულთათვის წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოჲსთაჲ", სადაც ერთ-ერთ სასწაულზე საუბრისას აღნიშნულია, რომ არაბები „ოდესმე შემოვიდოდეს ბრძანებითა ამირ-მუმინისაჲთა (ხალიფასი, დ. მ.) და ტყუე-ყვეს ყოველი სომხითი და ქართლი და ვიდრე მთამდე არგუეთისა ყოველი ოჴრებას მისცეს"[77]. აქ მოხსენიებული არგვეთის მთა ისევე, როგორც „აშხარაცუიცის" „არგ-

ვეთის მთები"[78] უნდა ლიხის ქედს გულისხმობდეს და ეს კი მოწმობს, რომ არაბები ამ ქედს არ გადასულან.

ამდროინდელი ეგრისის პოლიტიკური ვითარების შესახებ ცოტა რამ ვიცით, გარდა იმისა, რომ იგი ბიზანტიის ვასალური სამთავროა. ფაქტია ისიც, რომ თვით ქვეყნის შიგნით რაღაც სოციალური წინააღმდეგობებია, მაინცდამაინც, ფეოდალურ ზედაფენაში (თუმცა ერთგან თეოდოსი განგრელი ლაზიკეში ყოფნისას აღნიშნავს, რომ ქვეყნის ერთ–ერთ „მხარეში სალხი ღელავდა")[79], რისი მაუწყებელიცაა ის ზემოაღნიშნული გარემოება, რომ ქვეყნის მმართველი პატრიკიოსი ძალით იქნა გაძევებული ეგრისიდან, ხოლო „მის ადგილას მოსული სხვა მთავარი" ერთი წლის შემდეგ „თვითონაც იქმნა გაძევებული იქიდან და დახეტიალობდა ქრისტესმოყვარე აბაზგების ქვეყანაში", თუმცა „რამდენიმე დღის შემდეგ... დახმარება მიიღო, კვლავ გაემართა და მმართველობა დაიბრუნა". დახმარება მთავარს, ჩანს, აფხაზეთიდან მიუღია, რადგან ანასტასი აპოკრისიარი აღნიშნავს, რომ იგი იყო აბაზგიის „ღვთისმოყვარე მთავრების... ხელებით გაჭირებიდან გამოყვანილი". და მაინც „ამასობაში მოხდა ისე, რომ... ის (მმართველი) კვლავ გააძევეს, და გაიქცა იქ, სადაც წინათ იყო"[80]. როგორც ვხედავთ, ამ ძუნწ ცნობებში საკმაოდ დრამატული სოციალური ბრძოლის სურათებია არეკლილი, რომლებიც, ჩვენი აზრით, ჩვეულებრივი ფეოდალური (შიდადინასტიური?) ქიშპის ამსახველია[81]

ეგრისის ახლო ურთიერთობაზე აფხაზეთთან იმ ფრაგმენტული ცნობების მიხედვით, რომლებიც შემონახულია ანასტასი აპოკრისიარის წერილში (ტახტიდან გადმოგდებული ეგრისის მთავარი თავს აფხაზებთან აფარებს და მათი შემწეობით ტახტს იბრუნებს...) ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვს ეგრისს ქართლთანაც და მიუხედავად იმისა, რომ ქართლი თითქოს არაბთა სახალიფოს მიერაა დამორჩილებული, ეს მფლობელობა 60–იან წლებში, მართლაც, როგორც ჩანს, ნომინალურია. ჯერ ერთი, კარგად ჩანს, რომ ბიზანტიის საეკლესიო წრეებს და თვით ქალაქ იერუსალიმს, რომელიც 637 წლიდან არაბთა ხელშია და სადაც წერილის ადრესატი თეოდოსი განგრელი მოღვაწეობდა, საკმაოდ ცხოველი ურთიერთობა აქვთ ქართლთან. ანასტასი აპოკრისიარი ეგრისიდან სწერს თეოდოსის: მღვდელმსახუ-

რები „თუკი, როგორც გავიგე, ჰიბერიამდე მიდიან იქ, რატომ აქაც არ მოდიან? გევედრებით თქვენ, უწმინდესნო, თუკი შესაძლებელი იქნება, გადმომიგზავნეთ ერთ–ერთი სარწმუნო, ჰიბერიაში მიმავალი, კაცის ხელით იმ დადგენილებათა კოდექსი, რომლებიც დააკანონა წმინდა და სამოციქულო სინოდმა... ამრიგად, თუ თქვენ, როგორც გთხოვდით, გამომიგზავნით ღმერთის ჩაგონებით წმინდა კოდექსს, იმათ, რომლებიც წამოიღებენ მას და მოისურვებენ აქ მოსვლას სახელოვანსა და ღვთივდაცულ პატრიკიოს და ღვთივ მაგისტროს გრიგოლისთან, თან იქონიონ მისდამი მიმართული წერილი ჰიბერიის ღირსსაქებ პატრიკიოსისა და პრეტორისაგან, მაგრამ თუ ისინი არ მოისურვებენ აქ მოსვლას, გადასცენ ის კოდექსი ჰიბერიის ზემოხსენებულ სახელოვან პრეტორს, რომელიც ვალდებული იქნება გადმოუგზავნოს ის ზემოხსენებულ ჩვენს უფალს და სახელოვან პატრიკიოსს და ღვთივ მაგისტროსს გრიგოლის“[82]. როგორც ვხედავთ, ამ მცირეოდენი ფრაგმენტის მიხედვითაც შესაძლებელია საუბარი საკმაოდ ცხოველ კულტურულ ურთიერთობაზე VII ს–ის 60–იან წლებში ეგრისსა და ქართლს შორის.

მაგრამ მაინც ცხადია, რომ ამ პერიოდის ეგრისის სამთავროს შინაგანი სოციალურ–პოლიტიკური ვითარება არასტაბილურია: ხალხის მღელვარების გარდა, რომელსაც თვით თეოდოსი განგრელი მოსწრებია, როდესაც ეგრისში ყოფილა 668 წლის ახლოს, ამას ისიც მოწმობს, რომ სულ რამდენიმე წელიწადში, 662–668 წლებს შორის ეგრისის სამთავრო ტახტზე ოთხი მმართველი ჩანს, რომელთაგან ორი ძალით იქნა გადაყენებული და გაძევებული ქვეყნიდან, მესამე „სახელოვანი და ღვთივდაცული პატრიკიოსი და ღვთივ მაგისტროსი გრიგოლია“, რომელიც როგორც ჩანს, კეთილად იყო განწყობილი ანასტასი აპოკრისიარის მიმართ (პირველ ორს იგი საკმაოდ აუგად იხსენიებს); დასასრულ, მეოთხეა „ლაზიკის პატრიკიოსი ლებარნიკიოსი“, რომელიც ეგრისში ჩასულ თეოდოსი განგრელს ესაუბრა. აი, ეს უკანასკნელი უნდა იყოს მამა ლაზიკის პატრიკიოს სერგი ბარნუკის ძისა, რომელიც, როგორც ვიცით, 697 წ. აუჯანყდა ბიზანტიას და ქვეყანა არაბებს დაუმორჩილა[83].

თუ ერთი მხრივ, ეს იმის მოწმობა შეიძლება იყოს, რომ VII ს–ის მეორე ნახევარში ეგრისსა და ბიზანტიას შორის დაძა-

ბული ურთიერთობა ყოფილა[84], მეორე მხრივ, საფიქრებელია, რომ ამ საუკუნის მიწურულისათვის ბიზანტიის გავლენა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე და კერძოდ ქართლზე აღარ არსებობს და აქ არაბთა ბატონობა მკვიდრადაა დამყარებული. სხვაგვარად ძნელი ასახსნელია მათი წარმატება დასავლეთ საქართველოში[85]. მართლაც, VIII ს–ის დასაწყისისთვის თეოფანე ჟამთააღმწერლის მიხედვით, „სარკინოზებს ეპყრათ აბაზგიაც, ლაზიკეც და იბერიაც"[86].

ეს ცნობა სწორი უნდა იყოს, რადგან არაბი ისტორიკოსების ჩვენებით VIII ს–ის დასაწყისში (701–704 წწ.) ხალიფა აბდ ალ–მალიქის ძმამ, მუჰამად იბნ მარვანმა (ჩვენს ისტორიაში კარგად ცნობილი მურვან ყრუს მამამ) ცეცხლითა და მახვილით განვლო მთელი სომხეთი და, როგორც ფიქრობენ ამ ლაშქრობის შედეგად საბოლოოდ ჩამოყალიბდა არაბული პროვინცია „არმინია" ანუ „არმინიის საამირო" სომხეთის, ქართლის და ალვანეთის შემადგენლობით ცენტრით ქ. დვინში[87], რაც, ცხადია, ძველი, სასანური ირანის ადმინისტრაციული დანაწილების ტრადიციას ემყარებოდა. არაბთა დამკვიდრებას ქართლში VIII ს–ის დასაწყისში ისიც მოწმობს, რომ მათ თბილისში ზარაფხანაც გაუხსნიათ და 704/5 წელს ვერცხლის დირჰემიც მოუჭრიათ[88]. ასე გამოეცალა დიდი ხნით ბიზანტიას ქართლი, სადაც ამიერიდან ისევე, როგორც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში საერთოდ, ბატონობის მოცილეებად ხაზარები და არაბები გამოდიან.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ბიზანტია დასავლეთ საქართველოს ხელიდან გამოცლის საშიშროების წინაშეც დადგა: არაბებმა საკუთრივ ეგრისის ზღვისპირა ნაწილის გარდა, მთელი ეს რეგიონი დაიმორჩილეს. VIII ს–ის 10–იან წლებში ისინი აფხაზეთსაც ფლობენ[89].

კეისარი იუსტინიანე 705–711 წლებში ცდილობს დიდძალი ფულით მოისყიდოს გადამთიელი ალანები, რომ მათ პირველ რიგში აფხაზეთი დაარბიონ, რომელიც მას აღარ ემორჩილება. ამდენად, ბიზანტიას დაკარგული აქვს ის სტრატეგიული პლაცდარმი, რომლის პყრობით იგი ჩრდილო–დასავლეთი კავკასიის მთიანეთზე თავისი გავლენის გავრცელებას ახერხებდა და საკუთრივ ეგრისის პოლიტიკასაც აკონტროლებდა. ალანების, ჯარი, მართლაც, „დაიძრა აბაზგიის წინააღმდეგ, მოულოდნელად შეიჭრა კლისურებში (კელასურის ხეობაში,

ჯ. მ.), დიდძალი ნატყვენავი ჩაიგდო ხელთ და დაარბია აბაზ-ჯები"[90]. ამის შემდეგ „რომაელები და არმენიელები ლაზიკეში შეიჭრნენ და არქეოპოლისს ალყაც შემოარტყეს და როდესაც მათ შეიტყვეს სარკინოზების (არაბების) მოსვლის შესახებ, ისინი უკან გაბრუნდნენ"[91]. ამგვარად, არაბთა მაშველი ლაშქრის მოსვლის შემდეგ, ბიზანტიელები კვლავ გასცლიან დასავლეთ საქართველოს. მაგრამ, ცხადია, ასე ადვილად ისინი ვერ შეელეოდნენ ამ მხარეს და ამიტომ იყო, რომ 716/7 წელს არაბებს კვლავ მოუხდათ „აბაზგების, ლაზების და იბერიელთა" დაპყრობა[92].

ფრიად საინტერესოა, რომ ისევე, როგორც წინა საუკუნეებში, ახლაც არაბთა სახალიფოს აგრესიულობით შეშფოთებული ბიზანტია და ხაზართა კაგანატი 711 წ. სამოკავშირეო ხელშეკრულებას დებენ საერთო მტერთან საბრძოლველად და ამისდა კვალად გავლენის სფეროებსაც „ინაწილებენ": აღმოსავლეთი ამიერკავკასია ხაზარებს ერგო, დასავლეთი – ბიზანტიას[93]. ამიერიდან ალვანეთი და ქართლი არაბ–ხაზართა სასტიკი დამარბეველი ლაშქრობების ასპარეზად იქცა.

723/4 წელს ხალიფა ჰიშამი ხაზართა წინააღმდეგ აწყობს ლაშქრობას ჯარაჰ იბნ აბდალაჰის სარდლობით. ჯარაჰი შემოდის ქართლში და, როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს ქართლის მმართველებს მისთვის წარუდგენიათ ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ 655 წელს გაცემული „დაცვის სიგელი", რომელიც ჯარაჰს განუახლებია, ე. ი. აღუდგენია ურთიერთობის ძველი პირობები[94].

727/8 წ. არაბთა ცნობილმა სარდალმა მასლამამ კვლავ ილაშქრა ხაზარეთში ალვანეთზე გავლით, ხოლო 728/9 წელს მეორედ – დარიალანიდან და ე. ი. ქართლზე გავლით[95]. ეს ლაშქრობები გზადაგზა საშინელი რბევა–აწიოკებით მიმდინარეობდა, რაც იმის მოწმობაა, რომ ამიერკავკასიის მოსახლეობა არ ურიგდებოდა დამპყრობელს. ამჯერადაც, მასლამას ქართლის მოსახლეობის ერთი ნაწილი გაუჟლეტია[96]. ცნობილი არაბი გეოგრაფი მასუდი დაწვრილებით მოგვითხრობს ამ ლაშქრობის ერთ ეპიზოდზე, როდესაც მასლამამ აიღო სახელგანთქმული ძველისძველი ციხესიმაგრე და მის წინ გადაგდებული დიდ მდინარეზე ხიდი, რომელიც ალანთა სამეფოს საზღვარზე იყო აგებული. ცხადია, აქ საუბარია დარია-

ლის ხეობის ციხესიმაგრეზე, რომლის ნანგრევები დღემდეა შემონახული. მასლამამ აიღო იგი, შიგ ჩააყენა გარნიზონი, რომელიც სანოვაგით თბილისიდან მარაგდებოდა[97].

729/30 წ. ხალიფამ მასლამა კონსტანტინოპოლზე სალაშქროდ გაგზავნა და ამიტომ „არმინიის" გამგეობა კვლავ ჯარაჰს ჩააბარა, რომელმაც იმავე წელს ილაშქრა ხაზარების წინააღმდეგ, სირიელთა ლაშქრით თბილისს მოვიდა და აქ რამდენიმე ხანს დაჰყო. შემდეგ დარიალის ხეობით ხაზარეთში შეიჭრა, დაამარცხა ხაზარები და დიდი ალაფით დაბრუნდა უკან.

ხაზარები რევანშის ასაღებად „ალანთა მხრიდან" ე.ი. დარიალანით შემოიჭრნენ ქართლში. ეს მოხდა მეორე, 730/1 წელს. არაბი ისტორიკოსი ტაბარი მოგვითხრობს, რომ ხაზარებს არაბთა წინააღმდეგ საბრძოლველად უხმობდა ქართლის გამგებელიც, რომელიც შეწუხებული იყო არაბთა ბატონობით. ქართველმა „მალიქმა", წერს იგი, ხაკანს კაცი გაუგზავნა და ურჯულოთა სახელით მუსლიმთა წინააღმდეგ სალაშქროდ მოუწოდა. ხაზარების უზარმაზარი ლაშქარი შემოვიდა ქართლში[98]. ალ–ბალამის ცნობით, ქართველთა გამგებელი დარიალიდან შემოსულ ხაკანის სარდალს აძლევდა სასარგებლო რჩევა–დარიგებას, უჩვენებდა არაბი რაზმების განლაგების ადგილებს, რის შედეგადაც არაბები სასტიკად დამარცხდნენ, დასცალეს ქართლი და საერთოდ აღმოსავლეთი ამიერკავკასია[99] ცხადია, ასეთ ვითარებაში არაბთა ლაშქარი დასავლეთ საქართველოსაც დატოვებდა.

ქართველი „მალიქი" ანუ ერისმთავარი, რომელიც, ფაქტობრივად, აუჯანყდა არაბებს და მოიწვია ხაზარები, რომელმაც, არსებითად, გაამარჯვებინა მათ არაბებზე, უნდა ყოფილიყო სტეფანოზი, ნერსე დიდის შვილი, რომლის ეპიტაფიაც შემორჩენილია ატენის სიონის შესანიშნავ ფრესკულ წარწერაში: „[ქ. ზეობას]ა,:კ: ა (=21), ღმრთივ გკრგკნ[ოსანისა ლეონისა კ] ეთილად მსახოკ [რებასა ზედა] მეფისა ჩოკენისასა, ჴელმწიფობასა [სა]რკინოზთასა რ: კ: ა: (=121), აღესროკლა კოკრთხეოკლი მამფალი სტეფანოზ, ღმრთისა მ[იერ] ქართოკელთა და მეგრელთა ერისთავერისთავსთა ოკფალი, თოკესა ოკდომბერსა [:ი: დ:] (=14), დღესა ოთხშაბათსა, ჟამსა ღა[მისას]ა : ა: (=1), ამას ზ[ედ]ა წელსა, დღისა მთავრობისა მოხრდილი :კ: თ:" (=29)[100].

როგორც ვხედავთ, მამფალი სტეფანოზი, „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთერისთავთა უფალი", გარდაცვლილა 739 წელს, ხოლო რადგან იყო „დღისა მთავრობისა მოხრდილი ოცდაცხრა" წლისა, ცხადია, იგი 710/11 წლებიდან განაგებდა ქართლს და ამდენად, ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ 730/1 წელს არაბთა წინააღმდეგ აჯანყებული „მალიქი", რომელმაც მოუხმო ხაზარებს და მათ არაბთა სამხედრო ძალთა დისლოკაციას აცნობდა, სწორედ ეს სტეფანოზი იყო[101].

არაბთა ამ მარცხს ამიერკავკასიაში, როგორც მოსალოდნელი იყო, მათი საპასუხო რეაქცია მოჰყვა.

ამის შემდგომი ამბები „ქართლის ცხოვრებაში" მოთხრობილია უკვე იმ თხზულებაში, რომელიც ჯუანშერს აღარ უნდა ეკუთვნოდეს, არამედ ანონიმს[102]. ჩვენი აზრით, ეს არის ცალკე თხზულება, რომელიც „ქართლის ცხოვრების" შემდგენელ-რედაქტორს შეუტანია ჯუანშერისა და „მატიანე ქართლისაᲘს" შორის და, რომელსაც პირობითად „არჩილის ცხოვრება" შეიძლება ვუწოდოთ. რომ ეს სრულიად ახალი თხზულებაა, ჩანს შემდეგიდან: განსხვავებით ჯუანშერის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი კონცეფციისაგან, რომლის მიხედვით, როგორც ვიცით, „ჰერეთი", „კახეთი", „ეგრისი", „კლარჯეთი" და სხვ.; ყველა ერთად და ერთნაირად „ქართლის", როგორც პოლიტიკური ერთიანობის ანუ ერთიანი სახელმწიფოს შემადგენელი „ხევებია", ანონიმთან პირველივე სტრიქონებიდან სრულიად სხვაგვარი ვითარებაა: (არაბთა შემოსევის წინა პერიოდია) „ხოლო სტეფანოზს ესხნეს ორნი ძენი არჩილ და მიჰრ. და განუყო ყოველი ხუასტაგი (ქონება) სამეფოსა მისისა, საგანძური ოქროსა და ვეცხლისა და თუალთა პატიოსანთა: და ნახევარი წარიღო ქუეყანასა ეგრისსა... და ნახევარი საქონლისა მისისა მისცა არჩილს... ხოლო არჩილ დაჰფლა საგანძური უფროსი (უმეტესი) ჴევსა კახეთისასა... და საგანძურნი ქართლისა და ჯავახეთისანი დასხნა გორს"[103]... აქედან სრულიად ცხადია, რომ ჩამოთვლილი „ქვეყნები" (ეგრისი, კახეთი, ქართლი, ჯავახეთი) ტოლფასი ისტორიულ-გეოგრაფიული ცნებებია ანუ „ქართლი" აქ ეთნოგრაფიული ცნებაა და არა პოლიტიკური, რაც სრულიად გამორიცხულია ლეონტისა თუ ჯუანშერის სახელმწიფოებრივი კონცეფციისათვის. კიდევ მეტი: თუკი ზემოხსენებულ მემატიანეებთან „ეგრისი" მთელს დასავლეთ საქართველოს გუ-

ლისხმობდა (მაინცდამაინც მდ. ეგრისწყლამდე ანუ დღევანდელ მდ. ღალიძგამდე) ანონიმთან კვლავ სხვაგვარი ვითარებაა: მომაკვდავი მიჰრი ეუბნება არჩილს: „ხოლო საუხუცესოდ, რომელ მქონდა, მომიცემია შენდა, და გქონდეს საუხუცესოდ: ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგუეთი და გურია"[104]. მაშასადამე, წინააღმდეგ ლეონტი მროველის და ჯუანშერისა, ეგრისი ანონიმთან არის არა პოლიტიკური, არამედ აგრეთვე ეთნოგრაფიული ცნება. ყველაფერი ზემოთქმული, მგონია, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ „ქართლის ცხოვრების" ის ნაწილი, რომელსაც „არჩილის ცხოვრებას" ვუწოდებთ, შედარებით წინა პერიოდების აღმწერ მატიანეებთან, შეიძლება ითქვას, რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი კონცეფციის შემცველია. ეს, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა იმის მაუწყებელია, რომ განვლილი საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციის შედეგად, ქვეყანამ პირი იცვალა, სხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვითარება შეიქმნა, რაზედაც ქვემოთ საგანგებოდ ვისაუბრებთ, ამჟამად კი აღვნიშნავთ, რომ ამავე დროს ასეთი კონცეფტუალური განსხვავება იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ აქ სხვა თხზულებასთან და სხვა ავტორთან გვაქვს საქმე.

მართლაც, ჩვენი აზრით „ქართლის ცხოვრების" ზემოხსენებული სტეფანოზი, მიჰრის და არჩილის მამა იგივე ატენის სიონის წარწერის მამფალი სტეფანოზია. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ მამფალი სტეფანოზი „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთერისთავთა უფალია", ხოლო „ქართლის ცხოვრების" სტეფანოზ ქართლის ერისმთავარი სიცოცხლის ბოლო წლებში სწორედ „ეგრისში საქმიანობს", რაც მისი ტიტულის რეალურობაზე მიუთითებს. მაგრამ „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ეს სტეფანოზი ადარნასე ქართლის ერისმთავრის შვილია და ამდენადვე ჰერაკლე კეისრის ქართლში შემოსვლის თანამედროვე[105]. ეს, ცხადია, ანაქრონიზმია და ამ ორ სტეფანოზს ერთმანეთისაგან სინადვილეში თითქმის ერთი საუკუნის მონაკვეთი აშორებს. ესეც იმის მოწმობა შეიძლება იყოს, რომ ჩვენ განსხვავებულ ორ თხზულებასთან გვაქვს საქმე, რომელნიც კრებულის შემდგენელ-რედაქტორმა ერთმანეთს მექანიკურად დაუკავშირა, რამდენადაც იქ მოხსენიებული ორი სტეფანოზი შეცდომით გააიგივა.

ატენის სიონის წარწერის სტეფანოზი ადარნასეს შვილი კი არ უნდა იყოს, არამედ მისგან ოთხი თაობით დაშორებული ნერსე დიდის ძე[106]

მის დროს ხდება სწორედ მურვან ყრუს შემოსევა საქართველოში.

მერვან იბნ მუჰამადის საბოლოო მიზანი ამიერკავკასიაში და კერძოდ, საქართველოში ლაშქრობისა იყო ხაზარების დამორჩილება. მის მიერ შემუშავებული გეგმით, იგი უზარმაზარი ჯარით (ხალიფას ამ ექსპედიციისთვის მან 120 000–იანი არმია გამოსთხოვა)[107] ორი გზით, დარიალიდან და დარუბანდიდან უნდა შეჭრილიყო ხაზარეთში, კერძოდ, თვით მერვანი მთავარი ძალებით დარიალიდან აპირებდა შეჭრას[108]. მაგრამ მანამდე, სანამ ამ გრანდიოზულ გეგმას განახორციელებდა, მას აჯანყებული ქართველები უნდა დაემორჩილებინა[109], ჯერ ერთი, იმისთვის, რომ ზურგი საიმედოდ ჰქონოდა დამორჩილებული და, მეორეც იმიტომ, რომ ქვეყნის მესვეურებზე შური ეძია იმის გამო, რომ რამდენიმე წლის წინ ჯარაჰ იბნ–აბდალაჰის ლაშქრის სასტიკი დამარცხება, მნიშვნელოვანნილად, ხაზარებთან ქართლის ერისმთავრის მოკავშირეობით იყო გაპირობებული.

სტეფანოზმა და მისმა შვილებმა ეს კარგად იცოდნენ და ამიტომაც იყო, რომ დიდი ამალით ეგრისს და შემდეგ აფხაზეთს გაიხიზნენ. ქართლში შემოსულმა არაბმა სარდალმა „შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა. და ვითარ ცნა, რამეთუ მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და მუნით კუალად მიიცვალნეს აფხაზეთად, შეუდგა კუალსა მათსა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქუეყანისანი. და ციხე იგი სამ–ზღუდე, რომელ არს ციხე–გოჯი (დღ. ნოქალაქევი), შემუსრა, და შევლო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა... და ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა (მდ. კელასური), რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი (დღ. სოხუმი). და მოადგა ციხესა ანაკოფისასა (დღ. ახალ ათონში)... მუნ შინა იყვნეს მაშინ მეფენი ქართლისანი მირ და არჩილ“[110].

აფხაზეთს მიმავალმა მურვან ყრუმ გზად არგვეთის მთავრები, დავით და კონსტანტინე წამებით სიცოცხლეს გამოასალმა[111].

რამდენადაც ხაზარეთში თავისი დიდი ლაშქრობა მერვან იბნ მუჰამადმა 737 წ. განახორციელა, ამიტომ საქართველოს დარბევა ამაზე უწინარეს უნდა მომხდარიყო, კერძოდ, 735/6 წლებში[112]. მართალია, არაბულმა წყაროებმა არაფერი იციან დასავლეთ საქართველოში ამ არაბი სარდლის ლაშქრობის შესახებ, მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს ქართული წყაროს ცნობა შენათხზად გამოვაცხადოთ, იმდენად ნიშანდობლივი და რეალურ–ისტორიული დეტალებით არის დატვირთული ანონიმის ჩვენება[113]. მით უმეტეს, რომ გვაქვს მოვსეს კალანკატუაცის ცნობა, რომელიც, მართალია, ჯარაჰ იბნ აბდალაჰს შეეხება, რომ იგი 729 წელს „მეორედ შევიდა აფხაზეთში, ხოლო იქიდან ხაზარეთში გადავიდა“[114], მაგრამ რამდენადაც ჯარაჰი „აფხაზეთში“ ნამდვილად არ ყოფილა, შესაძლებელია მურვან ყრუს ექსპედიციას გულისხმობდეს. დასასრულ, თეოფანე ჟამთააღმწერელიც გვიმოწმებს, რომ 738 წ. „სულეიმანმა, ისამის ძემ, ილაშქრა რომანიის წინააღმდეგ, გაანადგურა ე. წ. „რკინის“ ციხე და ტყვედ წაიყვანა პატრიკიოს მარიანეს (მარინეს) ძე ევსტათი“[115]. „რკინის ციხე“, რომელსაც თეოფანე სხვაგანაც ახსენებს, კოდორის ხეობაში მდებარეობდა, ხოლო პატრიკიოსი უნდა იყოს იგივე „მარინე აფსილთა შორის უპირველესი“[116]. ამდენად, თეოფანეს მიერ აღნიშნული არაბთა ეს ლაშქრობა შესაძლებელია სწორედ მერვან იბნ მუჰამადის შემოსვლას გულისხმობდეს, ხოლო სულეიმან ისამის ძე მისი ერთ–ერთი სარდალი შეიძლება იყოს, რომელმაც განახორციელა რეიდი აფშილეთში.

ასეა თუ ისე, ქართული წყაროს ჩვენება მურვან ყრუს დამარბეველი ლაშქრობის შესახებ საქართველოში რეალურ სინამდვილეს უნდა ასახავდეს. ანონიმის მიხედვით ანაკოფიის ციხესთან მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. ქართველი ერისმთავრების ლაშქარში „იყო მათთანა სიმრავლე მცირედ ტაძრეულისა (პირადი მსახურების) მათისა და ნათესავი ერისთავთა და პიტიახშთა, ათასი ოდენ, ხოლო სპათაგან აფხაზთა მბრძოლი ორი ათასი“[117], რომელთაც, ჩანს, ხელმძღვანელობდა „ერისთავი კეისრისა ლეონ“[118]. მურვან ყრუს მხარეს კი „იყვ-

ნეს სპანი მისნი უფროს და უმრავლეს ჭალაკთა (ტყეთა) ეგ-
რისათა"[119]

სისხლისმღვრელი ბრძოლა ანონიმის მიხედვით, ღვთის ნყალობით, ქართველ–აფხაზთა გამარჯვებით დამთავრდა და მურვან ყრუ „აღიყარა მუნით და შემოვლო გზა გურიისა. და განვლეს სპერისა, და სიმრავლისაგან არა შეჩენილი იყო დაკ-ლება. ხოლო უწინავე დასჭრეს კუდები ცხენთა მათთა, რამე-თუ თიჯისაგან ვერ ითრევდეს"[120]. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი ანონიმი, აშკარა შეცდომით, მურვანის ხა-ზარეთში ერთ–ერთი ლაშქრობის ეპიზოდს დასავლეთ საქარ-თველოს უკაშირებს[121] და საერთოდაც, როგორც ჩანს, არჩი-ლისა და მიჰრის ნარმატებებს აშკარად აზვიადებს, ერთი ცხა-დია, რომ მურვანი გაეცალა ჩვენს ქვეყანას და აქ დაახლოე-ბით ორი ათეული წელი სტაბილური ვითარება დამყარდა[122].

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ არაბთა მიერ აღმოსავ-ლეთი საქართველოს დაპყრობა, რა თქმა უნდა, უარყოფითად იმოქმედებდა არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკურ განვითარე-ბაზე, არამედ ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. მიუხედავად ამისა, როგორც ცნობილია, ომაიელ ხალიფათა დროს და გან-საკუთრებით კი VII ს–ის მეორე ნახევარში დამპყრობთა უღე-ლი არცთუ ისე მძიმე უნდა ყოფილიყო[123].

საგარეო–სავაჭრო ურთიერთობანი აშკარად დაეცა. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა ნუმიზმატიკური მასალის მონა-ცემები აღმოსავლეთი საქართველოს ტერიტორიიდან. თუკი VI ს–ის მეორე ნახევრის სასანური ვერცხლის და განსაკუთ-რებით VII ს–ის პირველი ნახევრის ამგვარივე მონეტების და სასანურ–ბიზანტიური მონეტების შერეული განძების აღმო-ჩენის ინტენსიურობა მოწმობს შესატყვის ცხოველ სავაჭრო ურთიერთობას, ერთი მხრივ, სასანურ ირანთან, ხოლო, მეორე მხრივ, ბიზანტიასთან (იხ. ზემოთ), VII ს–ის მეორე ნახევრის არც ერთი განძი არ არის ცნობილი საქართველოს (და ამიერ-კავკასიის) ტერიტორიიდან[124]. უეჭველია, ეს მიუთითებს საგა-რეო ვაჭრობის აშკარა დაცემაზე. როგორც ცნობილია, საერ-თო არაბული ტიპის მონეტის შექმნამდე (VII ს–ის ბოლო ნლებში), აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ძირითად სამონეტო ერთეულად სასანური დრამა რჩება[125]. დაახლოებით ასევე უნ-და ყოფილიყო აღმოსავლეთ საქართველოშიც. მაგრამ აქ ისე-ვე, როგორც სომხეთში საამისოდ გამოიყენებოდა ბიზანტიუ-

რი ოქროს და ვერცხლის მონეტებიც[126], რომლებიც VII ს–ის მეორე ნახევარში გავრცელებულია ჯავახეთიდან და ქვემო ქართლიდან კახეთამდე. ეს უნდა მოწმობდეს ბიზანტიასთან ქართლის სავაჭრო ურთიერთობის მეტ ინტენსივობას. დასავლეთ საქართველოდან მხოლოდ სოხუმიდან, ბიჭვინტიდან, ღვანკითიდან და ოზურგეთიდან არის ცნობილი ამ დროის ბიზანტიური ოქროს მონეტები[127], ხოლო ზუგდიდიდან – ვერცხლის ჰექსაგრამები[128].

ამრიგად, VII ს–ის მეორე ნახევრის ნუმიზმატიკური მასალა აღმოსავლეთი საქართველოდან თითქოს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ მიუხედავად სახალიფოსაგან პოლიტიკური დამოკიდებულებისა, სავაჭრო–ეკონომიკური ურთიერთობის თვალსაზრისით იბერია ბიზანტიასთან უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ჩანს, პირველ ხანებში, თუკი ყოველწლიურ ხარკს არ ჩავთვლით, არაბებმა ვერ შეძლეს ეკონომიკური კონტაქტების დამყარება ამიერკავკასიასთან და, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოსთან. ასეთ დასკვნას მხარს უჭერს „ქართლის ცხოვრების" ერთი ცნობა, რომელიც სწორედ ამ პერიოდს, არაბთა ქართლში პირველად შემოსვლის უშუალოდ მომდევნო ხანას, უნდა ეხებოდეს: „ჟამთა მათ დაეცადნეს სარკინოზნი შემოსლვად ქართლად ყრუსა წარსვლითგან წელიწადსა ორმეოცდაათსა. აქა ჟამამდე არღარა შემოვიდოდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან"[129]. აშკარა ანაქრონიზმს, მურვან ყრუსთან დაკავშირებით თუ გავითვალისწინებთ[130], მაშინ ცხადი გახდება, რომ ქართველი მემატიანის აზრით, VII ს–ის მეორე ნახევარში, ჰაბიბ იბნ მასლამას შემდეგ, არავითარ სერიოზულ სამხედრო ოპერაციას ქართლში არაბთა მხრივ ადგილი არ ჰქონია (იხ. ზემოთ). მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს მახლობელ აღმოსავლეთში საერთოდ შფოთიანი პერიოდი იდგა, რომელიც შედეგი იყო ბიზანტიის, არაბთა სახალიფოს და ხაზარეთის მძაფრი პოლიტიკური შეხლა–შემოხლისა, ამიერკავკასია და, კერძოდ, საქართველოც არ ასცდებოდა ცალკეულ შემოსევებს (ლეონტი სტრატეგოსის ლაშქრობა ამიერკავკასიაში, ხაზართა შემოსვლა ქართლში), მაინც ამას ეპიზოდური ხასიათი უნდა ჰქონოდა და, საერთოდ, ქართლისა და ეგრისის შინაგანი სოციალურ–პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება აღმავალი ხაზით უნდა წასულიყო.

დაახლოებით ასეთივე ვითარება უნდა ყოფილიყო VIII ს–ის პირველ მეოთხედშიც და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამ საუკუნის დასაწყისში არაბები დამკვიდრებულნი არიან ქართლის დედაქალაქ თბილისში, სადაც ამ დროს მოქმედებს არაბული ზარაფხანა (704 წელს მოჭრილი თბილისური დირჰემი)[131] სახალიფოს ერთ–ერთი ზარაფხანის თბილისში გახსნა განკერძოებული შემთხვევა არ არის. სწორედ ამ პერიოდიდან ცნობილია არაბული ზარაფხანები დვინიდან, ბარდავიდან, განჯიდან, დარუბანდიდან (ალ–ბაბიდან), „არანიდან", „არმინიიდან"[132]. ეს შესანიშნავი მოვლენა მომასწავებელია იმისა, რომ ამიერკავკასია ამიერიდან ჩაება სავაჭრო–ეკონომიკურ ურთიერთობაში სახალიფოსთან, რამაც აუცილებელი გახადა ადგილობრივი მონეტების მოჭრა[133]. არაბული ვერცხლის ფული, ამიერკავკასიის ზარაფხანებში მოჭრილი დირჰემები, პირველ რიგში, მსხვილი ვაჭრობის განვითარებას მოწმობს. წვრილი ლოკალური ვაჭრობის დასაკმაყოფილებლად იჭრებოდა სპილენძის არაბული მონეტები, ფელსები[134].

და მაინც ერთი გარემოება, ვფიქრობთ, საგულისხმო უნდა იყოს. ზემოთ იყო აღნიშნული, რომ VI ს–ის მეორე და VII ს–ის პირველ ნახევარში, როდესაც ბიზანტია გარკვეული წარმატებით ცდილობს, ირანის ავლით, ჩრდილო კავკასიის და იმიერკასპიის გზით თურქთა კაგანატთან უშუალო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას და როდესაც VII ს–ის 20–იანი წლების ბოლოს, ჰერაკლე კეისრის ძლევამოსილი ლაშქრობების შედეგად, ამიერკავკასიაში დამყარებულმა პოლიტიკურმა წონასწორობამ (დასავლეთ და ცენტრალურ ამიერკავკასიაში ბიზანტიელთა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში თურქთა კონტროლი) თითქოს ფრთა შეასხა ზემოხსენებულ გრანდიოზულ გეგმას, ამ დიდ სავაჭრო–სატრანზიტო მაგისტრალზე განსაკუთრებული როლი უნდა დაკისრებოდა თბილისს. სწორედ ამიტომ იპყრობს საგანგებოდ ბიზანტიის იმპერატორი ხაზართა მეშვეობით ქართლის დედაქალაქს, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ამ პერიოდში თბილისის სწრაფი დაწინაურებისა და ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ ცენტრად გადაქცევის ერთ–ერთი საფუძველი. აკი თბილისი იყო კიდეც „ნებიერი, სავაჭრო და სახელოვანი დიდი ქალაქი". მაგრამ არაბთა მოულოდნელმა გამოჩენამ დროებით სრულიად შეცვალა ვითარება. ჩრდილოეთის გზები დარუბანდსა და და-

რიალზე პირველ ხანებში, სავაჭრო–ეკონომიკურის მაგივრად, სამხედრო გზებად გადაიქცა, რომლებიც VII ს–ის ბოლო მეოთხედიდან მთელი VIII ს–ის განმავლობაში არაბთა და ხაზართა მრავალათასიანი ლაშქრების განუწყვეტელი თარეშის, ურთიერთშეჯახების და რბევა–აწიოკების არხებს წარმოადგენდა. ცხადია, ეს თბილისის სავაჭრო–ეკონომიკურ განვითარებაზე უშუალო გავლენას მოახდენდა. თბილისს არაბთათვის უპირატესად ხაზართა და ბიზანტიელთა წინააღმდეგ მიმართული სამხედრო დაპირისპირების ფორპოსტის მნიშვნელობა უნდა მისცემოდა. ასეც აღნიშნავენ სპარსულ–არაბული წყაროები: „ტფილისი დიდი, აყვავებული ქალაქია, მაგარი, გაშენებული და მრავალი სიმდიდრის მქონე. ორი პატნეზი (გალავანი) აქვს და (ისლამობის) საზღვარს წარმოადგენს ურწმუნოთა მხრისაკენ“[135].

მეორე მხრივ, ამ თვალსაზრისით მეტი მნიშვნელობა უნდა მისცემოდა ალვანეთის ანუ არანის დედაქალაქს ბარდავს, რომელიც დარუბანდის გასასვლელთან, ხაზართა შემოსევების ამ მთავარ კარიბჭესთან, გაცილებით ახლოს მდებარეობდა. „არანის“ პროვინციის (რომელსაც ზოგჯერ ქართლსაც თბილისიანად აკუთვნებდნენ არაბები) დედაქალაქი და შესაბამისად არანის არაბი მმართველის სასახლეც სწორედ ბარდავში იყო[136]. მართალია, ალ–ისთახრი გადმოგვცემს, რომ „არანში არ არის უფრო მნიშვნელოვანი ქალაქები, ვიდრე ბერდაა (ბარდავი), ბაბ–ულ–აბვაბი (დარუბანდი) და თბილისი“[137], მაგრამ ეს მაინც აშკარა მოწმობაა თბილისის დროებითი დაკნინებისა VIII–IX საუკუნეებში.

საინტერესო კიდევ ის არის, რომ ამიერკავკასიის და, კერძოდ, ქართლის და ეგრისის საგარეო ვაჭრობა ცალმხრივი ხდება. ნიშანდობლივია, რომ მაშინ როდესაც VIII ს–ის პირველი ნახევრის არაბული დირჰემები ცნობილია აღმოსავლეთი საქართველოს ცალკეული პუნქტებიდან, ხოლო თბილისიდან მოპოვებულია ომაიადური დირჰემების განძი (722 წლისა)[138], ლაგოდეხის რაიონიდან კი ომაიადური ოქროს დინარიც (706 წლისა)[139], არც ერთი ბიზანტიური მონეტა VIII ს–სა ამ ტერიტორიიდან ცნობილი არ არის. ცხადია, ასეთი ვითარება არ შეიძლება შემთხვევითი იყოს და მოწმობს, რომ ქართლს ბიზანტიასთან სრულიად (ან თითქმის სრულიად) შეწყვეტილი აქვს სავაჭრო–ეკონომიკური ურთიერთობა[140]. კიდევ მეტი. VIII ს–

ის ბიზანტიური მონეტები, ფაქტობრივად, ჯერჯერობით მაინც, ცნობილი არ არის ეგრისის ტერიტორიიდან. თუ არ ჩავთვლით ერთ სპილენძის მონეტას საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდიდან, რომელიც კონსტანტინე V თუ ლეონ III ს–ის (741–775) დროისაა და რომლის წარმომავლობა უცნობია[141], სპეციალურ ლიტერატურაში მხოლოდ ორი ოქროს სოლიდის აღმოჩენაა აღნიშნული აფხაზეთიდან, ორივე ტიბერიუს III–სა (698–705 წწ.)[142]. ეს გარემოებაც, რა თქმა უნდა იმის მოწმობაა, რომ VIII ს–ის განმავლობაში ბიზანტია–ეგრისის სავაჭრო ურთიერთობა ფრიად უმნიშვნელოა და გარკვეულ პერიოდში, მაგალითად, 697 წ–დან 730–წ–დე(?), როდესაც ეგრისი არაბებს დამორჩილდა, ალბათ მთლიანად შეწყვეტილიც.

დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, ეგრისის არაბულ სამყაროსთან ურთიერთობის გასათვალისწინებლად მნიშვნელობას არ უნდა იყოს მოკლებული ნუმიზმატიკური მონაცემებიც. საქმე ის არის, რომ ამ ტერიტორიიდან ცნობილია VIII და IX სს–ის არაბული მონეტების ცალკეული აღმოჩენები და განძებიც კი. მართალია, მათი უმეტესობა ისევე, როგორც სასანურ პერიოდში, არგვეთის ტერიტორიაზე მოდის, ხოლო VIII ს. პირველი ნახევრით დათარიღებული მხოლოდ ერთი მონეტა გვაქვს (719 წლის დირჰემი მერჯევიდან)[143], მაინც ზოგადი სურათის აღსადგენად მათი გათვალისწინება მიზანშეწონილი უნდა იყოს და გარკვეულ წარმოდგენას იძლეოდეს ეგრისის სავაჭრო ურთიერთობაზე არაბულ სამყაროსთან (ალბათ, ქართლის მეშვეობით).

როგორც ვხედავთ, მართალია, VII ს–ის პირველი ნახევრის ინტენსიურ საერთაშორისო ვაჭრობასთან შედარებით განსახილველ პერიოდში სავაჭრო–ეკონომიკური ურთიერთობანი გარე სამყაროსთან ფრიად შესუსტდა და ცალმხრივი გახდა, მაინც იგი მთლიანად არ შეწყვეტილა, ხოლო VIII ს–ის დამდეგიდანვე გარკვეული აღმავლობაც შეიმჩნევა. ეს გარემოება შედარებით მშვიდობიანობის პირობებში, როგორიც საქართველოს დაუდგა VIII ს–ის 30–იანი წლების ბოლოდან 50–იანი წლების დასაწყისამდე, როგორც აღვნიშნეთ, უნდა მიგვითითებდეს იმაზე, რომ ქვეყნის შინაგანი სოციალურ–ეკონომიკური ევოლუცია, გაპირობებული წინა საუკუნეების საერთო სამეურნეო აღმავლობით, დროებითი შეფერხებების

მიუხედავად, მაინც განვითარება–გაღრმავების გზით უნდა წასულიყო.

ამის მოწმობაა არჩილის მოღვაწეობა.

მაგრამ ვიდრე უშუალოდ ამ საკითხს განვიხილავდეთ, რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ დემოგრაფიულ სიტუაციას ამდროინდელ დასავლეთ საქართველოში. ჯერ ერთი, აღსანიშნავია, რომ ქართველი ანონიმის მიხედვით დასავლეთი საქართველო პოლიტიკური თვალსაზრისით „ქართლია" ანუ დასავლეთი საქართველოს შემადგენელი მხარეები არის იგივე „ქუეყანანი ქართლისანი"[142]. ასეთი კონცეფცია საერთოდ ახასიათებს „ქართლის ცხოვრებას" და ამას, როგორც ვიცით, მაინცდამაინც ვახტანგ გორგასლის ეპოქის შემდეგ, გარკვეული საფუძველიც აქვს (იხ. ზემოთ)[145]. ანონიმის ტექსტიდან ისიც ჩანს, რომ „ქართლის მეფეებს" მიჰრს და არჩილს, რომლებიც მურვან ყრუს შემოსევისას თავს დასავლეთ საქართველოს აფარებენ, ამ უკანასკნელზე სუვერენული უფლებები აქვთ. მისი ამ კონცეფციის რეალურობა დასტურდება ზემოთ მოყვანილი ფრესკული წარწერით ატენიდან, საიდანაც ირკვევა, რომ მათი მამა, არაბთა წინააღმდეგ აჯანყების ინიციატორი, „მამფალი სტეფანოზ, ღმრთისა მიერ ქართველთა და მეგრელთა ერისთავთერისთავთა უფალი" იყო. ცხადია, მის მემკვიდრეებსაც, ფორმალური თვალსაზრისით მაინც, ლეგიტიმური პოლიტიკური უფლებები უნდა ჰქონოდათ ამ რეგიონზე[146].

შემდეგ, დავით და კონსტანტინე არგვეთის მთავრების მარტვილობის ტექსტში ვკითხულობთ, რომ მას შემდეგ, რაც მურვან ყრუს ბრძანებით დავითი და კონსტანტინე სასტიკად აწამეს, „შეუკრნეს ჴელნი და ფერჴნი და ქედთა მათთა დაჰკრნეს ლოდნი მძიმენი და ესრეთ შთაყარნეს იგინი მდინარესა მას ფასონსა, რომელ არს ენითა ქართულითა რიონი... თჳთ (მურვანი) აღიძრა და დაიბანაკა ქალაქსა ჯიხანქუჯისასა (ციხე-გოჯს), ქუეყანასა მეგრელთასა, სანახებსა ჭყონდიდისასა, რომელ არს მეგრულითა ენითა მუხა დიდი. და რამეთუ იყო ბანაკი მათი ცხენისწყლითგან ვიდრე აფხაზეთამდე, და გამოიხუნა (აიღო) ციხენი და ქალაქნი და აღაოჴრნა და უვალ და უკაცურყო ქუეყანაჲ მეგრელთა და აფხაზთაჲ"[147]. პოლიტიკური სიტუაცია VIII ს–ის პირველი ნახევრისთვის ამ ცნობაში სწორად არის გადმოცემული: აფხაზეთის ერისთავს ჯერ არ

შეუერთებია ეგრისი და ამიტომ ტერმინოლოგიაც დიფერენ-ცირებულია. კიდევ უფრო საინტერესო აქ ის არის, რომ გა-მოთქმა „ცხენისწყლითგან ვიდრე აფხაზეთამდე... ქუეყანაჲ მეგრელთაჲ“ – იმას უნდა მიუთითებდეს, რომ საკუთრივ სა-მეგრელო VIII ს–ის 30–იან წლებში უკვე ამ ფარგლებში იყო, კერძოდ, მისი აღმოსავლეთი საზღვარი ცხენისწყალია, ხოლო დასავლეთი – აფხაზეთი, უფრო ზუსტად კი „ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა“ ანუ „კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი სებერძნეთისა (resp. აფხაზეთისა) და საქართვე-ლოსა“[148]. თუ ასეთი ინტერპრეტაცია მარტვილობის ამ ტექს-ტისა სწორია, მაშინ, ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ ისევე, როგორც კელასურს იქით „ქუეყანა აფხაზთა“ მდებარეობს, ხოლო კელასურსა და ცხენისწყალს შორის „ქუეყანა მეგრელ-თა“, ცხენისწყალს აქეთაც რაღაც სხვა „ქუეყანა“ უნდა იყოს და, კერძოდ, ჩვენი აზრით, „ქუეყანა ქართველთა“. ამავე დროს, ეს არ იყო „ქუეყანა არგვეთისა“[149], რადგან დავით და კონსტანტინეს სამთავროს დასავლეთის საზღვარი სწორედ რიონზე გადიოდა[150]. რიონსა და ცხენისწყალს შორისი სივრცე ეს იყო ტერიტორია ე. წ. „ვაკე იმერეთისა“ და (ნაწილობრივ) „ოკრიბისა“ ფრიად საინტერესოა, რომ სწორედ ამ ვაკე იმე-რეთის შესახებ აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი, რომ ძვე-ლად, „პირველად იყო საერისთაო ციხე–გოჯისა და შემდგო-მად იქმნა ქუთათისისა, ოკრიბისა თანა“ (ოკრიბასთან ერ-თად)[151]. ვახუშტი ამ უაღრესად მნიშვნელოვან ცნობაში, ფაქ-ტობრივად, ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ტერიტორიის ეთ-ნიკური განვითარების ორ ეტაპზე მიუთითებს, კერძოდ კი იმაზე, რომ „პირველად“ აქ მეგრული მოსახლეობა ცხოვრობ-და („იყო საერისთო ციხე–გოჯისა“), ხოლო „შემდგომად“ ამ მოსახლეობამ ქართიზაცია განიცადა („იქმნა [საერისთო] ქუ-თათისისა“). ვახუშტის თვალსაზრისით VIII ს–ში ეს უკვე მომ-ხდარი ფაქტია[152].

ამგვარად, VIII ს–ის პირველ ნახევარში ჩვენ, ფაქტობრი-ვად, ვადასტურებთ მერმინდელი იმერეთის, როგორც ეთნოგ-რაფიული და პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბებას.

თუ ამ თვალსაზრისს გავიზიარებთ და ვივარაუდებთ, რომ VIII ს–ის პირველი ნახევარი არის გარკვეული ეტაპი და-სავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოსავლურ–ქარ-თული ეთნიკური ელემენტის დამკვიდრებისა, მაშინ, ეგების

არც ის უნდა იყოს უსაფუძვლო, თუ სწორედ ამ დროს „ქართლის ცხოვრებაში", ანონიმის ტექსტში, „გურიის" პირველად ხსენებასაც ეთნო–კულტურული განვითარების გარკვეულ საფეხურს დავუკავშირებთ. აღმოსავლური ქართული ეთნიკური ელემენტის დიფუზია დასავლეთისაკენ (ისევე, როგორც აღმოსავლეთისკენ), როგორც ვიცით, უძველესი დროიდანვე იწყება და ჩვენთვის საინტერესო პერიოდისთვის მას, ყოველ შემთხვევაში, ათასწლოვანი ისტორია აქვს, მაგრამ მაინც VIII ს–ის პირველი ნახევარი, ჩანს, ამ პროცესის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, როდესაც დასავლეთ საქართველოში საბოლოოდ ყალიბდება ის ეთნოგრაფიული ერთეულები, რომელნიც დღემდე იმერეთისა და გურიის სახელწოდებით არიან ცნობილი.

ქართველი ანონიმის თხზულება კიდევ ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ჩვენებას შეიცავს. კერძოდ, აშკარა ხდება VIII ს–ის პირველ ნახევარში ქუთაისის, როგორც პოლიტიკური და კულტურული ცენტრის აღზევება. თუ რატომ და როგორ მოხდა, რომ ეგრისის პოლიტიკური ცენტრი ციხეგოჯიდან ქუთაისში, დასავლეთ საქართველოს ბუნებრივ ეკონომიკურ ცენტრში ინაცვლებს, ეს ფრიად საინტერესო საკითხია[153]. საქმე ის არის, რომ უძველესი დროიდანვე ლაზიკისა და იბერიის სამეფოთა შორის არსებობდა პოლიტიკური მეტოქეობა მათ შორის მდებარე არგვეთის ტერიტორიის დაუფლებისათვის. ასეთ ვითარებაში ქუთაისში, არგვეთის მეზობლად, ეგრისის სამეფოს ცენტრის არსებობა მიზანშეწონილი არ უნდა ყოფილიყო და მისი გადატანა დასავლეთით, ქვეყნის შიგნით სავსებით გამართლებული იყო. ამან განაპირობა არქეოპოლისის ანუ ციხეგოჯის, როგორც პოლიტიკური ცენტრის როლი მიუხედავად იმისა, რომ იგი სამეურნეო თვალსაზრისით სამეფოს ყველაზე მდიდარი და დაწინაურებული რაიონიდან – მოხირისიდან – რამდენადმე მოშორებით მდებარეობდა.

ჰერაკლე კეისრის ძლევამოსილი ომებისა და განსაკუთრებით არაბთა მიერ ამიერკავკასიის დაპყრობის შემდეგ, რომელთაც, ფაქტობრივად, მხოლოდ აღმოსავლეთი საქართველო დაიმორჩილეს, დასავლეთი საქართველო არგვეთიანად ბიზანტიელების გავლენის სფეროში დარჩა. ქართლის პოლიტიკურ ექსპანსიაზე საუბარი ამ პერიოდში ზედმეტია. არგვეთი ეგრისის სამთავროს პოლიტიკურ გავლენას დაემორჩილა

და ამდენად, ბუნებრივი უნდა ყოფილიყო ამიერიდან ქუთაისის – დასავლეთი საქართველოს ბუნებრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრის – მნიშვნელობის აღორძინება, ზრდა და დაწინაურება. ამ მხრივ ფრიად ნიშანდობლივია, რომ ქუთაისი (Cotaisin) მოიხსენიება VII ს–ის რავენელი ანონიმის „კოსმოგრაფიაში", რაც მოწმობს, რომ ქალაქი ამ დროს უკვე მნიშვნელოვან სავაჭრო–ეკონომიკურ ცენტრად ითვლებოდა[154]. ამასვე უნდა მოწმობდეს ის ფაქტიც, რომ „აშხარაცუიცი" ქუთაისს (Կուտա) ეგრისის ხუთ მნიშვნელოვან ქალაქთა შორის აღნიშნავს[155]. VIII ს–ის პირველ ნახევარში იგი უკვე ფრიად მნიშვნელოვანი ცენტრია. ეს კარგად ჩანს ქართველი ანონიმის „არჩილის ცხოვრების" არაერთი ჩვენებიდან, რომელთაგან მხოლოდ ერთს მოვიყვანთ: სიკვდილის წინ მიჰრი ეუბნება არჩილს: „მამაცა ჩუენი მოკუდა შფოთსა ამას შინა და კერ წარვეცით იგი მცხეთას (იგულისხმება მურვან ყრუს შემოსევა და საერთოდ არაბთა მძლავრობა, დ. მ.), წარსცენ ძუალნი მისნი და დაჰფლენ საყდარსა ქუთათისსა, რათა იპოვოს იგი საწამებელად სამკკდროსა ჩუენისა"[156]. ეს ცნობა შესაძლებელია არც იყოს რეალური, მაგრამ მთავარია ის, რომ მემატიანესთვის ქუთაისი ეგრისის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენს ამ დროს, სადაც სტეფანოზ ქართლის ერისმთავრის საფლავი იქნება, როგორც სიმბოლო ქართლის მმართველთა ახალი რეზიდენციისა. ეს ტენდენცია სახელმწიფოს კულტურულ–პოლიტიკური ცენტრის დასავლეთში, კერძოდ კი ქუთაისში გადატანისა, მართლაც, შესაძლებელია უკვე მაშინ არსებულიყო, რამდენადაც VIII ს–ის 40–იანი წლებიდან, როგორც ცნობილია, თბილისი არაბი ამირას ადგილსამყოფელი ხდება (იხ. ქვემოთ).

ამგვარად, ქუთაისის აღორძინება VII–VIII საუკუნეებში ხდება და VIII ს–ის პირველ ნახევარში იგი უკვე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრია. არაბთა შემოსევა ამ საუკუნის დასაწყისში და მურვან ყრუს თარეში 30–იან წლებში მაინც ეპიზოდური ხასიათისა იყო. დასავლეთ საქართველოში ხელახლა იწყება სამეურნეო აღმავლობა: „უწყიეს შენება ადგილთა ჩუენთა კლისურითგან აღმართ"[157] ანუ მთელს დასავლეთ საქართველოში, გვაუწყებს მემატიანე. ამდენადვე ქვეყნის ყველაზე უფრო მძლავრი სამეურნეო რაიონის (მოხირისის) ბუნებრივი ცენტრის, ქუთაისის შემდგომი დაწინაურება, ქვეყნის ეკონო-

მიკურ და პოლიტიკურ ცენტრად გადაქცევა, ასეთ ვითარებაში სრულიად გარდაუვალი იყო. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო ის არის, რომ, თუკი მოვიგონებთ ამ პერიოდის დემოგრაფიულ ვითარებას რეგიონში, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ ქუთაისი აღსდგა არა როგორც ეგრისის პოლიტიკური ცენტრი, არამედ – ქართლისა და ამდენადვე, ცხადია, როგორც ამ უკანასკნელის კულტურის დასავლეთ საქართველოში გავრცელების მძლავრი ფორპოსტი.

ეს ზოგადქართული კულტურა, რომელიც დაფუძნებული იყო აღმოსავლეთი საქართველოს, იბერიის მძლავრ სოციალურ–ეკონომიკურ ბაზისზე და უკვე IV–V საუკუნეებიდან ქართულენოვან – ქრისტიანული იყო, V ს–ის მეორე ნახევრიდან, როდესაც ვახტანგ გორგასალმა გააერთიანა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო, ინტენსიურად ვრცელდებოდა დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ბერძნულენოვანი ქრისტიანული კულტურა და ლიტურგია იყო გაბატონებული, რომელიც სრულიად უცხო იყო ადგილობრივი მოსახლეობის ფართო მასისათვის. ისიც ვიცით, რომ VI–VII საუკუნეების მიჯნაზე ქართლის კათალიკოსი კირიონი ხელდასმულ იქნა „მეგრელთა არქიეპისკოპოსად წინანდელ წესთა მაგალითისამებრ", რაც იმის მაჩვენებელია, რომ მცხეთის საკათალიკოსოს სამწყსოში დასავლეთ საქართველოს გარკვეული ტერიტორიაც შემოდიოდა[158]. ყველაფერი ეს იმას უნდა მიუთითებდეს, რომ უძველესი დროიდანვე ეგრისის აღმოსავლეთ ნაწილში მაინც ოფიციალური ქრისტიანული კულტი ქართულ ენაზე სრულდებოდა[159].

ამ თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვნად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ უკვე უძველეს, VII ს–ის ბიზანტიურ ნოტიციაში, რომელშიც ჩამოთვლილია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ლაზიკის ეპარქიის ფასიდის (ფოთის) სამიტროპოლიტოს ოთხი საეპისკოპოსო კათედრა, მხოლოდ ერთი – როდოპოლისის (ვარდციხის) კათედრაა ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე, დანარჩენი სამი კი, თვით სამიტროპოლიტოსთან ერთად ან ზღვისპირასაა: ფასიდი, პეტრა (ციხისძირი), ზიგანევი (გუდაყვა), ანდა არცთუ ისე მოშორებით ზღვისგან – საისინი//საისი (ცაიში)[160]. ცაიშის საეპისკოპოსოს სამწყსოს ვახუშტი ბატონიშვილი ასე განსაზღვრავს: „ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ამ წყლის (ჭანის–წყლის, დ. მ.) სამჴრე-

თის კერძოსი უნაგირამდე და რიონა–ზღვამდე"[161]. უნაგირას მთა, რომელიც ვახუშტის მიხედვით უნდა იყოს მდ. ტეხურის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივი მერიდიანული ქედი[162], ცაიშის ეპარქიის აღმოსავლეთი საზღვარია, რომლის აქეთ (აღმოსავლეთით) უკვე ჭყონდიდის ეპარქიაა ცხენის–წყლამდე[163]. რამდენადაც ცნობილია, რომ საეკლესიო–ეპარქიალური დანაწილება ტერიტორიისა კონსერვატიული ხასიათისაა საერთოდ[164], ამდენად, ვფიქრობთ, ძალიან არ შევცდებით, თუ ბიზანტიურ ნოტიციაში ხსენებულ ცაიშის ეპარქიის საზღვარს აღმოსავლეთით იმავე უნაგირაზე დავდებთ. ასეთ შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ არა მხოლოდ ვაკე იმერეთში არგვეთიანად და რაჭა–ლეჩხუმიანად, არამედ მთელს მარჯვენა რიონისპირეთში მდ. ტეხურის ხეობის ჩათვლით, VII ს–ში მცხეთის კათალიკოსის იურისდიქცია მოქმედებდა ქართული ენით, ქართული მწიგნობრობით და აქედან გამომდინარე ყველა ღრმა შედეგით.

კიდევ მეტი. ზოგადქართული კულტურის მძლავრი ნაკადი ეგრისის უკიდურეს ჩრდილო–დასავლეთ ტერიტორიას, აფხაზეთსაც აღწევდა. ამის უცილობელი მოწმობაა სწორედ VI–VIII საუკუნეებში ქართული, კერძოდ, ქართული საეკლესიო არქიტექტურის ძეგლების ინტენსიური მშენებლობა აფხაზეთში („სამეკლესიანი ბაზილიკები": ძველი გაგრა, აბაათა – VI ს; ჯგერდა, ამბარა – VIII/IX სს.; „მცხეთის ჯვრის ტიპი": დრანდა – VIIIს.)[165], რაც იმის უტყუარი დასტურიც არის, რომ ამ დროიდან მაინც, ბერძნულ–ბიზანტიურთან ერთად, აქ ქართული ქრისტიანული თემი არსებობს. ეს თავის მხრივ აშკარად მიუთითებს ქართული ფეოდალური კულტურის ფართოდ გავრცელებაზე აფხაზეთში, რასაც VIII ს–ში სულ ცოტა ორსაუკუნოვანი ისტორია უკვე ჰქონდა.

ამ ხანგრძლივი და სიღრმისეული კულტურული პროცესის ბუნებრივი შედეგი იყო ის, რომ ბიზანტიის კეისრების დიდმოხელე „აფხაზეთის ერისთავების" პოლიტიკური და კულტურული ორიენტაცია აქამდე, არსებითად, ბიზანტიისაკენ მიმართული, რადიკალურად იცვლება და მათ თავისი საერისთავოს მომავალი სრულიად შეგნებულად ზოგადქართულ პოლიტიკას დაუკავშირეს და აქტიურად ჩაებნენ მომავალი საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. თუ არა ზემოაღნიშნული კულტურული ვითარება აფხაზეთში,

ამის ახსნა სრულიად შეუძლებელი იქნებოდა: ცხადია, აფხაზთა დიდი ნაწილისათვის, მაინცდამაინც, მისი ფეოდალური ზედაფენისთვის საერთოქართული ფეოდალური კულტურა ქართული ენით, ქართული დამწერლობით და ქართული სოციალური ურთიერთობებით ორგანულად ეროვნულ კულტურას შეადგენდა.

კონკრეტულად კი ეს დიდი მნიშვნელობის გარემოება ქართველ ანონიმს ასე აქვს ასახული: მიჰრის შემდეგ, რომელიც ანაკოფიის ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი მალევე გარდაიცვალა, სტეფანოზის ერთადერთ მემკვიდრედ არჩილი ხდება. ბუნებრივია, თუ იგი მამამისის ტიტულს, „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთერისთავთა უფლისას", იმკვიდრებს. ამის შემდეგ მასთან მიდის ლეონ „ერისთავი აფხაზეთისა" და თუკი მანამდე, როგორც „ერისთავი კეისრისა", უშუალოდ ბიზანტიის იმპერატორის ვასალი იყო, ამიერიდან იგი, არჩილის ქვეშევრდომი ხდება: ლეონი მას ეუბნება: „მომცა მე კეისარმან ქუეყანა ესე მკჳდრობით (მემკვიდრეობით) კეთილად სიმჴნითა თქუენითა. ხოლო ამიერიდან არს ესე მამულობით სამკჳდრებელ ჩემდა კლისურითგან ვიდრე მდინარედმდე დიდად ხაზარეთად (მდ. ყუბანამდე)... შემრთე მეცა მონათა შენთა თანა... მაშინ მისცა (არჩილმა) ლეონს ცოლად ძმისწული მისი გუარანდუხტ და... ყვეს აღთქმა და ფიცი საშინელი, ვითარმედ არა იყოს მტერობა შორის მათსა, არამედ ერჩდეს (ემორჩილებოდეს) ლეონ არჩილს ყოველთა დღეთა მისთა"[66].

რამდენადაც იდილიური სურათი არ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი ქართველ ანონიმს, მით უმეტეს, რომ მთელი ეს აქცია ლამის თვით კეისრის ინიციატივითაა ინსპირირებული[67], მაინც თვით ფაქტი ლეონის არჩილისადმი ვასალურ ურთიერთობაში შესვლისა, საკუთრივ რეალურ–ისტორიული უნდა იყოს და იმის მოწმობად შეიძლება გამოდგეს, რომ თუ, ერთი მხრივ, როგორც ჩანს, შესუსტდა ბიზანტიის კონტროლი აფხაზეთზე (შესაძლებელია ამ დროს სახელმწიფოში მიმდინარე შინაგანი სამოქალაქო ომის გამო – ხატმებრძოლეობა), მეორე მხრივ, ქართლის პოლიტიკურ–კულტურული გავლენა იმავე რეგიონზე იმდენად ძლიერია, რომ აფხაზეთის მმართველი იძულებულია მისი სუვერენობა აღიაროს. ასეა თუ ისე აფხაზ ხელისუფალთა პროქართული ორიენტაცია ამიერიდან სრულიად უდავოა.

ამის შემდეგ არჩილი აწესრიგებს ეგრისის საქმეებს, სადაც „განაგნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი“[168] და ბოლოს გადმოდის აღმოსავლეთში, კერძოდ კახეთში, რომელიც, ჩვენი აზრით, მისი საგამგეო უნდა ყოფილიყო, ვიდრე იგი მამამისის სიკვდილის შემდეგ მთლიანად ქართლის და ეგრისის ხელისუფალი გახდებოდა[169]. განსაკუთრებით ინტენსიურ საქმიანობას არჩილი სწორედ ქართლის საერისმთავროს აღმოსავლეთ პერიფერიაზე ეწევა. მისი ხელისუფლება ვრცელდება ჰერეთზე, წუქეთზე და შაქზეც: „და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი, და ჴევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე[170]. და ჰპოვა წუქეთს მთავარნი... და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი. და აღაშენა ციხე–ქალაქი ერთი ნუხპატს* ორთა წყალთა შუა, ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მჴეცის–ბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი. და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი“[171].

შაქი და ჰერეთი, მემატიანის სიტყვით, არჩილს სომხეთიდან მოსული მთავრებისათვის, როგორც ჩანს, ბაგრატუნებისათვის, მიუცია; რომელნიც „წარმოვიდეს ტარონით შაკიხად, სამნი ძმანი, და დაემკჳდრნეს მუნ ბრძანებითა არჩილისათა... და დაემკჳდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის“[172]. უკანასკნელი განმარტება, რომ ზემოხსენებული ძმები დაეუფლნენ ტერიტორიას შაკიხიდან (შაქიდან) „ვიდრე გულგულამდის“ (სოფელი მდ. თურდოზე), იმის მოწმობაა, რომ ისინი შაკიხს გარდა სწორედ ჰერეთში დამკვიდრებულან, რამდენადაც, როგორც ვიცით, ქართული ჰერეთის აღმოსავლეთით შაკიხი// შაქი მდებარეობდა, ხოლო მის დასავლეთ საზღვარს კახეთთან სწორედ სოფ. გულგულა წარმოადგენდა[173]. მათ სამფლობელოში უნდა შესულიყო კამბეჩოვანიც.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, არჩილს ფრიად ინტენსიური კულტურული და საფორტიფიკაციო მშენებლობა გაუჩაღებია არა მარტო საკუთრივ ჰერეთის ტერიტორიაზე (ლაგოდეხის რ–ნი და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბელაქნის, ზაქათალის და კახის რაიონები), რომელიც V ს–დან მკვიდრად შემოდის იბერიის საზღვრებში, არამედ – საკუთრივ შაქშიც

---

* აიგივებენ დღევანდელ ნუხასთან აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.

(აზერბაიჯანის რესპუბლიკის შექის რ–ნი). გარდა ზემოხსენებულისა, ამის მატერიალური საბუთია, ჩვენი აზრით, ყუმის ბაზილიკა (VIII ს.) და ლეკითის ტეტრაკონქი (VIII–IX სს.) აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონში[174].

აქ პირველ რიგში იმის აღნიშვნაა საინტერესო, რომ შაქი, რომელიც არაბთა შემოსევის დროს, როგორც ვიცით, ალვანეთის პროვინცია იყო (იხ.ზემოთ ბალაზურის ცნობა), არჩილის დროს ქართლის საზღვრებში შემოდის, რამდენადაც იქ მისი ბრძანებით ემკვიდრეებიან ტარონიდან მოსული ბაგრატუნები. როდის უნდა შემოსულიყო ეს მხარე ქართლის სახელმწიფოში?

მოვსეს კალანკატუაცის მიხედვით შაქი ალვანეთის პროვინციაა VII ს–ის მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში[175]. მაგრამ ალვანელი ისტორიკოსი ამავე დროს ფრიად საინტერესო ცნობებს გვაწვდის იბერია–ალვანეთის ურთიერთობის თვალსაზრისით. ასე მაგალითად, ალვანეთის მთავრის შეროს დროს (699–705 წწ.) ამ ქვეყნის კათალიკოსი ნერსე ცდილობს გაატაროს საეკლესიო რეფორმა და ალვანეთის ოფიციალურ რელიგიად, მონოფიზიტურის მაგივრად, ქალკედონური მრწამსი გამოაცხადოს[176]. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი მცდელობა ინსპირირებული უნდა ყოფილიყო ქართლის ხელისუფლებისა და სამღვდელოების მიერ, მით უმეტეს, რომ კათალიკოსობამდე ნერსე, გარდმანის ეპისკოპოსი იყო, იმ ალვანური პროვინციისა, რომელიც უშუალოდ ემიჯნებოდა იბერიას და, ადვილი შესაძლებელია მის კულტურულ გავლენას განიცდიდა. ამ ვარაუდის საფუძვლიანობაზე მიუთითებს უშუალოდ ამის მომდევნო მოვლენები, როდესაც VIII ს–ის პირველ ნახევარში უკვე იბერიის კათალიკოსი თალილე ერევა ალვანეთის საშინაო საქმეებში და ცდილობს დიოფიზიტობაზე მოაქციოს ამ ქვეყნის მთავარი[177]. მართალია, ქართლის სამღვდელოების ეს მცდელობანი უშედეგო აღმოჩნდა, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი სომხეთის კათალიკოსსაც მიუძღვის, მაგრამ თავისთავად ეს ფაქტები, ჩვენი აზრით, გარკვეულად მიუთითებენ იბერია–ალვანეთის კულტურულ–პოლიტიკური ურთიერთობების ჩვენთვის უკვე ცნობილ პროცესზე, რომელსაც ჩვენ წინა საუკუნეებისთვის ვადასტურებთ ქართული ქრისტიანული კულტურის მძლავრი ნაკადის ანუ ქართული ენისა და მწიგნობრობის თანდათანობითი გავ-

რცელების ტენდენციის სახით. სწორედ ამ პროცესის გამოხატულება და შედეგი უნდა ყოფილიყო ის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ ყოფილი ალვანური პროვინცია ქართლს შეუერთდა. ამიერიდან ქართული წყაროების „ჰერეთი" საკუთრივ შაქსაც მოიცავს. მეორე მხრივ, ეს იმის მანიშნებელია, რომ შაქის მოსახლეობა, მაინცდამაინც, მისი ფეოდალური ნაწილი მნიშვნელოვანწილად უკვე გაქართველებული უნდა ყოფილიყო.

არჩილის პოლიტიკურ–კულტურული საქმიანობა საქართველოს უკიდურეს სამხრეთ–დასავლეთსაც სწვდება. ჯერ ერთი, მან „აღაშენა ციხე საზღუარსა ზედა გურიისა და საბერძნეთისა"[178]. არ არის გამორიცხული აქ ხუფათის ციხე იგულისხმებოდეს, რომელიც, როგორც ვიცით, V ს–შიც (იხ. ზემოთ) და, უფრო გვიანაც, XI–XII ს–შიც საქართველო–საბერძნეთის საზღვარს წარმოადგენდა[179]. შემდეგ, იმავე მემატიანის გადმოცემით, „მას ჟამსა პიტიახშნი ვინმე არა შეეშუნეს კლარჯეთს, სხუად წარვიდეს ნახევარნი მათგანნი, და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელსა ერქუა კალმახი, და აღაშენეს ციხედ. ხოლო ნახევარნი მოვიდეს კახეთად არჩილის თანა"[180]. მართალია, ტექსტი რამდენადმე ბუნდოვანია და თითქოს არც ის ჩანს, რომ „პიტიახშნი", რომელთაც კალმახის ციხე ააგეს „ამიერ–ტაოში" (ოლთისის წყლის ხეობაში), და ე. ი. ეს პროვინცია თავის საფეოდალოდ აქციეს, რაიმე დამოკიდებულებაში არიან არჩილთან, მაგრამ თვით ქართველი ანონიმის, „არჩილის ცხოვრების" ავტორის მიერ ამ ფაქტის ხსენება გულისხმობს, რომ ტაო ქართლის „ქვეყანაა" და კალმახის ციხის პატრონები კი არჩილის ვასალები არიან[181].

დასასრულ, საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ არჩილის საბელმწიფოებრივი მოღვაწეობა სოციალურ სფეროსაც შეეხო. მემატიანე მოგვითხრობს, რომ მისი უფროსი ძმა, მიჰრი უძეოდ გარდაიცვალა და დარჩა მხოლოდ შვიდი ასული. სიკვდილის წინ იგი ანდერძად უტოვებს არჩილს, რომ მან მისი ქალიშვილები ქართლის ერისთავებს მიათხოვოს: „მისცენ მათ (ერისთავებს დ. მ.) ასულნი ჩემნი და განუყვენ მათ ქუეყანანი ქართლისანი: ნახევარი შენ და ნახევარი მათ. ხოლო საუხუცესოდ რომელ მქონდა, მომიცემია შენდა, და გქონდეს საუხუცესოდ: ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგუეთი და გურია... ხოლო არჩილ მოუნოდა ერისთავთა ქართლისათა, და მისცნა ძმისწულნი მისნი:

ერთი მისცა მამის ძმისწულსა მისსა, შვილსა გუარამ კურაპალატისასა, რომელსა ჰქონდა კლარჯეთი და ჯავახეთი;

მეორე მისცა პიტიახშსა, ნათესავსა ფეროზისსა, რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს;

მესამე მოსცა ნერსეს ნერსიანსა, რომელი-იგი იყო წარჩინებული ვახტანგ მეფისა;

მეოთხე მისცა ადარნასეს ადარნასიანსა, და ორთავე ამათ განუყო ზენა სოფელი, რომელ არს ქართლი;

მეხუთე მისცა ვარაზმანს და მისცა კოტმანითგან ქურდის-ჴევამდე (დღ. თაუზ-ჩაიდან დებედა-ჩაიმდე, დ. მ.)...

მეექუსე მისცა ჯუანშერს ჯუანშერიანსა, რომელი-იგი იყო ნათესავი მირიან მეფისა, შვილთაგან რევისთა, და მისცა ჯუარი და ხერკი, და ყოველი მთიულეთი, მანგლისისჴევი და ტფილისი.

ხოლო ნაწილი არჩილისი იყო განზოგებით გამონაყოფი ყოველთა ამათ ჴევთათან"[182] (მეშვიდე ქალიშვილი, როგორც ვიცით, ლეონ აფხაზეთის ერისთავმა შეირთო).

ცნობა შვიდი ძმისწულის შვიდ ერისთავზე გათხოვების და მათთვის მზითვად „ქართლის ქვეყნების" დარიგების შესახებ ალბათ ლეგენდარულია, თუმცა მიჰრის ერთ-ერთი ქალიშვილის, გუარანდუხტის, ლეონ ერისთავის მიერ შერთვა, შესაძლებელია, რეალურიც იყოს, რასაც მისი სახელის ნიშანდობლივი აღნიშვნა გვაფიქრებინებს. შესაძლებელია, ზუსტი არ იყოს ზოგ შემთხვევაში საერისთავოთა ტერიტორიული მოცულობის განსაზღვრა ან საეჭვო იყოს ზოგიერთ ერისთავთა სახელდება გვიანდელი მემატიანის მიერ, მაგრამ თვით იმ მოვლენის არსი, რისი გადმოცემაც მას სურს, ქრონოლოგიურად და არსებითადაც სავსებით რეალური უნდა იყოს. მემატინეს კი სურს განგვიმარტოს, რომ არჩილმა, რომელიც მამამისივით „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთერისთავთა უფალია", ამ თავის დიდმოხელეებს თავიანთი საერისთავოები, რომლებიც აქამდე საგამგეოდ ჰქონდათ, სამემკვიდრეოდ დაუმტკიცა. უფრო სწორია თუ ვიტყვით, რომ ქართლის „მამფლის" (<მამა უფლის) დიდმოხელე ერისთავებმა ამ დროისთვის თავიანთი საგამგეო ტერიტორიები, ფაქტობრივად, გაისაკუთრეს, ანუ, როგორც ლეონ აფხაზეთის ერისთავი ამბობს (იხ. ზემოთ), „ქუეყანა ესე მკჳდრობით" აქვთ და „ამიერითგან არს ესე მამულობით სამჳდრებელ მათდა". არჩილს სხვა არა-

ფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ოფიციალური სანქცია მიეცა არსებული ვითარებისათვის და სწორედ ამ დიდი სოციალური ტეხილის ლეგიტიმურობის აზრს გამოხატავს მემატიანის მიერ გვიან ფიქსირებული გადმოცემა, რომ არჩილმა სიძობით დაუმტკიცა ერისთავებს „სამეფო ქუეყანა".

არჩილის „რეფორმატორული" ღონისძიებანი ამით არ ამოწურულა, მაგრამ საგანგებოდ ამ დიდმნიშვნელოვან გარემოებაზე და მის შეფასებაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. ამჟამად კი აღვნიშნავთ, რომ, როგორც ზემოთქმულიდან ცხადი უნდა იყოს, არჩილი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ–ერთი ფრიად თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეა: მის სახელთან არის დაკავშირებული განმათავისუფლებელი ბრძოლა ქართველებისა არაბთა მძლავრობის წინააღმდეგ; მის დროს და ნაწილობრივ მისი ენერგიული მცდელობის შედეგად მთავრდება გარკვეული ეტაპი ქართული ფეოდალური კულტურის მძლავრი ნაკადების გავრცელებისა, როგორც დასავლეთით ისე აღმოსავლეთით და შესაბამისად მისი მეტოქეობისა, ერთი მხრივ, ბერძნულ და მეორე მხრივ სომხურ–ალვანურ ქრისტიანულ კულტურებთან; ამის შედეგია, რომ სწორედ არჩილის ზეობის დროს აფხაზეთი საბოლოოდ შემოვიდა ქართულ კულტურულ სოციალურ–პოლიტიკურ სივრცეში, ხოლო ჰერეთის აღმოსავლეთი პერიფერია, შაქი, საუკუნეთა მანძილზე ამიერიდან ქართული სახელმწიფოებრიობის ორგანული ნაწილი ხდება; ასევე მის დროს უბრუნდება ქართულ სამყაროს დიდი ხნის წინ მიტაცებული ქართული პროვინცია ტაო; დასასრულ, არჩილის ზეობასთანაა დაკავშირებული ქართველი ხალხის სოციალური განვითარების ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი. ყველაფერი ეს სრულ უფლებას გვაძლევს, როგორც აღვნიშნეთ, იგი ძველი საქართველოს თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწედ ჩავთვალოთ. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ მისი ერისმთავრობის ისტორია საგანგებოდ აისახა ქართველი ანონიმის თხზულებაში, რომელსაც, როგორც იყო აღნიშნული, შეიძლება „არჩილის ცხოვრება" ვუწოდოთ. არც ის არის, ცხადია, შემთხვევითი, რომ მისი მოწამეობრივი სიკვდილიც ცალკე თხზულებაშია აღწერილი, რომელიც ლეონტი მროველს მიეწერება და ეწოდება „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი რომელი იყო მეფე ქართლისა" როგორც აქედან ჩანს, საბოლოოდ არჩილი არაბთა მძლავრო-

ბას შეეწირა, რომელთაც მას ისლამის აღიარება მოსთხოვეს. უარის მიღების შემდეგ არაბებმა „განიყვანეს გარე და მოჰკუეთეს თავი მისი თუესა მირკანისსა, რომელ არს მარტი, ოცსა მის თჳსასა"[183]. ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით 745 წელს[184].

„ხოლო ვითარცა აღესრულა წმიდა იგი მოწამე, მოვიდეს ღამესა მას გოდერძიანნი ტბელნი და მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მამეანნი, და მოიპარეს გუამი წმიდისა მოწამისა არჩილისი, წარმოიღეს და შემურეს დიდითა პატივითა, და დამარხეს ნოტკორას, მის მიერ აღშენებულსა ეკლესიასა. ხოლო ცოლმან მისმან მიუბოძა სოფლები მათ, რომელთა მოიღეს გუამი წმიდისა არჩილისი კახეთს შინა სამკჳდრებლად"[185]. ამ ცნობის რეალურ-ისტორიულობას უნდა ასახავდეს „არჩილის ეკლესია", რომელიც კოშკთან ერთად დღემდეა შემორჩენილი სოფ. ნადოკრასთან თიანეთის რაიონში (ერწოში).

შენიშვნები:

1. Артамонов М. И. История Хазар, Л., 1962, стр. 170-174.
2. Кулаковский Ю., История Византии, т. III, Киев, 1915, стр. 139-152.
3. ქც, I, გვ. 230. „ქართლის ცხოვრების" ამ ცნობის წყაროებისათვის იხ. კ. კეკელიძე, რამდენიმე ჯერ კიდევ გაურკვეველი ტერმინი ჩვენი საისტორიო მწერლობისა, ტუშ, V, გვ. 306, 307.
4. Артамонов М. И. დასახ. ნაშრომი, გვ. 155.
5. ჯანაშია, ს., არაბობა საქართველოში, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 357, 358; სილაგაძე ბ., არაბთა ბატონობა საქართველოში, თბ., 1991, გვ. 35-38.
6. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1983, გვ. 73, 76; სილაგაძე ბ., დასახ. ნაშრომი, გვ. 41.
7 სებეოსი, გვ. 116-127; იხ. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 359-362.
8. თეოფანე, გვ. 102.
9. Баладзори. Книга завоевания стран. Текст и перевод. Перевод с арабского проф. П. К. Жузе, Баку, 1927, стр. 8-11 (ქვემოთ: ბალაზური).

10. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 363.
11. ცქიტიშვილი ო., აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფი არაბთა პირველი ლაშქრობის შესახებ საქართველოში, „მაცნე", ისტორიის..., №1, 1984, გვ. 103.
12. ბალაზური, გვ. 11.
13. იქვე.
14. იქვე, გვ. 6. „ბარიკას კარის" აგება „ტრაპეზუნტის ზღვასთან" ჯურზანში იმის მოწმობად გამოდგება, რომ ქართლი ამ დროს ისევე, როგორც უფრო ადრეც, ვახტანგ გორგასლის დროს, შავ ზღვაზე გადიოდა. პეროზ-კავატის ლოკალიზაციის ცდა, იხ. გოილაძე ვ., ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1991, გვ. 113 და შემდ.
15. იხ. ბალაზური, გვ. 12, 13; იაკუთის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ, ნაკვ. I, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ, თბ., 1964, გვ. 39, 40; ცქიტიშვილი ო., ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი" აბუ უბაიდის თხზულებაში, „მაცნე" ისტორიის... №2, 1976, გვ. 187-199; მისივე, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი" ჰუმაიდ იბნ ზანჯუვაიჰის „ქონების წიგნში", „მაცნე", ისტორიის... №2, 1991, გვ. 102-110. ბალაზურისეული და ტაბარიული ტექსტის თარგმანი, იხ. ჯავახიშვილი ი., იქვე, გვ. 73, 76; ლორთქიფანიძე მ., ჰაბიბ იბნ-მასლამას „დაცვის სიგელი", მსკი, ნაკვეთი 29, 1951; სილაგაძე ბ., ჰაბიბ იბნ-მასლამას დაცვის სიგელის დათარიღებისათვის, „მაცნე", ისტორიის... №1, 1971, გვ. 69; სიხარულიძე ე., არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. არაბული „დაცვის სიგელები", თუშ, ტ. 73, 1959; მისივე, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის" აბუ უბაიდისეული ვარიანტი, თბ., 2001.
16. ცქიტიშვილი ო., ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი" ჰუმაიდ იბნ ზანჯუვაიჰის „ქონების წიგნში", გვ. 110.
17 იქვე, 104, 105.
18. იქვე, 105. ბალაზურისეული ტექსტი ქართველი მოციქულის სახელის წაკითხვის - „თუფილა" (თეოფილე?) – სხვა შესაძლებლობას იძლევა - „ნიკოლა" (?), რაც არაბული გრაფიკის საშუალებით იხსნება (იხ. ლორთქიფანიძე მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 63 და 64, შენ 5).
19. ლორთქიფანიძე მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

20. აბუ უბაიდთან: „ალ-ჰარმინის ქვეყნის ტაფლისის მცხოვრებთათვის" (იხ. ცქიტიშვილი ო., ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი" აბუ უბაიდის თხზულებაში, გვ. 193) აშკარა შეცდომაა გრაფიკულ ნიადაგზე (იხ. იქვე, გვ. 198) და „ალ-ჰარმაზი" უნდა იყოს, როგორც ეს იბნ ზანჯუვაიჰთანაა. აბუ უბაიდის ტერმინს„ალ-ჰრმნ" ე. სიხარულიძე „ირმინიჲად" კითხულობს, რაც არ უნდა იყოს სნორი, რადგან „სომხეთი", აბუ უბაიდთან „არმინიჲა"-დ არის გადმოცემული (იხ. სიხარულიძე ე., ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის", გვ. 9, 10, 12).
21. სიხარულიძე ე., არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 171.
22. იქვე, გვ. 170; ბალაზურისთან არმაზის მაგივრად „კირმიზი" (წითელი) წერია, რაც აგრეთვე აშკარა შეცდომაა და ამიტომ ჩასასწორებელია, რაც გააკეთა კიდეც მ. ლორთქიფანიძემ (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63). ტექსტების ერთგვაროვნობისათვის ვტოვებ დედნისეულ „ჯურზან"-ს და არ გადმომაქვს „ქართლ"-ად, როგორც ეს ორივე ზემოხსენებულ ავტორთა თარგმანშია.
23. სიხარულიძე ე., არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 173.
24. იქვე, გვ. 172; ლორთქიფანიძე მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 64.
25. ჯავახიშვილი ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 75; შდ. ბალაზურის რუსულ თარგმანს: "Дана сия грамота Хабибом, сыном Масламы, жителям Тифлиса (и собравшимся) из Манджалиса (Манглиса), из Красного Джурзана" (იხ. ბალაზური, გვ. 11).
26. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 364.
27. ალექსიძე ზ., ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 122.
28. მართლაც ცნობილია, რომ მანგლისი, ადრეფეოდალურ ხანაში ქართლის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის, „მანგლისჴევის" თუ „მანგლისის ჴევის" („მანგლეაცფორ") ცენტრია (იხ. მაგალითად, Армянская география VII века по р. Х. (приписывавшаяся Мойсею Хоренскому). Текст и перевод издал К. П. Патканов, С.-Пб., 1877, стр. 17). ასეა XI-XII საუკუნეებშიც (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 10, 21). მანგლისის და მი-

სი ხევის მნიშვნელობის შესახებ იხ. თოდრია თ., „მანგლისის ხევი", ჟურნ. „ძეგლის მეგობარი", №21, 1970.

29. Мцхета. Итоги археологических исследований, I, Тб., 1958, стр. 114, 115.

30. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ნ. ბერძენიშვილის შრომებში. „მაცნე", საქართველოს სსრ. მეცნ. აკადემიის საზოგ. მეცნ-თა განყ-ის ორგანო, №2, თბ., 1965, გვ. 108.

31. მუსხელიშვილი დ., „მთა ქართლის" ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის. კრებ.: „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები", თბ., 1966, გვ. 176-184.

32. Мелитаури К., Крепости дофсодальной и раннефсодальной Грузии, Тб., 1969; стр. 67.

33. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 27.

34. ქც, I, გვ. 10; შდ. იქვე, გვ. 24, 25.

35. იქვე, გვ. 176.

36. შდ. მელიქიშვილი გ., ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, იიშ, IV[1], 1958, გვ. 160.

37. სიხარულიძე ე., დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

38. ბალაზური, გვ. 11. ეს ნუსხა უფრო ნაკლული სახით დაცულია მეორე არაბ ისტორიკოსთან, იაკუბისთან (იხ. СМОМПК, вып. 31, стр. 27), რომელიც ბალაზურიზე უნდა იყოს დამოკიდებული.

39. Ghazarian M., Armenien unter der arabischen Herrschaft bis zur Entstehung des Bagratiden, Marburg, 1903, S. 347; სიხარულიძე ე., დასახ. ნაშრომი, გვ. 175; ლორთქიფანიძე მ., არაბთა მფლობელობის ხასიათი საქართველოში, მსკი, ნაკვ. 35, თბ., 1963, გვ. 81.

40. Minorsky V., Transcaucasica. Extrait du Journal Asiatique. Juillet-Sept., 1930, p. 73-93.

41. იხ. Saint-Martin, Memoires historiques et géographiques sur l' Arménie, t. I. Paris, 1818, p. 358: Կանխախ < Կանխախ(ն).

42. მაგალითად, ქც, I, გვ. 143 და სხვ.

43. Ghazarian M., დასახ. ნაშრომი, გვ. 27 და 80. დასახელებულ გეოგრაფიულ ერთეულთა აღდგენის შესახებ იხ. მუსხე-

ლიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, II, გვ. 28-30 (იქვეა ლიტერატურა).
44. Артамонов М. И. დასახ. ნაშრომი, გვ. 181.
45. მოვსეს კალანკატუაცი, გვ. 91, 92.
46. მუსხელიშვილი დ., ქიზიყის ძველი ისტორია, თბ., 1997, გვ. 81, 82.
47. ბალაზური, გვ. 11.
48. იხ. ქც, I, გვ. 375.
49. ბალაზური, გვ. 13, 14. ამ ტოპონიმთა იდენტიფიკაციისათვის იხ. H. Hübschmann, Die altarmenischen Ortsnamen, Strassburg, 1904, s. 351.
50. Ghazarian M., დასახ. ნაშრომი, გვ. 84, 85.
51. იხ. ცქიტიშვილი ო., აპმად იბნ ასამ ალ-ქუფი, გვ. 95.
52. იქვე, გვ. 98. მითითებულია: Абу Мухаммад Ахмад ибн А'сам ал-Куфи, Книга завоеваний (извлечения по истории Азербайджана VII-IX вв.), перевод с арабского З. М. Буниятова, Баку, 1981)
53. ჯავახიშვილი ი., დასახ. ნაშრომი, გვ, 76; ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 365.
54. Артамонов М. И. დასახ. ნაშრომი, გვ. 177-179.
55. იქვე, გვ. 180.
56. მოვსეს კალანკატუაცი, გვ. 96, 97; Артамонов М. И. დასახ. ნაშრომი, გვ. 181.
57 მოვსეს კალანკატუაცი, გვ. 98; Артамонов М. И. დასახ. ნაშრომი, გვ. 181-183.
58. ჯავახიშვილი ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 77, შენ. 2.
59. თეოფანე, გვ. 104.
60. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 366.
61. თეოფანე, გვ. 105.
62. იოანე დრასხანაკერტელი, თარგმანი შენიშვნებით და საძიებლებით ილია აბულაძისა, თბ., 1937, გვ. 14. იხ. აგრეთვე ჯავახიშვილი ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 77; ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 367.
63. მოქცევაჲ, გვ. 97. ეს „ქართველი მთავარი ნერსე, კამსარაკანების (სომეხ ნახარართა, დ. მ.) სიძე" იხსენიება, როგორც „სახელოვანი" ერთი სომხური ხელნაწერის მინაწერში (იხ. Иованнес Драсханакертци, История Армении. Перевод

с древнеармянского, вступительная статья и комментарий М. О. Дарбинян – Меликян, Ер., 1986, стр. 295, прим. 18). იხ. აგრეთვე, სანაძე მ., ქართლის სამეფო VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე. კრებული: „მესხეთი ისტორია და თანამედროვეობა", ახალციხე, 2000, გვ. 15.

64. მოვსეს კალანკატუაცი, გვ. 149.
65. თეოფანე, გვ. 105.
66. თეოდოსი განგრელი „გეორგიკა", IV[1], გვ. 49.
67. შდ. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, გვ. 194.
68. იქვე, გვ. 45-48. ორივე ქვეყნის მმართველისთვის ანასტასი ერთსა და იმავე ტერმინს – princeps - ხმარობს. სამგან (გვ. 45) ანასტასი „აბაზგიის ქრისტესმოყვარე მთავრებს" ასახელებს, რაც უნებლიედ გვაგონებს, ერთი მხრივ VI ს-ის ვითარებას, როდესაც აბაზგიაში ორი მთავარია, ხოლო, მეორე მხრივ – გვიანი საუკუნეებისას, როდესაც „აფხაზთა სამთავრო" ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ერთეულებისაგან შედგება და ერთ-ერთი შერვაშიძე, ფაქტობრივად, ნომინალური სუზერენია.
69. ბასილი სოფენელი, „გეორგიკა", IV[2], გვ. 140.
70. თეოდოსი განგრელი, გვ. 45.
71. იქვე, გვ. 41.
72. იქვე, გვ. 42.
73. იქვე, შენ. 4.
74. იქვე, შენ. 5.
75. იქვე, გვ. 42, 43, შენ. 3.
76. იქვე, გვ. 50. იხ. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, გვ. 132, 194.
77 ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 206.
78. Géographie de Moïse de Corène, ...par Arsène Soukry, p. 28.
79. თეოდოსი განგრელი, გვ. 52.
80. იქვე, გვ. 44, 45.
81. პ. ინგოროყვას (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 195) მიხედვით ზემოაღნიშნული ფაქტები ბიზანტია-ლაზიკის კონფლიქტის აღმნიშვნელია და რომ, კერძოდ, VII ს-ის 60-იან წლებში ბიზანტიის მიერ „ორგზის ყოფილან გადაყენებული ლაზეთის მთავრები". როგორც ვნახეთ, წყაროში საამისო მითითებები არ არსებობს. პირუკუ, ვფიქრობთ, საწინააღმ-

დეგო მინიშნებაც კი გვაქვს. მართლაც, ბიზანტიელთა მიერ გადაყენებული ეგრისის მთავარი თავს ვერ შეაფარებდა აფხაზეთს და მით უმეტეს, იქიდან ძალმოცემული ვერ დაიბრუნებდა ტახტს, რადგან თვით პ. ინგოროყვას სამართლიანი აზრით, აფხაზეთში ამ დროს „პოლიტიკური გავლენა ბიზანტიისა უფრო ძლიერია, ვიდრე ლაზეთის სხვა მხარეებში" (იქვე, გვ. 194).

82. თეოდოსი განგრელი, გვ. 47, 48.
83. ასე ფიქრობენ ს. ყაუხჩიშვილი (იხ. „გეორგიკა", IV[1], გვ. 49, შენ. 2), პ. ინგოროყვა (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 194, 196).
84. ჯავახიშვილი ი., დასახ. ნაშრომი, II, გვ. 77; ინგოროყვა პ., დასახ. ნაშრომი, გვ.195.
85. ჯანაშია ს., არაბობა, გვ. 368.
86. თეოფანე, გვ. 107.
87. სილაგაძე, ბ., არაბთა ბატონობა საქართველოში, თბ., 1991, გვ. 68, 69.
88. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 370; ლორთქიფანიძე მ., არაბთა მფლობელობის ხასიათი საქართველოში, მსკი, 35, გვ. 74.
89. ბერძნიშვილი მ., ლევონდის ცნობა ფოთის შესახებ, თუშ, XXVI, სერია B, 1944, გვ. 2, 19.
90. თეოფანე, გვ. 107.
91. იქვე, გვ. 110.
92. სილაგაძე ბ., დასახ. ნაშრომი, გვ. 70.
93. იქვე, გვ. 70, 71.
94. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 371. ბ. სილაგაძე თვლის, რომ "დაცვის სიგელის" განახლება ჯარაჰის მეორე ლაშქრობის დროს, 729 წელს მოხდა (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 74).
95. Артамонов М. И. დასახ. ნაშრომი, გვ, 209, 210.
96. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 371.
97 Артамонов М. И. დასახ. ნაშრომი, გვ. 210, 211.
98. სილაგაძე ბ., დასახ. ნაშრომი, გვ. 83, 84.
99. იქვე, გვ. 87, 95.
100. აბრამიშვილი გ., სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977, გვ. 36. მეფის სახელის – ლეონის – აღდგენა, რომლის ზეობის მეოცე წელსაც გარდაცვლილა სტეფანოზი, ჩემი კონიექტურაა. ავტორი აქ „არ-

ჩილს" აღადგენს და ქართლის „მეფე" არჩილს გულისხმობს. ჩვენი აზრით, ეს გამორიცხულია, თუნდაც უკვე იმიტომ, რომ არჩილი, ფაქტობრივად, ერისმთავარი იყო და მისი მეფედ ხსენება გარკვეული მიზეზითაა გაპირობებული (იხ. მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 97-99). წარწერის „ღმრთივგვირგვინოსანი... კეთილადმსახური მეფე ჩუენი" ამ დროს, შეიძლება იყოს მხოლოდ ბიზანტიის კეისარი, როგორც ეს იმავე VIII ს-ის 70-იანი წლების სამშვილდის წარწერაშია (იხ. მუსხელიშვილი ლ., სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი, „ენიმკის" მოამბე, ტ. XIII, 1943). ხოლო, რამდენადაც წარწერა 739 წლით თარიღდება, ამიტომ ბიზანტიის კეისარი ლეონ III ისავრიელი უნდა იყოს, რომელიც ტახტზე 717 წელს ადის. ოცდამეერთე წელიწადი მისი მეფობისა 738 წელზე მოვა. ცთომილება, როგორც ვხედავთ მინიმალურია, - ერთი წელიწადი, - და მგონია, გ. აბრამიშვილი უფრო სწორია, როდესაც თავისი გამოკვლევის გვ. 19-ზე წერს: „შესაძლო იყო გვეფიქრა, რომ ატენის წარწერის შემსრულებელმა მეფის (ლეონის, დ. მ.) ზეობის ქრონოლოგიაში შეცდომა დაუშვა". იხ. აგრეთვე, სანაძე მ., ქართლის სამეფო VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 19.

101. ბ. სილაგაძის მიხედვით, რომელიც იზიარებს გ. აბრამიშვილის ზემოხსენებულ მოსაზრებას, ატენის წარწერაში „არჩილის" აღდგენის შესახებ, ბუნებრივია, არაბული წყაროს „მალიქი" სწორედ იგი უნდა იყოს (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87).

102. პ. ინგოროყვა თვლის, რომ ეს თხზულება VIII ს-ის ძეგლია, რომელიც ჯუანშერთან ექსცერპტულადაა ჩართული. მისი აზრით, ეს თხზულება იწყება მურვან ყრუს შემოსევის აღწერილობით და მოყვანილია იმ დრომდე, როდესაც არჩილი დამკვიდრდა კახეთ-ჰერეთში (იხ. ინგოროყვა პ., ლეონტი მროველი, ქართველი ისტორიკოსი, „ჰამბავთა მწერალი" მე-8 საუკუნისა, „ენიმკის" მოამბე, X, თბ., 1941, გვ. 143). ჩვენ გვგონია იგი ერთი აბზაცით წინ უნდა იწყებოდეს და ე. ი. „ქართლის ცხოვრების" ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემით ეს თხზულება მოთავსებულია: გვ. 232_{23} - გვ. 244_{19}. რომ ეს ტექსტი, მართლაც რომელიღაც ანონიმის კუთვნილი უნდა იყოს, ამ აზრს ჩანს, იზიარებდა ნ. ბერძენიშვი-

ლიც (იხ. მისი, აღმოსავლეთი კახეთის წარსულიდან, „მიმომხილველი", III, თბ., 1953, გვ. 67). ჩვენი აზრით, ანონიმი X ს-ის მოღვაწეა, რომელიც იყენებს VIII ს-ის პირველწყაროებს (იხ. ჩვენი, უჯარმა, გვ. 90-93 და აგრეთვე: „ქართლის ცხოვრების" უძველესი ნაწილის შედგენილობა და ჯუანშერის თარიღი. კრებული: „საქართველო ვახტანგ გორგასლის ეპოქაში", თბ., 1999, გვ. 83, 84).

103. ქც, I, გვ. 232, 233.

104. იქვე, გვ. 241. აღსანიშნავია, რომ ქართულ წყაროებში აქ პირველადაა ნახსენები „გურია".

105. იქვე, გვ. 228-231.

106. მოქცევაჲ, გვ. 97; შდ. აბრამიშვილი გ., ატენის სიონის სამი გრაფიტი, ჟურნალი „მნათობი", №9, 1984, გვ. 162.

107. Артамонов М. И. დასახ. ნაშრომი, გვ. 218.

108. იქვე, გვ. 209.

109. იქვე, გვ. 218.

110. ქც, I, გვ. 235.

111. იხ. წამებაჲ და ღუაწლი წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი. „ძეგლები" III, 1974.

112. Артамонов М. И. დასახ. ნაშრომი, გვ. 218; იხ. ქსე, ტ. 7, გვ. 119; ჯანაშია ს., მურვან ყრუს ლაშქრობას 736-738 წლებით ათარიღებს (იხ. მისი, შრომები, II, გვ. 376). ჩვენ ვიცით, რომ სტეფანოსი გარდაიცვალა 739 წ. ამიტომ მურვან ყრუს ლაშქრობისას დასავლეთ საქართველოში იგი ცოცხალი უნდა ყოფილიყო. მემატიანეს ლაფსუსი მოსდის, რომელიც შეიძლება იმით აიხსნას, რომ ანაკოფიასთან ბრძოლის დროს სტეფანოზი იქ არ იმყოფებოდა და ამდენად გვიანდელმა მემატიანემ, რომელმაც მირის და არჩილის ანაკოფიაში ყოფნა ნამდვილად იცოდა, სტეფანოზი გარდაცვლილად ჩათვალა.

113. წყაროს ცნობის რეალურ-ისტორიული კონტექსტისათვის იხ. მუსხელიშვილი დ., ფრთხილად მოვეპყრათ „ქართლის ცხოვრებას", ჟურნ. „მნათობი", №3-4, 1998, გვ. 195. ვფიქრობთ, არ გვაქვს საფუძველი ქართულ წყაროში დამოწმებული ეს ლაშქრობა მერვანის მამას, მუჰამადს (იხ. აბრამიშვილი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 31 და ასათიანი ნ., საქართველოს ისტორია, გვ. 117.) ან მასლამას (იხ. სილაგაძე ბ., დასახ. ნაშრომი, გვ. 105) მივაწეროთ.

114. მოვსეს კალანკატუაცი, გვ. 155.
115. თეოფანე, გვ. 115.
116. იქვე, გვ. 111-113, 115, შენ. 2.
117. ქც, I, გვ. 237.
118. იქვე, გვ. 235.
119. იქვე.
120. იქვე, გვ. 238.
121. კერძოდ, როგორც არაბი ისტორიკოსი ტაბარი მოგვითხრობს ხაზარეთში მერვან იბნ მუჰამადის 732/3 წლის ლაშქრობამ „ტალახიანის" სახელწოდება მიიღო, რადგანაც განუწყვეტელი წვიმებისა და ტალახიანი გზების გამო ცხენების კუდებს იმდენი ტალახი აეკრო, რომ მერვანმა გასცა ბრძანება ისინი მოეჭრათ (იხ. Артамонов М. И. დასახ. ნაშრომი, გვ. 218).
122. მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ ქართლში არაბები მხოლოდ 754/5 წელს შემოდიან (იხ. მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 91, 92).
123. ჯავახიშვილი ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 86, 87; ჯანაშია ს., არაბობა, 368, 369; სილაგაძე ბ., დასახ. ნაშრომი, გვ. 62.
124. Пахомов Е. А. Монеты Азербайджана, вып. I, Баку, 1959, стр. 38.
125. Пахомов Е. А. Монетные клады Азербайджана и Закавказья, I, 1926, стр. 21.
126. აბრამიშვილი თ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1966, გვ. 16, 126, 127; მისივე, დასახ. ნაშრომი, თბ.,1989, გვ. 35, 36. სომხეთისათვის იხ. Мушегян Х. А., Денежное обращение Двина по нумизматическим данным, Ер., 1962, стр. 20.
127. აბრამიშვილი თ., დასახ. ნაშრომი, თბ., 1966, გვ. 126, 127; მისივე, დასახ. ნაშრომი, თბ., 1989, გვ. 37.
128. აბრამიშვილი თ., დასახ. ნაშრომი, თბ., 1989, გვ. 35, 36.
129. ქც, I, გვ. 244.
130. იხ. მუსხელიშვილი დ., უჯარმა, გვ. 91, 92.
131. Пахомов Е. А., Монеты Грузии, ч. I, С.-Пб., 1910, стр. 39, 40.
132. Пахомов, Е. А., Монетные клады Азербайджана, I, стр. 22; Мушегян Х. А. Денежное обращение, стр. 21.
133. Пахомов Е. А., იქვე.
134. Мушегян Х. А., Денежное обращение, стр. 36.

135. ჰოდუდ ალ-ალემი (იხ. ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი. თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ეკუთვნის ვ. ფუთურიძეს, თბ., 1937, გვ. 15). ასევეა ისთახრისთან, მასუდისთან, იბნ ჰაუკალთან.
136. ალ-ისთახრი, СМОМПК, вып. 29, стр. 19.
137. იქვე, გვ. 17, შდ. იბნ. ჰაუკალი, СМОМПК, вып. 38, стр. 92.
138. Пахомов Е. А., Монетные клады Азербайджана, I, №73.
139. Пахомов Е. А., Монетные клады Азербайджана, V, №1450. იხ. აგრეთვე, მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 60.
140. მუსხელიშვილი დ., ფეოდალური ხანის საქართველოს და ამიერკავკასიის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში, ჟურნალი „ცისკარი", №11, 1970, გვ. 134.
141. აბრამიშვილი თ., დასახ. ნაშრომი, თბ. 1989, გვ. 37.
142. აბრამიშვილი თ., დასახ. ნაშრომი, თბ., 1966, გვ. 16, 127. კიდევ ერთი მონეტა ამ იმპერატორისა ცნობილია დვინიდან, იხ. Мушегян Х. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 36.
143. Пахомов Е. А., Монетные клады Азербайджана, VI, №1600.
144. ქც, I, გვ. 241.
145. იხ. აგრეთვე, Мусхелишвили Д. Л., Некоторые проблемы источниковедческой критики грузинских средневековых источников. „მაცნე", ისტორიის..., №3, 1986, стр. 66, 68, 69.
146. იქვე, გვ. 70.
147. ძეგლები, III, გვ. 258.
148. ქც, I, გვ. 235.
149. ძეგლები, III, გვ. 251.
150. იხ. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, II, გვ. 77, 78.
151. ვახუშტი აღწერა, გვ. 164, 165.
152. იხ. მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 80.
153. Мусхелишвили Д. Л., К вопросу о центре Эгрисского царства. Сборник: "Кавказ и Средиземноморье", Тб., 1980, стр. 135-138; მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 81-86.
154. Еремян С. Т., Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов, ВДИ. №1, 1939, стр. 94.
155. Géographie de Moüe de Corène... par Arsène Soukry, p. 28.
156. ქც. I, გვ. 241.

157. იქვე, გვ. 242. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ არქეოლოგიური გათხრებით ქუთაისის დედაციხეზე გამოვლინდა VIII ს-ის მეორე ნახევრის სამეფო სასახლის ნაშთი (იხ. ლანჩავა ო., ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში. სადისერტაციო მაცნე, თბ., 1995, გვ. 35).
158. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 341.
159. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 151, 152.
160. ბასილი საფენელი, „გეორგიკა", IV², გვ. 139, 140.
161. ვახუშტი, აღწერა, გვ. 167.
162. იქვე, გვ. 148.
163. იქვე.
164. Адонц Н., Армения, стр. 89, 90.
165. Рчеулишвили Л. Д., Купольная архитектура VIII-IX веков в Абхазий, Тб., 1988, стр. 72-80.
166. ქც, I, გვ. 242, 243.
167. იქვე, გვ. 240.
168. იქვე, გვ. 243.
169. მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 96, 97.
170. „ციხე ლაკვათისა მეფის არჩილისაგან ქმნული, და ან ლაგოეთად (ლაგოდეხად, დ. მ.) წოდებული" (ვახუშტი, აღწერა, გვ. 98). „კასრის" ეკლესია დღესაც დგას რაიონულ ცენტრ კახში (აზერბაიჯანის რესპუბლიკა).
171. ქც, I, გვ. 243, 244. „წყალი ბელაქნისა... აქ, მთის კალთას, არს ციხე მაკაბელი და სასახლე მეფეთა, რომელსა ეწოდა პირველ ნოხპატო. აქ აღაშენა მეფემან არჩილ ციხე და ეკლესია შუენიერი" (ვახუშტი, აღწერა, გვ. 96). ი. ჯავახიშვილის მიერ გამოცემულ 1923 წლის საქართველოს ისტორიულ რუკაზე „ნუხპატო" გაიგივებულია გვიანდელ „ნუხა"-სთან (დღ. შექი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში). ასეა თუ ისე „ნუხპატი" საინგილოს ტერიტორიაზეა.
172. ქც, I, 244.
173. იქვე, გვ. 5. მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 7-15.
174. Барановский П.Д.. Памятники в селениях Кум и Лекит: Архитектура Азербайджана. Эпоха Низами, 1947, 30-33; Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии,Тб., 1959, стр. 132, 227;

Мусхелишвили Д. Л., Из исторической географии Восточной Грузии, Тб., 1982, стр. 32, 33.
175. მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, თბ., 1913, გვ. 244, 393 (სომხურ ენაზე).
176. მოვსეს კალანკატუაცი, ლ. დავლიანიძე-ტატიშვილის თარგმანი, გვ. 137-140, 169.
177. იქვე, გვ. 150, 151, 169. კათალიკოს თალელეს „მოქცევაის" მატიანეც იცნობს (იხ. ძეგლები, I, გვ. 97).
178. ქც, I, გვ. 243.
179. იქვე, გვ. 299, 304, 333, 338.
180. ქც, I, გვ. 244.
181. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, II, გვ. 75.
182. ქც, I, გვ. 241, 242.
183. იქვე, გვ. 247.
184. მუსხელიშვილი დ., უჯარმა, გვ. 94, 95.
185. ქც, I, გვ. 248.

თავი VI. სოციალური განვითარება

დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული შეხედულებით IV ს. არის ის მიჯნა, საიდანაც უკვე შეიძლება საუბარი ქართველი ხალხის საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით ფეოდალური ურთიერთობების დამყარების შესახებ.

ფეოდალიზმი ეს ისეთი საზოგადოებრივ–ეკონომიკური ფორმაციაა, როდესაც ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად მიწაზე კერძო საკუთრების წარმოქმნით გაპირობებული პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის საფუძველზე ყალიბდება ორი, არსებითად, ურთიერთდაპირისპირებული კლასი: უმცირესობა – ფეოდალები, – რომელთა ხელშია, ფაქტობრივად, საკუთრება წარმოების უმნიშვნელოვანეს საშუალებაზე, მიწაზე, და უმრავლესობა – გლეხობა, – რომელიც პირველთა ყმობის პირობაზე ამუშავებს ამ მიწას ინდივიდუალური მეურნეობის საფუძველზე და სხვადასხვაგვარ გადასახადს (ბეგარას) უხდის მიწის მესაკუთრეს. ეს უკანასკნელი, გარდა საკუთარ მამულში (სენიორიაში) მეურნეობის გაძღოლისა და თავის ყმა–გლეხთაგან სახელმწიფო თუ საბატონო გადასახადის აკრეფისა, სახელმწიფოს (მეფის) წინაშე ვალდებულია თავისი მსახურებითურთ სამხედრო სამსახური გასწიოს. არსებობენ, რა თქმა უნდა, დიდი და მცირე მიწათმფლობელები, შესაბამისად, მრავალ – და მცირეყმიანი ფეოდალები, რომელთაგან ეს უკანასკნელნი, ნებით თუ იძულებით, პირველთა მფარველობის ქვეშ შედიან, ანუ მათი ვასალები ხდებიან. ასე ყალიბდება ფეოდალური ვასალიტეტის ინსტიტუტი, რომელიც შეიძლება მრავალსაფეხურიანი იყოს და რომლის იერარქიული კიბის სათავეში დგას მეფე. ასეთივე იერარქია არსებობს სასულიერო წოდებაში და მთელი ეს სოციალური პირამიდა ეყრდნობა ბეგარის გამომღებ ყმა–გლეხთა ფართო მასას.

ფეოდალური ურთიერთობის დროს მიწა და ყმა–გლეხთა სიმრავლე იყო არა მარტო სიძლიერის წყარო და სოციალური პრესტიჟის საფუძველი, არამედ პოლიტიკური ძალაუფლების ძირითადი პირობაც. ფაქტობრივად, ყოველი დიდი სახელმწიფოებრივი თანამდებობა საზოგადოებაში შეესატყვისებოდა მსხვილ მიწათმფლობელობას.

სქემატურად წარმოსახული ზემოხსენებული სტრუქტურა ფეოდალური საზოგადოებისა, რა თქმა უნდა, რეალურ სინამდვილეში გაცილებით უფრო რთული და მრავალსახოვანი იყო და, რაც მთავარია, წარმოადგენდა ხანგრძლივი, არაერთსაუკუნოვანი ევოლუციის შედეგს.

ასეთივე ვითარება იყო, ცხადია, საქართველოშიც.

საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის გენეზისის მანიშნებელ რეალიად, მაინცდამაინც, II ს–ის ის ფაქტი შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც ქართლის მეფე ფარსმანი რომში იმპერატორთან ჩადის თავის წარჩინებულ (ბერძნ. „პროტოჲ" ანუ პირველნი) მხედრებთან ერთად, რომლებიც სწორედ მომავალი ფეოდალური კლასის სოციალური წინაპარნი უნდა ყოფილიყვნენ[1]. მართლაც, ბოლო სამი–ოთხი ათეული წლის განმავლობაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი II–IV საუკუნის დასაწყისის მდიდრული კომპლექსები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან (აჭარა, იმერეთი, სამეგრელო, ქართლი კახეთი) თვალნათლივ მოწმობს არა მხოლოდ იმდროინდელი საზოგადოების მკვეთრ სოციალურ დიფერენციაციას, არამედ მისი წარჩინებული ნაწილის ქონებრივ და, ალბათ, უფლებრივ დიფერენციაციასაც[2]. ესენი არიან სწორედ ის „აზნაურები", რომლებიც IV ს–თვის უკვე დამოწმებულნი არიან ძველ ქართულ წყაროებშიც.

მართლაც, ქართლის საზოგადოებრივი სტრუქტურა IV ს–ის დასაწყისისთვის საკმაოდ რთული ჩანს. უმაღლესი ფენაა „წარჩინებულნი", რომელთა შორის უპირველესნი „სეფენწულებად"[3] (მეფის გვარის წევრები), „მთავრებად" იწოდებიან.

მათი რიგიდან ინიშნებიან „ერისთავნი" – საქვეყნოდ გამრიგე მეფის დიდმოხელენი, მხედართმთავრები. წყარო ასახელებს აგრეთვე „პალატ–ბანაკსა მეფისასა"[4]. „პალატი" მეფის სასახლეა და ამდენად აქ მეფის უახლოესი კარისკაცნი იგულისხმებიან, ხოლო „ბანაკი" სამხედრო მოხელეთა სფეროს აღნიშნავს[5].

მემატიანე არაერთგან ახსენებს „ერს". ასე მაგალითად, იგი გადმოგვცემს, რომ „მას ჟამსა შინა წარემართა მეფე და ყოველი ერი ქართლისა მოსწრაფებით ქრისტეანობასა ზედა"[6]. ცხადია, აქ მთელი ქართლის მოსახლეობა იგულისხმება, წარჩინებულნიც და „არაწარჩინებულნიც"[7] და უპირატესად, ალბათ, სწორედ ეს უკანასკნელნი. მაგრამ ეს „ყოველი ერი",

ცხადია, აღარ არის პირველყოფილ–თემური წყობილებისათვის დამახასიათებელი ავტონომიური ერთობა, არამედ უკვე სხვისი მბრძანებლობის ქვეშაა მოხვედრილი: როდესაც წმინდა „ნინო შთავიდა კხოეთა (კუხეთში) და დადგა კაწარეთს (სოფ. ხაშმთან) და მონათლნა კხოელნი და სოჯნი ერითურთ მათით“[8], აქ კუხელ და სოჯ მთავართა „ერითურთ მათით“ მონათვლაზეა საუბარი და ამდენად – „მთავართა“ მიმართ დაქვემდებარებულ „ერზე“[9]. ასევეა სხვა შემთხვევაშიც, როდესაც მემატიანე მოგვითხრობს, რომ „დედოფალი ეგე სოჯი, რამეთუ აღიძრა ეგე შურითა საღმრთოჲთა დალეწად კერპთა და მოქცევად ერისა მათისა საერისთვოჲსა“[10]. აქედან თითქოს ჩანს, რომ „ერი“ სწორედ „ერისთავთა“ საგამგეოა.

ამგვარად, აშკარაა, რომ „ერისაგან “ გამოყოფილნი არიან „ნარჩინებულნი“, რომელნიც თავისთავად საკმაოდ დიფერენცირებულნი არიან („სეფეწულნი“, „მთავარნი“, „ერისთავნი“ და სხვ.) და, ფაქტობრივად, იგივე „აზნაურთა“ კლასს ქმნიან[11].

რა არის ასეთი გათიშვის მატერიალური საფუძველი? ეს არის მსხვილი მიწათმფლობელობა.

უპირველესი და უმსხვილესი მიწათმფლობელი, რა თქმა უნდა, მეფე იყო. საამისო მითითებები ქართულ წყაროებში სწორედ IV ს–თვის გვაქვს. კერძოდ, როგორც ვიცით, წმინდა ნინო „მთათა ზედა ჯავახეთისათა... ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა ერქუა ფარავნა“ შეხვდა მწყემსებს, რომელთაც აქ საქონელი მოერეკათ საძოვრებზე და მოსულიყვნენ „ზოგნი დაბით და ზოგნი საფურცლით და ზოგნი ქინჯარელნი და რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი“[12]. საფურცლეც (დღ. ნატახტარი) და ქინძარაც სამუხრანოს სოფლებია[13] და ე. ი. ნინოს ჯავახეთში შიდა ქართლისა და საკუთრივ მცხეთის გარეუბნის საქონელი დახვედრია. ჩვენ ვიცით, რომ XI–XIII საუკუნეებში მუხრანი და ჯავახეთი საქართველოს მეფის დომენს წარმოადგენს[14], ანუ ამ დროს ეს ტერიტორია ერთ ფეოდალურ „ქვეყნად“ წარმოგვიდგება, რომლის ერთიანობისათვის ეკონომიკური საფუძველი არსებობს („მთა“ და „ბარი“) და რომელიც მეფის საკუთრებაა. გვაქვს სრული უფლება ვივარაუდოთ, რომ ეს ძველი მოვლენაა და, რომ ყოველ შემთხვევაში მირიან მეფის დროს ანალოგიური ვითარებაა. მართლაც, „ქუეყანა მუხნარისა“ რომ მცხეთის „შესავა-

ლია“ ანუ ამ ქალაქის საგამგეოა, ეს წყაროებით კარგად ჩანს. ამდენადვე, ეს არის სამეფო ანუ „სასეფო ქუეყანა“[15]. მეორე მხრივ, „ქუეყანა მუხნარისა“ რომ მცხეთის ეკონომიკური რაიონი უნდა ყოფილიყო, ეს დღეს სადავო აღარ არის[16]. ამიტომ მცხეთისა და „მუხრანის ქვეყნის“ საქონლის ანუ, ფაქტობრივად, სამეფო საქონლის ჯავახეთის იალაღებზე ბალახობა, ამ იალაღების სამეფო საკუთრებაზე უნდა მიუთითებდეს. ასე რომ, შიდა ქართლი და ჯავახეთი უკვე IV ს–ში ერთ „ქვეყნად“, კერძოდ „სამეფო ქვეყნად“ ანუ სამეფო დომენად წარმოგვიდგება.

საფიქრებელია მეფე არ იყო გამონაკლისი და წარჩინებულ–აზნაურებს შორისაც უნდა ყოფილიყვნენ მსხვილი მინათმფლობელები. საამისო პირდაპირი მოწმობა შემოგვინახა სწორედ IV ს–თვის „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანემ: „აღაშენეს აზნაურთა წმიდაჲ იგი ეკლესიაჲ მცხეთას და დაამოთაულეს (ვარიანტი: მიათვალეს) დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა ქართლს შინა“[17]. ცხადია, რომ აქ საუბარია აზნაურთა მიერ ეკლესიისათვის შეწირულ ადგილ–მამულზე (ქარდაგი კერძო მფლობელობაში მყოფი მიწის ნაკვეთია)[18], რაც ჩვეულებრივია ფეოდალური ურთიერთობის დროს, და ცხადია ისიც, რომ ეს შეწირულობა მათ საკუთარი საადგილმამულო ფონდიდან უნდა გამოეყოთ. ამდენად, ფაქტობრივად, ამ ცნობაში უკვე IV ს–ში არსებულ მსხვილ საეაზნაურო და საეკლესიო მფლობელობაზეა საუბარი[19].

ამგვარად, თუკი IV ს–ში უკვე არსებობდა სამეფო და საეაზნაურო (და საეკლესიო) მსხვილი კერძო მინათმფლობელობა, მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არსებობდა „ყოველი ერის“ სათემო მინათმფლობელობა (იხ. ქვემოთ), რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ჩათრეული ფეოდალურ ურთიერთობაში და რომლის უზენაეს გამგებლად კვლავ ქართლის მეფე გვევლინება[20]. ასეთი მიწები სამართავად მეფის დიდმოხელე ერისთავებს გადაეცემოდა, რისი მოწმობაც IV ს–თვის უნდა იყოს ზემოაღნიშნული ეპიზოდი სოჯი დედოფალთან დაკავშირებით, რომელიც „მოინათლა... ჴელსა შინა ნინოჲსსა ბოდს შინა“ და „ერისა მათისა საერისთვოჲსა“ მოქცევის შემდეგ სხვა მთავრებთან და „მსახურებთან“ ერთად მირიანის ქვეშევრდომობაში შევიდა: „და ესე ყოველნი მოისწრაფიან მანდა, მოჴსენიებულსა მას ქალაქსა (მცხეთას) და შეწყნარებულ-

სა მეფესა" (მირიანს)[21]. გვგონია, მთელი ამ თხრობის აზრი ის არის, რომ ახლად მოქცეული და, როგორც ჩანს, ახლად შემოერთებული სუჯეთი თავისი „ერით" მირიანის დროს ქართლის ერთ-ერთ საერისთავოდ გადაიქცა.

კიდევ უფრო გამოკვეთილად ჩანს ქართლის სოციალური სტრუქტურა V ს-ში, ვახტანგ გორგასლის დროს. ამ თვალსაზრისით შესანიშნავ სურათს იძლევა ჯუანშერის თხზულება და ისეთი პირველხარისხოვანი, ეპოქის თანადროული ლიტერატურული ძეგლი, როგორიცაა „მარტკლობაჲ შუშანიკისი".

თუმცა კი ჯუანშერი ჩვენ, როგორც აღვნიშნეთ (იხ. ზემოთ), გვიანდელ, კერძოდ VIII ს-ის შუახნის მწერლად მიგვაჩნია, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ მის თხზულებაში ვახტანგ გორგასლის დროინდელი პირველწყაროს ცნობებიცაა არეკლილი. სხვასთან ერთად, ეს უეჭველად ეხება ქართული ლაშქრის ორგანიზაციას V ს-ის მეორე ნახევარში.

ოსეთში ლაშქრობის წინ „ვახტანგ მოუწოდა ყოველთა სპათა ქართლისათა; და შემოკრბეს ყოველნი და დაიბანაკეს მუხნარს და ხერკს, ამიერ და იმიერ არაგუსა... ხოლო სპანი იგი წარემართნეს განმზადებულნი, ცხენ-თორნოსანნი და ჯაჭუ-ჩაბალახოსანნი წინა კერძო და მათ უკანა ქუეითნი, და ქუეითთა უკანა სიმრავლე მჴედართა, და ესრეთ მიმართეს ოვსთა... მაშინ ვახტანგ მეფე მოქცეულ იყო სპასა მისსა ზურვით რჩეულითა მჴედრითა... და თანა ჰყვებოდეს მას ორნი მჴედარნი: არტავაზ ძუძუსმტე, ძე საურმაგ სპასპეტისა და ბივრიტიან სეფეწული და იგინიცა იბრძოდეს მჴნედ"[22]. ცხადი ხდება, რომ ვახტანგ გორგასლის დროს ქართული ლაშქარი შედგება მძიმედ შეჯავშნული მხედრობისაგან (ავანგარდი), ქვეითი ჯარისაგან, მსუბუქი კავალერიისაგან (არიერგარდი) და, ბოლოს „რჩეული მჴედრებისაგან", რომელთა რიცხვში მეფის უახლოესი პირები არიან (წარჩინებულ-სეფეწულნი) და რომელნიც, ჩანს, მისი პირადი მცველი რაზმია[23]. ცნობილია, რომ ისტორიულად სწორედ ჯარის ორგანიზაციაში და მის შეიარაღებაში ჩანს, პირველ რიგში, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა და ამდენადვე ცხადი უნდა იყოს თუ რამდენად განვითარებულ საწარმოო ძალებს და სოციალურ დიფერენციაციას გულისხმობს ლაშქრის ზემოხსენებული ორგანიზაციის ტიპი[24].

თუ რომელი კონკრეტული საზოგადოებრივი ფენები უნდა იყოს ამ შემთხვევაში წარმოდგენილნი, ამას ნათელს ჰფენს სწორედ ვახტანგ გორგასლის თანამედროვე თხზულება – „მარტკლობაჲ შუშანიკისი“[25].

ირკვევა, რომ ქართლის საზოგადოების უმაღლესი ფენის ზოგადი სახელწოდებაა ამ დროს „აზნაურნი“. სწორედ ამ მნიშვნელობითაა ნახმარი ეს ტერმინი, როდესაც საუბარია იმაზე, რომ მომაკვდავი შუშანიკის სანახავად და მისგან კურთხევის მისაღებად მოვიდნენ „ყოველნი იგი ეპისკოპოსნი და აზნაურნი“ (XVII_{10-11}). ეს სოციალური კატეგორია აქ, როგორც აღვნიშნეთ, ზოგადი შინაარსისაა, და, ჩანს, შეესატყვისება სხვა წყაროებიდან ცნობილ, ზემოთ არაერთხელ ხსენებულ „წარჩინებულებს“[26] და რეალურად დიფერენცირებული ჯგუფებისაგან შედგება: „აზნაურნი დიდ–დიდნი და ზეპურნი დედანი და აზნაურნი“ (XVII_{6-7}). ამ უკანასკნელით, ცხადია, „აზნაურნი წურილნი“ იგულისხმებიან. რაც შეეხება ტერმინს – „ზეპურნი დედანი“, იგი აზნაურთა წრისადმი კუთვნილ ქალებს გულისხმობს, კეთილშობილ გვარიშვილებს[27].

ამ „დიდ–დიდ აზნაურთა“ უმაღლესი წოდების წარმომადგენელია თვით პიტიახში ვარსქენ, რომელიც „უფალია“ თავის საბრძანებელში ($VIII_{7,11}$). იგი ამავე დროს ერთ–ერთი „მთავართაგანია“ (XIII_8). მართლაც, „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ მიხედვითაც, „იყო სომხითს (=ქვემო ქართლს) კაცი ერთი, შვილი მთავართა, სახელით ვასქენ“[28].

საინტერესოა, რომ ვარსქენს, ქვემო ქართლის პიტიახშს, მთავარს, უფალს ანუ სიუზერენს ჰყავს თავისადმი დაქვემდებარებული აზნაურები: სპარსეთიდან წამოსული ვარსქენ პიტიახში „ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა ყო, რაჲთა აუწყოს და წინა მოეგებნეს მას აზნაურნი“ (II_{1-3}). ეს აზნაურები მთავრის ვასალები უნდა ყოფილიყვნენ ანუ „საკუთარნი მისნი“ (VIII_5). ის ფაქტი, რომ „პიტიახშმან გამოარჩია ძუძუჲსმტჩ მისი საკუთარი“ (XIII_{12}) (თუ იმასაც მოვიგონებთ, რომ ვახტანგ გორგასალს ჰყავდა „არტავაზ ძუძუსმტე, ძე საურმაგ სპასპეტისა“, ანუ ვასალი წარჩინებულთა უმაღლესი რანგის წარმომადგენელთაგან) უნდა მიგვითითებდეს იმაზე, რომ ეს უკანასკნელი სწორედ „აზნაურთა მისთა“ წრისაგან უნდა ყოფილიყო. თუ ეს ასეა, მაშინ ისიც უნდა ვირწმუნოთ, რომ რამდენადაც უკვე IV

ს–ში აზნაურები მესაკუთრე – მინისმფლობელები არიან, რომელთაც ხელეწიფება თავის კუთვნილ „სოფელთა და ქარდაგთა ქართლს შინა“ ეკლესიისადმი შენირვა, ურთიერთობა მთავარ–პიტიახშსა და მის საბრძანებელში მყოფ საკუთარ–ვასალ აზნაურებს შორის საადგილმამულო ნიადაგზე უნდა ყოფილიყო უკვე დაფუძნებული. ამდენად, V ს–ის მეორე ნახევარში, გვაქვს საფუძველი, ქართლში ფეოდალური იერარქიის არსებობა ვივარაუდოთ აზნაურთა წოდების შიგნით.

ამგვარად, აზნაურობა ეს იყო ერთი, უმაღლესი და საკმაოდ დიფერენცირებული, წრე ქართლის მოსახლეობისა, რომელსაც უპირისპირდებოდა მეორე, გაცილებით უფრო ფართო სოციალური ფენა. იაკობ ხუცესი გადმოგვცემს, რომ შუშანიკის სანახავად „აზნაურნი და უაზნონი სოფლისა (=ქვეყნისა) ქართლისანი მოვიდეს“ (XII$_7$). ვინ არიან ეს უაზნონი?

ისევე როგორც ამ ძეგლის „აზნაური“ არ იგულისხმება მხოლოდ მისი ძველი მნიშვნელობით – „თავისუფალი“, არამედ მინისმფლობელ წარჩინებულს გულისხმობს, „უაზნო“ არ უნდა ნიშნავდეს მხოლოდ „არათავისუფალს“, არამედ „არაკეთილშობილის“, „უგვაროს“ სინონიმი უნდა იყოს, როგორც ეს „ქართლის ცხოვრებაში“ გვაქვს დამოწმებული XII საუკუნისათვის: „ვინმე კაცი ასპაანის – ძე, გუარითა არა უაზნო“[29]. ამგვარად, „უაზნო“ უპირისპირდება „აზნაურს“ არა როგორც მაინცდამაინც „არათავისუფალი“ – „თავისუფალს“, არამედ par excellence როგორც „არაკეთილშობილი“ – „კეთილშობილს“ თუ ეს ასეა, მაშინ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ იაკობი ამ ტერმინით, პირველ რიგში, სოფლის „თავისუფალ“ მეთემეთა მასას გულისხმობს, რომელიც ამ დროს, ძველი საზოგადოებრივი ფორმაციის გადმონაშთის სახით, ჯერ კიდევ არსებობდა და ქართლის მოსახლეობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენდა (იხ. ქვემოთ)[30]. ეს იყო ძველი, პირველყოფილ-თემური წყობილების თავისუფალი, მინისმოქმედი და მეომარი „ერი“, რომელიც ადრეკლასობრივი ურთიერთობის პერიოდში უშუალოდ მეფის ქვეშევრდომობაში შევიდა, უფრო გვიანაც, ფეოდალიზმის ეპოქაში დიდხანს გადმონაშთის სახით არსებობდა და ძველ სახელწოდებასაც ინარჩუნებდა. ვფიქრობთ, „მარტკლობაჲ შუშანიკისი“ თითქოს საამისო პირდაპირ მინიშნებასაც შეიცავს.

ავტორი მოგვითხრობს, რომ „მოვიდა პიტიახში ბრძოლისა მისგან ჰონთაჲსა... და უბრძანა სენაკაპანსა (ოთახის მცველ მოხელეს) ერთსა, რაჲთა წარიყვანონ წმიდაჲ შუშანიკ ციხედ და საპყრობილესა ბნელსა შეაყენონ იგი და მოკუდეს... მაშინ წარმოიყვანეს და მოჰყვანდა წმიდაჲ შუშანიკ უჴამური (ფეხშიშველი) და თმაგარდატევებული (თმა–ჩამოშლილი) ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი... და მივიდოდა წმიდისა მის თანა ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისაჲ, სიმრავლჱ ურიცხჳ, რამეთუ უკუანა შეუდგეს, ჴმაჲ აღემაღლა და ტიროდეს და იჴაჴდეს (იხოკდნენ) ღაწუთა მათთა და საწყალობელად დასთხევდეს ცრემლთა მათთა წმიდისა შუშანიკისთჳს. ხოლო წმიდამან შუშანიკ უკუმოჰხედა ერსა მას და ჰრქუა მათ: „ნუ სტირთ, ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო და შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვასა მომიჴსენეთ...“ და ვითარცა იხილა პიტიახშმან ამბოხი იგი და ტირილი მამათაჲ და დედათაჲ, მოხუცებულთა და ყრმათაჲ, მჴედრ (ცხენზე ამხედრებული) მიმოდასდევნინ და მეოტ ჰყოფნ მათ ყოველთა“ (VIII_7-IX_{19}).

მართალია არც „ამბოხი“ (ბრბო) არის სოციალური ტერმინი და „ერი“–ც აქ, ფაქტობრივად, „ხალხს“ აღნიშნავს, მაგრამ რამდენადაც, არსებითად, სოფლის მოსახლეობაზეა კონტექსტით საუბარი, არ არის გამორიცხული, მაინცდამაინც, სწორედ ის „ნურილი ერი“ იგულისხმებოდეს, რომელიც ამავე პერიოდისათვის ჯუანშერთანაც იხსენიება რამდენიმეჯერ[31] და, როგორც ფიქრობენ, ძველი, პირველყოფილ–თემური წყობილების „ერის“ გადმონაშთია. ასეთ „წურილ ერისაგანთ“ პირადი თავისუფლება ჯერ კიდევ მთლიანად შერჩენილი აქვთ ისევე, როგორც სამამულე უფლებანი სათემო თუ კერძო მფლობელობის სახით, ისინი უზენაეს ხელისუფალს, მეფეს, დამორჩილებული ნვრილი მიწათმფლობელები არიან, ქონებრივად საშუალო და ნვრილი მესაკუთრენი[32].

რომ ამ დროს ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული თავისუფალ მწარმოებელთა სათემო თუ კერძო მიწათმფლობელობა არა მარტო მთაში, არამედ ბარშიც, ამის დასტურად, ვფიქრობთ, ეპოქის თანადროული სხვა მონაცემებიც გვაქვს. ასე მაგალითად, სომხური „აშხარაცუიცის“ ჩვენების მიხედვით, როგორც ვიცით, ჩვენთვის საინტერესო ხანაში აღმოსავლეთი საქართველოსთვის დამახასიათებელი იყო ადმინისტრაციული დაყოფა „ხევების“ მიხედვით. „ხევი“ კი, ცნო-

ბილია, ძველქართული საზოგადოების ძირითადი სტრუქტურული ელემენტია, რომელიც წარმოიქმნა ჯერ კიდევ პირველყოფილ–თემური წყობილების წიაღში[33]. ამიერიდან სწორედ „ხევებში" მიმდინარეობდა ეკონომიკური განვითარებისა და აოციალური დიფერენციაციის გაღრმავების პროცესი[34], აქ იქმნებოდა სოციალურ–ეკონომიკური წანამძღვრები კლასობრივ ურთიერთობათა დადგინებისათვის[35]. ამის შემდეგაც „ხევები", საკუთრების სხვა ფორმების გვერდით, პირველყოფილ–თემური ტრადიციების მატარებელნი იყვნენ. სწორედ „ხევებად" უნდა ყოფილიყო გაერთიანებული სტრაბონისეული მესამე გენოსი იბერიის მოსახლეობისა („ერი")[36] ისევე, როგორც მისი ჩამომავალი „წურილი ერი" IV–V საუკუნეებში. ქართველ მთიელთა ანალოგიით ფიქრობენ, რომ ქართლის სამეფოშიც ამ თემთა („ხევთა") მეთაურებს („ხუცესი", „ხევისბერი") ერთდროულად ეკისრებოდათ, როგორც საკულტო, ასევე საერო ხელისუფლების ფუნქციები[37].

მართლაც, გვაქვს პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ ჩვენთვის საინტერესო ხანაში „ხევური" ორგანიზაცია არსებობდა არა მხოლოდ იბერიის მთაში, არამედ ბარშიც და, კერძოდ, სწორედ ქვემო ქართლის, ვარსქენის საპიტიახშოს, ტერიტორიაზე: სოფ. უკანგორში (დამბლუტის ხევში) აღმოჩენილია ქვაჯვარის კვარცხლბეკის წარწერა, დათარიღებული V–VI საუკუნეების მიჯნით, რომლის მიხედვით აშკარაა ხუცეობის ინსტიტუტის არსებობა დამბლუტის ხეობაში ამ უძველეს დროს[38].

დავუბრუნდეთ იაკობ ხუცესის თხზულებას. „მარტვილობაჲ შუშანიკისი" ქართლის მოსახლეობის კიდევ ერთ ჯგუფს ასახელებს. ესენი არიან „მსახურნი", რომლებიც ფეოდალის კარზე პოლიციურ სამსახურს ასრულებენ (V_{13}, VI_{28}). მაგრამ, ცხადია, მსახურთა მოვალეობა მხოლოდ ამით არ შეწოიფარგლებოდა. და საერთოდ, საფიქრებელია, „მსახურნი" ფართო სოციალური ფენა იყო, „წურილი ერისაგან" სოციალურ–ეკონომიკური დიფერენციაციის შედეგად გამოყოფილი აღზევებული ნაწილი[39], რომელიც ფეოდალების ან მეფის სამსახურში შედის და რომლის ძირითადი მოვალეობა, პოლიტიკურ–ადმინისტრაციული სამსახურის გარდა, ლაშქრობა უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ ჯუანშერის მიხედვით ვახტანგ გორგასლის ლაშქრის მნიშვნელოვან კონ-

ტინგენტს სწორედ ისინი წარმოადგენენ. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართლის მეფის ხელისუფლება ამ პერიოდში, სხვასთან ერთად, ეყრდნობა თავისუფალი მწარმოებლის, მთისა და ბარის „ხევების" ერის ჯერ კიდევ მრავალრიცხოვან ფენას. ამ წვრილ მესაკუთრეთა ფენიდან, როგორც ითქვა, გამოიყოფოდა მსახურეული ხალხი, მათ შორის „მჭედრად მსახურნი" („ქართლის ცხოვრების" ანასეული ნუსხით) თუ „მჭედარნი მსახურნი" („ქართლის ცხოვრების" მარიამისეული ნუსხით). ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით „ქართლის ცხოვრების" ჩვენება: ვახტანგ გორგასალმა ოსეთში წარმატებული ლაშქრობის შემდეგ „გასცა ნიჭი **ერსა თჳსსა** და წარჩინებულ **ქმნნა მჭედრად მსახურნი**"[40]. აქედან თითქოს შეიძლება ვარაუდი, რომ ეს „მსახურნი" იმავე „ერის" წარმომადგენლები, ოღონდ ქონებრივად აღზევებულნი „მჭედრად მსახურნი" თუ „მჭედარნი მსახურნი" არიან. თუკი ასეა, მაშინ ბუნებრივია ისიც, რომ იაკობ ხუცესის „უაზნოთა" შორის „ერთან" ერთად „მსახურნიც" ვივარაუდოთ.

დასასრულ, „მარტვილობაჲ შუშანიკისი" კიდევ ერთ სოციალურ კატეგორიაზე მიუთითებს, როდესაც ვარსქენის ძმაზე მოგვითხრობს, რომ „ვითარცა ესმა ჯოჯიკს, ვითარმედ მოახლოებულ არს ნეტარი დედოფალი წმიდაჲ შუშანიკ სიკუდილდ, წარვიდა და თანა წარიყვანა ცოლი და შვილნი და მონა–მხევალნი მისნი. და მივიდა ციხედ ხილვად სანატრელისა შუშანიკ მარტკლისა (XIV_{1-4})". მონა ჰყავს თვით ვარსქენსაც. როდესაც სპარსეთიდან წამოსული, „მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა ყო, რაჲთა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი... და წარმოჰმართა სადიასპანოჲთა ცხენითა მონაჲ თჳსი, ვითარმცა მოვიდა დაბასა, რომელსა სახელი ჰრქჳან ცურტავ" (II_{1-6}).

როგორც ვხედავთ თუ, ერთი მხრივ, მონა პიტიახშის ამალის წევრია და ასრულებს დესპანის საპატიო მისიას, მეორე მხრივ, მონა–მხევლები აზნაურის ოჯახში შინამოსამსახურენი არიან. ეს „მონები", ცხადია, არ არიან ფართო სოციალური კლასის წარმომადგენლები.

ამასთან დაკავშირებით საკითხავია: თუკი, როგორც უნდა დავრწმუნებულიყავით, IV–V საუკუნეებში, მეფის დომენის გარდა, საეკლესიო, მსხვილი და წვრილაზნაურული სამამულე

მიწათმფლობელობაც არსებობს, ვინ ამუშავებდა ამ მიწებს? რამდენადაც ეს არ იყვნენ მონები, ხოლო ფეოდალიზმის დროს საერთოდ და, კერძოდ, საქართველოშიც დაქირავებული შრომის სარბიელიც, განსაკუთრებით მინათმოქმედებაში, სასაქონლო–ფულადი ურთიერთობის სუსტი განვითარების გამო შეზღუდული იყო[41], ამდენად სავარაუდო პასუხი თავისთავად ცხადი უნდა იყოს. მაგრამ ძველქართულ წყაროში თითქოს სათანადო მინიშნებაც გვაქვს. კერძოდ, ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების" ავტორი ჯუანშერი, როდესაც ვახტანგის, შაჰის მიწვევით, "ჰინდოთა, სინდელთა, არაბთა და ჯორჯანთა ზედა" ლაშქრობაზე მოგვითხრობს, გადმოგვცემს, რომ „პირველად მივიდეს ჯორჯანეთს და წარმოტყუენეს ჯორჯანეთი, და ყოვლად უმკჳდრო (უპატრონო) ყვეს. და დასხნეს ადგილსა მათსა ნათესავნი სპარსთანი და მიერითგან იქმნნეს ჯორჯანნი გლეხად, რომელნი აწ არიან მებეგრენი სპარსთანი"[42]. ცხადია, რომ დაბეგრილი მიწათმოქმედის ანუ „მებეგრე გლეხის" ცნება, მიუხედავად იმისა რომ ეს საინტერესო ეპიზოდი „ჯორჯანეთს" (გურგანს) ეხება, ავტორს ქართული სინამდვილიდან აქვს აღებული და რამდენადაც ჯუანშერი ჩვენ, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, VIII ს–ის ნახევრის მოღვაწე გვგონია, ამიტომ ცხადია ისიც, რომ ეს ცნება „მებეგრე გლეხისა" VIII ს–ზე ადრინდელია. არ არის გამორიცხული, და თვით ცნობის კონკრეტული ხასიათი თითქოს იმაზე მიუთითებს, რომ ქრონოლოგიურადაც იგი კორექტული უნდა იყოს და ჯუანშერის პირველწყაროს ეკუთვნოდეს (მით უმეტეს, რომ თვით ტერმინი „ბეგარა" სპარსულია და სწორედ ამ პერიოდში უნდა შემოსულიყო ქართლში)[43]. მაშინ ეს იქნება პირდაპირი მითითება V ს–ის ქართლში დაბეგრილი მიწისმოქმედის, გლეხის რეალურად არსებობაზე, რასაც ჩვენ მიერ ზემოაღწერილი სოციალურ–ეკონომიკური ვითარების სურათი ისედაც სავარაუდოს ხდის[44].

ასეთად წარმოგვიდგება ქართლის სოციალური სტრუქტურა ქართული წყაროების მიხედვით V ს–ის მეორე ნახევარში. ახლა შეგვიძლია ჯუანშერისეული ქართლის ლაშქრის ორგანიზაციის ზემოხსენებული სურათის შეთანაპირება იაკობ ხუცესისეული ქართლის საზოგადოების („აზნაურთა და უაზნოთა") სტრუქტურასთან. ეჭვი არ არის, რომ ლაშქრის ავანგარდს ანუ „ცხენ–თორნოსნებს" თუ „ცხენ–თოროსნებს" და

მეფის მცველ „რჩეულ მხედრებს“ სწორედ „აზნაურთა“ კლასი, მათ შორის „აზნაურნი დიდ–დიდნი“ შეადგენდნენ. ჩვეულებრივ „სიმრავლეს მჴედართა“, როგორც თვით ჯუანშერიც მიუთითებს „მსახურთა“ ფენა წარმოადგენდა, კერძოდ, „მჴედრად მსახურნი“ ქვეით ჯარს კი, რა თქმა უნდა, „ერი“ („წურილი ერი“) ქმნიდა, რომელთაც „სოფლიონი“ ეწოდებოდა[43]

ამ ორი რიგის, სამხედრო და საზოგადოებრივი, სტრუქტურული ელემენტების სრული შესატყვისობა, გვგონია თვით იმდროინდელი სოციალური დანაწევრების ზემოაღწერილი სურათის რეალურობის მაჩვენებელი უნდა იყოს.

ამგვარად, V ს–ის მეორე ნახევრის ქართლის სამეფოში, რომელიც ამ დროს ეგრისსაც მოიცავს და დასავლეთ ალვანეთსაც, დასტურდება როგორც მსხვილი ფეოდალური (სამეფო, სააზნაურო, საეკლესიო), ასევე სათემო მიწათმფლობელობაც[46], რომელიც ეჭვი არ არის, განიხილებოდა, როგორც სახელმწიფო საკუთრება. ეს არის სწორედ ადრეფეოდალური საზოგადოების სტრუქტურა.

რამდენიმე სიტყვა აღნიშნული ეპოქის სახელმწიფოებრივი წყობის შესახებ. ძველი ქართული წყაროების თანახმად, იბერიის მეფეები თვითმპყრობელნი არიან, რომლებიც თავისი ნება–სურვილის მიხედვით ნიშნავენ „საქვეყნოთ გამრიგე“ დიდმოხელეებს, სპასპეტს და ერისთავებს. სავარაუდოა, რომ ამ კონცეფციით მთელი სამეფოს მიწა–წყლის უზენაეს მესაკუთრედ სახელმწიფო გვევლინება. ჩვენთვის საინტერესო ეპოქისათვის ასეთი ვითარება, არსებითად, რეალური უნდა იყოს მით უმეტეს, რომ ქართლის სამეფოში, მაგალითად, სომხეთთან შედარებით, ცენტრალურ ხელისუფლებას მეტი ხვედრითი წონა უნდა ჰქონოდა, ხოლო აღზევებული პროვინციული ფეოდალური „სახლები“ ნაკლები ძალისანი უნდა ყოფილიყვნენ[47]

ვახტანგ გორგასლის „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელეები, ერისთავები კაროლინგების დროინდელი გრაფების მსგავსად, ბენეფიციარები იყვნენ ანუ მეფისაგან ნაბოძებ ხელისუფლებას და მასთან დაკავშირებულ ნაწყალობევ მიწა–წყალს (საერისთავოს) ჯერ კიდევ არ ფლობდნენ მემკვიდრეობითი უფლების საფუძველზე, თუმცა კი საამისო ტენდენცია, თავისთავად ცხადია, არსებობდა. არ გვაქვს საფუძველი

არ ვენდოთ წყაროს არაერთგზის მითითებას, რომ VI ს–ის ქართლის მმართველებმა „ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალნეს საერისთვოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკჳდრობისათჳის საერითვოთა მათთა“[48]. აქედან, ჯერ ერთი, კარგად ჩანს, რომ ერისთავთა „მკჳდრობა“ ანუ მემკვიდრეობით ფლობის უფლება უცხო ძალის ჩარევის შედეგია და ქართლის ერისმთავარი მათ ასეთ სტატუსს იძულებით ცნობს და შემდეგ, აქედანვე გამომდინარე, – რომ უფრო ადრე ანუ სწორედ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ხანისათვის, ერისთავთა შეცვლა შესაძლებელი ყოფილა. ამგვარად, გვაქვს საფუძველი ვახტანგ გორგასლის ერისთავები მოხელე–ბენეფიციარებად ვცნოთ.

ამის ნათელსაყოფად მოვსეს ხორენაცის ერთი ცნობა გამოგვადგება, რომელიც შეეხება ვარსქენ პიტიახშის მამას, არშუშა ქართლის პიტიახშს.

V ს–ის სომეხი ისტორიკოსის მოწმობით, არშუშა იყო ტაშირის მთავარი (იშხანი) და გუგარქის (გუგარელთა) პიტიახში[49]. სომხური წყაროს გუგარქის პიტიახში შეესატყვისება ქართული მემატიანეების სამშვილდის ერისთავს, ხოლო ტაშირი კი გუგარქის ერთ–ერთი „ხევია“[50]. ამგვარად, მოვსეს ხორენაცი ზემოხსენებულ ცნობაში არშუშას მფლობელობის გაორებულ ხასიათს გულისხმობს: როგორც ფეოდალი, იგი მემკვიდრეობით (მამულობით) მფლობელია, მთავარია ტაშირისა, ხოლო როგორც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი ანუ დიდმოხელე – გუგარქის პიტიახშია (სამშვილდის ერისთავი). უნდა ვიფიქროთ იგი ამ „სახელოს“ (თანამდებობას) ფლობდა მეფისაგან ბენეფიციუმის პირობით.

ასევე ბენეფიციუმის პირობით ემსახურებოდნენ მეფეს „ერისაგან“ გამოყოფილი, აღზევებული „მსახურნი“. ასე უნდა გავიგოთ მემატიანის ზემომოყვანილი ცნობა, რომ ვახტანგ გორგასალმა „გასცა ნიჭი ერსა თჳსსა და წარჩინებულ ქმნა მჴედრად მსახურნი“ აქ, როგორც ჩანს, მიწის ბენეფიციუმის პირობით გადაცემაზეა აგრეთვე საუბარი.

დასასრულ, აღსანიშნავია, რომ მემკვიდრეობით მამულთან და ნაწყალობევ მიწასთან ერთად, უკვე ამ დროსვე უნდა არსებულიყო შეწირვის გარდა მიწის ყიდვა–გაყიდვის პრაქტიკა, თუმცა კი „ნასყიდევი ქუეყანა“ ანუ ნაყიდი მიწა დოკუ-

მენტურად მხოლოდ VI ს-ის ბოლოს თუ VII ს–ის დასაწყისისთვისაა დაფიქსირებული[51].

ამგვარად უნდა დავასკვნათ, რომ IV–V საუკუნეების ქართლში (და, როგორც ჩანს, მთელს საქართველოში) გაბატონებული იყო განვითარების ადრეფეოდალური სტადიისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ურთიერთობა. ქართლის გაერთიანებული სამეფო V ს–ის მეორე ნახევარში სრული უფლებით შეგვიძლია მივიჩნიოთ ადრეფეოდალურ სახელმწიფოდ ერთიანი ცენტრალური ხელისუფლებით, ხოლო მისი შემქმნელი ვახტანგ გორგასალი – ტიპურ ადრეფეოდალურ მონარქად[52].

საინტერესოა ქართლისა და მისი თანადროული არშაკიდული სომხეთის სოციალური ვითარების ერთმანეთთან შედარება. ჯერ ერთი, აღსანიშნავია, რომ V ს–ის სომეხი ისტორიკოსები, კერძოდ, ლაზარ ფარპეცი, სოციალური კატეგორიის ტერმინებს, როგორიცაა ნახარარი (ერისთავი), ტანუტერი (მამასახლისი), სეპუჰი (ქართ. „ზეპური") განურჩევლად ხმარობს სომხეთისა და ქართლის მიმართ, რაც მოწმობს, რომ იგი არავითარ განსხვავებას ამ მხრივ ამ ორ ქვეყანას შორის არ ხედავს[53]. შემდეგ, არშაკიდული სომხეთი, რომელიც სანახარაროთა კრებულს შეადგენდა, ფაქტობრივად, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ერთი დიდი სენიორია, რომლის სენიორებად არშაკიდი მეფეები გვევლინებიან, ხოლო ვასალებად – ნახარართა „სახლები" (გვარები). დანარჩენი მოსახლეობა მდაბიოთა მასაა – შინაკანები[54], რომელნიც ამ დროს „თავისუფალ" მეთემეებს წარმოადგენენ[55].

თითოეულ სანახარაროში განლაგებული ციხე–სიმაგრეები არშაკიდი მეფეების განსაგებელი იყო[56]. მათივე კომპეტენციას შეადგენდა მიწების გაცემა[57] და ნახარარ–ტანუტერთა დანიშვნაც[58]. ისევე, როგორც ქართლში, რა თქმა უნდა, არსებობდა სამამულე საკუთრებაც, ნაწყალობევი და ნასყიდი მიწებიც[59]. მნიშვნელოვან სანახარაროებს თავისი საეპისკოპოსოებიც გააჩნდათ[60].

ყველაფერი ზემოთქმული ეჭვს არ ტოვებს, რომ არშაკიდული სომხეთი სოციალური განვითარების თვალსაზრისით აგრეთვე ადრეფეოდალურ სტადიაზე მყოფი ქვეყანაა. მაგრამ ქართლში მაინც სხვაგვარი ვითარებაა. ასე მაგალითად, თუ სომხეთში, როგორც წესი, თითოეულ სანახარარო (საერისთა-

ვო) სახლს თავისი განსაკუთრებული საეპისკოპოსო გააჩნდა, ასეთი რამ ქართლში არ ჩანს. მართალია, ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებული საეპისკოპოსო კათედრები, როგორც ჩანს, ცალკეული მნიშვნელოვანი „ხევის“ საეკლესიო ცენტრებია (ახიზისა – კლარჯეთში, ერუშეთისა – არტაანში, წუნდისა – ჯავახეთში, მანგლისისა – მანგლისხევში, ბოლნისისა – ბოლნისხევში და სხვ.)[61], მაგრამ სწორედ ის არის ნიშანდობლივი, რომ თითოეულ საერისთავოში, რომლებიც ამ „ხევთა“ ერთობლიობას წარმოადგენდა, რამდენიმე, და არა ერთი, ასეთი ცენტრია. VI ს–ის დასაწყისისთვის ქართლში, როგორც ვიცით, ოცდაცამეტი საეპისკოპოსოა[62], მაშინ როდესაც საერისთავო სულ რვა თუ ცხრაა[63]. მეორე მხრივ, საეპისკოპოსოთა მრავალრიცხოვნება მიუთითებს იმ ცენტრალურ პუნქტებზე, სადაც ხდება ფეოდალური მიწისმფლობელობის კონცენტრაცია[64], რაც სწორედ იმის დასტურია, რომ ეს პროცესი, მაინცდამაინც, „ხევებში“ მიმდინარეობდა. ასეთი ვითარება, ვფიქრობთ, მოწმობაა ფეოდალურ სენიორიათა სიმრავლისა და ამდენადვე საზოგადოების ფეოდალიზაციის მეტი სიღრმისა ქართლში სომხეთთან შედარებით. ამაზევე უნდა მიუთითებდეს ფეოდალური იერარქიის არარსებობა არშაკიდულ ხანაში[65] და აგრეთვე სასოფლო თემის დიდი სიცოცხლისუნარიანობა სომხეთში თვით XVIII საუკუნემდე[66].

რაც შეეხება ქართლს, ძირითადი სოციალური პროცესის განვითარების მაგისტრალური მიმართულება გულისხმობდა თავისუფალ წვრილ მწარმოებელთა (მეთემეთა და ალოდისტთა – წვრილ ინდივიდუალურ მესაკუთრეთა) შემცირებას დამოკიდებულ მიწათმოქმედთა გაზრდის ხარჯზე. ეს აძლიერებდა მსხვილ მიწათმფლობელ–ერისთავთა პოზიციებს. მიმდინარეობდა ბრძოლა სამეფო ხელისუფლებასა და ერისთავებს შორის. პირველი დაჟინებით ცდილობდა სახელმწიფოს ცენტრალიზაციის პოლიტიკის გატარებას (საქართველოს გაერთიანება, საეკლესიო რეფორმა, ციხე–სიმაგრეთა და ქალაქთა მშენებლობა), მეორენი განუხრელად სახელოს გამკვიდრებისაკენ მიისწრაფოდნენ. ამ შეურიგებელ ბრძოლაში აქტიურად ერეოდა ირანი და ბიზანტია, რომლებიც ცდილობდნენ გავლენის სფეროების განაწილებას ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში. შინასოციალური და გარეპოლიტიკური კონფლიქტების ურთიერთშერწყმის გამო

შექმნილი ძალთა განწყობილება ვახტანგ გორგასლისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. იგი დამარცხდა. VI ს–ის ოციან წლებში ეგრისი გამოეყო ქართლს, და კვლავ ბიზანტიის ქვეშევრდომობაში შევიდა. 30–იან წლებში სპარსელებმა გააუქმეს მეფობა ქართლში, ხოლო ერისთავებმა საკუთარი მეფის ღალატის საზღაურად ირანის სანქციით გაიმკვიდრეს საერისთავოები[67]. ქართლის ერთიანი ადრეფეოდალური მონარქია დაიშალა ცალკეულ ფეოდალურ სამფლობელოებად ირანის შაჰის უზენაესი ხელისუფლების ქვეშ.

უნდა აღინიშნოს, რომ V ს–ის მეორე ნახევრის ქართლის სოციალური ვითარება, როგორც ვნახეთ, სრული სიცხადით მოწმობს, რომ VI ს–შიც სათემო მიწათმფლობელობას საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა უნდა ჰქონოდა. ამას უნდა ადასტურებდეს ქართლის სახელმწიფოებრივი განვითარების შემდგომი პროცესი.

საქმე ის არის, რომ ქართლის ერისთავთა და სპარსელთა ალიანსი დიდხანს არ გაგრძელებულა და სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის შემდეგ, როგორც ვიცით, „ნელად–რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ". საკითხავია: როგორ მოხდა, რომ ერისთავებმა, რომლებიც ხელს უწყობდნენ ქართლში მეფობის გაუქმებას თავიანთი საგამგეო საერისთავოთა გამკვიდრების მიზნით, 50–იან წლებში თავისივე ინიციატივით აღადგინეს ცენტრალური ხელისუფლება?

მიზეზი, გვგონია, უნდა ვეძებოთ იმაში, რომ VI ს–ის ქართლი ადრეფეოდალური სახელმწიფოა. ეს კი ნიშნავს, რომ ფითოეულ ერისთავს თავის საგამგეოში ცალკეული ფეოდალური მფლობელისა და მისგან დამოკიდებული უშუალო მნარმოებლის გარდა, უნდა ჰყოლოდა მრავალრიცხოვანი ფენა მეთემე–ალოდისტებისა, რომლებიც ძველთაგანვე არსებული სამართლის მიხედვით ითვლებოდნენ „თავისუფლებად" (ე. ი. ეკუთვნოდნენ სახელმწიფოს, როგორც უზენაეს მესაკუთრეს). ისინი, ჩანს, საკმაოდ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ საიმისოდ, რომ ცალკეულ ერისთავს მათი ყმადქცევა შეძლებოდა. ასევე ძნელი უნდა ყოფილიყო იმ ფეოდალურ სენიორთა მორჩილებაში ყოლა, რომელნიც ადრე მეფის ვასალები იყვნენ. ამგვარად, ერისთავებს, ამ ფეოდალურ სენიორებს, უზენაესი ცენტრალური ხელისუფლების გარეშე,

ფაქტობრივად, არსებობაც არ შეეძლოთ. საამისოდ ირანი არ გამოდგებოდა, რამდენადაც სპარსელთა პოლიტიკა ძველთა-განვე ქართლის არისტოკრატიის არა მარტო სრულ მორჩილებაში ყოლას, არამედ პრაქტიკულად მის ასიმილაციას ისახავდა მიზნად (მოვიგონოთ V ს–ის შუახნის მოვლენები). ამიტომ ურთიერთობა სპარსელებთან მალევე უნდა გაფუჭებულიყო[68]. ზემოხსენებული იმის მოწმობაა, რომ ქართლში მეფობის გაუქმება უფრო გარეპოლიტიკური მიზეზებით იყო გაპირობებული, ვიდრე შინაგანი სოციალური ევოლუციით. ამიტომ საჭირო შეიქმნა კვლავ გაერთიანება, რაც არ იყო ძნელი საერთო ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის დროს და „ნელად–რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ". მართალია, ახალი ხელისუფალი იყო უკვე primus inter pares[69].

თავისუფალ მეთემეთა ფართო ფენის არსებობა VI ს–ის ლაზიკეშიც სავარაუდოა, რასაც უნდა მოწმობდეს საერთო სახალხო კრება, მოწვეული მეფე გუბაზის მკვლელობასთან დაკავშირებით.

შემდგომი განვითარება ძირითადი სოციალური პროცესისა კვლავ მიემართებოდა ფეოდალური საკუთრების გამსხვილებისა და შესაბამისად სათემო მიწათმფლობელობის შემცირების გზით. გარდა იმისა, რომ ჩვენს ხელთაა ცნობილი ფაქტები შიო მღვიმის მონასტრის ფეოდალური მიწათმფლობელობის გაფართოების შესახებ VI ს–ის ბოლოს და VII ს–ის დასაწყისში[70], ამავე ხანებში მომრავლებულ აზნაურთა რეზიდენციებზე უნდა მიუთითებდეს ადრექრისტიანული ქართული ხელოვნების ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები კახეთიდან, შიდა ქართლიდან, ქვემო ქართლიდან, სამცხიდან, როგორიცაა ქვასვეტები თუ ქვაჯვარები (დავათიდან, ხანდისიდან, ბრდაძორიდან, ნაღვარევიდან, პანტიანიდან, აბასთუმნიდან, წყისედან და სხვ.), ზოგჯერ შესაწირავი წარწერებით, რომლებიც სწორედ აზნაურთა სოციალური და კულტურული აქტივობისა და სოციალური პრესტიჟის ზრდის მაჩვენებელია VI–VII და, ცხადია, მომდევნო საუკუნეებში[71]. ამავე პროცესის – პროვინციაში ფეოდალური ძალების ზრდის მაჩვენებელია საეპისკოპოსოთა რიცხვის ზრდაც[72]

ჩვენთვის საინტერესო პრობლემისათვის მნიშვნელოვანია IX ს–ის არაბი ისტორიკოსის, ბალაზურის ცნობები, რომ-

ლებიც უეჭველად VII ს–ის შუახანს განეკუთვნება. ეს არის პირველყოვლისა, ჰაბიბ–იბნ მასლამას ე. წ. „დაცვის სიგელი“, გაცემული, როგორც ვიცით, იმ ტერიტორიის მოსახლეობისადმი, რომელიც არაბებმა, ჩანს, პირველ რიგში დაიმორჩილეს. ეს არის თბილისი, როგორც სახელმწიფოს ცენტრი, ქვემო ქართლი ცენტრით მანგლისში და შიდა ქართლის ნაწილი ცენტრით არმაზში. ამის შემდეგ არაბები იმორჩილებენ, ეტყობა, საგანგებო „დაცვის სიგელების“ საფუძველზე ქართლის საერისმთავროს დანარჩენ პროვინციებსაც. ესენია: კახეთი, კუხეთი, ხუნანი, ქასალი, გარდაბანი, ბაზალეთი, ქსნისხევი, კასპი, ჯავახეთი, სამცხე, არტანი, შავშეთი, კლარჯეთი, დარიალანი წანარებითურთ და დიდოელები.

შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ არაბული ნუსხის მიხედვით, იშვიათი გამონაკლისის გარდა (ქვემო ქართლი, კლარჯეთი), ძველი საერისთავოები – ქართლის სამეფოს ადმინისტრაციული დაყოფის საფუძველი – ფაქტობრივად აღარ არსებობს. ისინი შედარებით მცირე შემადგენელ ერთეულებად არიან დანაწილებული[73]. უზენაესი მმართველის სახელმწიფო ხელისუფლება ფრიად შეზღუდულია ტერიტორიულად და პროვინციულმა მმართველებმა უკვე მოახერხეს მისი რეალური პოლიტიკური გავლენისაგან თავის დაღწევა[74]. ეს მნიშვნელოვანი გარემოება უნდა მიუთითებდეს ფეოდალური ურთიერთობის შემდგომი გაღრმავების პროცესზე, რომლის შედეგადაც სუსტი ცენტრალური ხელისუფლების არსებობის პირობებში ხდება კერძო პოლიტიკური ხელისუფლების მამულის შიგნით კონცენტრაცია და მსხვილი ფეოდალური საკუთრების შემდგომი გაფართოება.

ეს შინაგანი სოციალური განვითარების შეუქცევადი პროცესი ღრმავდებოდა გარე–პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენითაც (ირანელთა უშუალო ბატონობა, ჰერაკლე კეისრის ლაშქრობა, არაბთა მფლობელობა) და თუმცა ყოველ ხელსაყრელ პოლიტიკურ სიტუაციაში ცენტრალური ხელისუფლება, ახალგაზრდა ფეოდალური ქვეყნის განუხრელ ეკონომიკურ და პოლიტიკურ აღმავლობაზე დაყრდნობით, ყოველთვის ცდილობდა აღედგინა არა მარტო ქართლის სამეფოს, არამედ მთელი საქართველოს ყოფილი ერთობა, მაინც ზემოხსენებული საყოველთაო სოციალური პროცესი თავის ლოგიკურ დასასრულს VIII ს–ის შუახანში პოვებს.

საქართველოს სოციალური განვითარების ეს უმნიშვნელოვანესი ტეხილი დაკავშირებულია ჩვენთვის უკვე ცნობილი არჩილის სახელთან. წყარო მიაწერს მას, როგორც ვიცით, „რეფორმის" გატარებას, რაც გამოიხატა ერისთავთა მიერ საერისთავოთა მემკვიდრეობით ფლობის უფლების სანქციონირებით[75]. დიდმოხელე ერისთავები, რომლებიც აქამდე სახელმწიფო სამართლის თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბენეფიციარებად ითვლებოდნენ, ამიერიდან გადაიქცნენ მფლობელ მთავრებად – სენიორებად, რომლებიც თავის სუვერენთან მხოლოდ ვასალური ურთიერთობით–ღა არიან დაკავშირებულნი[76]. თუ მხედველობაში მივიღებთ სოციალური განვითარების მთელ იმ პროცესს, რომლის დახასიათებაც ჩვენ ვცადეთ, დაწყებული IV–V საუკუნეებიდან, ვფიქრობთ, გვაქვს უფლება ვივარაუდოთ, რომ მემატიანის ცნობა არჩილის „რეფორმის" სოციალური არსის შესახებ სწორია და პირდაპირი მოწმობაა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სენიორალური ანუ სამამულე რეჟიმის დამყარებისა. ეს ნიშნავს, რომ სოციალური განვითარების თვალსაზრისით ქართველი ხალხი ფეოდალური ურთიერთობების სრულიად განვითარებულ სტადიაზე შედგა. განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდის სენიორია კი ეს არის მამული, რომლის მფლობელსაც კერძომემამულური უფლების ნიადაგზე აღმოცენებული იმუნიტეტის ანუ შეუვალობის საფუძველზე, როდესაც მისი კუთვნილი საფეოდალოს მოსახლეობის მიმართ პოლიციური, სასამართლო და გადასახადის აკრეფის უფლებები სახელმწიფოდან მის ხელში გადადის, აქვს პოლიტიკური უფლებები თავისი ყმების მიმართ. ფეოდალი (სენიორი) ამ დროს, ფაქტობრივად, სრულუფლებიანი ხელმწიფეა თავის სამფლობელოში.

სამამულე (სენიორალური) რეჟიმის დამყარება, ჯერ ერთი, გაპირობებული იყო მიწის მსხვილი ფეოდალური საკუთრების არსებობით, რომლის განვითარების პროცესსაც ზემოთ შეძლებისდაგვარად მივადევნეთ თვალი. ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ეპოქისთვის საამისო პირდაპირი მითითებაც გვაქვს: არჩილი სამემკვიდრეო მფლობელობის უფლებას უმტკიცებს „პიტიახშსა, ნათესავსა ფეროზისასა, რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს"[77]. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ მოვსეს ხორენაცის მოწმობით დომენიალური (მემკვიდრეობითი სამამულე) მფლობელობა V ს–ის პიტიახშე-

ბისა მხოლოდ ტაშირს მოიცავდა, ხოლო დანარჩენ ტერიტორიას ისინი ფლობდნენ ბენეფიციუმის პირობით. სამი საუკუნის შემდეგ ვითარება არსებითადაა შეცვლილი და ძველ პიტიახშთა ჩამომავალი კერძო მემამულური უფლებით ფლობს არა მხოლოდ ტაშირს, არამედ თრიალეთსაც და აბოცსაც, ანუ, ფაქტობრივად, ყოფილი საპიტიახშოს თითქმის მთელ ტერიტორიას. ეს აშკარად მიუთითებს ბენეფიციუმის (დროებითი მფლობელობის) ფეოდად (მუდმივ სამემკვიდრეო მფლობელობად) გადაქცევაზე.

მეორე მხრივ, არსებობს ეპოქის თანადროული დოკუმენტური წყაროები, რომელთა საფუძველზე გვაქვს უფლება ვამტკიცოთ, რომ არჩილის სანქციით მთავრებად (სენიორებად) ქცეული ერისთავები სრული იმუნიტეტით (შეუვალობით) სარგებლობდნენ თავიანთ სამფლობელოებში და, ფაქტობრივად, სრულ პოლიტიკურ უფლებებს ახორციელებდნენ დამორჩილებული მოსახლეობის („ქუეშემყოფთა") მიმართ (ადმინისტრაციულ–პოლიციური, სასამართლო, ნატურალური რენტის აკრეფის უფლებები)[78].

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ზემოხსენებულ ერისთავთა „ქუეშემყოფი" საერისთავო ამიერიდან წარმოადგენს სენიორიას, რომელიც დამახასიათებელია სავსებით განვითარებული ფეოდალიზმის საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის, ხოლო რამდენადაც ამგვარი სენიორიების არსებობა, არჩილის „რეფორმის" შედეგად, მთელი საქართველოს ტერიტორიაზე იგულისხმება, აფხაზეთიდან კახეთამდე, ცხადია, გვაქვს სრული უფლება ვივარაუდოთ, რომ **VIII ს–ის შუა ხანში სენიორალურმა სისტემამ ოფიციალური სანქცია მიიღო მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს არის სწორედ განვითარებული ფეოდალიზმის საბოლოო დადგინების ხანა საქართველოში.**

არჩილის რეფორმატორული მოღვაწეობა ზემოხსენებულით არ ამოიწურება. მემატიანე გვამცნობს, რომ კახეთში დაბრუნების შემდეგ არჩილმა „ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყვნა იგინი"[79]. „ტაძრეული" მეფის (ერისმთავრის) ამალის, მისი პირადი სამხედრო რაზმის წევრია და მათი „აზნაურყოფა" მათ მინაზე დასხმას („მიუბოძა კახეთი") და სამხედრო სამსახურის საადგილმამულო (ფეოდალური) ურთიერთობის საფუძველზე ორგანიზებას გულის-

ხმობს. თუ V ს–ში, როდესაც ვახტანგ გორგასალმა „წარჩინებულ ქმნნა მჴედრად მსახურნი“, მინის ბენეფიციუმის პირობაზე გაცემა უნდა იგულისხმებოდეს, რაც ადრეფეოდალური ურთიერთობებისთვისაა დამახასიათებელი, VIII ს–ში, უეჭველია, ფეოდის სტატუსით ანუ მემკვიდრეობით გაცემულ მამულთან გვაქვს საქმე.

მეფის (ერისმთავრის) პირად სამსახურში მყოფი ამალის თუ ლაშქრის, ინფეოდაციის შედეგად მინაზე დასხმა, ერთი მხრივ, და ამის საფუძველზე დომენიალური მფლობელობის შემცირება, მეორე მხრივ (კახეთი კი სწორედ არჩილის დომენი იყო), დამახასიათებელია, მაინცდამაინც განვითარებული ფეოდალიზმის საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის[80].

გარდა ამისა, ინფეოდაციის პროცესი – განვითარებული ფეოდალიზმის არსებითი ნიშანი – ხელს უწყობდა ფეოდალური კლასის იერარქიული პირამიდის ჩამოყალიბებას. ჩვენ ვნახეთ, რომ ფეოდალური იერარქიის ელემენტები უკვე V ს–ში არსებობს. ახლა ამას საყოველთაო ხასიათი უნდა მიეღო. ამას უნდა მიუთითებდეს თუნდაც „მამფალი სტეფანოზ ღმრთისა მიერ ქართველთა და მეგრელთა ერისთავთერისთავთა უფალი“, რომლის ქვეშევრდომ ერისთავთერისთავებს, ეჭვი არ არის, უნდა ჰყოლოდათ საკუთარი ვასალები – ერისთავები და ა.შ. ეს არის სწორედ ქართული „პატრონყმობა“.

იგივე ინფეოდაციის პროცესის მეორე მხარეა ფეოდალური ციხესიმაგრეების ინტენსიური მშენებლობა, რის შედეგადაც მთელი საქართველოს ტერიტორია გამრავლებულ ფეოდალთა ამ რეზიდენციების ხშირი ქსელით დაიფარა. ეს კარგად ჩანს აღმოსავლეთი საქართველოს, კერძოდ, სწორედ კახეთის ციხე–სიმაგრეთა შესწავლით ისტორიული–გეოგრაფიის თვალსაზრისით[81]. ეს პროცესი, ცხადია, არ არის დამახასიათებელი მხოლოდ კახეთ–ჰერეთისთვის ან თუნდაც მხოლოდ აღმოსავლეთი საქართველოსთვის, სადაც, ქართლშიც და სამცხეშიც, იგივე სოციალური განვითარების ინტენსიური პროცესი მიმდინარეობს, რის შედეგადაც ხდება ძველ ციხესიმაგრეთა ტრანსფორმაცია ან ახალთა შენება[82]. ასეთივე ვითარება, როგორც მოსალოდნელი იყო, დასავლეთ საქართველოშიც მჟღავნდება, რამდენადაც ჩვენი თვალსაზრისით, მაინცადამაინც IV ს–დან მთელი საქართველოს ბარში დაახლოებით ერთიანი სოციალური პროცესები ვითარდება[83]. მართ-

ლაც, უკანასკნელი ხანის კვლევა-ძიებამ, არქეოპოლის-ნოქალაქევის არქეოლოგიურ გათხრასთან დაკავშირებით, აქაც, ცნობილთა გარდა, გამოავლინა მთელი ქსელი ციხესიმაგრეებისა. (აბედათში, კოტიანეთში, შხეფში, სენაკთან, ეკში, ჭაქვინჯში, წარჩეში, „სათანჯო", სკურში, რეკაში)[84]. ციხესიმაგრეები კოდორისა და ცხენისწყლის ზემო წელზე ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის მუშაობითაც გამოვლინდა (გორდში, ისუნდერში, გვესოში და სხვ.)[85]. კერძოდ, ჩვენი აზრით, კოდორის სათავეში მიგნებული ციხესიმაგრის ნანგრევები უნდა იყოს VI-VII საუკუნეების ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებული ბუქლოოსის (აგათია) ანუ ბუკოლუსის (თეოდოსი განგრელი) ციხესიმაგრე[86], ხოლო ლეჩხუმში, ცაგერის მახლობლად ამართულ მაღალ მთაზე სოფ. გვესოსთან აგებული შესანიშნავი ციხე-კოშკის ნაშთი, რომლის გალავნის ნანგრევს შიგნით „სამეკლესიანი ბაზილიკის" ტიპის ეკლესიის კონტური ჩანს, შესაძლებელია იმავე თეოდოსი განგრელთან (VII ს.) მოხსენიებული „თაკვირიის ციხე" იყოს[87]. ეჭვი არ არის, რომ იგი თავის დროზე ფეოდალის რეზიდენცია უნდა ყოფილიყო.

ასევე, ადრეული ხანის ფეოდალთა რეზიდენციებს უნდა წარმოადგენდეს, ჩვენი აზრით, ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გამოვლენილი ისეთი ნაგებობები, როგორიცაა კოტიანეთის, სენაკის („საკალანდარიშვილო"), ეკის, „სათანჯოს", სკურის და წარჩეს გალავნიანი ციხე-კოშკები, არ გვგონია, რომ ისინი IV-V საუკუნეების ანუ ეგრისის (ლაზიკის) ადრეფეოდალური სამეფოს დროინდელი სათავდაცვო სისტემის შემადგენელ რგოლებს ქმნიდნენ[88], არამედ შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ჩვენთის უკვე ცნობილი პროცესის შედეგად უნდა წარმოქმნილიყვნენ. კერძოდ, ეს ციხესიმაგრეები, აღმოსავლეთი საქართველოს მსგავსად, ახალი „ფეოდალური ქვეყნების"[89], სენიორიების ჩამოყალიბების ნიშანსვეტებად წარმოგვიდგებიან დასავლეთ საქართველოში.

სენიორალური უფლებრივი რეჟიმის გავრცელება და განმტკიცება, რაც შედეგია ალოდიალური მინათმფლობელობის, ერთი მხრივ, ფეოდალურ საკუთრებად გადაქცევისა, მეორე მხრივ კი, ყმადქცეული თავისუფალი მეთემის დაბეგრილ პარცელად ტრანსფორმაციისა, პოლიტიკური ზედნაშენის

თვალსაზრისით, როგორც წესი, იწვევს ერთიანი ადრეფეოდალური მონარქიის დაშლას. მართლაც, სწორედ VIII ს–ის მეორე ნახევრისთვის მემატიანე გვაუწყებს: „ხოლო ამიერითგან იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ხუასროანთამან (არჩილის მემკიდრეებზეა საუბარი, დ. მ.)... იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას“[90]. მემატიანის მახვილ თვალს არ გამორჩენია ქართლის ადრეფეოდალური სახელმწიფოს დაცემის შინაგანი ფაქტორი - ფეოდალური დაქსაქსულობა - მთელი წინამავალი სოციალური განვითარების ორგანული დასასრული. ეს მთავრები დამოუკიდებელი ან ნახევრად დამოუკიდებელი სენიორები არიან.

საფიქრებელია, რომ ზემოხსენებული ციხესიმაგრეები სწორედ მემატიანისეული მთავრების რეზიდენციებს წარმოადგენენ და ამდენად „სიმრავლისა მთავართასა ქუეყანასა ქართლისასა“ მატერიალურ საფუძველს ქმნიან.

ფეოდალურ ციხესიმაგრეთა – გალავნიანი ციხე–კოშკების – ინტენსიური მშენებლობა, რაც აგრეთვე ერთ–ერთი არსებითი ნიშანია განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების დადგინების დასადასტურებლად, ზემოთქმულთან ერთად კიდევ ერთ ფრიად მნიშვნელოვან სიღრმისეულ სოციალურ ტეხილს გულისხმობს.

მთავართა ამ გამაგრებული რეზიდენციების ფართო ქსელი, რომელიც, ასე ვთქვათ, ზედ დაედო ძველ სასოფლო თემთა კიდევ უფრო ხშირ აგლომერაციას, იმის ნათელი მოწმობაა, რომ რიგითი თავისუფალი მწარმოებლები, მეთემეალოდისტები, უდიდეს ნაწილში უკვე დამოკიდებულ მიწათმოქმედებად, ფაქტობრივად, „გლეხებად“ გადაიქცნენ, რომ ბარის საქართველოში ძველი თავისუფალი „ერი“ როგორც სოციალური კლასი აღარ არსებობს[91]. მართლაც, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე თავისუფალი თემისა და ფეოდალის ციხესიმაგრის ერთდროული არსებობა სრულიად შეუთავსებელი მოვლენაა. ფეოდალის ციხესიმაგრე, როგორც წესი, საკუთარი სენიორიის, მამულის ფარგლებში შენდება. უკეთ, მამულის (სენიორიის) წარმოქმნა–ჩამოყალიბება ფორმდება ციხესიმაგრის მშენებლობით. შესანიშნავია ამ მხრივ მოწმობა: „დაუნყე ჩემსა მამულსა შიგან ციხესა გება“[92], ანდა: „შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი აღაგო ციხე კლდე-

კართა"[93]. ციხესიმაგრე წარმოადგენდა სენიორის მიერ მის „ქვეშემყოფთა" მიმართ შეძენილი პოლიტიკური უფლებების (ადმინისტრაციულ–პოლიციური, სასამართლო, საგადასახადო) რეალიზაციის მატერიალურ საშუალებას. ამდენადვე, ზემოხსენებულ ციხესიმაგრეთა ინტენსიური მშენებლობა მოწმობაა მიწათმოქმედთა ყმადქცევისა. თავის მხრივ, სენიორალური რეჟიმის გაბატონება და გავრცელება, როგორც წესი, გამორიცხავდა თემურ–ალოდიალური მიწათმფლობელობის არსებობას[94].

უაღრესად ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე დასავლურ–ევროპულ მედიევისტიკაში ანალოგიური მოვლენა, როდესაც შუა საუკუნეების დასავლეთ–ევროპულ საზოგადოებაში ჩნდებიან სარაინდო ციხე–კოშკთა მფლობელი სენიორები, რომლებიც დამოუკიდებელნი ხდებიან მეფეთა და გრაფთაგან და ამ უკანასკნელთა სამხედრო–პოლიტიკური და სასამართლო–ადმინისტრაციული უფლებების უზურპაციას ახდენენ, ხოლო თავის სენიორიათა ფარგლებში მოსახლე უშუალო მწარმოებლებზე საკუთარ ძალაუფლებას ავრცელებენ, ანუ, სხვა სიტყვებით – მოვლენა, როდესაც ჩნდებიან სენიორები, რომლებიც გაჭრილი ვაშლივით გვანან ქართველ მთავრებს, კვალიფიცირებულია, როგორც უდიდესი სოციოლოგიური მნიშვნელობის ფაქტი, რომელიც მოასწავებს „ფეოდალურ რევოლუციას"[95] ფრიად საინტერესოა, რომ მთელი საზოგადოებრივი სტრუქტურის ეს არსებითი გარდაქმნა, რომელიც, ჩვენი აზრით, განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების სტადიის დადგინებას გულისხმობს, საქართველოს მსგავსად დასავლეთ ევროპაშიც ძალიან სწრაფად ხდება, ერთი თაობის განმავლობაში[96]. განსხვავება ის არის, რომ სოციალური განვითარების ეს მნიშვნელოვანი ტეხილი საქართველოში VIII ს–ის შუა ხანზე მოდის, ხოლო დასავლეთ ევროპაში ორი–სამი საუკუნით უფრო გვიანდელ პერიოდზე.

ამგვარად, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ყველაფერი ზემოთქმულის შედეგად, ვფიქრობთ, გვაქვს საფუძველი VIII საუკუნე, კერძოდ კი მისი შუახანი საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით მივიჩნიოთ იმ მნიშვნელოვან მიჯნად, რომელიც აღნიშნავს ახალი ეტაპის – განვითარებული ფეოდალიზმის სტადიის დასაწყისს.

ზემოხსენებული, რა თქმა უნდა, ეხება საქართველოს ბარს და ზეგანს. რაც შეეხება მაღალმთიან ზონას, აქ სხვაგვარი ვითარებაა და სწორედ ეს გარემოებაა მთლიანად საქართველოს სოციალური განვითარების სპეციფიკურობას რომ ქმნის.

„მთა", როგორც ვიცით, უაღრესად დიდ როლს თამაშობდა ქართლის და ეგრისის სამეფოთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, ხოლო მისი ხვედრითი წონა ქვეყნის კულტურის ისტორიაში ყველა ეპოქისთვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო. სოციალური განვითარების თვალსაზრისით ორ ასპექტს უნდა მივაქციოთ ყურადღება : 1. მთიელთა საზოგადოების შინაგანი ვითარება და 2. ამ საზოგადოების ურთიერთობა ბართან ანუ მისი სოციალური სტატუსი ქართულ სახელმწიფოებრიობაში.

ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ მიწის სიმცირე და სიმწირე, ერთი მხრივ, ხოლო საქონლის, კერძოდ, ცხვრის სიჭარბე (აღმ. საქართველოში) და ზამთრის საძოვრების უქონლობა, მეორე მხრივ, არის ის ძირითადი ეკონომიკური ფაქტორი, რაზედაც იყო დამყარებული მთისა და ბარის პოლიტიკური ურთიერთობა. საამისო მოწმობანი ძველი, ქართული თუ უცხოური, წყაროებიდან აგრეთვე უკვე იყო მოყვანილი.

ამას გარდა, სწორედ იგივე ფაქტორი – ეკონომიკური სარბიელის სივიწროვე – იყო მთავარი საფუძველი მთის საზოგადოების სოციალური ევოლუციის შენელებული ტემპისა და ზოგან ამ პროცესის ფაქტობრივი სტაგნაციისა.

IV–VIII საუკუნეების საქართველოს ტერიტორიული სტრუქტურა, როგორც ვიცით, „ხევების" სისტემით ხასიათდებოდა, რაც სოციალური განვითარების დონის გამომხატველიცაა. ბარში ეს იყო ადრეფეოდალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი, მისი შესატყვისი ვითარება, რომელიც თანდათანობითი საზოგადოებრივი ევოლუციის პროცესში და მომწიფებული ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბების შედეგად ტრანსფორმაციას განიცდის: VIII ს–ის შუა ხანისთვის ადრეფეოდალურ „ხევთა" საფუძველზე, დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც, ბარში ფეოდალური „ქვეყნები" წარმოიქმნა[97] „მთას" კი შემორჩა ხევური ორგანიზაცია.

„ხევის" – უძველესი ქართული ისტორიულ–გეოგრაფიული და ეთნო–სოციალური (შემდგომში, ადმინისტრაციულ–

ტერიტორიული) ერთეულის – წარმოქმნა პირველყოფილ–თემური წყობილების ნიაღში, ამ უკანასკნელის რღვევის მომასნავებელი მოვლენა უნდა ყოფილიყო, რაც, ფაქტობრივად, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში დაიწყო[98]. ბარში „ხევების“, როგორც სოციალური ორგანიზმის გადაშენება, საბოლოოდ VIII საუკუნისთვისაა სავარაუდო. მთაში ისინი გვიან შუა საუკუნეებამდე შემორჩა, როგორც თვითმმართველი ორგანიზაციები.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდისთვის ზემოხსენებულ თემურ კოლექტივებს უკვე ორი ათასი წლის ისტორია ჰქონდათ, აქედან ათასი წელი – ქართული სახელმწიფოებრიობის ფარგლებში და, ცხადია, მათი პირველყოფილ–თემური ორგანიზაცია ფრიად სახეცვლილი უნდა ყოფილიყო. ჩვენ არ გაგვაჩნია ამ ეპოქისათვის არავითარი მასალა, რომ „ხევების“ შინაგან სტრუქტურაზე წარმოდგენა ვიქონიოთ, მაგრამ რამდენადაც მთაში ეკონომიკური სარბიელის სივიწროვის გამო სოციალური განვითარების პროცესი, ფაქტობრივად, შეზღუდული უნდა ყოფილიყო, ამდენადვე საერთო სურათის აღდგენაში გვიანი საუკუნეების მასალა და ეთნოგრაფიული მონაცემები გარკვეულად შეგვიქმნის სათანადო წარმოდგენას.

აღმოსავლეთი საქართველოს მთის მოსახლეობა, კერძოდ, მაგალითად, ხევსურული თემი, რომელიც მოიცავდა დიდ სახევთაშორისო გაერთიანებებსაც და მცირე, სოფელსშიდა თემურ უჯრედებსაც, სათემო მიწაზე იჯდა, რომელიც გაგებული იყო, როგორც თემის ერთობლიობის განმასახიერებელი „ჯვარის“ (ღვთაების) საკუთრება. ეს „ჯვარი“, თითოეული თემის საკულტო, ადმინისტრაციული და სამეურნეო ცენტრი, წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ღვთაებათა საკულტო და სამეურნეო ნაგებობათა სახით. თითოეული მეთემე ამა თუ იმ ჯვარის მიმართ იყო „ყმა“, ხოლო ცალკეული თემი – „საყმო“ მინათმფლობელობის თვალსაზრისით არსებობდა სათემო მიწები, რომელიც თავის მხრივ ნაწილდებოდა სასოფლო, დიდი ოჯახის და საკომლო ანუ ინდივიდუალური ოჯახის მფლობელობაში მყოფი მიწის ნაკვეთებად. ეს უკანასკნელი ჯერ არ იყო, საბოლოოდ, კერძო საკუთრების ფორმით ჩამოყალიბებული. თემის ფართო მოსახლეობაში ქონებრივი უთანასწორობა სუფევდა. საკუთრივ სათემო მიწების გარდა, არსებობდა ჯვარის კუთვნილი მიწების ფონდი. ხევსურული

ჯვარები თემის მასშტაბით მსხვილი საადგილმამულო მესაკუთრენი იყვნენ. მათ მიწებს რიგითი მეთემენი ამუშავებდნენ კომლობრივ, ნაკვეთებად ან კოლექტიურად (დიდი და საუკეთესო, მთლიანი ფართობის მიწას). ჯვარის მიწების სარგებლობის გამო რიგითი მეთემეები ანუ „ერისგანნი“ ჯვარს ღალას, ნატურალურ გადასახადს უხდიდნენ და მის მიმართ სხვადასხვა ვალდებულებებს ასრულებდნენ.

ერისგანთაგან აშკარად გამოყოფილნი იყვნენ „ჯვარიონნი“ – თემის მმართველი ხელისუფლება, რომელიც კომპლექტდებოდა ჯვარის ე. წ. „უნჯი ყმებისაგან“. ეს უკანასკნელნი ამა თუ იმ ჯვარი კულტის უძველეს მატარებლად ითვლებოდნენ, და, ფაქტობრივად, თემის არისტოკრატიულ და ამავე დროს ქონებრივად აღზევებულ ფენას წარმოადგენდნენ. მათი წრიდანვე ირჩეოდა თემის უფროსი – ხუცესი ანუ ხევისბერი, რომლის ხელისუფლება მუდმივი და ზოგან მემკვიდრეობითიც იყო. ხუცესი (ხევისბერი) ხელმძღვანელობდა თემის საერო და სასულიერო ცხოვრებას, განაგებდა ჯვარის კუთვნილ მიწებზე მეურნეობას, თვალყურს ადევნებდა საღალე, საბეგრო და საბალახე შემოსავალთა და ერისგანთა სხვა ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას. აწესრიგებდა თვით მეთემეთა მეურნეობას; ომში წინ უძღოდა თავის თემს. სრულიად ხევსურეთის თემის ხევისბერი საღმრთო გუდანის ჯვარის (ხევსურთა მთავარი სალოცავის) სახელით მთავარი სჯულმდებელი იყო ხევსურეთის მასშტაბით და ამავე დროს გუდანის ჯვარის ალმის (ჯვარის) წინამძღოლობით მთავარსარდლობდა სრულიად ხევსურეთის ლაშქარს, რომელიც სახევო და სახევთაშორისო რაზმებისაგან (სადროშოებისგან) შედგებოდა.

ხევსურეთის ძლიერი თემები მეზობელთა დაპყრობის შედეგად გაბატონებული იყვნენ ე. წ. „საყმო–საგლეხოებზე“ (დაპყრობილ თემებზე), რომელთაც ბეგრავდგენ თავის სასარგებლოდ. სოციალურად საყმო–საგლეხო დამპყრობელი თემის ფარგლებში მოსახლეობის დაბალ ფენას წარმოადგენდა. გარდა ამისა სრულიად ხევსურეთის თემში შინაური მონობაც არსებობდა”

როგორც ვხედავთ, ხევსურული თემი რთულ ორგანიზმს წარმოადგენს, რომელშიც საკმაოდ დიფერენცირებულია (ქონებრივად, სოციალურად) საზოგადოება, არსებობს ექსპლუა-

ტაციის განუვითარებელი ფორმები, რიგით მეთემეთა ინდივიდუალური მეურნეობა მათ კერძო მფლობელობაში მყოფ მინის ნაკვეთებზე, ტენდენცია თემის არისტოკრატიის გადაქცევისა მინის მესაკუთრე ექსპლუატატორულ კლასად და სხვ. მაგრამ ყველაფერი ეს ჩანასახოვან ფორმაშია და ტენდენციის სახით არსებობს, რაც ისევ და ისევ გაპირობებულია ეკონომიკური ბაზის შეზღუდულობით და ამით გამოწვეული კერძო საკუთრების განუვითარებლობით. ამის შედეგია კლასობრივი ნიშნით საზოგადოების სოციალური დანაწილების არარსებობა. მეორე მხრივ, ამ სტრუქტურას აშკარად აღარ აქვს პირველყოფილ–თემური წყობილების ნიშნებიც: კოლექტიური მეურნეობა და განაწილება. ამგვარად, ეს არის საზოგადოება, რომელიც განისაზღვრება, როგორც „თემური, პირველყოფილობის გარეშე"[100]. მართალია, ზემოაღნიშნული მიზეზის გამო ამ კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში მისი შემდგომი სიღრმისეული სოციალური განვითარების პროცესი შეზღუდულია, მაგრამ რამდენადაც ძირითადი ტენდენცია სოციალური ურთიერთობისა ფეოდალური ჩანს (მინის გასაკუთრების ტენდენცია, მიწაზე მჯდარ მეთემეთა ექსპლუატაციის მცდელობა...), ამდენადვე სწორი უნდა იყოს მსგავსი საზოგადოებების სტრუქტურის „პროტოფეოდალურ" წყობილებად წარმოდგენა[101]. დაახლოებით ასეთი უნდა ყოფილიყო ტიპოლოგიურად (მეტ–ნაკლები თავისებურებებით) საქართველოს აღმოსავლეთის და დასავლეთის მაღალმთიანი მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა გვიან საუკუნეებში[102].

მაგრამ ეს სურათი ძველ ვითარებასთან შედარებით მოდიფიცირებული უნდა იყოს, რაც გაპირობებულია საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკური დასუსტებით და დაშლით აღნიშნულ პერიოდში. ერთიანი ფეოდალური მონარქიის არსებობის პირობებში სიტუაცია რამდენადმე სხვაგვარი ჩანს.

ამის საილუსტრაციოდ ჩვენ ხელთაა ისეთი პირველხარისხოვანი იურიდიული ძეგლი, როგორიცაა გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება" (XIV ს.), რომელიც, მართალია, მაინცდამაინც არაგვის და ქსნის მთიულეთს ეხება, მაგრამ ეჭვი არ არის თავის დროზე მთელს მთიანეთში გამოიყენებოდა და ამდენადვე აღმოსავლეთი საქართველოს მთის მოსახლეობის საერთო ვითარებას მაინც გამოხატავს[103].

ამ ძეგლის მიხედვითაც საზოგადოება, თუ ე. წ. „სისხლის“ საზღაურის მიხედვით ვიმსჯელებთ, საკმაოდ დიფერენცირებული ჩანს: ხევისბერის და მისი ოჯახის („დიდი ოჯახის“) ნევრის მკვლელობისთვის 6000 თეთრია დანესებული (§7) და თვით ხევისბერი აზნაურთან არის გატოლებული (§31). მისი ნათესავის მკვლელობისათვის – 3000 თეთრი (§9), ხოლო რიგითი მეთემის, „ჰეროვანის“ სისხლის ფასი 1200 თეთრია (§11).

ყოველი კომლი მიწის ნაკვეთის, „მამულის“ მფლობელია (§§3,7,9 და სხვ.). მიწა თითქოს ყიდვა–გაყიდვის ობიექტია (§16), მიწის უზენაესი მესაკუთრე მეფეა (§§5,6,7 და სხვ.) და ყოველ კომლს მის მიმართ „სალაშქრო და საბეგრო “ ვალდებულება აკისრია (§28), ხოლო, ფაქტობრივად, მეფის მოხელედ ქცეულ „ჴევისბერს დარბაზით (სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლებისგან, დ. მ.) ლაშქართ თავადობა ჰბოძებია“(§10). გარდა ამისა თემთან ურთიერთობას მეფე თავისი მოხელეების, „ერისთავისა“ და „გამგებლის“ მეშვეობით ახორციელებს (§§1,2,7 და სხვ.).

აქედან ჩანს, რომ ჯერ კიდევ XIV ს–ის პირველ ნახევარში საქართველოს მთაში ცენტრალურ ხელისუფლებას დიდი გავლენა ჰქონია. კიდევ უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო ეს გავლენა ძველად, საქართველოს ფეოდალური მონარქიის აყვავებისა და მორჭმულობის ეპოქაში.

მართლაც, ამ დროსაც სახელმწიფო, მეფე რომ უნდა ყოფილიყო მთიელთა მიწის უზენაესი მესაკუთრე ეს ჩანს, ჩვენი აზრით, იქიდან რომ, მაგალითად, „ფშავის ხევის“ თორმეტი თემიდან გარდა იმისა, რომ თითოეულს თავისი საკუთარი ხატი (ღვთაება) ჰყავს, „საზოგადო ხატი, რომლის სამსახურიც ყველა ფშაველს ადევს კისრად, არის თამარ დედოფალი და ლაშარის ჯვარი. ეს ჯვარი არის შენირული ლაშა გიორგისაგან ალბათ ეკლესიისთვის, როგორც ნიშანი ერთმანეთის ერთგულებისა: მეფისა ფშაველის მიმართ და ფშაველებისა მეფის მიმართ. ესე მოგვითხრობს ზეპირგადმოცემა“[104]. ხალხური გადმოცემითვე, ლაშარის ჯვარის „ადგილს წინად ყოფილა აშენებული ლაშა გიორგისაგან ეკკლესია წმინდის გიორგისა სახელზედ, რომლისათვისაც მშვენიერი ხატი წმინდის გიორგის შეუნირავს. ეს გარემოება ხალხს დავიწყებია, შენირული და შემწირველი გაუერთიანებია და კიდეც გაუღმერთე-

ბია“[105]. ამ გადმოცემას ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს: „აქ ფშავსა შინა არს ეკლესია მეფის ლაშასაგან აღშენებული... და უწოდებენ ლაშას – ჯვარს“[106]. ამგვარად, მთიელებში შემონახული თქმულებით ლაშარის ჯვარი, ფშაველთა საერთო – სახეკო ღვთაება ლაშა–გიორგის სახელთანაა დაკავშირებული თუ კიდევაც გაიგივებული და რამდენადაც ლაშარის ჯვარი მთელი „ფშავის ხევის“ უზენაეს ხელისუფლად ითვლება, ხოლო ფშაველი მის ყმად[107], ამდენადვე, საფიქრებელია, ზემოხსენებულ გადმოცემაში ფშაველთა უშუალოდ მეფის მიმართ ყმობაა არეკლილი. ამ მხრივ ისიც ნიშანდობლივია, რომ ფშაველთა წარმოდგენით თამარ დედოფალი და ლაშარის ჯვარი „მოდემოძმენი“ ანუ და–ძმანი არიან[108], ანუ მთელი „ფშავის ხევის“ ერთნაირად მფლობელნი.

ფრიად საინტერესოა, რომ მთიელთა უზენაეს ღვთაებასთან ქართველი მეფეები „მოძმეობის“ დამადასტურებელი დოკუმენტები შემონახულია გვიანი საუკუნეებისთვის, რაც უაღრესად ნიშანდობლივია იმის გასარკვევად, თუ რა ფორმით ხდებოდა მეფის ხელისუფლების მიერ თავისი სუვერენული უფლებების განხორციელება მთის მოსახლეობის მიმართ.

ასე მაგალითად, XVIII ს–ის ქართლ–კახელთა მეფეებისათვის ლაშარის ჯვარი იყო „ჩვენი მოძმე“, ხოლო „ლაშარის ჯვარის მოყმენი სრულიად ფშაველნი“ კი „ჩვენი უნჯნი ყმანი“[109] ანუ მკვიდრი, საკუთარი ყმები. მართალია, თემურ ურთიერთობათა გავლენა გვიან საუკუნეებში, ჩანს, უფრო ძლიერია, ვიდრე ადრე, რაც თუნდაც იმით გამოიხატება, რომ თუ „ძეგლის დადების“ მიხედვით „ბეითალმანი“ ანუ უმემკვიდრეოდ დარჩენილი მეთემის მიწის ნაკვეთი სახელმწიფოს გამგებლობაში რჩებოდა (§28), გვიან იგი ხატის (სათემო) მფლობელობაში გადადიოდა[110]. ასეთი ვითარება, როგორც აღინიშნა, ქართული სახელმწიფოებრიობის დასუსტებით უნდა აიხსნას, მაგრამ თემის უზენაესი ღვთაების „ძმობის“ მეოხებით სამეფო ხელისუფლება იჩემებდა უზენაეს გამგებლობას მთის მოსახლეობაზე.

ცხადია, ეს არ იყო XVIII ს–ში წარმოქმნილი ურთიერთობა და იგი არც მხოლოდ ფშაველებს შეეხებოდა. მართლაც, ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს ლევან კახთა მეფის (XVI ს.) შესახებ: „არამედ ამას წინათთა კახთა მეფეთა არღარა მორჩილებდნენ ფშავ–ხევსურნი და თუშნი და ამან ლევან და-

იპყრნა არა ძალითა, არამედ აღუთქვა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ იყვნენ კახეთს და მისცა შეწირულობა ლაშას ჯუარსა თიანეთს შინა და მიერითგან მისცემდნენ ლაშკარსა და ბეგარასა"[11]. ვფიქრობთ, აქ იმავე ზემოაღწერილ ურთიერთობაზეა მითითება მეფესა და მთიელთა შორის, რომელიც დარღვეული ყოფილა ლევან კახთა მეფეზე წინ, ალბათ, XV ს–ის მეორე ნახევარში – ერთიანი საქართველოს ფეოდალური მონარქიის საბოლოო დაშლის დროინდელი ანარქიის დროს. ვახუშტის ამ ცნობიდანვე კარგად ჩანს მთიელთა მეფის ხელისუფლებისადმი ყმობის მატერიალური საფუძველიც.

სწორედ ეს გარემოება გვარწმუნებს იმაში, რომ ასეთივე ვითარება უნდა ყოფილიყო ძველადაც, არა მხოლოდ XII–XIV საუკუნეებში, არამედ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ეპოქაშიც. კერძოდ, სავარაუდოა, რომ ადრეფეოდალურ ხანაში არსებული სათემო მიწათმფლობელობა ქართლის ბარში განიხილებოდა როგორც სახელმწიფო საკუთრება[112]. მით უმეტეს ასე უნდა ყოფილიყო „მთასთან" დაკავშირებით. მართლაც, ვახტანგ გორგასლის მიერ ქალაქ უჯარმის მშენებლობა, „რამეთუ სიმარჯუედ გამონახა ცხოვართათჳს", სწორედ მთიელთა ექსპლუატაციის მიზნით იყო მნიშვნელოვანწილად გაპირობებული (იხ. ზემოთ, თავი II). ეს ურთიერთობა რომ ამ დროს უკვე ტრადიციული იყო, ამას მოწმობს მირიან მეფის ღონისძიება, როდესაც „მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს (ქრისტიანობაზე, დ. მ.), არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლის ღება" (იხ. ზემოთ, თავი I, § I).

დასავლეთ საქართველოშიც ანალოგიური ვითარებაა. სწორედ უკვე IV–V საუკუნეებისთვის ვიცით, რომ „ლაზებში ძველი წესი იყო, რომ სვანეთის სარდალი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან ის აღრიცხული იყო სახარკო სიაში, და ლაზი კიდევაც იღებდა მისგან ფუტკრების ნაყოფს და ტყავებს და ზოგ სხვა რამესაც. ხოლო როდესაც სვანების მთავარი გარდაიცვლებოდა ლაზების მეთაური ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა მიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება" (იხ. ზემოთ, თავი I, § 3). ჩვენი წარმოდგენით ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთშიც ლაზთა მეფის ასეთი სანქცია გაპირობებული უნდა ყოფილიყო მისი, როგორც უზენაესი მესაკუთრის სტატუსით სახელმწიფოში.

ასეთი ფორმები ურთიერთობისა და ექსპლუატაციისა, როდესაც ექსპლუატატორის როლში სახელმწიფო გვევლინება (მეფე და მმართველი აპარატი), ხოლო ექსპლუატირებულად – პირადად თავისუფალი და წვრილი მესაკუთრე მეთემენი, როგორც ცნობილია, წინ უსწრებს კერძო–მემამულურ, სენიორალურ სისტემას. ფეოდალიზმი „სახელმწიფოებრივი" ფორმითაც არსებობდა, როდესაც სრულიადაც არ იყო საჭირო და აუცილებელი მეთემეთათვის პირადი თავისუფლების წართმევა და მათი საკუთრების ექსპროპრიაცია[13].

ამგვარად, საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ IV – VIII საუკუნეებში (და შემდგომშიც) საქართველოს მაღალმთიანეთში სოციალური განვითარების დონის თვალსაზრისით არსებობდა ე. ნ. „პროტოფეოდალური" ურთიერთობა, რომლის გადაზრდა ფეოდალიზმში, ეკონომიკური სარბიელის სივიწროვის გამო, შეუძლებელი იყო, ხოლო ურთიერთობები „მთასა" და „ბარს" შორის ანუ თვით ქართული სახელმწიფოებრიობის ფარგლებში შეიძლება დახასიათდეს, როგორც „სახელმწიფო ფეოდალიზმი". ამაში მდგომარეობს სწორედ ფეოდალური ხანის საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა თავისებურება.

შენიშვნები:

1. ჯანაშია ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 207; რამიშვილი რ., ადრეფეოდალური ურთიერთობის საწყის ხანად ელინისტურ ეპოქას მიიჩნევს (იხ. მისი, ზოგიერთი მოსაზრება საქართველოში ფეოდალიზმის გენეზისის საკითხთან დაკავშირებით, „მაცნე", ისტორიის... სერია, №4, 1989, გვ. 151, 152).
2. Амиранашвили Л., Новая находка в низовьях Р. Ингура, Тб., 1925, მარღიშვილი ს., ანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მდიდრულ სამარხთა სოციალური დიფერენციაციისათვის, „მაცნე", ისტორიის... სერია №1, 1988; რამიშვილი რ., დასახ. ნაშრომი, გვ. 153, 154; მისივე, ერნოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, თბ., 1979, გვ. 79, 96, 102; ლორთქიფანიძე ო., მიქელაძე თ., ხახუტაიშვილი დ., გონიოს განძი, თბ., 1980.

3. მოქცევაჲ, „ძეგლები", I, გვ. 126, 142.
4. იქვე, 100, 136.
5. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 216, 217.
6. მოქცევაჲ, გვ. 137.
7. ქც, I, გვ. 31.
8. მოქცევაჲ, გვ. 89.
9. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 218.
10. მოქცევაჲ, გვ. 101.
11. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 221; ნ. ასათიანის აზრით „წარჩინებული" და „აზნაური" იდენტური - ქართული და სპარსული ცნებებია (იხ. მისი, საქართველოს ისტორია, თბ., 1999, გვ. 75).
12. მოქცევაჲ, გვ. 115, 116.
13. ვახუშტი, აღწერა, გვ. 62 და 199.
14. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 52 და შემდ.; მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 208.
15. მუსხელიშვილი დ. დასახ. ნაშრომი, გვ. 208; ს. ჯანაშია (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 264, 265) აღნიშნავს, რომ მუხრანის „რაიონი შესაძლებელია ყოფილიყო ძველ ქართლის მეფეთა ძირითადი, და იქნებ, უძველესი დომენი".
16. ბერძენიშვილი ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 418.
17. მოქცევაჲ, გვ. 92.
18. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 595.
19. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 286, 287.
20. იქვე, გვ. 287, 289; კაკაბაძე ს., ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959, გვ. 6.
21. მოქცევაჲ, გვ. 99-101.
22. ქც, I, გვ. 150, 155, 156.
23. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 197, 198. უნდა აღინიშნოს, რომ „ქართლის ცხოვრების" ზემოხსენებულ ცნობას ამ სოციალური თვალსაზრისით, პირველად ს. ჯანაშიამ მიაქცია ყურადღება.
24. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 196, 198.
25. ქვემოთ მითითებები ამ თხზულების სათანადო ადგილებზე მოცემულია ტექსტშივე ილ. აბულაძის გამოცემაში მი-

ღებული პარაგრაფებად და სტრიქონებად დანაწილების მიხედვით.

26. შდ. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 269.
27. იხ. ჯანაშია ს., იქვე, გვ. 270. „ზეპური" ძველი ირანული ტერმინია (vaspuhr//vispuhr), რომელიც სომხურშიც არის შემოსული „სეპუჰ"-ის სახით და აზნაურთა სახლის წევრს („გვარიშვილს") აღნიშნავს. (იხ. ჯანაშია ლ.-ნ., ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 180; Адонц Н., Армения в эпоху Юстиниана, გვ. 401; Марр Н., Этимология двух терминов армянского феодального строя, ЗВОИРАО, т. XI; Christensen A. L, Iran sous les Sassanides, p. 100)
28. ქც, I, გვ. 216
29. ქც, II, გვ. 130.
30. Новосельцев А. П., Генезис феодализма в странах Закавказья, М., 1980, стр. 190, 263 прим. 34.
31. ქც, I, გვ. 145.
32. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 271, 272.
33. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ნ. ბერძენიშვილის შრომებში, „მაცნე", ისტორიის... სერია, №2, 1965, გვ. 111.
34. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 74, 75. 141, 142, 164.
35. იქვე, გვ. 76.
36. შდ. იქვე, გვ. 50.
37. Меликишвили Г. А., К вопросу о социально-экономическом строе древней Иберии (Картли), ВДИ, №4, М., 1977, стр. 190.
38. მუსხელიშვილი ლ., არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში, თბ., 1941, გვ. 12, 13.
39. ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 278, 279.
40. ქც, I, გვ. 158.
41. დაქირავებული შრომის შესახებ ფეოდალურ საქართველოში, იხ. მაისურაძე გ., „მუშაკთა" სოციალური ფენა ფეოდალურ საქართველოში, „მაცნე"... ისტორიის სერია №3, 1988.
42. ქც, I, გვ. 187.
43. ჯანაშია ს., ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, ტ. I, გვ. 13,102, 103; ქსე, ტ. II. 1977, გვ. 263.

44. იხ. კაკაბაძე ს., ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959, გვ. 48. ამ ეპოქის სოციალური სტრუქტურის ავტორისეული სურათი, იხ. გვ. 5-7; უკვე ს. ჯანაშია აღნიშნავდა, რომ V ს-ის ქართლში „ნვრილი ერის" გვერდით საკუთრივ ყმა-გლეხობაც ამ დროს უეჭველია მოიპოვება, მხოლოდ ბევრად უფრო მცირე რაოდენობით" (იხ. მისი, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 273). მისი აზრით, ამ სოციალური კატეგორიის „ბევრად უფრო მცირე რაოდენობით" არსებობას, „ნვრილი ერის" გარდა, აპირობებდა „მონათმფლობელური საზოგადოებრივი ურთიერთობის გაბატონება" (იხ. იქვე, გვ. 282), ამდროინდელი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზისთვის იხ. აგრეთვე, ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 321; ლორთქიფანიძე მ., ქართლი V ს-ის მეორე ნახევარში, თბ., 1979, გვ. 16-28; ბოგვერაძე ა., ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 123 და შემდ.

45. კაკაბაძე ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 6, „სოფლიონი" რიგითი მეთემის სახელწოდებად მთაში XIV ს-ის დასაწყისში, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებაში" გვხვდება (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1963, გვ. 411). „მსოფლიოს" ჩვეულებრივი სოფლელის მნიშვნელობით დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც ხმარობს (ქც, I, 356). რამდენადაც ჩვენი წარმოდგენით სწორედ „სოფელი" იყო თავისუფალი თემის და მისი ტერიტორიის ძველი ქართული სახელწოდება (იხ. მუსხელიშვილი დ., ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის (IV-X საუკუნეები), „მაცნე", ისტორიის... სერია, №2, 1980, გვ. 158, შენ. 65), ამიტომ თავისუფალი მეთემის სახელწოდებაც „მსოფლიო", „სოფლიონი" უნდა ყოფილიყო, რაც დამოწმებულიცაა მთაში.

46. მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 148-150.

47. Меликишвили Г А., დასახ. ნაშრომი, გვ. 193

48. ქც, I, გვ. 221 (შდ. იქვე, გვ. 217 და 226).

49. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, გვ. 164.

50. იქვე, გვ. 172.

51. ჯანაშია ს., ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, გვ. 98, 99.
52. შდ. აკოფაშვილი გ., ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან X-XII სს. საქართველოში, თბ., 1984, გვ. 15.
53. ჯანაშია ლ.-ნ., ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 179, 180.
54. Адонц Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 462, 479.
55. Новосельцев А. П., დასახ. ნაშრომი, გვ. 185. ავტორს მოჰყავს სომეხ მეცნიერ-ისტორიკოსთა მოსაზრებანი ამ პრობლემაზე.
56. Адонц Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 471.
57. იქვე, გვ. 491.
58. იქვე, გვ. 464, 465.
59. ელიშე, ვარდანიანთა ისტორია, მოსკოვი, 1892, გვ. 78 (ძველ სომხურ ენაზე).
60. Адонц Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 367-370.
61. იხ. კაკაბაძე ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 46; აგრეთვე, მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, გვ. 222.
62. ჯავახიშვილი ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 340.
63. ქც, I, გვ. 185.
64. ჯანაშია ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 277, 278; მისივე, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, გვ. 19, 20.
65. Адонц Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 462.
66. ჰაკობიანი ს. ე., სასოფლო თემი სომხეთში XV-XVIII საუკუნეებში. ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი, №2, ერევანი, 1973, გვ. 27, 38 (სომხურ ენაზე).
67. ქც, I, გვ. 217.
68. ჯანაშია ს., ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, გვ. 104-105.
69. ჯანაშია ს., იქვე, გვ. 106,107.
70. იქვე, 100, 101; უკვე წყისეს წარწერიდან ჩანს, რომ არავითარი „სასოფლო თემი", როგორც ასეთი, აღარ არსებობს და იგი დაშლილია: კერძო პირი ყიდულობს მიწას და ასხვისებს მას, კერძოდ, სწირავს (ზედ დგამს ქვაჯვარს) მცხეთის ჯვარს. აქ თემს რომ რაიმე მნიშვნელობა ჰქონოდა, მიწაზე სათემო საკუთრების თვალსაზრისით, წარწერაში იგი

უეჭველად მოიხსენიებოდა, როგორც ეს ხდება, მაგალითად აღმოსავლეთ მცირე აზიის სასოფლო თემებში, I-III საუკუნეებში (იხ.: Голубцова Е. С., Очерки социально-политической истории Малой Азии в I-III вв. (независимая сельская община). М., 1962, стр. 33, 38, 39).

71. მაჩაბელი კ., დავათის ქვასვეტის ადგილი ქართული პლასტიკური ხელოვნების განვითარებაში, „მაცნე", ისტორიის... სერია, №1, 1991, გვ. 83; მისივე, სტელის ფრაგმენტი სოფელ ნაღვარევიდან, „მაცნე", ისტორიის... სერია, №2, 1988; Мачабели К., Каменные крссты Грузии, Тб., 1998.
72. ჯანაშია ს., იქვე, გვ. 20, 21.
73. ბოგვერაძე ა., ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, გვ. 139, 192.
74. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 269.
75. ქც, I, გვ. 241, 242.
76. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 165, 167.
77. ქც, I, გვ. 241.
78. მუსხელიშვილი დ., ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის, გვ. 155, 156.
79. ქც, I, გვ. 243.
80. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 440, 441: „არჩილმა რომ აზნაურებს მისცა კახეთი, ეს არის ეპოქალური ჩვენება იმის, რომ ადრეფეოდალური ურთიერთობა ამ ქვეყანაში დასრულდა"
81. იხ. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის... ტ. II, თავი III. §§ 1-3.
82. იხ. იქვე, § 4. შდ. ასათიანი ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 125, 126.
83. მუსხელიშვილი დ., ფეოდალიზმის ხანის საქართველოს... გვ. 147, 149.
84. ზაქარაია პ., კაპანაძე თ., ციხეგოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, თბ., 1991, გვ. 126-165.
85. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის... ტ. I, თავი I, § 3.
86. იქვე, გვ. 121, 122.

87. იქვე, გვ. 127-129.
88. იხ. ზაქარაია პ., კაპანაძე თ., დასახ. ნაშრომი, გვ. 126; შდ. იაშვილი მ., ზაქარაია პ., შხეფის ციხე. „ნოქალაქევი – არქეოპოლისი", არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1987, გვ. 190, 191; პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვინაძე, გ. გვინჩიძე, ციხეგოჯი – ნოქალაქევი, თბ., 1989, გვ. 47 და შემდ.
89. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის... ტ. II, გვ. 107-109.
90. ქც, I, გვ. 250.
91. ედ. ხოშტარია-ბროსე ერის, როგორც კლასის არსებობას გაცილებით უფრო გვიან, კერძოდ, XI-XII (და XIII !) საუკუნეებისთვისაც ვარაუდობს და მოჰყავს მასალა წყაროებიდან, სადაც „ერი" თითქოს „ლაშქარს" ნიშნავს (იხ. მისი, ქართული ფეოდალიზმის გენეზისისა და განვითარების ზოგიერთი საკითხი, წიგნში: ხოშტარია (ბროსე) ე., ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები, თბ., 1989, გვ. 4-39). აქ არ არის ადგილი მის მიერ მოყვანილი მასალის და არგუმენტაციის დეტალური განხილვისა. აღვნიშნავთ, რომ ავტორის მიერ დამოწმებული მასალიდან ნაწილი („მოქცევაჲ ქართლისაჲ", ჯუანშერი) IV-V საუკუნეების ვითარებას ასახავს და შესაბამისად ტერმინოლოგიაც პირველწყაროებისა უნდა იყოს. მეორე ნაწილში „ერი" უფრო „ხალხს" გულისხმობს, ვიდრე „ლაშქარს", ხოლო, სადაც მაინცდამაინც ეს უკანასკნელი („ლაშქარი") იგულისხმება, მის შემადგენლობაში, „მდაბიორ-მოლაშქრეთა" ვარაუდი საეჭვოა, მაგრამ – ფეოდალებისა კი ზოგან სრულიად რეალურია. არამცთუ XI-XII, არამედ უკვე IX ს-ში „ერი" ხალხს, საერთოდ ადამიანთა სიმრავლეს ნიშნავს (სომხურად: ჟოღოვურდ, მარდიკ), რომელთა შორის „მთავართაგანიც" იგულისხმება და „მღდელთაგანიც" (იხ. აბულაძე ი., ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში. გამოკვლევა და ტექსტები, თბ., 1944, გვ. 139 და სხვ.). გარდა ამისა ავტორის მოყვანილი მასალით, თუ მისებურ ინტერპრეტაციას გავიზიარებთ, სოციალური კლასი „მდაბიორ-მოლაშქრეთა" ანუ „ერისა" თვით XIII ს-შიც რეალურია! (ხოშტარია ე., იქვე, გვ. 32). საერთოდ უნდა ითქვას, რომ მეთემე-

ალოდისტთა საყოველთაო და სრული გაქრობა არც არის სავარაუდებელი, მით უმეტეს, რომ საქართველოს მთის მოსახლეობა გვიან საუკუნეებშიც, არსებითად, ასეთ „ჰეროვანთა" და „სოფლიონთაგან" შედგებოდა. ამიტომ „ერის" ხმარება „ლაშქრის" მნიშვნელობით, რაც ძველი ვითარების რემინისცენციაც შეიძლება ყოფილიყო, არ არის მოულოდნელი. მაგრამ თვით ეს „ფეოდალური ლაშქარი" (მთის კონტიგენტის გარდა), რა თქმა უნდა, „თავისუფალ მეთემეთაგან" („მდაბიორ-მოლაშქრეთაგან") კი არ შედგებოდა, არამედ ძირითადად აზნაურთა და მსახურთაგან (იხ. ჩხატარაიშვილი ქ., ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში („ლაშქარ-ნადირობა" და მისი სოციალური არსი), თბ., 1979).

92. იხ. ქართული სამართლის ძეგლები, პროფ. ი. დოლიძის გამოცემა, ტ. II, თბ., 1965, გვ. 4.
93. ქც, I, გვ. 258.
94. დაწვრილებით ამ დიდი პრობლემის, საქართველოში განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის დადგინების პროცესზე და ქრონოლოგიაზე, იხ. მუსხელიშვილი დ., ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის, „მაცნე" ისტორიის სერია, №2, 1980; იხ. აგრეთვე, ჯამბურია გ., ბატონყმობის საკითხისათვის, „მაცნე" ისტორიის სერია, №4, 1979; მისივე, ბატონყმობა საქართველოში. კრებ.: „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია", თბ., 1980; მისივე, სამთავროსენიორალური სისტემა ადრეფეოდალური ხანის საქართველოში, თუშ, ტ. 227 თბ., 1982; ბოგვერაძე ა., ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1979.
95. იხ. Бессмертный Ю. Л., "Феодальная революция" X-XI веков? ВИ, №1, 1984. იქვეა ლიტერატურა პრობლემის გარშემო.
96. იხ. მაგალითად: Bonassie P. Du Rhône à la Galice: genèse et modalités du régime féodal. SF, pp. 21-22, 30-31, 36-37.
97. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თავი III, § 4.
98. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ნ. ბერძენიშვილის შრომებში, „მაცნე", №2,

1965, გვ. 111; მისივე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, გვ. 41 და შემდ.

99. ხევსურეთის თემის შესახებ, იხ. ბარდაველიძე ვ., ხევსურული თემი. სტრუქტურა და ჯვარისყმობის ინსტიტუტი, სმამ, ტ. XIII, №8 და მისივე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, იქვე, №10, 1952.

100. ასეთი ფორმულირება ფრანკების მაგალითზე ეკუთვნის ა. ნეუსიხინს, იხ. Неусыхин А. И., Дофеодальный период как переходная стадия развития от родоплеменного строя к раннефеодальному, ВИ, №1, 1967, стр. 76.

101. მელიქიშვილი გ., ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დახასიათებისთვის, „მაცნე", ისტორიის... სერია, №1, 1979, გვ. 40; შდ. Неусыхин А. И., დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

102. მელიქიშვილი გ., დასახ. ნაშრომი; იქვეა საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა.

103. ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ, ძეგლები, I, 1969.

104. ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1937, გვ. 111.

105. იქვე, გვ. 143.

106. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 92. შდ. ვაჟა-ფშაველა, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.

107. ვაჟა-ფშაველა, დასახ. ნაშრომი, გვ. 110. ნ. ხიზანაშვილის აზრით, ლაშარის ჯვარს არაფერი საერთო ლაშა-გიორგისთან არა აქვთ, არამედ იგი „ლაშქარის ჯვარია" ანუ ლაშქრობის ღვთაება. (იხ. ხიზანაშვილი ნ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 102-106). ავტორის სათანადო არგუმენტაცია ფრიად საეჭვოა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ „ლაშქრობის ღვთაება" მხოლოდ ლაშარის ჯვარი არ ყოფილა. ასეთი იყო, როგორც ვიცით, სრულიად ხევსურეთის საღმრთო გუდანის ჯვარი და სხვ.

108. ვაჟა-ფშაველა, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

109. ბარდაველიძე ვ., მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობის ისტორიიდან საქართველოში, „მაცნე", ისტორიის... სერია, №3, 1971, გვ. 72.

110. Бардавелидзе В. В., Земельные владения древнегрузинских святилищ, СЭ, №1, 1949, стр. 96.
111. ქც, IV, გვ. 573.
112. მუსხელიშვილი დ., ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის, გვ. 149-152.
113. Колесницкий Н. Ф., К вопросу о раннеклассовых общественных структурах, ПИДО, I, М., 1968, стр. 635, 636.

თავი VII. ეთნიკური ვითარება

ენათმეცნიერების, ანთროპოლოგიის, არქეოლოგიისა და ისტორიული გეოგრაფიის ერთობლივი მონაცემების მიხედვით დღეს სრულიად უცილობელია ქართველთა წინაპრების ავტოქტონობა კავკასიაში. თავისთავად ცხადია, ქართველი ხალხის ეთნოგენეზის ხანგრძლივი და რთული პროცესიც ძირითადად ამავე რეგიონში უნდა წარმართულიყო.

საქართველოს ისტორიული ტოპონიმიკა, რომელიც დღემდეა შემონახული აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც, მთაშიც და ბარშიც, იმის მოწმობაა, რომ „ქართველი ტომების ავტოქტონობის აღიარებით, უნდა დავუშვათ არაქართველთა ავტოქტონობაც, ბრძოლა ამ ტომებს შორის და ქართული ტომების გამარჯვება"[1]. მართლაც, ისტორიული საქართველოს ტერიტორიამ და ძველქართულმა წყაროებმა არაერთი ძველად არსებული ქართული თუ არაქართული ტომის სახელწოდება იციან, რომლებიც დღეს აღარ არსებობენ და მხოლოდ ტოპონიმების თუ ხორონიმების სახითღა არიან შემორჩენილნი (ბაზალეთი, ჭართალეთი, თრიალეთი, არგვეთი, კასპი, ფხვენისი, წობენი, გოგარანი და სხვა). ცხადია, ამგვარი ონომასტიკა ოდესღაც არსებულ ბაზალთა, ჭართალთა, თრიალთა თუ თრელთა, მარგველთა, კასპთა, ფხოველთა, გოგართა და კიდევ მრავალ სხვა ტომთა შესახებ გვაწვდის ინფორმაციას, რომელთაც სწორედ ეთნოგენეზის ათასწლოვან პროცესში განიცადეს ასიმილაცია და, საბოლოო ჯამში, ქართველი ხალხის წარმოქმნა-ჩამოყალიბებაში მიიღეს მონაწილეობა. ეს პროცესები ათასწლეულთა სიღრმეში მიმდინარეობდა.

საინტერესოა, რა დროიდან შეგვიძლია ჩვენ ხელშესახებად ვისაუბროთ ამიერკავკასიაში ქართველ ტომთა არსებობის შესახებ.

სულ უკანასკნელი ხანის გამოკვლევების მიხედვით საეარაუდო ხდება, რომ უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში მაინც კოლხეთის მოსახლეობა დასავლურ-ქართულ დიალექტზე მეტყველებდა[2].

თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, ამ დროისათვის წინარე ქართულ დიალექტებზე მოსაუბრე ტომთა დივერგენცია, ფაქტობრივად, მომხდარა და, ამდენადვე, უკვე უნდა არსებულიყ-

ვნენ აღმოსავლურ-ქართულ დიალექტებზე მოსაუბრე ტომებიც.

ეს ვარაუდიც სავსებით რეალური ჩანს. საქმე ის არის, რომ თანამედროვე ქართული სიტყვა „ცხოვრება", რომელიც ამავე მნიშვნელობით ძველ ქართულშიც კარგად არის ცნობილი, წარმოდგება „ცხოვარ"//„ცხვარ" ძირისაგან. ამდენად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ძველქართული „ცხოვრება" თავდაპირველად „მეცხვარეობასაც" ნიშნავდა[3], შესაძლებელია, ზოგადად - „მესაქონლეობასაც". რამდენადაც ჩვენ უკვე ვიცით, რომ ქართველ ტომთა წინაპრები ამიერკავკასიაში ავტოქტონები არიან, ამდენად არქეოლოგიური თვალსაზრისით ერთადერთი პერიოდი, როდესაც ამ ტომთა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მეცხვარეობას ან საერთოდ მესაქონლეობას იმდენად არსებითი მნიშვნელობა უნდა შეეძინა, რომ იგი „ცხოვრების" სინონიმად ქცეულიყო, შეიძლება იყოს მხოლოდ „შუა ბრინჯაოს" ხანა ანუ სწორედ ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი[4]

თუკი ზემოთქმულს გავიზიარებთ, მაშინ იმის გათვალისწინებით, რომ „ცხოვრება" საკუთრივ ქართული ენის ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება, უნდა დავასკვნათ, რომ შუა ბრინჯაოს ხანის ე. წ. „თრიალეთური კულტურის" მატარებელი ტომები, ძირითადად, მართლაც, აღმოსავლელ-ქართველი ტომები უნდა ყოფილიყვნენ[5] და თუ ეს ასეა, მაშინ ეთნონიმ „ქართუელის" არსებობა ამ დროიდან შეიძლება უკვე ვივარაუდოთ.

ჩვენ გამოვდივართ პოსტულატიდან, რომ ეთნონიმი „ქართველი" (<„ქართუელი"), დღეს რომ ზოგადეროვნული მნიშვნელობა აქვს, თავდაპირველად ვიწრო ტომობრივ-ეთნოგრაფიული ტერმინი იყო, რომლითაც აღინიშნებოდა ერთ-ერთი ქართველური ტომის, კერძოდ, „ქართის" (უკეთ: „ქართუს")[6] ტომის წარმომადგენელი, განსხვავებით სხვა ქართველური ტომების წარმომადგენელთაგან (გუგარნი, კახნი, მესხნი, ჯავახნი, შავშნი, ტაოელნი, კლარჯნი, ივერნი, კოლხნი, ზანნი, ლაზნი, მეგრნი, სვანნი და სხვა და სხვა). ე. ი. თავდაპირველად ეთნოგრაფიული ქართლის (ზენა და ქვენა სოფლის)[7] მკვიდრ მოსახლეობას ეწოდებოდა „ქართველნი". ის, რომ დღეს ყველა ამათ და ბევრ სხვასაც ზოგადეროვნული სახელი - „ქართველი" – ეწოდება, მეტად რთული და ხანგრძლი-

ვი პოლიტიკური და ეთნოგენეტიკური პროცესის შედეგია, რომლის გარკვეული ეტაპიდან შესაძლებელი გახდა ასეთი მეტამორფოზი.

ამ თვალსაზრისით არავითარი პრინციპული განსხვავება არ არის „ქართველის" მიმართებაში, ერთი მხრივ, „კახთან" ან „მესხთან" და, მეორე მხრივ, „მეგრთან" ან „სვანთან". ისტორიულად იყო დრო, როდესაც არც კახნი, არც მესხნი, არც თუშ-ფშავ-ხევსურნი თუ ტაოელ-კლარჯნი, არც მეგრელ-ჭანნი და არც სვანნი „ქართველებად" არ იწოდებოდნენ, მაგრამ საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული პერიოდიდან ყველა ესენი და ბევრი სხვანიც წმინდა ნყლის „ქართველები" არიან და ასევე იწოდებიან.

ზემოხსენებული უკეთ რომ გავიგოთ, მივმართოთ ისტორიულ ექსკურსს. უკვე იყო აღნიშნული, რომ რეალურ-ისტორიულად ქართველ ტომებზე საუბარი შესაძლებელია შუა ბრინჯაოს ეპოქიდან. ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ანუ გვიანი ბრინჯაოს პერიოდიდან კიდევ უფრო საბუთიერად შეიძლება ვიმსჯელოთ მათი განსახლების გეოგრაფიაზე ამიერკავკასიაში. კერძოდ, არქეოლოგიური მასალის ანალიზის შედეგად და ტოპონიმიკური მონაცემებითაც ირკვევა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ძირითადად, აღმოსავლურ-ქართული ტომები მოსახლეობდნენ, ხოლო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე – დასავლურ-ქართული. სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორია (გვიანდელი მესხეთ-ჯავახეთი ჭოროხის აუზიანად) ტომთა ორი ზემოხსენებული არეალის თანხვედრისა და თანაცხოვრების ადგილი იყო".

მთელ ამ ტერიტორიაზე, როგორც ვიცით, ქართველურთან ერთად არაქართველური ტომებიც მოსახლეობდნენ.

აღმოსავლელ-ქართველ ტომთა შორის საკუთრივ „ქართველების" პირველსაცხოვრისს „ქართლი" ეწოდებოდა და ასეთი „ქართლი" (ეთნოგრაფიული გაგებით) ზენა და ქვენა „სოფლად" დანაწილებული, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული არქეოლოგიური კულტურის ანალიზი გვიჩვენებს, უკვე უნდა არსებულიყო, გვიანი ბრინჯაო–ადრეული რკინის ხანაში. ლოკალური არქეოლოგიური კულტურების სახით შესაძლებელი ხდება ჰერული, კახუ-

რი და მესხური ტომების ადგილსაცხოვრისის შემოფარგვლაც[9].

ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე და I ათასწლეულის პირველი ნახევარი ე. წ. „სამხედრო დემოკრატიის" ხანაა, რომელიც ხასიათდება ტომთა შორის ინტენსიური სავაჭრო-კულტურული და საომარი ურთიერთობებით.

ქართლის ტერიტორიის ბუნებრივ-ეკოლოგიური თავისებურებების გამო, რაც იძლეოდა ინტენსიური საირიგაციო სოფლის მეურნეობის, საიალაღო მესაქონლეობის და რკინის მეტალურგიის მძლავრი განვითარების საშუალებას, ადრევე (შუა ბრინჯაოს ხანაში) დაწინაურებული ქართის ტომები ანუ საკუთრივ „ქართველები" კიდევ უფრო წინაურდებიან ეკონომიკურად სხვა მეზობელ ტომებში[10]. მძლავრ ეკონომიკურ ბაზისს, ბუნებრივია, შესაფერისი სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაცია შეესატყვისებოდა, რასაც კარგად ადასტურებს არქეოლოგიური მასალა[11]. ამან, საბოლოო ჯამში, განაპირობა ამ ტომთა, როგორც ჰეგემონის როლი სხვა ზემოხსენებულ ტომთა შორის ურთიერთობათა პროცესში და ეს უკანასკნელი შემდგომში ქართის ტომების ანუ „ქართველთა" უპირატესობით ვითარდება. ისინი ხდებიან წარმმართველ ძალად ამ პროცესში. ძვ. წ. VII-VI საუკუნეთა მიჯნაზე ქართლის ტერიტორიაზე დასტურდება ინტენსიური, მაგრამ მშვიდობიანი ინფილტრაცია სამხრეთიდან, მანამდე ურარტული პოლიტიკურ-კულტურული გავლენის ქვეშ მყოფი, სავარაუდოდ, ქართველივე ტომებისა, რომელთა შედარებით მაღალმა კულტურამ და სოციალურმა დაწინაურებულობამ, უეჭველია, კეთილისმყოფელად იმოქმედა ადგილობრივ მოსახლეობაზე[12].

ყველაფერი ამის შედეგად იწყება ქართლის დიდი კულტურული ექსპანსია: მეურნეობრივად, კულტურულად და სოციალურად დაწინაურებული, იგი ძლიერ გავლენას ახდენს მეზობელ ტომებზე, მიმდინარეობს ქართველურ ტომთა თანდათანობითი კონსოლიდაცია და არაქართველურთა ასიმილაცია. ეს კულტურული ექსპანსია მიმართული იყო აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით, სამხრეთ-დასავლეთით. ამ დიდი და ხანგრძლივი პროცესის გამოხატულება უნდა იყოს ე. წ. ცენტრალურ-ამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტების, კერძოდ, ისტორიულ-ეთნოგრაფიული „ქართლის" ტერიტორიაზე დიდი რა-

ოდენობით გამოვლენილი ბრინჯაოს სიმეტრიულპირიანი ცულების, რომელთაც „ქართლური ცულები" შეიძლება ვუწოდოთ, გავრცელების არეალი დასავლეთით კოლხეთისაკენ, აღმოსავლეთით კახეთ-ჰერეთისაკენ, სამხრეთ-დასავლეთით მესხეთისაკენ[13].

ასე თანდათან ქართლი თავისი გავლენის ქვეშ აქცევს მეზობელ ტერიტორიებს, რომლებზეც ვრცელდება დაწინაურებული ქართლის არა მხოლოდ კულტურული, არამედ პოლიტიკური გავლენაც. შესაბამისად ფართოვდება „ქართლის" ტერიტორიული მოცულობაც[14].

ამ პოლიტიკური და ეთნოგენეტიკური დიდი პროცესის პარალელურად მიმდინარეობს სოციალურ-ეკონომიკური შემდგომი ევოლუციის პროცესიც, რის შედეგად ძვ. წ. IV ს-ის ბოლოსთვის ჩამოყალიბდა ქართლის სამეფო, რომელიც მოიცავდა კახეთის ტერიტორიასაც, ამიერკავკასიის მთიანეთსაც, მტკვრის ზემო წელს ჭოროხის აუზიანად და დასავლეთი საქართველოს ნაწილსაც. ზემოხსენებული პროცესის შედეგად, ბუნებრივია, თუ მთელ ამ ტერიტორიასაც ეწოდა „ქართლი" ბერძნულ-რომაული ისტორიოგრაფიის „იბერია"//„ივერია"

ქართლის სახელმწიფოს ამგვარი გავრცელება კარგად მოწმდება არა მხოლოდ ლეონტი მროველისეული ქართლოსიანთა გენეალოგიური სქემით, არამედ სხვა, ზემოხსენებული პროცესის თანადროული უცხოური წყაროების მონაცემებით და არქეოლოგიური მასალებითაც.

მაგალითად, როგორც ცნობილია, ევსები კესარიელთან შემონახულია მეგასთენეს, ძვ. წ. IIIს-ის დასაწყისის ისტორიკოსის, ცნობა: „ხოლო მეგასთენე ამბობს, რომ ნაბუქოდონოსორმა, ჰერკულესზე უძლიერესმა, ლიბიასა და იბერიაში გაილაშქრა. ხოლო დაიმორჩილა და ხელთ იგდო რა ისინი, ნაწილი მათგანი პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე (ე. ი. პონტოს აღმოსავლეთით) დაასახლა"[15]. ეს ცნობა ცხადჰყოფს, რომ ივერიელნი ძვ. წ. III ს-ზე „დიდი ხნით უწინარეს უნდა ამიერკავკასიაში ვიგულისხმოთ და კერძოდ შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროს მახლობლად. მეგასთენეს ცნობა ამტკიცებს, რომ იბერთა პოლიტიკური ჰეგემონია III ს. უწინარეს უნდა დაწყებულიყო"[16]. მეგასთენეს მიხედვით, ამგვარად, სრულიად უცილობელია, რომ გვიანდელი „ზემო ქართლი" -

მტკვრის ზემო დინებისა და ჭოროხის აუზი - „იბერებს" უჭირავთ და ე. ი. უკვე მეგასთენეზე უნინარეს „ქართლში" შემოდის.

კიდევ მეტი. მეგასთენეს ჩვენების პირდაპირი გაგება, გვგონია, იმაზე მიგვითითებს, რომ პოლიტიკური ქართლის საზღვარი ამ დროს უშუალოდ ზღვაზე გადის. ჩვენი აზრით, ამას უნდა მოწმობდეს ის ფაქტიც, რომ ძველქართულ წყაროებში შავ ზღვას „სპერის ზღვა" ეწოდება. სპერის ძველ-ქართული პროვინცია, მდებარეობდა „მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქჳან ჭოროხი"[17], ხეობის ზემო წელზე. მაგრამ ის ფაქტი, რომ შავ ზღვას ქართველები ძველად „სპერის ზღვას" უწოდებდნენ, მოწმობს, რომ „სპერები (სასპერები...) იყო ხალხი (არაქართი) ზღვის პირას"[18]. მართლაც, სპერების ჰეროდოტესეულ სასპერებთან დაკავშირება სრულიად ბუნებრივია. ჰეროდოტე (IV, 37) კი, როგორც ცნობილია, შავი ზღვიდან სპარსეთის ყურემდე გაშლილ ტერიტორიაზე მოსახლე ოთხ ხალხს ასახელებს - კოლხებს, სასპერებს, მიდიელებს და სპარსელებს[19]. აქ მოცემული ისტორიულ-გეოგრაფიული სიტუაცია, როგორც ფიქრობენ, იმგვარია, რომ ძვ. წ. VI ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს, ხოლო თვით ცნობის გეოგრაფიული კონტექსტი ისე შეიძლება გავიგოთ, რომ „სასპერების" ტერიტორია მოიცავს არა მხოლოდ ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთს („ზემო ქართლს"), არამედ აღმოსავლეთ საქართველოს და არაქსის შუა და ზემო წელსაც[20]. მე მგონია, რომ სწორედ ამ პერიოდის პოლიტიკური ვითარების ამსახველი უნდა იყოს შავი ზღვის „სპერის ზღვად" წოდება ქართველების მიერ და თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ძვ. წ. VI ს-ში არა მარტო სპერები (სასპერები) გადიოდნენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, არამედ „პოლიტიკური ქართლიც" აღწევდა აქამდე.

მართლაც, სასპერ-სპერ-იბერის ცნებათა იდენტურ ეთნიკურ შინაარსზე არაერთ მკვლევარს მიუთითებია და ჰეროდოტესა და მეგასთენეს ცნობების შეთანაპირებაც ამის მოწმობა უნდა იყოს: გვგონია ორივე ისტორიკოსი ერთსა და იმავე ვითარებას ასახავს სასპერ-იბერების პოლიტიკურ და ეთნიკურ ექსპანსიას და ჰეგემონობას ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, „ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა" უკვე ძვ. წ. VI ს-ის პირველ ნახევარში.

ივერია ანუ ქართლის სამეფო სამხრეთ-დასავლეთით იმთავითვე, როგორც ჩანს, შავ ზღვამდე ვრცელდებოდა, რასაც ლეონტი მროველის ცნობის მეგასთენეს ჩვენებასთან შეთანაპირება მოწმობს. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო ის არის, რომ აღმოსავლელ-ქართველი ტომების არა მხოლოდ პოლიტიკური ჰეგემონობა, არამედ ეთნიკური ინფილტრაციაც ამ მხარეში უძველესი დროიდანვეა სავარაუდო. კერძოდ, ამაზე უნდა მიუთითებდეს ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის სამთავროული არქეოლოგიური მასალის, კერძოდ, კერამიკის ინტენსიური ნაკვალევი ყარსის მიდამოებიდან (ყარსის სამხარეო მუზეუმის ექსპოზიცია), საიდანაც ცნობილია თვით თრიალეთური კულტურის მასალაც[21].

უძველესი დროიდანვეა შესაძლებელი საუბარი საკუთრივ „ქართველების" ინფილტრაციაზე არა მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, არამედ საერთოდ დასავლეთისაკენ და აღმოსავლეთისაკენ. კერძოდ, ამის დასტური შეიძლება იყოს ის არქეოლოგიური მასალა, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი. ასე მაგალითად, სწორედ ბრინჯაოს ზემოხსენებული „ქართლური ცულების" რაჭის ტერიტორიაზე გავრცელებული ნაირსახეობა აქ აღმოსავლურ-ქართული ეთნიკური ნაკადის შეჭრის საბუთად მიაჩნიათ[22].

უფრო გვიანი ხანისათვის და, კერძოდ, ძვ. წ. IV-III საუკუნეებიდან ეს პროცესები კიდევ უფრო ნათლად ჩანს: აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი რეალიების – ქვევრსამარხების, წითლად მოხატული კერამიკის – გავრცელება გურია-იმერეთის ტერიტორიაზე[23]. აღმოსავლურ-ქართული ეთნიკური ელემენტის ინფილტრაცია ამ დროისათვის მოწმდება აგრეთვე აღმოსავლეთით ჰერეთისაკენ (დასავლეთი ალვანეთისაკენ)[24]. რაც შეეხება სამხრეთ-დასავლეთს, სტრაბონისეულ „მოსხიკეს" (მესხეთს), აქ ხომ „ივერიელები" მეგასთენეს უკვე ძვ. წ. VI ს-ში ეგულება.

ეს უძველესი ხანიდან დაწყებული დიდი პროცესი ადრეულ შუა საუკუნეებშიც გრძელდებოდა, რაც კარგად საბუთდება ქართული ისტორიული ტოპონიმიკით, რომელიც დამოწმებულია უცხოელ ავტორებთან, მაგალითად, II ს-ის გეოგრაფოს პტოლემაიოსთან ალვანეთში: თელება=თელავი; ან VI ს-ის ბერძენ ისტორიკოსთან, პროკოპი კესარიელთან ლაზიკაში: არქაიოპოლის=ნოქალაქევი, როდოპოლის=ვარდცი-

ხე, კუტატის=ქუთათისი, იპპის=ცხენისწყალი, ბოას=ყვირილა[25]. ყველაფერი ეს, ცხადია, გულისხმობს ქართული ენის გავრცელებასაც ამ მხარეებში და ამდენად გასაგები უნდა იყოს ქართის ტომების ანუ საკუთრივ „ქართველების" მესხურ, მეგრულ და ჰერულ ტომებთან შერწყმის ძლიერი ტენდენციის არსებობა უძველესი დროიდანვე.

IV ს-ში დიდი მნიშვნელობის ფაქტი მოხდა: ქართლის სახელმწიფოში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად იქნა გამოცხადებული. ის, რომ, შეიძლება ითქვას, თავიდანვე ქრისტიანული ლიტურგია ქართლის სახელმწიფოში ქართული ენით სრულდებოდა, ქართლის დიდი კულტურული ძალის მოწმობაა. მოწმობაა, რომ ეს ინდივიდუალური (ქართული) კულტურა უკვე მანამდე არსებობდა და მკვეთრადაც იყო გამოყოფილი სხვათაგან, რომ ქართული ენის მნიშვნელობა ქართლის სახელმწიფოში და ქართული კულტურის ძლიერი გავლენა მეზობელ ტომებზე, უეჭველია, ქრისტიანობამდელი მოვლენაა. სწორედ ამის შედეგად და ამ საფუძველზე შეძლო ქართლის სახელმწიფომ, როგორც ბერძნული ლიტურგიის, ასევე არამეული დამწერლობის უარყოფა და საკუთარი ანბანისა და ქართულენოვანი ღვთისმსახურების გამომუშავება. ამან გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართველი ხალხის შემდგომი ეთნიკური განვითარების თვალსაზრისით. ქრისტიანობის მიღება ჩვენთან დაემთხვა საზოგადოებაში ფეოდალური ურთიერთობების ინტენსიურ განვითარებას, რამაც აგრეთვე უდიდესი როლი შეასრულა ამ პროცესში.

ამიერიდან ქართლის სამეფოს გავლენა მეზობლებზე კიდევ უფრო ორგანიზებული და ამდენადვე უფრო ძლიერიც უნდა გამხდარიყო. ქართლის სამეფოს პოლიტიკური გავლენა გულისხმობდა ქართული ქრისტიანობის, ქართული ენისა და მწერლობის, ქართული სოციალური ურთიერთობების მოდელის გავრცელებასაც. სწორედ ამიტომ ქართლის გავლენა დასავლეთ საქართველოზე თანდათან და განუხრელად იზრდებოდა, ბიზანტიის იმპერიის შეურიგებელი წინააღმდეგობის მიუხედავად, ქართული ქრისტიანობა და ქართული ენა თანდათან და განუხრელად ვრცელდება აქ ბერძნული ქრისტიანობისა და ბერძნული ენის საწინააღმდეგოდ. VI ს-ის დასასრულიდან მაინც ქართულ ეკლესიას დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილში თავისი მრევლი ჰყავს. მისი პოზიციები კი-

დევ უფრო მტკიცდება შემდგომში[26]. აღმოსავლურ-ქართული ენა და ქრისტიანული კულტურა ინტენსიურად ვრცელდება უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთშიც, აფხაზეთის სამთავროს ტერიტორიაზეც. საამისო კარგ მოწმობად გამოგვადგება ქართული ეროვნული საეკლესიო არქიტექტურის ე. წ. „აფხაზური სკოლის" ძეგლები, რომლებიც უკვე VI ს-დან გვხვდება საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიაზე და, ცხადია, ქართული ქრისტიანული მრევლის აქ არსებობაზე მიუთითებს[27]. ეს ინტენსიური კულტურული პროცესი შემდგომ საუკუნეებში კიდევ უფრო ღრმავდება და სწორედ ამიტომ, როდესაც VIII ს-ის 70-იან წლებში აფხაზ მთავართა ინიციატივით დასავლეთი საქართველო ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა, მოსახლეობამ არა მარტო ბერძნული პოლიტიკური გავლენისაგან შეძლო განთავისუფლება, არამედ ბერძნული, მისთვის უცხო, ენაც უარყო და უკვე დიდი ხნის წინ შეთვისებულ ქართულ ენას, სახელმწიფოებრივ კულტურას და სოციალურ ურთიერთობას საბოლოოდ ეზიარა[28]. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური განვითარების თვალსაზრისით VIII საუკუნე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, როდესაც დასავლეთ, ფაქტობრივად კი მთელს საქართველოში საბოლოოდ ყალიბდება ის ეთნოგრაფიული სურათი რომელიც (თუ გვიანი საუკუნეების იმიგრაციულ ტალღებს არ ჩავთვლით), არსებითად, დღემდე შემორჩა[29].

ეს დიდი კულტურულ-პოლიტიკური პროცესი, რომელიც ამ პერიოდში ფრიად ინტენსიურად ვითარდებოდა, როგორც ვხედავთ, დიდი ხანია რაც გადასცდა პოლიტიკური „ქართლის" საზღვრებს. ეს პროცესი წარმატებით მიმდინარეობს ეგრისში, სვანეთში, აფხაზეთში, ტაოში, ჰერეთში, შაქში, დაღისტნის მთიანეთში და ე. ი. ტერიტორიებზე, რომლებიც პოლიტიკურ „ქართლში" არ იგულისხმება. აქ უკვე სხვა ხასიათის მოვლენასთან გვაქვს საქმე და ამ ეპოქის რეალური კულტურული ვითარება შესანიშნავად გამოხატა თავისი ცნობილი ფორმულით მერჩულემ: „არამედ ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების"[30]. აქ „ქართლი" განმარტებულია, როგორც მაინცდამაინც კულტურული ცნება, ან უკეთ – როგორც კულტურულ-პოლიტიკური ცნე-

ბა[31] და, როგორც ასეთს, მას შეესატყვისება ასეთივე შინაარსით დატვირთული და არა ვიწროეთნიკური „ქართველი".

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ზემოხსენებული პროცესების შედეგად გარკვეული დროიდან ეთნოგრაფიული ცნება „ქართველი" იძენს კულტურულ-პოლიტიკურ ანუ ზოგადეროვნულ შინაარსს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთი ვითარება დასტურდება უკვე VIII საუკუნისთვის[32].

ყველაფერი ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, არსებობს სრული საფუძველი გავიმეოროთ, რომ ხანგრძლივი პოლიტიკური, კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური და ეთნოგენეტიკური პროცესების შედეგად, რომლებიც მიმდინარეობდა ქართველურ და არაქართველურ ტომებსა თუ ხალხებს შორის მომავალი საქართველოს ტერიტორიაზე, ჩვენთვის საინტერესო ეთნონიმმა IX-X საუკუნეებისათვის, თუ უფრო ადრე არა, შეიძინა სრულიად გარკვეული შინაარსი და ამიერიდან იგი გვევლინება არა ვიწროეთნიკურ ან თუნდაც ეთნო-პოლიტიკურ ტერმინად, არამედ ფრიად ტევად კულტურულ-პოლიტიკურ ანუ ზოგადეროვნულ ცნებად: „ქართველი" ენოდება ყველა იმას, ვინც, მიუხედავად მისი ეთნიკური წარმომავლობისა, აღიარებდა ქართულ (დიოფიზიტურ) ქრისტიანობას, ნაზიარები იყო ქართულ ფეოდალურ ურთიერთობებს და მოღვაწეობდა ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სარბიელზე[33]. ასეთ სარბიელს კი ახლა მხოლოდ ქართლი (თუნდაც პოლიტიკური მნიშვნელობით) კი არ წარმოადგენდა, არამედ ეგრის-აფხაზეთიც, ჰერეთიც, კავკასიის მთიანეთიც, სომხეთის მომიჯნავე ტერიტორიებიც. „ქართლი" ვეღარ ფარავდა მთელ ამ მრავალფეროვნებას ტერიტორიებისა თუ ხალხებისას, რამდენადაც ტერმინი „ქართლი" ეთნიკურ და ეთნო-პოლიტიკურ ტერმინად რჩებოდა უპირატესად. ამიტომ ბუნებრივად საჭირო გახდა ახალი ტერმინის შექმნა ამ სიტუაციის აღსანიშნავად და ასეთი ტერმინიც გამოიძებნა - „საქართველო" (X ს.)[34].

ზემოთქმული გვაძლევს საფუძველს ქართველი ერი ამ დროს უკვე სავსებით ჩამოყალიბებულად ვიგულისხმოთ. საამისო ქრონოლოგიური მიჯნა, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ის დიდი ტეხილი, როდესაც ტერმინმა „ქართველი", რომელიც ადრე მხოლოდ ვიწროეთნიკური და ეთნიკურ-პოლიტიკური

მნიშვნელობით იხმარებოდა, შეიძინა კულტურულ-პოლიტიკური ანუ ზოგადეროვნული შინაარსი.

შენიშვნები:

1. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 363.
2. გამყრელიძე თ., „ოქროს საწმისის" ძველბერძნული სახელწოდება. კრებული: „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", ტ. XXIV, თბ., 2001, გვ. 28-30.
3. Климов Г А., Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.
4. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. I, თბ., 1977, გვ. 27.
5. ბერძენიშვილი ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 236, 237.
6. იხ. მუსხელიშვილი დ., ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის. კრებული: „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია", თბ., 1993, გვ. 338.
7. ბერძენიშვილი ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 240.
8. ბერძენიშვილი ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 366; მიქელაძე თ., ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, თავი I.
9. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, ტ. I, გვ. 65, 66, 70; ფიცხელაური კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.), თბ., 1973, გვ. 196, 197; ავალიშვილი გ., ქვემო ქართლი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1974; ღამბაშიძე ირ., სამცხე-ჯავახეთი ძვ. წ. II ათასწლეულში. კრებული: „მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა", ახალციხე, 2000, გვ. 82-85; კვირკვაია რ., რკინის ფართო ათვისების ხანის (ძვ. წ. VIII-VI სს.) სამარხები ბორჯომის ხეობაში. იქვე, გვ. 93-96.
10. ბერძენიშვილი ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 237; მუსხელიშვილი დ., ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის, გვ. 351.

11. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, ტ. I, გვ. 34, 35.
12. Мусхелишвили Д. Л., К вопросу о связях центрального Закавказья с Передним Востоком в раннеантичную эпоху. კრებული: „საქართველოს არქეოლოგიის საკითხები", თბ., 1978, გვ. 25-30.
13. ფიცხელაური კ., დასახ. ნაშრომი, გვ. 167, 168; სახაროვა ლ., ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან, თბ., 1976, გვ. 9; ჩართოლანი ბ., სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1977, გვ. 52.
14. ბერძენიშვილი ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 237.
15. მომაქვს ი. ჯავახიშვილის თარგმანით: იხ. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორიის შესავალი, ტ. I, თბ., 1950, გვ. 57.
16. ჯავახიშვილი ი., იქვე; მეგასთენეს ცნობის ინტერპრეტაციისათვის იხ. აგრეთვე: Мусхелишвили Д. Л., К вопросу связях....
17. ქც, I, გვ. 17.
18. ბერძენიშვილი ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 238.
19. ჰეროდოტე, ისტორია. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1975, გვ. 262.
20. Меликишвили Г А., К истории древней Грузии, Тб., 1959, стр. 232, 233; შდ. Дьяконов И. М., Предистория армянского народа, Ер., 1968, стр. 240, прим. 133. სასპერებს ი. დიაკონოვიც უეჭველად აღმოსავლელ ქართველებად თვლის.
21. ჯაფარიძე ო., არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969, გვ. 99. ამ რეგიონში ქართველი ტომების მოსახლეობის შესახებ ძვ. წ. II ათასწლეულიდან, ჩვენ სხვაგან დაწვრილებით ვისაუბრებთ.
22. Куфтин Б. А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. სსმმ, ტ. XII-Б, თბ., 1944, გვ. 331, 332.
23. ლორთქიფანიძე ო., ვანის ნაქალაქარი, კრებული: „ვანი", ტ. I, თბ., 1972, გვ. 41.
24. მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966, გვ. 42.

25. ბერძენიშვილი ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 249; ი. ჯავახიშვილის აზრით „თელავი"=თელები (იხ. მისი, ქართველი ერის ისტორია. წიგნი პირველი და მეორე, ტფ., 1913, გვ. 11). ეს პროცესი ადრეფეოდალური ხანის „ქართლური" არქეოლოგიური მასალის გავრცელებითაც კარგად ჩანს (იხ. აფხაზავა ნ., ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ., 1979, გვ. 108, 111).
26. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, ტ. I, გვ. 228, 229.
27. Рчеулишвили Л. Д., Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии, Тб., 1988, стр. 67 и след. ეს პროცესიც კარგად აირეკლა არქეოლოგიურ მასალაში აფხაზეთიდან (იხ. აფხაზავა ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 111).
28. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, თბ., 1980, გვ. 151 და შემდ.
29. იქვე, გვ. 79, 80.
30. ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ, „ძეგლები", ტ. I, გვ. 290.
31. ბერძენიშვილი ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 414.
32. ჯანაშია ს., ქართველი ერის წარმოშობის შესახებ. შრომები, ტ. VI, თბ., 1988, გვ. 177, 178.
33. ბერძენიშვილი ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 414, 415.
34. იქვე, გვ. 200, 251, 260, 274, 277-279, 384, 385, 403 და სხვა.

დასკვნის მაგივრად

როგორც უნდა დავრწმუნებულიყავით, IV-VIII ს-ის პირველი ნახევარი საქართველოს ისტორიის ფრიად მნიშვნელოვანი პერიოდია, როგორც კულტურულ-პოლიტიკური, ასევე სოციალურ-ეკონომიკური და ეთნიკური განვითარების თვალსაზრისით. და ეს მიუხედავად იმისა, რომ არც ამ დროს მოკლებია ჩვენს ქვეყანას გარეშე მტერთა (სპარსეთი, ბიზანტია, არაბეთი, ხაზარეთი) ფრიად მტკივნეული შემოსევები. სწორედ ამ დროს გამოიკვეთა მისი კულტურული (ორთოდოქსალური ქრისტიანობა), სოციალური (ფეოდალიზმი) და ეთნოგრაფიული სახე.

საზოგადოებრივი განვითარების ამ ეტაპისათვის დამახასიათებელმა შინაგანმა მძლავრმა იმპულსებმა შემდგომი სრულყოფა მომდევნო ხანაში ჰპოვა.

ჩვენს მიერ შესწავლილი პერიოდის ბოლოს (VIII ს-ის შუახანი) ქართველი ხალხის სოციალურმა ევოლუციამ ფეოდალური ურთიერთობების სავსებით მომწიფებულ ფაზას მიაღწია, რისი კანონზომიერი გამოხატულებაც იყო, პოლიტიკური ზედნაშენის თვალსაზრისით, ფორმალურად ერთიანი ე. წ. ადრეფეოდალური სახელმწიფოს დაქუცმაცება ცალკეულ ფეოდალურ სენიორიებად, ფეოდალურ „ქვეყნებად", რომელთა სათავეში დამოუკიდებელი ან ნახევრად დამოუკიდებელი „მთავრები" იდგნენ. სწორედ VIII ს-ის მეორე ნახევრისათვის მემატიანე გვაუწყებს: „ხოლო ამიერითგან იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ხუასროანთამან ...იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას" (ქც. I, 250). ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა ფეოდალური ქვეყნისთვის სოციალური ისტორიის ზემოხსენებულ გარდამტეხ ეტაპზე.

შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური აღმავალი განვითარება იწვევს ამ ცალკეულ წვრილ „სამთავრო ქვეყანათა" ლოკალურ კონსოლიდაციას უფრო მსხვილ ერთეულებად და, მართლაც, VIII ს-ის ბოლოსთვის საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე მცირე, ფეოდალური სახელმწიფო ჩამოყალიბდა, რომელნიც, თუ გავითვალისწინებთ წინარე ხანის სოციალურ-ეკონომიკურ, ასევე ეთნიკურ-დემოგრაფიულ ევოლუციას და იმ ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს, სადაც მიმდინა-

რეობდა ეს პროცესები, ფაქტობრივად, „მთისა" და „ბარის" რეგიონების შერწყმის შედეგად წარმოიქმნენ (ამის შესახებ სხვაგან გვაქვს დეტალური საუბარი: იხ. ჩვენი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, თბ., 1980).

ბოლოს და ბოლოს ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენის შედეგი და გამოხატულება იყო დასავლეთში „აფხაზთა სამეფო", აღმოსავლეთში - ჰერთა და კახთა სამთავროები და თბილისის საამირო, ხოლო სამხრეთ-დასავლეთში - „ქართველთა საკურაპალატო". განმსაზღვრელი და დომინანტური ამ პროცესებში იყო, რა თქმა უნდა, ბარი თავისი ინტენსიური (აღმოსავლეთ საქართველოში - საირიგაციო) სოფლის მეურნეობით (მევენახეობა-მეღვინეობა, მებაღეობა და სხვა), საზამთრო საძოვრებით; აქვე გამავალ ადგილობრივ თუ საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალებზე ძველთაგანვე არსებული სავაჭრო-ეკონომიკური და ხელოსნური ცენტრებით - ქალაქებით.

ფრიად საყურადღებო სურათს მივიღებთ ამ თვალსაზრისით, თუ ზემოაღნიშნულ ფეოდალურ პოლიტიკურ ერთეულთა საზღვრების პროექციას წარმოვიდგენთ საქართველოს ისტორიულ აგრობოტანიკურ რუკაზე: ნათელი გახდება იმ თეზისის ჭეშმარიტება, რომ ეს სამეფო-სამთავროები მთისა და ბარის გაერთიანების შედეგია და რომ მთის „ქვეყნები", ფაქტობრივად, შემოკრებილია ინტენსიური მეურნეობის ზონის, ბარის გარშემო. რიონის დაბლობი, მტკვრისა და იორ-ალაზნის ვაკეები ქმნიან იმ ეკონომიკურ ცენტრს, რომლის საფუძველზეც და რომლის გარშემოც ჩამოყალიბდნენ ზემოხსენებული ფეოდალური სახელმწიფოები. ერთგვარად განსხვავებული ვითარებაა ჭოროხის აუზში, თუმცა აქაც, ფაქტობრივად, იგივე ისტორიულ-გეოგრაფიული კანონზომიერება მოქმედებს.

ქვეყნის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობა და საზოგადოებრივი აზრის ევოლუციაც მოითხოვდა ცალკეულ ამ ქართულ სამეფო-სამთავროთა ხელმეორე გაერთიანებას უფრო მყარ ეთნო-კულტურულ ნიადაგზე, რასაც ორასწლიანი ურთიერთშორისი ბრძოლა დასჭირდა. საბოლოოდ, X-XI საუკუნეთა მიჯნაზე იოანე მარუშისძის, დავით კურაპალატისა და ბაგრატ III-ის ძალისხმევით ქვეყანა გაერთი-

ანდა ერთიან ცენტრალიზებულ ფეოდალურ მონარქიად „საქართველოდ".

ვახტანგ გორგასლის იდეას მკვიდრი საფუძველი მიეცა.

შემოკლებანი:

„გეორგიკა": ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა.

ენიმკი: ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი.

ეტიუდები: კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან.

თუშ: თბილისის უნივერსიტეტის შრომები.

იიშ: ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები.

მსკი: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.

სიგკ: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული.

სინ: საქართველოს ისტორიის ნარკვევები.

სმამ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.

სსმმ: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.

ტუმ: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე.

ტუშ: ტფილისის უნივერსიტეტის შრომები.

ქსე: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

ქც: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955.

ძეგლები: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები.

ძსკი: ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976.

***

ВВ: Византийский временник.

ВДИ: Вестник древней истории.

ВИ: Вопросы истории.

ЗВОИРАО: Записки Восточного отдела императорского Российского археологического общества.

МКЛ: Пахомов Е. А. Монетные клады Азербайджана и Закавказья.

ОИГ: Очерки истории Грузии.
ПИДО: Проблемы истории докапиталистических обществ.
СА: Советская Археология.
СМОМПК: Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.
ТИВ: Труды Института Востоковедения.

***

BG: De bello gothico.
CMH: The Cambridge Medieval History.
SF: Structures féodales et féodalisme dans l' occident méditéranéen (Xème-XIIIème siècles). Bilan et perspectives de recherches. Paris-Toronto-Roma, 1980.

შინაარსი

წინასიტყვა.....3

თავი I. საქართველო IV და V ს–ის პირველ ნახევარში..... 5

1. ქართლი IV ს–ის პირველ ნახევარში..... 5

2. ქართლი IV ს–ის მეორე და V ს–ის პირველ ნახევარში..... 53

3. ეგრისი IV–V ს–ის პირველ ნახევარში..... 100

თავი II. საქართველო V ს–ის II ნახევარში..... 139

თავი III. საქართველო VI–VII ს–ის დასაწყისში.....213

1. ქართლი VI–VII ს–ის დასაწყისში.....213

2. ეგრისი VI საუკუნეში..... 268

თავი IV. საქართველო VII ს–ის პირველ ნახევარში..... 308

თავი V. საქართველო VII ს–ის მეორე ნახევარსა და VIII ს–ის პირველ ნახევარში..... 342

თავი VI. სოციალური განვითარება..... 401

თავი VII. ეთნიკური ვითარება..... 442

დასკვნის მაგივრად..... 455

შემოკლებანი..... 458

შინაარსი..... 460

შემჩნეული შეცდომების გასწორება

გვერდი	სტრიქონი		არის	უნდა იყოს
	ზემოდან	ქვემოდან		
13		12	გუგუარელთა	გუგარელთა
19		18	იტალიური	იტალიკური
25		14	დღედმდჭ	დღედმდᲩ
37	5		ჭეშმარიტისა	ჭეშმარიტსა
45	15		ვირწმუნეთ	ვირწმუნოთ
72		10	არკადუსს	არკადიუსს
82	14		იგივ	იგი
83		19	იმის	ამის
85	13		ალბანეთის	ალვანეთის
95		20	უკანასკნელს	უკანასკნელთ
107	11-12		ჭანეთი	ჭანები
113	9		ასახლებდნენ	ასახლებენ
118	15		მკანვრალი	მკანრვალი
124		5	ნატურალური	ნატურალურ
137	17		პიტიუნტისა	პიტიუნტსა
139	12		მით-ჟამად	მითი-ჟამად
141	17		აღვნიშნავთ	აღვნიშნავდით
144		5	რომ აქ	აქ რომ
167		9	სამარჯვედ	სიმარჯვედ
167		8	სამარჯვედ	სიმარჯვედ
223		16	არაქსიის	არაქსის
224		6	სომხეთი	სომხითი
258	10		un den Tegen	in den Tagen
258		5	27	29
260	16		ჯანაია	ჯანაშია
260		9	XI	IX
261	8		იხ. აგრეთვე	იხ. იქვე
261	18		ამ დროინდელი	ამდროინდელი
277	1-2		დაიმრეჩილა	დაიმორჩილა
304		4	ტალებთან	ტოლებთან
320	1		„მოქცევაᲘ"	(„მოქცევაᲘ")
325		18	ექსპრესით	ექსპრესიით
339	11		(ევფრატზე) სირიაში	(ევფრატზე სირიაში)
342	11		მოიგეს	მოიცეს
357	5		დაანახვა	დაანახა
368		11	„ეგრისში საქმიანობს"	ეგრისში საქმიანობს
398		2	Moüc	Moïse
427	11		ჯვარი	ჯვარის
453		14	предистория	преднстория

გარეკანის დიზაინი შესრულებულია
გამომცემლობა „არტანუჯში“

დაიბეჭდა გამომცემლობა არტანუჯში

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ
☎ 25-05-22, 8(99) 25-05-22, 8(99) 53-05-22
artanuji@ip osgf.ge